

ი. გრიშაშვილის  
ბიბლიოთეკა-მუზეუმის  
კატალოგი

I

„მეცნიერება“ 1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის  
ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი

ტ. 1

ქართული წიგნები

გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1977

სარედაქციო კოლეგია:  
ს. ხადური, ა. ციციშვილი, ს. ხუციშვილი  
(პასუხისმგებელი რედაქტორი)

შემდგენლები:  
თ. მაჭავარიანი, თ. ნაკაშიძე, ლ. ხევსურიანი,  
ნ. გრიგორაშვილი

პირველი ტომის აღწერაში მონაწილეობდნენ: მ. ყურაშვილი,  
ქ. გუგუშვილი, მ. სიტატიშვილი

კ  $\frac{61005}{M 607(03)-77}$   $\frac{194-76}{215-77}$  © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977

## წინასიტყვაობა

იოსებ გრიშაშვილის ცხოვრების გზა თავისებურად იყო და რთულიც. ორთაჭალის ბაღების მუშის გრიგოლ მამულაშვილის შვილი საქვეყნოდ ცნობილი და სახელმძღვანელო პოეტი იყო, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მეტად საპატიო წოდება – სახალხო პოეტობა ჰქონდა მიკუთვნებული.

ი. გრიშაშვილი ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში. მართალია, პირველად მისი პოეზიის მომხმარებელი მეტად ვიწრო წრე იყო – ხარფუხის უბნის წვრილი მოვაჭრენი და იმ უბნის მოქალაქენი, მაგრამ სულ მალე, განსაკუთრებით მისი ლექსების პირველი კრებულის გამოცემის შემდეგ, იგი ერთ-ერთ პოპულარულ პოეტად იქცა. ი. გრიშაშვილის პოეტური სიტყვის თავისებურება და სიახლე მაშინვე შენიშნა ქართული პოეზიის ორმა უდიდესმა წარმომადგენელმა. აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდა ი. გრიშაშვილს გვერდით იყენებდნენ და დიდ მზრუნველობასაც იჩენდნენ მის მიმართ: აკაკის თავისთან ერთად გამოჰყავდა მსმენელთა წინაშე იგი, ხოლო ვაჟა-ფშაველამ ერთხელ ქუთაისში წაიყვანა ლექსების სათქმელად იმ სადამოხე, რომელიც ლიხთიქითურმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას მიუძღვნა.

ი. გრიშაშვილს სკოლა არ დაუმთავრებია. მხოლოდ ორი თუ სამი წელიწადი დაჰყო მან ქართულ გიმნაზიაში და ამით დამთავრდა მისი სასკოლო განათლება. სამაგიეროდ მისი დიდი მასწავლებლები იყვნენ ისინი, ვისი მაღლიერად პოეტი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იყო და რომელთა სახელებს ყოველთვის სიყვარულითა და მოწიწებით მოიხსენებდა გამოსვლებშიც, სიტყვებშიც და ლექსებშიც. ი. გრიშაშვილის მასწავლებლები იყვნენ ისინი, ვისი მხატვრული სიტყვა და აზრიც მას ზრდიდა და ავაჟკაცებდა. მათი სჯეროდა ი. გრიშაშვილს, მათი მხატვრული შემოქმედების ნაჩვენები გზით მიდიოდა იგი და მათვე აბარებდა შემოქმედებით ანგარიშს თითოეული ლექსისა თუ პწკარის შექმნით. ი. გრიშაშვილის დიდი მასწავლებელი იყო ქართული მწერლობა და მისი ბრწყინვალე წარმომადგენლები. იგი მათგან სწავლობდა ქვეყნისა და ერის სიყვარულს, მოქალაქეობრივი გრძნობისა და მოვალეობის იდეას და მის წინ წამოწევას. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და მათი მეთაური შოთა რუსთაველი – აი ისინი, რომელთა შემოქმედებასაც პოეტი ეთაყვანებოდა, განიცდიდა და სწავლობდა.

ქართულ მწერლობასთან ერთად ი. გრიშაშვილი თავის საუკეთესო სკოლად ქართულ თეატრს მიიჩნევდა. ქართული სცენის მსახურად იგი თავისი ახალგაზრდობის დასაწყისში გახდა და ამ დიდი ეროვნული დაწესებულების სამსახური და სიყვარული თვით სიკვდილამდე არ განელებია. ქართული თეატრის მოღვაწეებში კი ყველაზე მეტად ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილსა და ვალერიან გუნიას სცემდა პატივს, როგორც ისეთ ადამიანებს, მოქალაქეებს, ქართული თეატრის მაღალ ოსტატებს, რომელთაც გზის მაჩვენებლად, გზაზე დამყენებლად, ადამიანად და პოეტად დამდგინებლებად თვლიდა. განსაკუთრებით კი ვალერიან გუნიას.

ქართული წიგნის, ქართული მხატვრული სიტყვის სიყვარულს ი. გრიშაშვილი თეატრისა და მის მსახურთა კეთილ გავლენად თვლიდა და აღიარებდა კიდევ, რომ

გულითადად ადამიანებმა და მათმა ჰუმანურმა დამოკიდებულებამ შეაყვარეს მას კითხვა და წიგნი.

რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს გავლენა ახალგაზრდა ი. გრიშაშვილზე, რომ კეთილ ადამიანთა სიტყვით იგი იქცა წიგნის ურყევ და საოცარ მოსიყვარულედ, რის შედეგადაც მან შექმნა უნიკუმი წიგნსაცავი.

დიდი და საინტერესო წიგნადი ფონდი, მრავალფეროვანი არქივი და სხვადასხვანაირი კოლექციები ი. გრიშაშვილმა ანდერძით, უსასყიდლოდ დაუტოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ამ აკადემიის ნამდვილმა წევრმა 1947 წლიდან.

ი. გრიშაშვილი ბიბლიოთეკის შექმნას წიგნის გაცნობასთან ერთად შეუდგა. მალე ნაცნობთა წრეში მან სახელი მოიხვეჭა, როგორც წიგნის მოსიყვარულემ და მცოდნემ. მაგრამ ი. გრიშაშვილისათვის წიგნის სიყვარული სტიქიური კი არ იყო, არამედ გეგმაშეწონილი და კანონზომიერი. მისი ბიბლიოფილური ინტერესი იყო საქართველო და კავკასია, ლიტერატურა საქართველო-კავკასიაზე, ქართული წიგნის დასაზამი. ამ ინტერესმა განსაზღვრა ი. გრიშაშვილის მუშაობა წიგნების შეკრებაზე. ათეული წლის განმავლობაში მან ისეთ წიგნებს მოუყარა თავი, რომელთა მსგავსი არ მოიპოვება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დიდ ბიბლიოთეკებში. მარტო ოფიციალური ქართული წიგნის რეპერტუარს, რომელიც წიგნის სახელმწიფო პალატამ 1941 წელს გამოსცა („ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი პირველი, 1629–1920“), მან მიუმატა რამდენიმე ათეული წიგნის დასახელება. ცნობილია, რომ ქართული წიგნის რეპერტუარის შედგენისათვის გადათვალიერებული და შესწავლილი იყო საქართველოს საჯარო, თბილისის უნივერსიტეტის, საარქივო განყოფილების, საქართველოს მუზეუმის, საქართველოს წიგნის პალატის ბიბლიოთეკები და დიდი წიგნსაცავები რუსეთში – მოსკოვის ლენინის სახელობის სახელმწიფო, ლენინგრადის შჩედრინის სახელობის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის, ლენინგრადის ყოფილი სააზიო მუზეუმის ბიბლიოთეკები.

ი. გრიშაშვილს საუკეთესო მეთოდი ჰქონდა გამომუშავებული წიგნების შეგროვებისა. უპირველეს ყოვლისა, მას არ დაუშურებია წიგნის საფასური, თუკი იგი მისი ბიბლიოფილური ინტერესის დამაკმაყოფილებელი იყო.

ქაშვეთის ეკლესიის ქუჩაზე და მის შემოგარენში მრავლად იყო ბუკინისტური წიგნის სავაჭროები, საიდანაც ი. გრიშაშვილმა ბევრი წიგნი თავის ბიბლიოთეკაში შეიტანა. მას კავშირი ჰქონდა მოსკოვ-ლენინგრადის ბიბლიოფილბთან და მათი მეშვეობით იღებდა საჭირო ლიტერატურას. ბევრი საინტერესო და იშვიათი წიგნი მან შეიძინა თუ მიიღო ქართველი მწერლებისა და ქართული თეატრის მოღვაწეთაგან.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია ისეთი წიგნებიც, რომელთაც მზის სინათლე არ უნახავთ. ესენია ცენზურისაგან თავის დროზე აკრძალული გამოცემები, რომლებიც თვით საცენზურო კომიტეტის არქივშიც არ შეტანილა. ასეთი წიგნები მას ფურცელ-ფურცელ აუკრეფია და შემოუნახავს. მის წიგნსაცავში დაცულია ქართული პერიოდული გამოცემების კომპლექტები და ის გაზეთები თუ ჟურნალები, რომელთა გამოსვლისათვის საცენზურო კომიტეტს ნება არ დაურთავს. ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი პრესა 1905 წლიდან მოკიდებული, განსაკუთრებით

იმ დროისა, როცა ი. გრიშაშვილმა თავისი ლექსების ბეჭდვა დაიწყო, უკლებლივ და უნაკლოდ არის დაცული.

ი. გრიშაშვილს ბიბლიოთეკაში თავი მოუყრია რამდენიმე ათეული ათასი ნაბეჭდი ერთეულისათვის. გარდა ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, მას უგროვებია თბილისური რუსული პერიოდიკა, საერთოდ რუსული და სომხური, აზერბაიჯანული და სხვა ენების წიგნები. გარდა წიგნებისა, ბიბლიოთეკა მდიდარია ქართული თეატრის აფიშებით, მწერალ-მსახიობთა სადამოების პროგრამებით და სხვა მრავალი მასალით, რომელნიც უფრო მის არქივს მიეკუთვნება და რომელთა ღირებულება ქართული კულტურის სხვადასხვა დარგისათვის დიდია.

ი. გრიშაშვილის ხელში წიგნი თავის პირდაპირ დანიშნულებასთან ერთად იძენს სხვა მეტად მიმზიდველ და საინტერესო მხარეებს იმის გამო, რომ იგი მოხვდა იმ ადამიანთან, რომელსაც წიგნის ყოველი მომენტი აინტერესებს და იზიდავს. თითქმის ყოველ წიგნზე ი. გრიშაშვილს დაუტოვებია რაიმე მნიშვნელოვანი აღნიშვნა, მინაწერი, შენიშვნა და ზოგჯერ მთელი ეპიზოდიც წიგნის ავტორის, შემდგენლისა და წიგნის ისტორიის შესახებ, რაც ხან წიგნის ფურცლის არეებზეა ჩაწერილი, ხან ცალკე ქაღალდზე და წიგნის სათანადო გვერდებზე ჩაკერებული. ამ ბიბლიოთეკის თითოეული ბეჭდური გამოცემა შენიშვნა-მინაწერებით ქართული წიგნისა თუ პრესის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მასალებია, წიგნებსა თუ პერიოდიკაზე ი. გრიშაშვილს ამოხსნილი აქვს ანონიმი ავტორები, გაშიფრულია ფსევდონიმები და, ამრიგად, მრავალი უცნობი მწერლის ვინაობაა გამოცნობილი.

ამ ბიბლიოთეკაში დაცულია უძველესი და უნიკალური გამოცემები, დაწყებული ვახტანგ მეექვსითა<sup>1</sup> და რომ-კონსტანტინეპოლის სტამბებით, თბილისური ძველი სტამბით დამთავრებული.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ერთი თავისებურება ისიცაა, რომ აქ თავმოყრილია თბილისური ფოლკლორის გამოცემათა იშვიათი სრული კოლექცია. მხოლოდ ამ მასალის ამომწურავად გამოყენებით შეიძლებოდა შექმნილიყო ისეთი ორიგინალური და ღრმად საინტერესო წიგნი, როგორცაა „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. სრულიად გარკვეულად უნდა ითქვას, რომ ამ სახის წიგნი არც ერთი ქალაქის ფოლკლორის შესახებ არ შექმნილა. ი. გრიშაშვილის ნაშრომის მიმზიდველობა, მასში მოთავსებული მასალის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათი განპირობებულია თბილისური ფოლკლორის ჩანაწერების სისრულით. ამას, ცხადია, ისიც უნდა დაერთოს, რომ „ლიტერატურული ბოჰემის“ ბევრი პერსონაჟი და „ქალაქური“ ლექსის მთქმელი პირადი ნაცნობი იყო ი. გრიშაშვილისა.

დიდი ღირებულების მქონენი არიან ბიბლიოთეკის ის ექსპონატი-წიგნები, რომელთა მფლობელნი თავის დროზე ყოფილან ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი და სხვანი. ამ ცალებზე შემონახულია მათ მეპატრონეთა შენიშვნები, მინაწერები და სხვა სახის აღნიშვნანი. თითოეული ასეთი კვალი ქართველი მწერლისა თუ მოღვაწისა ამხსნელია რაიმე მოსაზრებისა, რაც

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღწერილობა იხ. ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე – „ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის მოღწეული ცალები“, მისგან „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის აღდგენილ ტექსტს დართული გამოკვლევა, გვ. 400.

მათ გასჩენიათ წიგნის წაკითხვისას. მაგალითად, ი. გრიშაშვილს დავით კარიჭაშვილთან უნახავს ვაჟა-ფშაველას ხელით ნასწორები წიგნი და იქიდან იმ გამოცემის თავის ცალში გადაუტანია შესწორებანი. პოემა „მოხუცის ნათქვამში“ ასეთი ადგილია:

„აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი,  
მოხვეე-გუდამაყრელნი:  
„შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით  
შენნი ერთგულნი ქართველნი“...

კარიჭაშვილისეულ ცალში ვაჟა-ფშაველას შეუსწორებია ეს ადგილი და შემდეგი სახე მიუცია:

„აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი,  
გუდამაყრელნი, მოხვეე:  
„შენს წინ ვართ შენი ერთგულნი,  
სად არის ქართველთ მოღვეე“...<sup>1</sup>

„ეთერში“ დაბეჭდილი ყოფილა – არ ვარ შენი მე მტერიო. ვაჟას გაუსწორებია – არა ვარ შენი მტერიო. ყოფილა: სიმამრის კარსა ჰკიდიან. გასწორებულია: სამარის კარსა ჰკიდიან. ყოფილა: მთაო, რად აგრე ჰგულადობ? გასწორებულია: მთაო, რად აგრე ჰგულდიდობ? ყოფილა: ურქან-ქუჩითო. გასწორებულია: ურძან-ქუჩითო.

ავტორისეული გასწორებანი ბევრი მოიპოვება იმ წიგნებში, რომელნიც ი. გრიშაშვილს შეუფროვებია თავის ბიბლიოთეკაში.

ი. გრიშაშვილისათვის სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის წარწერებით მიუძღვნიათ წიგნები მის თანამოკალმე ქართველებს, რუსებს, უკრაინელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებსა და კიდევ მრავალ სხვას. აქვია წიგნები ქართველი მეცნიერებისა აგრეთვე ი. გრიშაშვილისათვის მიძღვნილი სათანადო და შესაფერი წარწერებით. ისინი როგორც კულტურისა და წიგნის ისტორიისათვის, ისე ადამიანთა შორის ურთიერთობა-კავშირისათვის პირველხარისხოვან ცნობებს შეიცავენ. ქართველ მეცნიერთაგან ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში ინახება ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძისა და სხვათა წარწერებიანი წიგნები.

ი. გრიშაშვილის ხელში მოხვედრილა ისეთი წიგნებიც, რომლებიც ცნობილ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს სხვათათვის მიუძღვნიათ სათანადო წარწერებით, შემდეგ კი, რაღაც მიზეზებით, ის წიგნები გაფანტულან. ამ ბიბლიოთეკაში არის ალექსანდრე ყაზბეგის, შიო არაგვისპირელის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ხიზანიშვილისა და სხვა ქართველ მწერალთაგან სხვისათვის მიძღვნილი წიგნები, ან სხვადასხვა მწერალთა შენიშვნები წიგნებში (ივანე მაჩაბლისა, პეტრე უმიკაშვილისა, ვასილ ბარნოვისა, კოტე მაცაშვილისა...).

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველას თხზულებების უკანასკნელ გამოცემაში ვაჟას ხელით შეტანილი ეს ვარიანტული სხვაობა აღნიშნული არაა. ცხადია, რედაქტორებმა არ იცოდნენ ეს სხვაობა, რადგან გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები მაშინ აღუწერელნი იყვნენ.

ასეთივე ჩანაწერ-მინაწერ-შენიშვნებიანი თუ ფსევდონიმამოხსნილი ჟურნალები, გაზეთები, ალმანახები, სადეკლამაციო კრებულები – „ჩანგები“ და სხვა მრავალი გამოცემა მოიპოვება ბიბლიოთეკაში.

ყველაფერი ეს წიგნის ისტორიისათვის, მწერლობის ისტორიისათვის, ზოგადი კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საბუთებია, ხოლო ი. გრიშაშვილის ჩანაწერთა მიხედვით შეიძლება შეიქმნას ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების ლექსიკონი.

მისი ბიბლიოთეკის წიგნის ფურცლებზეა შემონახული რედაქტორული მუშაობა ამა თუ იმ მწერლის თხზულებების გამოცემისას. თითოეულ გამოცემას ვრცელი დოკუმენტირებული ისტორია გააჩნია. მაგალითისათვის ავიღოთ მის მიერ 1936 წელს გამოცემული ავქსენტი ცაგარლის „კომედიები“. წიგნის გამოცემისათვის სამზადისი მას ბევრად ადრე ჰქონია დაწყებული, ამისათვის მას შეუდგენია სრული ბიბლიოგრაფია, ე. ი. შეუძენია ა. ცაგარლის თხზულებათა ყველა და ყოველნაირი გამოცემა, კრებულები, ცალკეული თხზულებები – კომედიები, დრამები, ლექსები, სხვადასხვა პუბლიცისტურ-კრიტიკულ-მემუარული ჩანაწერები. ყველაფერი ეს მას გამოყენებული აქვს პიესათა ტექსტის ისტორიისათვის, მდიდარი და მრავალფეროვანი წინასიტყვაობისა და კომენტარ-შენიშვნებისათვის. ამ გამოცემაში ი. გრიშაშვილი განმარტებასა და ცნობას იძლევა არ მხოლოდ თხზულებათა გამოცემის, არამედ იმ თხზულებათა სცენაზე დადგმის თაობაზე, მათში მოთამაშე მსახიობთა, დამდგმელისა თუ წარმოდგენის გამმართველის გვარის აღნიშვნით, ამასთანავე, ეხება პიესის ტექსტში პერსონაჟთა მიერ ნახმარი ფრაზების აზრსა და ისტორიას, მათს სადაურობასა და მნიშვნელობას. კერძოდ, ამ წიგნში ვრცელი ცნობებია მოცემული ქართული სათეატრო ხელოვნებისა და ხელოვანთა შესახებ.

ი. გრიშაშვილი წიგნებზე მუშაობას არ წყვეტს მათი გამოსვლით. ეს ფაქტი არის დასაწყისი შემდეგი მუშაობისა, კვლევა-ძიებისა, შესწავლა-დაკვირვების გაგრძელებისა, პარალელებისა, შედარებებისა, რაც ტექსტისა და შინაარსის სრულყოფას ემსახურება. ეს დიდი საკვლევაძიებო პროცესი მას ასახული აქვს ან წიგნის კაბადონებზე, ან წიგნში ჩართულ თუ ჩადებულ მითითებებში, რომლებიც ხშირად პაკეტშია მოთავსებული სიმრავლის გამო და მიკრულია წიგნის ყდაზე.

ასეთივე სურათია ალექსანდრე ჭავჭავაძის ტექსტის მომზადებისას, ლიტერატურული ნარკვევებისა თუ გაბრიელ სუნდუკიანცის, საიათნოვას თუ სხვა რომელიმე წიგნის გამოცემისას.

თუ ი. გრიშაშვილის ლიტერატურული ნარკვევები და გამოკვლევები ბრწყინვალე შენამენია ქართული ლიტერატურისა, თეატრმცოდნეობისა, ლიტერატურისა და თეატრის ისტორიისა, ეს იმიტომ, რომ მას ჰქონდა გამოყენებული თავისი საკუთარი მეთოდი მასალის მოძებნისა, დაგროვებისა და წიგნის შექმნისა. ამ საკუთარ მეთოდამდე იგი მივიდა ინტუიციით, რამაც ყოველთვის გაუმართლა მას. გრიშაშვილისებური შენიშვნები და კომენტარები დიახაც იშვიათი და მისაზაძია, რადგან ისინი აღსავსენი არიან ყოველნაირი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობითა და მითითებებით.



ი. გრიშაშვილის შენიშვნები ხშირად იწყება წიგნის გარეკანიდან და მთელ ტექსტს გასდევს უკანასკნელ გვერდამდე. შენიშვნების ინტენსივობა, რასაკვირველია, წიგნის რაობაზე და შინაარსზეა დამოკიდებული.

ეს ყველაფერი მის ნაქონ წიგნებში და წიგნებზეა ასახული.

ამაში მდგომარეობს დიდი ინტერესი ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგისა. ასეთი ხასიათი აქვს წინამდებარე წიგნს.

ამრიგად, ეს წიგნი არის პირველი ნაწილი ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის სრული კატალოგისა. იგი ჩვეულებრივ კატალოგებისაგან იმით განსხვავდება, რომ წიგნის აღწერილობაში, სავალდებულო ბიბლიოგრაფიულ და ბიბლიოლოგიურ მითითებათა გარდა, მოცემულია ი. გრიშაშვილის წიგნებზე მუშაობის კვალი, ამოწერილია მისი განმარტებები, შენიშვნები, დამატებები, ჩანაწერები, ხაზგასმანი და სხვა, რაც ამ ბიბლიოთეკის წიგნებს თავისებურებასა და მიმზიდველობას ანიჭებს.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი რამდენიმე წიგნად უნდა გამოვიდეს: ქართული წიგნები, ქართული ჟურნალ-გაზეთები, რუსული წიგნები, საბჭოთა კავშირის ხალხთა და სხვა ენის წიგნები და პერიოდული გამოცემანი.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი მოცემული იქნება სისტემატურად, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიხედვით. მაგრამ, რადგან ეს კატალოგი მხატვრული სიტყვის ოსტატის, პოეტის ი. გრიშაშვილის წიგნებისაა, და რადგან მის ბიბლიოთეკაში უდიდესი ნაწილი მხატვრული ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდნეობა, ხალხური შემოქმედებაა, ამიტომაც კატალოგის პირველი ნაწილი დაეთმობა მათ.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენაში გულმხურვალე მონაწილეობა მიიღეს თამარ მაჭავარიანმა და თინათინ ნაკაშიძემ. ამ სახელმძღვანელო ბიბლიოგრაფებს თვით ი. გრიშაშვილმა სთხოვა ბიბლიოგრაფიულად დაემუშავებინათ მისი წიგნები, რაც ჯერ კიდევ ადრე ანდერძშიც ჰქონდა აღნიშნული.

კატალოგის შედგენას ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგე, ი. გრიშაშვილის დისწული ა. ციციშვილი.

ს ო ლ ო მ ო ნ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი

1970 წ. IX.

მხატვრული ლიტერატურა  
ლიტერატურისმცოდნეობა. ფოლკლორი  
1. ქართული მხატვრული ლიტერატურა

1–2. აბაშელი ა. თხზულებათა კრებული ორ ტომად. თბ., 1958–1960.

ტ. 1. 1958.

ფორზაცზე: „კარგი ლექსები 310, 311. საშა, შენი სადღეგრძელო იყოს! ჩემი უფროსი ძმა ს. აბაშელი უმწიკვლო პიროვნება იყო. აბაშელისთანა პოეტი არც დაიბადება. იგი ჯერ კიდევ შეუფასებელია, როგორც პიროვნება – უმწიკვლო მოქალაქე. ვაი! რა ადრე წავიდა ჩვენგან. 1959. ახალი წელი“.

ტ. 2. 1960.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1960. 18/XI. მე – გვ. 93“

3. აბაშელი ა. ერთტომეული. [თბ.], 1955.

ფორზაცზე: „1955 25/VI. ი. გრ. მე-231“.

4–7. აბაშელი ს. ანთებული ხეივანი. ლექსები (ლექსების მე-2 წიგნი). ტფ., 1923.

ფორზაცზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს – პოეტს და მეგობარს. ავტორი. 24 III–23“.

8–11. აბაშელი ა. გაბზარული სარკე. ლექსები (მე-3 წიგნი). [თბ.], 1929.

სუპერზე: „III წიგნი“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1929–29 ოქტ.“.

გვ. გვ. 32–33. ლექსთან „აპრილის მზე“ მიწერილია: „მთელი ლექსი ეული და ება“.

გვ. 23. ლექსის „უნათესავო“ ბოლოს მიწერილია: „ილია“.

გვ. 40. ლექსის „მოქანცული თვალები“ ბოლო სტროფთან მიწერილია: „აქ შპონი აკლია“.

გვ. 62. ლექსში „თეთრი კომკი“ მოხაზულია პირველი სამი სტრიქონი. მიწერილია: „იხ. ამავე წიგნის გვ. 130“.

გვ. 64. უსათაურო ლექსში „მწიფე ყურძენში ქარვა ჩადგება...“ შემოხაზულია პირველი ოთხი სტრიქონის რითმები. მიწერილია: „არ ვარგა ყველა სტრიქონის ასე გათავება. მე ჩემს ყურს ვიცავ“.

გვ. 80. ლექსის „უცნაური ამბავი“ ბოლოს: „კარლო კალამის მიბამგაა (იხ. მისი პატარა წიგნი)“.

გვ. 81. ლექსთან „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“: „კარგი ლექსის რამდენიმე კარგი ადგილი. ი. გრ“.

გვ. 84. მოხაზულია ლექსის სათაური „ტფილისი“ და მიწერილი: „უნდა დაიყოს“.

გვ. 90. ლექსში „ღვინობისთვეში“ ხაზგასმულია რითმები: „მინაში-წინაში“. მიწერილია: „ჩემი“.

გვ. 131. ლექსის „ალ. აბაშელს“ მეორე სტროფში ხაზგასმულია: „ჰა, შენი წიგნი...“. მიწერილია: „ჩემი“.

12. აბაშელი ა. გმირული დღეები. ლექსები. თბ., 1942.

ყდაზე: „ი. გრ. 1942. 10 VII“.

თავფურცელთან ბ. ჟღენტის რეცენზია, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1942 წ. № 38. 10 ოქტ.

13–15. აბაშელი ა. ლექსები. თბ., 1944.

16. აბაშელი ა. ლექსები. სრული კრებული. თბ., 1947.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 20 ნომბ. გრიშაშვილს – გვ. 372“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. ა. აბაშელის ლექსი „საახალწლო“, დაბეჭდილი გაზ. „ლენინის დროშაში“. არშიაზე მიწერილია: „1948. № 1“. 2. ა. აბაშელის ლექსი „ქართველ მეომარს“. არშიაზე: „სტალინის დროშა“, 1946, ნომბ.“ 3. ა. აბაშელის წერილი „შემოქმედების ახალი წელი“ მინაწერით: „1948“. არ ჩანს რომელი გაზეთიდანაა ამოჭრილი.

17. აბაშელი ა. მზე და სამშობლო [ლექსები]. თბ., 1939. (ლექსების მე-4 წიგნი).

ფორზაცზე: „ი. გრ. 1939. 17 XII. წიგნი IV“.

ბოლოში ფორზაცზე: „წავართვი მოსე თალაკვაძეს“. ი. გრ. 1939, 17/XII“. იქვე: „მართალია. მ. თალაკვაძე. 17 XII“.

წიგნში ჩადებულია ან ჩაკრული ა. აბაშელის ლექსები, ამოჭრილი გაზეთებიდან: 1. „ახალი სოფლის ასული“, მინაწერით: „კომ“, 1940, № 110, 15 მაისი“. 2. „ჩვენი გაზეთი“, მინაწერით: „კომ“. 1940 წ. № 126, 3 ივნისი“ (ორ ცალად). 3. „ახალ საქართველოს“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1941. № 9, 25 თებ.“. 4. „პირველ მაისის პირველ მომღერალს“ და „Первому певцу Первого мая“, თარგმ. გ. კრეიტანისა. მინაწერით: „3. B.“, 1941, № 94, 22 აპრ.“ 5. „სიმღერა“ და „ღრუბელს მიჰქონდა“, არშიაზე მინაწერი: „ლიტ. საქართ.“, 1941, № 16, 18 აპრ.“. 6. „საუბარი ადიდებულ მტკვართან“, მინაწერით: „მნათობი“ 1940, № 10“. 7. „ლაშქრული“, მინაწერით: „კომ“, 1938, 25 თებ.“ 8. „გერმანიაში“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1938, № 30, 10 დეკემბ.“

წიგნში დევს აგრეთვე შ. რადიანის წერილი „ალექსანდრე აბაშელი“ ამოჭრილი გაზეთიდან, მინაწერით: „ლიტ. გაზეთი“, 1941, № 11“ და ჩაკრულია ბოლოში უავტორო წერილი „პოეტის შემოქმედებითი გზა“ მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1940, № 6, 8 იანვ.“

18–20. აბაშელი ა. მზის სიცილი. [ლექსები. ივ. გომართლის შესავ. წერილით: „მზის მგოსანი“]. თბ., 1913.

შმუცტიტულზე წარწერა: „20 ივნისი 1913. ი. გრიშაშვილს, სიყვარულის მესაიდუმლეს. ავტორისაგან“.

მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „ს. ქვარიანი“.

21. აბაშელი ა. ოქროს საფეხურები. [ლექსები]. თბ., 1950.

ფორზაცზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტს და მეგობარს სოსო გრიშაშვილს ალ. აბაშელი. 26. IX. 50“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. ანონიმური რეცენზია, მინაწერით: „ახ. კომ.“, 1950, № 114“. 2. პ. ბახტურიძის რეცენზია „ახალი საფეხურები“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1950 წ., № 294, 31 დეკემბ.“ 3. მ. ამაღლობელის რეცენზია, მინაწერით: „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1950 წ. № 194, 4 ოქტ.“.

22. აბაშელი ა. რჩეული ლექსები. თბ., 1942.

ფორზაცზე წარწერა: „ბრწყინვალე პოეტს, მმას და მეგობარს, ი. გრიშაშვილს. ალ. აბაშელი. 18. IX. 1949“.

კანზე: „VI. ი. გრ. 1942, 23 აგვისტოს გამოვიდა!“.

სარჩევში ლექსს „საუბარი პიონერებთან“ მიწერილი აქვს: „ეს არ ყოფილა წიგნებში“.

გვ. XI. შესავალ წერილში სიტყვებს „აბაშელიც შეეყვარებულია“ შენიშვნის ჩამოტანის ნიშანი უზის და სქოლიოში მიწერილია: „მაგრამ გრიშაშვილივით „ოქროს ფეხზე“ კი არ არის შეეყვარებული – (ორიგინალში ასე ყოფილა და გამოუტოვებია კი აბაშელს)“.

გვ. 49. ლექსში „მზე“ მეხუთე სტრიქონში ხაზგასმულია სიტყვა: „წყლითა“. მიწერილია არშიაზე: „წყალით“.

გვ. 74. ლექსს „გამოძახილი“ მიწერილი აქვს: „ბალმონტი“.

გვ. 78. ლექსს „სიმი“ ბოლოში მიწერილი აქვს: „[ნ. ჩხიკვაძის თარგმანი!?]“.

გვ. 81. ლექსის „სარკე“ მეორე სტროფში ხაზგასმულია რითმები: „გუბე – დავაგუბე“. არშიაზე მიწერილია: „? ჩემი“.

წიგნის ბოლოს, სუფთა გვერდზე ფანქრით: „ფასი 50 კ.“ იქვე ფორზაცზე: „თეატრი და ცხოვრება“. № 48, 1915 წ., „ცისფერი ყვავილები“.

წიგნში ჩადებულია: 1. გაზეთ „თანამედროვე აზრის“ 1916 წლის 7 ივნისის № 125 მინაწერით: „1. აბაშელი. 2. „ღალატი“. გაზეთში აღნიშნულია ს. აბაშელის ლექსი „სისხლის ლაქა“ და ვინის წერილი: „ღალატის გმირთა გასამართლება...“. 2. ჟურნალ „ცისარტყელიდან“ ამოჭრილი სარედაქციო წერილი მინაწერით: „ს. აბაშელი. („ცისარტყელა“, 1919, № 1)“. 3. ჟურნალ „ოქროს ვერძის“ № 1-დან ამოჭრილი ს. აბაშელის ლექსი „ტბაზე“. 4. ს. აბაშელის ლექსის რუსული თარგმანი – „Смех моря“, ამოჭრილი „Тифлисский журнал“-ის 1912 წ. 10 ივნისის № 9-დან.

წიგნში ჩადებულია ან ყდაზე დაკრულია ა. აბაშელის ლექსები ამოჭრილი გაზეთებიდან. თითოეულ მათგანზე მიწერილია გაზეთის დასახელება და თარიღი: 1. „მზე ბელადის მონუმენტთან“ და „ფორთოხლის ბაღში“. „კრებული „20 წლის თავი“. 1941 წ. 25 თებ.“ 2. „სიმღერა სტალინგრადზე“. „ლიტ. საქართ.“, 1943. № 3, 30 იანვ.“ 3. „უკანასკნელ საათს“. „კომ.“, 1943, № 35, 12 თებერვ.“ 4. „გამარჯვების წელი“. „ლიტ. საქართველო“, 1943 წ. № 1“. 5. „Сталинские Соколы“. „Заря Востока“, 1943 г. № 172“. 6. „ქართველი მეომრის წერილი უკრაინელი ჯარისკაცისადმი“. „კომუნისტი“, 1943, № 300, 31 დეკ.“ 7. „სამშობლოს ვარსკვლავი“. „ლიტ. საქ.“, 1943, № 10, აპრილი“. 8. „В последний час“. „Заря“, 1943. № 8, 10 იანვ.“ 9. „ზაფხულშიც, როგორც ზამთარში“. „ლიტ. საქართ.“, 1943 წ. № 19, 10 აგვისტო“. 10. „სტალინური შევარდნები“. „კომ.“, 1943, № 172, 15 აგვ.“ 11. „გაზეთი ძელმიწურში“. „ლიტ. საქართ.“ 4 მაისი, 1943 წ. № 11“. 12. „მთები დაღისტანისა“. „ლიტ. საქართ.“, 1942, № 44, 15 დეკემბ.“ 13. „კავკასიონის მწვერვალებიდან“. „ლიტ. საქართველო“, 1942 წ. № 36, 20 სექტ.“ 14. „ოქტომბრის ვარსკვლავი“. „ლიტ. საქ.“, 1942, № 40, 3 ნოემბ.“ 15. „არ მოუშვა, დაჰკარი“. „ლიტ. საქართ.“, 1942, № 35, 12 სექტ.“

წიგნში დევს კიდევ რამდენიმე ამონაჭერი გაზეთებიდან: 1. კ. გამსახურდიას წერილი „ალექსანდრე აბაშელი. ესკიზური პორტრეტი მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1940, № 15“. 2. ანონიმური რეცენზია წინამდებარე წიგნზე მინაწერით: „ლიტ. საქ.“, № 35, 1942 წ., 12 სექტ.“ 3. ბ. ჟღენტის რეცენზია „ალექსანდრე აბაშელის „რჩეული ლექსები“ მინაწერით: „კომ.“, 1942 წ., № 299. 19 დეკემბ.“.

23–24. აბაშელი ა. სამოცი წელი. ლექსები. თბ., 1944.

25. აბაშელი ა. სამშობლოსადმი. ლექსები. თბ., 1943.

26–29. აბაშიძე, გრ. თხზულებანი. ნაწ. 1. ქუთაისი, 1901.

ჩასმულია საგანგებო ყდაში. ყუაზე ოქროს ასოებით: „ლექსები გრ. აბაშიძისა. 1. გრიშაშვილი“.

ყდის მე-2 გვერდზე მინაწერები: „1. „გუშინ გავუღე გალიის კარი“, 59. (თარგმანი), ტუმანსკის ლექსია (დაისტ.). 2. ნადირობა, გვ. 241. გადმოკეთებულია А. Ф. Федотов-ის ლექსიდან (იხ. არტისტთა კრებული „Живая струя“ გვ. 86. მე მაქვს). 3. ლერმონტოვიდან, გვ. 20, 33 (არ ეწერა ლერმონტ.). 4. არნოლდის „მნათობი აზიისა“, 129 და 291. 5. პუშკინის „ანგელოსი“, გვ. 174. 6. ჩემთვის ერთია, ჩემთვის ერთია – 218. (ამ ლექსის დედანი მაქვს.) 7. შეცდომა გვ. 62“.

ფორზაცზე: „ეს წიგნი გაარჩია ზანგმა (გრ. რცხილაძემ) (იხ. „ცნ. ფურცელი“, 1901 წ., № 1670). ი. გრ. – ზანგის ფსევდონიმით რცხილაძეზე ადრე სწერდა გოლა ჩიტაძე (იხ. მის მიერ ნათარგმნი ჰიუგოს „კლოდ-გე“). – მწირო, 300. – [გრ. აბაშიძე] დაიბადა 1866. გარდაიცვალა 1903 წ. მარტში. – გრ. აბაშიძის ფსევდონიმები: 1. გ. თირელი. 2. მენავე [ნავი]? (იხ. „ივ.“. 1896 წ., № 66). 3. შრომანა (იხ. ლასხიშვი. მოგონება, 89). 4. ვინმე (იხ. „ივერია“, 1903, № 65. დ. მეგრ.). 5. გრ-ა. 1896 „ივ.“, 6. ი. გრ.“

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვეშ: „(1866–1903)“. საგამომცემლო მონაცემების გასწვრივ: „ქართულად არ შეიძლებაოდა?“.

გვ. 3. ავტორის წინასიტყვაობაში წინადადებას: „თხზულების მეორე ნაწილში მოთავსებული იქნება უმთავრესად თარგმანები“ მიწერილი აქვს: „თარგმანები აქაც ბევრია“.

გვ. 11. ლექსთან „იხ. მარგალიტავ! (ფრანგულიდამ)“ მიწერილია: „ეს ლექსი ეკუთვნის პროვანსელ სახალხო პოეტს ფრედერიკ მისტრალს. ლექსის სათაურია: მაგალი (!) იხ. „В. ин. лит.“

გვ. 20. ლექსთან „თერგის ძღვენი (ლერმონტოვიდამ)“: „ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ 1893 წ., № 269. ზედ არ ეწერა, რომ ლერმონტოვიდან იყო თარგმნილი, შეიძლება კორექტორის დაუდევ. გამო. ი. გრ.“

გვ. 33. ლექსთან „წყნარი ღამეა. (ლერმონტოვიდამ)“: „გვ. 118, რუსული“. მეორე სტრიქონში მოხაზულია: „გზა ქვა-ფენილი“. არშიაზე: „კაჟისა შარა“. (ასეა დაბეჭდილი ივერიაში 1893, № 255 „Сквозь туман кремнистый“). ლექსის ბოლოს: „ივერია“, 1893, № 255“.

გვ. 47. ლექსს „ერთ ქალს. (ვ. ჰიუგოდამ)“ აქვს მინაწერი: „ეს ლექსი სთარგმნა კიდევ: 1. ალ. ჭ-ძემ. 2. ს. ქვარიანმა. 3. გ. შარვაშიძემ. 4. გ. ერისთავმა“.

გვ. 59. ლექსის „გუშინ გავუღე გალიის კარი“ ბოლოს მიწერილია: „რუსი პოეტის ტუმანსკის ლექსი. იხ. ერთი ძველი ორი სახელმძღვანელო. (მე მაქვს). I. გვ. 14. II. გვ. 4“. არშიებზე: „ეს ლექსი სთარგმნა მიხ. ფავლენოვმაც (იხ. „ცისკარი“, 1865 წ., აგვისტო, გვ. 68). სთარგმნა: გრ. აბაშიძემ, მიხ. ფავლენოვმა, შ. მღვიმელმა, რ. ერისთავმა (?)“.

გვ. 73. ლექსის „სიმღერა“ ბოლო სტროფში ხაზგასმულია: „და დამაფარონ მიწის პირი მე“. მიწერილია: „ჩემი რედაქცია: მე ასე დავწერდი – და ამომევისოს მიწით პირი მე, ერთი მიტირე შენი ჭირიმე“.

გვ. 102. ლექსთან „თეთრი ჩადრი“: „ჰარტმანისა. 1. ეს სთარგმნა შემოკლებით კირილე ლორთქ. იხ. მისი „სანთური“ გვ. 10. 2. მგონი კიდევ სთარგმნა ა. შანშიაშვილმა“.

გვ. 115. ლექსთან „ბუდდის მერცხალი“: „ბეგლარასაც აქვს თარგმანი“.

გვ. 129. პოემას „მნათობი აზიისა“ ეხება მინაწერი: „პირველად დაიბეჭდა – იხ. „ივერია“, 1893 წ., № 258. გრ. აბაშიძემ ეს პოემა გალექსა პროზად გადაკეთებულისგან, რომელიც იმავე ივერიაში დაიბეჭდა ექვსი დღით ადრე. (იხ. „ივ.“, 1893, № 252). ეტყობა მოეწონა მთარგმნელი. აქ მხოლოდ ერთი თავია თარგმნილი ამ პოემიდან. ი. გრ. თავი მეორე აქვეა. იხ. გვ. 291“.

გვ. 144. ლექსის „ამაო მსხვერპლი“ ბოლოს: „ივერია“, 1893. № 281“.

გვ. 174. ლექსთან „სამოთხის კართან თავ ჩაკიდული“ მიწერილია: „ანგელოსი (პუშკინით)“.

გვ. 176. უსათაურო ლექსის „გახსოვს, მაცდურო...“ ბოლოს: „1908 წ. 16 ნოემბერს. ი. გრიშაშვილი. ოლოლ“.

გვ. 218. ლექსთან „ჩემთვის ერთია ტანჯვა და ლხენა“ არშიებზე: „სპ. ჭელიძის „ჩანგურში“ აწერია („რუსულიდან“) და მართლაც ამ ლექსის დედანი არსებობს – ძველი რუსული რომანსი (იხ. დ. ერისთ. ნაქონი რვეული. გვ. 99/26. მე მაქვს. შ. კაშმაძე წერს, რომ თითქოს ეს ლექსი აკაკის კალამს ეკუთვნოდეს. რაც „იმღერება“ განა ყველა აკაკისაა? (იხ. „ლიტ. და ხელ.“ 1945 წ., № 5, გ. 3). ი. გრ.“.

გვ. 219. არშიაზე: „ქართული თარგმანები უფრო უკეთესი გამოდიოდა“.

გვ. 241. ლექსთან „ნადირობა (სასცენო მონოლოგი. გადმოღებულია)“ მიწერილია „საიდან? ამ ლექსის ავტორია А. Ф. Федотов (იხ. „Живая струя“, გვ. 86) ეს ლექსი დაიბეჭდა „ივერიაში“ 1896 წ., № 41“.

გვ. 300. ლერმონტოვის „მწირის“ მე-2 თავთან არშიაზე: „გამოტოვებულია ერთი ხანა, სადაც რუსების მფარველობაზეა ლაპარაკი. ი. გრ.“

სარჩევში, გვ. გვ. I–VII მრავალი შენიშვნაა. დაზუსტებულია თარგმნილი ლექსების ავტორები, მითითებულია ამა თუ იმ ლექსის პირველი პუბლიკაცია, დაზუსტებულია დაწერის თარიღები: გვ. II. არშიებზე: „ამ წლის „ივერიაში“ (1896) ბევრი ლექსია, რომელიც შეიძლება აქ არ იყოს შემოტანილი. ი. გრ.“ „ეს ლექსი („საახალწლო ექსპრომტი“) დაბეჭდილია 1896 წელში გამოცემულ წიგნში: „პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა“ 1896 წ., ქუთ., მ. ლალიძის გამოცემა, გვ. 19“.

გვ. VII. მინაწერი სარჩევზე: „აკლია (?). 1. „დავსძლიე გული“ (დიდი ლექსია). დაიბეჭდა „ივერიაში“, 1893 წ., № 280. 2. ექსპრომტი („აწმყოს ძალღონე, ნუგეში“). („ივერ.“, 1893, № 279)“.

წიგნში ჩადებულ კონვერტში თავმოყრილია ი. გრ. ჩანაწერები: „1. „მთვარე ქათქათებს“, გ. თირელისა. (იხ. თ. მაჭავარიანის ხელნაწერი). 2. ექიმი ჭოლოშვილი. შეცდომა გრ. აბაშიძეზე. (იხ. უნივერსიტეტის გამოცემა „აკაკის კრებული“). 3. გრ. აბაშიძის უცნობი ლექსი – პოემა „არაკი“ (აკაკისადმი). („თემი“, 1911, № 16). 4. „საკვირველია გრ. აბაშიძის ბედი, მშვენიერ ლექსებს და ეტიუდებს აწერდა გრ-ა და სათავ. აზნაურო ბანკის ანგარიშებს, რომელსაც ყველა ხრონიკიორი დაწერდა. ქვეშ მოწერილი აქვს გრ. აბაშიძე, იხ. „ივერია“, 1896. № 89 და სხვ. 5. გრ. აბაშიძის მიერ თარგმნილი ველიჩკოს ლექსი „იმერეთში“ (იხ. „მოამბე“, 1896, № VIII). 6. გრ. აბაშიძის ფსევდ. შრომანა იხ. ლასხიშვი. მემუარები გვ. 89. ნავი მისი ფსევდ. 7. „მენავე“ და „ვინმე“ გრ. აბაშიძის ფსევდონიმი „ივერიაშიო“, სწერს დ. მეგრელი გრ. აბაშიძეზე. (იხ. „ივერია“, 1903, № 65). 8. გრ. აბაშიძე სცენაზედაც გამოდიოდა. 1900 წელს ითამაშა მესტვირეს როლი „სამზადისში“, იხ. წიგნაკი „ქუთაისის თეატრის 50 წელი“ გვ. 88.

პროგრამაში. ძველი გამოცემა. 9. გრ. აბაშიძემ რომ სთარგმნა „ნადირობა“, ეკუთვნის გრენე-ლანკურას კალამს. აქედან რუსულად სთარგმნა ა. ნ. პლემჩევმა და ფედოტოვმა“.

კონვერტში დევს აგრეთვე რომელიღაც რუსული ჟურნალიდან ამოჭრილი ცნობა ედვინ არნოლდის პოემის „Свет Азии“ გამოცემის შესახებ. არშიაზე მინაწერი: „გრ. აბაშიძე, გვ. 291“.

აქვე დევს მანქანაზე გადმობეჭდილი რუსული ტექსტი პოეტ მისტრალის სიმღერის – „მაგალის“ შესახებ მინაწერით: „ოჰ, მარგარიტავ!“ ეკუთვნის პროვანსელ პოეტს მისტრალს“.

გვ. 241. ლექსთან „ნადირობა“ მიწერილია: ფედოტოვისა. ი. გრ.“.

მესამე ცალის თავფურცელზე ადრინდელი მფლობელის ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“.

30–32. აბაშიძე გრ. [ლექსები. გ. აბაშიძის შესავ. წერილით. თბ.], 1936.

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვეშ: („დაიბ. 1866 წ., გარდაიც. 1903 წ.) გარდაიც. 37 წლისა“.

შმუცტიტულზე: „გრ. აბაშიძის ფსევდონიმები: გრ. თირელი. 2. მენავე. 3. შრომანა. (იხ. ლასხიშვ. მემუარები, გვ. 89). ი. გრ.“ იქვე: „იხ. იპ. ვართაგავას წერილი გ. აბაშიძეზე. „გრდემლი“. 1912. ტ. 1, გვ. 61 (II). ი. გრ.“.

წიგნში ჩადებულია ქალაქები მინაწერებით: „1. გრ. აბაშიძის ლექსები. [ხელწერა: გრ.]. „სახალწლო“. [გამოცანებივით]? 1. „ბარაქალა თქვენსა შრომას“, აკაკის. 2. „შენმა მხვედრმა აღგამაღლა“. გრ. წერეთ. 3. „ახალ-ახალ დასთა გროვამ“. ან კუხელია ან ილია ხონელი. 4. „ფინჩხა-ფუნჩხის გულისათვის“. 5. „კრავის ტყავში გახვეულხარ“. („ივერია“, 1896 წ., № 1). 2. გრ. აბაშიძის საფლავი ლენინგრად. („სახალხო გაზეთი“, 1910 წ., № 157). 3. გრ. აბაშიძე (შრომანი) „ივ“. 1895, № 161. 4. იმედი [„ქართ. დედა“...]. (გრ. თირელისა) „ივერია“, 1895, № 216, „ოპტიმისტის სიმღ.“ № 214, № 211. 5. გრ. აბაშიძე. „ნადური“. „ივ.“, 1895, № 139. 6. გრ. აბაშიძის დიდი ლექსი-არაკი („პასუხი აკაკის“). „თემი“, 1911 წ., № 16. 7. გრ. აბაშიძე და ცენზურა იხ. „თეატრი“. 1886 წ., № 32, გვ. 374. 8. 1886 წ. „თეატრში“ გ. თირელის ბევრი ლექსი. 9. „ნადირობა“. გრ. აბაშიძის მიერ გადმოღებული ლექსი პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“, 1896, № 41. 10. გრ. აბაშიძე. „გამოცანა“ (შილერისა). თარგ. გრ. აბაშ. იხ. „ჯეჯილი“, 1896, № IV. 11. გრ. აბაშიძის პროზა ეტიუდი „სამი ცრემლი“ ანუ „დედის ანდერძი“ („ივ.“, 1896 წ., № 79, 80). ამ პროზაში ლექსია ჩართული „მე მინახავს მაისის მზე“. 12. გრ. აბაშიძის ეტიუდი „იაკობის მტრედი“ (იხ. „ივერია“, 1896 წ., № 5). 13. გრ. აბაშიძის ფსევდ. გრ. გრ-ა („ივერია“, 1896 წ.). „ანდერძი განმანათლებლის“ (ვუძღვნი ვნ. ნ. ჩ... [?] „ივ.“, 1866. № 10. 14. გრ. აბაშიძის ფსევდ. მენავე (იხ. „ივ.“, 1896, № 66)“.

წიგნში ჩადებულია ა. დგვეფაძის წერილი „გრიგოლ აბაშიძე (გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო)“, ამოჭრილი გაზეთიდან „მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1938, № 183, 11 აგვისტო“. იქვე გაზეთის ამონაჭრები: 1. ქ. რ.-ს რეცენზია წინამდებარე წიგნზე მინაწერით: „კომუნისტი“, 1936, № 217, 18 სექტ. 2. ი-ს რეცენზია მინაწერით: „კომუნისტ. განათლება“, 1936 წ. № 40“. 3. გ. ნ-ის რეცენზია მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1936 წ., № 12“.

33. აბაშიძე, გრ. ასფურცელა. [ლექსები]. 1934–1940. თბ., 1940.

ფორზაცზე წარწერა: „პატივისცემით და უკეთესის მიძღვნის სურვილით ჩვენი დროის შესანიშნავ პოეტს ი. გრიშაშვილს გრ. აბაშიძე. 5.12.42“.

წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი გ. კაჭახიძის რეცენზია: „გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება (მისი ლექსების კრებულის გამო)“ მინაწერით: „ახალგ. კომუნისტი“, 1941 წ., № 126, 31/V“.

34. აბაშიძე, გრ. გაზაფხული სტალინის სანაპიროზე. თბ., 1955.

35. აბაშიძე გრ. გიორგი მეექვსე. პოემა. თბ., 1942.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელს და სახსოვარს, მარად პატივსაცემს და უმცროსებისათვისაც ახლობელს იოსებ გრიშაშვილს, რომელმაც თავისი წიგნებით კიდევ უფრო შემაყვარა ჩვენი თბილისის და საერთოდ ჩვენი ქვეყნის წარსული; გრ. აბაშიძისაგან 5.12.42. დედაქალაქი“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. გ. ნ.-ს რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „კომ“, 1942, № 282, 28 ნოემბ.“ 2. შ. რადიანის წერილი „პოემა ქართველი ხალხის გმირულ წარსულზე“, მინაწერით: „ლიტ. საქართვე.“, 1942, № 39“. 3. ვ. ჭიჭინაძის წერილი „ციტატები“, მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნება“, 1944, № 1, იანვარი“.

36. აბაშიძე გრ. დროშები. [ლექსები]. თბ., 1945.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს, მარად სახსოვარ სოსო გრიშაშვილს მისი ერთგული და პატივისმცემელი გრ. აბაშიძე. 28. 3. 45“.

წიგნში დევს გრ. აბაშიძის ლექსები, ამოჭრილი გაზეთებიდან: 1. „სტალინის დროშა“, ამოჭრილი „კომუნისტიდან“ მინაწერით: „1945, 23 თებ.“. 2. „ძღვეამოსილი“ მინაწერით: „კომ“, 1945 წ., № 128. 3. „მაისი და გამარჯვება“ მინაწერით: „კომ“, 1945, 1 მაისი.

აქვე დევს ინფორმაცია გაზეთიდან: „გრ. აბაშიძის შემოქმედების საღამო“ მინაწერით: „გ. ნატროშ. 1945“.

37–38. აბაშიძე გრ. ლაშარელა. მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკა. თბ., 1957.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს – ი. გრიშაშვილს მისი პატივისმცემელი უმცროსი მეგობრისგან. გრ. აბაშიძე“.

იქვე მინაწერი: „[1958 წ. 7 იანვ.] ი. გრ.“

მეორე ცალის ფორზაცზე: „ავტორის ნაძღვენი წიგნი ცალკე მაქვს. ი. გრ.“.

გვ. 46. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „გუნდის სიმღერამ“. არშიაზე მიწერილია: „მომღერალთა გალობამ“.

გვ. 47. მე-9 აბზაცის გასწვრივ: „თითონ?“

გვ. 52. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია: „კოზიმიტი“. არშიაზე: „სალაფარდა“.

გვ. 59. 1-ლ სტრიქონში ხაზგასმულია: „აღზევების“. არშიაზე: „ბევრჯელაა ნახმარი“.

გვ. 71. ხაზგასმულია: „ძუა კოჭებამდის სცემდა“. მიწერილია: „კვიცი?“.

ხაზგასმულია: „შუბი მოიმარჯვა“. არშიაზე: „ბიჭი და შუბი?“.

გვ. 73. ხაზგასმულია: „ქურანი“. არშიაზე: „ხან კვიცია, ხან ქურანი, ხან რაში“.

გვ. 75. მე-7 აბზაცის გასწვრივ: „ალექსი თავის ისტორიას და ქებას თითონ ამბობს“.

გვ. 78. ბოლოდან მე-3–4 აბზაცების გასწვრივ: „ბარნოვის სტილი“.

გვ. 79. ხაზგასმულია: „ჩამოდიოდა“ [ცრემლი]. არშიაზე: „ჩამოდიოდა მთიდან“.

გვ. 83. მე-6 აბზაცის გასწვრივ: „კიევი და ქარავანი“.

გვ. 93. ხაზგასმულია: „მიკიტანი“. არშიაზე: „მეიხანე“.



- გვ. 98. ხაზგასმულია: „საწერ-კალამს“. მიწერილია: „ბატის ფრთა“. იქვე ლექსის გასწვრივ: „რუბაია. ლექსის ავტორი?“.
- გვ. 99. ხაზგასმულია: „უგუნებოდ“. არშიაზე: „ორსულ ქალზე იტყვიან“.
- გვ. 126. ხაზგასმულია: „თურმან“. არშიაზე: „თურმანიშვილები. თორიდან“.
- გვ. 133. მოხაზულია მე-5–7 აბზაცები. არშიაზე: „ბარნოვი“.
- გვ. 138. ლექსის გასწვრივ: „ავტორი?“.
- გვ. 142. 1-ლი აბზაცის გასწვრივ: „ახნაზაროვი“.
- გვ. 144. ბოლო აბზაცების გასწვრივ: „ეს არ არის იმდროინდელი სტილის. – ზმნა?“
- გვ. 146. მე-4 აბზაცთან: „დ. კლდ. გამოთქმა“.
- გვ. 147. მე-8 აბზაცში ხაზგასმულია: „გონების გარეშე“. არშიაზე: „რუსული თქმა“.
- გვ. 162. ხაზგასმულია: „სალ-სალამათად“. არშიაზე: „უცხო სიტყვა“.
- გვ. 168. ხაზგასმულია: „ზედ აკოცა“ [სასმისს]. არშიაზე: „ახალი ჩვევა“.
- გვ. 180. ხაზგასმულია: „ნეტარებას“, მიწერილია: „ბევრჯელ აქვს“.
- გვ. 205. მე-3 აბზაცში ხაზგასმულია: „მეკობრეების“. არშიაზე: „მეკობარი ზღვის ავაზაკია“.
- გვ. 216. ხაზგასმულია მე-5 აბზაცში: „თითქო საქვეყნოდ გაეხადოს“. არშიაზე: „იმეორებს. იხ. ზევით“.
- გვ. 232. ხაზგასმულია: „პაჭიჭებიანი“. არშიაზე: „პაჭიჭი – ხან ხმარობს პაიჭი“.
- გვ. 274. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „კუნძამ“. არშიაზე: „მე-13 საუკუნეში?“
- გვ. 277. არშიაზე მინაწერები: „საფლავიდან მარტო როგორ გამოუშვეს?“ „შუილი თუ... გვ. 279“.
- გვ. 300. ხაზგასმულია: „ნუკერისაგან“. არშიაზე: „ოსმალურად: ჯარისკაცი“.
- გვ. 322. ხაზგასმულია: „მეკობრეებმა გამოქცეულთაგან“. არშიაზე: „მარტო მეკობრეებმა ეხლა გაიგეს? თვითონაც ბრძოლაში არ იყვნენ?“
- გვ. 324. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია: „მიმღერე“. არშიაზე: „რა დროს შე?“
- გვ. 328. არშიაზე ქვემოთ: „ვაშა! 1958 წ. 20/VII. ბორჯომი. ი. გრ.“  
ყდის მესამე გვერდზე: „კამბეჩოვანს, გვ. 104“.
- აქვეა გაზეთიდან ამოჭრილი ინფორმაცია „შეხვედრა „ლაშარელას“ ავტორთან მინაწერით: „სტალინელი (გორი)“ და ი. სიხარულიძის წერილი „ზოგიერთი შენიშვნა გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“ გამო“ ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „საბჭოთა აჭარა“, 1958 წ., № 109“.
39. აბაშიძე გრ. ლეგენდა პირველ თბილისელებზე. (დედა). დრამატ. პოემა 4 მოქმ. და 9 სურ. – ამონაჭერი: ჟურნ. „ცისკარი“, 1958, № 12.
- აკინძულია ი. გრ. მიერ. ხელნაკეთ ქაღალდის კანზე წერია: „გრიგოლ აბაშიძე. დედა. ლეგენდა პირველ თბილისელებზე. „ცისკარი“, 1958 წ., № 12. ი. გრ.“
- გვ. 71. მე-12 სტრიქონში ხაზგასმულია მოქმედი პირის სახელი „გელა“ მიწერილია: „პატარა კახი“.
- გვ. 76. ხაზგასმულია ბოლო სტრიქონი. მიწერილია: „პატარა კახი“.
- გვ. 97. ხაზგასმულია სახელები: „გოლა, გელა“. არშიაზე: „სხვა სახელი სჯობს“.
- გვ. 100. მოხაზულია რამდენიმე სტრიქონი. მიწერილია: „ს. აბაშელი“.
40. აბაშიძე გრ. ლეგენდა პირველ თბილისელებზე. (დედა). [პიესა]. თბ., 1959.
41. აბაშიძე გრ. ლექსები. ტფ., 1937.

42. აბაშიძე გრ. ლექსები. პოემები. თბ., 1950.  
 მშუცტიტულზე წარწერა: „ჩვენი პოეზიის სიამაყეს, ჩემს საყვარელ პოეტს – იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით გრიგოლ აბაშიძე. 9 I 51“.
- გვ. 129. ლექსის პირველ სტროფში ხაზგასმულია: „გოგონების თმებში გნახე“. მიწერილია: „ჩემი“. ბოლო სტროფის გასწვრივ: „აკაკი“.
- გაზეთის ამონაჭრები: 1. ი. გრიშაშვილის წერილი გრ. აბაშიძის პოეზიის შესახებ: „Песня о мире и счастье“, მინაწერით: „Правда“, 1951, 11 ფებრ., № 42. 2. გ. ფირცხალავას წერილი: „შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე“ [გრ. აბაშიძის შესახებ], მინაწერით: „კომუნისტი“, 1951. 22 მარტი, № 68“. 3. თ. კოპლატაძის წერილი გრ. აბაშიძეზე „Поезия жизненной правды“. მინაწერით: „Мол. сталинец“, 1951, 26 მაისი, № 62“. 4. გრ. აბაშიძის ლექსი „Rot front“, მინაწერით: „სიტყვა და საქმე“. 1934, № 4“. 5. გრ. აბაშიძის ლექსი „სტალინ, შენ იცავ ხალხთა მშვიდობას“, მინაწერით: „ავანგარდი“, 1951, 1 მაისი, № 52“.
43. აბაშიძე გრ. ლექსები, პოემები. თბ., 1953.
44. აბაშიძე გრ. სამი პოემა. თბ., 1946.  
 ყდის მე-2 გვერდზე: „გვ. 40, 58 ან ერთი, ან მეორე“.  
 ფორზაცთან ა. კაცაძის რეცენზია „გრიგოლ აბაშიძის „სამი პოემა“, მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1947, № 55, 8 მაისი“.
45. აბაშიძე, გრ. სამხრეთ საზღვარზე. ლექსები; თბ., 1949.  
 წიგნში დევს ა. ნემსაძის რეცენზია წინამდებარე წიგნზე ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „Заря В.“ 1950, № 141.
46. აბაშიძე გრ. შავი ქალაქის გაზაფხული. ტფ., 1938.  
 ფორზაცზე წიგნის ბოლოს: „ი. გრ. 1943. 2/XII“
47. აბაშიძე გრ. ძღვევის ქედი. პოემა. თბ., 1944.  
 გაზეთის ამონაჭრები: 1. ევგ. ლუნდბერგის რეცენზია „Победоносный Кавказ. Новая поэма Гр. Абашидзе“, მინაწერით: „Заря Востока“, 1944, № 82“. 2. გ. გაჩეჩილაძის „ლიტერატურული შენიშვნები“ „ძღვევის ქედის“ შესახებ მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნ.“ 1944, № 13“.
- 48–49. აბაშიძე გრ. ჯაჭვგაუხდელი. ლექსები. ზარზმის ზმანება. [პოემა]. თბ., 1948.  
 აბაშიძე ვ. „ეხლანდელი სიყვარული“. კომედია 4 მოქმ. გადმოკეთ. ვ. აბაშიძისაგან. ფოთი, 1893.  
 უკანოა. თავფურცელსა და 1-ლ გვერდზე ბეჭედი „Суфлиор Иосиф Г. Мамулов“.  
 იქვე: „ამ პიესის ავტორია ა. ნ. დიაჩენკო; დაუწერია 1865 წელს – ი. გრ.“
- 51–52. აბაშიძე ვ. ტასიკო. დრამატული ეტიუდი. 1 მოქმ. ფოთი, 1893.  
 თავფურცელზე ბეჭედი: „Библиотека Тифлисского Собрания“.
53. აბაშიძე ვ. „ცოლი თუ გინდათ, ეს არი“. ვოდვეილი 1 მოქმ. ქუთაისი, 1877.
- 54–55. აბაშიძე ვ. ცოლი თუ გინდათ ეს არი!!! ვოდვეილი ერთ- მოქმ. ტფ., 1879.  
 თავფურცელზე, ფორზაცზე და 32-ე გვერდზე ბეჭედი: „ქართული დრამატული საზოგადოება“.
- ფორზაცზე: „ვასომ მომცა. ი. გრ.“
56. აბაშიძე ი. ერთტომეული. [ლექსები, პოემა. თარგმანები. თბ., 1959].
57. აბაშიძე ი. რჩეული [ლექსები]. თბ., 1951.  
 ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 10/XII“.

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. შ. ამისულაშვილის რეცენზია „ი. აბაშიძის რჩეული ლექსები“, მინაწერთ: „ახალგაზრდა კომ.“, 1952, № 32, 13 მარტი“. 2. ლ. კალანდაძის წერილი „ირაკლი აბაშიძის პოეზია“, მინაწერთ: „კომუნისტი“, 1952, № 22, 25 ივნისი“.

58. აბაშიძე ი. რჩეული. თბ., 1954.

59. აბაშიძე ი. ერთი სიმღერა [ლექსები]. თბ., 1951.

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. გ. ფირცხალავას წერილი „სტალინური ეპოქის სადიდებლად“, მინაწერთ: „კომუნისტი“, 1951 წ., № 177, 29 ივლისი“. 2. ცნობა ამ წიგნის გამოსვლის შესახებ, მინაწერთ: „სახალხო განათლება“, 1951 წ., № 43, 24 ოქტ.“. 3. პ. კობრეიძის რეცენზია „სოციალისტური სინამდვილის შთაგონებით“, მინაწერთ: „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 138, 15 ნოემბ.“. 4. ს. წვერავას წერილი „სიმღერა აყვავებულ გურიაზე“, მინაწერთ: „საბჭოთა აფხაზეთი, 1951, № 105. 30 მაისი“. 5. ს. მაღლაკელიძის წერილი „დიდების, ძლიერებისა და სილამაზის საგალობელი“, მინაწერთ: „ინდუსტრიული ქუთაისი“.

60. აბაშიძე ი. ლექსები. ტფ., 1937.

გაზეთიდან ამოჭრილი დ. გამეზარდაშვილის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერთ: „კომუნ.“.

61–62. აბაშიძე ი. ლექსები. თბ., 1941.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას სოსოს სიყვარულით, პატივისცემით ვუძღვნი ამ პატარა წიგნს. ირაკლი აბაშიძე, 1941 წ., 1 მაისი, ტფილისი“.

63–64. აბაშიძე ი. ლექსები. თბ., 1945.

კანზე: „ი. გრ. კავკავი (?). 34“.

მეორე ცალში დევს გაზეთიდან ამოჭრილი გ. ნატროშვილის წერილი „ლექსები სამამულო ომზე“, მინაწერთ: „ლიტ. და ხელ.“, 1945 წ., № 37, 6 ნოემბ.“

65. აბაშიძე ი. ლექსები. თბ., 1956.

66. აბაშიძე ი. ლირიკა. თბ., 1963.

67. აბაშიძე ი. რამდენიმე ლექსი. ტფ., 1931.

68–70. აბაშიძე ი. რამდენიმე ლექსი. ტფ., 1932.

71. აბაშიძე ი. რუსთაველის ნაკვალევზე. თბ., 1959.

72. აბაშიძე ი. რუსთაველის ნაკვალევზე. თბ., 1965.

ფორზაცზე წარწერა: იოსებ გრიშაშვილის წიგნების საგანძურს მეგობრული სიყვარულით. გრ. ლალიაშვილისაგან. პირველი 23 IV. 65“.

73. აბაშიძე ნ. მოთხრობები. თბ., 1953.

74. აბესაძე ლ. ლექსი ჭიათურისა და მღვდლებისა. ყვირილა, 1912.

კანზე: „არ არის აწერილი ქართულ წიგნში. ი. გრ.“

75. აბესაძე მ. ქალ-ვაჟიდგან მიწერ-მოწერა. მკითხაობა მარცვლითა ანუ ხელთა და ქალ-ვაჟის საუბარი ლექსად გამოთქმული. ტფ., 1896.

თავფურცელზე და კანზე ბეჭედი: „Тифлисской публичной библиотеки“.

76. აბესაძე მ. ცხოვრება და ხასიათი ძუნწი მდიდრებისა, სკაპცების და ურიებისა. ქუთაისი, 1880.

77–78. აბზიანიძე ა. სიმართლე. ლექსები. ტფ., 1906.

79. აბრამია პ. დევნილები [მოთხრობა]. ტფ., 1925.

კანზე: „ი. გრ. 1926, 16 VI“.

80. აბულაშვილი ა., ალავიძე ბ., ირემაშვილი ლ. და მებურიშვილი ტ. [ლექსები]. თბ., 1932.
81. აბულაძე მირ. აპრილის ხმები. ლექსები. თბ., 1959.
82. აბულაძე მიხ. სამშობლო ანუ ლექსთა კრება. თბ., 1881.  
კანზე ავტორის გვარის შემდეგ: „(მ. გორდაძე)“.
- გვ. 26. „გლახურ ლექსს“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მოთავსებულია მიხ. გორდაძის ლექსებში. ვინ ვისგან აიღო? ი. გრ.“ იქვე: „აბულაძე იყო მიხ. გორდაძე“.
- 83–84. აბულაძე ს. კოლექტივი. ლექსები. ზესტაფონი, 1930.
- 85–86. აბულაძე ს. მზიანი ჩრდილები [ლექსები]. ჭიათურა, 1924.  
თავფურცელზე წარწერა: „პოეტს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით – ავტორი. 1924 წ., მაისი“.  
კანზე: „ი. გრ. 1924 წ., 30 V“.
- წიგნში დევს ოთხგვერდიანი წიგნაკი „სოსია გლახი. დამფუძნებელი კრების ლექსი. 1918 წარწერით: „(მგონი სავლეს აბულაძესია)“. იქვე მიწერილია ს. აბულაძის ხელით: „ნამდვილად ჩემია! ს. აბულაძე. 15/XI – 1936 წ.“
- მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა „კომუნისტის“ რედაქციას პატივისცემით ავტორი. აპრ. 2, 1924 წ.“.
- 87–88. აბშილავა ა. სიმღერა მშობლიურ ქალაქზე. თბ., 1952.
89. აბშილავა ა. ფიქრები პირველ სიყვარულზე [ლექსები]. თბ., 1959.
90. აგარელი გ. და გრანელი ტ. პანაშვიდები [ლექსები]. თბ., 1920.  
კანზე: „ი. გრ. 1920 წ. 22 ივნისი“.
91. აგიაშვილი ნ. სერვანტესის ცხოვრება. „მახვილგონიერი იდალგო დონ-კიხოტ ლამანჩელის“ სახელოვანი ავტორის საარაკო თავგადასავალი [რომანი]. თბ., 1941.  
ყდაზე: „ი. გრ. 1941. 12 VIII“.
- გვ. 3. წინასიტყვაობაში ხაზგასმულია: „ე. ვიგოდსკაია – ალჟირის ტყვე“ და მიწერილი: „ეს წიგნი მაქვს. ეს ნარკვევი კი არა, მოთხრობაა. ი. გრ.“
- წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „იხ. „მნათობში“ რეცენზია ამ წიგნზე („მნათობი“, 1941, № 6–7). ავტორი ბიოგრაფიულ რომანს უწოდებს ამ წიგნს. ი. გრ.“ გაზეთიდან ამონაჭრები: 1. ა. ს.-იას რეცენზია, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1941 წ., № 24“. 2. მ. ვარძიელის რეცენზია, მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1984, № 128, 3 ივნისი“.
92. აგიაშვილი ნ. სერვანტესის ცხოვრება [რომანი]. თბ., 1951.
- 93–94. ადამია ა. ლექსები. პოემები. ბათუმი, 1936.
95. ადამია ა. ლექსები. თბ., 1940.
96. ადამია ა. ლექსები. ბალადები. თბ., 1955.  
ფორზაცზე: „აჯენდენ 13“.
- გვ. 113. ხაზგასმულია: „კოტორი“, მიწერილი: „ქუმცა“.
98. ადამია ა. მსახიობის სიკვდილი. დრამა. ამონაწერი ჟ. „ცისკრიდან“, 1957, № 7.  
სათაურთან: „პიესა გიორგი იშხნელზე. ი. გრ.“
99. ადამია ა. მსახიობის სიკვდილი. დრამა 4 მოქმ., 5 სურ. თბ., 1958.
100. ადამია ა. პოემა ხუთწლედის გმირებზე. ტფ., 1931.  
კანზე: „ი. გრ. 1931. 22. VI“.
101. ადამია ა. რამდენიმე ლექსი. ტფ., 1932.

- კანზე: „აქ მეც მიხსენებს მგონი აუგად. ი. გრ.“
102. ადამია ა. უბის წიგნიდან [ლექსები]. თბ., 1953.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 23 X. – ასე შეიძლება? გვ. 38“.
103. ადამია ა. შეხვედრა მერხეულში [ლექსები]. თბ., 1946.
104. ადამია ა. ხექალა. ბალადები. თბ., 1959.
- 105–106. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა: I. იოანე საბანისძე. II. ბასილი ზარზმელი. კ. კეკელიძის რედ. და გამოკვლევით. ტფ., 1935.
- კანზე: „ი. გრ. 1. ერთბაშად, გვ. 95; 2. ღარღილი, 96“.
- გვ. 95. ლექსიკონში სიტყვას „ერთბაშად“ მიწერილი აქვს: „ერთად ან საერთოდ, „ერთბაშად“ არ არის“. სიტყვის – „მტილი-ბაღი“ გასწვრივ: „წალკოტი“. სიტყვასთან „საპყრობილე“ – „საპატიმრო, დილეგი, ციხე“.
- გვ. 96. ხაზგასმულია სიტყვა „ღარღილი“; მიწერილი: „ღარღილი პირიქით არწარმოთქმული სიტყვა, გულში დარჩენილი. იხ. ვ. ბარნოვი“.
- გვ. 183. ხაზგასმულია „ზატიკობა-დღესასწაული“, მიწერილია: „როგორი?“
- გვ. 184. ხაზგასმულია „სერობა – ვახშამი“. მიწერილია: „სერობა(?)“; იქვე ხაზგასმულია „უღალი – ძნელი სავალი“. მიწერილია: „(სომხ.)“.
- კანის მე-2 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი ტ. რუხაძის რეცენზია ამ წიგნზე. მინაწერით: „კომ.“
- 107–108. ავალიანი ლ. ახალი ჰორიზონტი [რომანი]. თბ., 1952–1954.
- წგ. 1. 1952; წგ. 2. 1954.
- 109–110. ავალიანი ლ. ახალი ჰორიზონტი [რომანი]. თბ., 1956–1959.
- წგ. 1, ნაწ. 1–2. 1956; წგ. 2. ნაწ. 3–4. 1959.
111. ავალიანი ლ. ლაჰილ პირველი. ნოველების წიგნი. თბ., 1940.
112. ავალიანი ლ. სულოაგას ქუდი. ნოველა. თბ., 1959.
- 113–114. ავალიანი ლ. ყარიბი მგოსანი. ნოველა. თბ., 1948.
- თავფურცელზე წარწერა: „ბ-ნ სოსოს ღრმა პატივისცემით. ლადო. 18.10.48“.
- წიგნში დევს ბარათი: „ბ-ნო სოსო! ეს წიგნი დიდხანს ვატარე თან იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც შეგხვდებოდით და პირადად, საკუთარი ხელით მოგართმევდით. ახლა, იძულებული ვარ მეკარეს დაუტოვო თქვენთვის გადმოსაცემად, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი. ღრმა პატივისცემით ლადო ავალიანი. 2. 2. 49“.
- 115–117. ავალიანი მ. ვედრება. ლექსები. ტფ., 1892.
- კანზე: „ი. გრ. ალავერდი (სოლოგუბი), გვ. 24; ლერმონტ. 19; დობროლიუბოვი 22; ამ წიგნზე იხ. ნარკანის მოგონება – „დროშა“, 1929 წ., № 23; ამ წიგნს არჩევს „ივერია“ და იხსენიებს აუგად („ივერია“, 1892, № 74)“.
- თავფურცელზე: „ი. გრ. მ. გურიელის ალავერდი. გვ. 25“.
- გვ. 19. ლექსის სათაურს „მკვლელი“ მიწერილი აქვს: „(Каллы)“ იქვე არშიებზე: „1. ნაწყვეტია თარგმნილი. პირველი თავი. 2. ჩეჩნურად „კალი“ მკვლელს ნიშნავს. ი. გრ.“
- გვ. 25. ხაზგასმულია: „გრაფი სოლოგუბი“, მიწერილია: „ეს მამიას თარგმანია, აქ საიდან გაჩნდა? ი. გრ.“
- მეორე ცალის თავფურცელი აღდგენილია ი. გრ. მიერ.
- გვ. 26. ტექსტის ბოლოს: „ამოღებულია მ. ავალიანის წიგნიდან“.
- 118–119. ავალიშვილი გ. ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი. თბ., 1884.

- გვ. II. სიტყვასთან „დილეგი“ მიწერილია: „დრკუ“.
- გვ. III. სიტყვასთან „კაწახი“ მიწერილია: „სომხ. ძმარი“.
- გვ. VI. სიტყვასთან „ფერცხალი“ მიწერილია: „ნეკნი“.
120. ავალიშვილი ქ. ბოლოსტიკეს ომი. 1202 წელში, 700 წლის წინად [ჰომა]. ტფ., 1913.
121. აზიანი. გაცრელებული იმედები. – ამონაჭერი ჟურნ. „მოამბე“-დან. 1901 წ., № 12. ხელნაკეთ კანზე: „აზიანი. გაცრელებული იმედები. ი. გრ.“.
- ტექსტის პირველ გვერდზე: „მოამბე, 1901 წ., № XII“; იქვე ბეჭედი: „Суфлиор Иосип Г. Мамулов“.
122. აზიანი ნ. ვაი „კალმისაგან“. კომედია 1 მოქმ. – ამონაჭერი გაზ. „ივერიიდან“, 1905 წ., № 115.
- ხელნაკეთ კანზე ბეჭდური ასოებით: „ნ. აზიანი. ვაი „კალმისაგან“. კომედია 1 მოქმედებად. 1905 წ.“ იქვე ბეჭედი: „ავლაბრ. ქართ. სახ. წარმ. მმართვე. წრის გამგეობა“; იგივე რუსულად.
- კანის მე-2 გვ.: „იხ. გაზ. „ივერია“, № 115, 1905 წ.“; იქვე ბეჭედი: „საშინაო ბიბლიოტეკა მმ. დიმიტრი და დავით იოსების ძე მელაშვილებისა“.
123. აზიანი ნ. (დონდაროვი). ვაი კალმისაგან. 1 მოქმ. კომედია. გორი, 1909.
- კანზე: „პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ 1905 წ., № 115“.
124. აზიანი ნ. ინჯილერი ან დოხტური. კომედია 4 მოქმ. – ამონაჭრები ჟურნ. „მოამბე“-დან, 1898 წ., №№ 3, 4.
- აკინძულია წიგნთან: პ. ერვიე. „ბრჭყალები“ და სხვ.
- გვ. 1. „1898, № III, IV. ი. გრ.“
- გვ. 33. მე-2 მოქმ. ბოლოს: „ფარდა“.
- 125–126. აზიანი ნ. პიესები. თბ., 1936.
- ფორზაცზე: „აკლია პიესა „ცოდვა“, იხ. „მოამბე“, 1902. № 1. აკლია „სამშობლოს ბურჯნი“, სპ. 2. მოქმ.“.
- გვ. VIII. ტექსტში ფსევდონიმს „მე გახლავარ“ მიწერილი აქვს არშიაზე: „(მ. ნასიძე)“.
- გვ. X. პირველ აბზაცში ხაზგასმულია: „ალექსანდრე იმედაშვილის...“ და მიწერილი: „იოსებ (იხ. ამ წიგნის გვ. 53) და „საბჭოთა ხელოვნება“, 1936 წ. (ი. იმედაშვი. წერია). ი. გრ.“.
- გვ. 1. ქვესათაურში „4 მოქმ.“ ხაზგასმულია და არშიაზე: „1904 წ. 2 თებ. რომ წარმოადგინეს იქ 3 მოქმ. იყო გამოცხად.“
- გვ. 252. მიწერილია: „რატომ არ არის სარჩევი: 1. „ინჯილერი და დოხტური“, გვ. 1 („მოამბე“, 1898, № III, IV). 2. „ფული და ხარისხი“ – 53 („ცხოვრების სარკე“). 3. „გაცრელებული იმედები“. 103. („მოამბე“, 1901, № XII). 4. „ხან ასე და ხან ისე“. – „ივერია“, 1905 წ. № 203; „ჩვენი გზა“ (1907 წ., № 1). 5. „ვაი კალმისაგან“ („ივერია“, 1905 წ., № 115). 6. „პოლიტიკური დურაჩკა“. 7. „დეზერტიკა“ – 181“.
- წიგნში დევს ქალაქის ნაჭრები წარწერებით: I. „აკლია: 1. „ცოდვა“ (სცენები), იხ. „მოამბე“. 2. „გაცრელებული იმედები“ („მოამბე“). 3. „ფული და ხარისხი“ („ცხოვრ. სარკე“). 4. „ინჯილერი და დოხტური“ („მოამბე“).

II. „ნ. აზიანი 1. „ოჯახის თვალი“ (მოთხრობა). იხ. გაზეთი „ჩვენი სიტყვა“, 1907, № 26. 2. „პოლიტიკური დურაჩკა“ (იხ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ., № 3. 3. „გილიოტინა“ იხ. „ტალღა“. 1906 წ., № 33“.

III. „აზიანის პიესა „სამშობლოს ბურჯნი“ პირველად დაიბეჭდა გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ., № 15 და „გრიგალი“, 1906 წ., № 2.

IV. „გაცრუებული იმედების“ პირველი წარმოდგენა 1901, 7 ოქტ. იხ. რეცენზია „კვალი“, 1901, № 42, გვ. 896“.

V. „ნ. აზიანის „პატარა ფელეტონი“, დაბეჭდილი „მათრახი და სალამური“, 1909, № 13.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. ნ. აზიანი ფელეტონი „ბობოლას მონოლოგი“, მინაწერით: „საქ.“, 1920, № 137“. 2. ნ. აზიანის ფელეტონი „ჩემს მუზას“, მინაწერით: „საქ.“; ფელეტონში ადგილები ხაზგასმულია და არშიაზე მიწერილი: „დღეს არა ხვალ მომეშვება, (ისევ ისე დარჩეს) ვითომ კაი რითმა გავაკეთე. მომეშვება, მომეშვება. მაგრამ აზრი არ არის“. 3. „თეატრი“, მინაწერით: „ცნ. ფ.“ 1904 წ., 4 თებ. 4. ნევროლოგი: „ნატალია აზიანი, 1878 – 1943“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“ 1943 წ., № 4. 10 თებ. ი. გრ.“; 5. ნევროლოგი: „ნატალია აზიანი“, მინაწერით: „კომ.“ 1943, № 28, 4 თებ.“. 6. გ. მეზუკეს წერილი „ნ. აზიანი. პიესები. გამოც. „ფედერაციისა“, მინაწერით: „მუშა, 1936, № 296, 25 დეკ.“. 7. ფ-ის რეცენზია: „ნ. აზიანი. პიესები. გამოც. ფედერაცია. თბ., 1936 წ.“.

127–128. აზიანი ნ. (დონდაროვი). სამშობლოს ბურჯნი. გორი, 1909.

მეორე ცალის თავფურცელზე: „იბეჭდებოდა „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ., № 15. „გრიგალი“, 1906 წ., № 2. ი. გრ.“.

129–132. აზიანი ნ. (დონდაროვი). ფული და ხარისხი. კომედია 3 მოქმ. – ამონაჭერი. „ცხოვრების სარკე“, ნგ. 2. 1908.

133. აზიანი. ცოდვა (სცენები). – ამონაჭერი „მოამბე“-დან, 1902 წ., № 1.

სათაურთან: „მოამბე“, 1902, № 1, გვ. 38. კორექტურა? ი. გრ.“.

გვ. 31. ხაზგასმულია: „მაი მახინჯი“. მიწერილია: „მაიმახი?“

გვ. 38. ელისაბედის სიტყვაში ხაზგასმულია: „მომეწყინება“, მიწერილია: „მომეწონება“.

გვ. 40. მეხუთე გამოსვლას მიწერილი აქვს: „ა. ც. ხანუმა“.

გვ. 45. აღდგენილია – გადაწერილი მეღნიით ი. გრ. მიერ. ბოლოში ფანქრით: „(მოამბე, 1902, № 1) მე გადავწერე? ი. გრ.“.

134–135. აზიანი ნ. (დონდაროვი). ხან ასე და ხან ისე. სცენები 2 სურ. გორი, 1909.

კანზე: „მეორედ დაიბეჭდა გაზ. „ჩვენი გზა“, 1907 წ., № 1. „ხან ასე და ხან ისე“ პირველად დაიბეჭდა „ივერია“. 1905 წ., № 203“. იქვე: „და ორი მონოლოგი. ი. გრ.“

136. აზმაიფარაშვილი ლ. ტყის ნაფიქრი [ლექსად]. ტფ., 1934.

კანზე: „ლექსები. ი. გრ.“

თავფურცელზე: „ი. გრ. 1934, 20 XII“.

გაზეთის ამონაჭრები: 1. ვ. წურწუმისა წერილი „ტყის დაცვა სახალხო მნიშვნელობის საქმეა“, მინაწერით: „მგზნებარე კოლხიდელი“ (ფოთი), 1939, № 152, 26 აგვ.“. 2. ზ. ჩხუბიანაშვილის წერილი „დავიცვათ ტყეები ხანძრისაგან“, მინაწერით: „კომ“. № 161, 16 ივლისი, 1939“. 3. ივ. წერეთლის წერილი „ტყის ხანძარი“, მინაწერით: „სტალინური გზით“, 1939, 9 სექტ., № 43“.

137. აკობია პ. თავგ-ემმაკთ რევოლუცია – ბნელეთის ევოლუცია. თბ., 1908.
138. აკობია პ. იმედი. ლექსები. თბ., 1904.
139. აკობია პ. სესია [ლექსები]. თბ., წ. ა.
140. აკობია პ. ჩელა და სხვა რევოლუციონური ლექსები მეგრულად. თბ., 1931.  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1931. 30 XI“.
- წიგნის ბოლო გვერდზე: „რეცენზია იხ. „სალიტ. გაზეთი“, 1938, № 7“.
- 141–142. აკობია შ. ლექსები. პოემა. თბ., 1953.  
ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, დიდ პოეტს და ძვირფას ადამიანს უღრმე[?] სიყვარულით ავტორისაგან. 1954 წ., 22. II. ქ. სოხუმი“.
143. აკობია შ. სამშობლოს დილა [ლექსები]. სოხუმი, 1951.  
თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, უკვდავ პოეტს, მისთვის უცნობი ავტორისაგან. ქ. სოხუმი, 16. II. 52 წ.“.
144. აკობია შ. შენ გამახსენდი [ლექსები]. სოხუმი, 1957.
- 145–146. აკობია შ. წყაროს დაბადება. ლექსები. სოხუმი, 1956.
- 147–148. ალექსი ბერი. ებანი. თბ., 1908.
- 149–151. ალლუზიანი. პოემა. გამოც. ნ. გამრეკელისაგან. თბ., 1885.  
კანის მე-4 გვ.: „ავარდება. ამუშკრება“.
- წიგნში დევს გაზეთიდან ამოჭრილი ტ. რუხაძის წერილი: „იოანე იალლუზიძე“. მინაწერით: „ლიტ. საქ.“, 1938, № 32“.
152. ამირანი. ფატმა [მოთხრობა]. ბათომი, 1928.  
კანზე ავტორის ფსევდონიმთან: „(ბარაბაძე)“.
- 153–154. ამირანი. მითოლოგიური პოემა. განახლებული და რესტავრირებული შ. ნუცუბიძის მიერ. თბ., 1945.
- 155–158. ამირეჯიბი შ. მინანქრები [ლექსები]. თბ., 1920.  
კანსა და თავფურცელზე: „ი. გრ. წალვერი. 22 VIII-20 წ.“
- კანის მეორე გვერდზე: „ბავშვის ტირილი“, (ბალადა). დაბეჭდილია 1908 წ. გუნიას „საქართველოში“, № 11“.
- გვ. 4. ლექსში „მოგზაურს“ ხაზგასმულია: „ადგილნი მწირნი“, უდაბურნი და ვერანანი...“, მიწერილია: „ბარათაშვილი“.
- გვ. 6. ლექსში „ბანოვანს“ ხაზგასმულია: „რათ უწოდებდი ბანოვანო ჭაბუკსა გულსა...“ „თვით უკვდავება მასში შობდა მარტოდენ სულსა...“ მიწერილია: „ბარათაშვილი“.
- გვ. 10. ლექსში „შემოსევა ალა-მაჰმად ხანისა“ ხაზგასმულია სტრიქონები და მიწერილია: „ილიას ლექსიდან“.
- გვ. 11. ლექსის სათაურთან „ლტოლვა ირაკლისა“ – „შანშიაშვილსაც აქვს ამ სათაურით ლექსი“.
- გვ. 13. მოხაზულია „კოჯრის სიონი“, მიწერილია: „ე. ი. ნიავები? „კოჯრის ნიავე“ (გრ. ორბელიანი)“.
- გვ. 14. ლექსს „ჯილდო მეფისა“ მიწერილი აქვს: „ეს ლეგენდა ველიჩკოსია, რომელიც მშვენივრად აქვს ნათარგმნი აკაკის. იხ. გორგაძის ქრესტომათია და კირიონის სიტ. ისტორია. ჰგავს შილერის „კუბოკ““.



გვ. 22. ლექსებს „მთელი სიცოცხლე მათ იარეს ცალ-ცალკე, კენტად“ „იცი შენ მხარე, სად ცა მუდამ არის ლაჟვარდი“, მიწერილი აქვს: „თემში“ რომ დაიბეჭდა ეწერა: „მიზაძვა“. იხ. ლერმონტოვის თხზ. გვ. 116“.

გვ. 25. ლექსში „კოჯორს“ ხაზგასმულია: „ქერ-ოღლის“ და მიწერილი: „ქორ-ბრმა-ოღლი-შვილი, ე. ი. ბრმის შვილი“.

გვ. 27. მოხაზულია ლექსი „არ დავიჯერებ“ და მიწერილი: „ჰეინესებურია“.

გვ. 28. ლექსში „ეზენამი“ ხაზგასმულია: „სალავათს“. „ჰაზავატს“ და მიწერილია: „ერთი და იგივე სიტყვაა, ძირი ერთი აქვს და აზრითაც „რჯულს“ ნიშნავს“.

გვ. 29. ლექსში „ნ. ამირეჯიბის ასულს“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები და მიწერილია: „როცა ორივე რიტმა უცხო ასოთია განაკეთი, არ ვარგა, ერთი რიტმა უცხოური – ერთი ჩვენებური. ი. გრ.“

გვ. 33. ლექსში „ძველი წიგნი“ ხაზგასმულია „ქალი იყო მოწიფული“ და მიწერილი: „მ. გურიელი: „ქალი ვიყავ მოწიფული, გამიტაცეს სურვილებმა...“

გვ. 37. ლექსში „ამთქნარებული თბილისი“ სტრიქონს „ვერცხლის სამარხი ქამარი“ მიწერილი აქვს: „ესე ქართული იქნება?“

გვ. 39. ლექსს „გესმის ხმა დაირისა“ მიწერილი აქვს: „მესმის ხმა დაირისა... ერთი ჰეინეს ლექსი ასე იწყება. იხ. ჭოლას ნათ. გვ. 43; იქვე ლექსში „მერის“ ხაზგასმულია: „არ მომწონს რიტმა ჩემის ლექსისი“ და მიწერილი: „არც მე. ი. გრ.“

გვ. 41. ლექსის სათაური „ვ. ა.“ გახსნილია: „ვერიკო ანჯაფარიძე“.

გვ. 46. ლექსში „შუათანა“ ბოლო ორი სტრიქონი მოხაზულია და მიწერილი: „ეს ორი სტრიქონი ისევე უცნაურად თავდება, როგორც ილიას „ბაზალეთის ტბის“ უკანასკნელი ორი სტრიქონი: „და მის პირსა გაბადრულსა, მუდამ გაზაფხული არი“.

წიგნის ბოლო გვერდზე: „...აკაკის და ილიას შემდეგ რიტმა გაახალგაზრდავდა, გრიშაშვილმა დაიწყო ძიება ახალი რიტმის, ახალი სიტყვის, ახალი გამოთქმის, ავტორი კი ვერ გასცილებია აკაკის შაბლონურ რიტმებს: (გვ. 6) გულსა-სულსა, (გვ. 2) სულს – გულს, (გვ. 5) გულსა-სულსა, (გვ. 25) გულთან-სულთან. კრიტიკის გარეშე მდგარი რიტმები: ვერანანი-ნატამალნი (გვ. 4); განირინებ – განისვენებ (იქვე), ბავშვები – კარები (გვ. 10), ქვები – ზარები (იქვე), დაჭრილთა ხმა-გადადგმა (გვ. 13), კიბენი – სილამაზენი (გვ. 23), მეტად – მოსაგონებლად (გვ. 25). 1. არ არის ერთი რიტმა, რომელსაც ახალი ეწოდოს. ენა არ ვარგა. ლექსისთვის თაღლითობს გამოთქმები. პოეტური ხელი კი სჩანს ლექსში, მაგრამ ძალიან მკრთალად! ამირეჯიბი უფრო შინაური პოეტია – საალბომო მწერალი. 2. რამდენიმე ლექსში სჩანს ბარათაშვილის გავლენა – იხ. გვ. 4. 6. 3. შ. ამირეჯიბის ლექსებს ცალკ-ცალკე არა უშავდა რა, როცა გაზეთებში ვკითხულობდით. ერთად შეკრებილი შთაბეჭდილებას ანელებს, თუმცა მის ზოგიერთ ლექსებზე შეიძლება ითქვას: „არა უშავსო“. 4. შაბლონური შედარებები: თმა გიშერივით ჰქონდა (გვ. 20). 5. ჰეინეს სთარგმნის. ხან გავლენაც სჩანს მის წვრილ ლექსებში, მაგრამ არ ამბობს. ავტორი მეტად ელასტიურია. რასაც კითხულობს, ნაკითხი გადააქვს თავისად. 6. შალვა მაინც მიყვარს. კულტურული ადამიანია, ბუნებით პოეტი, მაგრამ ყანწელებმა გააფუჭეს“.

წიგნში დევს ჟურნალ „ერიდან“ ამოჭრილი შ. ამირეჯიბის ლექსი „შუანეთა“. მინაწერით: „1910 წ.“.

159. ამირეჯიბი ჭ. გზა [მოთხრობები]. თბ., 1962.

160. ამისულაშვილი შ. ბალადა სიყვარულისა [ბალადები და ლექსები]. თბ., 1953.
161. ამისულაშვილი შ. დარიალიდან ყარაყუმამდე. ლექსები. თბ., 1952.  
ფორზაცზე წარწერა: „პოეტური სიტყვის შესანიშნავ ოსტატს იოსებ გრიშაშვილს შ. ამისულაშვილისაგან. 1 VII 52. ქ. თბილისი“. იქვე: „მარიფათი, 38“.
162. ამისულაშვილი შ. თალარი. 1940-1947. თბ., 1947.  
კანზე: „შიგ რეცენზიაა ჩაკერებული. ი. გრ. 1947 წ., 10 X“. იქვე, გაზეთიდან ამოჭრილი დ. შამათავას რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერთ: „ახ. კომ.“ 15 ნოემბ. № 137. 1947“.
163. ამისულაშვილი შ. ლექსები. თბ., 1940.
- 164–165. ამისულაშვილი შ. ლექსები და ბალადები. თბ., 1955.
166. ამისულაშვილი შ. ყამირის ყვავილები. ლექსები. თბ., 1950.  
თავფურცელთან გაზ. „ინდ. ქუთაისის“ 1950 წ. 16. VII, № 159-დან ამოჭრილი ვ. გვეტაძის წერილი „ლექსების ახალი წიგნი“.
167. ამისულაშვილი შ. ცის გახსნა. ლექსები. თბ., 1962.  
ფორზაცზე წარწერა: „პოეტური სიტყვის საუკეთესო ოსტატს – იოსებ გრიშაშვილს სიყვარულით ვუძღვნი ამ პატარა წიგნს. შ. ამისულაშვილი. 16 IX 62. თბილისი“.
- 168–169. ანაზარდი. ძლევის ნაღარა. რჩეული ლექსები. ქუთაისი, 1926.
170. ანანიაშვილი ლ. გუშინ და დღეს. ლექსები. ტფ., 1933.  
ფორზაცზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს უღრმეს პატივისცემის აღსანიშნავად. 9 V 33 წ., ქ. ტფილისი. ავტორი“.
- გვ. 10. ლექსში „მე ისევ აქ ვარ“ ხაზგასმულია სართიმე სიტყვები „ფერდობი“, „ვერთობი“, არშიაზე: „ჩემი“.
- გვ. 21. ლექსში „ელიზბარ პოლუმორდვინოვს“ ხაზგასმულია სართიმე სიტყვები: „მიწა“. „დაგვიწვა“, არშიაზე: „ჩემი“.
171. ანანიაშვილი ლ. ლურჯი ფიქრები [ლექსები]. ტფ., 1928.  
თავფურცელზე წარწერა: „დიდად პატივცემულ მგოსანს იოსებ გრიშაშვილს – ავტორი. 29. IV. 28 წ.“
172. ანანიაშვილი ნ. და როსტომიშვილი დ. პროფესია. პიესა 4 მოქმ. თბ., 1957.
173. ანდრიანოვი ი. ლექსები უბის წიგნაკიდან. თბ., 1907.  
კანზე: „იხ. II გვ. ი. გრ.“
- 174–175. ანდრონიკაშვილი ქ. ვარდბულბულიანისა და ქალვაჟიანის განმარტება ანუ ქართული კლასიკური სიყვარული, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილისაგან მიჯნურთ-ბადედ წოდებული. წარსულთა დროთა სახსოვრად. თხუთმეტი წლის ნაშთი. თბ., 1885.  
გვ. 13. ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია „რამინი“ და მიწერილი: „კაცის სახელია“.
- გვ. 14. ხაზგასმულია „მუქაფად ღმერთმან“ და არშიაზე: „საპასუხოდ, სამაგიეროდ“.
- გვ. 15. მეორე სტრიქონთან მინაწერი: „გარეთ მთვარე კი იმზირებოდა დარცხვენით“. მეორე ცალის კანზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ანტონ ნატროშვილი“.
176. [ანდრონიკაშვილი ვ.] კონსტან ანდრონი. სიზმარი კოშკში. დრამატ. ესკიზი 1 მოქმ. ამონაჭერი კრ. „ჩანგი“, ტ. 2, 1916.
- 177–178. [ანდრონიკაშვილი ვ.] კონსტან ანდრონი. ყვავილი სიყვარულისა. დრამატ. ნაკვეთი 1 მოქმ. თბ., 1912.  
გვ. 1 წარწერა: „ი. გრიშაშვილს ავტორისაგან“.

წიგნში დევს 1912 წ. „სახალხო გაზეთიდან“ ამოჭრილი კონსტან ანდრონის ესკიზი „ეს იმ დროს მოხდა“.

179. ანდლულაძე ი. კალანდოზა. კომედია-ვოდევილი. ქუთაისი, 1881.

კანზე ბეჭედი: „Кавказский цензурный комитет. Д. У.“

თავფურცელზე და წიგნის ბოლოს ყოფილი პატრონის ბეჭედი: „პ. გუგუშვილი“.

180. ანდლულაძე ი. ნაწერი. ქუთაისი, 1887.

181–184. ანტონოვი ზ. თხზულებანი. თბ., 1876.

ყდის მეორე გვერდზე: „ეს წიგნი ეკუთვნის იოსებ გრიგორის-ძე მამულაშვილს. 18 მაისი. 1906 წ.“. იქვე: „იშვიათი წიგნია. სახლში არ გაიცემა“.

თავფურცელზე და ტექსტის სხვადასხვა ადგილას ბეჭედი: „Суфлиор Иосип Г. Мамулов“.

თავფურცელზე ავტორის გვართან: „(1820–1854). გორელი კათოლიკე იყო“. ზესათაურთან: „პ. უმიკაშვილის და გ. თუ-ის გამომცემლობა“; იქვე მიწერილია: „პირველი წიგნთაგანი, რომელიც წავიკითხე. ი. გრ.“.

სარჩევში „წინასიტყვაობას“ მიწერილი აქვს: „იხ. ბოლოსიტყვაობა“.

შმუცტიტულზე დაკრულია ქაღალდის ნაჭერი წარწერებით: „ანტონოვის თხზულებანის გამოცემას აპირებდნენ: 1. ნ. ავალიშვილი. 2. სერგი მესხი. 3. ნიკ. ყიფიანი. იხ. განცხადება „დროება“, 1871, № 6“.

გვ. 133. პიესის „განა ბიძიამ ცოლი შეერთო!“ სათაურთან: „პირველ გამოცემას აწერია, რომ ეს პიესა გადმოკეთებულია რუსულიდან (იხ. 1852 წ. გამოც.). ი. გრ.“ იქვე დაკრულია ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „რუსულიდან გაუკეთებია – „განა ბიძიამ ცოლი შეერთო“, კომედია ერთ მოქ. გადაკეთებული რუსულიდან ზ. ანტონოვისაგან. პირველი გამოცემის თავფურცელი“.

გვ. 237. პიესის „მზის დაბნელება საქართველოში“ სათაურთან დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი განცხადება, რომ კ. მარჯანიშვილი 1933 წ. 13 და 14 იანვარს, პიესის პირველ დადგმიდან 80 წლისთავის, აღსანიშნავად დგამს პრემიერას – ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ – მინაწერით: „კომ.“, 1933 წ., № 11“.

გვ. 313. პიესა „ქოროლი“. სათაურთან: „სიუჟეტი ევლახოვის მოთხრობიდან. იხ. ამ პიესის ბოლოში“.

გვ. 386. პიესის „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ მოქმედ პირთა შორის ხაზგასმულია „პარმენ იასამანიძე“ და მიწერილი: ? „პ. იოსელიანი?“

გვ. 442. დაკრულ ქაღალდზე მელნით: „ტივით მოგზაურობის“ ბოლოს მინაწერი: „იქნება რომელთამე წამკითხველთაგანს სათნოდ არ ამოუჩნდეს ეს პიესა. მაგრამ დაფასება ამ პიესის ღირსებისა შეუძლიანთ იმ პირთა, რომელთ სურვილისათვისცა არის დაწერილი, და აგრეთვე იმათაცა, რომელთაც ნამდვილ იციან სიუჟეტი ამ პიესისა. (იხ. 1854 წ., გამოც., გვ. 55)“.

გვ. 446. მინაწერი: „ეს თავების დაყოფა პ. უმიკაშვილმა მისცა ანტონოვს“. იქვე: „გარდაიც. 34 წლისა. აღ. თუთაევი წერს, რომ დაიბადა 20 თებერვალსო“ („თ. და ც.“ 1910. № 12)“.

წიგნის ბოლოს ანტონოვის ბიოგრაფიულ ცნობებში. კითხვის ნიშნით: „კათოლიკე იყო? ი. გრ.“

წიგნის ბოლო ფორზაცის პირველ გვერდზე: „აღალო თუთაევი წერს, რომ მირონ ამიროვმა მოაკვლევინა ანტონოვიო. 1. იხ. კიდევ ანტონოვზე აღალო თუთაევის წერილი („თეატრი და ცხოვრება“, № 12, 1910 წ.). აღალოს კიდევ აქვს წერილი „ივერიაში“, 1904 წ. 2. იხ. წერილი ანტონოვზე (ავტორი ა. ქ-ძე) „დროებაში“, 1876 წ. № 32, 33, 34. 3. გ. თუმანოვის წიგნში. „Восп. и характ.“ ტ. I, გვ. 162 და ტ. II, გვ. 71. 4. ი. კერესელიძის მოგონებანი, „ივერია“... „კვალი...“

ფორზაცის მეორე გვერდზე: „1. განა ბიძიამ ცოლი შეირთო და 2. ქორწილი ხევსურთა, ხელნაწერებად ინახება საქ. ცენტრ. არქივში. პირველის №-რია № 13, მეორე – დავით ერისთავის ქაღალდებში 1931. 10. X. ი. გრ.“; იქვე: „ზ. ანტონოვზე პ. უმიკაშვილის წერილი. „კვალი“, 1893 წ. № 9; „ივერია“, 1893 წ. № 17“.

185. ანტონოვი ზ. მე მინდა კნენა გავხდე. კომედია, გინა ტეატრის პიესა. ტფ., 1851.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკიდან. ი. გრ.“

186. ანტონოვი ზ. მზის დაბნელება საქართველოში. კომედია. თბ., 1852.

187–189. ანტონოვი ზ. მზის დაბნელება საქართველოში (ნამდვილი კომედია სამ მოქმედებად). თბ., 1955.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1956. 23 IV“.

190–191. არაბული ი. დგას გაზაფხული [ლექსები]. თბ., 1960.

192–193. არაგვისპირელი შ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1–2. თბ., 1947.

ტ. 1. ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 10 X“.

ტ. 2. ფორზაცზე: „უცნობი პიესა, 493. ი. გრ. 1947. 20 XI, გვ. 210“.

194–198. არაგვისპირელი შ. თხზულებანი. წიგ. 1–5. ტფ., 1900–1914.

ხუთივე წიგნი აკინძულია ერთად. ყუაზე ამოტვიფრულია: „შ. არაგვისპირელი. 1, 2, 3, 4, 5 წიგნი. ი. გ.“.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი. აკაკიმ ლექსი უძღვნა შ. არაგვისპირელს (იხ. „კვალი“, 1896 წ., № 18. გვ. 304)“.

ფორზაცის მეორე გვერდზე ჩამოწერილია პირველი ტომის სარჩევი.

წიგნის ბოლოს: „ბალდი ყოფილხარ“ დაბეჭდილია III წიგნშიც. სულ 53 მოთხრობაა“.

წიგნში დევს ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „შ. არაგვისპირელი. „მაცდური“ იხ. „ცხ. და ხელოვ.“ 1910, № 1. გვ. 14. „განი“. № 4. გვ. 3“.

199–203. არაგვისპირელი შ. [თხზულებანი]. მე-2 გამოც. წიგ. 1–4. ტფ., 1919.

წგ. 1. და 2. ორ ორ ცალადაა, წგ. 3- და 4 ერთადაა აკინძული.

204. არაგვისპირელი შ. რჩეული ნაწერები. თბ., 1927.

შმუცტიტულზე: „ამ წიგნში არ არის მოთავსებული შემდეგი მოთხრობები: 1. „...ბაღაშვილი“, იხ. აღმანახი „ძმური სიტყვა“. 1915 წ. გვ. 1. 2. „ჯადო“ (იხ. „ნაკადული“, 1905 წ. № V, იანვ.). 3. „ბედნიერი დედა“ („ჯეჯილი“, 1899 წ., დეკემბერი). 4. „...შვილო!“ (იხ. ჟურნალი „ლომისი“, 1922 წ., № 6–7). 5. „მოგონება“ („ჯეჯილი“, 1890, № V). 6. (იხ. „სავაჭრო გაზეთი“)“.

იქვე: „ამ წიგნზე რეცენზია ვ. ბახტაძისა იხ. „მნათობი“. 1927 წ. № 10, გვ. 317. შიომ რომ გაიგოს, რომ მის წიგნს ტ. ტაბიძის წინასიტყვაობა აქვს, საფლავში გადაბრუნდება, ისე ეზარებოდა ეს პიროვნება. ი. გრ.“

გვ. 462. ფანქრით: „შიო არაგვისპირელის პატარა მოთხრობა „ბედნიერი დედა“ – „ჯეჯილი“. 1899 წ. დეკემბ. და „სავაჭრო გაზეთი“.

ხაზგასმულია ადგილები წინასიტყვაობაში და გვ. 316–317 სქოლიოში.

წიგნში ქალაქის ნაჭრები მინაწერებით:

1. „1. შ. არაგვისპირელს წაუკითხავს მოთხრობა „ნინიკას მთაზე“ („ფასკ.“ – გაზეთის ფორმატისა, 1908 წ., № 3, გვ. 4); 2. „სამარცხვინო ბოდთან“ („მზე“. 1908. № 1)“.

2. „შ. არაგვისპირელი. „სამარცხვინო ბოდთან“ (ეტიუდი). (იხ. გაზ. „მზე“, 1908 წ., № 1); „გრძნეული ციხე“. („ფასკუნჯი“, 1909, № 7. 8)“.

3. „1. შ. არაგვისპირელი. „გულცივობამ“ (ეტიუდი). („კვალი“, 1898, № 42). არის 2. „ვსცხოვრობთ“ („კვალი“, 1898 წ., № 45 და 46). 3. „ხა, ხა, ხა, ხა! სულელი ვარ!“ („კვალი“. 1898 წ., № 47) – არის“.

4. „შ. არაგვისპირელის მოთხრობა „და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“ („გლეხი“, 1906 წ., № 1). არის რჩეულ ნაწერებში“.

205. არაგვისპირელი შ. გაბზარული გული. – ამონაჭრები ჟურნ. „ცისარტყელა“-დან. 1919 წ., № 1, 1920 წ., №№ 2. 5. 6. 11–13. 1921 წ., № 14.

შეკრულია ერთ წიგნად. კანზე: „შ. არაგვისპირელის ახალი მოთხრობა – გაბზარული გული. ი. გრ.“;

თავფურცელზე: „შ. არაგვისპირელი. – გაბზარული გული“. ჟურნ. „ცისარტყელადან“, 1919 წ., № 1; 1920 წ., № 2, 5, 6, 11, 12–13; 1921 წ., № 14. ი. გრ. 26 V 22 წ. გამოვიდა ცალკე წიგნად. სახელგამი. 1927“.

206. არაგვისპირელი შ. გაბზარული გული. თბ., 1927.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1927. 22 I“

კანის მესამე გვერდზე: „ჩაბარუხი, 138“.

207–208. არაგვისპირელი შ. გაბზარული გული. ქართული არაკი, თბ., 1947.

209. არაგვისპირელი შ. გაბზარული გული [რომანი]. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959, 25 II“.

210. არაგვისპირელი შ. და-ძმა. მოთხრობა. – ამონაჭერი ჟურნ. „მომამბე“-დან. 1894 წ., № 2.

ხელნაკეთ კანზე: „შ. არაგვისპირელი. და-ძმა. ი. გრ.“

211–212. არაგვისპირელი შ. მოთხრობები. ტფ., 1929.

213. არაგვისპირელი შ. მოთხრობები. თბ., 1948.

214–215. არაგვისპირელი შ. ორი მოთხრობა. ტფ., 1935.

216. არაგვისპირელი შ. საშინელება! ნამდვილი ამბავი. თბ., 1921.

217–221. არაგვისპირელი შ. შიო თავადი. ისტ. ლეგენდა სამ მოქმ. ტფ., 1905.

ფორზაცზე: „მინაწერი. ყული – მონა 38. ი. გრ.“

გვ. 8. უცნობი პირის მიერ მიწერილია შემსრულებელთა გვარები, არშიაზე მიწერილია: „როლები გაუნაწილებიათ. დაიდგა ერთხელ. ი. გრ.“.

მესამე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „მ. კავთელი“.

222. არაგვისპირელი შ. ჩემი პირველი სიყვარული (ეტიუდი). – ამონაჭერი ჟურნ. „მოამბე“-დან. 1903 წ., № 1.

223. არაგვიშვილი ო. ავტონომია. პოემა. თბ., 1920.

224–225. არდაზიანი ლ. მოთხრობები: სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. მორჩილი. ტფ., 1936.

ფორზაცზე: „1. ახალი თუ ახლა, გვ. 76; 2. მოხდება თუ მოხვდება, 102; 3. წარბი თუ წაბლა, 104; ნახირი თუ ნახშირი, 132; 5. შეცდომაა, 149; 6. შეცდომაა, აბზაცია საჭირო, 153; 7. ნოხური თუ ნუხური, 157; შეცდომა, გვ. 163 ქვევიდან მეხუთე პწკ.; 9. უგლიმი თუ უელიმი (?). 186“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. ჩემს ბიბლიოთეკ. წაღვერი. შეცდომა, 59; დროშკა, 162“.

გვ. 3. ხაზგასმულია: „ცოტა-მატანი“, არშიაზე: „მატანიკი“.

გვ. 99. მოხაზულია: „სახე“. მიწერილია: „სურათი“.

გვ. 104. ხაზგასმულია: „წარბის“, არშიაზე: „წაბლის“; ხაზგასმულია: „ყუი“, მიწერილი: „ყუვი“; ხაზგასმულია: „ბუდეშური“ და „ფეფები“, არშიაზე: „ნ. ბარათაშვილი“.

გვ. 107. ხაზგასმულია: „იული ცეზარს“ და მიწერილი: „იულის კეისარს“.

გვ. 122. მოხაზულია მე-7 აბზაცი, არშიაზე: „კოტე და ქეთო 2 მოქმ.“

გვ. 124. ხაზგასმულია „ლექსით“, მიწერილია: „ლექსი აქ სიტყვას ნიშნავს“.

გვ. 141. მე-5 აბზაცის არშიაზე: „ილია“.

გვ. 146. მეოთხე თავის არშიაზე: „აწერა ქართული კაბისა“.

გვ. 156. ხაზგასმულია: „ეფინა აგური“, მიწერილია „ფილაქანი“.

გვ. 157. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „ნოხური ფარდაგი“, მიწერილია: „თუ ნუხური“; პირველ აბზაცის არშიაზე: „სკამი ჩით გადაკრული“. მოხაზული მე-5–6 აბზაცი და არშიაზე: „გოგოს აწერა ილიასასა ჰგავს, კაციადამ.“

გვ. 162. ხაზგასმულია: „საწყალ გოჩუნას“, არშიაზე: „ავტორი იბრალებს“.

გვ. 163. ხაზგასმულია: „მოახლე ვარსკვლავისა“. მიწერილია: „სახელი ვარსკვლავისა“.

გვ. 166. ხაზგასმულია: „რომელსაც მკლავი ჩამოართვა“, არშიაზე, „ბადრუჩკი“.

გვ. 172. ხაზგასმულია: „იელივით“, არშიაზე: „შხამიანი ბალახი“.

გვ. 174. ხაზგასმულია: „კალონიის“, არშიაზე: „ნემეცების კალონია“; იქვე. მოხაზულია მე-6 აბზაცი, არშიაზე: „შედარება“.

გვ. 189. ხაზგასმულია: „ბლოტისას“, მიწერილია: „გვარია?“.

გვ. 191. არშიაზე: „ბაზაზის ორი ბიჭი“; იქვე, მე-6–9 აბზაცების არშიაზე: „პორნოგრ.“

გვ. 212. ხაზგასმულია: „ბარონის“, მიწერილია: „ბორნის?“.

გვ. 222. ხაზგასმულია: „ჩვენებური“, მიწერილი: „ქართველი“.

გვ. 236. ბიბლიოგრაფიაში ხაზგასმულია „ელბაქიმე“, მიწერილია: „იხ. ს. მგალობლიშვილის (?) მოგონება. მგონი ი. ბაქრამის ფსევდ.“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ლექსიკონისათვის. (იხ. ჩემი ქალაქ. ლექსიკა). ბაშხადონიმ. გვ. 102; ნიშნობა – პატარა ქორწინება, 102; იაქათალი, 103; საური, 107; ჭროლა, 117; ჩაქსული, 99, 111, 159; შილა (წითელი), 118; ადგილი. აქ ნაჭრის ფონს ნიშნავს. გვ. 120. ლილიფარობა, 123, 144, 164; გაატატანა, 123; ყავადანი, 124; შეირუშხა: მორუმხული სახე – მოღრ. რისხვის გამომხატ., შერიშხული (წარბები), 132; ინადი, 133;

თავის ნათქვამი, თვითსჯული, 134; ლიპლიპიტო, 110, 141; ბანოში, 103, 130; დამწვარი ყავის ფერი, 130; დარიჩოს ფერი, 146; წარბებში ჭაღარა ჯერ არ შეჰპაროდა; ქართული კაბის აწერა – 146; ყოში, 146; რატრატი, 147; ბუდალი; ჩაკიწკოწებული; ნიშანდობლივი, წოპწოპა; სასუნსლავი, 152; შიოს მარანი, 153; რომელიც არ ილეოდა, რამდენიც უნდა დაგელიათ; ფოჩებიანი გვირგვინი, 156; ნაშური, 157; დიმიკიტონი, 157; დაჩირქიანებული, გვ. 157; ჭუჭანი, ექილვებოდა (ქილვა?) 162; ჟანგაროს ფერი, 163; ფანცი, მიმრო, 165; მოვი (ჭრელი), 166, 171; მკლავი ჩამოართვა („პადრუჩვი“) გაუკეთა, 166; ტარაცუობს, ტირაცუობს? 169; ფოსტის ცხენი, 174; სუზანი, 190; ეთანაღრება, 196; ნატისუსალი, 201; გარეგანი, 204, 208, 222; თითლიბაზი, გვ. 210; ბრანგული, ბრანგვი, 217; ქილიკი, გვ. 230; ყაჩაღანა. ქალზე ითქ. სარჩევი: 1. სოლომონი, 3. 2. მორჩილი, 97“.

ყდის მესამე გვერდზე: „ეუბნებოდეს „მიყვარხარ“ (ლექსი), 72; შტაბის საათი, 203; 2. ბარონის ქ. გვ. 212“.

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი: 1. გ. მებუკის რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „კომ. განათლება“, 1936, № 41, 30 X“. 2. ქ. რ.-ს ბიბლიოგრაფია: „ლ. არდაზიანი. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. მორჩილი“. მინაწერით: „კომ.“. სექტ., 12“.

226–227. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. რომანი. თბ., 1878.

228–229. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. რომანი. მე-3 გამოც. ახალ-სენაკი, 1895.

თავფურცელი აღდგენილია ი. გრიშაშვილის მიერ.

მეორე ცალის ყდაზე ფანქრით: „III გამოც. ი. გრ.“

230–233. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. რომანი თფილისის ცხოვრებიდან. მე-4 გამოც. თფ., 1911.

ჩასმულია საგანგებო ყდაში. ყუაზე ამოტვიფრულია: „არდაზიანი. ი. გრ.“

ყდის მეორე გვერდზე დაკრულ ქაღალდის ნაჭერზე: „ლავრენტი არდაზიანი – გარდაიცვალა 1870 1 იანვარს. გარდაიცვალა 52 წლისა. (დაბადებული 1818 წ.)? 1. „ცისკარში“ წერდა ბიძია თონიკეს ფსევდონიმითაც. ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს. იყო ოლქის სასამართლოს მდივანი („დროება“, 187 წ., იანვარი), („მნათობი“, 1869, დეკ.)“.

ფორზაცზე: „ლ. არდაზიანის ფსევდონიმი იყო (?) გ. ბარათაშვილი (იხ. აკაკის მოგონება). არდაზიანს აქვს კიდევ რომანი: „მორჩილი“ (იხ. „ცისკარი“, 1863 წ., № 4, 5, 6). ნათარგმნი: „ჰამლეტ“ (იხ. „ცისკარი“, 1858, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო“). იქვე: „წამდაწამ და წამდაუწუმ, გვ. 2. ჭადრაკი, გვ. 66. სადღეგრძელო, გვ. 29“.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ეს წიგნი არ არის თბილისში. ი. გრ.“

ყდის მე-3 გვერდზე: „გამოსარკვევია? 1. ბაფა? (გვ. 20). 2. ... 32. 3. ... 36. 4. ... 54. 5. ...59. 6. ...84, 89, 90, 98, 101, 109, 113, 115, 119. 168“. აღნიშნულ გვერდებზე ხაზგასმულია სიტყვები და ადგილები, მიწერილია კითხვის ნიშნები და შენიშვნები.

გვ. VII. ხაზგასმულია: „პირველ ივნისს 2-ს საათზე გარდაიცვალა“. არშიებზე: „იანვარს (შეცდომითაა დაბეჭდილი), იანვარს 1870 წ. (იხ. დროება, 1870 წ., № 1, 8 იანვარი)“.

გვ. IX. ს. ჭრელაშვილის კრიტიკულ წერილს „ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი“ მიწერილი აქვს: „პირველად დაიბეჭდა „იმედი“. 1881 წ., II, III–IV“.

გვ. LXXII. ხაზგასმულია: „ბიძია თონიკესაგან“. არშიაზე: „ფსევდონიმი იყო ლ. არდაზიანისა (ი. გრ.)“.

წიგნში დევს საგაზეთო ცნობა მარჯანიშვილის სახ. თეატრში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ პრემიერის შესახებ, მინაწერით: „კომ.“, 1940, 6 ნოემბ.“.

აქვეა პროგრამა მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრის (1940–41 წ. სეზონი) დადგმისა: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მინაწერით: „პირველად 8 ოქტ. 1940“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „დუბ. თბილისის ბიბ-ში არ არის. არ მინდა. ი. გრ.“.

ხაზგასმულია ადგილები, გასწორებულია კორექტურული შეცდომები, როგორც წინასიტყვაობებში, ისე ტექსტში.

მეოთხე ცალის თავფურცელზე ფანქრით: „ბოლოში აკლია 2 ფურცელი, თბილისში არ არის. დუბლ. ი. გრ.“.

234. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. მე-5 გამოც. ტფ., 1919.

235–236. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. მე-6 გამოც. ტფ., 1927.

კანზე: „აქ ბევრი შეცდომებია. გარდაიც. 1870 წ. 1 იანვარს“.

თავფურცელზე ხაზგასმულია: „მეექვსე გამოცემა“ და გასწვრივ დასმულია კითხვის ნიშანი.

გვ. VI. ხაზგასმულია: ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. (№№ 1. 2) მან [ლავრენტი არდაზიანმა] მოათავსა შექსპირის „ჰამლეტის“ თარგმანი“. არშიაზე კითხვის ნიშანი და მიწერილია: „შეცდომაა. „ცისკარი“, 1858, № 5, 6, 7, 8. ჰამლეტი აქ დაიბეჭდა“.

გვ. VII. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია: „არდაზიანი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 1870 წელს“, მიწერილია: „1 იანვარს“. სქოლიოში ხაზგასმულია: „ჩვენ ბევრი ვეძებეთ, მაგრამ გ. ბარათაშვილის მიერ დასტამბული „ცისკარში“ ვერაფერი ვნახეთ“, ქვეშ მიწერილია: „(იხ. ამ ნომერშია 1861 წ. № ივნისისა)“. არშიაზე: „ბიძია თონიკე“ (ფსევდ. არდაზიანისა)“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ი. გრ. (შ. აფხაიძის ბოლოსიტყვაობით)“.

237–240. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. ტფ., 1935.

241. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. ტფ., 1937.

ყდასა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1938; 21. III“.

ფორზაცის პირველ გვერდზე: „არა სწორი ახსნა: 1. ბოხჩა, გვ. 5 (რატომ მართო ფართალი? 2. ლეჩაქი, 6. 3. კარტინკა, 10. 4. ბაფა – ნიშნავს ნდობას, 15. 5. მოუკოდავი (კოდი?), 16. 6. აბრუ, 24. 7. ახალუხი, 33. 8. ფისკალი ანუ შაქარი, გვ. 35. 9. სირაჯობა, სიღნაღი, 37. 10. ბრანგული?, 38. 9. ნუნუა და ა. ჭ-ძე, 75. 10. ვანქის უბანი, 81“;

გვ. 10. სქოლიოში სიტყვა: „კარტინკა“ ახსნილია: „სურათი“ და მიწერილია: „(აქ იგულისხმება სილამაზე)“.

გვ. 15. სქოლიოში მოხაზულია ახსნა სიტყვისა: „ბაფა“, მიწერილია: „ბაფა – აქ კორექტურული შეცდომა ხომ არ არის?“

გვ. 33. სქოლიოში მოხაზულია სიტყვა „ახალუხის“ განმარტება: „გრძელი“. იქვე მიწერილია, „მოკლე“.

გვ. 37. სქოლიოში სიტყვა „სირაჯობა“ განმარტებულია: „ღვინით ყიდვა-გაყიდვა“, მიწერილია „ბითუმად“.

გვ. 75. სქოლიოში მიწერილია: „ალ. ჭ-ის ლექსია“.

242. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. თბ., 1956.



243. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. ამონაჭერი სახელმძღვანელოდან, გვ. 81–200.

244. არეშიძე ნ. ოჯახის იმედი [პიესა]. 3 მოქმ. და 6 სურათ. თბ., 1953.

245. ართმელაძე ტ. ალათი. მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან (მოთხრობების მე-2 წიგნი). ტფ., 1920, კანზე სათაური: შუამავალი ალათი.

246. ართმელაძე ტ. მარკოზა. მოთხრობა (მოთხრობების 1-ლი წიგნი). ტფ., 1920.

247–248. აროსია ი. ნაპერწკლები [ლექსები]. თბ., 1957.

კანის მეორე გვერდზე წარწერა: „ბავშვობიდან დღემდე ჯერ დასანახად საოცნებო, შეხვედრისა და გაცნობის დღიდან საამაყოს და სანუკვარ პოეტს, მისაბამს და სამაგალითოს აკადემიკოსს ძვირფას იოსებ (სოსო) გრიშაშვილს დიდი სიყვარულით და პატივისცემით ავტორი. ილ. აროსია. 1957. 20 დეკემბერი“.

249–250. არღუნელი ს. უკვდავი სახელი [ლექსები]. თბ., 1959.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, ბრწყინვალე პოეტს, კეთილ ადამიანს, ახალგაზრდა მწერლების მზრუნველ მოამაგეს. ღრმა პატივისცემით ს. არღუნელი. 23. XII. 53, თბილისი“.

251–252. არჩილი. თხზულებათა სრული კრებული 2 ტომად. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ-ით. თბ., 1936–1937. ტ. 1. 1936.

შმუცტიტულზე წარწერა: „ძვირფას სოსო გრიშაშვილს აღ. ბარამიძე. 23-V-36“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. რეცენზია: „არჩილის თხზულებები“, მინაწერით: „მუშა“, 1936, № 17, 21 იანვ.“ 2. ტ. რ-ს რეცენზია მინაწერით: „კომ.“, 1936. № 165“.

253–254. ტ. 2. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. 1937.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას სოსოს, აღ. ბარამიძე. 8.IV.38“.

კანის მე-4 გვერდზე: „ნახლი, 197. მევირე, XXI. ბრატი, XVI“.

255–261. არჩილი. არჩილიანი ანუ მეფე თეიმურაზის პირველის ცხოვრება. ისტ. პოემა და სხვა ლექსები. ქუთაისი, 1888.

შემენილია ბუკინისტურ მაღაზიაში. ყდაზე დაკრულია ქაღალდის ნაჭერი წარწერით:

„არჩილიანი“, 1888 (გასაყიდათ გამოვიდა 1890). ი. გრ.

ყდის მე-2 გვერდზე ფანქრით: „კვერნაკი, გვ. 124; ბულბულის ყეფა, გვ. 5; ზურნა, გვ. 131; გ. ჭ-ძე, 124 (ჭავჭავაძეების წინაპარი)“.

შმუცტიტულზე: „არჩილიანი“. გამომცემელი ლავრენტი მაჩიტაძე. I. (იყიდება „არჩილიანი“ – გამოცემა მაჩიტაძე-დიმელისა“. (იხ. „ივერია“. 1891 წ., № 38, გვ. 4. განცხ.). II. „არჩილიანი“ (აცხადებს – გამოცემული ლავრენტი დიმელის). ეს წიგნი დაიბეჭდა ორი წლით ადრე და ეხლა გამოვიდა გასაყიდათ. (იხ. „ივერ.“, 1890, № 212).

ქვემოთ წერია: „1888 წ. (პლატონ იოსელიანმა გამოსცა 1853 წ.). ი. გრ.“.

გვ. 6. ხაზგასმულია: „ფარსადანის“. მიწერილია: „ციციშვი.“ იქვე ხაზგასმულია: „სამისა“, მიწერილია: „სამიანი“. ხაზგასმულია: „ცხვირ მოჭრით თვალცრემლიანი“, მიწერილია: „პაჭუა“.

გვ. 7 და 8. აღდგენილია ი. გრ. მიერ, მისი ხელითაა გადაწერილი და ჩაკრული.

მეორე ცალი უკანოა. თავფურცელი აღდგენილია ი. გრ. მიერ.

თავფურცლის მე-2 გვერდზე მინაწერია: „Дозволено цензурою, Тифлис, 29 января, 1888 г.“

- გვ. გვ. 75, 105, 107. ბეჭედი: „Тифлисская публичная библиотека имени Пушкина.“  
 მეოთხე ცალი. აკინძულია ი. გრ. მიერ.  
 კანზე: „დუბლ. ი. გრ.“.
- გვ. 9. ტექსტის წინ „ამ წიგნს აკლია გამომცემლის წინათქმა. ი. გრ. 1942. 3/XI“.
- 262–264. არჩილი. ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირუჭლისა. აღწერილი ლექსად არჩილისაგან მეფისა. [პლატონ იოსელიანის კომენტარებით და შენიშვნებით]. თფ., 1853.
- ხელნაკეთ კანზე: „არჩილიანი – ი. გრ.“
- კანის მე-2 გვერდზე: „ძლივს აღვადგინე – ი. გრ. გვ. 1–8, 71–76“. ი. გრ. მიერ აღდგენილია თავფურცელი, შმუცტიტული და დასახელებული გვერდები.
- წიგნის ბოლო მინაწერები: „ნუზლი, 30; ბულბულთ ყეფა, გვ. 24, 30, შუამთა, გვ. 34; ელეონორა დუზეს მშვენიერ ხელებს. გარსევან ჭ-ძე, 139“.
265. ასათიანი გ. მზე სიცოცხლეა [მოთხრობა]. ტ., 1930.
- 266–267. ასათიანი გ. მზე სიცოცხლეა [მოთხრობა]. თბ., 1937.
268. ასათიანი გ. სოფლის ხავსი. პიესა ორ მოქმ. ერთი ინტერმედიით. თფ., 1927.
- 269–271. ასათიანი ლ. ადრე წასული კაცის ფიქრები. [ლექსები]. თბ., 1958.
- თავფურცელზე წარწერა: „პოეზიის დიდოსტატს – სოსო გრიშაშვილს ანიკო ვაჩნაძისაგან. 10. XII. 58 წ.“.
- კანზე: „პოეტის მეუღლისაგან. ი. გრ.“ მეორე ცალის გვ. 69. ლექსში „უცნობი პოეტის რვეულიდან“ ხაზგასმულია სტრიქონი: „ადრე წასული კაცის ფიქრები“.
272. ასათიანი ლ. ლექსები. თბ., 1940.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1942 წ./I“.
- 273–276. ასათიანი ლ. ლექსები. თბ., 1944.
- კანის ბოლო გვერდზე: „ი. გრ. 1945. 25. III“
- 277–278. ასათიანი ლ. რჩეული ლექსები. თბ., 1947.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 10/VII“.
279. ასათიანი ლ. რჩეული ლექსები და პოემები. თბ., 1956.
280. ასათიანი ლ. წინაპრები. [ლექსები]. თბ., 1942.
- თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ ქართველ პოეტს – ირაკლი აბაშიძეს პატივისცემით, მეგობრობით, ლადო ასათიანი. 1943 წ. იანვარი. ტფილისი“.
- გვ. 4. ლექსში „კრწანისის ყაყაჩოები“ ხაზგასმულია სტრიქონი: „ჰეი, თქვენ, არაგველებო. გაუმაძღარნო ომითა!... არშიაზე: „ეს სტრიქონი ხალხურია (იხ. ა. ყაზბეგის პატარა წიგნი). ი. გრ.“
281. ასათიანი ლ. მიწა. მგზავრის წერილები. თბ., 1935. წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი ა. ს.-ს რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „კომ.“ 1936, 4 V“.
282. ასათიანი ლ. შავი ქვის ამბავი. თბ., 1934.
283. ასათიანი ლ. ცეცხლი, ფოლადი, ადამიანი. ნარკვევი. თბ., 1934.
- თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს მეგობრობით. ავტორი. 3.VI.34“.
284. ასათიანი მამია. ხუთი ნოველა. ქუთაისი, 1936.
- თავფურცლის მეორე გვერდზე წარწერა: „ამხ. გიგლა მებუკეს. ავტორი“.
285. ასათიანი მიხ. მტკვრის ბაასი რიონთან. (პოემა). თფ., 1881.

- 286–287. ასლამაზაშვილი ნ. მოთხრობები. წ. 1. თბ., 1928.  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1928, 20/III“.
288. აფხაზი ი. განთიადი. ეპიზოდი საქართველოს წარსულიდან. 4 მოქმ. და 5 სურ. ამონაჭერი ჟურნალიდან „მომბე“, 1904. № 5.
289. აფხაიძე ა. ნამდვილ გზაზე. პიესა 3 მოქმ. თბ., 1957.
290. აფხაიძე ა. ნიშანი ყოფაქცევაში. პიესა 4 მოქმ. 8 სურ. თბ., 1953.
- 291–292. აფხაიძე შ. გაზაფხულის მელოდიები. 1956–1957. [ლექსები]. თბ., 1957.  
ფორზაცზე წარწერა: „სიჭაბუკის, სიყვარულის, სიცოცხლის პოეტს – ძვირფას სოსოს შ. აფხაიძე. 12. II. 58“.
293. აფხაიძე შ. ლექსები. თბ., 1941.  
ფორზაცზე წარწერა: „პირველ და დაუვიწყარ სიყვარულს პოეზიაში – სოსოს შ. აფხაიძე. 25/III 41 წ.“.
- წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი ერ. ასტვაცატუროვის რეცენზია „შალვა აფხაიძის ლექსები“, მინაწერით: „ლიტ. საქ.“ 1941, № 22“.
294. აფხაიძე შ. ლექსები. თბ., 1945.  
კანზე: „ავტორისაგან. ი. გრ. 1945. 12/VIII“.
- თავფურცელზე წარწერა: „ადამიანის დიდი სიყვარულის დაუძინებელ მომღერალს, ძვირფას სოსოს. შალვა აფხაიძე. 6. VIII. 45 წ.“
- თავფურცელზე: „ჩემი ტრიოლეტის მიზაძვანა. გვ. 30“.
- გვ. 15. ლექსში: „მე აქ ვდარაჯობ შენ წმინდა ნამუსს“ ხაზგასმულია რითმები: „მიყვარს“... „ამიყვანს“. მიწერილია: „ჩემიდან, „როგორც მაკბეტი“.
- გვ. 30. ლექსს „ტრიოლეტები“ მიწერილი აქვს: „ი. გრიშაშვილს“. არშიაზე: „ჩემი ტრიოლეტის მიზაძვანა-ჩემსას დაუმატე 1 სტრიქონი“.
- გვ. 51. ლექსის „მეფრინა. შემომეფრინა“ მიძღვნაში ინიციალები „ნ. თ-ს“ გახსნილია: „ნინო თოიძეს. ცოლია ავტორისა“.
- კანის მე-4 გვერდზე: „ამ ლექსებს თარიღები უნდა“.
295. აფხაიძე შ. ლექსები. თბ., 1949.  
ფორზაცთან გაზეთიდან ამოჭრილი ლევან ასათიანის რეცენზია „Сборник стихов Шалвы Апхаидзе“, მინაწერით „Заря“, 1950, 29 იანვ.“
296. აფხაიძე შ. ლექსები. თბ., 1954.  
ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას სოსოს, რომლის პოეზიამაც ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მომხიბლა, შემყვარა ქუთაისის ცა, ოცნება, სამშობლო და სიცოცხლის სილამაზე. ნიშნად ღრმა მადლობისა და პატივისცემის. შალვა აფხაიძე. 14. I. 55 წ.“.
- ქვევით მინაწერი: „გამოვიდა 1954, 20/XII. ი. გრ.“
- 297–298. აქუბარდია ე. განთიადისას. მოთხრობები. სოხუმი, 1961.  
თავფურცელზე წარწერა: „ქართული ლექსის ჯავარს – იოსებ გრიშაშვილს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. ავტორი 10. I. 62 წ., ქ. სოხუმი“.
299. აყვავებული უკრაინის და მზიური საქართველოს ბავშვთა წერილი ამხანაგ სტალინს [ლექსად შეადგინეს: ლ. ასათიანმა, გ. კალანდაძემ და რ. მარგიანმა], თბ., 1940.
- 300–301. აწყურელი დ. დასჯილი. დრამა 2 მოქმ. თბ., 1902.
302. აწყურელი დ. დასჯილი. დრამა 2 მოქმ. ოზურგეთი, 1914.
- 303–304. აწყურელი დ. ორი მშვიერი. ვოდვეილი 1 მოქმ. გადმოკეთებული. ტფ., 1903.

კანი 1912 წლის გამოცემისა.  
წიგნის ყუა საკერავი მანქანით არის გაკერილი.  
თავფურცელზე, გვ. 4 და გვ. 16 ბეჭედი: „Суфлиор Иосип Г. Мамулов“.  
კანზე: „ი. გრ. პირველად დაიბეჭდა 1903 წელს“.  
გვ. 2. მომქმედ პირებს უცნობი პირის ხელით მიწერილი აქვს:  
დანტენს – „Гришаш.“  
ფრანსუას – „Гайоз...“  
კაკულის – „Гулая.“  
მეორე ცალის თავფურცელზე: „ეს წიგნი თბილისში მხოლოდ საჯაროშია. ი. გრ.“.  
305. აწყურელი დ. ორი მშვიერი. ვოდვეილი 1 მოქმ. გადმოკეთებული. ტფ., 1912.  
306–308. აწყურელი დ. ორი მშვიერი. ვოდვეილი 1 მოქმ. ტფ., 1927.  
309. აწყურელი დ. ორი მშვიერი. ვოდვეილი 1 მოქმ. გადმოკეთებული. ბათომი, 1928.  
310. აწყურელი დ. საცოლე ერთის საათით. ვოდვეილი 1 მოქმ. რუს. გადმოკეთებული. თბ., 1902.  
311. ახალი ცხოვრება. პიესა ექვს სურათად. ტფ., 1924.  
312–313. ახალციხელი ვ. ამანათი. ხალხური თქმულება. ტფ., 1933.  
კანის ბოლო გვერდზე: „ვიყიდე უნივერსიტეტის ბუკინისტის... 1938. 26 V“.  
314–316. ახვლედიანი დ. სევდის ჰანგები [ლექსები]. თბ., 1912.  
თავფურცელზე წარწერა: „ნიშნად პატივისცემისა საყვარელ მგოსანს გრიშაშვილს ავტორისაგან“. იქვე: „წინათქმაში წიკიპურტი ჩემზე, III, გარდაიცვ. 1941 წ. ი. გრ.“.  
მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „პატივისცემით ი. გრიშაშვილს, გ. მსხილაძე. 16. VI. 55 წელი“.  
ფორზაცზე და გვ. 17. ბეჭედი: „ქუთაისის მეორე ცხრაწლიანი შკოლის ბიბლიოთეკა“.  
317–319. [ახვლედიანი] ს. თავისუფლების მსხვერპლი. დრ. 5 მოქმ. თანამედროვე ცხოვრებიდან. ტფ., 1920.  
კანზე: „საშა ახვლედიანია“. პორტრეტის ქვემოთ: „ამ ჟამად რუსთ. თეატრის მკერავია. ი. გრ.“.  
320. ახვლედიანი ს. ლექსები. თბ., 1956.  
კანზე: „რეცენზიით ბოლოში“.  
წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი ე. ჯიშკარიანის წერილი „ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნი“, მინაწერით: „ჭიათურის მადაროელი“, 1956 წ., № 104, 31/VIII“.  
321–324. ახნაზაროვი ა. ლექსები და სცენები. კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით. კრებული პირველი. ტფ., 1912.  
თავფურცელზე: „ი. გრ. ეს წიგნი დედიჩემის წიგნებიდანაა“. იქვე: „(გარდაიცვ. 1943 წლ., 12 სექტ.)“.  
წიგნის ბოლო ფურცელზე: „დედას ი. გრ.“.  
გვ. 15. ლექს „უნგრეთის მამულიშვილი“ მიწერილი აქვს: „ლუდვიგ კოშუტი“.  
გვ. 47. ხაზგასმულია: „გაათახსირა“ და მიწერილია: „გააჩანაგა“.  
მეორე ცალის ყდის მეორე გვერდზე გაზეთის ამონაჭერი: ჩიორა. „ცოლი და ძროხა“. „ნიანგი“. 1933, № 22. ფსევდონიმს „ჩიორა“ მიწერილი აქვს: „ა. ახნაზაროვი“.  
წიგნი საგანგებოდ ჩასმულია ყდაში.  
ყუაზე ამოტვიფრულია: „ახნაზაროვი. ლექსები და სცენები. გრიშაშვილი“.

- თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს სახსოვრად. ავტორისაგან. 11/IV, 912 წ.“.
- ფორზაცზე: „ა. ახნაზაროვი დაიბადა 1866 წ. ოქტ., გარდაიცვალა 1942 წ. 28 მარტს. ამ წიგნზე რეცენზია ი. გომართელისა მოთავსებულია „თემში“, 1912, № 66“. იქვე: „უეჭველია“, იხ. 79.
- ფორზაცის მეორე გვერდზე: „იხ. ახნაზაროვის ლექსი ქართულ „ხათაბალაში“ – „თურმე ღაღოს“. იხ. აგრეთვე „ლიმონა“ „პიონერში“ თუ „ოქტ-ში“, 1936 წ.“.
- შენიშვნაში „გამომცემლისაგან“, ხაზგასმულია: „მისი პირველი მოთხრობა „დარისპან კაკაბაძე“ დაიბეჭდა 1884 წ. ჟურნ. „ნობათში“... მიწერილია: „ნობათი“, 1885 წ. № 3, ი. გრ.“.
- გვ. II ხაზგასმულია. „ამ ჟამად 45 წლისაა“. მიწერილია: „53 წლისაა“.
- გვ. 5. ლექსს „არა არ მინდა“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მთლიანად აულია ვინმე კ. ზურაბიშვილს და დაუბეჭდია „კვალში“ (1896 წ., № 38, გვ. 674), ამის გამო იხ. ა. ახნაზაროვის წერილი („კვალი“, 1896, გვ. 704). ი. გრ.“
- გვ. 11. ლექსს „ბუნების გლოვა“ მიწერილი აქვს: „ეს აქო მ. ხელთუფლიშვილმა“.
- გვ. 59. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ფსევდ. „ორანი“. იხ. („ივერია“, 1891 წ., № 166). ი. გრ.“.
- გვ. 79. ლექსთან „უეჭველია“ მიწერილია: P. S. სარჩევში, სადაც აღნიშნულია (\*) „აზრი აღებულიაო“ ამ ლექსზე არაფერია თქმული. მაშინ, როდესაც ეს ლექსი, გარდა სამი კუპლეტისა, თარგმანია. ლექსი სასიმღეროა, ერქვა რუსულად: „Надо полагать“ და ეკუთვნის პოეტს კლასიკ-ს (Пет. лис.). მუსიკა ნ. არტემიევისა. მაქვს ნოტი. დაბეჭდილი აგრეთვე ამ ლექსის რუსული ტექსტი იხ. „Дивертисмент“ (კრებული), 1905 წ., შედგენილი ნ. ვ. კორეცისაგან. გვ. 178“. ლექსის პირველ სტროფებს მიწერილი აქვს: „თარგმ.“, ხოლო უკანასკნელი სამი სტროფი მოხაზულია და მიწერილი: „ეს ახნაზაროვისაა საკუთრად. ი. გრ.“
- გვ. 82. ლექსს „უმანკო ქალი“ მიწერილი აქვს: „იხ. „ტარტაროზი“, № 179, 1928 წ.“.
- გვ. 85. ხაზგასმულია ავტორი ლექსისა „ღამის სტუმარი“ გუსტავ ნადო და მიწერილია: „გუსტავ ნადოს მგონი დავ. ერისთავი სთარგმნიდა. იხ. „დროება“, 1875“.
- გვ. 87. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ივერია“, 1899, № 56. ი. გრ.“
- გვ. 91. ლექსს „იდილია“ მიწერილი აქვს: „თარგმანია. იხ. „ტარტაროზი“. № 179, 1928 წ.“ აქვე, ლექსის ბოლოს მიწერილია: „ამ ლექსს რუსულად ჰქვია „Комплимент“ და ეკუთვნის Еж-ს. (იხ. „Живая струна“ 1898 წლის გამოცემა, გვ. 291). მე მაქვს ეს წიგნი“.
- გვ. 93. ლექსის ბოლოს: („თეატრი“, 1886 წ., № 39), ქვეშ აწერია „ონ-ანი“. იქვე დაწერის თარიღს დასმული აქვს კითხვის ნიშანი და მიწერილია: „დაწერის თარიღი 1886, 21 სექტ.“
- გვ. 94. ლექსის „კინტოს წერილი“ ბოლოს: „იხ. გაგრძელება „თეატრი“, 1887 წ.“
- გვ. 99. ტექსტის ბოლოს დაკრულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ბაზაზხანის პოლიტიკოსები“ ორანისა („ივერია“, 1888 წ., № 34)“. აქვე მიწერილია: „ფამარელას ელდა“ ორანისა, „ივერია“, 1892 წ., № 253“.
- გვ. 111. სცენის „კინტოს ახალ-წელიწადი“ ბოლოს: „ამავე სათაურით „ივერიაში“ კვლავ აქვს ასეთი სცენა. იხ. 1894 წლის „ივერია“, № 1“.
- გვ. გვ. 114–115 შორის ჩართულ ფურცელზე დაკრულია ა. ახნაზაროვის ლექსი „საბრალო ქურდი“ მინაწერით: „საქ.“, № 275, 1917 წ.“

გვ. 118. მონოლოგის „რად მიყვარხარ?“ ბოლოს: „ივერია“, 1891 წ., № 1. ეძღვნება ე. ტ-ისას“.

გვ. 119. სათაურს „ოჰანეზას ნადირობა“ მიწერილი აქვს: „პირველად დაიბეჭდა „ივერია“-ში, 1892 წ., № 1. ი. გრ.“.

გვ. გვ. 124–125 შუა ჩართულ ფურცელზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ა. ახნაზაროვის „ვეხიბ-ფაშას სიმღერა“.

გვ. 144. მოხაზულია ტექსტის „რა მაჭმუვენებს?“ პირველი აბზაცი, არშიაზე: „ვისრამიანი“, გვ. 224“.

გვ. 158. სათაურს „განმქიქებლის თავგადასავალი“ მიწერილი აქვს: „პირველად დაიბეჭდა „ივ.“, 1896 წ., № 4“.

გვ. 164. ტექსტში მოხაზულია: „აქა ჰბეჭდამენ?“. არშიაზე მიწერილია: „ივერიაში“ ეს ადგილი ასეა ჩასწორებული მეღნით: „აქ აკეთებენ?“ (1896, № 4). ი. გრ.“

გვ. 169. „განმქიქებლის თავ-გადასავალი“-ს ბოლოს მიწერილია დაწერის თარიღი „1896 წ.“

გვ. 294. სათაურს „დარისპან კაკაბაძე“-ს მიწერილი აქვს: „ეს დაიბეჭდა „ნობათში“ ა. ა.-ს ფსევდ. გაარჩიეს „ივერიაში“, 1886 წ., № 29“.

სარჩევში ხაზგასმულია ზოგიერთი სათაური და მიწერილია შენიშვნები.

წიგნის ბოლოს, ფორზაცზე: „ფასი 60 კაპ. ი. გრ.“

წიგნში დევს კონვერტი გაზეთის ამონაჭრებით: ა. ახნაზაროვის ლექსები, ნეკროლოგები და სამგლოვიარო განცხადება. აქვე მოთავსებულია ქალაქის 8 ნაჭერი შენიშვნებით ახნაზაროვის ნაწარმოებებზე:

1. „ა. ახნაზაროვის (ჩიორას) ლექსი („თ. და ც.“. 1924, № 15, გვ. 8)“.

2. „განმქიქებლის თავგადასავალი“ („ივერია“, 1896, № 4). ხელწერა ახ... კორექტ. გასწ. აქ აკეთებთ აქა ბეჭდავთ“.

3. „ა. ახნაზაროვზე ივ. კავთელის (ი. ჯაჯანაშვილის) აზრი: „ჯერ ცოდნა შეიძინოს და მერე სწეროსო“ (იხ. „თეატრი“. 1886 წ., № 4. გვ. 33)“.

4-5. „სიტყვები კლასიკისა (Пет. лис.) მუსიკა Н. არტიემიევის“.

„Ах, какой прелестный  
Миленький ребенок!  
И какой толковый  
Чуть ли не с пеленок  
Начинает мамку  
Ножками брыкать.  
Будет баловник он,  
Надо полагать.  
(«Надо полагать»)  
Хвастает мамаша  
Умною головкой,  
А ребенок милый  
С нежною головкой,  
На карман папаши

Начал посягать.  
Будет править банком  
Надо полагать».

6. გუსტავ ნადოს „ღამის სტუმარი“, თარგ. ა. ახნაზ. „ივერია“, 1899, № 56“.
7. „შენ ჩემთან ივლი ვიდრე ღმერთად არ გადიქმნები,  
ვიდრე დაკარგულ უკვდავებას არ ჰპოვებს რული,  
ვიდრე ძლეული სიცოცხლე კვლავ არ აჰყვავდება,  
ძიების გზაზე დამარხული დამიწებული“.
- ა. შანშიაშვილმა – მომცა, გიპოვნე „საქ. „დამატებაში“. მგონი ეს ჩემი ლექსიაო. 1934 25/VI“.
8. „ა. ახნაზაროვის ლექსი. „იხ. „სააგიტაციო ფურცელი“ („კომ.“ გამოცემა) № 10, 1941“.
325. ახოზაძე ლ. ლექსები [ი. გრიშაშვილის წინათქმით. თბ., 1918].  
კანზე: „ი. გრიშაშვილის წინათქმით“.
326. ახოზაძე ლ. სოფლად. პიესა 2 მოქმ. ამონაჭერი „ცისარტყელა“, 1920, № 10.
- 327–328. ახოზაძე ლ. ცხოვრების ტალღები. ლექსები. თბ., იოს. მამულაშვილის გამოც., 1913.  
კანზე: „ეს სხვა ეგზემპლარია. 1917 წელს ეს დაჭერილი წიგნი მეორედ გამოვიდა. ი. გრ.“.
- გვ. 1. პორტრეტის ქვემოთ: „ეს წიგნი ცენზორმა ივ. პოლუმორდვინოვმა დაიჭირა. ავტორი ციხეში ჩასვეს. ი. გრ. P. S. ხაზები პოლუმორდვინოვისაა“  
წიგნში მრავლად არის ცენზორის მიერ მოხაზული ადგილები.
- 329–333. ახოზაძე ლ. ცხოვრების ტალღები. ლექსები. ი. მამულაშვილის წინასიტყვ. ტვ., 1918.  
წიგნში ჩაკრულია ი. მამულაშვილის [გრიშაშვილის] მიმართვა საზოგადოებისადმი ლადო ახოზაძისა და მისი ლექსების შესახებ. ტფილისი, 1918 წ.
334. ბააზოვი გ. გელათის ქუჩის დასასრული [მოთხრობა], ტვ., 1931.  
თავფურცელზე: „ალი არსენიშვილის შენიშვნებით“.
- გვ. 29. ტექსტში ხაზგასმულია ადგილი, არშიაზე: „გაცვეთილი მეშჩ. სენტ.“.
- გვ. 31. არშიაზე მიწერილია ტექსტიდან გამოტოვებული სტრიქონი: „მაგრამ ეს სიტყვები... არ გაუგონია, მისი“ ... შემდეგ გრძელდება ტექსტის პირველი სტრიქონით.
- გვ. 74. არშიაზე: „სიყალბე, სიცრუე, უვიცობა“.
- გვ. 110. არშიაზე: „მელოდრ.“.
335. ბააზოვი გ. გელათის ქუჩის დასასრული. მე-2 გამოც. თბ., 1961.
336. ბააზოვი გ. დოლლემარ. მისტერია 4 მოქმ. [თბ.], 1929.
- 337–338. ბააზოვი გ. მუნჯები ალაპარაკდნენ. დრამა 4 მოქმ. 14 სურ. ტვ., 1933  
სუპერზე: „ნიმუში ებრაელთა გამოთქმებით“.
339. ბააზოვი გ. ფეთხაინი [რომანი]. – შემარიას უკანასკნელი სიტყვა [მოთხრობა]. თბ., 1959.
340. ბააზოვი გ. შემარიას უკანასკნელი სიტყვა [მოთხრობა]. ტვ., 1931.  
თავფურცელზე წერია: „ალი არსენიშვილის შენიშვნებით“.

გვ. 27. ხაზგასმულია: „ათას ცხრაას ოცდაათ წელსა...“ იქვე არშიაზე: „ს. იაშვილის ქველმოქმედებით – განმანათ. მეთოდები“.

341–342. ბაბალაშვილი ი. ღვთის სამართალი. მოთხრობა. ტფ., 1921.

კანზე: „ფალახა. 4“.

გვ. 9. ტექსტში ხაზგასმულია: „ჯერ შეველ ნოტარიუს მამიკონოვთან, მერე აქტიორად ქართულის სცენისა“, არშიაზე: „აქტიორიც ყოფილა“.

კანის მე-4 გვერდზე ჩამოწერილია: „აკ. პაპავა. ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია, კ. აბაშიძე, ს. ფაშალიშ. მარიჯან, ცქვიტი, ილია აღლაძე, მ. უზნაძე, ვ. კუკულაშვილი, ი. ვადაჭკორია, ს. ფირცხალავა, ქრ. რაჭველიშ. მ. საყვარელიძე, ს. დადიანი, შ. დადიანი, დავ. კასრაძე, ნინო ნაკაშიძე. ლევ. მეტრეველი“. მეორე ცალის კანზე: „ფალასა“, გვ. 4“.

343. [ბაგრატიონი დ.] წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა. ლექსად თქმული. სანკტ-პეტერბურდი, ჩყით [1819]. ავტორი ტექსტიდან. – დანართი: „მის მაღალ ბრწყინვალეობას... თავადს დიმიტრი გიორგის ძეს ბაგრატიონს“ – გრიგოლ მუხრან-ბატონი.

წიგნს აქვს ხელნაკეთი კანი.

თავფურცელზე ხელწერა: „Из книг И. И. Бабие“ [გაურკვეველია].

344–345. [ბაგრატიონი დ.] წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა, ტფ., 1876. დანართი მიძღვნა: „თავადის დიმიტრი გიორგის-ძის ბაგრატიონისადმი“. გრიგოლ [მუხრან-ბატონის].

346. ბაგრატიონი დ. წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა. მე-3 გამოც. ზ. ჭიჭინაძისა. ტფ., 1895.

347–348. ბაზალელი ა. სიხარბის ზნე (ხალხური ზღაპარი). თბ., 1904.

ყუა გაკერილია მანქანაზე ი. გრ. მიერ. მეორე ცალის კანზე: „იშვიათია! ი. გრ.“

349. ბაკურაძე ვ. ახალი ომში გაყვანილ სალდათის გოდება და სხვა ლექსები. ქუთაისი, 1914.

კანზე: „არ არის თბილისში“.

350. ბაკურაძე მ. წრფელი სიყვარული. პიესა 4 მოქმ. 8 სურ. თბ., 1953.

351. ბალავაძე კ. ლექსები. ბათუმი, 1912.

352–353. ბალანჩივაძე ვ. ერთი წამი უბედურებამდის. ვოდ. 1 მოქმ. ყვირილა, 1901.

კანზე უწინდელი მფლობელის ხელწერა: „ლ. პოგოსოვი, 1903“. ამ ხელწერას მიწერილი აქვს: „მიფეშქაშა. ი. გრ.“.

354. ბალანჩივაძე ვ. კუდიანი ვარსკვლავი. კომ. 1 მოქმ. თბ., 1921.

355. ბალანჩივაძე ვ. უბედური დღე. ვოდევილი 1 მოქმ. ამონაჭერი კრებულიდან. გვ. 475–496.

კანი გაკეთებულია ი. გრ. მიერ.

თავფურცელზე: „ავტორი ვ. ბალანჩივაძე. ვასო ბალანჩივაძისა. P. S. მინდოდა მსახური გლეხურად გამეკეთებინა ჩემთვის. ი. გრ.“.

გვ. 474. მოქმედ პირთა სიაში: „გოგია-იმერელი ბიჭი“-ს გასწვრივ მიწერილია: „გრიშ.“.

ტექსტი ნასწორებია ი. გრ. ხელით ენობრივი თვალსაზრისით.

356–357. ბალიაური ლ. სტუმარი [მოთხრობა]. თბ., 1939.

თავფურცელზე ბეჭედი: „დიომიდე ცქვიტინიძე“.



- 358–360. ბანოვანი [გელოვანი დესპინე]. შორეული ლანდები. რომანი. თბ., 1959.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1959 წ., 15 სექტ.“.
- ყდაზე დაკრულია ს. ყურაშვილის რეცენზია ამ წიგნზე, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერთ: „საბჭოთა ოსეთი“, 1959 წ., № 237. 2 დეკემბ.“.
361. ბარათაშვილი მ. ლექსები. თბ., 1948.
362. ბარათაშვილი მ. საპოვნელა. ლექსები. თბ., 1958. „ყდაზე: „ი. გრ. გვ. 84“.
- გვ. 84. ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი ჩანიშნულია.
- 363–364. ბარათაშვილი ნ. თხზულებანი [პ. ინგოროყვას ნარკვევით: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. რედ. კ. კეკელიძე. სარედ. კომისია: ი. გრიშაშვილი და სხვ.] თბ., 1945.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 21/X – 1945. ოპერა“. იქვე მიკრულია „შესწორებანი“-ს პირველი ვარიანტი, რომლის არშიაზე მიწერილია: „ეს შესწორებანი არც ერთ წიგნში არ არის შესული. ი. გრ.“ იქვე დევს წიგნში დაშვებული კორექტურული შეცდომების სია, რომლის არშიაზე წერია: „შეცდომის გასწორების მე-2-ე და საბოლოო ვარიანტი. ი. გრ.“ მიკრულია ქალაქის პატარა ნაჭერი წარწერებით: „გვ. 36 „Баратаев Михаил Петрович“. 1784–1856, 30 ივლისი (იხ. ვენგეროვის Словарь-и) 1839–1844 წლამდე იყო კავკასიაში управляющим таможенным округом. პეტერბ. 1844 წელს გამოსცა ნუმიზმატიკის წიგნი. Б. Энци. Изд. Прав. ტ. II.“
- ფორზაცის მეორე გვერდზე: „1945. 21 ოქტ. ბარათაშვილის სადამო. ოპერის თეატრი. P. S. ასეთი ეგზემპლდარი სულ 100 ცალი გამოვიდა – საიუბილეო სადამოზე იყიდებოდა. ამ სახით ეს გამოცემა აღარ გამოსულა გასასყიდათ. ასე, რომ ეს ცალი იშვიათობაა! ი. გრ.“.
- შმუცტიტულზე: „ჩემი შენიშვნები – იხ. „შემოღამება მთაწმინდაზე“. იხ. ლექსიკონი. იხ. კომენტარიები“.
- გვ. 4. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „მიმქრალებული, ჰნათობს“. არშიაზე წერია: „მიმქრალიო (იხ. ლექსიკონი), თუ მიმქრალია როგორ ჰნათობს? ი. გრ.“.
- გვ. 6. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „იდუმილობა“. გვერდზე წერია: „სიჩუმე. დუმილი-დუმილობა“.
- გვ. 36. „კნიაზს მ... კ...ძეს ბარატაევს“, ხაზგასმულია: „კ...ძეს. გვერდზე წერია: პ (?“).
- გვ. 68. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „მწუკნოვანსა“. გასწვრივ წერია: „მწვანოვანსა“.
- გვ. 69. ბოლო სტროფი მოხაზულია, არშიაზე წერია: „აკლია სტრიქონი“.
- გვ. 71. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „შენთვის“, მიწერილია: „შერთვის“. იქვე მე-6 სტროფში ხაზგასმულია: „თვალი მეღვარი“. გასწვრივ: „თვალთ მაღვარი“.
- გვ. 104, მე-3 აბზაცში ხაზგასმულია ადგილები. არშიაზე მიწერილია: „იხ. 1922 წ. გამოც. გვ. 155. მოლაყბის“.
- გვ. 105. მოხაზულია გვარი „სენკოვსკი“. არშიაზე კითხვის ნიშანი და მინაწერი: „ის სხვა სენკოვსკი ხომ არ არის?“.
- გვ. 161. მოხაზული სიტყვა: „აღტველვა“. არშიაზე: „ზეორთა ხელთა შემოკრება (საბა). ჩვენებურად ტაშს ნიშნავს, გადატანითი მნიშ. ხმაურობა, ტკრციალი და სხვ. (იხ. ა. ჭ.)“
- წიგნში ჩადებულია ქალაქის 10 პატარა ნაჭერი შენიშვნებით:

1. „ნ. ბარათ. სუნნელება-სუნი. ეს სიტყვა მგონი პირველად ბარათაშვილმა შემოიტანა. მერე აქედან მეოცე საუკუნეში გაკეთდა სურნელება“.
  2. „ნ. ბარათ. მისტეხა, მიატვრია, გატეხა – ასეთი ახსნა არ არის სწორი. საბას აქვს „ცისნატეხა-ქვა შავი. ჭიქის მსგავსი“, გვ. 418“.
  3. „ნ. ბარათ. ფურცვნილი-დამჭკნარი, უფოთლო, დაფურცლული. ეს სიტყვა მასიურ გამოცემაში არ არის ახსნილი. დ. კ-შვილი კი ასე განმარტავს „ფურცვნილი – ე. ი. გაფურჩქვნილი“ – რაც შეცდომაა“.
  4. „სანათური. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო გამოცემებში მოთავსებულია ლექსიკონი. იქ რამდენიმე შესწორება მინდა შევიტანო ზოგიერთი სიტყვის გამოსობით. სანათურის შესახებ ასეა დაბეჭდილი „სანათური-ქნარი“, მეტი არაფერი. სანათური არის ყუთისებური ბრტყელი სიმებიანი საკრავი. ეს ყუთისებური საკრავი დამკვრელმა წინ უნდა დაიდგას. აქვს ბევრი სიმი, ამ სიმებზე ჩაქუჩისებური ხის ჩასარტყმელით უკრავენ. (ტრაპეციის მსგავსია)“.
  5. „ბარათ. შევფრიფინვიდი, „განთიადით. ღამედმდე შევფრიფინვიდი კოკრობას“, ესე იგი – ხსნიან ბარათაშვილის მელექსიკონები – შევხაროდი ვარდის კოკრის გაუშლელობასო. მე კი ვამბობ: შევსტროფოდი მის დაბადებას. რომ კოკორი (ბუტკო) გამოეღო. მთელი ლექსი თავის ფინალით ამას ღაღადებს“.
  6. „ნ. ბარათ. ხელთაღპრობილი. ასე ხსნიან, ხელის გამმართველი, შემწე, მფარველი“.
  7. „ნ. ბარათ. არ არის შეტანილი საცლმითა თუ საცმლითა“.
  8. „ნ. ბარათ. უსაგნო – беспредметность. მიუსაფარი – бесприютность“.
  9. „ნ. ბარათ. ხვაშიადი – გულისნადებიო. ხვაშიადი – საიდუმლოა. „სატროფოვ., მახსოვს“.
  10. „ნ. ბარათ. სანთური ცუდათაა ახსნილი“.
- 365–369. ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. გ. ლეონიძის შესავ. წერილით. თბ., 1945.
- ფორზაცზე: „პირველი გამოშვება. ი. გრ.“.
- გვ. 98. კომენტარებში: „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“ მოხაზულია პირველი აზნაცი და არშიაზე: „101 (აკად.)“ იქვე ხაზგასმულია: „მართა სოლოდაშვილი“ და ზემოდან აწერია: „ზ. ჭ.-ძის ცნობით“.
- გვ. 104. ხაზგასმულია შენიშვნა: „არის ცნობები, რომ რახაელ ციციშვილი წერდა ლექსებს. მიწერილია: „(იხ. ჩემი ა. ჭ-მე)“.
- გვ. 106. ხაზგასმულია: „პოეტის დის. ბარბარე ვეზირიშვილის სიტყვით...“ არშიაზე მიწერილი: „იხ. 1922 წ. გამოც.“.
- ფორზაცთან გაზეთიდან ამოჭრილი „მკითხველის“ სტატია „რიჩინსკი“ თუ სოფელი რიჭა?“ არშიაზე მინაწერი: „ახალ. კომ.“, 1945 წ., № 124. 17 ნომბ.“
- მესამე ცალის ყდაზე: „აქ შეცდომის გასწორებაა (მეორე გამოშვება)“.
370. ბარათაშვილი ნ. თხზულებანი [თბ.], 1954.
- ფორზაცზე: ი. გრ. 1954. 5/XII“.
- გვ. 151. ლექსიკონში სიტყვას: „ხვაშიადი-გულისნადები“ – მიწერილი აქვს: „საიდუმლო“.
- გვ. 152. ხაზგასმულია რედაქტორის სახელი, გვარი და მითითებულია: „(იხ. სარჩევი)“.
371. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა. ისტ. პოემა. ბათუმი, 1911.

კანზე: „იშვიათია! მხოლოდ ლენინგრადშია“.

372–378. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა. თქმული წელსა 1839 ტფილისს. ტფილისი, 1916. ავტოგრაფული გამოცემა.

ფორზაცზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფი. ი. გრ.“ მეორე ცალის ბოლო გვერდზე: „გამოვიდა 1916 წელს ჩემი ტექნიკური თანამშრომლობით. ი. გრ.“.

379–380. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა. [თბ.], 1945.

თავფურცელზე: „ი. გრ. გამოვიდა 1946 წ. 1/II“.

381. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა. თბ., 1958.

382. ბარათაშვილი ნ. ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან. თბ., 1876.

თავფურცელზე: „პირველი გამოცემა ი. გრ.“.

წიგნში დევს: 1. გაზეთიდან ამოჭრილი კ. კეკელიძის წერილი „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი გამოცემისათვის“ მინაწერით: „კომ.“, 1945, № 46, 6 მარტი“. 2. კალენდრის ფურცელი წარწერით: „ნ. ბარათაშვილის ყველა გამოცემანი. ი. გრ.“.

383–386. ბარათაშვილი ნ. ლექსნი. მე-2 გამოც. თბ., 1879.

კანზე მიწერილია: „გვ. 40 იხ. აღდგენილი სტრიქონი. ი. გრ.“

გვ. 40. ტექსტში: „რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში“ – ამ სიტყვების მომდევნო სტრიქონი აღდგენილია უცნობი პირის მიერ. აღდგენილი სტრიქონის შესახებ იხ. ი. გრიშაშვილის შენიშვნა წიგნში: „ბარათაშვილი ნ. ლექსები. ტფ., 1922 წ., გვ. 84“.

387–389. ბარათაშვილი ნ. ლექსნი და მისი ნაწერები. მე-3 შვეს. გამოც. თბ., 1885.

ყდაზე დაკრულია ქალაქის ნაჭერი წარწერით: „III გამოცემა ი. გრ.“.

ყდის მეორე გვერდზე: „1. ამ გამოცემაში „ფიქრნი მტკვრის პირას“ სხვა რედაქციითაა დაბეჭდილი. 2. როდის გამოვიდა ეს წიგნი? იხ. გარეკანი. ი. გრ.“.

ფორზაცზე: „ა. ჭ-სთვის, გვ. 94, 95, 83“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: „იხ. ჩონგური. გვ. 78. ი. გრ.“.

სარჩევში ხაზგასმულია: „ვპოვე ტაძარი“, მიწერილია: „ამას კირილე ლორთქიფანიძის „ჩონგურში“ „ფანტაზია“ ჰქვია. იხ. გვ. 78 ი. გრ.“.

გვ. 79. ხაზგასმულია: „ჩვენს დიდს პ-ს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზედ“... მიწერილია: „პ. იოსელიანს“.

გვ. 80. დანიშნულია ლექსის სათაური: „ფანტაზია“, მიწერილია: „იხ. „ვპოვე ტაძარი“. აქვე შესწორებულია თარიღი, წერია: „1881“, უნდა იყოს: „1841“.

მეორე ცალის ფორზაცზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ელ. ქართველიშვილი“. იქვე: „ვიყიდე მაღაზიაში. ი. გრ.“.

390. ბარათაშვილი ნ. ლექსები. მე-4 შვეს. გამოც. ტფ., 1890.

თავფურცელზე: „ეს წიგნი არა აქვს აღნიშნული დ. კარიჭაშვილს თავის კატალოგში. ი. გრ.“.

გვ. 66. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „სრულია“.

391–397. ბარათაშვილი ნ. ლექსები და წერილები. გამოც. მე-5. ტფ., 1895.

კანზე სათაურის ქვეშ წერია: „ე. თაყაიშვილის და დ. კარიჭაშვილის რედაქციით. (სწორია!), იხ. ცნობა „Описание“, ტ. II და „კვალი“. 1895. № 47. 48. ი. გრ.“.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ძმა სოსოს, ნიკოსაგან. 1929 წ.“. იქვე ადრინდელი პატრონის ხელწერა: „გოცირიძის წიგნებიდან“.

მეორე ცალში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი ალ. გვასალიას წერილი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, მინაწერით: „კომ.“, 21 ნოემბ., 1938 წ. № 266, ი. გრ.“.

მესამე ცალის ყუაზე ამოტვიფრულია: „ს. ხ.“

ფორზაცზე: „მგონი ს. ხუნდაძის წიგნი უნდა იყოს! ი. გრ. 1955. 21/I. დუბლ.“.

თავფურცელზე ინიციალებთან „ს. ხ.“ წერია: „სილ. ხუნდაძის ნაქონი წიგნი“. P. S. „ს. ხ.“ სილ. ხუნდაძის ხელია. ი. გრ.“.

გვ. 98. ხაზგასმულია სტრიქონი. არშიაზე წერია: „არ გესმის ოხვრა. ოხვრის მიზეზო! (ალ. ჭ-ძე) ი. გრ.“.

გვ. 108. მე-3 აბზაცში ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „იხ. გვ. 111. ი. გრ.“.

გვ. 109. ხაზგასმულია სიტყვა: „ჩურუმები“, მიწერილია: „ჩურუმები? (ჩორუმცები?) ი. გრ.“.

გვ. 110. ხაზგასმულია: „ქიზგას“. მიწერილია: „ქიზგა? ი. გრ.“.

გვ. 112. ტექსტში გადახაზულია „სარათას“, გასწვრივ სხვა ხელით წერია: „სათარას (გვ. 117)“. იქვე მიწერილია: „ს. ხუნდაძის ხელია. ი. გრ.“.

მეოთხე ცალის ყდის მეორე გვერდზე: ე. თაყაიშვილის რედ-ციით“.

მეხუთე ცალის კანზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ი. ელიაშვილი. 1906 წელი“.

398. ბარათაშვილი ნ. ლექსები. მე-6 გამოც. ავტორის ბიოგრ. და წინასიტყვ. ბათუმი, 1904.

ფორზაცზე: „ა. ჭ-ძეს ლანძღავს, გვ. 16; ზ. ჭ., გვ. 11“. მითითებულ გვერდებზე მოხაზულია ადგილები.

გვ. 12. ლექსში: „თავადის ჭ...ძის ასულს“ ხაზგასმულია: „ჰაეროვანო“, მიწერილია: „მანშიაშვ.“.

399. ბარათაშვილი ნ. ლექსები და წერილები. გამოც. მე-7. ტფ., 1910.

კანზე: „VII. ჩემი შენიშვნებითაა. ი. გრ.“ იქვე: „დიმიტრიევსკი, გვ. 89“.

თავფურცელზე: „1. „სახელი ვასახელე“, გვ. 42, 61, 80, 90“.

2. „დავით ჭავჭავაძე, 98, 103, 104, 105, 113“. 3. „ქორწილი“. გვ. 106“. 4. „ა. ჭ-ძე. გვ. 10“. 5. „სახელი ვასახელე“ სამჯერ (გადახაზულია და ზემოდან აწერია) ოთხჯერ აქვს: გვ. 42, 61, 80, 90“. 6. „კვალის“ კურიოზი, 106“.

გვ. 6. ხაზგასმულია ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების და ნემტის ტფილისში გადმოსვენების თარიღები: „ორმოცდა-რვა წლის შემდეგ, 1893 წ. 25 აპრილს“... მიწერილია: „რა გვიან გაუგიათ! ი. გრ.“.

გვ. 42. ლექსში „ნაპოლეონი“ მოხაზულია „სახელი ჩემი ვასახელე“ და მიწერილია: „გვ. 61, 80. ეს სიტყვა სამჯერ აქვს ნახმარი“.

გვ. 55. ხაზგასმულია: „ახლა კი დროა, სოლომონ, რომ მშვიდობა ნახოს საქართველომ“, მიწერილია: „გრ. ორბელიანს ამისი თქმა ხშირად უყვარდა“.

გვ. 60. ჩაწერილია ცენზურის მიერ გამოტოვებული სტრიქონი: „რომ გადავსახლდეთ იმ ცივ რუსეთში?“ მიწერილია: „ეს მე მივაწერე, სხვა წიგნში ვნახე ეს წარწერა. ამაზე მოხსენება წავიკითხე ელხში. ი. გრ.“.

გვ. 101. ხაზგასმულია: „Затрулят в военную трубу и снова ты не земледелец“ – მიწერილია თარგმანი: „დააყვირებენ სამხედრო [ბარაბანს] საყვირს და მიწის მომქმედი აღარა ხარ!“ იქვე ხაზგასმულია: „კატო“, გვერდზე წერია: „დაჟ პოეტისა“.

გვ. 102. ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი წერილის ბოლოს: „ეს წერილი პ. უმიკაშვილის თარგმანით მოთავსებულია „კვალში“, 1893 წ. № 7. იქ განმარტებებიცაა“. ამავე წერილში ხაზგასმულია: „Дай ему престол Августа, он бы всю Римскую империю обратил в комическую шутку.“ მიწერილია: „გრ. ორბელიანზე“.

გვ. 103. მეორე აბზაცში რკალშემოვლებულია „დავითი“. არშიაზე: „ჭავჭავაძე. იხ. დაწვრ. ს. ფირცხ. გვ. 162“. მესამე აბზაცში ხაზგასმულია: „დუშალიკში“. მიწერილია: „დუშალიკი – ფეშქაშის მომტანის საჩუქარი“. იქვე წერილის თარიღს მიწერილი აქვს: „ეს წერილი მოთავსებულია „კვალში“ 1893 წ. № 7. შენიშვნებით“.

გვ. 104. ხაზგასმულია: „ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდენ“, არშიაზე წერია: „ხახვებს – ჩრდილოელებს უწოდებდნენ“.

გვ. 106. ხაზგასმულია: „მეჯვარე“, არშიაზე: „როცა ეს წერილი „კვალში“ დაიბეჭდა, იქ ალბად ვერ ამოიკითხეს ნიკოს ხელთნაწერი და ასე იყო დაბეჭდილი მეჯვარეს ნაცვლად „მე და ვარო“ (თუ ვასა?). „იხ. „კვალი“. 1893, № 10“.

გვ. 109. ხაზგასმულია: „სათარა“. მიწერილია: „სათარაზე ლექსი პოლონსკისა (ტ. 1, გვ. 143). სათარაზე გახსენება ა. ზისერმანისა წიგნი I, გვ. 78“.

400–403. ბარათაშვილი ნ. სრული ლექსთა კრებული. თფ., 1910. კანზე ფანქრით: „VIII“.

გვ. 77. არშიაზე წერია: „(დ. კარიჭაშვილი). ი. გრ.“.

მესამე ცალის კანზე: „არა აქვს პალატას. ი. გრ.“.

404–405. ბარათაშვილი ნ. რჩეული ლექსები. ქუთაისი. 1916.

თავფურცელზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ.“.

მეორე ცალის კანზე: „აქ არ არის. ი. გრ.“.

406–409. ბარათაშვილი ნ. ლექსები. დ. კარიჭაშვილის რედ. თბ., 1919.

კანზე მოხაზულია: „ლექსები“, მიწერილია: „ლექსიკონით. ი. გრ.“.

გვ. გვ. III–VII. ხაზგასმულია სიტყვები, მიწერილია რამდენიმე სიტყვის განმარტება.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ეს დუბლიკატი ჩემია. მხოლოდ საჯაროშია. შეცდომებია ლექსიკონში. ი. გრ.“

გვ. VI. ხაზგასმულია: „ფურცენილი – გაფურჩქენილი“, მიწერილია: „ძირდაცვენილი“ ი. გრ.

მესამე ცალის კანზე: „[1919] ი. გრ.“

410–412. ბარათაშვილი ნ. ლექსები. ბედი ქართლისა. წერილები. ტფ., 1922.

კანზე: „იხ. გვ. 84 აღდგენილი სტრიქონი. ი. გრ.“

ფორზაცზე: „ა. ჭ-ძის გარშემო. გვ. XXV. ა. ჭ-ძის ოჯახში იკრიბებოდნენ, VII; მელიტონის ოჯახში ალ. ჭ-ძე. IX; გიმნაზია 1802 წელს. გვ. 238; ეკ. ჭ-ძე. 112; ნინო გრიბოდოვისა, გვ. 241; ჭავჭავაძის სახლი, „ჩუსუმები“ რას ნიშნავს? გვ. 110; ჩემზე, 222 და ბოლოსიტყვაობა. 247; რა მომწონს კერძო წერილები! მანანა ორბელიანზე და ლევან მელიქიშვილზე, 122, 160. გვ. XXXI – სათარას ქება ეკლესიის კარზედ დაეწერა – 1922 წ. 25 მარტი. ი. გრ.“

თავფურცელზე სათაურის შესახებ მიწერილია: „ასოები დახატულია იმ მოყვანილობით, როგორი მოყვანილობითაც ბარათაშვილის დროს გამოდიოდა „ტფილისის უწყებანი“.

გვ. XV. ხაზგასმულია: „ბეჭედზე დაწერილი გვარი დაემახსოვრებინათ“..., მიწერილია: „ამ ბეჭედზე იხ. „ივერია“. 1893, № 79. წერილი კ.“

გვ. LX. ხაზგასმულია: „გიმნაზიის შეგირდებმა მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით და რედაქტორობით დაიწყეს“... და მიწერილია: „ამისი შვილებიც სულ რედაქტორები იყვნენ“.

გვ. LXVIII. დანიშნულია ადგილი „ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან ტფილისს“, სქოლიოში წერია: „ამის შესახებ „ივერიაში“, (საიდანაც გადმობეჭდილია წერილი), ნათქვამია, რომ ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ლექსების ადგილები იმ ადგილას არის მონაგონ-შენათხუზი, სადაც ყოველი ადამიანი ქვეითად დადის“ [ი. მეუნარგია, „ივერია“. 1893 (?) წ., № 93 (?)]. აქ ეს ადგილი აღარ დაიბეჭდა. აქვე (ე. ი. „ივერიაში“). ი. მეუნარგია თავის თავზე სწერს: „მე მეწვრილმანე ვარ ქართველის (?) მწერლობისა და თუ როგორმე ამბები მოვკენკე. თავი მდიდარი მგონია („ივერია“). ი. გრ.“.

გვ. LII. ხაზგასმულია: „რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, მიწერილია: „პოეზია“ ტერმინი მაშინაც ყოფილა“.

გვ. გვ. LIX. რედაქტორის შენიშვნას მიწერილი აქვს: „იბეჭდებოდა „ივერიაში“. 1893 წ. № 85, 86, 87, 88, 93, 95, 98, 103. P. S. ეს წერილი აქ ძალიან შემოკლებულია“. ნახეთ „ივერია“.

გვ. 12. ლექსში „ღამე ყაბახზედ“ ხაზგასმულია: „კოჯორი დაჰქრის ნიავით“, მიწერილია: „გრ. ორბელიანსაც აქვს“. აქვე მე-3 სტროფში ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია: „ა. ჭ-ძე. იხ. გვ. 14“.

გვ. 49. სათაურის ბოლო სიტყვას „თავადის დ...ო“. მიწერილი აქვს: „დიმიტრი თამაზის-ძის ორბელიანისა. ვარიანტი მაჩვენა არტ. გაბუნიაშვილმა. ეს ლექსი დაწერილია ბარათაშვილის ხელით ცალკე თხელ ქაღალდზე ფანქრით მინაწერი ადგილები აღდგენილია ამ ხელნაწერით. 1932. 12/II ი. გრ.“ აქვე შესწორებულია მე-6 სტროფის მე-4 სტრიქონი: „მტერთა შეებმის სიმღერით, მჭვრეტელთა საოცნებელად!“ ამავე ლექსში მე-8 სტროფის მე-2 სტრიქონი შესწორებულია: „მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართა!“ ლექსის ბოლოს მიწერილია: „სენტებრის 23-სა, 1844 წელსა. ტფილისი. თ-ის ნ. ბარათოვის მიერ“. (ეს „მიერ“ ჩახვეული ხელით არის ნაწერი). იხ. ამ ლექსის ვარიანტები, გვ. 165“.

გვ. 55. ლექსს „ლე“ მიწერილი აქვს: „მოღვედილი რითმაა. ეს ლექსი მგონი რუსულის მიბაძვანა“.

გვ. 69. დანიშნულია ორი სტრიქონი, სქოლიოში მიწერილია: „ვარიანტი“:  
„სომხითის გმირნი ყაფლანისშვილნი,  
და მათ მომარცხნეთ ბარათაშვილნი“.

გვ. 81. მე-6 სტრიქონის შემდეგ ჩამატების მიზნით სქოლიოში მიწერილია:  
„და მომავალმა აწ ქალაქისკენ,  
გამოიარა თავის სახლისკენ“.

გვ. 84. დანიშნულია ჩამატებული სტრიქონი: „რომ გადავსახლდეთ იმ ცივ რუსეთში?“ სქოლიოში მიწერილია: „ეს სტრიქონი ჩამატებული ვნახე უცნობის ხელით 1879 წლის გამოცემულ ნ. ბარათაშვილის წიგნში, გვ. 40 (იხ. ჩემს ბიბლიოთეკაში). ვინ

ჩაუმატა? ყოველ შემთხვევაში ეს თითქმის აღდგენილი სტრიქონი საყურადღებო და ჭკუასთან ახლოა. ი. გრ.“

გვ. 89. წერილის სათაურს მიწერილი აქვს: „ეს წერილი დაიბეჭდა „დროება“-ში 1885 წ., № 114“.

გვ. 91. მოხაზულია სტრიქონი: „არ ვინ იცის. რა გამოვა რისაგან“, მიწერილია: „ეს საიათნოვას ლექსიდანაა“.

გვ. 93. წერილში ხაზგასმულია ადგილი:

„დიმიტრიევსკის ლექსები გეპოვნა“... მიწერილია: „ლექსი ყოფილა ნოტებზე. ი. გრ.“  
აქვე ხაზგასმულია სტრიქონი: „ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“. მიწერილია: „აკაკიმ აქედან გალექსა:

„მოხუცი აქ რომ ჩონგურს ისწავლის,  
ის საიქიოს გამოადგება“.

გვ. 105. წერილში ხაზგასმულია ადგილი: „И грустно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды“, მიწერილია: „ლერმონტოვი იცოდა“.

გვ. 106. წერილში მოხაზულია: „მაია“, მიწერილია: „ა. ჭ-ძის ცოლი ხომ არ არის?“

გვ. 109. წერილში ხაზგასმულია: „დავით“, მიწერილია: „ჭავჭავაძე (ალექსანდრეს-მე)“.

გვ. 111. წერილს X-ს მიწერილი აქვს: „ეს წერილი დაბეჭდილია „დროებაში“ 1885 წ., № 114“. აქვე დანიშნულია: „ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდნენ“. სქოლიოში მიწერილია: „ხახვებს“ ჩრდილოელებს ეძახოდნენ“.

გვ. 112. წერილში ხაზგასმულია: ნ. ალ-ნა ოდესაში მიდის 9 ივნისს“, მიწერილია: „ნინო გრიბოედოვი“. აქვე ხაზგასმულია: „ფეფომ და მაშომ მოგიკითხეს“, მიწერილია: „დროებაში“ (1885 წ., № 114). იქ ასეა, „ფ-მ და მ-მ მოგიკითხეს“.

გვ. 113. წერილში ხაზგასმულია: „ალექსანდრე სუმბათოვი-მეჯვარე“, არშიაზე მიწერილია: „ეს წერილი პირველად დაიბეჭდა „კვალში“ 1893, № 10. პეტრე უმიკაშვილს ვერ ამოუკითხავს და „მეჯვარეს“ ნაცვლად აწყობილია „მე და ვარო (თუ ვასე)ო“ („კვალი“, 1893, № 10)“.

გვ. 122. წერილში ხაზგასმულია: „შენ რა? აგრე გაწითლებაც იქნება“. მიწერილია: „მაიკოს უყვარს ლევან მელიქიშვილი და აქ მგონი ამ გაწითლებაზეა ლაპარაკი“.

გვ. 213. ხაზგასმულია: „კნიაზ ბარათოვს“. მიწერილია: „სულხან ბარათოვი?“.

გვ. 128. „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებში ხაზგასმულია: „ვალერიან გუნიას ვარიანტი“, მიწერილია: „ვალერიან გუნიას ვარიანტით. ცნობილი ხელთნაწერი ეკუთვნის გ. არეშიძეს. ამისაგან იყიდა ვ. გუნიამ და თავის ვარიანტად გაასაღა. იხ. არეშიძის ვარიანტზე ზ. ჭ-ძის წერილი „ივერია“. 1891. № 79. ი. გრ.“ იგივე მინაწერი. გვ. 129. აქვე სქოლიოში ხაზგასმულია: „ბოლოს უწერია: თ. გ. ორბელიანისა“, მიწერილია: „გიორგი ორბელიანისაა. იხ. „ივერია, 1877. ი. გრ.“.

გვ. 161. ლერმონტოვის ლექსს: „И грустно и скучно“, მიწერილი აქვს: „ეს ლექსი ქართულად სთარგმნა გ. ერისთავმა. ი. გრ.“

გვ. 164. მოხაზულია: „ივანე – მანანა ორბელიანის შვილი“, მიწერილია: „გვ. 160 შეცდომა ხომ არ არის?“

გვ. 222. სქოლიოში ხაზგასმულია და დანიშნულია: „სამართლიანად შენიშნეს (ი. გრიშაშვილმა)“... მიწერილია: „იხ. საიათნოვა“, გვ. 24“.

გვ. 237. მოხაზულია: „ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემანი“. მიწერილია: „მაქვს სამივე“. ხაზგასმულია; „წინასიტყვაობა. უმიკაშვილს უნდა ეკუთვნოდეს“. მიწერილია სქოლიოში: „მეც ასე მგონია“.

გვ. 238. ყველა გამოცემას მიწერილი აქვს: „მაქვს“.

წიგნში დევს კონვერტი, რომელშიც მოთავსებული ქალაქის ორი ნაჭერი მინაწერებით: 1. „საიათ. ნ. ბარათაშვილი საიათნოვას იცნობდა. „ვინ რა იცის რა გამოვა რისაგან“. ეს თქმა ოდნავი შეცვლით აქვს საიათნოვას „შე საწყალო ჩემო თავო“... 2. „სალომე ჭ-ძე. იხ. ნ. ბარათაშვილ. ლექსები, გვ. 103. ახალი გამოც.“

მეორე ცალის თავფურცელზე წერია: „ნ. ბარათაშვილი (კომენტარებით). ს. ფირცხალავას რედ-ით. 1922 წ.“

413–414. ბარათაშვილი ნ. ნაწერების სრული კრებული. თბ., 1930.

ფორზაცზე: „აღდგენილი სტრიქონი, გვ. 74“.

თავფურცლის შემდეგ გვერდზე რედაქციის შენიშვნაში ხაზგასმულია: „ყველა არსებული ხელნაწერი“... მიწერილია: „სრული ორი კრებულია რაღა! მაშ ს. ფ-ს რაღა უნდა ეთქვა?“.

გვ. 74. აღდგენილია ლექსის სტრიქონი: „რომ გადავსახლდეთ იმ ცივ რუსეთში? ი. გრ.“ სქოლიოში მოხაზულია შენიშვნა: „უკანასკნელ რითმას არა აქვს პარალელი“, მიწერილია: „ეს მე ვუთხარი პ. ინგ-ს“.

გვ. 75. დანიშნულია სტრიქონი, გასწვრივ წერია: „აქ ხომ არის პარალელი?“.

გვ. 125. სათაურთან „სახუმარო გაკამათება (ლექსებით)“ წერია: „იხ. გაზ. „საქართველო“, 1916 წ. გიორგობისთვე. ეს ლექსი იქ არის. დ. კარიჭ. აღმოაჩინა“.

გვ. 128. სქოლიოში ხაზგასმულია სიტყვა: „ქაჩალი“. მიწერილია: „ქაჩალი აქ ირონიას, ესე იგი მელოტი. სიქაჩლე ავადმყოფობაა“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე: „პ. ინგოროყვა ხელმძღვანელობდა (წინად ცხადდებოდა, გამოდის ამავე ავტორის რედაქციით, რატომ არ აწერია?) – და აფსუს ჩემი შრომა ბარათაშვილის აკად. გამოც-ზე. საიდან აიღო, რატომ არ აწერია? ეს დამატებანი ს. გორგაძემ და დ. კარიჭაშვილმა აღმოაჩინა. ი. გრ. 1930. 13/VI“.

415–416. ბარათაშვილი ნ. ლექსები. თბ., 1937.

კანზე: „ი. გრ. 1938. 28/III. ი. ბალახაშვილის რედ. 1937“.

გვ. 13. ლექსში: „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ დანიშნულია გამოტოვებული სტრიქონი და მიწერილია: „დედანიშნავ ასეა“.

გვ. 17. ლექსის სათაურს „თავადის ჭავჭავაძის ასულს, ეკატერინას“ მიწერილი აქვს: „დედანიში არ არის სრულად“.

გვ. გვ. 23, 25, 26, 30, 32, 42, 43, 45 – ლექსების სათაურებს: „აღმოხჰდა მნათი“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „მადლი შენს გამჩენს“, „დამქროლა ქარმან სასტიკმან“, „როს ბედნიერ ვარ“ მიწერილი აქვთ: „სათაური არა აქვს დედანიში“.

გვ. გვ. 21, 34, 35. მოხაზულია სათაურის აღმნიშვნელი სამი ვარსკვლავი და მიწერილია: „ეს არა აქვს დედანიში“.



გვ. 48. მოხაზულია ლექსი: „კახთა მიმართ“, მიწერილია: „ეს სხვაგან უნდა „ბედი ქართლისა“-ს შესავალში“.

გვ. 62. სქოლიოში მოხაზულია რედაქტორის შენიშვნა, მიწერილია: „ეს ჩემი მოხსენების შემდეგაა გაკეთებული. ეს შენიშვნა პ. ინგოროყვას ეკუთვნის. იხ. მისი. გვ. 74“.

417–418. ბარათაშვილი ნ. ლექსები, პოემა, წერილები. თბ., 1939.

ყდის მეორე გვერდზე: „1. ელისეს მინდვრები. 87, 2. ნიკო გლეხებზე ზრუნავს, 87, 3. „О скучно грустн, გვ. 86, 87, 96. 4. ნინო გრიბოედოვის ნეკროლოგი, 105“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1939 11/XI“. იქვე: „I შეცდომა – LXIV, LXVI, LXXXVII, 97, 156. „სიტყვა. ასული. სათარა“, იხ. II გვ.“.

შმუცტიტულზე: „ნ. ბარათაშვილი. დაიბ. 1817 წ. 15 დეკემბ. (ძვ. სტ.) ნინო ხომტარას ცნობით, იხ. „ახალგ. კომ.“, 1940 წ. 18 თებ. გარდაიცვალა 1845 წ. 21 ოქტ. (შდრ. გვ. XII)“.

გვ. VI. ხაზგასმულია: „ბუდეშური (წმინდა ქართული ტიპი)“, მიწერილია: „პირიქით. იხ. ჩემი მასალები“.

გვ. XI. მეორე აბზაცში ხაზგასმულია: „23 წლის“, გასწვრივ წერია: „იხ. 170“.

გვ. XIII. ხაზგასმულია: „თარიღი პოეტის დაბადებისა არის 1818 წელი“, მიწერილია: „1817 წ. 15 დეკემბ.“. ხაზგასმულია: „გარდაიცვალა პოეტი 1845 წელს 21 ოქტომბერს (ახალი სტილით)“, მიწერილია: „საბუთი?“.

გვ. XLVII. მოხაზულია: „1818. (ეკ. ჭავჭავაძის დაბადების წელი)“, მიწერილია: „1816. ი. გრ.“

გვ. LXIV. ხაზგასმულია: „დედოფალს ეკატერინეს და არა მის ასულს, გვ. XIII“, გასწვრივ წერია: „ამ გვერდზე არ არის, იხ. გვ. XXIII, მ. გედევანის გამოცემა. გრ. ყიფშიძეს ასე აქვს: „პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში“ წავედი და იქ ვეწვიე სამეგრელოს მთავრინას დადიანის ასულს. ბატონიშვილმა მიბოძა წასაკითხად ორი ნაწარმოები. „ჩემს მერანს“, „ბედი ქარ. (?) გრ. ყიფ. XXIII“, აქ „ასული“ არ იგულისხმება. გრიგოლის შეცდომაა. ის არის უნდა ეთქვა ჭავჭავაძის ასულს, ამის ნაცვლად სთქვა დადიანის ასულს“.

გვ. LXVII. მოხაზულია აბზაცი, მიწერილია: „ლერმონტოვის გავლენა ჰქონდა“.

გვ. LXXVIII. ხაზგასმულია: „პუშკინი“, არშიაზე: „ლერმონტოვი?“

გვ. LXXXIV. ხაზგასმულია: „ყიფიანმა“, არშიაზე: „კიპიანმა“.

გვ. LXXXVI. არშიაზე: „დომიტრი ვეზირიშვილისაგან გამიგონია, პოეტს ქართლში სადღაც ეკლესიის კარზედ დაუწერია ამ მომღერალის ქებაო“, (იხ. მეუნარგია XXX) „ქება“ ლექსია?“.

გვ. LXXXVII. მოხაზულია აბზაცები. არშიაზე წერია: „ქართლში იყოო“, ეს რა საბუთია? ამით მტკიცდება, ნიკომ სათარაზე ლექსი დასწერა? აქ „ლექსი“ იგულისხმება „სიტყვა“, იხ. 158“.

გვ. LXXXVIII. ხაზგასმულია: „უთუოდ სანდო პიროვნებაა კ. მამაცაშვილი“, მიწერილია: „სიბერის გამო ბევრ რამეს აურევდა“. ხაზგასმულია: „მირიან ივერი“, არშიაზე: „მირიან ჭყონია იყო ნიკოს სკოლის ამხანაგი“.

გვ. 49. ხაზგასმულია: „თამაზ ენისენტ მოურავის ძე, და იოანე კახთ აბაშიძე“, არშიაზე „ვარიანტი: „სომხეთის გმირნი ყაფლანის შვილნი და მათ მომარცხნეთ ბარათაშვილნი“.

გვ. 56. ხაზგასმულია პირველ სტროფში: „მას აქ ესახლა თავის სახლობა“. მიწერილია: „და მომავალმა აწ ქალაქისკენ გამოიარა თავის სახლისკენ. ვარიანტი. ი. გრ.“.

გვ. 97. მოხაზულია სქოლიოში: „ზ. ჭიჭინაძის გამოცემა“, გასწვრივ წერია: „საიდან დაასკვნა?“.

გვ. 102. შენიშვნასთან: „ბარათი იბეჭდება ახლად აღმოჩენილი დედნის მიხედვით“... მიწერილია: „როგორ? ეხლა აღმოჩნდა?“ მოხაზულია: „გრაფი ჩიჩერო ე(?) – ჩიჩერონე იტალიურად ნიშნავს მეგზურს“..., მიწერილია: „აქ გვარია“.

გვ. 103. მოხაზულია: „სოფიო ორბელიანი“, მიწერილია: „გრ. ორბ. დანიშნული „სოფიკო“. ხაზგასმულია: „აპლიპუტილა“, მიწერილია: „საალერსო სახელი კატოსი“.

გვ. 107. ხაზგასმულია: „ეი, მუსულმან ნამარი ხანჯალ-ზანი – ერთი ტაეპია სიმღერისა“, მიწერილია: „იქნება სათაური?“.

გვ. 115. ხაზგასმულია: „1875 წლის გაზეთ „დროების“ 143 ნომერში ყველასათვის სრულიად მოულოდნელად გაჩნდა ასეთი ცნობა: „იბეჭდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები“. მოხაზულია „სრულიად მოულოდნელად“. მიწერილია: „რატომ?“. სტრიქონში: „1876 წლიდან 1922 წლამდე ბარათაშვილის თხზულებათა რვა გამოცემა გამოვიდა“, მოხაზულია „რვა გამოცემა“, მიწერილია „მეტი არა?“.

გვ. 170. შენიშვნაში ხაზგასმულია გვარები, არშიაზე მიწერილია სახელები: „ერისთავი – რევაზ, ვეზირიშვილი – დიმიტრი, სუმბათაშვილი – ვასილ, ბარათაშვილი – ლეონიდ“.

ყდის მესამე გვერდზე ფანქრით: „ლექსიკონი რატომ არა აქვს! არ არის ახსნილი: 1. დუშალიკი, 88. 2. ჩუსუმები, 89. [ჩეს ასუმ? საიათნოვას ლექსი]. 3. არვინ იცის რა გამოვა რისაგან [ეს საიათნოვას ლექსიდანაა]. 4. ქიზგა. ოსურად გოგოს ნიშნავს. 89. 5. შეშურები, 91. 6. ბუდეშური (და ბუდეშური მისი ფეფები). 7. ქაჯანა. 127. 8. სანთური, 96.

გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. ანონიმური წერილი „ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღი“ მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1940 წ., № 40, 18 თებერვ.“

2. გ. აბაშიძის წერილი: „ნ. ბარათაშვილის ახლად აღმოჩენილი წერილები“. მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1937 წ., № 3, 10 თებ.“ აქვე დევს ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ლექსი მოწერილი თ. ნ. ბ. ნ. ბარათაშვილისა ხომ არ არის? იხ. „ცისკარი“. 1862 წ., № II, გვ. 191“.

419–420. ბარათაშვილი ნ. ლექსები. თბ., 1945.

წიგნი ჩასმულია ტყავგადაკრულ ყდაში.

421. ბარათაშვილი ნ. ლექსები, პოემა. თბ., 1959.

422–424. ბარათაშვილი ნ. მოკლე ბიოგრაფია და რჩეული ლექსები. ტფ., 1905.

კანზე: „თბილისის ბ-ში არ არის“.

მეორე ცალის კანზე: „დუბლ. შევად. საჯაროს არა აქვს. ი. გრ.“

425. ბარათაშვილი ნ. წერილები. – ამოღებულია წიგნიდან: ბარათაშვილი ნ. ლექსები და წერილები. ტფ., 1895.

426–427. ბარნოვი ვ. თხზულებათა სრული კრებული. 10 ტომად. თბ., 1961.

- ტ. 1. 1878–1901 [მოთხრობები და რომანები].  
ფორზაცზე: „ი. გრ. ბორჯომი. 1961. 20 ივნისი“.
- ტ. 3. თხზულებანი. 1912–1914.  
428–432. ბარნოვი ვ. თხზულებანი. ტ. 1–2. ტფ., 1920.
- ტ. 1, კანზე: „(გრ. ყიფშიძის შედგენილ ბიოგრაფიით, ი. გრ.)“.  
თავფურცელზე წარწერა: „ბ. ი. გრიშაშვილს ვასილ ბარნოვი“. იქვე: „ი. გრ. 1920 წ. 10/VIII“.
- გვ. 8. ტექსტში საუბარს ხილის მორთმევაზე მიწერილი აქვს: „деcerpt სერობის ბოლოს? ქართულად ჩაროზი“.
- გვ. 12. ხაზგასმულია: „სხივოსანს“, მიწერილია: „სხვაგან სხიოსანი“.
- გვ. 31. ხაზგასმულია: „იწერდა“, მიწერილია: „გამოიწერდა“.
- გვ. 83. ხაზგასმულია: „ალაჩოყები“. არშიაზე: „ალაჩუხები“.
- გვ. 98. ხაზგასმულია: „ტანტინიკი“, მიწერილია: „ტანტიკინი – სომხურია: სახლის ქალბატონი“.
- გვ. 107. ხაზგასმულია: „გულმკვდარის“, არშიაზე: „კვტარი?“.
- ტ. 2. კანზე. „ი. გრ. 1921 წ. 23/III“.
- თავფურცელზე წარწერა: „ბ. ი. გრიშაშვილს ვ. ბარნოვი“.
- წიგნის ბოლო ფორზაცზე ი. გრ. ხელით შედგენილია სარჩევი. იქვე:  
„არის ნეტარება – ხშირად მოაგონდეს  
პოეტს შედარება: შენ და შემოდგომა“  
(გალაქტიონი).
- ი. გრ. ხელით მიწერილია: „გალაქტიონ ტაბიძის ხელია“. გვერდზე ი. გრ. მიერ წერია:  
„მომამორე. მომამორე ეგ ალერსი სამაგელი,  
ეგ ამბორი ტუჩდამწვარი და გონების დამკარგველი“.  
(ნინო თარიშვილისა).
- არ დაუბეჭდავს“. და „ბედის საყვარელი ვიყავი და ის ყოველთვის წინ ეგებებოდა ჩემს სურვილსა. (მსახიობი სალვინი)“.
433. ბარნოვი ვ. ამქრის მშვენება. მოთხრობა ხელოსანთა ცხოვრებიდან. ტფ., 1918.
- გვ. 16. ბოლოში: „არ დასრულდა. ი. გრ.“
434. ბარნოვი ვ. ამქრის მშვენება [მოთხრობა]. თფ., 1923.
- თავფურცელზე წარწერა: „მგოსან იოსებ გრიშაშვილს. ვასილ ბარნოვი. გასინჯე: უშნოდ ხომ არ მოვუსვი ყალამი მურაბიანს. ვ. ბ.“
435. ბარნოვი ვ. არმაზის მსხვრევა (ისტ. რომანი). ტფ., 1926.  
შმუცტიტულზე წარწერა: „მგოსან იოსებ გრიშაშვილს. ვასილ ბარნოვი“.  
კანზე: „ი. გრ. 1926. 29/IX“.
436. ბარნოვი ვ. არსენა. მონოგრაფია [თბ., 1921].
- გვ. 4. მოხაზულია ტექსტში: „სტიქიური“. არშიაზე: „პირველი შემთხვევაა, რომ უცხო სიტყვას ხმარობს თავის ნაწერში“.
- გვ. 9. მოხაზულია: „ალგეთი“, არშიაზე: „ჩემი ქუჩის სახელია“.
- გვ. 14. ხაზგასმულია: „დრამა არსენა“, მიწერილია: „კინო?“
- გვ. 15. ხაზგასმულია ტექსტის ბოლოს: „მოელის მარაბდელი შესაფერ კალამს...“  
მიწერილია: „მ. ჯავახიშვილმა დასწერა“.

437. ბარნოვი ვ. გველის ზეიმი. მოთხრობა. ტფ., 1919.  
კანზე: „ი. გრ. 1919 წ. 30/X“.
- 438–440. ბარნოვი ვ. დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. ისტ. რომანი სამ ნაწილად. თბ., 1939.  
ფორზაცზე წარწერა: „სოსოს ნიშნად პატივისცემისა. რედაქტორისაგან. 11. I 40 წ.“  
მეორე ცალის ფორზაცზე: „შეცდომა, 441“. შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1939. 19/XII“.  
წიგნის ბოლოს „ლექსიკონში“ ხაზგასმული და შესწორებულია ზოგიერთი სიტყვა. ბოლოს მიწერილია ლექსიკონის შემდგენელის გვარი: „თ. სახოკია“.
- გვ. 446. თავისუფალ გვერდზე: „ალქი-ალი, ქალის სახისა; დუნია, 427; მურაზი, 429; ობა, 431; უნიათი – არნათელი, 435“.
- წიგნში დევს გაზეთიდან ამოჭრილი გ. ქიქოძის წერილი „ვასილ ბარნოვის ფილოსოფიისათვის“ მინაწერთ: „ლიტ. საქართ.“. 1940, № 1.
- 441–442. ბარნოვი ვ. ვაი შენს დამკარგავს! ამბავი. თბ., 1901.
- გვ. 4. ზემოდან მე-3 სტრიქონში სიტყვა „გაუმჯობესებას“ შემდეგ ჩამატებულია: „შეშულს“.
- გვ. 10. ხაზგასმულია: „თქვენ ხომ არ იკადრებთ საწყალი ხალხისკენ ჩავლას“... არშიაზე: „ს. დ.“
- 443–444. ბარნოვი ვ. ვარდფანჯრები [მოთხრობები]. ტფ., 1929.  
შმუცტიტულზე წარწერა: „მგოსან იოსებ გრიშაშვილს. ვასილ ბარნოვი“.
- გვ. 194. მოთხრობის – „ქოჩორა ხე“ – ბოლოში მიწერილია: „სწორეა. 1898 წ., „მოამბე“ № V“.
- გვ. 209. მოთხრობის „საფლავის ქვაზე“ მიწერილია: „დაიბეჭდა „მოამბე“, 1905 წ., III. ი. გრ.“
- გვ. 284. მოთხრობასთან „სოკო, სოკო“ ფანქრით: „დაიბეჭდა „მოამბე“-ში, 1902 წ., № X“.
- წიგნის ბოლოს რეცენზია ამ წიგნზე მინაწერთ: „ქართული მწერლობა“, 1930 წ., № 3–4“.
445. ბარნოვი ვ. ისნის ცისკარი [მოთხრობები]. თბ., 1948.
446. ბარნოვი ვ. ისტორიული რომანები. თბ., 1947.  
სარჩევში ხაზგასმულია: „ცოდვა სიჭაბუკისა“ და მიწერილია: „დავით აღმაშ. „პირიმზის“ გასწვრივ: „(თამარ მეფე)“.
447. ბარნოვი ვ. მიეხმატკბილა გოგონას. მოთხრობები. თბ., 1957.  
თავფურცელზე წარწერა: „სახსოვრად იოსებ გრიშაშვილს. სერგი სტეფანოვისაგან. 19 7/III 57 წ.“.
448. ბარნოვი ვ. მიმქრალი შარავანდედი [ისტ. რომანი]. ტფ., 1914.  
თავფურცელზე: „1914 წელს დაიბეჭდა. („სახალხო გაზეთის“ პრემიად). ამ წიგნში ბევრი კორექტორული შეცდომებია – სრულად დაიბეჭდა ვ. ბარნოვის ტომებში“.
- გვ. 17. არშიაზე: „აქ გამოტოვებულია რვეულის ერთი გვერდი. აღდგენილია ჩემს სხვა ეგზემპლარში“.
449. ბარნოვი ვ. [მოთხრობები „მოამბიდან“]. ერთად აკინძულია თერთმეტი მოთხრობა. წიგნი ჩასმულია საგანგებო ყდაში. ყუაზე ამოტვიფრულია: „ბარნოვის მოთხრობები. ი. გრ.“

ყდის მეორე გვერდზე: „ი. გრიშაშვილი 1918 წ. 1/VII“. იქვე დაკრულია ამონაჭერი წიგნიდან ვ. ბარნოვის შენიშვნით თავისი გვარის შესახებ.

ფორზაცზე: „ვ. ბარნოვი. [მოთხრობები „მომბიდან“]. წვრილი მოთხრობები: 1. ისნის ცისკარი. 2. პროფესორი. 3. ქოჩორა ხე. 4. სოკო, სოკო. 5. იოსებ-კაიაფა. 6. უძღვები. 7. მრუდე მსხალი. 8. დაეწაფა სურვილი. 9. ვაი, შენს დამკარგავს. 10. საფლავის ქვაზე. 11. მეჩვენა.

1. ისნის ცისკარი. 1901“.

გვ. 1. არშიაზე: „1901 წ. I. ეს უნდა გავარჩიო როგორც ნიმუში ქალაქურ ქართული ენისა და ნამდვილი სახე ტფილისისას. ი. გრ. 21-II 18“.

გვ. 3. ხაზგასმულია: „ფიშტალ-დაზგაზე“ და მიწერილია: „ფიშტახტზე“.

გვ. 15. ხაზგასმულია: „ღიღებ ჩახსნილ ახალუხიდან წითელი შოვის პერანგი უჩანდა“ და მიწერილია არშიაზე: „უკანასკნელი კინტო“.

გვ. 26. არშიაზე ფანქრით: „მოხუც ვაჭრის აღწერა“.

2. პროფესორი. 1901.

გვ. 13. სათაურთან: „1901 წ., V“.

3. ქოჩორა ხე. 1898.

გვ. 1. სათაურთან: „1898 წ., V“.

გვ. 2. ხაზგასმულია: „სწორედ თავის მამა“ და არშიაზე: „სჯობია იყოს: მამაილაა“.

გვ. 10. ხაზგასმულია: „შიმშა“, მიწერილია „линейка“.

4. სოკო, სოკო! 1902.

გვ. 1. სათაურთან: „1902 წ., X“.

გვ. 14. ხაზგასმულია: „უიმისოდ ბლითსაც ვერ უყიდის თავის ბაღს“. სიტყვას „ბლითსაც“ აწერია: „ბუბლიკ“.

5. იოსებ – კაიაფა. 1899.

გვ. 1. სათაურთან: „1898 წ., II“.

6. უძღვები. 1903.

გვ. 1. სათაურთან: „1903 წ., IV“.

გვ. გვ. 2, 3 მოხაზულია და ხაზგასმულია ადგილები.

7. მრუდე მსხალი. 1903.

გვ. 1. სათაურთან: „1903 წ., X“.

8. დაეწაფა სურვილით. 1902.

გვ. 1. სათაურთან: „1902 წ., VII“.

9. ვაი, შენს დამკარგავს! 1899.

გვ. 1. სათაურთან: „1899 წ., XII“.

10. საფლავის ქვაზე. 1905.

გვ. 1. სათაურთან: „1905 წ., III“.

გვ. 13. ხაზგასმულია: „სურვილით დაეწაფა“ და მიწერილია: „ამ სათაურით კიდევ აქვს ბარნოვს მოთხრობა“.

11. მეჩვენა. 1901.

გვ. 45. სათაურის ზემოთ: „1901 წ., II“.

450. ბარნოვი ვ. მოთხრობები. თბ., 1948.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1948 15/III“. იქვე: „ახ წვიმავ. წვიმავ, გვ. 246. (ლექსიდან: იოლჩი ოლღანისა. იხ. „სალხინო საზანდარი“ 278)“. გვ. 246 ხაზგასმულია: „წვიმავ, მათი შენ გელოდება“. I. „რომელმაც, გვ. 79. II. სალთა, 249. III. ჯეელი, 239“.

451–452. ბარნოვი ვ. მრუდე მსხალი. მოთხრობა [თბ.], 1928.

თავფურცელზე ავტორის ხელწერა: „ვ. ბარნოვი“. იქვე: „დაბეჭდილი იყო „მოამბეში“, 1903 წ., № X, P. S. ამ წიგნზე მითხრა ავტორმა „ერთი თახთახი (ებრაელების ლავაშია „თახთახი“) გამოვაცხე და მიიღეო“... 1928, 10. I. – ი. გრ“.

453–454. ბარნოვი ვ. მუშა. თბ., 1922.

კანზე წარწერა: „მგოსან გრიშაშვილს. ვასილ ზ. ბარნოვი“.

წიგნის სათაურთან მიწერილია: „ერქვა „სული მთვლემარე“ და გამომცემლებმა გადაუკეთეს ასე. ი. გრ. 25/ IV“.

მეორე ცალი. აკინძულია წიგნთან: სანგალა, მ. – მუშათა მოძრაობა საფრანგეთში.

თავფურცელზე სათაურთან კითხვის ნიშანი და მიწერილია: „ორიგინალში სხვა სათაური ჰქონდა. ი. გრ.“

455. ბარნოვი ვ. პაპუნა. მოთხრობა. ტფ., 1888.

თავფურცელზე: „მეორედ გადააკეთა. დაიბეჭდა პირველად 1894 წ., № IV, „ჯეჯილ“-ში და დაარქვა „ხარაზი“.

456. ბარნოვი ვ. სამი რომანი. სახიფათო სიყვარული; ნათელმოსილნი; ტრფობა წამებული. ტფ., 1930.

თავფურცელზე წარწერა: „მგოსან იოსებ გრიშაშვილს, ვ. ბარნოვი“. იქვე: „ი. გრ. 1930. 23/IV“.

შმუცტიტულზე: „ვ. ბარნოვი. გარდასრულთ ხმანი. (სამი ისტ. რომანი). – 1930 –“.

გვ. XIX. ხაზგასმულია: „იხ. ამ წიგნში პირველი სურათი“, ზემოთ აწერია: „მეორე“, ..., „მანც გაგზავნეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში“, არშიაზე: „როგორ?“

გვ. XXIX. ხაზგასმულია: „გრდემლში“, გასწვრივ მიწერილია: „თვე?“, ქვევით: „გრ. რცხილაძე“.

წიგნში ჩადებულია ქალაქის ნაჭრები წარწერებით: „ვასილ ბარნოვის ნაწერები: ვასილ ბარნოვი პირველად ლექსებს სწერდა. ერთი მისი ლექსი: „ქართველ ქალს“ დაბეჭდილია „დროებაში“, (1879, № 149). ამავე გაზეთში (1878 წ.) დაიბეჭდა მისი: „რამდენიმე სურათი ხევსურების ცხოვრებიდან“ და სხვადასხვა კორესპონდენცია. ვასილ ბარნოვის მრავალი მოთხრობა გაბნეულია ძველსა და ახალ ჟურნალ-გაზეთებში. მრავალიც დარჩა დაუბეჭდავი. ჩვენ აქ აღვნიშნავთ ბარნოვის ცალკე გამოცემულ წიგნებს: 1. სესე. 1894 წ. 2. პაპუნა. 1888 წ. (გადმობეჭდილია 1894 წ. ჟურნალიდან). 3. საკვირველი ხე. 1888 წ. 4. ვაი შენს დამკარგავს. 1901 წ. 5. გველის ზეიმი. 1919 წ. 6. თხზულებანი I ტ. 1920 წ. 7. თხზულებანი II ტ. 1920 წ. (პირველ ტომს დართული აქვს გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი ბიოგრაფია). 8. ხაზართა სასძლო. 1922 წ. 9. მუშა. 1922 წ. (ავტორმა მითხრა, რომ ამ მოთხრობას ხელთნაწერში ერქვა „სული მთვლემარე“-ო). 10. ამქრის მშვენება. 1923 წ. 11. მსხალი. 1928 წ. 12. არმაზის მსხვრევა. 1926 წ. 13. ტფილისის აჩრდილში. 1929 წ. 14. ვარდფანჯრები. 1929 წ. 15. სამი რომანი ანუ „გარდასულთ ხმანი“. 1930 წ. 16. ფერად ფერადი. 1934 წ. გარდა ამისა ვ. ბარნოვს გამოცემული აქვს (1919 წ.) სახელმძღვანელო წიგნი „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების“ პირველი რვეული, სადაც გარჩეული აქვს ჩვენი ფოლკლორი. აქვს აგრეთვე, არსენას შესახებ

საგულისხმიერო მონოგრაფია. (1921). აქ პირველად აქვს გამოთქმული ის აზრი, რომ „არსენა“ სარომანო სიუჟეტია და ვერვინ დახატა კალმის წვერით მისი ცხოვრებაო, „ქართველ ხელოვანს კი შესწევს ამის ნიჭი და მარაბდელი მოელის შესაფერ კალამსაო“.

457. ბარნოვი ვ. სესე. ისტორიული ამბავი. ტფ., 1894.

458–459. ბარნოვი ვ. ტფილისის აჩრდილები [მოთხრობები]. ტფ., 1929.

კანზე: „თანაბარი კავშირი“, 286; საიათნოვა, 141“.

გვ. XIII. ხაზგასმულია ვ. ბარნოვის დაბადების თარიღი: „1857 წ.“, მიწერილია: „გარდაიცვალა 1934 წ. 4 ნოემბერს“.

გვ. 270. სათაურს: „ვაი შენს დამკარგავს“, მიწერილი აქვს: „მე წაგიკითხავთ ბარნოვის ყველაზე პატარა მოთხრობას, სათაურით: „ვაი შენს დამკარგავს“, სადაც აწერილია ერთი ბაზაზის ე. ი. აბრეშუმის ხელოსნის თავგადასავალი“.

გვ. 272. ხაზგასმულია მეოთხე აბზაცი და მის მაგივრად სქოლიოში მიწერილია: „მარმაშა და ალხო ერთად გაიზარდნენ. ალხო ბიძასთან იზრდებოდა, მისი შეგირდი იყო. პატარა მარმაშაც იმათ მეზობლად ცხოვრობდა. არ გაგიგონიათ ნალბანდიანთ მარმაშა?“.

გვ. 286. პირველ აბზაცში ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „ტანის ნათესაობა. თანაბარი აქტი“.

კანის მესამე გვერდზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ვ. კოტეტიშვილის წერილი: „ტფილისი ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში“, მინაწერით: „ლიტ. გაზეთი“, 1934, № 23“.

წიგნში დევს კონვერტი, რომელშიაც მოთავსებულია: 1. ჟურნალიდან ამოჭრილი ვასილ ბარნოვის სტატია: „ფსევდოკლასიციზმი საზოგადოდ და ქართულ ლიტერატურაში კერძოდ“, მინაწერით: „მომავალი“, 1923 წ., № 7, 31 ივლისი“. 2. მოსაწვევი ბარათი მწერალთა კლუბში ვასილ ბარნოვის გარდაცვალებიდან 5 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, 1939 წ., 10 დეკემბერს.

460–461. ბარნოვი ვ. ფერად-ფერადი [მოთხრობები]. თბ., 1934.

შმუცტიტულზე წარწერა: „ჩვენს საყვარელ მგოსანს იოსებ გრიშაშვილს, ვასილ ბარნოვი“. იქვე: „თედოს ხელია [სახოკიასი], ავტორის კარნახით. ი. გრ.“

გვ. 471. მოთხრობის „სულთა კავშირის“ დაწერის თარიღი მოხაზულია და მიწერილი: „სად დაიბეჭდა პირველად?“

თანდართულ ლექსიკონში შეტანილი შენიშვნები:

გვ. 512. „ეყა-ფული“ – პირველ სიტყვას წინ მიწერილი აქვს: „ბ“. ხაზგასმულია: „გაბრიელი“ და მიწერილია: „გარმინული“.

გვ. 515. არშიაზე ფანქრით: „ვეჯი – ავეჯი“. „თალარი – ხეივანი“ – ხაზგასმულია და მიწერილია: „неседка“

გვ. 516. ხაზგასმულია: „კოლორთადი“ და მიწერილია: „რგვალი უბანი“.

გვ. 517. ხაზგასმულია: „კოლოპურტი“, მიწერილია: „კოლო“. ხაზგასმულია: „ლაფაჩი (კაცი). ნელი, უმუშაო“, მიწერილია: „გვარია ოსეთში“. ხაზგასმულია: „ლედი“, მიწერილია: „ლეღმა“. ხაზგასმულია: „ქცევა-ყოფა“ და მიწერილია: „შნო“. ხაზგასმულია: „მამრაფა 83 საყვავილე ვაზა“, მოხაზულია „83“ და მიწერილია: „და 190“.

გვ. 518. მოხაზულია: „მეყი“, მიწერილია: „მყისიდან“. მოხაზულია: „კაკურაზი“, მიწერილია: „წარმოებული кукуруз-ისაგან“

- გვ. 519. სიტყვაში: „პილატეს“ – „ლ“-ს ნაცვლად მიწერილია: „მ“.
- გვ. 520. ხაზგასმულია: „დაუჯერებელი“, მიწერილია: „(იხ. ღალატი)“.
- გვ. 521. ხაზგასმულია: „ფალანი 146 – თეჟა, ქეჩა“, მიწერილია: „მუშების კურტანი“. ხაზგასმულია: „ფუჩფუჩა“, მიწერილია: („ასიკო ცაგარელი)“. ხაზგასმულია: „ქუფრი 424 – შავი“, მიწერილია: „ქუმელა?“.
- გვ. 522. სიტყვა: „ყადარის“ გასწვრივ მიწერილია: „საკადრისი“, იქვე: „ყისმათი 67“. ხაზგასმულია: „შანშვლა“ და მიწერილია: „მოშანშვლა“.
- გვ. 523. არშიაზე: „ჩინჩობდა – ვაჭრობდა, ჯანჯლობდა 76. ჩაიდანი 83. ჩომბახი 8. წინწანანქარი 59 – არაყიც არის. ჭვინტი (83) ფეხსაცმლის ცხვირი“.
- გვ. 524. ხაზგასმულია: „ხმიანობა, ვედრება ხმამაღალი“, მიწერილია: „სადილი არის სერობა, ნადიმობა“. მოხაზულია: „168“ და მიწერილია: „აქ ვერ ვიპოვე“, შინაარსში: „ძველდება“-ს მიწერილი აქვს: „(თუ მაგრდება?)“.
- გვ. გვ. 59, 67, 76, 83, 129, 151, 190, 433, 436, 509, 512, 514–24 ხაზგასმული ადგილები.  
ფორზაცზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ვ. ბარნოვის ნეკროლოგი. მინაწერით: „1934. 6/ XI, ნოემბ.“.
- 462–463. ბარნოვი ვ. ხაზართა სასძლო (ისტ. რომანი). ტფ., 1922.  
თავფურცელზე წარწერა: „მგოსან იოსებ გრიშაშვილს. ვასილ ბარნოვი“. იქვე: „ი. გრ. 4/VIII 22 წ.“
- უკანასკნელ გვერდზე ჩაკრულია ჟურნალ „ილიონი“-დან № 192 ამოჭრილი რეცენზია ამ წიგნზე.
- წიგნის ბოლოს თავისუფალ გვერდზე: „ჰოროლი – შუბი; ნახჭ(ჩ)-ი – უსულოზედ ამოჭრილი; ბეგთარი – მორკინული საცმელი; შუბისტარი – კინენი; პოიტკი – რკინის ფიცარი; სანახები – ახლომახლო გარემო; ჩოლი (ფოტი) – უღონო მოსიარულე; ქვიშრობი – ქვიშარი – ყვავილის პაიკის მარტო ჯდომა; შიმუნვარი – მხლებელი ქალი; ბოკვერი – ლომ-ვეფხვთა ლეკვი; ნუზლი – მოგზაურის საზრდო მოყვრისაგან; მგებარი – მიმგებელი?; კატარდა – საბრძოლველი ნავი; ქონგური – ქოგური – ხის ბურთი; ხნარცვი – მთხრელი. მიწის მთხრელი; სამალდი – აპეური – ტაბიკის თოკი, არზანიკი – პატივი სახლომელი; ფელიკი – კარვის ზღუდე“.
464. ბარნოვი ვ. ხარაზი (ისტ. ამბავი). ამონაჭერი ჟურნალ „ჯეჯილი“-დან, 1894, № IV.
- ხელნაკეთ კანზე მიწერილია: „ვ. ბარნოვი. ხარაზი. იხ. „ჯეჯილი“, 1894 წ., №- IV. ი. გრ.“
- გვ. 24. მიწერილია: „ეს მოთხრობა ავტორმა გადააკეთა „პაპუნა“-დ და დაბეჭდა ცალკე წიგნად 1888 წ. ი. გრ.“
465. ბასილაშვილი გ. სამი მებრძოლი. რომანი. ბათუმი, 1939.  
ფორზაცზე: „1. მამასისხლად – 9. 2. „ჭიდაობა“ – 35. ი. გრ.“
- თავფურცელზე ავტორის გვართან: „გარდაიცვალა 1939 წელს. წიგნის გამოსვლის შემდეგ“.
- წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი წარწერით: „ненужные“ – გამოუსადეგარი, „უსარგებლო მოგონებანი“.
- 466–467. ბაქრაძე ა. ამ დროის გმირები. ახალი პიესა №-2. სურათები თბილ. ცხოვრებ. 4 მოქ. და 5 სურ. თბ., 1906.



- 468–469. ბაქრაძე ა. ხელოვნება თუ კაკარდა? კომედია 3 მოქ. თფ., 1907.
- 479–471. ბაქრაძე დ. გმირთა სისხლით. წ. 1–2. თბ., 1950.
- წ. 1. 1950.
- წ. 2. 1956.
- 472–473. ბაქრაძე ვ. ქალის გული. 4 მოქ. პიესა, ქუთაისი, 1926.
- კანზე: „ქართული ენა, გვ. 17. ი. გრ.“
474. ბაქრაძე ი. გ. ლექსები. თელავი, 1891.
- წიგნი გაკერილია საკერავი მანქანით ი. გრიშაშვილის მიერ. ყუაზე მელნით: „წიგნი იოსებ მამულაშვილისა“. იქვე: „(ასე ვაწერდი ბალღობის დროს). ი. გრ.“
- 475–477. ბაქრაძე ი. ზ. კრებული [ლექსები]. თბ., 1938.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1938. 7/ X“.
- „1. დრალშევიჩი – უნგრელი მწერალი „ბრძოლა ძმანო“... გვ. 88. 2. ოვ. თუმანიანის ლექსები 107–108. 3. წიწერნაკი და ჩანგი? 94. 4. ლერმონტოვი – 102. 5. თოლუთინ, გვ. 61. 6. სხვა რუსთველი დაიბადებო 58. 7. ირ. ევდომვილი და ი. ბაქრაძე, 39“.
- ყდის მეორე გვერდზე დაკრულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „იოსებ ბაქრაძის თარგმანია მგონი. (უნდა შევამოწმო). „ვეკვილდის მოძღვარი“ („ივერია“, 1881 წ.). იხ. ი. ბაქრაძეზე ლექსი ი. დავითაშვილისა (ი. დავ. თხზ. გვ. 365. რუსული გამოც.). აკლია ლექსები: 1. შენ გაიარე ქვეყნის გზა ძველი. (დაწერილი 1871). (იხ. ზ. ჭ-ძის გამოც. „ლექსთა კრებ.“ 1878 წ., გვ. 15). 2. იეფაიას ასული (ბაირონიდან). იხ. „მნათობი“, 1871, აგვისტო“.
- გვ. 5. მიწერილია: „უნდა აღნიშნულიყო, რომ იოსებს არასოდეს თავისი წიგნის ნახვა არ ჰღირსებია. ი. გრ.“
- გვ. 9. მიწერილია არშიაზე: „ვირგინია“. ხაზგასმულია: „საქართველო და მისი ისტ. წარსული დრო“, მიწერილია: „(ჯერ „მომამბეში“ იყო დაბეჭდილი)“.
- გვ. 10. არშიაზე: „მე მგონი კორესპ. ქართლიდან სოსიკო ფსევდ. ბაქრაძეს ეკუთვნის. ი. გრ.“
- გვ. 11. საუბარია ფსევდონიმებზე, არშიაზე მიწერილია: „დანარჩენებში დარწმუნებული ხარ? მაგ. „გ. ციმაკ.“ „ი. რომანიძე“. (იხ. ლექსი „არაგვისპირელზე“, წიგნაკი „ლექსთა კრება“ (ზ. ჭ.) 1878, გვ. 39“.
- გვ. 15. ლექსს „მე ქართველი ვარ...“ მიწერილი აქვს: „იხ. „ჩანგი“, 1904, გვ. 113“.
- გვ. 17. ლექსთან „მუშის სიმღერა“ მიწერილია: „ეს თარგმანებში უნდა შესულიყო“.
- გვ. 22. ლექსში „ჩვენებური ექიმი“, ხაზგასმულია: „(მიბაძვა)“, მიწერილია: „რ. ერისთავისა. (საზოგადოთ ეს თემა რუსული ლექსის მიბაძვაა. იხ. „Чтец-деклам“. ამ ლექსის ბოლოს – 23-ე გვ. მიწერილია: „ივერია“, 1878, № 9“.
- გვ. 27. ფანქრით: „ჟ. „ივერია“, 1878, № 9“.
- გვ. 28. ლექსის „სიმღერა“ 1-ლ სტროფში ხაზგასმულია: „არც“ და მიწერილია: „აკაკი“. ქვევით: „ამ ლექსს აწერია იოს. ოქროაშვილი. (იხ. „ქართ. კალენდარი“ ზ. ჭ-ძისა – 1884 წ., გვ. 39), ი. გრ.“
- გვ. 32. ლექსთან „გამოხმობა“ მიწერილია: „(ეხო)“, „ხომ არა ჰგავს ეს ლექსი თარგმანს? ი. გრ.“
- გვ. 39. ხაზგასმულია: „თუ გინდ ასტყდეს ქარიშხალი...“, მიწერილია: „ი. ევდომ.“ ქვევით ფანქრით: „აგვისტო. (ნ. გოცირიძის ძმის ხელთნაწერებშიც არის)“.

გვ. 43. ლექსს „ნუ ჰკარგავ იმედს“ მიწერილი აქვს: „(გ. დ. ქართველიშვილს)“. იქვე: „(იხ. ნ. გოცირიძის ძმის დავთარი) იქ ეს მიძღვნაა. ი. გრ.“

გვ. 53. ლექსის „სინდისი სიმართლის ტაძარია“... ბოლოს მიწერილია: „გ. ციმაკურიძე, (იხ. ნ. გოცირიძის ძმის რვეული) ი. ბაქრაძის ფსევდონიმია? ი. გრ.“

გვ. 56. ფანქრით: „ილიას მიზაძე“.

გვ. 61. ლექსი „გლახის სიმღერა“ ხაზგასმულია „თოღუთინარა!“, მიწერილია: „სომხურია“.

გვ. 65. ლექსთან „შენა სტიროდი“ ფანქრით: „ჰეინესი ხომ არ არის?“

გვ. 66. ფანქრით: „ჰეინე?“.

გვ. 87. ხაზგასმულია: „(იტალიურიდან)“, არშიაზე: „ივერია“, 1881 წ., № 1“.

გვ. 88. ლექსს „ბრძოლა“ მიწერილი აქვს: „სერბია“, ხაზგასმულია: „დროსა – დროშა“ და მიწერილია: „ი. ევდოშ.“

გვ. 89. მიწერილია: „ტომას მური“.

გვ. 94. ლექსში „მერცხალი“ ხაზგასმულია: „გაზაფხულის ფრინველო“ და მიწერილია: „რით ხარ გახარებული“. ქვევით, სქოლიოში: „ჩანგმა“ გადაბეჭდა. „ჩანგი“ ათი გამოცემა გამოვიდა“.

გვ. 95. მიწერილია: „იხ. „ბუნების კარი“, 1876, გვ. 137. (მეორე ნაწ.)“.

გვ. 100. ხაზგასმულია: „ჰაინედან“, მიწერილია: („ივერია“, 1901, № 96)“.

გვ. 107. ხაზგასმულია: „ოჰანეს თუმანიანი“, მიწერილია: „თარიღი?“, „ივერია“ 1899 წ., № 79“.

გვ. 108. ლექსში „სას“ ხაზგასმულია: „ოჰანეს თუმანიანისა“ და მიწერილია: „ივერია“ 1899, № 91“.

სარჩევის ბოლოს ფანქრით: „აკლია ბევრი ლექსი ბაირონიდან“.

წიგნის ბოლოს ცარიელ ფურცელზე ფანქრით: „აკლია „შენ გაიარე ქვეყნის გზა ძნელი“ (1874), (იხ. ზ. ჭ. „ლექსთა კრება“, 1878, გვ. 15) და ნ. გოცირიძის ძმის დავთარი, გვ. 53. ი. გრ.“

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამონაჭერი გ. გოგოტიშვილის წერილი ი. ბაქრაძე „კრებული“, მინაწერით: „28 ოქტ., 1938, № 248. „ახალგაზრდა კომ.“

წიგნში ჩადებულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „დოდოხიანისთვის. სიმღერა გარდახვეწილისა. (სომხ.). „ჰე, მერცხალო, მერცხალო, რით ხარ გახარებული, მითხარ საით მიჰფრინავ ეგრე გაჩქარებული. ახ, გაფრინდი და სხვ. [ამ ლექსს თარიღი უზის 1877] (იხ. წიგნი: „ციცინათელა“, 1885 წ., გვ. 5). ზ. ჭ-ძის გამოცემა“. წიგნში დევს სხვადასხვა ზომის ქალაქის ნაჭრები ი. გრიშაშვილის მინაწერებით:

„1. ი. ბაქრაძის „საწყალი გიგა“ ორი წლის შემდეგ დაიბეჭდა „ნობათში“, 1884, № 5–6. 2. ჰეინეს ლექსები. თარგ. ი. ბაქრაძისა. 1. სევდამ მოიცვა, 2. როს ბურანშია, 3. შხამით სავსეა. (იხ. „ც. ფ.“ დამატება, 1903, № 87). 3. ვიქტ. ჰიუგო, „ლოცვა ყველასთვის“. თარგ. ი. ბაქრაძისა. („ცნ. ფურც.“ დამატება, 1903, № 80, 1 იანვ.). 4. ი. ბაქრაძის ლექსები ბევრი. იხ. კრებულში „ლექსთ-კრება“ ზ. ჭ-ძის 1878 წ., გვ. 15“. ფურცლის მე-2 გვერდზე: „ჩემი კალენდარი“. 5. იოსებ ბაქრაძის თარგმანი. სიმღერა გარდახვეწილისა („ოხ, მერცხალო, მერცხალო“), იხ. წიგნაკი „სამამდროვო სიმღერები“, 1908 წ., გვ. 3. 6. ბაირონი. ებრაული მელოდია (ტიტესაგან იერუსალიმის დანგრევა) თარგ. ი. ბაქრაძისა „ივერია“, 1902, № 210. 7. ბაირონი. ებრაული მელოდია – იეფაიას ასული. თარგ. ი. ბაქრაძისა („მნათობი“,

1871, აგვისტო), ეს ლექსი კი აკაკიმაც სთარგმნა, ი. ბაქრაძეს ბევრი აქვს თარგმანი „ჩაილდ ჰაროლდი...“ 8. ჰეინეიდან. 1. \*\*\* (ლოყით მოეკარ) 2. \*\*\* (როცა ვუყურებ). 3. \*\*\* (შხამით სავსეა ჩემი ლექსები) თარგ. ი. ბაქრაძისა. 4. (როს ბურანშია), „ცნ. ფ.“ დამატება, 1902 წ., № 71, № 78 და № 79. 9. იხ. „ლექსთა კრება“ ზ. ჭ-ძისა აქ მგონი ერთი ფსევდონიმი უნდა იყოს ი. ბაქრაძისა“. 10. ჰეინე. \*\*\* (მართლა შენ მე გამიხდი მტრად) თარგ. ი. ბაქრაძისა (იხ. „ცნ. ფურც.“, სურათ. დამატება, 1903, № 91). 11. ჰეინე. სამი ლექსი: 1. „სევდამ მომიცვა“. 2. „როს ბურანშია“, 3. „შხამით სავსეა“. თარგ. ი. ბაქრაძისა („ცნ. ფურც.“ სურ. დამატება, 1903 წ., № 87). 12. ვიქტ. ჰიუგო. „ლოცვა ყველასთვის“ (დიდი ლექსი) თარგ. ი. ბაქრაძის. („ცნ. ფურც.“, სურ. დამატება, 1903, № 80). 13. „მამ გამარჯვება“ ბაირონისა. თარგ. ი. ბაქრაძისა. (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913, № 845, 14 მარტი. ხრონიკაში – ილიას საღამო. 14. ჰეინე. „ახ. ისევ ის თვალეზია“, თ. ი. ბაქრაძე. „ივ.“, 1900, № 230. ლონგფელო. „წყარო და ზვირთი“. თარგ. ი. ბაქრაძის („ივ.“, 1900, № 236). „უძრავად ლაჟვარდ ცაზე“ [?] „ცნ. ფურ.“, 1902, № 2024. 15. „ლოთებო ნეტავი ჩვენა“. დაბეჭდილია. იხ. ლექსთა კრებული „ციცინათელა“, ზ. ჭ-ძის გამოცემა. 1885 წ., გვ. 6. საინტერესო კრებულია. აქ დაბეჭდილია გ. დოდოხიანის ლექსი ი. ბაქრაძის თარგმანი 1877 წელს აწ არსებული რედაქციისაგან განსხვავებით. 16. პოტო და ი. ბაქრაძე. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-ნს ი. ბაქრაძეს უთარგმნია ქართულად წ. კ. საზ. მინდობილობით პოტოს თხზულების ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება. საზოგადოებას განზრახული აქვს ეს თხზულება მალე დაბეჭდოს („ივერია“, 1889, № 171, 12 მარტი). P. S. დაგვიანებით დაიბეჭდა „მომამბეში“. ი. გრ. 17. 1889 წ. „ივერიაში“ ბევრი ლექსია იო-ს ფსევდ. იო (იოსებ ბაქრაძეა). ლექსი „თეატრი“, 1889 წ., №№ 43-44, 45, 46-47, 31-33. (ჰეინეიდან), ბაირონი, თომას მური. 18. ი. ბაქრაძის ფსევდ. იყო „ოქრუაშვილი“, (სოფ. მაგლობლიშვილი, გვ. 108). 19. „მნათობში“ (ლაპარაკია ნიკო ავალიშვილის ძველ მნათობზე ი. გ.) იბეჭდებოდა სოსიკო ბაქრაძის ფსევდონიმით. (სოფ. მაგლობლიშვილი. „მოგონებანი“ – 1938 წ. 207). 20 ვიქტორ ჰიუგო. „ლოცვა ყველასთვის“, (დიდი ლექსია) თარგ. ი. ბაქრაძისა. („ცნ. ფურც.“, დამატება, 1903 წ., № 80, 1 იანვ.). 21. „სოსიკო ოქრუაშვილი“, [ი. ბაქრაძეა?] (იხ. ფსევდ. გახსნა „ივ.“. 1877, № 14. იხ. ეგზემპლ. საჯარო ბიბლიოთეკ. № 2905. 1. იხ. ლექსი (მიზამძვა) „ჩვენებური ექიმი“ („ივ.“. 18977, № 9). 2. იხ. ლექსი... (დიდი ლექსი) № 12 („არც სახლი აქვს, არც კარი“ № 14). 3. „ღმერთმა დამიხსნას, ღმერთმა დამიხსნას“.

ი. გრიშაშვილის მიერ რვეულის ფურცელზე გადაწერილია ი. ბაქრაძის ლექსი:

„შენ გაიარე ქვეყნის გზა ბნელი,  
და გადაუდექი ახლა სხვა გზასა,  
მამულიშვილო! მხარე მშობელი  
არ დაივიწყებს შენსა ამაგსა.  
ის შენ გახადე თავისუფალი  
და მას შესწირე სიცოცხლე, ხმალი.  
შენ მოკვდი, მაგრამ სანამ გვექნება  
ძმობა, ერთობა, პატიოსნება,  
მანამდისინა შენი სახელი,  
ყველა ჩვენთაგანს ემახსოვრება

და შენი სისხლი, მტრებთან დაღვრილი,  
ჩვენ მაცხოვრებელ წყაროდ იქნება.

—

როს მამულის მტერს გაუმკლავდებით  
ჩვენ მოვიგონებთ შენსა სახელსა.  
ქალწულნი ქალნიც თავის ნაზის ხმით  
დაიმღერებენ შენს დიდებასა  
და მაშინ მტერი შენსა მამულსა  
ველარ დაუწყებს ფეხით ქელვასა“.  
ი. ბაქრაძე.

„(იხ. ნ. გოცირიძის ძმის ხელნაწერი დავთარი გვ. 53, ეს დავთარი გადაწერილია 1886 წ. ი. გრ.)“.

წიგნში ჩადებულია ჟურნ. „მოამბის“ ერთი ფურცელი ი. ბაქრაძის მიერ თარგმნილი ლექსით – „ნადსონიდან: „ძმავ – მეგობარო, მაშვრალო-ტანჯულო“, 1894 წ.“.

478. ბაქრაძე პ. ბედკრული ტყვე უცხოეთში [ლექსები]. თბ., 1920.

479. ბაჩანა. დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა (ლეგენდა). თბ., 1890.

480. ბაჩანა. დიაკვნისანი. პოემა. თბ., 1902.

თვითნაკეთ კანზე მიწერილია: „ბაჩანა. „დიაკვნისანი“. (გარდაიცვალა 17 დეკემბერს 1927 წ. 61 წლისა) ი. გრ.“

წიგნში ჩაწებებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 1927 წ. 18 დეკ. ნომრიდან ამოჭრილი ცნობა „პოეტ ბაჩანას გარდაცვალება“.

გვ. 96. ხაზგასმულია: „პწკალზედ“ და „ეხში“. არშიაზე: „იხ. გარეკანი ბოლოში“, მიწერილია: „პწკალი – ბრჭყალი, ჭანგი; ეხი – გამოქვაბული, მღვიმე; ხოლო პწკალზე – „მზათ ყოფნა“, „ყალყზე შემდგარი“.

481–482. ბაჩანა. ლექსები. პოემები. თბ., 1938.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1938, 1/VII“. იქვე: „რ. ერისთ. ლექსი ბაჩანასადმი. იხ. რ. ერისთ. გვ. 210 სახელგამი. I.–2. მშვიდობით წადი ბულბულო. 24, 3. „ყეფა“ – 476, 4. ხარბი თვალი. ეს ლეგენდა უკრაინელებსაც აქვთ (გვ. 60). „სანამლეო“.

გვ. 24-25. ჩასწორებები და მინაწერები ეხება ლექსს „დაბარებული“. ხაზგასმულია: „ბულბულო... ბულბულო... შოთასა“. და ის სიტყვები, რომლებიც ი. გრიშაშვილს სხვა სიტყვებით შეუცვლია: „ჩვენს მიერ“ – შეცვლილია სიტყვით: „სამშობლოს“; „საქართველოში“ – შეცვლილია სიტყვებით: „ქართლის მხარეში“.

გვ. 24. არშიაზე: „აკლია ორი სტრიქონი. იხ. „ჩანგი“, 154. „სმაჭამით ღორს ვინა სჯობს, თუკი პირველი საქმეა?“ ჩამატება მითითებულია მე-16 სტრიქონის შემდეგ. ლექსის ბოლოს მიწერილია: („იხ. „კვალი“, 1893 წ., 37. იქაც სხვანაირადაა და „თეატრი“, 1889 წ., № 25, 27 და „ჩანგი“, 154)“. აღნიშნულ გვერდებს შორის დევს ქალაქის ფურცელი მინაწერით: „ბაჩანას ლექსი: „მშვიდობით წადი ბულბულო“, („თეატრი“, 1889, № 25–27)“.

გვ. 60. მოხაზულია ლექსის – „სანამლეო“-ს პირველი სტრიქონები სათაურთან: „(ხარბი თვალი)“. არშიაზე: „დაიბეჭდა პირველად „მოამბეში“, ი. გრ.“

გვ. 97. ლექსის „მთამა ჰოქვა“ დაწერის თარიღთან კითხვის ნიშანი და ფანქრით: „ერი“, 1910 წ., № 1“.

გვ. 536. არშიაზე: „ხალხურია?“

ბოლო ფორზაცზე: „აკლია ბევრი ლექსი (?) 1. გვ. XI. გუგული (აქ აკლია ორი სტრიქონი) 153. „ჩანგი“, (გვ. 24). 2. პატარა მთიელის ნატვრა. (იხ. „დედაენა“, გვ. 259). 3. ვერცხლისა თასად მაქცია, 536. 4. პატიოსნება და მსჯავრი. („სახალხო ფურც.“ სურ. დამატება, 1916, № 91). 5. სიყვარულის სამეფოში (იქვე, № 105)“.

წიგნში დევს ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან: 1. „სახალხო ფურცლის“ სურათებიანი დამატებიდან, 1916, № 105. ბაჩანას ლექსი „სიყვარულის სამეფოში“. 2. სოლ. ცაიშვილის წერილი „ბაჩანა“, მინაწერით: „კომ.“, 1938, 17/XII. 3. სოლ. ცაიშვილის წერილი „ბაჩანა“, მინაწერით: „საბჭოთა მასწავლებელი“, 1938 წ., № 85“.

წიგნში ცხრა ქალაქის ნაჭერი დევს ბიბლიოგრაფიული ცნობებით ბაჩანას ნაწარმოებების შესახებ.

483. [ზახტაძე ლ.] ხონელი ლ. ბარიკადების ხსოვნას. (1905–6 წ.წ.). ქუთაისი, 1927.

484. [ზახტაძე ლ.] ხონელი. გულის გუგუნი. პოემა და ლექსები. ტფ., 1930.

485. ზახტაძე ლ. (ხონელი). ტუსაღის სიმღერა და სხვა ლექსები. ქუთაისი, 1930.

486–487. ბეგაშვილი ა. ახალი ლექსები. [რედ. ი. გრიშაშვილი]. თბ., 1960.

თავფურცლის მეორე გვერდზე წარწერა: „ქ-ნ ქეთოს და ბ-ნ სოსოს, ამ წიგნის მოამაგეს. დიდ პოეტს უღრმესი პატივისცემით, სიყვარულით. ალ. ბეგაშვილი. 3/XII 60“.

გვ. 50–51 ჩანიშნულია ლექსი „ი. გრიშაშვილი“.

მეორე ცალის თავფურცლის მეორე გვერდზე წარწერა: „ბ-ნ ამირანს, ამ წიგნის მოამაგეს, საუცხოო ადამიანს, ჩემს კეთილ მეზობელსა და უფროს მეგობარს, უღრმესი პატივისცემისა და მადლობის ნიშნად. ა. ბეგაშვილი. 12/XII 60“.

488. ბეგაშვილი ა. ლირიკული ფურცლები. თბ., 1958.

თავფურცლის მეორე გვერდზე წარწერა: „დიდ, სახელოვან, საყვარელ პოეტს, საყვარელ ადამიანს იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. ა. ბეგაშვილი, 19/, 12 58“.

489–491. ბეგაშვილი ა. ჩემი სიყვარული [ლექსები]. თბ., 1956.

კანის მეორე გვერდზე წარწერა: „ქართველი ხალხის დიდ პოეტს და ახალგაზრდობის დიდ მეგობარს – ი. გრიშაშვილს სიყვარულით. ავტორისაგან. 28. 8. 56“.

გვ. 38. ჩანიშნულია ლექსი „ი. გრიშაშვილს“.

492. ბეზარაშვილი ნ. მზიანი დილა [მოთხრობები]. თბ., 1956.

493. ბელიაშვილი ა. ერთტომეული [მოთხრობები]. თბ., 1954.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს უფროს მეგობარს, ქართველი ხალხის საამაყო პოეტს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით და სიყვარულით ვუძღვნი ამ წიგნს. ა. ბელიაშვილი. 11 მაისი 1955 წ.“

494. ბელიაშვილი ა. ახალი მოთხრობები. თბ., 1938.

495. ბელიაშვილი ა. ვეფხია ხალიბაური, რომანი. თბ., 1960.

ფორზაცზე წარწერა: „ჩემს უფროს მეგობარს და უსაყვარლეს პოეტს იოსებ გრიშაშვილს. პატივისცემით აკაკი ბელიაშვილი. 1961 წელი თებერვალი“.

496. ბელიაშვილი ა. თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. თბ., 1945.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1946. 6 I“.

კანის მეორე გვერდზე: „163 ტანმორჩილი არა სჯობია?“. ამავე გვერდზე ხაზგასმულია: „ქონდრის კაცის ოდენაო“... არშიაზე კითხვის ნიშანი, მიწერილია „ტანმორჩილი. ი. გრ.“

497–499. ბელიაშვილი ა. თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. წ. 1–3, თბ., 1948.

წგ. 1 ფორზაცზე: „ი. გრ. 1948. 5/V“.

500. ბელიაშვილი ა. თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. რომანი. მე-2 გამოც. თბ., 1950.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1950 8/XII გამოვიდა“.

501. ბელიაშვილი ა. იუმორი. თბ., 1946.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას იოსებ გრიშაშვილს, ჩემს საყვარელ პოეტს და შესანიშნავ მეგობარს წიგნი ესე სახსოვრად, საამოდ და გასართობად. ა. ბელიაშვილი. 19/V 46 წ.“

იქვე: „P. S. ბოლოში რეცენზიაა ჩაკრული“.

ყდის მესამე გვერდზე გაზეთიდან ამონაჭერი გ. ნატროშვილის წერილი „უიმედობის ტყვეობაში“, მინაწერთ: „ლიტ. და ხელ.“, 1946 წ., № 46, დეკემ.“.

502. ბელიაშვილი ა. მხიარული მოთხრობები. სატირა, იუმორი, პამფლეტი [თბ.], 1959.

503. ბელიაშვილი ა. ნოველები. თბ., 1951. ყდაზე: „რეცენზიით. ი. გრ. 1952, 5/I“. გაზეთიდან ამონაჭრები: 1. ა. ლომიძის რეცენზია, მინაწერთ: „ლიტ. და ხელ.“ 1952 წ., № 5, 1 თებერვ.“ 2. შ. აფხაიძის რეცენზია „Новеллы Акакия Белиашвили“, მინაწერთ: „Заря“, 1952 г. № 74“.

504–505. ბელიაშვილი ა. ოქროს ჩარდახი. რომანი. თბ., 1952.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. 20/XII“.

506. ბელიაშვილი ა. პატარა ნოველები. თბ., 1942.

507. ბელიაშვილი ა. საიდუმლო გამოქვაბული [მოთხრობები]. თბ., 1956.

508. ბელიაშვილი ა. ტარხუნის კრიტიკა. თბ., 1956.

509–511. ბელიაშვილი ა. უღელტეხილი. რომანი. თბ., 1956.

512. ბელიაშვილი ა. ძალა სიყვარულისა. მოთხრობები და ნარკვევები. თბ., 1957.

513. ბეჟანიშვილი რ. გარეუბნელი მეზობლები. მოთხრობები. თბ., 1960.

514. ბეჟანიშვილი რ. სამამულე რქა, რომანი. თბ., 1959.

515. ბეჟანიშვილი რ. ჯარისკაცის ბედი. რომანი. თბ., 1954.

516. [ბერაძე ვ.] ხოზიკა. „ინფორმაცია“. ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 5/V“.

517. [ბერაძე ვ.] ხოზიკა. პოლიანდრე რიკრიკაძე. პატარა ფელეტონები [ლექსად]. თბ., 1959.

კანზე ავტორის ქვეშ: „(ვლადიმერ ბერაძე)“.

518. ბერიძე ი. უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებთაგან. ამონაჭრები: „საქ. მოამბე“-დან. 1863 წ., №№ 7, 8, 9.

519–520. ბერიძე ილია. მომვლელი ქალი. შურისძიება. გადმოკეთებული. ქუთაისი, 1916.

კანზე ბეჭედი: „წიგნის მალაზია ზუგდიდში „ოდიში““.

მეორე ცალის გვ. 24. ტექსტის ბოლოს ყოფილი მფლობელის ხელწერა: „პ. გუგუშვილი“.

521. ბერიძე ილიკო: ლექსები [თბ., 1914].

კანზე: „იშვიათია“

ფრონტისპისზე: „1914. გარდაიც.“

გვ. 3. ყოფილი მფლობელის ხელწერა: ელიზბარ შათირიშვილი. „ხარფუხი“.

522. ბერიძე ინეზა. ჩემი შვილები [ლექსები]. ბათუმი, 1953.

523. ბერიძე ნ. გამოგონება. ვოდვეილი 1 მოქმ. (გადმოქართულებული). ქუთაისი, 1910.

524–525. ბერიძე ო. ქალი ესთერი. გადმოკეთებული. ახალ-სენაკი, 1899.

526. ბეროშვილი ი. სალამური ღულუნებდა. ლექსები. თბ., 1957.

527–528. ბეროძე რ. პირველი ფრენა. ლექსები. თბ., 1961.

თავფურცლის მე-2-გვერდზე წარწერა: „ბატონ იოსებს – ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს, ლამაზი სულის ადამიანს მოწიწებით ვუძღვნი ამ პატარა წიგნს. რუთა ბეროძე 25. X 61 წ.“

529. ბერულავა ხ. ერთტომეული. ლექსები. პოემები. თბ., 1957.

530–531. ბერულავა ხ. რჩეული [ლექსები, პოემები]. თბ., 1959.

ფორზაცზე წარწერა: „ქართველი ხალხის საყვარელ მგოსანს, ქართული პოეზიის სიამაყეს – ი. გრიშაშვილს, ღრმა პატივისცემითა და გულითადი სურვილებით. ხუტა ბერულავასაგან 1960 11/2“.

532. ბერულავა ხ. დღეები [ლექსები]. სოხუმი, 1950.

533–534. ბერულავა ხ. ზღვის სუნთქვა [ლექსები]. რედ. ი. გრიშაშვილი. სოხუმი, 1948.

კანზე: „ჩემი რედაქციით. ი. გრ.“

მეორე ცალის კანზე: „ჩემი რედაქტორობით. მივიღე 1948, 4/XII, ი. გრ.“

წიგნში ჩადებულია ბანდეროლი ი. გრიშაშვილის მისამართით.

535–536. ბერულავა ხ. ლექსები. თბ., 1947.

ფორზაცზე წარწერა: „ქართული პოეზიის სიხარულს ი. გრიშაშვილს, უნაპირო სიყვარულით, უსაზღვრო პატივისცემით. ავტორი. 9. III-47 წ. ქ. თბილისი“.

წიგნში დევს კონვერტი, გაზეთების ამონაჭრებით: 1. გ. გაბუნიას რეცენზია „ბერულავას ახალი ლექსები“, მინაწერით: „საბჭ. აფხაზეთი“, 1947 წ., 20 თებ., № 37, ი. გრ.“ 2. საგაზეთო ცნობა „ლიტერატურული საღამო“, მინაწერით: „საბჭ. აფხაზეთი“, 1947, № 40, 25/II“. 3. საგაზეთო ცნობა. „ხ. ბერულავას წიგნის განხილვა“, მინაწერით: „საბჭ. აფხაზეთი“, 1947, 16 თებერვალი“.

537–538. ბერულავა ხ. ლექსები. თბ., 1948.

539. ბერულავა ხ. ლექსები, პოემები. [თბ.], 1954.

540. ბერულავა ხ. ლირიკა. თბ., 1958.

541. ბერულავა ხ. ორი პოემა. თბ., 1954.

542. ბერულავა ხ. რუსული გული. ლექსები და პოემა. თბ., 1951.

543. ბერულავა ხ. სამშობლოს სიყვარული [ლექსები]. თბ., 1944.

გვ. 41. ხაზგასმულია სიტყვა „მსტოვარის“, არშიაზე: „ჯაშუშია?“.

კანის მეოთხე გვერდზე: „ი. გრ. 1944. 23/VII“.

წიგნში ჩაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ხ. ბერულავას ლექსი „სიმღერა“, მინაწერთ: „კომ.“, 1944, № 150, 25 ივლისი.

544. ბერულავა ხ. სიყვარული შენი... [ლექსები]. თბ., 1961.

545–546. ბერძენიშვილი გ. ინანი. დრამა 4 მოქმ. და 10 სურ. თბ., 1955.

შმუცტიტულზე წარწერა: „სახსოვრად ბატონ სოსოს.

მე სიმღერა არ ვიცოდი,  
გრიშაშვილი მამლერებდა  
სიყვარული არ მჯეროდა –  
გრიშაშვილი მაჯერებდა.  
გრ. ბერძენიშვილი.

19-2.VI-55“.

547. ბერძენიშვილი გ. ლერწამი ქარში. ლირიკული დრამა 4 მოქმ. და 10 სურ. თბ., 1958.

ფორზაცზე წარწერა: „პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს, პოეტს, ქართველი დრამატურგების მეგობარს. სახსოვრად, მოსაგონებლად. გრ. ბერძენიშვილი “ 19  $\frac{14}{X}$  58.“

548. ბერძენიშვილი გ. ოქროს ვერძი. პიესა 3 მოქმ. თბ., 1941.

549. ბერძენიშვილი გ. ქალაქის კაცი. სატირა. თბ., 1957.

550–552. ბესიკი. ლექსნი თქმულნი 1749–1791. თფ., 1885.

კანზე: „იხ. გარეკანის ბოლოს. იხ. გვ. 8. ი. გრ.“

გვ. 8. ალ. ჭავჭავაძის ლექსში „მასის ვარდმან ფურჩქენილმან ბესიკმან მწვანით მკობილმან“. – ხაზგასმულია: „ბესიკმან“ – და მიწერილია: „უნდა იყოს ბეზიკი. იხ. საბას ლექსიკონი – გვ. 31“.

იქვე ბარამ ბარათაშვილის ლექსში „შენი ბესიკი მაბრწყენი ჩემს გულს მოსალხენია“ – ხაზგასმულია: „ბესიკი“, მიწერილია: „უნდა იყოს ბეზიკი – ნიშნავს ელვარეს (იხ. საბა გვ. 31). ბეზიკი (ბ. ბარათოვის ლექსი იხ. ჩუბ. ქრისტ. გვ. 116)“.

ამის ქვემოთ დიმიტრი თუმანიშვილის ლექსში „ბესიკო. ეშხით მორთულო“, – ხაზგასმულია: – „ბესიკო“, მიწერილია: „ბეზიკო“. (დ. თუმანიშვილის ლექსი, იხ. ჩუბ. ქრისტ. გვ. 114)“.

თავფურცელზე: „ამ წიგნს – „ბესიკი“ – აუგად იხსენიებს „თეატრი“, (1885 წ., № 4, გვ. 41). წერილი მგონი დ. კეზელისა, ან ნ. ურბნელისა. აქა სწერია, რომ ასპინძას ომი ნაკლულად დაბეჭდაო და ზოგიერთი ლექსი ბესიკში აურევიაო. – ი. გრ.“

გვ. გვ.: 32, 36, 38, 39, 40 მოთავსებულ ლექსებს მიწერილი აქვს: „ეს არ არის ბესიკის“.

კანის მესამე გვერდზე: „აქ ბევრი ლექსი ბესიკისა არ არის! ი. გრ.“

მეორე ცალის კანზე: „ყველგან არის. ი. გრ.“

553–554. ბესიკი [ლექსები]. ს. რ. გორგაძის რედ. თბ., 1912.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილის ქართ. სიტყვა–კაზმულ მწერლობის საზოგადოებისგან. იქვე: „გრ. რცხილამის ხელია. 1912 წ. 10/10 ი. გრ.“

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი. აქ მაჯნუნის ლექსებია. მაჯნუნი, გვ. 5, 48, 54. ანგელი, გვ. 13, პოსლანიკი, გვ. 176“.

გვ. 3. ხაზგასმულია: „იაზედ“, მიწერილია: „იარზედ (იარი – საყვარელი)“.



გვ. 9. ხაზგასმულია: „მკვდარი ბესიკი“ და მიწერილია: „იხ. გვ. 11“. სქოლიოში შენიშვნა, რომელიც ეხება ლექსს „მიჯნური“ – „ამოღებულია ზ. ჭიჭინაძის კრებულიდან (გვ. 56)“. და მიწერილია: „ეს ლექსი ზ. ჭ-მემ ამოიღო „სალხინო საზანდრიდან“, იხ. გვ. 25 (1895 გამოც.)“.

გვ. 19. ხაზგასმულია: „პავლეს თქმულისა!“ მიწერილია კითხვის ნიშანი და „იქნება“.

გვ. 21. სქოლიოში ხაზგასმულია: „ჭიჭინაძის გამოცემაში (გვ. 55)“ და მიწერილია: „სალხინო საზანდარი“, გვ. 17“.

გვ. 27. ლექსის ბოლოს „\*) აკლია ბოლო, რომელიც მოთავსებულია „სალხინო საზანდარის“ 37 გვ-ზე“.

გვ. 40. ხაზგასმულია: „ზ. ჭიჭინაძის“ და მიწერილია: „სალხინო საზანდარში“.

გვ. 44. ხაზგასმულია ლექსში სიტყვა „ლიმენს“, მიწერილია: „ნავთსაყუდელი? სადაური ლიმენი?“ მომდევნო სტროფში ხაზგასმულია: „ლალს მოეცვა ბარანის დარანი“, მიწერილია: „იხ. ლექსიკონი, 228. ბარანი, ალბად ადგილის სახელი იქნება, ან წყლისა, რადგან ლალი შეიძლება დარანში იყოს“. 228-ე გვ. ხაზგასმულია „ბარა“ და მიწერილია: „გვ. 3“.

გვ. 51. ხაზგასმულია: „შაჰშრა“, მიწერილია: „შაშპრა?“.

გვ. 62. პოემის „ასპინძის ომზედ“ სათაურთან: „ბესიკია?“.

გვ. 100. ხაზგასმულია: „თვალის მიდამო შეთითა“, მიწერილია: „ე. ი. ხელი მიიფარა თვალეზე, მოიჩრდილა“.

გვ. 105. სიტყვაში „ძალუა“ მოხაზულია „ძ“. მიწერილია: „ალბად აქ რძალუა უნდა“, ხაზგასმულია: „სალუას“, მიწერილია: „სალი – გული“.

გვ. 107. მოხაზულია: „საათში“, მიწერილია: „საათი როდის შემოვიდა საქართველოში? ბესიკისა“.

გვ. 183. ლექსის „მზე-ჭაბუკ ორბელიანს“ არშიაზე: „ეს ლექსი დაბეჭდილია აკაკის „კრებულში“, 1900 წ., № 1. გვ. 69“.

გვ. 204. სქოლიოში ხაზგასმულია: „ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში ეს ლექსი დაბეჭდილია მე-28 გვერდზე“. იქვე მინაწერი: „იხ. სალხ. საზანდარი“.

გვ. 205. ლექსის „გიშრის ნავნი“ ბოლოს ფანქრით: „დიმიტრი თუმანოვის ლექსია“.

გვ. 206. ლექსის „მშვენიერთა ხელმწიფევ“ – სათაურთან: „ა. ჭ-მესაც აკუთვნებენ“. სქოლიოში ხაზგასმულია: „ზ. ჭიჭინაძეს ეს ლექსი მოთავსებული აქვს...“. მიწერილია: „სალხ. საზ.“

გვ. 207. ლექსის – „მშვენიერთა ხელმწიფევ“ – ბოლოს ფანქრით: „ეს ლექსი მოთავსებულია ალ. ჭავჭავაძის „ლექსთა კრებულში“. გვ. 114. მოვათავსებ ჩემს გამოცემაშიც. ი. გრ. 1925. 10/VI“.

გვ. 228. სიტყვათა განმარტებაში: „დარანი, გამოღრუტნული კლდე ან მიწა“, მიწერილია: „(წყალში)“.

გვ. 229. ხაზგასმულია: „მასმორი, კუკულა“. მიწერილია: „მაყალი“.

გვ. 232. ხაზგასმულია: „ფორი, იხ. ფონი“. ფანქრით: „ფირი“.

სიტყვათა განმარტების ბოლოს მიწერილია: „(გამოტოვებული სიტყვები: ხინკალი; ქუმელი; წვივი; ხენეში, დამპალი (სომხ.); ყიზილბაში (საკუთრივ)-წითელთავიანი; ქურთუკი [ფანქრით, მიწერილია „სურთუკი“]; ფირი – სახე, ნიშანი ალამზე; მყარი – მაგარი, მტკიცე; მარალი, ტეირანი; ზარიფი, სათუთი, ნაზი; ერანი; ალთაფა; ყალია;

საფირონი; მარმარი – მარმარილო; თუჟი – თუთიყუში, ზორაყი; ჭოგრი – დურბინდი; ნიშაბური – ქალაქია სპარსეთში; მანგი – მთვარის სახე, აგრეთვე ქვა ძვირფასი; თანგი ანუ თარანგი – ხმალთა და თავთა სალტე; რაზი – თანხმობა; მალალი – хрупкий; ფოლორცი, გვ. 103, 105“.

სარჩევში გვ. II. ლექსთა სათაურებს: „მშვენიერთა ხელმწიფევ“; „პირ ზამბახნი“; „შევკრთი როს ვნახე“; „რხევით ნაზო“ – აქვს მინაწერი: „სკანდარ.“

ხაზგასმულია ცალკეული სიტყვები სქოლიოში, ლექსში, მოხაზულია ადგილები, მიწერილია კითხვის ნიშანი.

წიგნში ჩადებულია: 1. გაზეთის ამონაჭერი „ბესიკის გარდაცვალების 150 წლისთავისათვის“. არშიაზე: „კომ.“, 1940, 6 ივნისი“. 2. ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ბესიკის ორი ლექსი“. („ივერია“, 1889, № 198), პუბლიკაცია – ეგრი-ს (თედო ჟორდ.)“. 3. მოსაწვევი ბარათი ბესიკის გარდაცვალების 150 წლისთავის აღსანიშნავ სადამოზე, მინაწერით: „ბესიკის ლექსების დეკლამაცია – ი. გრიშაშვილი“. 4. ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ზ. ჭ-მე ბესიკზე (იხ. „თეატრი“, 1885, № 4, გვ. 41, განყ. „ჩვენებური ამბები“)“.

555–556. ბესიკი. ლექსები. ტფ., 1926.

557–560. [ბესიკი]. გაბაშვილი ბ. თხზულებათა სრული კრებული. მე-3 გამოც. ტექსტი, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედ. ტფ., 1932.

სუპერზე: „ი. გრ.“ ავტორთან მინაწერი: „(1751–1791) 40 წლის გარდაიც.“

ყდის მეორე გვერდზე: „მიწურვილობდა. გვ. 14“.

ფორზაცზე წარწერა: „ღრმად პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს რედაქციისაგან. 1932“. შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1933. 14/II“.

გვ. 12. ლექსის სათაურთან „ცრემლთა ისარნი“, წერია: „მაჯუნნი“.

გვ. 14. აღნიშნულია ლექსი „მიწურვილობდა ზამთრისა ჟამი“ და სათაურის გასწვრივ: „ა. ჭ.“

გვ. 76. ხაზგასმულია სიტყვა: „ჭაბუკა“, გასწვრივ მინაწერი: „იხ. შეცდომის გასწორება“.

გვ. 205. არშიაზე: „იხ. „ძველი საქართ.“, ტ. II, გვ. 76, მე-V-ე განყ.“

წიგნში დევს კონვერტი, რომელშიც თავმოყრილია: 1. ფურცელი ჩანაწერებით: „ჩვენში არ აკვირდებიან ბოლოში გართმულ გვარს. მაგ. ბესიკში გვ. 20, 21, 22 და 23 მოთავსებული ლექსები მაჯუნს ეკუთვნის. ორში ერთი ან მაჯუნნი ბესიკის ფსევდონიშია, როგორც ყარიბი, ან ამ სახელით სხვა პოეტი უნდა ვეძიოთ. ლ. მელიქსეთ-ბეგსაც ასე აქვს თავის საიათნოვაში. (იხ. დამატება (?) ეს მე ვუთხარი ლეონს“. იქვე: „1. ბესიკი. 2. ყარიბი. 3. მაჯუნნი. 4. ბესარიონ. ა. ჭ. „ლექსები“ და ა. ჭ-მესაც ამ ი. (?)“.

5. ს. ფ-ლი-ს „მოხსენება ბესიკზე“, ამონაჭერი გაზეთიდან. არშიაზე: „4 ნოემბ., „კომუნისტი“, 1938, № 254“.

3. ს.-ლი-ს წერილი: „ბესიკი“, ამონაჭერი გაზეთიდან. არშიაზე ავტორის ინიციალების ქვეშ: „სიკო ფაშ.“ იქვე: „მუშა“, 1938, № 260, 13 ნოემბ.“

4. სტატია: „ბესიკის ეპოქა“ ამონაჭერი გაზეთიდან, არშიაზე: „მუშა“, 1937, 7 ივლისი, № 154“.

561. ბესიკი. ლექსები. პროფ. ალ. ბარამიძის წინასიტყვ. და რედ. თბ., 1940.
562. ბესიკი [ლექსები, ოდები და პოემები. ნარევი]. თბ., 1948.  
 ყდაზე: „ა. ჭ. გვ. 24“.  
 ფორზაცზე: „ი. გრ.“ იქვე: „ბესარიონ, ბესიკი, ყარიბი, მიჯნური-მეაჯნური – სხვადასხვა ავტორია?“ და კიდევ: „ერთი ლექსი ბესიკის არ არის იხ. 24. იგი ეკუთვნის ა. ჭ-მეს“.
- გვ. 11. ხაზგასმულია და აღნიშნული კითხვის ნიშნით სიტყვა: „მანტორ“, იქვე მინაწერია: „მაჯნუნ“.
- გვ. 24. ლექსთან „მიწურვილობდა ზამთრისა ჟამი“ მინაწერი: „ეს ლექსი ა. ჭავჭავაძისაა“. ლექსის ბოლოს 27-ე გვერდზე: „ა. ჭ.“
563. ბესიკი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედ. თბ., 1962.  
 ფორზაცზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტსა და მეგობარს ძვირფას იოსებ გრიშაშვილს. ა. ბარამიძე. 10.XI.62“
564. ბესიკი [გაბაშვილი ბ.] რუხის ომი, ამონაჭერი ჟურნალ „ცისკარი“-დან. 1861 წ., № 3, გვ. 369–389.
- გვ. 369. დაკრულია ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „ბესიკი. რუხის ომი. „ცისკარი“, 1861, № 3 ი. გრ.“
565. ზზიაშვილი გ. ჯალათი მამა [ტრაგედია]. თბ., 1925.  
 კანზე: „ი. გრ. იხ. 7“.
- გვ. 7. დაბეჭდილია კამოს ლექსი მეტეხის საკანის კედელზე დაწერილი 1907 წელს.
- 566–567. ბნელიძე ა. ბჭობა. წვლილი ლექსები. [ქუთაისი], 1902.  
 თავფურცელზე: „თბილისში არ არის“.
568. ბობოხიძე კ. ლექსები. ერთტომეული. თბ., 1952.  
 ფორზაცზე: „ლექსი ჩემდამი, გვ. 257, ი. გრ. 1952 წ. 9/XI“.
569. ბობოხიძე კ. ინდუსტრიული ლირიკა. ლექსები. [თბ.], 1929.
570. ბობოხიძე კ. ლექსების ლაშქრობა. ტფ., 1933.  
 თავფურცელზე: „ი. გრ. 1933. 10. IV“.
- გვ. 65. ლექსთან „ავტობიოგრაფიული“, მინაწერი: „ლექსი დისონანსებით“.
- გვ. 76. ლექსში „უკანასკნელი შეხვედრა“ ხაზგასმულია: „ძველ თანამებრძოლს ნუთუ შეშვენის ეწაფებოდეს ცხოვრებას ფაქიზს“; არშიაზე: „რატომ?“
571. ბობოხიძე კ. ლექსები. ტფ., 1938.
572. ბობოხიძე კ. რჩეული ლექსები. ტფ., 1932.  
 შმუცტიტულზე წარწერა: „ნიჭიერ და პოპულარულ პოეტს ამხ. ს. გრიშაშვილს პატივისცემით ავტორი. 31. I. 34“.
573. ბობოხიძე კ. ლირიკა. წიგნი 1. 1925–1940. თბ., 1940.  
 ფორზაცზე წარწერა: „ჩემს უსაყვარლეს პოეტს, მეგობარს და ადამიანს ამხ. სოსო გრიშაშვილს პატივისცემით ვუძღვნი ამ ჩემს წიგნს – ავტორი“.
- წიგნში დევს გაზეთიდან ამოჭრილი კ. ბობოხიძის ლექსი „თბილისიდან ლენინგრადამდე“ მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1941, № 5.“
- ფორზაცის მე-4 გვერდზე დაკრულია კ. ბობოხიძის ბარათი ი. გრიშაშვილისადმი: „სალამი სოსო! ძალიან მინდოდა შინ დამხვედროდით. გიტოვებთ ჩემს წიგნს. ფრიად

სასურველი იყო თქვენი გამოხმაურება ამ წიგნზე, თუნდაც პრესის საშუალებითაც კი, რადგანაც გულს გული იცნობს. იმედი მაქვს არ დაიზარებთ. კ. ბობ.“

574. ბობოხიძე კ. ნაკადულები და წყაროები. ლექსები. თბ., 1962.

575–576. ბობოხიძე კ. სიყვარულის სიმღერები [ლექსები]. თბ., 1954.

577. ბობოხიძე კ. სიცოცხლისათვის (ლექსები). თბ., 1945.

კანზე: „ჩემდამი მიძღვნილი ლექსები“.

578. ბო-პანი. არგვეთის გმირები დავით და კონსტანტინე. (კოლხიდის წარსულიდან). ისტ. პოემა. ქუთაისი, 1916.

579–580. ბოჭორიშვილი ა. ხაჭაპური. (Пирог). ვოდვეილი 1 მოქმ. რუს. გადმოკეთ. ქუთაისი, 1910. თავფურცელზე ავტ. შეცდომით: გოჭორიშვილი.

581–582. ბოჭორიშვილი მ. მეტეხი [მოთხრობა]. ტფ., 1922.

583. ბობუა ი. „გაუმარჯოს საქართველოს!“ ვოდვეილი 1 მოქმ. თბ., 1919.

584. ბუაჩიძე ვ. მოთხრობები. თბ., 1950.

585. ბუაჩიძე კ. ვარდი ასფურცლოვანი. – მკაცრი ქალიშვილები. – ეზოში ავი ძაღლია. – მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა. პიესები. თბ., 1962.

586. ბუქურაული ი. მირგველის ველი. „მცივა, მშიან!...“ სურათები. თბ., 1901.

კანის ყუა გაკეთებულია ი. გრ. ხელით.

კანზე: „წიგნი იოსებ მამულაშვილისა“. იქვე: „ასე ვაწერდი 1905 წელს. ი. გრ.“

587. ბუხნიკაშვილი გ. ათი წელი. პიესათა კრებული. ტფ., 1931.

588. ბუხნიკაშვილი გ. (გუგული). ასე იყო... წარსულის ქრონიკა 9 სურ. ტფ., 1929.

თავფურცელზე წარწერა: „სოსოს-გუგული. 10/XII“.

589. ბუხნიკაშვილი გ. დაზღვევა. პიესა 2 მოქმ. ტფ., 1929.

590. [ბუხნიკაშვილი გ.]. გ. ბ. დეზდემონას ცხვირსახოცი. ხუმრობა 1 მოქმ. თბ., 1940. სტეკლოგრ.

კანზე ავტორის ინიციალების ქვეშ: „[გ. ბუხნიკაშვილი]“. იქვე ბეჭედი: „საქართველოს სათეატრო მუზეუმი №...“

591. ბუხნიკაშვილი გ. თერთმეტი პიესა. ტფილისი-ბათომი, 1932.

592–593. [ბუხნიკაშვილი გ.] გუგული. კოოპერაციის გზით. პიესა 2 სურათად. ტფ., 1927.

თავფურცელზე გახსნილია ფსევდონიმი: „გუგული – (გ. ბუხნიკაშვილი)“.

594. [ბუხნიკაშვილი გ.] გუგული. მოგება. პიესა 1 მოქმ. ტფ., 1928.

595. ბუხნიკაშვილი გ. ნათლია ისიდორე. პიესა 1 მოქმ. გადმოკეთ. რუსულიდან. თბ., 1939. – ლითოგრ.

კანზე წარწერა: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკას პატივისცემით ი. გ. ნაზარიშვილი“.

596. [ბუხნიკაშვილი გ.]. გუგული. ოთხი პიესა. ტფ., 1932.

597. [ბუხნიკაშვილი გ.] (გუგული). პატარა პიესები. ტფ., 1931.

598–600. [ბუხნიკაშვილი]. გუგული. პიესები. ტფ., 1929.

კანსა და თავფურცელზე: „ი. გრ. 10. II. 1929“.

კანზე: „ჩემზე, იხ. გვ. 55. ი. გრ.“

601. [ბუხნიკაშვილი] გუგული. ჟანგი. პიესათა კრებული [თბ.], 1929.

კანზე: „ზაგეს, გვ. 90“.

602. ბუხნიკაშვილი გ. საქართველოს ოქტომბერი. აგიტ-მიმოხილვა 3 მოქმ. [თბ.], 1936.
- 603–604. [ბუხნიკაშვილი] გუგული. სესიას სიზმარი. ტფ., 1926.
605. ბუხნიკაშვილი გ. სიყვარულის ხვეულები. პიესა 1 მოქმ. რუსულიდან. თბ., 1940. კანზე წარწერა: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკას პატივისცემით ი. ნაზარიშვილი“.
606. ბუხნიკაშვილი გ. ფრიც და შაქრო. პიესა. ტფ., 1931.
607. [ბუხნიკაშვილი] გუგული. შეთქმულება. აგიტ-პიესა. ტფ., 1928.
608. ბუხნიკაშვილი გ. შემოდგომის თესვა. აგიტ-პიესათა კრებული. [თბ., 1930]. კანზე: „ი. გრ. 1931. 24 X“.
- კანის მეოთხე გვერდზე: „გუგული: „აშენდა კოოპერაცია“, სატირა 4 მოქ. (იხ. კოოპ. პიესათა კრებ. 1939 წ.). ს. ერთაწმინდელი: „აქტიური ქალი“, პიესა 2 მოქ. იხ. კოპ.-კრ. ბ. ჟღენტის წითელ... გზები ნ. ჩაჩავა. 3 მოქ...“
- 609–610. ბუხნიკაშვილი გ. შეშინებული ანთიმოზი. კომედია 2 მოქმ. [თბ.], 1935.
611. ბუხნიკაშვილი გ. შეშინებული ანთიმოზი. კომედია 2 მოქმ. თბ., 1940. – ლითოგრ.
612. ბუხნიკაშვილი გ. შეშინებული ანთიმოზი [სატირულ-იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1961.
613. [ბუხნიკაშვილი] გუგული. შეშინებული ანთიმოზი (სოფლის სურათი 1 მოქმ.) ამოღებული წიგნიდან: გვ. 37–47.
614. ბუხნიკაშვილი გ. წითელი ჯვარი. აგიტ-პიესა 3 მოქმ. ტფ., 1931.
615. ბუხნიკაშვილი გ. და გოგიაშვილი მ. სასოფლო რეპერტუარი. პიესათა კრებული. ტფ., 1930.
616. [ბუხნიკაშვილი] გუგული და გოგიაშვილი მ. სესხი. კომედია 3 მოქმ. ტფ., 1930.
617. [ბუხნიკაშვილი გუგული] და შარლი. კომისარი მოსკოვიდან. კომ. 4 მოქმ. ტფ., 1929.
- თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას სოსოს გუგული. 10/XII-29 წ.“
- ავტორთა ფსევდონიმები გახსნილია: „გუგული“ – „გ. ბუხნიკაშვილი“. „შარლი“ – „შალვა გაჩეჩილაძე“.
618. გაბაშვილი ე. თხზულებანი. ტფ., 1910.
- წიგნი საგანგებო ყდაშია. ყუაზე წიგნის სათაური და მფლობელის გვარი.
- თავფურცელზე: „ი. გრიშაშვ. ტფილისი. 22/II. 14 წ.“
- წიგნში დევს ეკ. გაბაშვილის წერილი დიმიტრი ყიფიანზე, ამოღებული ჟურნალიდან მინაწერით: „ჯეჯილი“, 1911 წ., № 12“.
619. გაბაშვილი ე. რჩეული ნაწერები. მოთხრობები. თბ., 1932.
- 620–623. გაბაშვილი ე. რჩეული ნაწერები. ორ ტომად. თბ., 1953–1960.
- ტ. 1. მოთხრობები. 1953.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 4/XII“.
- ტ. 2. 1960.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1960. 26 აგვისტო. ბორჯომი. (იხ. ლექსიკონი)“.
- გვ. 400. ხაზგასმულია „ჩასაკრავებით“. არშიაზე მიწერილია: „ჩახსაკრავებით“.
624. გაბაშვილი ე. მოთხრობები. თბ., 1936.
- ფორზაცზე: „ი. გრ. ივლისი. 12-ი, 1936“.

625. გაბაშვილი ე. სურათები გლახაკის ცხოვრებიდან. ტფ., 1888.  
წიგნში ჩადებულ ქალაქის ნაჭერზე წერია: „ეკ. გაბაშვილის წერილი. „საქართ.“, 1918, № 60“.
626. გაბესკირია ვ. ერთტომეული [ლექსები. პოემები. თარგმანები]. თბ., 1955.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1955, 29/VI“.
- გვ. 75. ლექსში „დაბრუნებული“ ხაზგასმულია რითმა „ირგვლივ – ჩირგვი“. არშიაზე: „ჩემი“.
- გვ. 76. ლექსში „ცხრა მაისს“ ხაზგასმულია სართომე სიტყვები: „მერევა-ბედნიერება“, მიწერილია: „ჩემიდან“.
627. გაბესკირია ვ. გაზაფხულის დილა. პიესა. თბ., 1955.
628. გაბესკირია ვ. ლექსები. ტფ., 1929.  
ფორზაცზე წარწერა: „ბ-ნ ი. გრიშაშვილს 3-თ ვ. გაბესკირია. ნოემბრის 16“.
- გვ. 22. უსათაურო ლექსის „მას შემდეგ მუდამ თავს გარიდებდი...“ მე-2 სტროფში ხაზგასმულია სართომე სიტყვები: „ჩანთა-სჩანდა“. მიწერილია: „იხ. გასტროლიორის თაიგული“.
- გვ. 23. უსათაურო ლექსის „არავის აფიქრებს ზღვის სიმარტოვე“... ბოლო სტროფში ხაზგასმულია რითმები: „დამიწვა-მიწას“, მიწერილია: „იხ. ჩემი: „ტფილისის მიწა“, კავკასიონი. № 1“.
- გვ. 42. ლექსში „მეჩონგურე“ ხაზგასმულია: „თქვენ ერთხელ მაინც თუ ჩაგივლიათ...“ სქოლიოში მიწერილია: „თუ ჩაგივლიათ სირაჩხანისკენ...“ იხ. ჩემი: „დუდუკის საარი“.
629. გაბესკირია ვ. ლექსები. წიგნი 2. თბ., 1940.  
წიგნში დევს ამონაჭრები: 1. მ. გ.-ს რეცენზია „ვიქტორ გაბესკირიას ლექსები“, მინაწერით: „მნათობი“, 1940, № 12“. 2. საგაზეთო ცნობა „პოეტ ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედების საღამო“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1941 წ., № 5“.
630. გაბესკირია ვ. ლირიკა. თბ., 1960.
631. გაბესკირია ვ. მამა და შვილი [პოემები]. თბ., 1958.
632. გაბესკირია ვ. მოულოდნელი სიხარული. პიესა 1 მოქ. თბ., 1947.
- 633–634. გაბესკირია ვ. უფსკრულთან. დრამა 1 მოქმ., 7 სურ. თბ., 1958.
635. გაბესკირია ვ. ქეთევან წამებული (დრამატ. პოემა). ბათუმი, 1946.  
გამოგზავნილია ბათუმიდან. წიგნში დევს საფოსტო უწყება, რომელზედაც წერია ი. გრ. ბინის მისამართი და გამომგზავნის მისამართი: „ბათუმი, ლუქსემბურგის ქ. № 32, 3. რურუა“.
636. გაბრუაშვილი დ. ბრძოლა არსებობისათვის. დრამატ. პოემა 4 მოქმ. და 7 სურ. ბატონ-ყმობის მოსპობიდან ორმოცის წლის სახსოვრად და სხვა პოემები და ლექსები. ტფ., 1905.  
კანზე: „ი. გრ. ლეგენდა ბორჯომზე. გვ. 154“.  
თავფურცელზე ბეჭედი: „Суфлиор Иосип Г. – Мамулов“.
- 637–639. გაბრუაშვილი დ. ლექსები. თბ., 1901.  
თავფურცელზე წარწერა: „ვუძღვნი ჩემი ქვეყნის სიამაყეს და სილამაზის მეფეს ამხ. ი. გრიშაშვილს. ავტორი. 3. XI-40 წ.“  
კანზე: „აქ მსახიობ ი. ივანიძის ლექსია მისი ხელით. „იხ. ყდა. ი. გრ. ეს წიგნი მიძღვნა ავტორმა. იხ. 106“.

კანის მე-2 გვერდზე ი. ივანიძის ხელით: „დათიკოს. იხილე ლექსი გვ. № 73.

„ახალ წელიწადს არ მოგილოცავ –  
ბევრი ჩანთქმულა ამოდ, ფუჭად,  
წუთით დამტკბარი ბევრნი მინახავს  
ახლა ქცეულან ნაცრად და მტვრად.  
სხვა გვარი მეკვლე მინდა რომ ვიყო:  
ჩვეულებრივსა არაფრით ვგვანდე,  
ვინატრი როგორც სიტყვით და საქმით  
მოდმის ჭრილობას სნებასა ვბანდე.  
მოურიდებლად გულის ნადულსა  
ჰაერი წმიდა ბაგეს სტაცებდეს –  
და სად დევნაა, ძალ მომრეობა  
იქ შხამ ნალველად წარიტაცებდეს.  
ეს რომ ასრულდეს – მაშინ მოგივალ  
გადაგეხვევი შენც მომე ხელი  
და ერთის აზრით, ერთისა სიტყვით  
ხალხს მიულოცოდ ახალი წელი. [1901]  
შენი ივანიძე“.

გვ. 106. ლექსის „ყანას“ ორი ნაბეჭდი სტრიქონის შემდეგ ავტორის ხელით წერია:

„ყანაო ოქროს გვირგვინო,  
ლამაზო ტურფა ყანაო,  
მაღალ ღირსების ხარისხით  
ვინ არის შენისთანაო.  
უეშხოდ ოქროც არ ვარგა  
და არც ზურმუხტი ლალები,  
გლახკაცის ოფლით ნაღვაწო!  
შეგხარის მისი თვალები.  
შენის იმედით სულდგმულობს,  
შენგნით მოელის ლხენასა  
მტერ მოყვარისა დახვედრას:  
აღტაცებ აღმაფრენასა  
და სხვა ვალების გადახდას,  
რასაც ვერ იტყვის ენაო  
გლახებსა მეტი რაღა გვაქვს,  
უშენოდ გამორჩენაო?  
ყანაო ოქროს გვირგვინო!  
შუქ ნათელ მფენო ყანაო!  
იმ ქვეყნის უკვდავებისთვის,  
ამ ქვეყნის გამოცანაო!.

ეს ლექსი ამ წიგნში შემთხვევით არ დაიბეჭდა. ავტორი“.

640–643. გაბრუაშვილი დ. ჩემი ქნარი. წიგნი 3. ძველი და ახალი რჩეული ლექსები. ტფ., 1929.

თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას ი. გრიშაშვილს. ავტორი. 19-24 V-29“.

644–645. გამსახურდია კ. თხზულებათა კრებული. ტ. 1–2. თბ., 1947–1948.

ტ. 1. მთვარის მოტაცება. ტრილოგია. 1947.

ტ. 2. დიდოსტატის მარჯვენა – დავით აღმაშენებელი [რომანები]. 1948.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1948 წ. 4/XI. წივწივაძემ მიფეშქაშა“.

646–648. გამსახურდია კ. რჩეული თხზულებანი. რვატომეული. ტ. 1, 2, 5. თბ., 1958–1961.

ტ. 1. მთვარის მოტაცება. ტრილოგია. 1958.

წიგნის ბოლოს: „ზოგიერთ სიტყვათა განმარტებაში“ ხაზგასმულია და კითხვის ნიშნით აღნიშნული ზოგიერთი სიტყვა, ზოგიერთის განმარტება შესწორებულია.

ტ. 2. [ნოველები. რომანები]. 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959. 1–VII“.

ტ. 5. 1961.

649. გამსახურდია კ. ბელადი. ტრილოგია. წ. 1. თბ., 1939.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1940. 12 I“. იქვე: „ვინძლო 8, ლიკლიკი 17, სირაჯები 12, ლულუნა, დაროგი 11“.

შმუცტიტულზე: „1. ანგალი 11, 2. ყასიდად 14, 3. ათადანზაბადან 16, 4. ელეთმელეთ 18“.

გვ. 7. მოხაზულია ბოლოდან მე-2 აბზაცი. არშიაზე გასწვრივ: „ვ. ბარნოვი“.

გვ. 8. ხაზგასმულია: „ყავრის და ლამფების სახურავების მწკრივებს...“ არშიაზე: „ლამფა ფიცარია“. აქვე მე-6 აბზაცთან მიწერილია: „ვ. ბარნოვი“. ხაზგასმულია: „სკივრისკენ“. არშიაზე: „სკივრზე ბაღლის ჩაწვენა?“ ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „კიმილები“. არშიაზე: „ამას თავისი სახელი ჰქვია: „ფიფინები“.

გვ. 11. 1-ლ სტრიქონში ხაზგასმულია: „ორი მცველი მეეტლეს მოჯდომოდა აქეთ-იქით...“ არშიაზე: „კოფოზე ერთი ადგილია მხოლოდ“. აქვე გვარი „ცოვიანოვი“ გასწორებულია: „წოვიანოვი“. ხაზგასმულია: „მოდოდა ზარების რეკვა“. არშიაზე: „ისმოდა, მოდიოდა რეკის ხმა“.

გვ. 12. 1-ლ აბზაცში მოხაზულია: „ღიპიანი მედუქნეები“, მიწერილია: „მედუქნეში რა იგულისხმება“. იქვე მოხაზულია სიტყვა „სირაჯები“. არშიაზე: „გორში სირაჯები არ იყვნენ, სამიკიტნოები კი“. მე-2 აბზაცში მოხაზულია: „ფილაქანზე“. არშიაზე: „ჰქონდა კი ქუჩას ფილაქანი?“ სტრიქონთან: „მახლობელ ჩიხში შელალეს ფარა“, მიწერილია: „(ბინდზე? სადამო ხანზე?)“.

გვ. 14. 1-ლ აბზაცში ხაზგასმულია: „ჭყლოპინებდა“, არშიაზე: „ჭყლოპინი – წყალში შეიძლება“.

გვ. 16. მე-2 აბზაცში ხაზგასმულია: „ჟამიდან ჟამზე“, მიწერილია: „ხამუმ-ხამუმ“. აქვე ბოლოში ხაზგასმულია: „ჰერი, ჰა“. მიწერილია: „ჰერიჰა!“

გვ. 17. მოხაზულია: „ჩადიოდა ქიტესას ყრონტში ლიკლიკით ღვინო“. არშიაზე: „ლიკლიკი კულიდან ისმის“.



გვ. 18. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „ცხორი რომ ჩუენი ნებით დაგვკლათ...“ არშიაზე: „პროტოკოლს ვინ ადგენს“. იქვე მიწერილია: „დაკოჭლებულს თავის ნებით არ ჰკლავენ“.

გვ. 19. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია: „უნაბისფრად“, მიწერილია: „ჩემიდან“. ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია: „ცარცისფერ“, მიწერილია: „გაცრეცილი?“.

გვ. 21. მე-3 აბზაცში ხაზგასმულია: „სახედაკენკილი“, მიწერილია: „ნაყვავილარი? ჩოფური?“

გვ. 23. 1-ლ სტრიქონში: „ციკანს გამოდგომია სოსო“ ეხება მინაწერი: „მაშასადამე კიდევ ბაღლია და ხითხითი?“

გვ. 26. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „გოზინაყი აჭამა“, მიწერილია: „ახალი წელია?“

გვ. 29. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „და მაშინ ძრწოდეთ ბნელეთის მოციქულებო...“ არშიაზე: „ნ. ლომოური: გიგო ღრუბელაშვილიდან“.

გვ. 61. სათაურში მოხაზულია: „ცხვირპაჭუა“. არშიაზე: „ეს იმასა ჰგავს, რომ სთქვა: „ფეხ-კოჭლი“, „თვალ-ბრმა“.

გვ. 95. ხაზგასმულია სათაური: „სარდათის კრივი“, მიწერილია: „ბოჰემა“.

გვ. 190. 1-ლ აბზაცში ყეენობის აღწერას მიწერილი აქვს: „ბოჰემიდან“. ხაზგასმულია: „პირში ორი კოჭი ჰქონდა“, მიწერილია: „კოჭი? პირში იმიტომ იდებენ ქვას ან კოჭს, რომ ენამოჩლექით ილაპარაკონ“. ხაზგასმულია: „ყომარბაზობდა“, მიწერილია: „ამ სიტყვის მნიშვნელობა არ სცოდნია“.

გვ. 191. ხაზგასმულია: „ციხის შესავალთან ფოტოგრაფიული აპარატი იდგა ძაძა გადაფარებული“. არშიაზე: „ეს ახლა დგას ასეთი აპარატები ქუჩებში. წინად სად იყო?“

გვ. გვ. 7–34. ხაზგასმულია ცალკეული სიტყვები, სტრიქონები. მიწერილია კითხვის ნიშნები.

ბოლოში ფორზაცზე წერია: „გვიმრისფერი 10, 12. ქედანისფერი, 11. ტალღისფერი 12. ბროწეულისფერი 19. ცარცისფერი 19“.

წიგნში დევს მოსაწვევი ბარათი ი. გრ. სახელზე კ. გამსახურდიას რომანის „ბელადის“ გამო გამართულ დისკუტზე დასასწრებად. ბარათს ხელს აწერს ი. აბაშიძე.

650–651. გამსახურდია კ. გოეტეს ცხოვრების რომანი. ტფ., 1934.

652. გამსახურდია კ. დავით აღმაშენებელი. სამკარიანი რომანი. კარი 1. თბ., 1942.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1942 წ. 12/IV. იხ. ჩემი შენიშვნები ბოლოში ყდაზე. ი. გრ.“

ყდაზე ბოლოში: „შეუფერებელი სიტყვები იმ ეპოქისათვის. 1. გაჯანჯლდნენ 260. 2. შინაბერა – 149. (შ. ძიძიგურმა სთქვა ეს სიტყვა მე მივეციო!). 3. „და“ 210. 4. ფანჩარა (!) 254. 5. ჰარისა – 22, 6. ლაზულის ფერი, 197. რუსული სიტყვა лазурный(?). 7. ენდროს რა ახსნა უნდა? თუ ხენი მაშინ ყვითელ ნაყოფს ისხამდა – გვ. 274. 8. მამლის ბოლო 12. 9. ეხო? გვ. 11“.

გვ. 7. ხაზგასმულია: „ძერასფერი“, მიწერილია: „რა ფერია ძერა?“

გვ. 13. ხაზგასმულია: „იქედნეს“, მიწერილია: „ექედნე-გველი (იხ. გვ. 16)“.

გვ. 18. სქოლიოში ხაზგასმულია: „სასათაული – ბალიში, დარბაზობის დროს დიდებულთა დასაჯდომი“. შესწორებულია: „დასაჯდომი კი არა უფრო თავდასადები“.

გვ. 19. ხაზგასმულია: „ტასტი“, მიწერილია: „წურწუმი?“

გვ. 22. სქოლიოში ხაზგასმულია: „ლულუფერი – სამკურნალო მცენარეა“, მიწერილია: „ლილიფარა – მზესუმზირაა“.

გვ. 30. ხაზგასმულია: „ქალურად გადაცმული შეისწრეს დედოფალთან მახარაი“, მიწერილია: „ბაირონის „დონ-ჟუანი!“

გვ. 53. სქოლიოში ხაზგასმულია: „მეროჭიკე ბერი – სამადლოს მოსაგროვებლად მოგზაური ბერი“, მიწერილია: „როჭიკი – ჯამაგირს, გასამრჯელოს ნიშნავს“.

გაზეთის ამონაჭრები: 1. ბ. ჟღენტის რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1942 წ., № 28, 10 ივლისი“. 2. იგივე რეცენზია რუსულ ენაზე მინაწერით: „Заря“, 1942, 28 აგვისტო, № 204“. 3. ვ. წულუკიძის „Диспут о романе К. Гамсахурдиа „Давид Строитель“, მინაწერით: „Заря“, 1943, № 22.

653–655. გამსახურდია ვ. დავით აღმაშენებელი. ტრილოგია. წ. 1–3. თბ., 1942–1953.

წ. 1. 1942.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1942. 1/XII“. იქვე: „შეცდომაა: „ჰარისა“, გვ. 497. ენდრო, 477. კირითხურო, 481. როჭიკი, 483. ქონდაქარი, 491, 493“.

გვ. 469. ხაზგასმულია: „რომანებში მე დამჭირდა ასეთი მოუცილებლად საჭირო სიტყვების გაცოცხლება, როგორცაა: მალემსრბოლი, პიტაკი, მსტოვარი (თანადროული სიტყვის ჯაშუშის ნაცვლად), თანგირი მილის წყლისა, ე. ი. საშუალ საუკუნის წყალსადენისა, ქონგური კოშკისა, თორი და სხვა“, მიწერილია: „როგორ? ამ რომანამდე მკვდარნი იყვნენ ეს სიტყვები?“.

აზნაგში: „შეუძლებლად ვცანი საქართველოს სამეფო კარის საკმაოდ რთული იერარქიის: ვაზირთა უპირველესის, ქონდაქართ-უხუცესის, ციცხვთუხუცესის, ჩუხჩის და ა. შ. თანადროული ტერმინებით შეცვლა...“ ხაზგასმულია: „ჩუხჩის“, მიწერილია: „იხ. კ. კეკელიძის წერილი“.

გვ. 472. სტრიქონში: „მე არ მიყვარს სხვის მიერ გამოთქმული ანდაზების მოშველიება“, მოხაზულია: „სხვის მიერ“, წერია: „ვინ არის ეს სხვა? (ხალხი)!“.

გვ. გვ. 473–497. შენიშვნებში და განმარტებებში ზოგიერთი სიტყვა ხაზგასმულია, მიწერილია: „ხაზგასმულებს ახსნა არ უნდა: ცნობილი სიტყვებია“.

გვ. 481. მოხაზულია: „კირითხურო-კალატოზი“, წერია: „ქვითხურო (ასე აქვს ივ. ჯავახიშვილს)“.

გვ. 489. ხაზგასმულია: „სმარაგდისფერი – სმარაგდი, ან სამარაგდო, თვალთა პატოსანი“, მიწერილია: „თვალთა, მაგრამ რა ფერის თვალთა? – მომწვანო“.

გვ. 491. „ყაბაჩა – ზემოსაცმელი ძველებური“. აწერია: „როგორი?“

გვ. 494. ხაზგასმულია: „ჭოჭი – ჭაობი“, მიწერილია: „ჭოჭი – დაღვრილი წყალი“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე ფანქრით: „მარდს აქცევდნენ, გვ. 153. ხვანჯარი შეიკრა, 154. ომახიანი ფიგურა, (?) 466, ოინბაზი, 475, 484. მიზრაფი – 483. ნალბანდი – 484. პეწი 486. რუბინი? 487. ფაშფაშა, 454. ოჯახქორი – 423“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. ვ. გამსახურდიას წერილი „ტევტონური სიმბაგე“, მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნება“, 1943 წ., № 9, 17 დეკემბერი“. 2. ნაწყვეტი ვ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლიდან“ „ეპისტოლე სინანულისა“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1942, № 37. 3. ვ. გამსახურდიას სიტყვა წარმოთქმული „დავით აღმაშენებლის“ გარჩევისას, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1943 წ., № 1“. ნაწყვეტი „დავით აღმაშენებლის“ მეორე ნაწილიდან გამოქვეყნ. „ლიტ. საქართველოს“ 1942 წ. 1 აგვისტოს ნომერში. 5. „დისპუტი კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დავით აღმაშენებლის“ გარშემო“. გამოქვეყნ. „ლიტ. საქართველოს“ 1943 წ., 10 იანვრის № 1-ში“. 6. საგაზეთო მიმოხილვა

„დისპუტი კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დავით აღმაშენებლის გარშემო“, მინაწერით: „კომ.“, 1943, 29 იანვ.“. 7. სხვადასხვა ხასიათის მასალა დავით აღმაშენებლის შესახებ რუბრიკით: „შევისწავლოთ ჩვენი სამშობლოს ისტორია“, გამოქვეყნ. გაზ. „ახ. კომუნისტის“ 1941 წლის 27 აპრილის ნომერში. 8. ბ. ჟღენტის მოხსენება „დავით აღმაშენებლის“ გარშემო გამართულ დისპუტზე, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1943, № 1“. 9. დ. ბენაშვილის რეცენზია „დავით აღმაშენებელი“, მინაწერით: „კომ.“, 1944, № 36, 20 თებ.“. იგივე ჩაკრულია წიგნის ბოლოს, ფორზაცთან. 10. ვ. წულუკიძის მიმოხილვა „Диспут о романе К. Гамсахурдиа „Давид Строитель“, მინაწერით: „З. В.“, 1943, № 22, 28 იანვ.“.

წიგნის ბოლოს ჩაკრულია საგაზეთო ცნობა ვ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნის გამოსვლის შესახებ, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1942, № 11, 15 მარტი“.

წ. 2. 1948.

წ. 3. 1953.

656–657. გამსახურდია ვ. დავით აღმაშენებელი. ტეტრალოგია. თბ., 1954–1955.

წ. 1. 1954.

ფორზაცზე: „იხ. ლექსიკონი“.

გვ. 463. ხაზგასმულია: „კუმანებს უწოდებენ „ყიფჩაყს“ (ეს სიტყვა არ მომეწონა ორი ყარის ერთ სიტყვაში შეხვედრის გამოც)“. არშიაზე: „ყიფჩადი უნდა დარჩეს“.

გვ. 465. ხაზგასმულია: „ავანდასტა“, მიწერილია: „ავანგდასტა (დასტა-მკლავი). ორი სიტყვისაგან შესდგება“.

გვ. 466. სიტყვასთან: „აჯა-სათხოვარი“ მიწერილია: „თხოვნა“.

გვ. 467. ხაზგასმულია: „გალა – ანცმა“, მიწერილია: „აცმა“. ხაზგასმულია: „დაბებკილი“, მიწერილია: „დაძონძილი“.

გვ. 470. ხაზგასმულია: „ზეზი – ძაფი“, მიწერილია კითხვის ნიშანი და „მუშკი?“

გვ. 474. ხაზგასმულია: „მეროჭიკე“, მიწერილია: „როჭიკი – ჯამაგირი“. სიტყვასთან „მეწალე“ მიწერილია: „მექალამნე“.

გვ. 475. ხაზგასმულია: „მოქლონი – ბოქლომი“, მიწერილია: „კლიტე“. ხაზგასმულია: „მდამიობი“, მიწერილია: „(საბა)“.

გვ. 477. ხაზგასმულია: „ძვირფასი ნაქსოვი“ და მიწერილი: „ატლასი“.

გვ. 483. ხაზგასმულია: „ქონდა-ქარი, მცველი მეფისა“, მიწერილია: „ქონდაქარი – მგონი ჯალათია?“ სიტყვა „წინამო“-ს გასწვრივ მიწერილია: „საბა“.

გვ. 485. ხაზგასმულია: „დიდი სიცხე“, მიწერილია: „ცხელი ქარი“. „ჯუფთის“ გასწვრივ: „წყვილი“. ხაზგასმულია „ჰარისა“ მნიშვნელობებით და მიწერილია კითხვის ნიშანი.

წ. 2. 1955.

გვ. 399. ხაზგასმულია: „კაწახი“, მიწერილია: „სომხ.“

გვ. 402. ხაზგასმულია: „მიონა“, მიწერილია: „ფერია ზღვის“.

გვ. 405. ხაზგასმულია: „ორანი – იხმარება გურია-სამეგრელოში“, მიწერილია: „ორანი ფსევდ. ა. ახნაზ.“

გვ. 406. მოხაზულია: „სპარს“, მიწერილია: „ვითომ იცის“.

გვ. 407. ლექსიკონში ხაზგასმულია: „სოინარი“, მიწერილია: „სოინარი სალამურის მსგავსია. ი. გრ.“ ხაზგასმულია: „უგრძნეულოდ“, მიწერილია კითხვის ნიშანი და „გრძნება“.

გვ. 408. ხაზგასმულია: „ქოლბაქი“, მიწერილია: „ქულბაქი – ბაზარი“. ხაზგასმულია: „ქონდაქართუხუცესი“, მიწერილია: „ქონდაქარი – ჯალათი“. სიტყვას „ქითაბი“ ეხება მინაწერი: „შენი ქითაბი დაიქცეს“.

გვ. 410. ხაზგასმულია: „ჭაშნაგირი“. არშიაზე: „მემზარეულე“. სიტყვასთან „ჯერგა“ მიწერილია: „ჯელგა“.

გვ. 412. ხაზგასმულია: „ჰარემი“. არშიაზე: „ჰარამი“.

გვ. 413. ხაზგასმულია: „ყურბარანს“, მიწერილია: „ყურბარანს“.

გვ. 414. სიტყვა „სულტანი“ გასწორებულია: „სულთანი“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ბრე – 227. შეცდ. ახსნა: სოინარი – 407“.

658. გამსახურდია ვ. დიდოსტატის მარჯვენა. რაინდული რომანი. ტფ., 1943.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, ჩემს საყვარელ პოეტს, ძველს თანამებრძოლსა და თანამდგამს ძმური სიყვარულით კონსტანტინე გ. ტფილისი. 1944. 2, IV“.

გვ. 9. მოხაზულია: „ზუგდიდის მუზეუმის“. არშიაზე ფანქრით: „როდის დაარსდა ეს მუზეუმი?“.

გვ. 11. ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია: „არმური?“. არშიაზე: „არმური სხვაა ალმური სხვაა?“

გვ. 12. ხაზგასმულია: „ქვისმთლელთა და კირითხუროთა“. არშიაზე: „ქვითხურო (კალატოზი)“.

გვ. 161. მოხაზულია ბოლო ათი სტრიქონი. არშიაზე ფანქრით: „გვ. 131. რუსულად“.

გვ. 162. მესამე სტრიქონში ხაზგასმულია: „ნატებით მოგებულ ტახტზე“. არშიაზე: „ზამშა“.

გვ. 308. ხაზგასმულია: „ბაირამ მუსლიმური დღესასწაული“. გასწვრივ: „სხვა არაფერი?“.

გვ. 312. მოხაზულია: „მიონი-გრძნეული, ეშმაკი“. არშიაზე: „ზღვის ქალი“.

გვ. 313. აღნიშნულია: „საფურცლე – მიდამოა მცხეთის ჩრდილოეთით“, მიწერილია: „ძველად სოფელს ერქვა, ეხლა აღგვილია. ი. გრ.“

ბოლო ფორზაცზე მინაწერები: „მუძუ, 162; ლორი, 151; 154; ყვრიმალი, 162; მოვი, 162; რუსულად მოვი აბრეშუმია, 13“.

ყდის მესამე გვერდზე: „ბედოვლათი, 91“.

ფორზაცთან გ. გაჩეჩილაძის სტატია „დიდოსტატის მარჯვენა“ ამოჭრილი გაზეთიდან, არშიაზე მინაწერი: „1941 წ., № 4, 21 იანვ., „ლიტ. და ხელ.“ ი. გრ.“

659. გამსახურდია ვ. დიდოსტატის მარჯვენა [რომანი]. მე-2 გამოც., თბ., 1947.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 20/VI. იხ. ლექსიკონი“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე: „ქალაქური ლექსიკა. დარდიმანდი, (ცხენის სახელია) 3. (?) ტფილისი და არა თბილისი, გვ. 4. ჩალიჩობდა, გვ. 6, 8. ჭივჭავი სირია? 11“. იქვე: „აგურის იატაკი – ფილაქანია, (გვ. 12)“.

გვ. 7. არშიაზე: „მაშინ ზუგდიდს ჰქონდა მუზეუმი?“

გვ. გვ. 347–352. „შენიშვნებსა და განმარტებებში“ ხაზგასმულია სიტყვები და სიტყვათა განმარტებები, არშიებზე მიწერილია შენიშვნები, ჩამატებულია სიტყვები.

წიგნის ბოლოს ყდაზე: „მრუმე-ბნელი“.

660. გამსახურდია ვ. დიონისოს ღიმილი. რომანი. [ტფ., 1925].

კანზე: „ი. გრ. 1925. 21/VI“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1925 წ. 21/VI. „ტბა.“ იქვე: „აფსუს, გვ. 287“.

გვ. 22. ხაზგასმულია: „ზადი მრჩება გულში“, მიწერილია: „ხან ძველი სიტყვა, ხან ევროპიული“.

გვ. 25. ხაზგასმულია: „უნაბისფერ კედლებზე“, არშიაზე: „გრიშაშვ.“

წიგნში დევს რეცენზია ამ წიგნზე „შ. დ.“-ს ხელმოწერით. არშიაზე: „მნათობი“, 1925 წ. № 5–6“.

661–663. გამსახურდია ვ. დიონისოს ღიმილი. რომანი. [პლ. ქიქოძის წინასიტყვაობით]. ტფ., [1933–34].

თავფურცელზე წარწერა: „შესანიშნავ პოეტს, ჩემს ძველ მეგობარს და თანამოღაშქრეს სოსოს – ძმური სიყვარულით. 9/VII – 1934. კიკეთი“.

ფორზაცზე: „14 მარცვლოვანი ლექსით, გვ. 13. 49; „მეც“, გვ. 43, ნიშატი, გვ. 49; ასე შეიძლება? გვ. 33; „შინდის ფერი ტუჩები“ ბევრგან აქვს“.

წიგნის ბოლოს ლექსიკონში ხაზგასმული და შესწორებულია ზოგიერთი სიტყვა.

გვ. 459. ვ. გამსახურდიას წიგნებისა და თარგმანების სიაში ჩამატებულია: „შკლოვსკი – სანტ., რემარკი – დასავლეთ. ფრონ. (თარგმ.)“.

უკანასკნელ გვერდზე გაზეთიდან ამოჭრილი ს. ფურცელადის წერილი „ვ. გამსახურდია – „დიონისოს ღიმილი“ მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 1934 წ., № 209, 10 სექტ.“.

664. გამსახურდია ვ. ვაზის ყვავილობა. პროლოგიანი და ეპილოგიანი რომანი. თბ., 1956.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1956. 30/X“.

665. გამსახურდია ვ. თვალთაძ. ერთი რაინდული რომანი და თერთმეტი ნოველა. თბ., 1939.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1939. 10/V“.

იქვე: „თვალთაძი“ იხ. ეს სიტყვა მ. ჯანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში – Сн. мат. оп. м. и п.“ ტ. 24. ი. გრ.“

666. გამსახურდია ვ. მარცხენა თვალთაძ. ნოველების წიგნი. ტფ., [1930].

თავფურცელზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს ძველ თანამებრძოლს და მეგობარს კონსტანტინე გამსახურდია. ბორჯომი, 1930, 27. VII.“

ბოლოში ფორზაცზე და კანის მე-3 გვერდზე წერია: „გამოტოვებულია სიტყვები სიტყვარში: ეფუტი; დარაია; ნალია; გასაგისი; მინდი; ჩიჩი; ძიგირი; მარეკებს; თუთაში; ხარდანი; ჭიჭინობელა; წაკორტი; ხოში (გვ. 20); მონია-ზე; ჭრუტი, ზინთი; (ვ. ბარნოვის საყვ. სიტყვა), ნინევი; ოლე (შ. მღვიმელი), კველა; ქაბარკა; ჟღალი, ჩარა (გვ. 40); აწიტებდნენ; (მ. ჯ.), ბურჩხა; რევანდი; ლურისგუდა; დაგვიმორია; ისიროტა – მცენ., გრულიაშემო; ორანი; მეითარი; მერეხი; ვარაუდი, 74; წყრთა, გვ. 78; მათარა, გვ. 194; ცისმარე – გვ. 3, 16; მყარი – 189, – არასწორად ახსნილი... ჭარკუნი; ჯგეფი; მრუმე; ხაბო; ზამბარი; ტალერი; სტეპი, 191; მამინა, 199“.

- გვ. 43. არშიაზე: „ნერონი?“.
- გვ. 49. არშიაზე: „ვ. ბარნოვის სტილით, ფრჩხილებით (-)“.
- გვ. 23. პირველ აბზაცში ხაზგასმულია: „ქერტლი და თებო“ არშიაზე: „ერთი და იგივეა (?). ქერტლი – თმათა ანაცვენი თებო (საბა, 326)“.
- გვ. 58. ხაზგასმულია: „დაუსკინტლავთ“. გასწვრივ არშიაზე კითხვის ნიშანი. იქვე მიწერილია: „დაუსხლავთ („სხილი“)“.
- გვ. 78. ხაზგასმულია: „სამი წყრთა“. არშიაზე წერია: „სამი წყრთა – სიგრძე?“.
- გვ. 80. ხაზგასმულია: „წალიკონი“. ქვემოთ არშიაზე: „წალიკონი – (ნიავექარიო, ახსნილია ბოლოში), როგორ შეუძლიან ნიავექარს ხეხილების გაოხრება. გრიგალი ქარი?“
- გვ. 84. ხაზგასმულია ნოველის სათაური: „ზარები გრიგალში“. არშიაზე: „ზარისხმა ქარში“ (იხ. პ. იაშვილის ლექსი)“.
- წიგნში დევს 1. კალენდრის ერთი ფურცელი წარწერებით. „დოლაბი (მეგრულია) წისქვილი. ერქვანი (ძვ. ქართ. და მეგრ.) თრიაქ-ფარუხი – წამალია?. რაფი.“ 2. ამონაჭერი გაზეთ „ახალგ. კომ.“, 1930, 30 ივლ., 166-ე ნომრიდან დ. ბენაშვილის რეცენზიით „ორივე თვალებით – რეაქციისაკენ“.
- 667–672. გამსახურდია კ. მთვარის მოტაცება. სამკარიანი რომანი. წ. 1–3. თბ., 1936.
- წ. 1.
- შმუცტიტულზე წარწერა: „11 IV. სოსო გრიშაშვილს საყვარელ პოეტს ვაჟკაცს და ძველ მეგობარს ძმური სიყვარულით და დიდი პატივისცემით. ავტორი“.
- სუპერზე: „1“
- გაზეთის ამონაჭრები: 1. გ-ს წერილი „დისპუტი მთვარის მოტაცებაზე“, მინაწერით: „კომ.“, 1936 წ., 11 ოქტ., № 236“ 2) გა-ლი-ს წერილი „დისპუტი მთვარის მოტაცებაზე“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1936, № 243, 20 ოქტ.“
- წ. 2. სუპერზე: „2“. ფორზაცზე: „ტფილისი 1950-დან. 1. „ლამაზმანები“, გვ. 152 და „შეესიტყვა“, გვ. 196 – ჩემგან აუღია. 2. „მაგ.“ გვ. 196. უვიცობა ტფილისისადმი. 197“.
- გვ. 196–197. ხაზგასმულია; „მიჩაქჩაქებდნენ ნახშირით დატვირთული ვირები ირაკლის ხიდზე“ და მიწერილი არშიაზე: „რომელ წელს?“
- გვ. 197. მე-5 აბზაცის გასწვრივ არშიაზე: „თარი და ზურნა?“
- გვ. 198. ხაზგასმულია: „კვენსოდა მეთარე“. არშიაზე: „მეთარე როდის მდერის?“ (გვ. 200) და გვ. 200-ზე რკალშემოვლებულია: „ჩხაოდა მეთარე“ და მიწერილია კითხვის ნიშანი.
- გვ. 199. არშიაზე: „ჩემი ბოჰემიდან“.
- გვ. 202. რკალშემოვლებულია; „ხმაჩახლეჩილი მეთარე“. არშიაზე: „198, 200“.
- გვ. 204. მოხაზულია ლექსი „ხეკორძულას წყალი მისვამს“... 4 სტრიქონი და მიწერილია არშიაზე: „ბოჰემიდან. აქ უადგილოა“.
- გვ. გვ. 196–199, 201, 23. ხაზგასმულია ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა.
- წიგნში ჩადებულია ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. აკ. თათარიშვილის რეცენზია „მთვარის მოტაცება“, მინაწერით: „კომ.“, 1936, 24 ოქტ.“ 2. კ. გამსახურდიას „წვიმა“, ნაწყვეტი რომანიდან. მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1937, № 15“.
- წ. 3.
- სუპერზე: „3“. „ზოგიერთ სიტყვათა განმარტებას“ აქვს შენიშვნები:
- გვ. 241. სიტყვას „აჩაჩი“ მიწერილი აქვს: „საბა“.

გვ. 243. ხაზგასმულია: „გელაზე“ და მიწერილია: „საბა“. იქვე: ხაზგასმულია: „გნასი“. მიწერილია: „აღმ.“ ქვემოთ სიტყვას „დორანი“ მიწერილი აქვს: „საბა“.

გვ. 244. ხაზგასმულია: „დავანება“ და მიწერილია: „მთვარეზე ითქმის“. ხაზგასმულია „ზიმზიმი“ და მიწერილია: „ჩემიდან“.

გვ. 246. სიტყვა „ლოფორთქინა“ ხაზგასმულია. მიწერილია: „პროვინც.“

გვ. 248. „მიცვალეზულთა მზის“ განმარტებაში ხაზგასმულია „ოდიშში“ და მიწერილია: „ყველგან უწოდებენ“.

სიტყვას „მოქლონი“ მიწერილი აქვს: „ბოქლომი, კლიტე“.

გვ. 249. სიტყვას „ო ს პ ი“ მიწერილი აქვს: „ბერძ.“

გვ. 251. სიტყვა „ფლატე“-ს განმარტებას მიწერილი აქვს: „რომელიც ჩამოსანგრევადაა გამზადებული“.

ხაზგასმულია: „ყომრალი – წითელი“ და მიწერილია: „серый“.

გვ. 252. სიტყვას: „შეიდიში“ მიწერილი აქვს: „საბა“. სიტყვას: „ჩამური“ მიწერილი აქვს: „გურიაში“. ხაზგასმულია: „მგიდე“ განმარტებითურთ და მიწერილია: „კედელი“.

გვ. 253. ხაზგასმულია: „ჯვალო“ და მიწერილია: „იმერ.“ ამავე გვერდებზე ზოგიერთი სიტყვა განმარტებითურთ აღნიშნულია კითხვის ნიშნით.

673. გამსახურდია კ. ნოველები. თბ., 1946.

ყდაზე: „ი. გრ. 1946. 2/X“.

ყდის მეორე გვერდზე: „სევადა – არაქათი 34. პილპილი თუ წიწაკა, 42“.

ფორზაცზე: „ – მიმინო თუ კაპუეტი 36. ზადი, ზინთი, თელგამი“ – 43. (ვ. ბარნოვი).

გვ. 34. ხაზგასმულია: „მიწისპირი ახალ ფიფქს მოესევადებინა. იქვე მინაწერი: „სევადა – შავი ფერისაა“.

გვ. 43. ხაზგასმულია: „ზინთი... თელგამი“, მიწერილია: „ვ. ბარნოვი“.

გვ. 46. ხაზგასმულია: „კატაბარდები“, მიწერილია: „კატაბარდა ბალახია და არა ბუჩქისებური რამ.“

გვ. 47. მე-8 აბზაცს ეხება მინაწერი: „ვის? პროვიზორის ცოლს თუ შარუხიას ცოლს?“ ამავე გვერდზე მოხაზულია სიტყვა: „რახიტიკი“. იქვე მინაწერი: „რატომაა ხაზგასმული?“

გვ. გვ. 33–47. ხაზგასმულია ცალკეული სიტყვები, წინადადებები, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული კითხვის ნიშნით. შენიშვნები ენობრივი და სტილისტური ხასიათისაა.

წიგნში ჩადებულია ჟურნალიდან ამოჭრილი გ. ჯიბლადის კრიტიკული წერილი „ნოველები თუ ანაქრონიზმები?“, მინაწერით: „მნათ.“, 1946, № 89“. აგრეთვე ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. ბ. ჟღენტის წერილი „მავნე წიგნი“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1946 წ., № 45, 24 ნოემბ.“ 2. გაზ. „კომუნისტის“ სარედაქციო წერილი: „ნაბიჯი უკან, ძველი პოზიციებისაკენ. (კ. გამსახურდიას „ნოველების“ გამოცემის გამო)“. არშიაზე: „კომ.“, 1946 წ., № 231, (19 ნოემბ.)“ ტექსტში ხაზგასმულია ადგილები. 3. ცნობა „რაზე მუშაობენ ქართველი მწერლები“. კონსტანტინე გამსახურდია, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1946, 31 აგვისტო“.

674–676. გამსახურდია კ. ორი ნოველა. თბ., 1942.

კანზე: „ი. გრ. 1942 წ. 23/IV. 53 წელი შემისრულდა“.

677–678. გამსახურდია, კ. ტაბუ. მოთხრობა. თბ., 1928.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 1928 წ., 12VI“.

679–680. გამსახურდია ვ. უკრაინის თემიდი [ნარკვევი]. თბ., 1933.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1933. 10.IV“.

შმუცტიტულზე დაბეჭდილია ავტორის მიძღვნა აბელ ენუქიძისადმი. მიწერილია: „P. S. ამბობენ ამ წარწერას ქალაქი უნდა გადააკრანო! ი. გრ.“

წიგნში ბევრი ადგილი თუ ცალკეული სიტყვაა ხაზგასმული და კითხვის ნიშნით აღნიშნული.

გვ. 21. მოხაზულია ბოლო აბზაცი და მიწერილია: „მაშინ რკინისგზა არ იყო მაჰმადიან ქვეყნებში“.

გვ. 25. ხაზგასმულია სიტყვა: „აბრეკები“. არშიაზე: „აბრაგი“.

გვ. 33. ბოლო აბზაცი, სადაც ავტორი მოიხსენიებს პ. ციციშვილს, მოხაზულია და არშიაზე წერია: „რა შუაშია პ. ციციშვილი? იგი მოკლეს 1806 წელს და მაშინ ჩეჩნები“.

გვ. 35. ხაზგასმულია: „რუსეთ-კავკასიის ომები შეუსწავლელია დღესაც“. არშიაზე: „რა იცი? ისე არაფერია შესწავლილი როგორც ეს ომი“

გვ. 65. მე-3 აბზაცთან: „შევჩენკოს დასი ჩამოვიდა. მოხდა დამოხილება ვასო აბაშიძესთან“.

გვ. 83. ტექსტში ხაზგასმულია სიტყვა: „ოლეზე“. არშიაზე: „ოლე, ღობესთან პატარა გზაა“.

გვ. 87. ტექსტში შევჩენკოს ძეგლის შესახებ უკრაინაში, არშიაზე მიწერილია: „რომელ ძეგლის მაგალითს“.

გვ. 89. არშიაზე მიწერილია: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოს“.

გვ. 104. სქოლიოში ხაზგასმულია შენიშვნა, სადაც ავტორი ხსნის „თემიდის“ მნიშვნელობას. არშიაზე: „ძალიან დროზე არ ახსენი?“

გვ. 110. ხაზგასმულია: „ზიმზიმებს“, მიწერილია: „ჩემი სიტყვაა“.

გვ. 114. პირველ აბზაცში ხაზგასმულია: „თუ რაიმე დავიწყე, უკუქცევა არ მიყვარს“, მიწერილია: იხ. „სამანიშვილის დედინაცვალი“.

ყდის მე-4 გვერდზე მიწერილია: „თრია – ციყვია. ჯახველი 103... პოტოცკი 103“.

681. გამსახურდია ვ. ქვეყანა, რომელსაც ვხედავ [ნოველები]. ტფ., 1924.

თავფურცელზე წარწერა: „პოეტს სოსო გრიშაშვილს ძველ მეგობრული გრძნობით. ვ. გამსახურდია. 25 VI. 1924“.

კანზე სათაურში სიტყვა „რომელსაც“ მოხაზულია და მიწერილი: „რუსულია!“.

გვ. 4. ესკიზის „დედავ, მისტიურო ქალო“ მთელი გვერდი მოხაზულია და არშიაზე: „14 მარცვლ. თეთრი ლექსი, ვ. ბარნოვისებური“.

გვ. 32. ნოველაში „შეხვედრა მკვდართან“ ხაზგასმულია: „ორი სინათლისაგან დაცლილი თვალი“, არშიაზე: „ორი თვალი“.

გვ. 33. მიძღვნაში ხაზგასმულია: „სიკვდილში“ და მიწერილი: „რა კონსტრუქციაა?“

გვ. 34. ნოველის „ზარები გრიგალში“ სათაურთან მიწერილია: „გრიგალის ნაცვლად ტექსტში ქარია, იხ. გვ. 40. იქ ქარია“. იქვე: „პ. იაშვილს ლექსი აქვს: „ზარის ხმა ქარში“. იმავე გვერდზე ხაზგასმულია: „აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა...“ და არშიაზე: „? (გ. ტ-მე)“. იქვე ხაზგასმულია: „მღვდელი გაიპარსა, თემშარაზე სამიკიტნო გახსნა...“, არშიაზე: „არასოდეს მომხდარა მღვ. – მიკიტანი“.

გვ. 36. ხაზგასმულია: – არიან ადამიანები“. არშიაზე: „ЕСТЬ ЛЮДИ“.



- გვ. 37. მოხაზულია სტრიქონები, არშიაზე: „გრ. ორბელიანის სტილით“.
- გვ. 38. ხაზგასმულია: „გაქონილ ჭიქას“, მიწერილი: „ი. გრ. – აშპაშხანისკენ“.
- გვ. 41. ხაზგასმულია: „ლუწი და კენტი, კენტი და ლუწი“, არშიაზე: „შალვა ამირეჯიბი“.
- გვ. 43. მესამე აბზაცში რკალშემოვლებულია „მთვარე“ და არშიაზე: „და ქარი“.
- გვ. 44. ხაზგასმულია: „ილეკრის“, მიწერილი: „ბერძნ. სიტყვა“.
- გვ. 45. ხაზგასმულია: „მე მინდა ვიმდგო ექსტაზში დაღუპულზე“, არშიაზე: „(მ. გორკი)“ იმავე ნოველაზე, ნოველის ბოლოს: „ან. ერისთავ-ხომტარას მიბაძვა – გვ. 265-დან“.
- გვ. 47. ხაზგასმულია: „ქვიქვირ ჩამოყრილი ბელურები“. არშიაზე კითხვის ნიშანი და „ვირსა აქვს ქვიქვირი“.
- გვ. 52. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „ჩამობრძანდით“ და მიწერილი: „არ ეტყოდა!“
- გვ. 53. ხაზგასმულია: „ქისაის“ და მიწერილი: „მარმაში! აკი ზევით იხმარე მ ა რ მ ა შ ი?“
- გვ. 82. ხაზგასმულია: „ქვეყანა სურათის გადაღებად არა ღირს“ და მიწერილი: „ქვეყანა ჩალად არა ჰღირს (სკანდარნოვას) მუხამბაზი“.
682. გამსახურდია ვ. ხოგაის მინდია [მოთხრობა]. თბ., 1959.
- 683–686. განდევილი. ლექსები. ტფ., 1898.
- კანზე ავტორის გვარის ქვეშ: „(1865–1929)“.
- გაზეთიდან ამონაჭრები: 1. ცნობა განდევილის გარდაცვალების შესახებ, მინაწერთ: „მუშა“, 31 იანვ., 1929 წ.“ 2. ნეკროლოგი „მწერალი ქალის განდევილის გარდაცვალების გამო“, მინაწერთ: „კომ.“, 1929, 31 I“.
- თავფურცელზე ავტორის გვართან: „დაიბ. 1865 წ. გარდაიც. 1929 წ., 29 იანვარს“. იქვე: „მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს გვ. 53“.
- გვ. 65. ლექს „ი-ას“ მიწერილი აქვს: „აკროსტიხი ილიას. ი. გრ.“
- გვ. 75. უსათაურო ლექს \*\*\* „(ვუძღვნი კნენა მ. ა-ს“ მიწერილი აქვს: „მომდერალს (აკაკიმ ლექსიც უძღვნა) მაკინე ამირეჯიბს. [ი. გრ.]“
- 687–688. განდევილი. ლექსები და მოთხრობები, [ტფ., 1910].
- ფორზაცზე წარწერა: „გრიშაშვილს „დროების“ რედაქციიდან. 1. აპრილს 10 წ.“ იქვე: „[ილია აღლამის ხელია]“ ი. გრ.“ ავტორის გვართან: „დაიბ. 1865 გარდაიც. 1929. განდევილმა სთარგმნა „საღამოს ზარი“. ამის შესახებ. ა. კვე-ძეს წერილი მოთავსებულია „ივერიაში“ – „ერთი კურიოზი“. („ივერია“, 1904 წ., № 10). ებრაელის საფლავთან, 227“.
- გვ. 111. არშიაზე: „გრიშა აბაშიძის გარდაცვალებაზე“.
- გვ. 227. ლექსში „ნ. პოზდნიაკოვიდან – „საფლავთან, ახლად მიწა მიყრილთან“. ხაზგასმულია: „ნ. პოზდნიაკოვიდან. აქვს მითითება: “პირველად დაიბეჭდა „ცნ. ფურც.“, დამატ., 1903 წ., № 123, 1 ივნისი. ეს ლექსი ევდოშვილმაც სთარგმნა. თითქოს ამ ლექსს სამი ავტორი ჰყავს: 1. მანუილოვსკი, 2. პოზდნიაკოვი, 3. ად. ხრისტენი. ი. გრ. „Вестник иностр. лит. 1899 წ., № 4, გვ. 165. Оды Христен-ის.“
689. გარიყული მ. მოთხრობები. ტფ., 1932.
- თავფურცელზე: „ი. გრ. 1932. 15 VIII“. იქვე: „1. ალაფი, ბაზაზი, კოპები, „ციხის ძირი“ – გვ. 12. 2. „სათლიჯანი“.

- გვ. 19. 3. მკალავი და მექვაბე სხვადასხვაა! (გვ. 34). 4. „ქმრის“ მაგივრად „ცოლია“ დაბეჭდილი, (გვ. 58)“.
690. გარიყული მ. მოთხრობები. თბ., 1957.
691. გარიყული მ. მოთხრობები. [წინასიტყვ. შ. აფხაიძისა]. თბ., 1960.
- გვ. 344. სათაურს ზემოთ: „ეგ. ნინოშვილი“.
692. გარიყული მ. ტრაქტორისტები. მოთხრობები. თბ., 1951.  
კანზე: „ი. გრ. 1952. 30 IV“.
- თავფურცელზე წარწერა: „ეს პატარა წიგნი პატივისცემით მიმიძღვნია ჩვენ სოსოსთვის. მ. გარიყული“.
693. გარიყული მ. უსინათლო ალექსი. თბ., 1928.
- გვ. 86. ი. გრ. ხელით შედგენილია სარჩევი: „1. უსინათლო ალექსი. 2. იმ დღესაც, გვ. 30, 3. ახალი მასწავლებელი, 45. 4. ნანიკო – 60“.
- 694–696. გარიყული მ. ჯაშუში. თანამედროვე მოთხრობა. ტფ., 1907.  
კანზე: „Можно. Ив. Полумордвинов.“ იგივე ქართულად: „[შეიძლება!] იქვე ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов.“
697. გარრიკი ვ. ტურა ჯიღლაური (მოთხრობა). ტფ., 1928.
698. [გარსევანიშვილი ი.] ი. გარ-შვილი. გვიანდაა დედილო (პოემა) და რამდენიმე ლექსი. თფ., 1897.  
კანზე: „იო გარსევანიშვილისაა“.
- 699–701. გარსევანოვი ა. ცოლები დაკვარგეთ. კომ. ორ მოქმ. თბ., 1880.  
კანზე: „იხ. შიგნით. ი. გრ.“
- თავფურცელზე ბეჭედი: „Суфлиор Иосип Г – Мамуловъ“. იქვე: „ეს თხზულება“ რუსულიდან აქვს გადმოკეთებული. ამავე სათაურით ივ. კერესელიძეს აქვს ეს კომედია (გადმოკ.) იხ. „ცისკარი“, 1860 წ., ოქტომბერი. ი. გრ. 1931, 21/V“.
- მეორე ცალის გვ. 40. ხაზგასმულია: „ფარდა დაეშვება“, მიწერილია: „ბოლო. (ი. გრ.)“.
702. გაფრინდაშვილი ვ. რჩეული [ლექსები]. თბ., 1956.
- 703–705. გაფრინდაშვილი ვ. ლექსები. ტ. 1. ტფ., 1926.  
კანზე: „ი. გრ. 1927. 1/II“.
- 706–709. გაფრინდაშვილი ვ. ლექსები. ტფ., 1937.
- წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი სტატია „რეცენზიის მაგიერ“ ვალერიან გაფრინდაშვილის შესახებ. არშიაზე: „ახალგაზრდა კომ.“, 1935 წ., № 19, 22/I“.
710. გაფრინდაშვილი ვ. დაისები. 1915–1918. [ლექსები]. ქუთაისი, 1919.  
შმუცტიტულზე წარწერა: „სოსოს მარიჯანისაგან. 1919 წ. 9-IX“.
- გვ. 7. ლექსში „დაისების სინაქსარი“ ხაზგასმულია სართიმე სიტყვები: „გარდაუალი“. – „როგორც ვუალი“, მიწერილია: „აბაშელის რითმა!“, ხაზგასმულია სართიმე სიტყვები: „ჩაესვენება“ – „ნაზი ჩვენება“, მიწერილია: „ჩემი ლექსი „კვირამალი“.
- გვ. 11. ლექსში „დაისი მეშვიდე“ ხაზგასმულია: „თამარი“, ტყე უამარი“. არშიაზე: „იხ. გვ. 8“. ხაზგასმულია: „ათოვლებულს“, მოვლებულს“. არშიაზე: „ჩემი ლექსი: „ილია“.
- გვ. 13. ლექსში „დაისი – ამორდია“ მიწერილია: „ალ. აბაშელის რითმა“.
- გვ. 14. ლექსში „სალამო ლორნეტში“ ხაზგასმულია: „კვლავ ჩემი ცქერა წამწამებში კოცონს აინთებს“. არშიაზე: „გ. ტაბიძის რითმა“. ხაზგასმულ სტრიქონთან მიწერილია:

„ავანთებ ცრემლით ჩემს წამწამებს და ჯვარს ვემთხვევი“ (ს. აბაშელი. „ცისარტყელა“, 1912 წ.). ხაზგასმულია სართიმე სიტყვები; „ფერიებს“, „მოიგერიებს“, მიწერილია: „იხ. ჩემი ლექსი: „სიყვარულის ნეკროლოგი“. ხაზგასმულია: „მერანებს“, „გაავერანებს“, მიწერილია: „გვ. 68“.

გვ. 15. ლექსში „ქიმერიონი“ ხაზგასმულია: „რჩეულის“, / „ფარჩეულს“. არშიაზე: „იხ. „ყანწები“, № 1“.

გვ. 17. ლექსში „სალამოს მასკები“ ხაზგასმულია: „მარტო“, „ვიდარდო“. არშიაზე: „იხ. ესევე რითმა გ. ტაბიძის წიგნში, გვ. 34“. „სალამო“, „საამო“, მიწერილია: „შაბლონი“.

ბოლო სტრიქონთან: „უარს ნუ მეტყვი, საყვარელო, ჩემთან ეწამე“, მიწერილია: „ო, საყვარელო, ვარს ნუ მეტყვი, ჩემთან ეწამე“. წინად დაბეჭდილი იყო ასე გაზეთში“.

გვ. 22. ლექსში „თვალთა საფერფლე სევდიანი“ ხაზგასმულია: „მესტები“, „დაინესტები“, მიწერილია: „იხ. გვ. 37“. ხაზგასმულია: „ცხოვრება“, „მემათხოვრება“, მიწერილია: „გ. ტაბიძეს აქედან უსესხია“.

გვ. 26. ლექსში „Interieur – მეორე“ ხაზგასმულია: „როცა შენ გძინავს“. არშიაზე: „იხ. გვ. 54“. ხაზგასმულია: „მგოსანს, კრიალოსანს“, მიწერილია: „იხ. ჩემი ლექსი „კრიალოსანი“. კ. მესხის ხსოვნას“.

გვ. 27. ლექსში „მე სარკეში“ ხაზგასმულია: „თოვლივით დნება“. არშიაზე: „ყანწებში I სხვანაირი რითმა ჰქონდა „ჰქრება“.

გვ. 29. ლექსში „დუელი ორეულთან“ ხაზგასმულია: „მინაში“, „წინაშე“. არშიაზე: „იხ. გვ. 68“. იქვე ხაზგასმულია: „ჯაშუშებს“, „დააშუშებს“, მიწერილია: „იხ. ჩენი წიგნი „წითელი დროშა“.

გვ. 34. ლექსში „ცეცხლიან სარკეებში“ ხაზგასმულია: „მუქარით“, „ჩქარი“, მიწერილია: „იხ. ჩემი ლექსი: „გაგაცილე და“.

გვ. 40. ლექსში „ოფელია დაისებში“ ხაზგასმულია: „ფარულად“, „ნიავექარულად“. არშიაზე: „იხ. ჩემი ლექსი: „ჩემი კერძო წერილები“.

გვ. 41. ლექსში „მე და ოფელია“ ხაზგასმულია: „ასული“, „ფერწასული“. არშიაზე: „იხ. გვ. 45“.

გვ. 42. ლექსში „ოცნება წვიმაში“ ხაზგასმულია: „ჰაერი“, „სხვანაირი“, მიწერილია: „იხ. გვ. 53, 66“.

გვ. 43. ლექსში „წვიმის ასული“ ხაზგასმულია: „სინაზე“, „სარკის მინაზე“, არშიაზე: „ჩემი ლექსი იხ. „ცისფერი ყანწები № 2“. ამავე ლექსში ხაზგასმულია სიტყვები: „ძვირფას ნაგავებს“. არშიაზე: „იხ. გვ. 12“.

გვ. 45. ლექსში „ჰლექი ასული“ ხაზგასმულია: „ასული“, „ფერწასული“. არშიაზე: „იხ. გვ. 41“. ხაზგასმულია: „მტევნების“, „შადრევნების“. არშიაზე: „ჩემი რითმა, იხ. ჩემი წიგნი“. ხაზგასმულია: „ნარგიზი“. არშიაზე: „აქ ნარგიზია. იქ ნარგისი (გვ. 24)“. ხაზგასმულია: „ზღაპარი“, „მისაპყარი“. არშიაზე: „გვ. 65“.

გვ. 49. ლექსში „Agonie“ ხაზგასმულია: „მგონია“, „აგონია“. არშიაზე: „თაგუნას რითმა“. ხაზგასმულია: „მოქმედებას“, „ცეცხლი ედება“. არშიაზე: „იხ. ჩემი ლექსი: „მესამე მოქმედება“.

გვ. 50. ლექსში „ძაღლის სიმღერა“ ხაზგასმულია: „ადამიანი, შხამიანი“, მიწერილია: „დარიანის რითმა“.

გვ. 51. ლექსში „ღამის სტუმრები“ ხაზგასმულია: „კუკლები“, მიწერილია: „სადამდის მიდის რითმის ძიება?“ ხაზგასმულია: „დილა“, „დაიჩრდილა“. არშიაზე: „იხ. ჩემი ლექსი „დილა“.

გვ. 53. ლექსში „მვირფასი ქვების ვიზიონერი“ ხაზგასმულია: „ჰაერს“, „ათასნაირს“. არშიაზე: „იხ. ამ წიგნის გვ. 66. და „სტეფან მალარმე“, ხაზგასმულია: „ადრე შევკადრე“. არშიაზე: „ჩემი რითმა იხ. ლექსი: „ქალწული ყვავილი“.

გვ. 54. ლექსის „ქალს ჩაჟენილ თვალით“ სათაურთან მიწერილია: „ჩემი ლექსის სათაურის გავლენით არის დაწერილი – „თვალნი, ელამნი“. პირველად ეს უცნაურობა მე დავიწყე, მანამდე კარგ თვალს აქებდნენ“. ხაზგასმულია: „ერთი“, „გასადმერთი“. არშიაზე: „მველი რითმა“. ხაზგასმულია სტრიქონი: „ო, როგორ მინდა შენს წამწამებს შევეხო კბილით!“. არშიაზე: „იხ. ჩემი ლექსი II ტ. გვ. 73. მსურდა შენი უღვაში კოცნით დამეგლიჯა, მაგრამ რად შეგეხო!“

გვ. 55. ლექსში „შემოდგომის ქანდაკება“ ხაზგასმულია: „ქათინაურით“. არშიაზე: „პირველად მე ვიხმარე ლექსში რითმად“.

გვ. 56. ლექსში „ფანტასტიური სურდო“ ხაზგასმულია: „შუქებს“, „მაჩუქებს“, „ქალივით“, „ბროლ-ფიქალივით“. არშიაზე: „იხ. გვ. 30“.

გვ. 58. ლექსში „ქუთაისი ქარში“ ხაზგასმულია: „ედგარი“, „დაუდეგარი“. არშიაზე: „ყველა ყანწელებს ეს რითმა აქვთ“.

გვ. 64. ლექსში მოხაზულია მე-3 სტროფი, მიწერილია: „იხ. გვ. 67“.

გვ. 65. ლექსში „ტიციან ტაბიძე“ მოხაზულია: „ჯამბაზებს“, „მუხამბაზებს“. არშიაზე: „შ. ამირეჯიბის რითმა“. მე-4 სტროფი მოხაზულია, მიწერილია: „იხ. გვ. 45“.

გვ. 66. ლექსში „ავადმყოფ კოლომბინას“ ხაზგასმულია: „სხვანაირი“, „ჰაერი“. არშიაზე: „იხ. გვ. 53“.

გვ. 67. ლექსში „შემოდგომა“ ხაზგასმულია: „ხშირად“, „ნახშირად“. არშიაზე: „იხ. გვ. 54“.

გვ. 68. ლექსში „წითელი ბატონები“ ხაზგასმულია: „მინაში“, „წინაშე“. არშიაზე: „იხ. გვ. 29“. „მერანი“, „ვერანი“. არშიაზე: „იხ. გვ. 14“. ხაზგასმულია: „გენაცვალე“, „ვაწვალე“. არშიაზე: „იხ. ჩემი ლექსი: „გენაცვალე“.

გვ. 70. ლექსში „იავ ნანა სამგლოვიარო“ ხაზგასმულია: „დაღალდი“. არშიაზე კითხვის ნიშანი. ხაზგასმულია: „ნარეკალი“, „სპეკალი“. არშიაზე: „იხ. ჩემი ლექსი „მოგიახლოვდი“. ხაზგასმულია: „მგოსნებს“, „კრიალოსნებს“. არშიაზე: „იხ. გვ. 26“. ხაზგასმულია: „ჩაჟენილ“, არშიაზე კითხვის ნიშანი.

გვ. 72. არშიაზე: „სიტყვა მთებურა“ რითმად ნახმარი აქვს ვაჟას, იხ. გუნიას „კალენდარი“, 1891 წ., გვ. 247“. იქვე: „1. კითხვით მთელი წიგნი მოსაწყენი ხდება, სულ 14 მარცვლიანია. 2. უცხო სიტყვებით სავსეა, როგორც გალაქტ. ტაბიძე. 3. ერთხელ რომ უსაყვედურა აბაშელს, რომ ერთი და იგივე რითმა რამდენჯერმე გაქვს ნახმარიო. რას იტყვის ამაზე?“

კანის მესამე გვერდზე: „კალისტრო“ – „ცისკარი“, 1853 წელს, ოქტომბერი. სიტყვა „კრეტინი“ – იხ. „კლოდ გე“ (ქართ.) წინასიტყვაობა ზანგისა – გ. ჩიტაძისა – გვ. III. გამოც. 1885“.

711–712. გაფრინდაშვილი ვ. ლექსები. თბ., 1944.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1945 2/I. ბოლოში ჩაკრულია ამ წიგნის რეცენზია“.

გვ. VII. ვალერიან გაფრინდაშვილის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „...ვბეჭდავდი თარგმანებს ნიკოლოზ ბარათაშვილიდან“... და სხვ. არშიაზე: „1913 ჩემი ლექსი სთარგმნა პირველად რუსულად „შორეულს“ ი. გრ.“ ხაზგასმულია: „[პირველი ქართული ლექსი დავწერე და დავბეჭდე...] ერთ ქუთათურ გაზეთში“. არშიაზე: „ხალხის მეგობარი?“

მოხაზულია ლექსები. ზოგიერთ რითმას აქვს მინაწერი: „ჩემი“.

კანის მე-4 გვ. წერია: „ლექსი ბარათაშვილზე 40“. და კიდევ: „ლექსების წიგნი: 1. დასები, 1919. 2. ლექსები 1926–7. 3. ლექსები 1937 წ. 4. ლექსები 1944 წ.“

წიგნში: ჟურნალიდან ამონაჭერი დ. შამათავას რეცენზია, მინაწერით: „მნათობი“, 1944; № 11“.

713–714. გაფრინდაშვილი ვ. ლექსები. თფ., 1916.

715. გაჩეჩილაძე დ. ლექსები. თბ., 1941.

ფორზაცზე წარწერა: „უნიჭიერეს პოეტს სოსო გრიშაშვილს მეგობრული სიყვარულით მისი პოეზიის პატივისმცემელ დავითისაგან. 1941 წ., 13 V“.

გვ. 11. ლექსში „ქოხი მტკვრის პირად“ ხაზგასმულია „სანთურს“. წერია: „სანთური საკრავია. სანათური [უნდა იყოს]. ი. გრ.“ ამავე ლექსში ხაზგასმულია: „თეთრ მთვარის“. წერია: „მთოვარის – ი. გრ.“

გვ. 84. ლექსის „ახალი ქუთაისი“ ბოლოს მიწერილია: „ინდ. ქუთაისი“, 1939, № 211, 14 სექტ.“

716. გაწერელია ა. ნოველები. 1932–1959. თბ., 1960.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენს ძვირფას იოსებ გრიშაშვილს მოკრძალებითა და მეგობრობის გრძნობით ავტორისაგან. 10/III. 61. თბილისი“.

717. გაწერელია ა. ნოველები – ამონაჭერი: „მნათობი“, 1956, № 9.

718. გაწერელია ა. სიკვდილი ბარათაშვილისა. მოთხრობა. თბ., 1947.

719–722. გეგეჭკორი ლ. ლექსები. [რედ. ი. გრიშაშვილი]. თბ., 1960.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ მგოსანს, სახალხო პოეტს, ამ პატარა კრებულის რედაქტორს იოსებ გრიშაშვილს უსაზღვრო მეგობრული პატივისცემით. ლადო გეგეჭკორი. 1960. 7/X“.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „მესანიშნავ მომღერალს ქეთო ჯაფრიძეს უღრმესი პატივისცემით. ლადო გეგეჭკორი. 1960, 7/X“.

723–728. გედევანიშვილი ი. გამცემი. დრამა 3 მოქმ. 2 სურ. ტფ., 1912.

კანზე: „წიგნი ავტორის ფაქსიმილეთი. ვიყიდე ბუკინისტებში – ი. გრ. 1943, 22/XI“.

თავფურცელზე წარწერა: „ნიჭიერ დრამატურგს ტ. რამიშვილს პატივისცემით ვუძღვნი ი. გედევანიშვილი 29.4. V. 42 წ.“

მეორე ცალში ჩადებულია ქალაქზე დაკრული გაზეთის ამონაჭერი: „გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“. დრამა 3 მოქმ. ფასი 25 კ.“ მინაწერით: „23 მარტი, № 853, „სახალხო გაზ.“, 1913“.

მესამე ცალის თავფურცელზე წარწერა: „თ. გ. მ. თუმანიშვილს პატივისცემით ავტორი. ი. გედევანიშვილი“.

გვ. 54. ლექსში „აკაკი და ვარსკვლავები“ ბოლო სტრიქონში სიტყვაში „აკაკიც“ „ც“ – ამოგდებულია.

გვ. 59. მოყვანილ ეპიგრაფში – ავტორი ამოშლილია.

გვ. 61. ლექსში „ქალი მსახიობი“ შეტანილია შესწორებები: მესამე სტრიქონში სიტყვა: „სხვაცა“ შეცვლილია სიტყვით: „ყველა“. მეცხრე სტრიქონში რკალშემოვლებულია სიტყვები: „ჩემი რიტმი, ჩემი ფრაზა“ და არშიაზე მიწერილი: „უმტვერო და ხმა-ხასხასა“. მე-11 სტრიქონში ხაზგასმულია სიტყვა „ყველაფერი“ და მიწერილი: „ყოველივე“.

გვ. 63. ლექსის სათაურს: „ახალი ღმერთი“ წინ მიწერილი აქვს: „პოეზიის“.

ლექსები: გვ. 72. „თიბათვე წაღვერში“; გვ. 73. „მზის ხალები“; გვ. 80. „უკანასკნელი ნატვრა“; გვ. 87. „სურნელება ძველი ხელნაწერებისა“ – აღნიშნულნი არიან ნიშნით „V“ და ტექსტის ბოლოს მიწერილია „1916 წ.“

გვ. 72. ლექსის „თიბათვე წაღვერში“ მესამე სტროფში სიტყვა „ყარყუმო“ წაშლილია და მის მაგივრად წერია: „ყარაჩი“. იმავე ლექსის უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა „აზრიანი“ შეცვლილია სიტყვით „უშფოთველი“.

გვ. 73. ლექსში „მზის ხალები“ მიძღვნა ამოშლილია. ბოლო ტაეპში გადახაზულია:

...„ეგ ულვაში ჩვილ-ბუსუსა  
მსურდა კოცნით დამეგლიჯა, მაგრამ – კარგო – მეთფუსა:  
რად შევებო?“

და მის მაგივრად წერია:

...„ბუსუსები პაწაწინა  
გავიფიქრე მე ცოდვილმა: ნეტა ერთი მაწეწინა:  
მაგრამ, არა!“

გვ. 81. ლექსში „დამიბრუნდი! დამიბრუნდი!“ მე-19 სტრ. სიტყვა „ბაგიდგან“ გადასწორებულია: „ბაგეთგან“.

გვ. 82. იმავე ლექსის მე-20 სტრ. სიტყვა „წივას“ მაგივრად წერია: „წალამს“ და იქვე გადახაზულია სიტყვა „მყრალ“ და მიწერილია: „მწველ“.

გვ. 82. იმავე ლექსში სიტყვა „აზისია“. გასწორებულია: „აზიზია“.

გვ. 86. ლექსს „მუნჯი სიმღერები“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი შეიძლება სამ გვერდით – თითო გვერდზე თითო ლექსი“.

მესამე ლექსის სათაური „კაზმული გრძნობა“ გადახაზულია და წერია: „გული“.

მეორე ლექსის პირველი სტრიქონის ბოლოს ძახილის ნიშანი რკალშემოვლებულია და არშიაზე მიწერილია: „გამოცვალეთ ნიშანი სხვა ასოსია“.

ლექსები: გვ. 88–89. „სპარსეთის დედოფალი“; გვ. 90. „მითხრეს“; გვ. 95. „წმიდაო ნინო!“; გვ. 96. „ჩემი მუზა ომის დროს“; გვ. 98. „ქუთაისი“; გვ. 100. „ჩემი კერძო წერილები“; გვ. 101. „დათოვლილი მედროშე“; – აღნიშნულნი არიან ნიშნით „V“ და ტექსტის ბოლოს მიწერილია: „1917 წ.“.

გვ. 88. ლექსის „სპარსეთის დედოფალი“ სათაურში პირველი სიტყვა გადახაზულია, დაწერილია ჯერ: „ჩემი“, ისიც გადახაზულია და შემდეგ წერია „თბილისის“ იმავე ლექსის ბოლოს, გვ. 89; უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა „სპარსეთის“ გადახაზულია, დაწერილი ჯერ: „პოეტის“, ისიც გადახაზულია და წერია: „თბილისის“.

გვ. 92. ლექსში – „მოწამლული დანა“ მე-4 სტრიქონში სიტყვა „ცისა“ შეცვლილია სიტყვით „ზეცის“.

გვ. 94. ლექსის „რვა სექტემბერი“ სათაური გადახაზულია და ზევიდან წერია: „სონეტი“. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „1917 წ., 8 IX“.

გვ. 95. ლექს „წმინდაო ნინო!“ მიწერილი აქვს ეპიგრაფი:

„ნინოს ხსენება  
სიხარულის ღირს არს“  
(საცისკრო საგალობელი, 8)“.

გვ. 97. ლექსის „მესამე მოქმედება“ მიძღვნა: „ელლეს“ რკალშემოვლებულია ფანქრით და მიწერილი აქვს კითხვის ნიშანი.

გვ. 98. ლექსის „ქუთაისი“ მეორე სტროფში სიტყვა „თავისფერ“ ხაზგასმულია, მიწერილია „ნაცრისფერ“.

გვ. 100. ლექსის „დათოვლილი მედროშე“ მიძღვნიდან შენიშვნაა ჩამოტანილი სქოლიოში – წერია ფანქრით: „შენიშვნა“: ამ ლექსის პირველი ნახევარი მიმართულია გაზ. „ერთობის“ თანამშრომლებისადმი, რომლებმაც მხცოვან საზოგადო მოღვაწის იუბილეს დღეს ასეთი მეთაური დაბეჭდეს. იქ ეწერა „მოცლილი ქართველი ინტელიგენცია იუბილეს უხდის ვ. გუნიას“. („ერთობა“, 1917 წ., № 112). ი. გრ.“

გვ. 103. ლექსის „ტრიოლეტები შეითანბარში“ მეორე სტროფის მეექვსე სტრიქონში სიტყვა „ჩრდილოეთიდან“ ხაზგასმულია და არშიაზე „მსუსხავი“.

ლექსები: გვ. 105. „ავლაბარი“. გვ. 108. „ჰიმნი შევარდნებს“; გვ. 114. „მეფე ვახტანგი“. გვ. 116. „ცალ-თვალ ახვეულს“ – აღნიშნული არიან ნიშნით „V“ და ბოლოში მიწერილია „1918 წ.“

გვ. 105. ლექსის „ავლაბარი“ სათაური გადახაზულია და ზემოდან წერია: „ისანი“

გვ. 106. ლექსის „ფოსოს აბანო“ მეორე სტროფის მეოთხე სტრიქონში სიტყვა „სპარსეთის“ გადახაზულია და მის მაგივრად წერია: „თბილისის“.

გვ. 107. ლექსის „თათრის ქალი სუფსარქისში“ – პირველი სტროფის მეორე სტრიქონში სიტყვა „ლოცვებით“ გადახაზულია და მიწერილია: „სიზმრებით“. იმავე ლექსის მეორე სტროფის მესამე სტრიქონში სიტყვა „ალბად“ გადახაზულია და მის მაგივრად წერია: „ალარ“; იქვე სიტყვა „კვლავ“ გადახაზულია და წერია: „აქ“.

გვ. 108. ლექსის „ჰიმნი შევარდნებს“ სათაურში პირველი სიტყვა წაშლილია.

გვ. 113. ლექსს „ნამწვი“-ს მეოთხე სტროფის პირველ სტრიქონში გადახაზულია: „თუ საქართველო“ და მიწერილი: „ჩემი სამშობლო“. შემდეგ სტრიქონში გადახაზულია: „არ იქნება“ და წერია: „თუ არ იქნა“. იქვე, მესამე სტრიქონში ხაზგასმულია სიტყვა: „მტრის“ წერია „სხვის“.

გვ. 114. ლექსში „მეფე ვახტანგი“ გადახაზულია: „ჩვენ არ“, მიწერილია: „ადარ“.

გვ. 116. ლექსის „ცალ-თვალ ახვეულს“... მიძღვნა: „ნანინ, შენ გიძღვნი, შენ!“ გადახაზულია.

ლექსები: გვ. 117. „ბაუერზაკს“, გვ. 118. „პატარა სონეტი“, გვ. 119. „გასტროლიორის თაიგული“, გვ. 120. „მარგარიტა გოტიეს“ – აღნიშნულია ნიშანი „V“ და ბოლოში წერია: „1919 წ.“

გვ. 117. ლექსის „ბაუერზაკს“ – სათაური გადახაზულია, მიწერილია „მოცეკვავეს „აბესალომ და ეთერში“, – ეს სათაურიც გადახაზულია და წერია: „მოცეკვავეს“. ამავე ლექსში გადახაზულია: „უცხოელო“ აწერია: „რუსის ქალო“, – ესეც გადახაზულია და მიწერილია: „მშვენიერო“. გადახაზულია სიტყვა: „მკერდ“, წერია: „გულ.“ გადახაზულია „შენის ტანის აღმართ-დადმართი“, აწერია: „შენი მკერდის ორი აღმართი“.

გვ. 118. ლექსს „პატარა სონეტის“ მიძღვნა „ლიდია სემიონოვას“ გადახაზულია.

გვ. 120. ლექსის „მარგარიტა გოტიეს“, მიძღვნას – „ნუცას“ მიწერილი აქვს: „ჩხეიძეს“.

გვ. 121. ლექსის „ლოტოსი“ ბოლო ხუთი სტრიქონი მოხაზულია და წერია: „ბოლო ხუთი სტრიქონი გადავიდეს მეორე გვერდზე და ლექსი მთელი ტანით ჩამოიწიოს ქვევით. სათაური ამ ლექსისა გაუთანასწორდეს „მარგარიტა გოტიეს“.

გვ. 126. ლექსში „შენი ყელი“ სიტყვა „წურბელებით“ გადახაზულია, წერია: „მათრახებით“.

ლექსები: გვ. 127. „კათაკმეველნო“, გვ. 128. „უსახელო თითი“, გვ. 132. „მანუშაკ“, გვ. 133. „ელექტრონი ფოთლებში“, გვ. 134. „ჩემ დას მაგონებ“, გვ. 135, „1914“, გვ. 136. „ლადო მესხიშვილს“, გვ. 137. „ქურდული ალერსი“, გვ. 140. „მაჯამა აღმოსავლეთს“, გვ. 145. „ჩემს მამას“ – აღნიშნული არიან ნიშნით „V“, ტექსტის ბოლოს მიწერილი აქვთ: „1920 წ.“

გვ. 132. ლექსის „მანუშაკ“ სათაური გადახაზულია და აწერია: „ლეილა“. გადახაზულია: „ეკმიადინის მორცხვი პრინცესა“, მიწერილია: „ჩემი ლეილა, ჩემი პრინცესა“. სიტყვა: „კოცნა“ შეცვლილია სიტყვით: „ჯილდო“. ხაზგასმულია: „და იცი რატომ? იმიტომ მხოლოდ“, წერია: „და მხოლოდ იმიტომ, და იმიტომ მხოლოდ“. სიტყვა „შემდგომ“ შეცვლილია სიტყვით „შემდეგ“.

გვ. 133. ლექსის „ელექტრონი ფოთლებში“ მეორე სტროფში სიტყვა: „ლამფა“ შეცვლილია სიტყვით: „სხივი“; მესამე სტრიქონი რკალშემოვლებულია და წერია: „აქ ხეივანის ნაჩრდილები ისე გამოსჭვივის, ვით გიორგი სააკაძის ტანის ჭრილობები“.

გვ. 137. ლექსის „ქურდული ალერსი“ – მეორე სტროფში გადახაზულია სიტყვა: „მყოზადი“ წერია: „მერმისი“.

გვ. II, III. ხაზგასმულია ლექსის სათაურები: „დედოფლის სიზმარი“, „უძილო ღამე“, მიწერილია: „შევიდეს?“.

გვ. VI. „სონეტი“, „საქართველოს ზადიკი“, გვ. IV. „ტფილისი“ – ხაზგასმულია და მიწერილი: „არ შევიდა“.

სუპერის მესამე გვერდზე წერია: „სტუმრები მოვიდენ თუ ოფლს მოვიდენ. დაჰყო – ნაწილებად, დაჰყო – დააყოვნა, დარჩა“.

მეორე ცალის ფორზაცზე დაკრულ ქალაღდზე წერია: „ერთმა ჩემმა წადვერელმა მეგობარმა ქალმა – ბაბეტა ყორღანიშვილმა – პეტროგრადში გამგზავრების წინ მთხოვა: მომიტანეთ თქვენი საყვარელი წიგნი სახსოვრად ყდა მინდა გაუკეთოო! რამდენჯერმე ვუთხარი უარი. იმ მიზნით, რომ მე ერთად ერთი საყვარელი წიგნი მაქვს მეთქი, და ეს წიგნი შენ, ბაბეტა ხარ, რომელიც აქამდე ვერ ავფურცლე!... არ დამიჯერა. ბოლოს მიუტანე ეს ჩემი ლექსების მეორე ტომი, რომელიც სულ სხვანაირ ქალაღდზეა დაბეჭდილი და სულ ორი ეგზემპლარი არსებობს (ერთი მარიჯანს ეკუთვნის), მაგრამ როგორ ვწუხვარ, რომ წიგნი გამიფუჭეს. ვინ არის დამნაშავე? რასაკვირველია მკაზმავი, რომელმაც იკისრა და იცოდა კი რომ ვერ შეიძლებდა... და თუ მაინცდამაინც ჩემს საწიგნე კარადაში ძევს ეს წიგნი, მხოლოდ იმიტომ, რომ მოვიგონო ბაბეტა, რომელსაც ვემუდარებოდი, ნუ გინდა წიგნი, მე ცოცხალი წიგნი მირჩევნია მეთქი და მეორეც, დე ყველა მკაზმავმა მუშამ იცოდეს, რომ მათი გემოვნება, ტექნიკა ბანალურია, დაძველებულია და საჭიროა ჩვენ, სპეცებს დაგვიჯერონ ამა თუ იმ წიგნის აკინძვა-დაბეჭდვაში. ი. გრ. 1925. 12/VI. II ტ., 1921 წ.“

გვ. 94 და 95 შორის ჩადებულია ფურცელი, ამოღებული ი. გრ-ის 1955 წ. გამოცემული ერთტომეულიდან, გვ. 83–84.

1009–1014. გრიშაშვილი ი. ლექსები. საიუბილეო გამოცემა. თბ., 1944.

წიგნი ტყავგადაკრულ ყდაშია ჩასმული და შმუცტიტულზე დაბეჭდილია ტექსტი: „ქართული ლექსის ოსტატს და წიგნების მესაიდუმლეს ჩვენს ძვირფას სოსო გრიშაშვილს სახელგამის სავაჭრო სამმართველოს მწიგნობრებისაგან: კაკუშაძე ნოე, გვახარია ვარლამ, პეტრიაშვილი მირიან, თაბუკაშვილი მიხეილი, მერაბოვი ივანე, თევდორაძე მელიტონ, ბერიძე ფილიპე, დვალიშვილი გრიგოლ, პეჩკო ვასილი, გოგავა ლუკა, მუშკუდიანი ალექსანდრე, კიკნაველიძე პლატონი“.

წიგნში დევს ქალაღდი მინაწერთ: „ნაძღვენია. წარწერთ“.

მეორე ცალის ფორზაცზე ფანქრით: „იუბილარს. მე მგოსანი არა ვარ,

„ალბათ აღარც ვიქნები,

ამიტომაც არა მაქვს,

საკუთარი წიგნები,

მაგრამ მე შენს „ბარაშკა“-ს

ჩავაქსოვე ეს გული

და მოგიძღვენ საჩუქრად

შენივ ლექსთა კრებული. ინჟ. კაპიტანი.

გ. მ. ლოლაძე. ქ. თბილისი. სახ. ოპერის თეატრი. 30 ოქტომბერი. 1944 წ.“

1015 –1018. გრიშაშვილი ი. მხოლოდ სიყვარული. თბ., 1957.

1019. გრიშაშვილი ი. მხოლოდ სიყვარული. ლირიკა. თბ., 1958.

1020–1021. გრიშაშვილი ი. ოცნების კოცნა. ლექსები. თბ., 1911. შეძენილია ბუკინისტურ მაღაზიაში.

შმუცტიტულზე წარწერა: „სახსოვარ-მოსაგონებლად დაუვიწყარ და ნიჭიერ მგოსანს ლადო ახოზაძეს. ი. გრიშაშვილი. 16 აპრილი, 1911 წ.“

1022–1026. გრიშაშვილი ი. ტიმოთეს ლეღვი. ვოდვევილი 1 მოქმ. (აზრი სომხურიდან). ტფ., 1911.

1027–1031. გრიშაშვილი ი. ჩემი თბილის. ლექსები. თბ., 1960.

წიგნში დევს ქალაქი მინაწერით: „სკოლაში ასწავლიან (დაბეჭდილ პროგრამაში ასე იყო): 1. გამოთხ. ძველ თბ., 2. სამშობლოსადმი, 3. ორი სიტყვა, 4. გამარჯვების გაზაფხული, აქ კი? ი. გრ.“

1032–1033. გრიშაშვილი ი. წითელი დროშა. ტფ., 1917.

კანზე: „ჩემს ბიბლიოთეკას. ი. გრ.“

1034. გუგუნავა გ. ოქროს განთიადი. ლექსები. ტფ., 1928.

1035–1037. გუგუნავა ს. თამარიანი ლექსად თქმული. ტფ., 1888.

მეორე ცალის შმუცტიტულზე: „ანდრო თევზაძემ შესწირა ჩემს ბიბლიოთეკას. ი. გრ. 1940 – 12/III“.

იქვე სათაურს ქვემოთ მიწერილია: „I – გამოცემა“.

1038. გუგუნავა ს. თამარიანი. ლექსად თქმული. გამოც. მე-2. ახალ-სენაკი, 1893.

ფორზაცზე: „თბილისში არ არის. ი. გრ.“

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ნელის ქმარმა გ. ქართველიშვილმა მიფეშქაშა! ი. გრ. 1952. 5.V“.

1039–1040. გუგუნავა ს. თამარიანი. ლექსად თქმული. გამოც. მე-4 ბათომი, 1902.

თავფურცელზე: „ფასი 50 კ. ი. გრ.“

მეორე ცალს გადაკრული აქვს ქალაქის ფურცელი და წერია: „თამარიანი, ს. გუგუნავა. ბათუმი, 1902“.

1041–1043. გუგუნავა ს. თამარიანი, ლექსად თქმული (მე-5 გამოც.). თფ., 1912.

კანზე ავტორის გვარის ქვეშ: „(1839–1909)“. იქვე: „სილა, გვ. 29. წამდაუწუმ, გვ. 37“.

კანის მე-2 გვერდზე: „თოფი ყირიმი რაფ. ერისთ. 1887. გვ. 50“.

თავფურცელზე: „ერთადერთი ნაწარმოებია, რომელსაც თანასწორად ეტანება, როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი საქართველო. ჭიდაობა გვ. 50“.

თავფურცლის მე-2 გვერდზე: „თამარიანი, ისტორიული პოემა გალექსილი თ. რ. ერისთავისა. 1887 წ. თბილისი, (გვ. 152-მდე)“.

გვ. XI ხაზგასმულია: „ამაზე დათა უპასუხებს“, მიწერილია: „მამაც პოეტი ჰყავდა, ცნობილი დათა გუგუნავა“.

გვ. 7. სქოლიოში მიწერილია ერთი სტროფი და მითითებულია: „რაფ. ერისთავი. „თამარიანი“ 1887 წ., გვ. 3“.

გვ. 12. ხაზგასმულია: „ხმელი ხილიო“, არშიაზე: „რ. ერისთავი გვ. 5“.

გვ. 50. ხაზგასმულია ადგილები, მოხაზულია ორი სტროფი და მიწერილი: „ჭიდაობა“.

გვ. 52. ხაზგასმულია: „ისარს ესვრით“, მიწერილია: „ისარი და არა თოფი“.

კანის მე-3 გვერდზე: „თამარიანს ისე ჰკითხულობდნენ, როგორც ყაზბეგს“.

წიგნში ჩადებულია ქალაქი, შენიშვნებით ორივე მხარეს. ს. გუგუნავას ეს გამოცემა შედარებულია სხვა გამოცემებთან, აგრეთვე სხვა ავტორების ამავე სახელწოდების წიგნებთან.

1044–1049. გუგუნავა ს. თამარიანი. წინასიტყვ. ი. გრიშაშვილისა. მე-6 გამოც. ტფ., 1928.

1050–1051. გუგუნავა ს. თამარიანი. ისტ. რომანი, ლექსად თქმული. პ. კეშელავას რედ. და წინასიტყვაობით. თბ., 1935.



ყდის მე-2 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი ა. ჯ.-ს რეცენზია „სიმონ გუგუნიავა. თამარიანი“, მიწერილია: „კომ.“, 1936, № 7–8“.

1055. გუგუშვილი ა. ლექსები, ამბები და ზღაპრები. ქუთაისი, 1905.

უკანო. თავფურცელზე: „თბილისის ბ-ში არ არის ი. გრ.“ ავტორის გვარი ხაზგასმულია და ქვეშ მიწერილი: „ლექსები მიხა მარუაშვილისა“.

თავფურცელზე ბეჭედი: „წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „იმერეთი“ ქუთაისში“.

ბოლო გვერდზე: „ფასი 10 კ. ი. გრ.“.

1056. გულგატეხილი. ნაწერები. ხაშური, 1913.

კანზე: „ნატ. გიგაური ხომ არ არის? ი. გრ.“

გვ. 1 და 26 ყოფილი პატრონის ბეჭედი: „პ. გუგუშვილი“.

1057. გულიაშვილი კ. განთავისუფლებული სიყვარული. რომანიული ესკიზი, ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 24.III“.

1058–1059. გულიაშვილი კ. გადატაკებული ოჯახი. დრამა 1 მოქმ. თბ., 1906.

1060. გულიაშვილი კ. დრამატიული ნაგლეჯები: 1. ღამის რაინდები. 2. მკვდრები სდგებიან. თბ., 1919.

1061. გულიაშვილი კ. ონოფრეს ქორწინება. მხიარული კომედია 1 მოქმ. თბ., 1925.

თავფურცელზე წარწერა: „საქართველოს მგოსანს იოსებ გრიშაშვილს გულითადად ვუძღვნი ავტორი. 24/XII-24“.

1062. გულიაშვილი კ. პამპულა. 2. მოქმ. მხიარული კომედია. ტფ., 1932.

1063. გულიაშვილი კ. პირველი მათისი. პიესა. 2 სანახავად. [თბ.], 1925.

1064–1066. გულიაშვილი კ. სახლის პატრონი და მდგმური. თანამედროვე კომედია 1 მოქმ. ტფ., 1927.

გვ. 1. წარწერა: „მგოსან იოსებ გრიშაშვილს სახსოვრად უძღვნის ავტორი“.

1067. გულიაშვილი კ. წითელი ოქტომბერი. პიესა 1 მოქმ. – სიმღერა ინტერნაციონალი. თბ., 1924.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს ძღვნად. ავტორი 16/X-24 წ. თბილისი“.

კანზე: „ი. გრ. 1924. 16/X“.

1068. გულიაშვილი-კარდენახელი კ. პირუტყვის ნაამბობი. თბ., 1918.

1069. გულიაშვილი-კარდენახელი კ. სამი მოთხრობა. 1) დაბადება და სიკვდილი; 2) რათა მკლავ, რათა? 3) ცრემლების ცრემლები“ [თბ.], 1918.

1070. გულიაშვილი-კარდენახელი კ. ცხოვრების ტრაგედია. 3 მოქმ. ფანტასტ. ტრაგედია პროლოგით. პროზათ. [ქ. ა.], 1919. [კანზე 1918].

1071. გულისაშვილი დ. ნატყვიარი მანდილი [მოთხრობები]. თბ., 1961.

1071–1073. გულისაშვილი ზ. მოთხრობები. ნარკვევები. თბ., 1953. ფორზაცზე: „ი. გრ. 1953-4-VII“.

გვ. 147. სქოლიოში მიწერილია: „ანუ შეშშიში“ (იხ. ჩემი „ბოჰემა“).

გვ. 171. ხაზგასმულია ტექსტში: „ვია, უშველებელი“, არშიაზე მიწერილია: „უშველებელი იმერულია?“

გვ. 172. ბოლო ორი აბზაცი მოხაზულია და მიწერილი: „ლეგენდა“.

გვ. 173. ხაზგასმულია: „იაფინჯები“ და მიწერილია: „ნაზადი“.

გვ. 255 ხაზგასმულია: „ლეკთ იფრინეს...“ მაგრამ ზაქათალაში პანტასაებრ დაეწყვენ საბრალონი“... მიწერილია: „ლეკი და საბრალონი?“. იქვე ხაზგასმულია: „წყლით რკინის ლიტრებს“, მიწერილია ტექსტის ბოლოს: „ლულეინი“.

გვ. 277. ტექსტის ბოლოს: „იხ. პ. უმიკაშვილი. ი. გრ. P. S. ავტორს ნ. ბარათაშვილი არ გახსენებია...“

გვ. 281. სქოლიოში ხაზგასმულია: „მამრანნი“ და მიწერილია: „მამნარი“.

გვ. 314. ტექსტში ხაზგასმულია: „ქუნჩებახს“ და მიწერილი: „ყველი კუჩენბახისა“.

გვ. 315. ნარკვევის „სადარ-ბულახი“ დაწერის თარიღი „1803“ შესწორებულია: „1903 წ.“

გვ. 319. სარჩევის ბოლოს მიწერილია: „პანკისის ხეობა“ („ივერია“, 1887, № 21; 29 იანვ.) ფსევდ. შაქრო“.

გვ. 320-ზე ფორზაცის ორივე გვერდზე და ყდის მე-3 გვერდზე ამოწერილია ტექსტიდან სალექსიკონო მასალა:

„ტიკჭორა – ციკანი; ღვინო ერთ ფუთამდე; ტიკი – თხის ტყავი; კოლოტი – მოზვრისა; რუმბი – ხარი-ბუდა; გახალაკი – რუმბის გასაჩერებელი ირიბი კეტი; პოლორჯიკი ანუ ხარატული რუმბის ჭიპზე გასაკეთებელი; დაზლა – მატყლის დაგრებილი თოკი; საბელი – თხის ბალნისაგან დაგრებილი ან დაწნული გრძელი თოკი; მაფი, ბაწარი, ნართი, თოკი, საბელი, კანაფი, სულქონიანი, გულთამხილავი, ბაკი, 169. ქევხა, [მამასახლისი] 288. ფორუმი, გვ. 289. ახო – მოსვლეპილი ადგილი, სახნავ მიწად გაჩეხილი ტყე, 292. ჩალთუკი, [ჩალის] 293. შეთე – სახელიც არის და მჩატე კაცზედაც, 297. ქედხუდა – (ნასწ. კაცი?), 307. ჩაქუმსებული (ჩასუქებული), ქუმსი, 309. ალაფდა – ატალახიანდა, 310. ჩომბახი – კომბალი, 310. მიაკოსა – მიაკერა, 224. ზადი – (ნაკლი), 310. ქანჩი, 311. ჯილაგი, 312. კოლოტი – მოზვერი ამოღებული ოთხში. პატარა რუმბი, 313. ჯელგა, 223. მახლას, 225. წვნიკი, 226. ფამფარა (ბალახია) 170. გორახანა – გორხანა („თათრის გორხანა“) 178. ქიზიყის სოფლები, გვ. 281. ბაწარალებით, 170. ბერა, 170. საჯი – თუჯის ტაფა, 170. ჩანგი, 173. გამპა. 177. ქაჯური ენა, 176. რუბი, 251. გალიპული – ღიპიანი, 252. დურა ტყავი – მოშავო. სამგლოვიარო ტყავი. 271. ტრამლი, 258. სალახანა, 258, გამოცინცლა. 259. ხამუმ-ხამუმ. 262. წვირნათელა (სპიჩკა), 262. ფუსტული (აქ ცარიელი), 265. ამრეშებით (მრეში)-ჭროლა თუთა, ჟღალისფერი, 266. ყასიდად, 268. შეშვიდი, (შეშუტი), 268. „ვა, მართლა“, 269. ყორული – შემოკავებული ადგილი, საქონელი რომ არ შევიდეს, 284. კორუმი, 285. ჩეკი, რჩოლი. ჩეკი – სოლის მსგავსი ჯოხი საფხეკი ქალამანისა, 285. იაფინჯი – ნაბადი, (თათრ.) 173, 262, 264, 313. ჩომბახი, 172. ყანაზოი, 37. ჩასპანდი, 107. წალო, 61. ოტლაყი – ახმახი, 83. შეშმიში, 147. გარსაკრი – მოსაჭირებელი თასმა, 248 („გარსაკრი“ იხ. ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯეც“ – „ერი“, 1910 წ.). შიშლიკი, 185 (საბას შიშლიგი). ავანჩავანი, 277. ყაიდა, 258“.

ყდის მე-3 გვერდზე მიწერილია: „ამხ. რედაქტორო! თქვენ და თქვენისთანები რომ ჩემს ენას კენწლავენ, განა მეც ასე არა ვწერ“.

წიგნშია ბლოკნოტის ფურცელი წარწერით: „ბედკრულნი, მოთხრობა ზაქარია გულისაშვილისა (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1909 წ., № 14 და № 15)“.

წიგნშია რვეულის ფურცელი, ორად გაკეცილი. ერთ მხარეს წერია ერთი სომხური და ექვსი რუსული სიტყვა ქართული შესატყვისებით. მეორე მხარეს მინაწერები: „მისი ავკარგი შესწავლილი მაქვს ხუთი თითივით და ხეებს ჩრდილი მოუქსოვიათ. გაჰქრები

ისე, შეიძლება შენი სიკვდილით ერთი ფოტოლიც არ შეინძრება. შეაცოტავა. ჩემი ჩანგურის სიმები არ მოეშვება არასდროს. მიყვარს შავგრემანი შოთი პური“.

1074–1078. გულისაშვილი ი. ორი პიესა. [ცხოვრება ბრძოლა. – დრონი მეფობენ]. ტფ., 1895.

კანზე წარწერა: „ძვირფას მეგობარს – კოლლეგას – ავტორისაგან“.

იქვე შენიშნულია: „\*) ტრიფონ რამიშვილს. ი. გრ.“

მეორე ცალის კანის მეორე გვერდზე: „მე ერთი საწყალი კაცი ვარ, ჩემი ხარჯით პიესა გამოვეცი და ქართ. დრ. საზ. არც კი წაუკითხავს („ივერია“, 1896 წ., № 21)“.

ფორზაცზე დაკრულია სურათი, რომელზედაც მიწერილია: „იერ. გულისაშვილი“. იქვე: „იერემია გულისაშვილის მოგონება“ იხ. „საქართველოს განათლების მუშაკში“, 1926 წ., № 9, გვ. 13“.

თავფურცელთან ჟურნალიდან ამოჭრილი იერემია გულისაშვილის „ჩემი მოგონება“, სათაურთან მიწერილია: „საქართველოს განათლების მუშაკი“, 1926, № 9“.

თავფურცელის შემდეგ გვერდზე წერია: „1. ამ პიესას აქვს გ. წერეთელი (მაზაკველი). იხ. „კვალი“, 1897 წ., № 45, 808, ი. გრ. 2. ამ წიგნზე იხ. რეცენზია ი. მ-ანისა, („ივერია“, 1896 წ., № 21). ი. გრ.“

წიგნის ბოლოს, ფორზაცზე, ჩამოწერილია პიესის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ – მოქმედი პირნი და შემსრულებელნი. ავეტიქას როლის შემსრულებელია: ი. გრიშაშვილი. აქვე: „ეს ჩემი ხელია 1907 წლისა. ი. გრ.“

1079. გუნია ვ. აღლუმი. კომედია-ხუმრობა 4 მოქმ. ამონაჭერი წიგნიდან: ვ. გუნია, დრამები და კომედიები. წ. 2. ტფ., 1893.

1080. გუნია ვ. და-ძმა. დრამა 5 მოქმ. 6 სურ. მეგრეთს წარსული ცხოვრებიდან. ამოღებულია კრებულიდან...

ყდა გაკეთებულია ი. გრ. მიერ. მასზე დაკრულია ქალაქი წარწერით: „და-ძმა“. ი. გრ.“

ყდის მეორე მხარეს: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკიდან“.

წიგნში ჩადებულია ქალაქი მინაწერით: „ციმბირელი“, „და-ძმა“, „ღალატი“, „კონსტ. ბატონიშვილი.“ თარგ.: 1. კ. მესხი. 2. გრ. ყიფში., 3. ნ. ავალიში., 4. კ. მესხი“.

1081. გუნია ვ. და-ძმა. დრამა 5 მოქმ. ამონაჭერი წიგნიდან: ვალ. გუნია. დრამები და კომედიები. წ. 1, ტფ., 1893.

ხელნაკეთ თავფურცელზე: „ვ. გუნია. და-ძმა. 1-ლი მოქმ. (სცენა ციხეში) ი. გრ.“

1082. გუნია ვ. დედის ერთა. ვოდევილი 1 მოქმ. ჩვენის ცხოვრებიდან. (მიზამვა). თბ., 1910.

კანი გაკეთებულია ი. გრიშაშვილის მიერ. „დედის ერთა“ – ეს წიგნი არ არის აწერილი ქართ. წიგნში. ი. გრ.“

თავფურცელზე: „სახლში არ გაიცემა. იშვიათობაა. ი. გრ.“

წიგნში დევს ვოდევილის მანქანაზე ნაბეჭდი ცალი. ნასწორებია. 1-ლ გვერდზე მინაწერი: „ი. გრიშაშვილს დაუბრუნეთ! 1943. 21/VI“.

1083. გუნია ვ. ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე! კომედია-ხუმრობა 3 მოქმ. ამონაჭერი წიგნიდან ვ. გუნია. დრამები და კომედიები. წ. 2. ტფ., 1893.

თავფურცელზე უწინდელი მფლობელის ხელწერა: „Н. Сванидзе“.

1084–1089. გუნია ვ. დრამები და კომედიები. [წ. 1–2]. ტფ., 1893.

წ. 1. კანი გაკეთებულია ი. გრ. მიერ და წერია: „ვალერიან გუნიას დრამები და კომედიები. I. 1. და-ძმა. 2. ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან. 3. მონადირე. 4. რაც არ მერგება არ შემერგება. 5. „არც აქეთ, არც იქით“.

წიგნში ხაზგასმულია მრავალი სიტყვა, მოხაზულია ადგილები, მიწერილია შენიშვნები. 220-ე გვერდზე ი. გრიშაშვილის მიერ მიწერილია: „ვასო აბაშიძის ხელია ი. გრ.“

მესამე ცალის ფორზაცის მეორე გვერდზე: „ვიყიდე არტემ ახნაზაროვის ქვრივისაგან 20 მან. ი. გრ. 1943. 6/IV P. S. ეს წიგნი თბილისის ბ-ში არ არის! ი. გრ.“

კანზე წარწერა: „არტემ ახნაზაროვს ავტორისაგან“.

წ. 2. კანი გაკეთებულია ი. გრიშაშვილის მიერ და წერია: „ვალერიან გუნიას დრამები და კომედიები. II. 1. აღლუმი. 2. ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე. 3. საშოვნელს ნაშოვნი სჯობია. 4. ხოლვერობა“.

გვ. 118. კომედია „აღლუმის“ ბოლოს მიწერილია: „სუფლიორი ი. გრიშაშვილი. 19 მაისს, 1905 წ. ავლაბრის თეატრი“.

გვ. 119. კომედია – „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე!“ – სათაურს ზემოთ მიწერილია: „სუფლიორისა ი. გრიშაშვილი“.

გვ. 200. ამავე კომედიის ბოლოს ფანქრით: „სცენარიუსი ი. გრიშაშვილი, სომხების კლუბში 22 ივლისს. 1908.

სუფლიორი ი. გრიშაშვილი 18 ოქტომბერს 1911 წ. სუფლიორი გრიშაშვილი 1916 წ. ახალ კლუბში 25 ნოემბერს“.

1090–1091. გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა ქართველთ ცხოვრებიდამ. გადმოკეთებული ჩერნის მოთხრობიდან გუნიას მიერ. გამოც. 1. თბ., 1888.

ხელნაკეთ კანზე: „ჩერნი. მარინე. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ. 1888“. „\*„კნეინა ნექტარინა“, იხ. „ივერია“, 1885 – წიგნი [7–8].“

თავფურცელზე: „P. S. ამ მოთხრობას პირველად ეწოდა „კნეინა ნექტარინა“, იხ. „ივერია“, 1885 წ., ი. გრ.“

კანის მე-2 გვერდზე: „ვ. გუნია თავის დღიურში წერს: „დავიწყე „მარინეს“ ბეჭდვა – იქნება ღმერთმა იპრიანოს და გაიყიდოს.“ (ინახება ნონა გუნისათან) ი. გრ.“

კანის მე-3 გვერდზე: „ფასი ექვსი შაური“. თავფურცელი აღდგენილია ი. გრ. ხელით.

ყდის მე-2 გვერდზე: „აკლია 41, ასონასი, იარალაში 55“.

1092. გუნია ვ. მონადირე ანუ დარბაზს შესვლა შენ ხელთ არის, გამოსვლა კი პატრონისა. ვოდვეილი 1 მოქმ. ტფ., 1891 – ამონაჭერი წიგნიდან: „ვალ. გუნია. დრამები და კომედიები. წ. 1. ტფ., 1893“.

1093. გუნია ვ. რაც არ მერგება, არ შემერგება. კომ. 2 მოქმ. ამოღებულია კრებულიდან „ჩანგი“, ტ. 2, 1909.

ხელნაკეთ კანზე: „რაც არ მერგება – არ შემერგება. ვ. გუნიასი“. თავფურცელზე: „თბ. 1909“.

1094. გუნია ვ. საშოვნელს ნაპოვნი სჯობია. ანდაზა-ვოდვეილი 1 მოქმ. (გადმოკეთ. რუსულიდამ) ამონაჭერი წიგნიდან: „ვ. გუნია. დრამები და კომედიები. წ. 2. თბ., 1893“.

1095. გუნია ვ. ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან. ვოდვეილი-ხუმრობა 1 მოქმ. (აზრი რუსულით). ამონაჭერი წიგნიდან: „ვალ. გუნია. დრამები და კომედიები. წ. 1. ტფ., 1893“.

ხელნაკეთ კანზე: „ვ. გუნია. ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“.

1096. გუნია ვ. ხოლვერობა. ვოდვეილი-ხუმრობა 1 მოქმ. [თბ., 1893]. ამონაჭერი წიგნიდან: ვ. გუნია. დრამები და კომედიები. წ. 2, 1893.

ხელნაკეთ კანზე: „ხოლვერობა. ვოდვეილი 1 მოქმ. ვ. გუნიასი“.

1097–1100. გურამიშვილი დ. თხზულებათა სრული კრებული. დავითიანი. მე-5 გამოც. ტფ., 1931.

ყდაზე: „V გამოც.“

ფორზაცზე: „ი. გრ. 1931 2/IV. აქ ქაცვია მწყემსი სრულადაა, 205. „მე“, გვ. 320. ახალი მასალა დ. გურამიშვილს. იხ. „ლიტ.-საქართ.“, 1940 წ., № 20. ლექსები არ უნდა დაეყოთ! (ავტორს ასე არა აქვს გვ. 130, 132, 137? 1. ბაქო, 126. 2. საბაოთი, 160. 3. ლექსი აბაშელისებური, 150. წყაროები – 320“.

შმუცტიტულზე: „შეცდომა (ერთ სტრიქონს თუ ორად აკეთებთ რიგიანად მაინც გადასხით?) გვ. 130, 132, 137“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1931 წ.“

თავფურცელის შემდეგ ჩართულ პირველ პორტრეტზე მიწერილია: „პოეტი ერთ ალაგას ამბობს, „ჩემი უქორო თავითო“ ე. ი. მელოტი ყოფილა. ი. გრ.“ მეორე პორტრეტზე: „დ. გურამიშვილის ეს სურათი პირველად დაიბეჭდა „დროების“ დამატებაში, 1909 წ., № 49. წერილი ამ სურათის გარშემო. გაზ. „დროება“, 1909 წ., № 275. ეს ცნობა ჰქონია ალ. ბარამიძეს. გვ. 319“.

გვ. 17. მე-4 სტროფში ხაზგასმულია სტრიქონი და მიწერილია: „ი. ჭ.“.

გვ. 21. მოხაზულია მე-3 სტროფი არშიაზე: „იხ. ცნობილი ლექსი. ამის მიბაძვა“.

გვ. 48. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „დამარქო?!“, გასწვრივ: „სარქველი“

გვ. 50. მე-3 სტროფში ხაზგასმულია: „ერქვანთ“, გასწვრივ: „გუთანი“.

გვ. 51. მე-3 სტროფში ხაზგასმულია: „გიტყებდე“, გასწვრივ მიწერილია: „ტყება“, ხაზგასმულია: „მჯიღო“. მიწერილია; „მუშტი“. ხაზგასმულია: „ვარსამისა“. გასწვრივ მინაწერი: „დალაქი“.

გვ. 152. ბოლოდან მე-5 სტრიქონი ხაზგასმულია, არშიაზე წერია: „ამას კიდევ იმეორებს“.

გვ. 165. ხაზგასმულია: „იროკა, ისამა“. არშიებზე მინაწერები: „სამაია (სამის ცეკვა). როკვა (ორის ცეკვა). იცეკვა“.

გვ. 201. 1-ლ სტროფში ხაზგასმულია: „თხაპაო, (სისხლით ქვეყანა თხაპაო)“. არშიაზე: „სხვა გამოცემებში (1911 წ.) შეცდომით „ყლაპაა“. გვ. 160“.

გვ. 223. ხაზგასმულია მე-2 სტროფის რითმული დაბოლოებები და მიწერილია: „მაჯამა“.

გვ. 263. მე-2 სტროფში აღნიშნულია: „მდებელი“. გასწვრივ ფანქრით: „მდებალი(?)“.

გვ. 305. მოხაზულია მთელი სტროფი გურამიშვილის ლექსიდან და არშიაზე: „აკაკი“.

გვ. 315. მე-2 სტრიქონში ხაზგასმულია: „ვინმე გალღმა“. არშიაზე: „(გ. ლეონიძე)“.

გვ. 320. დაბეჭდილია ლიტერატურა გურამიშვილის შესახებ. ბიბლიოგრაფია. არშიებზე მინაწერები: „პავლო ტიჩინამ დასწერა პოემა გურამიშვილზე. აკლია: „ნ. ბერძნიშვილის წერილი, რომელიც ამბობს ზუბოვკა კი არა დუბოვკა უნდაო. ლ. ქიაჩელი. „დ. გურამიშვილი“ (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 816. 817)“.

აქვე მოხაზული აღწერილობა № 12. „აღ. ხახანაშვილი. „Очерки по истории груз. словесности, III.“ მიწერილია: „Кавк. Вестник“, 1900, № 8. მოხაზულია: აღწერილობა № 15. გრ. გარელი. Поэт Гурамишвили... მიწერილია: „(გრ. ჯაფარიძე)“.

გვ. გვ. 326–338. ლექსიკონში ხაზგასმულია: „ზატკი – განთავისუფლება“, გასწვრივ მიწერილია: „ზადიკი – აღდგომა (სომხ.)“. ხაზგასმულია: „ზღურბლი“, მიწერილია: „ქანი“. ხაზგასმულია: „თათუხი 94, 3. ზანდური, სამინდალი“. გასწვრივ დასმულია კითხვის ნიშანი და მიწერილია: „პური არ არის?“ ხაზგასმულია: „იროკა – იცეკვა“, არშიაზე: „ორმა იცეკვა“. ხაზგასმულია: „სამა იცეკვა“. გასწვრივ „სამაია“. ხაზგასმულია: „კოჭობი – პატარა ქოთანი“. არშიაზე: „უეჭველად თიხის ქოთანი და ისიც უყურო“. ხაზგასმულია: „კოწახური (ხე)“. არშიაზე: „Барбарис“. ხაზგასმულია: „ლაბადა – ყაბაჩა, პატარა კაბა“, არშიაზე: „шнка“. ქვედა არშიაზე მიწერილია: „მდობელი – და–“ ხაზგასმულია: „მჭახედ, ცხარედ“ – არშიაზე: „მჭახე ხმით – ხმა გამყივარი“. ხაზგასმულია: „ნატისუნი – ნატისული“. ქვედა არშიაზე: „ნატისუსალი (ილია)“.

ასო „ს“-ზე დაწყებული სიტყვების წინ ჩამატებულია: „საბაოთი 162“.

გვ. 336. ხაზგასმულია: „ყომარბაზობა. თამაში (ბანქოსი ნარდის...)“ გასწვრივ მიწერილია: „ნარდიც შიგ შედის“. ხაზგასმულია: „ყუვი ყუთი“. გასწვრივ: „ყუითუკი“. ხაზგასმულია: „შუმპარი თამაშობა“, გასწვრივ მიწერილია: „მე კოჭს ვთამაშობ“ (იხ. ბანქო)“. ხაზგასმულია: „ძეძვი – ეკლიანი ჯაგი“. არშიაზე: „ჩემს საათნოვადან გაუკეთებია“. ხაზგასმულია: „ხუთი – ნატვრის თვალი, გველის ქვა“. ქვედა არშიაზე: „უეჭველად უნდა იყოს ხუთო“.

გვ. 341. მოხაზულია ცნობები სოფ. ზუბოვკის შესახებ, გასწვრივ მინაწერი: „უნდა დუბოვკაო. იხ. ნ. ბერძნიშვილი. „Кав. Кален.“, 1869. ი. გრ.“

ყდის მეორე გვერდზე: „გ“-ს რეცენზია ამოჭრილი გაზეთიდან, მინაწერით: „დროშა“, 1931, № 19–20“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „გათათხა, 159, 324“.

1101. გურამიშვილი დ. თხზულებათა სრული კრებული. დავითიანი. თბ., 1955.

შმუცტიტულზე წარწერა: „ძვირფას იოსებ გრიშაშვილს რედაქტორისაგან. 11.X.55“. ტეხილ ფრჩხილებში მიწერილია: „აღ. ბარამიძე“. იქვე ზემოთ: „ი. გრ. 11 ოქტ., 1955, „ვა“, 139. ვერცხლი, 220“.

გვ. 366. ლექსიკონში მიწერილია კითხვის ნიშანი სტრიქონზე: „სკიპტრა 32, 42, 4 სამეფო ჯოხი“. იქვე სიტყვა; „სკორეს“ განმარტებას, დამატებული აქვს სიტყვა: „ნაკელი“.

გვ. 367. სიტყვა: „ტარბი“ ხაზგასმულია, განმარტებას „ფრინველია“ დამატებული აქვს: „მტაცებელი“.

წიგნში დევს დ. დონდუას წერილი „დავითიანის“ ტექსტის დაზუსტებისათვის და დ. ყიფიანის წერილი ს. ხუნდაძისადმი, ამოჭრილი ჟურნალიდან მინაწერებით. ტექსტის წინ: „აქ ორი წერილია. ი. გრ.“ ტექსტის ბოლოს: „ჟ. კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956 წ., № 1. ი. გრ.“

1102–1103. გურამიშვილი დ. აფორიზმები გურამიანიდან. [აფორიზმები ამოკრიფა: კ. აბჯანდაძემ და ს. ხუციშვილმა. რედ. ი. გრიშაშვილი. თბ.], 1943.

1104–1106. გურამიშვილი დ. აფორიზმები. თბ., [1955].

1107–1108. გურამიშვილი დ. დავითიანი. თქმული გურამის-შვილის დავითისაგან. წ. 1. ტფ., 1870.

- ხელნაკეთ კანზე: „დ. გურამიშვილი. დავითიანი, 1870. I გამოც.“  
 ყუაზე: „ი. გრ. დ. გურამიშვილი“.
- თავფურცელზე: „ძლივს გავაკეთე. აკლია: 87. დაიბეჭდა პ. უმიკაშვილის რედაქციით. ი. გრ. [20 ოქტ. დართეს ნება]“.
- წიგნს აკლია 87–90 გვ. მათ მაგიერ ი. გრ. ჩაუკინძავს სუფთა ფურცლები.
1109. გურამიშვილი დ. დავითიანი. თქმული გურამისშვილის დავითისაგან. პ. უმიკაშვილის რედ. ტფ., 1881.
- ფორზაცზე წარწერა: „სოსო! ვინაიდან გურამიშვილის ყველა გამოცემა გაქვს და ეს გაკლდა, შემიწირავს შენი ბიბლიოთეკისათვის. მარიჯან. 1931 წ., 1/VI“.
- კანზე: „II გამოც. ი. გრ.“
- თავფურცელზე მარიჯანის ხელით: „მარიჯან. 1917 წ.“
- 1110–1113. გურამიშვილი დ. დავითიანი თქმული დავით გურამიშვილის მიერ. მე-3 გამოც. თბ., 1894.
1114. გურამიშვილი დ. დავითიანი, მეოთხედ დაბეჭდილი. ტფ., 1911.
- წიგნი საგანგებოდ არის ჩასმული ყდაში, ყუაზე ამოკვეთილი: „დავითიანი“
- თავფურცელზე: „იშვიათია!!! სახლში არ გაიცემა ეს გამოცემა თბილისის ბიბლიოთეკებში არ არის. ი. გრ.“
- ფორზაცზე: „IV გამოც. ყუმაში ქსოვილიცაა (გვ. 32) და ქვეყნის სახელწოდებაც. პეტრე I-ის ქება, 32–33. შეცდომა, გვ. 160 – უნდა თხაპა. „კარგსა საქმეზე მიბაძვა არა რა დასაძრახია“, (გვ. 6). „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“, (გვ. 29). „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების! (გვ. 30). თურქი, სპარსი, გვ. 28. „მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა“, გვ. 54. „რუსეთისაკენ გაგზავნის“, გვ. 49, „მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარია“, 32“.
- გვ. 2. პირველ ოთხ სტრიქონზე მიწერილია: „მაჯამა“.
- გვ. 16. ხაზგასმულია და მოხაზული 1 სტროფი და მიწერილია: „იხ. გვ. 188“.
- გვ. 29. არშიაზე: „იხ. საანდაზო ლექსები. გვ. 68“.
- გვ. 31. ხაზგასმულია: „ვარსამისა“, მიწერილია: „დალაქი“.
- გვ. 32–33. მოხაზულია ადგილები და მიწერილია: „პეტრე I ქება“.
- გვ. 34. ხაზგასმულია: „ვახისა“, მიწერილია: „(ვიში?)“.
- გვ. 50. მოხაზულია სტროფი და მიწერილია: „იხ. საანდაზო ლექსები გვ. 79“.
- გვ. 58. მოხაზულია 2 სტროფი და მიწერილია: „მაჯამა“.
- გვ. 59. ხაზგასმულია: „თინათინითაც“, მიწერილია: „ანარეკლი“, ხაზგასმულია: „განმიძნელებო“, მიწერილია: „იქნება: განმიძნიებო. ძნიადი – ძნელი“.
- გვ. 60. ხაზგასმულია: „გეჩემება“, მიწერილია: „ჩენა“, ხაზგასმულია: „ვასერო“. მიწერილია: „ვასეირო“.
- გვ. 62. ხაზგასმულია: „თავსა“, მიწერილია: „თუ თავალსა?“
- გვ. 77. ხაზგასმულია: „ნაბახურია“. მიწერილია: „пахмелия“. „ნარმა“ – მიწერილია: „ეკალმა“.
- გვ. 78. ხაზგასმულია: „იალქანნი“, მიწერილია: „ჯილა“.
- გვ. 85. ხაზგასმულია: „ეტიკი“, მიწერილია: „ეტიკი – проводник“.
- გვ. 87. ხაზგასმულია: „ელთა“, მიწერილია: „ელი – ხალხი მოხეტიალე“.

გვ. 91. ხაზგასმულია: „ქაშარო“, მიწერილია: „შაქარა“. ხაზგასმულია: „ისარქარ“, მიწერილია: „სარქარი – უფროსი ცხვარში“.

გვ. 93. ხაზგასმულია: „მუქაფა“, მიწერილია: „სამაგიერო“.

გვ. 112. სქოლიოში ხაზგასმულია: „გლისპი“, მიწერილია: „გლისპი – капризный“.

გვ. 115. ხაზგასმულია: „ღარიბს აჭმევდე მშიერსა“, მიწერილია: „არსენა“.

გვ. 138. მოხაზულია ორი სტროფი და მიწერილია: „გალ. ტაბიძის წყობა“.

გვ. 159. ხაზგასმულია სტრიქონები, მიწერილია: „იხ. საანდაზო ლექსები“.

გვ. 180. მოხაზულია სტროფი და მიწერილია: „კარგია!“

გვ. 214. მოხაზულია 3 სტროფი, მიწერილია: „ცისკარში“ ეს ადგილი გამოტოვებულია: „[იხ. „ცის.“, 1861. ნოემბერი, გვ. 314]“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე: „ამ წიგნის ნაკლი ის არის, რომ გამოცემა არ არის აკადემიური. მაგ. ავტორს რა მდიდარი ლექსიკონი აქვს და ბოლოში დართული სიტყვათა კონა დიდ სარგებლობას მოუტანდა მოზარდთ. ი. გრ. 1924. 29/IX.“ „გურამიშვილის გარჩევა კიდევ: 1. „მეოცნებე ნიამორები“. 2. „ივერია“ 1880 წ. თედო ჟორდანიას წერილი...“

1115. გურამიშვილი დ. დავითიანი. ალ ბარამიძის წინასიტყ. და რედ. თბ., 1938.

ფორზაცზე: „კრეფული. გვ. 96“.

გვ. 92. ხაზგასმულია სიტყვა: „ნატისუნია“, მიწერილია: „ნატისურა“.

გვ. 93. ხაზგასმულია: „ძეძვე“. მიწერილია: „ძეძვი“.

გვ. 96. ხაზგასმულია: „თეთრი“, მიწერილია: „ვერცხლის ფულს“.

გვ. 97. მოხაზულია „სანუფქოდ“, აწერია: „სამაგიეროდ“.

1116–1121. გურამიშვილი დ. [დავითიანი]. თბ., 1948.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1948. 12/XII.“

იქვე: „...აქ არის ქაცვია მწყემსი“ (გვ....)“.

გვ. V. ხაზგასმულია: „ადრეულ დილას დავითი გაშურებულა ქსნის ჭალებისაკენ“. მიწერილია: „დილა-ადრინად ი. გრ.“

გვ. VII. ხაზგასმულია: „1737 წელს ქართლის მეფე გარდაიცვალა ასტრახანში“, მიწერილია: „ვახტანგ VI“.

გვ. VIII. მოხაზულია სიტყვა: „სტეპი“, მიწერილია: „დ. გურამიშვილის სიტყვას „ტრამალს რატომ არა ხმარობს?“

გვ. XXI. ხაზგასმულია მოტანილი ციტატა და მიწერილია: „ვისია?“

გვ. XXIII. ხაზგასმული სიტყვების: „ფიგურობას და ალლეგორიას“ შესახებ სქოლიოში მოთავსებულ შენიშვნას მიწერილი აქვს: „ამ ორი სიტყვისთვის მთელი სქოლიო მოჰყავს და ზევით (გვ. XXI) არ ამბობს ვისი ციტატებია“.

გვ. 3. ხაზგასმულია სიტყვა: „ჭარი“. მიწერილია: „წერა, სახსარი, ავადმყოფობა“.

გვ. 21. სტრიქონში „ჩემის უცებით შევატყვე“ ხაზგასმულია: „უცებით“, მიწერილია: „უცები (უვიცი?)“.

გვ. 29. ხაზგასმულია: „წმინდად გარცხილსა მენასა“, გვერდზე: „მენაკი?“. ხაზგასმულია: „მე იგი რასთვის მენასა!“, მიწერილია: „დამენავსა“. ხაზგასმულია: „ულაგმო და უსადაო.“. არშიაზე: „სადავე“.

გვ. 84. ხაზგასმულია: „წავიდე განჯის მომთხრელთა“, მიწერილია: „განძი. ი. გრ.“.



გვ. 86. სტრიქონებში „თავს ირჭვამს მის რაყმობასა“ და „ჩვენზე მათ შექნან ონარი“ ხაზგასმულია სიტყვები: „რაყმობასა“, „ონარი“, მიწერილია: „რაყამი. ონარი-იონი (!) ი. გრ.“

გვ. 90. სტრიქონში „შემოყორულეს ყაფიჩთა“ ხაზგასმულია: „შემოყორულეს“, მიწერილია: „ყორული-შემოზღუდული ადგილი, სადაც საქონლის ძოვა აკრძალულია“.

გვ. 111. ხაზგასმულია: „დაეხსენ ცუდსა ბორგვასა!“ მიწერილია: „ბოდვასა“ (?)“.

გვ. 113. ხაზგასმულია: „დაყათრულესა“, წერია: „დაყაჯრული“. ხაზგასმულია: „საბლითა მაზმანურითა“. მიწერილია: „მაზმანი – ჩარხია საქსოვი“.

გვ. 114. ხაზგასმულია: „ყიფურ-ამაყური“, არშიაზე წერია: „ყიფი – მედიდური, აქედან ყიფიანები“.

გვ. 124. სტრიქონში „პატრონად, ქვეყნის მამლადა“ ხაზგასმულია: „მამლადა“, მიწერილია: „მამვლეღად“. „საქმე მოუხდა ყალათი“, ხაზგასმულია: „ყალათი“. გვერდზე წერია: „მიქარვა (თათრ. საჯაყი)“.

გვ. 128. მოხაზულია სტროფი: „გეაჯები, ნუ გამწირავ“... გასწვრივ წერია: „ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს ეგ კალთა დამაფარეო (აკაკი).“

გვ. 130. სტრიქონში „მზე მიწყენს, თუ მზის სანაცვლოდ, თინათინს ხელი ვახელო“. ხაზგასმულია: „თინათინს“, წერია: „თინათინი აქ გამონაკროთმს ნიშნავს – отражение.“

გვ. 211. სტრიქონში „მურმან მე დიდათ დამკოდა“ ხაზგასმულია: „მურმან“. არშიაზე წერია: „აღბად აქედანაა წარმოებული „მურმან“.

გვ. 220. ხაზგასმულია: „იათული“, მიწერილია: „იაცუთი.“

გვ. 270. სქოლიოში შენიშვნასთან: „ყოველ ტაეპს მოსდევს მოძახილი (ვაი საწუთრო...), რომელსაც აღარ ვიმეორებთ“ წერია: „მთელი სტრიქონი მოსდევს თუ ნაწილი?“

გვ. 272. ხაზგასმულია: „კარავ-სევანი“, მიწერილია: „სევანი თუ სავანი?“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ტრამალი. 123; გალი, 446; ფანფარა, სარფა, გვ. 400; დაგულვა-დაკეტვა, გვ. 150; ავლაბარი (XVIII საუკ.). 117; ზოგს თინათინი სახელი ჰგონია, გვ. 130, 132; აკაკი, 128 და VI; იამა, 80“.

აქვე დ. გურამიშვილის ორი სტრიქონი „დავითიანიდან“ შედარებულია ვაჟა-ფშაველასთან:

„წაღმა მბრუნავმა დრო-ჟამმა  
უკულმა იწყო ტრიალი“.  
(დ. გურამიშვ., გვ. 123)“.

„იქნება წაღმა ვიფიქრო  
ქვეყნის უკულმა ტრიალი“  
ვაჟა“.

ყდის მე-3 გვერდზე: „სადაო: გვ. 400, მიწადა. კაცადა? გვ. 162, საკეხური თუ საკვახური? 182, თიფლისის დაცვა; 148. გაქორწინა“.

სუპერზე: „ჰაზირა, გვ. 88; ტარულა, 89; არეულია გვ. 167, 171, 172, 123, 194, 197, 84, 90. შესადარი, გვ. 270. „ვიწრო გოდება“ ვიწყო, 272, 274, 280, 132–4, 197; ძნიად – 28, 111, 113. დარიგება, 384, 329, 364“.

მესამე ცალის სუპერის ბოლო გვერდზე მიწერილია: „მაზა 197, 209. ავლაბარი 116, 117. ივეზირეს. კახაბერად გვ. 70.“

წიგნში დევს გაზ. „კოლმეურნის ხმის“, 1955 წ., № 135“. გაზეთის მეოთხე გვერდზე დაბეჭდილია გრ. გაზედავას წერილი: „დ. გურამიშვილის შეხედულებანი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის შესახებ“.

1122–1124. გურამიშვილი დ. დავითიანი, მე-9 გამოც. თბ., 1955.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1955. 14 IX.“

იქვე ქვემოთ: „137, 154, გვ. 46 უსირცხვილოს...“

გვ. 137 სიტყვა „არამცა“ გადატანილია წინა სტრიქონის ბოლოს.

გვ. 154. ხაზგასმულია სიტყვა: „განახეხი“. არშიაზე: „განაჩეხის?“

გვ. 46. მეორე სტროფში მე-3 და მე-4 სტრიქონს გადაადგილების ნიშანი უზის.

გვ. 155. მესამე სტროფში ხაზგასმულია: „ისარქარო“ და მიწერილი არშიაზე: „სარქალი“.

გვ. გვ. 337, 338, 340 – რედაქციის მიერ გამოტოვებული სიტყვების მაგივრად დასმულ მრავალწერტილებზე დაწერილია ი. გრიშაშვილის მიერ აღდგენილი სიტყვები.

1125. გურგენიძე დ. ლექსები. თბ., 1958.

1126. გურეშიძე ნ. ჩემი გაზაფხული [ლექსები]. თბ., 1955.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს, საყვარელ პოეტს და ადამიანს. პატივისცემით ნოდარ გურეშიძე. 21.12.55 წ.“

1127–1131. გურიელი მ. თხზულებანი მამია გურიელისა (მ. ფაშელისა). ლექსები. (ავტორის სურათით და ბიოგრაფიით). ქუთაისი, 1897.

ყუაზე: „მამია გურიელი“.

ფორზაცზე: „ეს წიგნი გაარჩია ვ. გომართელმა. (იხ. „კვალი“, 1898 წ., №№ 31–37). ი. გრ.“ იხ. „ნატვრა“, 217. ნეტავ ფაბრიკებიო. მამიაზე მოხსენება წაიკ. გ. ჟღენტმა, 1938 წ., 7 მარტს რუსთ. ინსტიტ.; კოლცოვი თუ შევჩენკო, გვ. 214. იხ. ჩემი – „შევჩენკო ქართულ ლიტერატურაში“ ი. გრ.“ ი. გრიშაშვილი. 1909 წელი. „ალავერდი. 178“.

„მამია გურიელის ლექსი:

1. ირმის ნაამბობი. (იხ. „ივერია“, 1909 წ., (ვ. თუმანი) № 39). 2. „მნათობი“, 1932, № 3–4 (ჩემი რედაქციით).

3. ჩემ მიერ აღდგენილი სტრიქონი, გვ. 174 ი. გრ.“ ბოლოში მიწერილია: „1897“.

გვ. 1. ლექსში „ფარვანა“ მე-4 სტროფის პირველი სტრიქონი „რალა ეს მჭირდა ვაგლახიანსა“ გასწორებულია: „რალა ეს მჭირდა მე ვაგლახიანს“.

გვ. 49. ლექსის „სნეული“ სათაურის წინ მიწერილია: „ამ ლექსს ზეპირად მღეროდნენ მოძრაობის დროს 1905–6 წელს. ი. გრიშაშვი.“

გვ. 57. ლექსის „ზეპირი სადღეგრძელო გ. შ.-ს“ პირველ სტრიქონში სიტყვა „ჭიქას“ გადახაზულია და ზევიდან წერია: „ჭიქას“.

გვ. 75. უსათაურო ლექსს „მეფე რომ ვიყო, ვუფლებდე“... მიწერილი აქვს: „(პგავს ჰიუგოს ლექსს)“.

გვ. 76. ხაზგასმულია ლექსის „სოლოგუბიდან“ სათაური, ლექსის ტექსტი მთლიანად მოხაზულია და ბოლოში ფრჩხილებში წერია: „(მამია გურიელის ლექსები. რედაქცია ი.

გრიშაშვილისა“).“ იქვე ჩაწებებულია ქაღალდის ნაჭერი აღნიშნული ლექსის ორიგინალით – ი. გრიშაშვილის ხელით.

„ვ. ა. სოლოგუბი (1813–?)

Княгине +++

Любите, милая княгиня,

Покуда вам дано дышать!

Любовь – небесная святыня,

Любовь – земная благодать.

Любите всех, любите много,

Житейский холод отклоня;

Но уж за то вы, ради бога,

Любите также и меня!

(იხ. ვ. ა. სოლოგუბის ლექსების წიგნი „Тридцать четыре альбомных стихотворения“, Тифлис, 1885 წ., გვ. 15)“

გვ. 98. „დემონის“ თარგმანის მე-2 ნაწილის მე-6 თავში მოხაზულია: „და ლოგინზე რა ძალათ ეშვება, მას სწვავს ბალიში, რაღაც აწუხებს“. ქვემოთ, არშიაზე: „იხ. ჩემი „შემლილი ოთახი“.

გვ. 101. მე-9 თავში ხაზგასმულია: „სულო ბოროტო, სულო ცოდვილო, ვინ მოგიხმო...“ არშიაზე: „ნ. ბარათაშვილი“.

გვ. 104. ხაზგასმულია: „განვედი ჩემგან, სულო შემცდარო?“, მიწერილია: „ნ. ბარათაშვილი“.

გვ. 115. „დემონის“ ბოლოს ხაზგასმულია სიტყვები: „ბოლო აკლია“ და მიწერილი არშიაზე: „ასე გამოსცა“. იქვე მიწერილია: „აკლია XII–XV-მდე თავი, ე. ი. მთელი ბოლო. ი. გრ.“

გვ. 129. ლექსის სათაური „ბაირონის გიაურიდამ“ გასწორებულია: „ბაირონის „გიაურიდამ“\*\*

გვ. 140. ლექსის „დედასთან მიწერილი თფილისითგან“ წინ: „წერილი დედას“.

გვ. 164. ლექსის „ჩვენება“ ბოლოდან მეორე სტროფში სიტყვა „ცემა“ გადახაზულია და ზემოდან აწერია: „ვნება. ეს მე გავასწორე, როცა 16 წლისა ვიყავი. ი. გრ.“

გვ. 173. ხაზგასმულია: „გრაფი სოლოგუბის ალავერდი“, ისრით ხაზი გადმოტანილია გვ. 172-ზე და მიწერილია: „ალავერდი სთარგმნა ი. კერესელიძემაც („ლექსნი“. 1878 წ., გვ. 78)“. გვ. 173, ლექსის სათაურს მიწერილი აქვს: „ეს სთარგმნა ი. კერესელიძემაც, იხ. მისი კრებული. გვ... წაიღოს [?] მ. ავალიანმა. იხ. მისი წიგნი „ვედრება“, 1892, გვ. 24.“

გვ. 174. პირველი სტრიქონის შემდეგ მიწერილია: „აკლია“ და ჩამატებული ტექსტის ბოლოს:

„და როგორც ძველსა საუკუნეებში

მოყვრებს პურღვინით, დავხვდეთ, მზათა ვართ.

ჩემი აღდგენილი ი. გრ. იხ. „ვედრება“ მ. ავალიანისა 1892 წ., გვ. 25.“

ლექსს ბოლოში მიწერილი აქვს: „[3 მარტი 1890. ქუთაისი]“.

გვ. 178. ლექსი „ჩემი ალავერდი“. მე-4 სტრიქ. სიტყვა „მოვამდივნოთ“ გასწორებულია: „მოვამდიროთ“. იმავე გვერდზე მესამე სტროფში გამოტოვებული

სტრიქონი აღდგენილია: „ჩვენი ძველი არსებობა“. იქვე მოხაზულია „ბრიყვ თათრობა“ და მიწერილია: „ბრიყვ მთავრობა ან რუსობა. ერთ ძველ ხელნაწერშია: „დანა დავცეთ ბრიყვ მთავრობას“ (მე მგონი „დანა“ არ არის სწორი)“.

გვ. 179. ლექსის ბოლოს: „\*) ამ ლექსის ვარიანტი იხილე. 1. გუნთას „კალენდარი“, 1892, გვ. 322. 2. და ავალიანის წიგნი „ვედრება“. 3. და ნ. გოცირიძის ხელთ“.

გვ. 211. პოემის „პოეტი და ჩვენება“ ბოლოს მიწერილია: „ივერია“, 1891 წ., № 175. ი. გრ.“

გვ. 214. ლექსის სათაურის წინ: „იასამანმა მითხრა: „ეს ლექსი შევჩენკოს ეკუთვნისო!“ 1938. 10 II. მართალია შევჩენკოსია შევადარე ი. გრ. 1939 წ. 11 II.“ თვით ლექსის სათაურთან „კოლცოვიდან“ გადახაზულია და მიწერილი „შევჩენკოს“ და შემდეგ გვერდზე გაგრძელებულია: „უკრაინული („Минають дні, минають ночі“) Проходять дні, проходять ночі (რუსულად სოლოგუბის თარგმ. გვ. 230)“.

გვ. 215. ლექს ბოლოში მიწერილი აქვს: „ეს ლექსი დაბეჭდილია „თეატრში“, 1866, № 35. (?) იქ აწერია: „შევჩენკოს ფიქრი“.

გვ. 219. ლექს „ნატვრა“ ბოლოში მიწერილი აქვს: „დაწვრილებით იხ. „ჩანგი“, 1888 წ., გვ. 215“.

გვ. 221. ლექს „რათ მინდა?“ ბოლოში: „მომეწონა 21-ს დეკემბერს XII ი. გრიშაშვ. 1909“.

გვ. 228. ქვემოდან მე-7 სტრიქონში მოხაზულია: „ვიღაც ბრიყვიო“ და მიწერილი: „ჩინოვნიკიო (ასე ჰქონია დედანში)“.

გვ. 232. ხაზგასმულია სათაურთან: „ნადსონი“ და მიწერილი: „(თარგმანი)“.

გვ. 255. ლექს „ქალები“ ბოლოში მიწერილი აქვს: „ივერია“, 1891, № 181“.

გვ. 315. „ჰომერის ილიადას“ ბოლოში მიწერილია: „იხ. კრებული „ცდა“, № II. აქ ლექსი დატეხილია, იქ-არა“.

გვ. 325. ლექს „პუშკინიდამ“ ზემოდან აწერია: „კერნისადმი“.

სარჩევში:

გვ. III ლექსს „ებრაული მელოდია“ მიწერილი აქვს: „(ბაირონი)“. ლექსს „მეფე რომ ვიყო“ – „(პიუგოსებური)“.

გვ. IV ლექსს „ტურფა ქალისთვის თექვსმეტი წლისა“... – „თარგმ.“

გვ. V მოხაზულია ლექსი „ჩემი ალავერდი“ და მიწერილი: „ალავერდი“. ლექსს „პოეტი და ჩვენება“ მიწერილი აქვს: „ფიცით 209“.

გვ. VII. „ჰომერის ილიადას“-ს მიწერილი აქვს: „იხ. „ცდა“ № II“.

წიგნის დასაწყისში, ფორზაცზე დაკრულია 1930 წლის მაგიდის კალენდრიდან 7 აპრილის ფურცელი, რომლის მე-2 გვ. წერია: „ქეიფში მოხვდა და ქალები იყო ბევრი: სთხოვეს მამიას ლექსი სთქვიო და სთქვა ეს კუპლეტი:

„სალამი ჩიტუნებო,  
სიმნო სიყვარულისა,  
გულ-ჭრელო ყვავილებო,  
კეკლუც გაზაფხულისა,  
ერის თვალი თქვენ გიმზერთ.  
მამული გელიმებათ,  
თქვენ სახელს გულზე იწერს,

მთელი ქვეყნის ბუნება.  
ჭიკჭიკით გაიშალეთ,  
ბნელი დღეთ შემიცვალეთ,  
სალამი ჩიტუნებო,  
სალამი გენაცვალეთ!“

გვერდზე მიწერილია: „ზოგი ამბობს მამიასი არ არისო“.

წიგნში ჩადებულია კონვერტი, რომელზეც ა. ლაზარაძე-ციციშვილის ხელით წერია: „სოსოს ჩანაწერები მ. გურიელზე“. კონვერტში დევს: 1. საკატალოგო ბარათი მინაწერით: 1. „ადამიანი“ – მ. გურიელისა. დაიბეჭდა პირველად „დროება“-ში, 1868 წ., № 2. 7 კუპლეტია. დაწერის თარიღი 1867 წ., 22 დეკ.“. 2. ქალაქის ნაჭრები მინაწერებით: „მ. გურიელის „სნეული“. დაიბეჭდა „კრებულში“, 1872 წ., № 8–9, გვ. 220. 3. „ფაზელი“ რითმავდა თავის გვარს:

„გახსოვდე ძველებურად  
ამ ბარათის მხაზველი,  
უმორჩილეს ერთგულად

მარად შენი ფაზელი“. „კრებული“, 1872. № 8–9. გვ. 293. 4. მამია გურიელის ლექსი „ქალი ვიყავ მოწიფული“ მუსიკაზე გადაიღო დევერჩშენკმა. იმდერა თავის ბენეფისში მაკო საფაროვ-აბაშიძისამ 1884 წ., 21 მარტს. 5. „პოეტი და ჩვენება“ აწყობილი იყო და ველარ დაიბეჭდა. („ივერია“, 1884. № IV, ყდაზე)“. 6. ქალაქდზე:

#### „ალლავერდი

–

1. მეგობრებო! ჯერ ვისურვოდ  
ჩვენ სამშობლოს დღეგრძელობა,  
და თასები გამოვწუროდ  
ღვინოც კარგა შეგვერგება,  
ასე ვუთხრად: საქართველოვ!  
აღსდებ, გახდი კვლავ თავხედი,  
არა არს-რა უსაშველო...  
ყმაწვილებო, „ალლავერდი!!!“

–

2. მოგვაგროვე მტერს გვაჯახე  
დეეხსენ იყოს რაოდენი,  
გვაბრძოლე და ნუ დაგვლახე  
შეიწირე ჩვენი დღენი!  
ნურას ჰკრთები, ჩვენ გვარგუნე  
რაცა იყოს გასაბედი  
დრო ნეტარი მოგვიბრუნე  
შემოგვძახე: „ალლავერდი!!!“

–

3. ფიცსა გაძლევთ არ გიმტყუნოთ  
შენ შვილებთგან არცა ერთთმან,

რაც გვიბრძანო აღგისრულოდ,  
თუ შეგვასწრო ის დრო ღმერთმან!  
შევეტაკნეთ არა ძმებო?  
მივუშვიროდ მტრებს მხნე მკერდი,  
თქვენ, უებრო მებრძოლებო!  
თქვენთანა ვარ: ...„აღლავერდი!!!“

—

4. კმარა რაც რომ გვითმენია,  
აწ კი ნულა დავმონდებით  
სხვებისთვის თუ გვიბრძოლია  
სამშობლოსთვის ვერ ვიომებთ?  
წამოდექით, მოვემზადოთ,  
გამოვსცადოთ ერთგულ ბედი  
თავს დავესხათ მტერს უზადოთ  
იქ დავჭყვივლოთ: „აღლავერდი!!!“

—

5. ვაჩვენოდ რომ ქართველობა  
ჯერ სულ მთლად არ გათელილა  
გაგვიგია ცრუ მოყვრობა  
თმენის ჯაჭვი გაწყვეტილა  
აღვიჭურნეთ გმირის კლავით  
გავსულიტოდ სჯულ გასაწყვეტი.  
ავისთვის დავსაჯოთ ავით  
ვინც თანხმა ხართ... „აღლავერდი!!!“

—

6. სისხლი ჩვენი, ჩვენ ტკბილ აღმზრდელს  
გადავასხად მოვალეკოთ,  
ან სულ გავსწყდეთ ბრძოლისა ველს  
ან არა მცველებად ვეყოთ!  
ჩავერივნეთ მოსისხლეთა  
ვკრად მხარი და ზოგს მოგვერდი  
ხმალი ბასრი ვიპყრად ხელთა  
ვისიც მძლეთ სჭრის... „აღლავერდი!!!“

—

7. მენდეთ დროა რომ საბლები  
მონობისა აწ გავგლიჯოთ  
მამაპაპათ საქმეები  
მოვიგონოთ, მტრები ვჟლიტოთ  
თაყვანი ვსცეთ ძველსა ღმერთსა  
რომ შევიქნათ წასახედი  
ძლევის შემდეგ ერთმანეთსა  
მივაძახოთ: „აღლავერდი!“

- [როს გვეღირსოს გამარჯვება  
მებრძოლთ ლეწა ზედიზედი,  
მაშინ გვმართებს გახარება  
სმა, შექცევა, ალავერდი!!!]
8. მანამდის კი სულ ცრემლებით  
მოვრწყოთ მიწა მოვალბილოთ  
დავიხოცნეთ იმ რწმუნებით  
რომ შემდეგში აღვადგინოთ  
ჩვენი ძველი არსებობა  
გორგასლანის განაჭედი,  
დანა დავცეთ ბრიყვ-მთავრობას  
ვიღრიალოთ: ალავერდი!
9. ნუ დავუთმობთ ამ სახელსა  
ჩვენსა შემდეგ მომავლობას  
ფუ, შერცხვენა იმ ქართველსა  
კისრად იღებს ვინც ფრთხილობას.  
ვინც არ მოკვდეს წინამბრძოლათ  
დაიხაროს მტრისწინ ქედი!  
მას შეერთოს დედა ცოლად  
ჩვენ კი შევსოთ „ალავერდი!“
10. გვედრებ ვისაც გებრალეები  
იმ დროს ხელი არ ამილო  
და ეს ჩემი ძველი ძვლები  
იქავ მინდვრად გამისალო  
იქ გავშორდე მინდა სულსა,  
ვიყო თუნდა წასაწყმედი  
ჩვენ ტოლუმბაშს დღეს რჩეულსა  
მაშინ ანდეთ: „ალავერდი!“  
[ანდეთ]

მ. ფაზელი.

(გადავწერე 1886 წელში გადაწერილი ხელთ. რვეულიდან, რომელიც ეკუთვნის მსახ. ნიკო გოცირიძეს (მისი ძმისა ყოფილა). ი. გრ.“ კუთხეში მიწერილია: „ხელი ზოგან ან. თევზაძისა“.

7. ფაზელი. 1. „ქალები“, („ივ.“, 1891, № 181). 2. პოეტი და ჩვენება, (იქვე, № 175)“.
8. მამია გურიელზე წერილი ნიკო ნიკოლაძის (იხ. „Новое издание“, 1891 წ. № 2614.
9. გრ. გურიელი. (ნეკროლოგი). იხ. „Н. О.“, 1891. № 2732. № 2614.
10. ბიბლ. მამია გურიელის წიგნზე იხ. („Новое издание.“) 1897, № 4571.
11. მამია გურიელის გარშემო. იხ. „კვალი“, 1897, № 19, გვ. 373.
12. მამია გურიელის გარშემო. დაგვიანებული ბოდიში. ი. მეუნარგია შემდეგ წერილს წერს „ნოვ. ობოზ-ს“: „ჩემ მიერ მამია გურიელის ლექსთა კრებულისათვის წამძღვარებულ ბიოგრაფიაში შევცხე-რა პირადობისა და ხასიათის დაფასებას, მოვათავსე რამდენიმე ექსპრომტი, რომლებიც ავტორს თითქო სხვადასხვა დროს

ეთქვას. ამჟამად ამ ექსპრომტების უმრავლესობა მე მიმაჩნია მოჭორილად და სრულიად უშინაარსოდ და ამიტომ მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გულწრფელი მწუხარებით ვალიარო, რომ მათ შესახებ ჩემი კომენტარიები უსაბუთოა.“ („ცნ. ფურც.“, 1898, № 514, 23 აპრილი)“. გვერდზე მიწერილია: „ხომ დაბეჭდილია, მაგრამ ჯერ არავის შეუნიშნავს, თარი ყველასა აქვს, მაგრამ სიმებს როგორ ააჟღერებ, ისაა საქმე. ი. გრ.“

13. მამია. აკაკის ცნობით მამიას უთარგმნია პუშკინის „ეგვიპტური საღამოები“. (იხ. „ნიშადური“, 1908, № 41, გვ. 4).

14. მამია გურიელის არხივიდან. (იხ. გრ. ხავთასის წერილი: ქუთაისის ინსტ. „შრომები“, II ტ., გვ. 290).

15. მამიაზე იხ. ჩემი ა. ცაგარელი და „შევჩენვო ქართულ ლიტერატურაში“, „ლიტ. საქართ.“, 1939, № 14“.

16. მოსაწვევი ბარათი ახალი ქართული ლიტერატურის სექციის სხდომაზე.

17. გაზეთიდან ამოჭრილი ა. ახნაზაროვის წერილი: „მცირე შენიშვნა მამია გურიელის ერთი ლექსის შესახებ“. მინაწერთ: „ლიტ. საქართ.“, 1941, № 1“.

მეორე ცალის ყდა საგანგებო დაკვეთითაა დამზადებული. ყუაზე: „მ. გურიელის ნაწერები“ და წინანდელი მფლობელის ინიციალები: „ფ. მ.“

ფორზაცზე: „ფილიპე მგელაძის (პოეტ ფ. რუსთაველის) წიგნებიდან. ვიყიდე სახელგამის ბუკინისტ. 1945. 11-V.“

მეხუთე ცალის შმუცტიტულზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „მ. კინწურაშვილი“.

1132. გურიელი მ. (ფაზელი) რჩეული ლექსები. თბ., 1940.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1940. 1 VII. შეცდომები. გვ. 41, 64“.

გვ. 41. ლექსთან „ალავერდი“ არშიაზე წერია: „აკლია. მე მაქვს აღდგენილი ი. გრ. („ჩემი ალავერდი“).“

გვ. 64. გადაშლილია ლექსის სათაური: „კალცოვიდგან“ და თავზე აწერია: „შევჩენვოსია. იხ. ჩემი წერილი. ი. გრ.“

1133–1137. გურიელი მ. მამია გურიელის უცნობი პოემა „ირმის ნაამბობი“ [ი. გრიშაშვილის პუბლიკაცია]. – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობიდან“, 1932 წ., № 3–4.

ამონაჭერს გაკეთებული აქვს კანი: „მამია გურიელი. ირმის ნაამბობი. ი. გრიშაშვილის რედაქციით. იხ. „მნათობი“, 1932, № 3–4. ი. გრ.“

გვ. 160. წინასიტყვაობის ბოლოს მიწერილია სიტყვა: „რედაქცია“ გადახაზულია და მიწერილია: „ი. გრ.“

1138. გურიელი მ. რაშიდ ვარდან-ოღლი. პოემა დასავლეთ საქართველოს მოთხრობიდან. ქუთაისი, 1897. ამონაჭერი: მ. გურიელი. თბ. ულუბანი. ქუთაისი, 1897.

თავფურცელზე: „ი. გრ. მ. გურიელი“.

1139. გურჯანელ-დათუკიშვილი დ. უნუგემოთ დამწვარი. ლექსთა კრებული. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1925 წ., 27/III.“

1140. გურჯიშვილი დ. მთა იძრა. [რომანი]. წ. 2. ბათომი, 1934.

1141. გურჯიძე ა. ლექსები, თბ., 1955.

ფორზაცზე წარწერა: „პოეტ-აკადემიკოსს, ქუთაისის პატრიოტს ბატონ იოსებ გრიშაშვილს დიდი პატივისცემით ვუძღვნი ჩემი შემოქმედების ამ მცირე ნაწილს. ავტორი. 10. I .1956 წ. თბილისი“.



1142. გურჯიძე ა. ყველგან ჩემი სახლია. [ლექსები]. თბ., 1960.
- 1143–1148. გუქიტიშვილი. მარია სტიუარტი და ელისაბედი ტუდორი. ტრაგედია ორ ნაწილად. ფოთი, 1900.
- ფორზაცხე: „ი. გრიშ., ტფილისი, 1914 წ., მაისი“.
- თავფურცელზე ავტორის გვარის ქვემოთ მიწერილია: (მდ. ბობოხიძე)“.
- 1149–1150. დადიანი გ. ლექსთა კრება. კოლხიდელისა (გრიგოლ დადიანის). ქუთაისი, 1901.
- კანზე, თავფურცელზე და ტექსტის მე-3 გვ.: „ი. გრ. 1919 წ.“
- კანზე: „ I. იოანე გეგეჭკორი“. ფსევდონიმს „კოლხიდელს“ მიწერილი აქვს: „II“ და „გრიგოლ დადიანს“ – „III“.
- თავფურცელზე ავტორის გვარს მიწერილი აქვს: „უგ. თავ. გენერალ-ოტ-ინფანტერის“.
- გვ. 3. სქოლიოში გასწორებულია თარიღი: „[1] (8)? ი. გრ.“
- გვ. 39. ლექსის „ცისკარს“ თარიღს „1849“ მიწერილი აქვს: „1852“.
- გვ. 40. ლექსის ბოლოს: „გ. დ.“
- გვ. 63. ლექს „ლუჩიას“ მიწერილი აქვს: „ყაუხჩიშვილი – კაჩუხოვი“.
- გვ. 69. ლექსი „ერთს მშვენიერ ქალს“... მოხაზულია და არშიაზე მიწერილი: „იხ. ლუკა ისარლოვი (?)“.
- გვ. 74. ტექსტის ბოლოს: „1. კოლხიდელის ლექსი „ცისკარში“. „თ. გ. ბ. მ.“ („ცისკ.“, 1865, ნოემბ). 2. ნიკო დადიანს (ძმისწულს). (იქვე № ოქტ.)“.
- წიგნში დევს: 1. ქალაღდის ნაჭერი მინაწერით: „სოლ. ცაიშვილი. 1940, 24/IV.“ 2. ქალაღდის ნაჭერი, რომლის ერთ გვერდზე წერია: „სოსოს უღრმესი მადლობის მოხსენებით ს. ცაიშვილი“.
- 1151–1155. [დადიანი გ.] გეგენჭკორი იოანე. რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფის სოლომონისა. თფ., 1895.
- კანზე ავტორის გვარის ქვემოთ: „(გრ. დადიანი, კოლხიდელი)“.
- თავფურცელზე: „P. S. ამ წიგნზე იხ. რეცენზია „კვალში“, 1895 წ., № 15. გვ. 2. და იონა მეუნარგიას პასუხი საკურიოზო იმავე წლის „კვალში“, № 19, გვ. 7, ი. გრ.“
- 1156–1158. დადიანი ვ. სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე. ტფ., 1898.
- გვ. 3. სათაურის წინ: „კოწია დადიანი. 1898 წ., დუბლ. ი. გრ.“
1159. დადიანი ვ. ქებახან. პოემა. ქუთაისი, 1897.
- 1160–1161. დადიანი ნ. საამდროო გამოცანები. (ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზე) თ. ნ. ტ. დადიანისა. ქუთაისი, 1897.
- თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. ტფილისი, მაისი, 14 წ.“ იქვე: „როცა ეს ზმაკიდურები დაიბეჭდა „ივერიაში“, ასეთი სათაური ჰქონდა: არჩილური, შვიდ-თავი (სამდრო ამოცანები ნ. დადიანისა). ამ დროიდან და ამ ნომრიდან დაიწყო ბეჭდვა. (იხ. „ივერია“. 1891 წ., № 125). სად, როდის დაიბეჭდა, იხ. ტექსტი. ი. გრ.“
- ტექსტში ყოველ ლექსს მიწერილი აქვს, თუ სად და როდის დაიბეჭდა.
- გვ. 7. მეოთხე სტრიქონში ხაზგასმულია „ფაზარი“ და მიწერილია: „მვირფასი ქვა. (იხ. „ვეფხისტყაოსანი“)“.
- გვ. 13. სქოლიოში ფსევდონიმს „დონ-იაგო“ მიწერილი აქვს: „-მანსვეტაშვილი, ი.“
- გვ. 23. სქოლიოში მიწერილია:

- „1. ნათამეს – ალექსანდრე, „ბაშვთა მოკეთე“-ს ავტ.  
 6. ნა-ლის – ნანეიშვილი, ალექს.  
 7. ნასიძე – მიხეილ“.
- გვ. 25. სქოლიოში ფსევდონიმს – „ორანიანი“ მიწერილი აქვს: „არტემ ახნაზაროვი“.  
 გვ. 27. ფსევდონიმს „სანო“ მიწერილი აქვს: „სტეპკო ჭრელაშვილი“.  
 გვ. 29. ფსევდონიმს „ურბნელი“ მიწერილი აქვს: „ნ. ხიზანაშვილი“.  
 გვ. 30. ფსევდონიმს „ფრონელი“ მიწერილი აქვს: „ალ. ყიფშიძე“ და „ფშაველა“-ს „ლ. რაზიკაშვილი“.
- გვ. 31. „ღულაძე“-სთან მიწერილია: „ანდრია ღულაძე“.  
 გვ. 32. სქოლიოში ფსევდონიმს „წყალტუბელი“ მიწერილი აქვს: „გ. იოსელიანი“.  
 1162. დადიანი შ. [ნაწერების სრული კრებული 6 ტომად]. წ. 1. თბ., 1939.  
ამ ლექსების ზემოთ სწერია რედაქციისაგან: „ეს ლექსები მოვიპოვეთ, შემდეგ წიგნის დაბეჭდვისა და ამისთვის ჩაურთევით ბოლოს. ისინი გადმოგვცა თ. მიხეილ ბირთველის ძემ თუმანიშვილმა, რომელსაც შრომის მიღებისათვის და მონაწილეობისათვის ამ საქმეში ვუძღვნით გულითად მადლობას“.

ნაწ. 2. ყდის მეორე გვერდზე: „ი. გრ. 1940. 10. X“.

1431–1432. ერისთავი გ. თხზულება. [აკაკი წერეთლისა და ი. მეუნარგას წინასიტყვაობებით]. მე-2 გამოც., თბ., 1884.

ფორზაცზე: „ქაჯური ქცევა. (რუსული?) გვ. 46. (აქვე ა. ჭავჭავ. გვ.). 2. ქართული რომანი, 141. 3. ბანკის დაარსება. 145. 4. ყმა ტორგში იყიდება, 145. 5. რუსულის მცოდნე, 148. 6. ჩალხი, 151. 7. ენაზე ჭალი, 150. 8. ჩალიანი. 229 და 179. 9. „მთავრინა“, 383, 426. 10. პაჟარნი, 445. 11. ჯან-ჯაფილი, 447. 12. გლუხარიჩი, 448. 13. სათალი, 438–456. 14. ქურსი, 251. 15. ქაჯური, 46, 440“.

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „ქაჯური“, გვ. 46, 440. გაყრის ხუთი გამოცემა, 127. ევანგულა (203). ნ. ბარათაშვილი თავის წერილებში გ. ერისთავს კარგ პოეტად სთვლის. ბაბაღე ორბელიანს უძღვნის ძულებების ლექსს, 24. 1. ნ. ბარათაშვილი, გვ. 117. 2. ნ-ო. გრიბოედოვს, 33. 3. რეცეპტი – მანანა ორბელიანს, გვ. 26. 4. ვაი ჭკუისაგან პეტრე ბაგრატიონის და ა. ჭ-ძის სახლში, გვ. XXXVIII. 5. მაჯამა, 39. 6. ლენცოვა, 45. 7. ასონანსი, 142. 8. დანტე და სხვ., 100. 9. ანტონი – გრ. ორბელიანის ლექსის პერსონაჟი, 118. 10. „აგერ ცაში მზე ბრწყინვალეებს“, გვ. 87. 11. ნიკო ბარათაშვილი – მეჭორე, 117“.

ფორზაცზე დაკრულია ქაღალდის ნაჭერი, რომელსაც აწერია: „Иосиф Мамулашвили, (გ.რ.ი.შ.ა.შ.ვ.ი.ლ.ი.) 1907“.

გვ. XLI კომედია „გაყრას“ მოქმედ პირთა და შემსრულებელთა სიაში ხაზგასმულია ანდუყაფარის როლის შემსრულებელი „თ. ილ. ორბელიანი“, არშიაზე მიწერილია: „ილია, გრიგოლის ძმა? შამილმა რომ დაიჭირა?“

გვ. XLII ხაზგასმულია: „...გაიმართა წარმოდგენა ახლად აშენებულს მშვენიერ თეატრში, თამამშოვის ქარვასლაში“. არშიაზე: „არ არის მართალი, იხ. ხარიტონოვი“.

გვ. XLX ტექსტში ხაზგასმულია ნათარგმნი პიესის სათაური „მოჯადოებული თავადი“. არშიაზე წერია: „Закалдованный принц-и?“ მერე გ. ერისთავმა ხომ არ გადააკეთა? „თილისმის ხანი“. ი. გრ.“

გვ. LIII. არშიაზე მინაწერი ქართული თეატრის შესახებ: „ხუთ წელიწადს არსებობდა ის თეატრი მუნ ქალაქში“ (გ. დვანაძე)“.

გვ. LIV. ტექსტში მოყვანილ გ. დვანაძის ლექსში ხაზგასმულია: „მე შემეყვარდა იქ ქალი“. არშიაზე წერია: „ლიზა ნათიშვილი“.

გვ. LVI. ხაზგასმულია: „შარმაზანოვის დარბაზსა“, მიწერილია: „ეს შარმაზანოვის დარბაზი იყო აბასაბადის მოედანზე. (იხ. პ. უმიკაშვილი). ი. გრ.“

გვ. LVII მოხაზულია მთელი გვერდი, მიწერილია არშიაზე: „ეს იყო 1855 წელს იხ. „Кавказ“, 1855, № 8“.

გვ. LXV ხაზგასმულია: „ცენზორათ იყო მეტეხის მღვდელი დეკანოზი ეფრემ ალექსეევი-მესხიევი“. არშიაზე წერია: „იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. IV (ქართული წიგნი) გვ. 436. მეტეხელ მღვდელზე კიდევ იხ. „ივერია“, 1904 წ., № 63“.

გვ. LXVIII. მოხაზულია აბზაცი, რომელიც ეხება გ. ერისთავის ერთ-ერთ რუსულ კომედიას. არშიაზე მიწერილია: „იხ. „Кавказ“. ამავე გვერდზე ხაზგასმულია: „დაიბეჭდნენ ცალ-ცალკე „ძუნწი“, „უჩინ-მაჩინის ქუდი“ და მათთვის შესაფერი ლიბრეტოები რუსულს ენაზე“. არშიაზე წერია: „მამინ წიგნებთან ერთად ლიბრეტოებიც იბეჭდებოდა“.

გვ. LXIV. გ. ერისთავის კომედიის „მაიკოს“ შესახებ მინაწერი არშიაზე: „მაიკოს“ ავტორი ყოფილა „ბეკლემიშოვი.+ (იხ. ნიკო ნიკოლაძის „ნაწერი“, 1889 წ., დაბეჭდ. გვ. 100)“. კომედია „თილისმის მოარშიყეს“ ეხება მინაწერი: „მოლიერით. (იხ. კ. ყიფიანის წერილი „დროება“, 1876. № 22)“.

გვ. 4. ლექსის „თ. სვიმონ მაჩაბელს“ ბოლოს მიწერილია: „ეს ლექსი გაზ. „მიწამ“ დაბეჭდა როგორც ჯერ დაუბეჭდავი ლექსი. (იხ. „მიწა“, № 2, 1921 წ., 7 იანვარი)“.

გვ. 5. ლექსის „მტკვრისადმი“ წინ წერია: „ნ. ბარათაშვილის „ჩინარი“ ჰგავს ამ ლექსს“.

გვ. 8. შილერის ბალადის სათაურის თარგმანი „ხელჯავვი“ ხაზგასმულია, მიწერილია: „ხელთათმანი“. არშიაზე წერია: „იხ. გრ. ორბ. წერილები. ტ. I, გვ. 123“.

გვ. 17. ლექსის „დედა და ქალი“. (კრასნი სარაფანის ხმაზედ)“ ქვესათაურთან მიწერილია: „Не шей матушка красный сарафан“. არშიაზე: „ეს ლექსი მიბაძვაა რუსულისა. ამ ცნობილ რუსულ ლექსს კ. რატიგინმაც მიბაძა. იხ. „Закулисная хроника“. 124. ეს ლექსი ასე იწყება: „Не шей ты мне девичий наряд და სხვ. (იქვე)“.

გვ. 21. მოხაზულია ლექსის „თ. სიმონ მაჩაბელს“ დაწერის თარიღი, მიწერილია: „1832“.

გვ. 24. ლექსის სათაური: „კ. ბ. ო“. გახსნილია: „[კნენა ბარბ. ან ბარბარე ორბელიანის]“.

გვ. 26. ლექსის „რეცეპტი“ სათაურს ქვემოთ მინაწერი: „(მანანა ორბელიანს)“.

გვ. 28. ლექსში „ფიქრი ყმაწვილი ქალისა“ ხაზგასმულია ორი სტრიქონი „დილით ფაიტონითა“... და „მაგრამ ამ სალოგინეს...“ და არშიაზე მიწერილია: „ეს ორი სტრიქონი აქ კარგადაა, ხოლო ზოგიერთ ეგზემლდარში ასოთი მეტია. ი. გრ.“ აქვე მინაწერი: „იხ. დავა“.



გვ. 32. ლექსის „გულს“ სქოლიოში მოყვანილია ამ ლექსის ზოგიერთი ადგილის სხვა ვარიანტი:

„საბრალო“ მე-5 სტრიქონის სიტყვის „საწყალს“ ნაცვლად.

„ბევრჯერ შემცდარა ვნებათაგან არს გალეული.

ვით მარგალიტი სადაფს შინა არის დაცული

შენც იყავ მისებრ უგრძნობლობის ჯაჭვით დაბმული“.

იქვე მინაწერი: „(ეს ხელთნაწერი ვნახე ვ. თოფურიას ხელში, ჯერ არ იყო შეძენილი). ი. გრ. 1934. 10/XII“. ამავე ლექსის მე-3 სტროფი მოხაზულია და არშიაზე მიწერილი: „ეს კუპლეტი ერთ ვარიანტში არ არის“.

გვ. 33 ლექსში „თოვლი“ ხაზგასმულია მიძღვნა: „კნიაჟნა ნინა ჭავჭავაძისას (გრიბოედოვისას)“, მიწერილია: „ცისკარში“ მიძღვნა არ ეწერა. (იხ. „ცისკარი“, 1852, № 1, გვ. 4)“. ხაზგასმულია ამ ლექსის თარიღიც, მიწერილია: „გ. ერისთავი 6 წლის გადასახლების შემდეგ ჩამო...“

გვ. 45. ლექსის „შექმნა სეკრეტრისა“ ბოლოს მიწერილია: „ამის რუსული დედანი ინახება გ. თუმანიშვილის ქალაქებში (საქ. მუზეუმში)“.

გვ. 46. ლექსში „ე... წ...“ ხაზგასმულია: „აწყენს ქაჯური მათი ქცევა“... მიწერილია: „ა. ჭ-ძესაც აქვს „ქაჯური“. იქვე ხაზგასმულია: „მუნებური“. არშიაზე: „იქაური. მუნ. იქ.“

გვ. 49. ჩადებულია ქალაქის ნაჭერი, რომელზედაც წერია: „შავლეგოს შემოსძახებს, მამაპაპურს გლახურსა“. (ი. დავითაშვილი თხზ. ვ. ხურ. რედაქ. გვ. 285)“.

გვ. 53. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისას“, არშიაზე მინაწერი: „ლილი ბეგთაბეგოვის მამიდაზე. ეს ლექსი გლუხარიჩის ხელმოწერით იხ. საეთ. საზ. ხელთ. № 130“.

გვ. 61. ხაზგასმულია სათაურის შემდეგ: „მიბაძვა პავლოვასი“. არშიაზე წერია: „კაროლინა პავლოვა? თუ იმისი ქმარი?“.

გვ. 68. უსათაურო ლექსთან მიწერილია: „ამ ლექსს აწერია ნინა ჭ-ძეს (იხ. თუმანიშვილის არხივში დაცული ხელთ. ლექსები). ეძღვნება ალ. ჭავჭავაძის ქალს (?) ნ. ჭ.“ ლექსში ხაზგასმულია: „ბეზიკის“, მიწერილია: „ბესიკი?“ ამავე ლექსში ხაზგასმულია სტრიქონი: „მაგრამ ოსურად გაგიძარცვამს“... სქოლიოში შენიშნულია: „ამბობენ, ეს გვამი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, იმ დროს უწყებებში დაიბეჭდა ოსური მოთხრობა, სადაც მოწოდება იყო ოსებისადმი, რომ საქართველო მტრისგან გაენთავისუფლებიათ. ი. გრ.“ გვერდით არშიაზე: „ეს მოთხრობა ეკუთვნის გ. ერისთავს იხ. დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“, 1930 წ.“

გვ. 69. ლექსის „ჩემს ძმას ი.“ სათაურთან მინაწერი: „ივანე [ანუ ოქრო] ერისთავს – ერთად თარგმნიდნენ მარლინსკის“.

გვ. 87. მოხაზულია ლექსის ბოლო 9 სტრიქ. მინაწერი არშიაზე: „ეს ლექსი გავს ფეტის ლექსს. ი. გრ.“

გვ. 116. მოხაზულია მე-2 სტრიქონში: „ელენეს“, არშიაზე: „სხვაგან მაია“.

გვ. 117. ხაზგასმულია მე-2-3 სტრიქონები. არშიაზე წერია: „ტატო. ნ. ბარათაშვილი. იხ. მომქმედნი პირნი (თავში)“.

გვ. 118. ტექსტში ხაზგასმულია: „ანტონი“, მიწერილია: „ანტონი გრ. ორბელიანის ლექსის პერსონაჟი“.

გვ. 127. კომედია – „გაყრა“-ს სათაურის ქვემოთ წერია: „1. პირველად გამოვიდა 1850 წელს (მგონი ამ წელს ორჯერ გამოვიდა). 2. ეს გამოცემა. 3. 1909 წელს სორაპნის გამოცემა. 4. 1910 წელს დ. კილოსანიძის გამოც. 5. 1928 წელს სახელგამი. +) რუსულადაც გამოვიდა ამ წელს. ი. გრ.“

გვ. 164. ხაზგასმულია ბოლო სტრიქონში სიტყვა: „ტანტიკინმა“, მიწერილია: „დიასახლისი („სახლის ქალბატონი“)“.

გვ. 165. არშიაზე: „შეცდომა: თალიში, ხახვი. (მძიმე არ უნდა) იხ. I გამო. 54“.

გვ. 166. ხაზგასმულია ტექსტში სიტყვები: „ყადიფა“ და „ჩანგალი ჩაიგდე“. არშიაზე: „ალაყაფის კარები რომ გააღო, დაკეტეო თუ... ყალიფას ჩანგალა აქვს. ი. გრ.“

გვ. 169. მოხაზულია 13 სტრიქონი. არშიაზე: „ჰგავს ზ. ანტონ. „მზის დაბ. საქარ.“

გვ. 173. პიესა „დავას“ წინასიტყვაობაში ხაზგასმულია: „კრებულში“, მიწერილია: „წელი? -?“ სქოლიოში მიწერილია: „მამასადამე ლიბრეტო რუსულადაც იყო შედგენილი 1851 წ.“

გვ. 327. ჩაკრულია ქალაქის ფურცელი, რომელზედაც წერია: „თილისმის ხანი. კომ. 3 მოქ. თ. გ. ერისთავისა. 1852 წ. გამოცემ. მომქმედნი: აბდულ – უ. ჯაფარიძე. მახმადი – უ. კორძაია. ასანა ხარაზი – უ. დვანაძე. ფათმა – ქ. ა. სააკაძისა. ლეილა – უ. კორძაია. ექიმბაში – უ. ანტონოვი. მირზახანა – უ. ტატიევი. მსახური – უ. ზანგელოვი. ცოლები – მ. დვანაძისა. ქ. ტატიევისა“.

გვ. 421. ტექსტში ხაზგასმულია: „მორჩა“. არშიაზე: „გადარჩა?“

სარჩევში ხაზგასმულია ოთხი ლექსი: „მტკვრისადმი“... ზემოთ წერია: „ეს ოთხი ლექსი (ვარიანტები) არის დაცული ცენტრ-არხივში დ. ერისთავიდან წამოღებულ ქალაქლებში. (ჰკითხეთ გიორგი ბოჭორიძეს). ი. გრ. 1932. 12/VI“. იქვე მოხაზულია: „შილერის ყაჩაღების ბოლოშია რუსულად ლექსები“.

სარჩევის მეორე გვ. ლექსს „თანამგზავრთან“ მიწერილია: „მიბაძვა კაროლინა პავლოვასი“.

სარჩევის ბოლოს წერია: „გ. ერისთავის არის აგრეთვე ცალკე წიგნად გამოცემული 1867 წელს – ალ. ესტ. ერისთავის მიერ. ამ კრებულშია „მაიკო“, „თილისმით მოარშიყე“ (მე ცალკე მაქვს აგრეთვე „ძალად ექიმი“) +) ამ პიესებს იონა მეუნარგია სხვას აკუთვნებს. გვ. LXIX. ი. გრ. (იხ. „ცისკარი“, 1866 წ.)“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „დუბლ. ი. გრ. გვ. 449.“

1433–1435. ერისთავი გ. თხზულებანი. ტფ., 1936.

ყდაზე: „ი. გრ. 1936“.

თავფურცელზე წარწერა: „ულრმეს პატივისცემით პოეტსა და მკვლევარს იოსებ გრიშაშვილს ი. ბალახაშვილისაგან. 1936 წ. 13.V. ქ. ტფილისი“.

ფორზაცთან ჩადებულია კონვერტი წარწერით: „იშვიათია, ვ. გუნიასაგან. გ. ერისთავის „გაყრას“ ლიბრეტო. (რუს ხალხისთვის პიესას რომ დაესწრო) [?] კონვერტში დევს ქალაქის შვიდი ნაჭერი მინაწერებით: „1. „გაყრაზე“ გრ. ორბ. იხ. გრ. ორბ. წერილები, I, გვ. 202. ბ. ნიკო ბარათაშვილში გ. ერისთავი. „სულო ბოროტოს“ ჰგავს გ. ერისთავის ლექსი „თანამგზავრი“, გვ. 61. (ერთი ადგილი მაინც, გვ. 63. ქვევიდან 5 სტრ.) 3. გ. ერისთავს თავის პიესაში („დავა“) ნახსენები აქვს ბაირონი, ტორკვატო ტასო, კამოენსი, ოვიდი (იხ. თხზ., 1884, გვ. 223). შილერი, გიოტე, შექსპირი, კალდერონი (იქვე, გვ. 231) და შეშლილი. 4. გლახა – საკუთარი სახელია ქართველებში. როდესაც დედ-

მამას შვილი არ რჩებათ, გლახას დაარქმევენ ხოლმე, უფრო შეგვრჩებაო, ალექსანდრე ცაგარელი – (იხ. აღწერილობა ტ. V A კოლექცია. გვ. 215). 5. „ძუნწი“, კომ. 2 მოქმ. თხზ. გიორგ. ერისთავისა. მომქ. 1. კარაპეტ. – დვანაძე, ქალი – ქ. ტატიევისა, არჩილი – უ. ჯაფარიძე, ივანიკა – უ. კორძაია, მონავარდისა – მ. დვანაძისა, მეკუბოვე-ელიოზოვი. 1852. პირველი გამოცემის თავფურცელი. 6. გ. ერის. პიესა „მაიკო“ ეკუთვნის გორის მცხოვრებს რუს მწერალს კამენსკის, რომელმაც დასწერა მოთხრობა „მაიკო“, მერე ბეკლემიშევმა გააკეთა დრამად. (იხ. „დროება“, 1867 წ., № 21, გვ. 1). იხ. დ. ერისთ. წერილი – „დროება“, 1868, № 32, გვ. 4. 7. გ. ერისთავს სულ ექვსი ლექსი აქვს თარგმნ. მიცკევიჩისა. მიცკევიცი, მოგონება („ლაურავ! ნუთუ მაშვენნი“) თარგმ. გიორგ. ერისთ. (იხ. თხზულ. ტ. II. 1867 წ., გვ. VII. აკერმანის მინდორი (აჰა გამოვედ...) თარგ. მისივე, იქვე. გვ. IX. აიუდალი, თარგ. მისივე, იქვე, გვ. X“.

კონვერტში ჩადებულია: 1. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის 1941–42 წ.წ. სეზონის პროგრამა, რომელზედაც წერია: „ი. გრ. 1942, 5 მარტი, პრემიერა. 1942, 5 მარტი, პრემიერა რუსთაველში“. პროგრამის მე-2 გვერდზე მინაწერები: „ათანავერდი – გამზრდელი ონოფრესი – სანაძე. ეს მომქმედი პირი წიგნშიაც გამოკლებულია“. 2. გაზეთ „Закавказский вестник“-ის 1850 წლის, № 19, 11 მაისის ნომერი, რომელშიც ადგილები მოხაზული და ხაზგასმულია, არშიაზე წერია: „დავა“. 3. 1849 წ. 30 დეკემბ. რუსულ ენაზე დაბეჭდილი: „Либретто комедии „Раздел“. მესამე გვერდზე ტექსტის დასასრულს მოხაზულია თარიღი და ქვეშ მიწერილია: „პისემსკის „გაყრა“ დაწერილია 1852 წ. 15 აგვისტოს. ი. გრ.“ 4. ამონაჭერი გაზეთიდან ე. ხუციშვილის სტატია „ქართული თეატრის წარსულიდან“. არშიაზე მინაწერით: „1 მარტი 1939 წ., № 49. „ინდუსტრიული ქუთაისი“.

ფორზაცის მე-2 მხარეს მინაწერები: „მაიკო ორბელიანს ეძღვნა: „1. რეცეპტი. 2. მ – ...ოს – 64 (ლევან). 3. „დედა და ქალი, 27. ერთ ქალს.“

მინაწერები შმუცტიტულზე: „1. მეფე, რომ ვიყო, გვ. 74. 2. ბაბაჭუა თუ ყაბაჭუა 332. 3. სასტუმროს ტრახტირს ემახის, გვ. 344 და სხვ. 4. ჰალეევი – 417. 5. ალიხანოვი თუ თარხნიშვილი? 374 და 419. 6. შეშლილში შეცდ., 117. 7. ტირილი ქართველთა, 79. შეცდომა: 1. უნდა იყოს ბიძონო. გვ. 128. 2. უნდა იყოს ჩტი – გვ. 190. 3. გვ. 187. უნდა იყოს გამოსვლა მეოთხე (ასე გადმოხეჭდილია 1884 წლ. გამოცემიდან). რედაქტორის შეცდომები. გვ. 6, 17, 33, 70 – ორჯელ და სხვ.“

გვ. VII. მე-2 აბზაცში ხაზგასმულია ადგილი, გასწვრივ წერია: „იონა მეუნარგიას ეს ყველაფერი ნახული ჰქონდა“. მე-3 აბზაცი მოხაზულია, არშიაზე მიწერილია: „იონა მეუნარგიას აზრია, იხ. გვ. LXVIII“.

გვ. VIII. ბოლო სტრიქონი ხაზგასმულია, ქვეშ მიწერილია: „ვა!“

გვ. 25. ლექსის დასასრულს ხაზგასმულია თარიღი: „1838“, არშიაზე შესწორება: „1832“.

გვ. 31. ლექსის სათაურის ქვეშ ხაზგასმულია ინიციალები: „მ. ო.“ არშიაზე: „მაიკო ორბ.“

გვ. 64. ლექსის სათაურის „მ...ოს“ ზევით: „მაიკო ორბელიანს“, მე-3 ტაეპში ხაზგასმულია: „ლასი...-“, არშიაზე მინაწერი: „ლევან მელიქიშვი. ი. გრ.“

გვ. 68. ხაზგასმულია: „სიასუმბურის ქერქი“. არშიაზე: „სიასამურის ქურქი“.

გვ. 70. მოხაზულია ტაეპი, ქვეშ მიწერილია: „იხ. ეს ლექსი, გვ. 39“.

გვ. 79. არშიაზე მიწერილია: „იხ. Описание ტ. II, გვ. 431. ნიკოლოზ I-ზე? ეს ლექსი „Аргонавт“-შია 1901 წ. დ. ერისთავის სახელით გადათ. ა. ხახანაშვილი რაფ. ერისთავს აკუთვნებს“.

გვ. 117. ხაზგასმულია მე-2 სტრიქონი. მე-3 სტრიქონში მოხაზულია სიტყვა: „ჯვარი“, არშიაზე მიწერილია: „ჩინოვნისკა კარგი სწავლული უცხო სახისა აქვს ბევრი ფული, (დ. ჩუბ. გვ. 164)“. ხაზგასმულია სტრიქონში სახელი: „მამო“, არშიაზე შესწორება: „ბაბო“. ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია სიტყვა: „დალუპულო“. არშიაზე მიწერილია: „დალუპულო, (გვ. 117. ი. მეუნარგია). „ჩაქოლვილო“ (იხ. დ. ჩუბ. გვ. 164)“.

გვ. 118. ხაზგასმულია სიტყვა: „ეკურკურება“, მიწერილია: „სწორია, დ. ჩუბ. ტექსტი, გვ. 165“. იქვე ხაზგასმულია სტრიქონი, გასწვრივ წერია: „აკლია მარცვალი“.

გვ. გვ. 122–123 არშიაზე წერია: „იხ. ახალი ხელთნაწერი. საქ. მუზ. 363“. მოქმედ პირთა სახელების გასწვრივ მიწერილია: „დახნელი. პოეტი, პეტერბურგში გაზრდილი. ერთი ხელთნაწერის მიხედვით (№ 363. საქ. მუზ. ჯერ წერია – მირონ ბუღდანიჩი, მერე – ჰოვაქ ბუღდანიჩი, მერე – სარქის ბუღდანიჩი). იმერელი ლომინ. პირველ ვარიანტში არ არის“.

გვ. 124 ტექსტშია: „პატარა იმასაც ჩავაყლაპებდით...“ მიწერილია: „ოქროს აბებს“, გადაშლილია: „ჰო“, გასწვრივ მიწერილია: „ეჰ“. ტექსტში ჩამატებულია: „არა მეშველა რა“.

გვ. 125. ქვემოდან მე-2 აბზაცში ხაზგასმულია ადგილი. არშიაზე წერია: „სტატია. პოეტის ჩინი იქნება, ჰა ტატია, ჰა თუ ზაკონები ეცოდინება“.

გვ. 126. ტექსტშია: „გორში“, არშიაზე მიწერილია: „პატარა ქალაქში“. გადახაზულია: „ეე“, ზევით აწერია „შე“. ჩამატებულია სიტყვები „ახალ ამბავს“. ტექსტშია: „თუთუსოვისა“, ზევით აწერია: „თუთულოვისთვის“. სტრიქონი: „მე თქვენი დავალება მაქვს“ შესწორებულია: „მე თქვენგან დავალებული ვარ“. გადახაზულია: „რა“, არშიაზე მიწერილია: „ოჰ“. ტექსტში ჩამატებულია სიტყვები: „წითელი თალათინის“.

გვ. 127. პირველ და მეორე სტრიქონში ადგილი ხაზგასმულია. ზევიდან აწერია: „ბიჭო, რა აკლია! ჰა, არ მეტყვიო?“ ტექსტშია: „ახირ უნდა შენ მოუხერხო“, მიწერილია: „ჩვენ უნდა მოვახერხოთ“. ტექსტშია: „მეტად ხარბია...“ მიწერილია: „ბევრსა გვთხოვს“.

გვ. 128. სტრიქონში მოხაზულია სიტყვა: „ბაბანო“, არშიაზე მიწერილია: „ბომონო“.

გვ. 130. ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია: „ღელვაში ნავით“. ქვეშ წერია: „ფურთვანაში“.

გვ. 131. მოხაზულია ადგილი. არშიაზე წერია: „აქ აკლია მიხეილის მონოლოგი „ჩემო პოეტო“ (იხ. „შემლილი“, გვ. 100 და პირველი გამოც.)“

გვ. 134. მოხაზულია ტაეპი, ქვეშ მიწერილია: „აქ აკლია“.

გვ. 137. პირველი ტაეპის ქვეშ მიწერილია: „ახ! პრელესტ!“

გვ. 139. ქვემოდან მე-9 სტრიქონი ხაზგასმულია, მოხაზულია სიტყვა „რუსობანა“. არშიაზე შესწორება: „რუსეთობა“.

გვ. 144. ტექსტში ხაზგასმულია: „გოჩი“. არშიაზე წერია: „გოჩი, ძველ გამოცემაშია „ფოჩი“.

გვ. 190. ტექსტშია: „ჩიტი“. არშიაზე შესწორება: „ჩტი“.

გვ. გვ. 274, 363, 364, 365, 366 – ტექსტს დართული აქვს განმარტებანი.

გვ. 279. ქვემოთ არშიაზე წერია: „ბოკაჩიოსიგ არისო, ბატიუმკოვისაცაო, გვ. 408.“

- გვ. 331. ხაზგასმულია: „პეტრე ლაზარისი ალხაზოვი“, არშიაზე: „ვინ იყო?“
- გვ. 332. ხაზგასმულია სიტყვა: „ყაბაჭუებით“. არშიაზე: „უნდა იყო ბაბაჭუა“.
- გვ. 334. მოხაზულია 1–12 სტრიქონი, არშიაზე: „სოლომონის საფლავი?“
- გვ. 335. მე-7 სტრიქონში მოხაზულია „და“. ზემოთ არშიაზე შესწორება, წერია: „თუ“.
- გვ. 338. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია სიტყვები, არშიაზე წერია: „ჭიანური და ლოცვა“.
- გვ. 344. ხაზგასმულია: „ტრახტირი“, გვერდზე მიწერილია შესწორება: „სასტუმრო“.
- გვ. 348. პირველი სტრიქონის გასწვრივ არშიაზე კითხვის ნიშანი.
- გვ. 367. მოხაზულია თარიღი, გვერდზე მიწერილია: „დაიბ. 1811 წ. გ. ერისთავი“.  
ქვევით არშიაზე წერია: „ზაქარია მოკვდა 1847 წ. (იხ. გრ. ორბ. წერილები, ტ. I, გვ. 153)“.
- გვ. 368. მოხაზულია გვერდი, არშიაზე წერია: „სხვა გიორგია მგონი“.
- გვ. 369. ბოლო აბზაცში მოხაზულია გვარი: „გვანაძე“. ქვეშ მიწერილია: „დვანაძე (?)“.
- გვ. 371. სათაურის ქვეშ მიწერილია: „ი. მეუნარგიდან“.
- გვ. 381. მოხაზულია გვერდი, არშიაზე წერია: „ყაბახი“.
- გვ. 383. ლექსის სათაურის „ხელჯაგვი“-ს გვერდზე მიწერილია: „ხელთათმანი?“.
- გვ. 392. სუფთა გვერდზე წერია: „გამოუტოვებიათ „სოფლური სიმღერა“ – (შავლეგო)  
იხ. ძვ. გამოც. გვ. 48“.
- გაზეთებიდან ამოჭრილი რეცენზიები ამ წიგნზე: 1. გ. ნადირაძისა მინაწერთ: „ლიტ. საქართველო“, 1936, № 8, 2. ს. ცაიშვილისა მინაწერთ: „ლიტ.-საქართ.“, 1939, № 34“.
- 1436–1437. ერისთავი გ. რჩეული თხზულებანი. რჩეული ლექსები და დრამატ. ნაწარმოებნი. მასალა ავტორის ნაწერების შესასწავლად. თბ., დ. დ. კილოსანიძის გამოც., 1910.
- თავფურცელზე წარწერა: „დ. კარიჭაშვილს გამომცემლისაგან“.
- მე-5 გვერდზე ტექსტში სიტყვას „ხელჯაგვი“ მიწერილი აქვს: „ხელთათმანი“.
1438. ერისთავი გ. გაყრა. კომედია. [წინასიტყვ. პ. იოსელიანისა). ტფ., 1850.
- ყდაზე დაკრულია ქალაქი წარწერთ: „გაყრა“, 1850. ი. გრ.“
- 1439–1441. ერისთავი გ. გაყრა. კომედია 4 მოქმ. თბ., 1909.
- 1442–1447. ერისთავი გ. გაყრა. კომედია. [თბ.], 1928.
- კანზე მიწერილია: „მადლობისათვის კი არა მადლობისათვის (გვ. 46). დაბეჭდილია დ. კილოსანიძის გამოცემიდან, შეცდომები არ არის გასწორებული 1884 წლისა. ქვეშ რაც შენიშვნებია აღებულია დ. კილოსანიძის გამოცემიდან“.
1448. ერისთავი გ. პიესები. შალვა რადიანის რედ. და შესავ. წერილით. თბ., 1950.
- ფორზაცზე: „116“. ამ გვერდზე მე-5 აბზაცში ხაზგასმულია სიტყვა: „თეთივე“, არშიაზე მიწერილია: „სუმბული“.
- წიგნში გაზეთიდან ამოჭრილი ს. ხუციშვილის წერილი „გაყრა თავადთა“-ს „გაყრის“ ვარიანტად მიჩნევის თაობაზე, არშიაზე: „ლიტ. და ხელ.“, 1950, № 13, 26 მარტი“.
- 1449–1451. ერისთავი გ. დავა ანუ ტოჩკა და ზაპეტაია. კომ. 5 მოქმ. ქუთაისი, 1915.
- ფორზაცზე: „ეს წიგნი არ არის თბილისის ბიბლიოთეკებში ი. გრ. (იხ. „ქართ. წიგნი“)
- გვ. 397. ამ წიგნის ბოლოში ქუთაისში გამოცემული წიგნების სიაა! ი. გრ.“
- მეორე ცალის კანზე: „შევადარე იშვიათია. იხ. „ქართ. წიგნი“. გვ. 397“.
- მესამე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „დ. პოლუმორდვინოვი. თბილისი“.

1452–1454. ერისთავი გ. დავა. [კომედია. თბ.], 1928.

1455–1458. ერისთავი გ. ძუნწი. კომედია 2 მოქმ. ამონაჭერი სახელმძღვანელოდან.

1459–1460. ერისთავი გ. ძუნწი. კომედია. ქუთაისი, 1912.

კანზე: „ტამბაჩა თუ დამბაჩა“, 26“.

წიგნში ჩადებულია ქალაღდის ნაჭერი, რომელზედაც ტექსტიდან ამოწერილია სიტყვა: „ჰესაბი“.

გვ. 29. ხაზგასმულია: „ერთის მამა ტყავს ფხეკდა“... არშიაზე: „დაბადი“.

მეორე ცალის კანზე: „თბილისში არ არის! ი. გრ.“

1461–1462. ერისთავი გ. ძუნწი. კომედია 1 მოქმ. თბ., 1947.

1463–1467. ერისთავი დ. თავ. დავით ერისთავის დრამატიული ნაწერები. თბ., 1910. [კანზე: 1907]. კანზე სათაური: თავ. დავით ერისთავის ნაწერები.

წიგნი ყდაშია ჩასმული. ყუაზე ოქროს ასოებით: „დ. ერისთავი. ნაწერები. გრიშაშვილი“.

ფორზაცის ბოლო გვერდზე დაწებებულია დ. ერისთავის პატარა პორტრეტი.

კანის მე-2 გვ.: „გიება“, გვ. XXV“. იქვე: „დ. ერისთავის ნაწერები და ბიოგრაფია“ – ამ სათაურით იხ. გიორგი თუმანიშვილის წერილი („თემი“, 1911, № 36) ი. გრ.“.

ფორზაცზე: „არსენას ლექსი გამოეცით, გვ. 466. სიმბორსკი – XLII“. იქვე: „პიესა „სამშობლოს“ გარემომო აყაყანდნენ ტფილისის რუსი მწერლები და ხულიგნები: პირველი ქვა ისროლეს ოპოჩინინმა და თხორჟევსკიმ. (იხ. „Гусли“, 1882 წ., № 5, 8, 9, 12). ამან მისცა საბაბი „Москови“-ს უწყებას. მან საშინლად დასცინა ქართველებს („Моск. вед.“, 1882 წ., 3 თებ.). ეს ოპოჩინინი და თხორჟევსკი დ. ერისთავის მეგობრები იყვნენ „Фаланга“-ში და როცა „ფალანგა“ დახურა მთავრობამ (1881), მაშინ დ. ერისთავმა გამოითხოვა „Кавказ“-ის რედაქტორობა (1882 წლიდან). ალბად ეს ეწყინათ ამ „მეგობრებს“ რომ რედაქტორად ქართველი დანიშნეს და არა ერთი ამათგანი და დაუწყეს დევნა დავით ერისთავს. ი. გრ. 1933. 10/X“.

თავფურცელზე ხაზგასმულია ბექდილობის ცნობები და მიწერილი: „ეს სხვა გამოცემიდანაა – რაშია საქმე? ი. გრ.“

თავფურცელზე ბექქედი: „ქუთ. ქართ. დრ. საზოგ. ბიბლიოთეკა №...“

სარჩევში კომედიას „სადაო მფლობელობა“ მიწერილი აქვს: „(ანუ გემრიელი ლუკმა)“ და შენიშვნის სახით ჩამოტანილი: „ეს სათაურიც ჰქვიან: „გემრიელი ლუკმა“ (კრილოვისა)“. პიესების სახელწოდებებს მიწერილი აქვს თანმიმდევრობით ავტორები: „1. სარდუ. 2. ნევეჟინი. 3. ორიგინალი. 4. კრილოვის. 5. კრილოვის. 6. გადმოკეთ. 7. კრილოვის თარგმ. 8. კრილ. 9. სოლოგუბ.“ კომედიას „სამაგელი“ მიწერილი აქვს: „ანუ ვეშაპი“.

სარჩევის ბოლოს მიწერილია: „11. „გეო მინას და კამპანია“. (ხელთ.) 12. „მშვენიერი ელენე“. (იხ. „კრებული“) ოპერა ოფენბახისა. 13. „პარიზელი ბიჭი?“

გვ. I. შესავალი წერილის სათაურის წინ: „ცოლად ჰყავდა დ. ერისთავს დავით სარაჯიშვილის და“. დ. ერისთავის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღს მიწერილი აქვს „[43 წლის იყო, იხ. გვ. LII“. ამ გვერდზე მოხაზულია: „გარდაიცვალა... დაბადებიდან 53 წლისა“ და მიწერილი „43 წლისა. ი. გრ. [გ. თუმანიშვილი ასწორებს]“.

გვ. II. ხაზგასმულია: „ჯერ კიდევ ანაბანას სწავლობდა დვანადისაგან“... არშიაზე: „გ. დვანადე, აქტიორი, მოლექსე“.

- გვ. III. მეორე აბზაცში „ვანო ერისთავს“ ჩამატებული აქვს: „ელიზბარის ძე“.
- გვ. IX. ხაზგასმულია: „ბაღში ვარდი რად მინდოდა“. არშიაზე: „სკანდაროვას ლექსი“.
- გვ. XII. ბოლოში მიწერილია: „ეს წერილი მგონი სიმონ ხუნდაძეს აქვს“.
- გვ. XIV. რკალშემოვლებულია „სიმბორსკი“. არშიაზე მიწერილია: „თავი მოიკლა“.
- გვ. XV. რკალშემოვლებულია „კობიაკოვი“ და არშიაზე მიწერილი: „ამის წერილებია რუსულად „ტფილისის თეატრები“.
- გვ. XVII. მოხაზულია ლექსი რუსულ ენაზე, არშიაზე: „იხ. Гусли“, № 2, 1882“.
- გვ. XXIX. ხაზგასმულია: „გეო, მინას და კამპანია“ და არშიაზე მიწერილია: „გეო, მინას და კამპანია“ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. შენახულია მხოლოდ მინასას გადანაწერი როლი ვ. აბაშიძის ხელით (იხ. რუსთ. თეატრის ბიბ-კა) ი. გრ.“ იმავე აბზაცში ხაზგასმულია: „მშვენიერი ელენე“ და მიწერილია არშიაზე: „მშვენიერი ელენე“, იხ. „ალმანახი“, 1879, ტ. I. იხ. რუს. კატ. გვ. 235“.
- მესამე აბზაცში ხაზგასმულია: „[უბეჭდავდა] გექტოგრაფით“ და მიწერილი: „(მართალია)“.
- გვ. XXIX. უკანასკნელი ორი აბზაცი, გვ. XXX–XXXI მოხაზულია და არშიაზე მიწერილი ყოველ გვერდზე: „კ. მესხი“.
- გვ. XXXIII. ხაზგასმულია: „დავითს დიდი ხნიდან მოსწონდა სარდუს პიესა“. არშიაზე: „იხ. კერძო წერილები კოლა რევ. ერისთავთან.“
- გვ. XXXV. ხაზგასმულია სამი სტრიქონი დაწყებულია სიტყვებით: „პირველი წარმოდგენა“... მიწერილი: „დაიწვა?“
- იმავე გვერდზე ხაზგასმულია: „გალღერეიდან ჩამოსული ბრბო“, არშიაზე მიწერილია კითხვის ნიშანი.
- გვ. XXXVII. ხაზგასმულია მესამე აბზაცში „ფალანგაში“ და მიწერილი: „მგონი 1882 წ. „ფალანგა“ არ გამოვიდა“. მეორე მხარეს მიწერილია: „ფალანგა“-ში კი არა „Гусли“-ში (1882 წ., № 5, გვ. 2)“, რუსულ ლექსს მიწერილი აქვს: „(Гусли, 1882, № 5)“. შემდეგ აბზაცში „ფალანგაში“ მოხაზულია და მიწერილი: „Гусли“. აბზაცის ბოლოს მიწერილია: „(იხ. „Гусли“, 1882 წ., № 8, გვ. 14). ი. გრ.“ მოხაზულია ხუთი სტრიქონი დაწყებული სიტყვებით: „ყველა ამის შედეგად“... და არშიაზე მიწერილი: „ამის მასალა არხივშია. ი. გრ.“
- გვ. XXXVIII. მეორე აბზაცში ხაზგასმულია: „სამწერლო“. არშიაზე მიწერილი: „სალიტერატურო“.
- გვ. XLI. ხაზგასმულია: „Святая Нина“. ჩემის გეგმით შედგენილი“. არშიაზე: „ი. კერესელიძემ სთარგმნა“. შემდეგ აბზაცში ხაზგასმულია: „[Кузнец] კოპპესი“ და მიწერილი: „სთარგმნა დ. მესხმა“.
- გვ. XLVIII . მეორე აბზაცში ხაზგასმულია: „მაჭანკალის“ და მიწერილი არშიაზე: „ილია და მაჭანკალი“.
- გვ. LI ხაზგასმულია: „ახლად გამოცემული საინტერესო წიგნი დავითს სხვაზე უწინ უნდა ჰქონოდა“. არშიაზე: „ჩემსავით. ი. გრ.“ იმავე გვერდზე ხაზგასმულია: „ლეისტი“ და მიწერილია: „იხ. ლეისტის მოგონებანი“.
- გვ. 1. პიესა „სამშობლოს“ კერძო თავფურცელზე მიწერილია: „სარდუს პიესა; ეს პიესა რუსულადაც დასდგეს. იხ. მსახიობ ორლენოვის მოგონება. აკადემიის გამოცემა“.

გვ. 48. ხაზგასმულია: „ლევან ამბობს ლოცვას“. „ლევანს“ მიწერილი აქვს „ხიმშიაშვილი“ და არშიაზე წერია: „კ. ყიფიანი სწერს, რომ მე გადავაკეთე და ლოცვას მე ვამბობო, როგორც ყველაზე მოხუციო. („ფასკუნჯი“, 1909 წ., № 14)“.

გვ. 51. ხაზგასმულია: „თოფო“, არშიაზე: „თოფი იყო? ი. გრ.“

გვ. 85. პიესა „მეორედ გაყმაწვილების“ კერძო თავფურცელზე: „ნევეჟინისა“. ამ მელოდრამის ავტორია პ. მ. ნევეჟინი (1841–1919 წ.) პეტრე მიხეილის-ძე ნევეჟინი. სწორია! ი. გრ.“

სათაურის წინ: „ისახარი. (იხ. მეორე გვერდი)“ და შემდეგ გვერდზე ეს სახელი ხაზგასმულია.

გვ. 136. პიესა „საზოგადო საქმის“ კერძო თავფურცელზე, ქვესათაურს მიწერილი აქვს: „ორიგინალური“.

გვ. 199. პიესა „სადაო მფლობელობის“ კერძო თავფურცელზე სათაურის ქვემოთ: „ანუ გემრიელი ლუკმა“. ამას ჰქვიან რუსულად: „Лакомый кусочек“ В. Александров-ისა (იხ. კ. ყიფიანის მოგონება – „ფასკუნჯი“, 1909, № 14). ამ პიესას სხვა სათაურიც ჰქვიან: „გემრიელი ლუკმა“ (იხ. ვ. აბაშიძის ნაკრები პროგრამები). ი. გრ.“

გვ. 251. პიესა „კეთილი და უმანკო ანგელოზის“ კერძო თავფურცელზე: „ეს პიესა გადმოაკეთა დ. ერისთავმა 1879 წელს 25 აგვისტოს ს. ოძისში. ასე აწერია იმ ეგზემპლიარს (ავტორის ხელითაა გეგტოგრაფზე გადაბეჭდილი), რომელიც ინახება რუსთ. თეატრის წიგნთ-საცავში. ი. გრ. 1936. 20 XI. (კრილოვისა – ალექსანდროვისა)“.

გვ. 299. პიესა „დროებითი სიყვარულის“ კერძო თავფურცელზე ხაზგასმულია: „რუსულიდან გადმოკეთებული“ და მიწერილი: „რუსულად ჰქვიან: „До поры – до времени“ – (იხ. „ივერია“, 1886, № 219, ქრონიკაში)“.

გვ. 339. პიესა „დავიდარაბას“ კერძო თავფურცელზე წერია: „ამ პიესის შავი ინახება რუსთ. თეატრის წიგნთსაცავში. გადმოაკეთა 1879 წლის 26 ივლისს ს. ოძისში. ი. გრ. (დაბეჭდილია ჰექტოგრაფზე). ამ ხელთნაწერს სხვა ხელით აწერია: „ბენეფისი ვასო აბაშიძისა. ჭდევით იყო ხალხი“. ი. გრ.“ ხაზგასმულია: „კომედიიდან „La Boule“ და მიწერილი: „ლა ბულ“. გვერდის ბოლოში წერია: „რუსულად ჰქვიან: „Откуда сыр – сыр загорелся“. რუსულად გადმოაკეთა ვ. ალექსანდროვმა (კრილოვმა). ი. გრ.“

გვ. 421. პიესა „სამაგელის“ კერძო თავფურცელზე წერია: „კრილოვისა. P. S. ამ პიესას სხვა სახელიც ჰქვიან „ვეშაპი“ (იხ. ძველი აფიშები). ი. გრ.“

გვ. 461. პიესა „რა არის ბენეფისის?“ კერძო თავფურცელზე რკალშემოვლებულია: „მიბაძვა გრაფ სოლოგუბისა“ და მიწერილი: „იხ. Сочин. В. А. Соллогуба ტ. V , 1855 წ., გვ. 432“.

გვ. გვ. 464–465. ხაზგასმულია: „ერთი „მეფე ლირი“ გვაქვს გადმოთარგმნილი და, მთარგმნელი, მგონია, რვა წელიწადი ემზადებოდა იმის წარმოდგენას, მაგრამ როგორღაც ვერა ხერხდება“ და სქოლიოში ჩამოტანილია: „დ. ყიფიანი“

გვ. 465. ხაზგასმულია: „ყომარბაზის ცხოვრება“ წარმოვადგინეთ“ და არშიაზე მიწერილი: „(იხ. „დროება“, 1880 წ., 30 იანვარი)“. ქვემოთ ხაზგასმულია: „ანჩისხატის უბნელთან“. არშიაზე: „პ. უმიკაშვილთან“.

გვ. 467. ტექსტის ბოლოს წერია: „ჟურ. „თეატრი“ 1887 წ., № 11 და ჟურნ. „ხელოვნება“, 1926 წ., № 23–24 გვ. ვასომ წაიკითხა 1881 წ. (იხ. „დროება“, 1881, № 105)“. იქვე კუთხეში



მიწერილია: „ეს ვიხელმძღვანელე: 1. ნ. გოცირიძის წიგნისათვის. 2. და „ილია და თეატრისთვის“. 123“.

წიგნში ჩადებულია: I. ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. ს. გერსამიას წერილი „დავით ერისთავი“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1940 წ., № 30, 30 ოქტ.“ 2. ნერგამის წერილი „დავით ერისთავი“ მინაწერით: „ჭიათურის მაღაროელი“, 1940 წ., № 205, 25 ოქტ.“ 3. შ. სოლომონიძის წერილი „დავით ერისთავი“ მინაწერით: „კოლმეურნე“, (სიღნაღი), 1940, № 123, 22 სექტ.“ 4. სოლ. ცაიშვილის წერილი „დავით ერისთავი“ მინაწერით: „24 ოქტ., „კომ“, 1940, № 248“, წერილის ტექსტში ხაზგასმულია „53 წლისა“ და შესწორებული: „43 წ. ი. გრ.“ 5. საქედესის ცნობა „დავით ერისთავი“ მინაწერით: „საბჭოთა აქარა“. № 248. 1940, 24 ოქტ.“ 6. იგივე ტექსტი მინაწერით: „31 ოქტ. „ავანგარდი“, (ქ. ცხაკაია), 1940, № 76“. 7. გ. ბუხნიკაშვილის წერილი „Давид Эристави“ მინაწერით: „Заря В.“, 1940 წ., № 248, 24 ოქტ.“

II. კონვერტში დევს ქაღალდის ნაჭრები მინაწერებით: „1. მოსამსახურე ბიჭი, XXXVI. 2. დავით ერისთავმა შეირთო დავით სარაჯიშვილის უმცროსი და 1875 წელს. იხ. ალ. ცაგარლის წ. 3. ჟან ოფენბახის ოპერა „მშვენიერი ელენე“, სიტყვები ლიუდოვიკ ჰალევისა და ჰენრიხ მელიაკის – სთარგმნა (გადმოაკეთა, ქართული სახელებია) დავით ერისთავმა. (იხ. დაბეჭდილი პიესა „ალმანახი“, 1879, II, გვ. 65). 4. „გემრიელი ლუკმა“ (Лакомый кусочек) კომ.-ხუმრობა 3 მოქ. ვ. კრილოვ-ალექსანდროვისა ქართ. სთარგმნა დ. ერისთავმა. 5. „სადაო მფლობელობა“ „Лакомый кусочек“, გვ. 199. 1. Олимпиада Алексеевна Демьянова, молодая вдова. 2. Осип Никифорович Накатов, богатый коммерсант. 3. Ульяна Егоровна, его жена. 4. Ксения Осиповна, их дочь. 5. Александр Иванович Палицын, адвокат. 6. Сергей Семенович Бардин, помещик. 7. Иван Прокофьевич Жилкин, дальний родственник Накатовых. 8. Горничная Демьяновых. Действие происходит на даче Демьяновой под Москвой (იხ. აფიშა 1888, 21 აგვისტო. იხ. Переписка П. И. Чайковского, ტ. II, გვ. 400). 6. ა. ცაგარლის მასალებისთვის „რა არის ბენეფისი! იხ. დ. ერისთ. თხზ.“ 7. Эристов – 43 წლის და არა 53.“

მეორე ცალის ფორზაცზე: „დავით ერისთავის ნაწერები. ი. მეუნარგიას წინათქმით. დუბლ. ი. გრ.“

მესამე ცალის ყუაზე ადრინდელი პატრონის ხელწერა: „ვ. ჭეიშვილი“.

მეოთხე ცალის ფორზაცზე: „დავით ერისთავი. თხზულებანი. ამ წიგნში აკინძულია ა. სუმბათაშვილის „ღალატის“ (ბოლოში). დუბლიკატია. ი. გრ.“

1468. ერისთავი დ. მეორედ გაყმაწვილება. დრამა 4 მოქმ. გადმოკეთ. – ამონაჭერი წიგნიდან დ. ერისთავის დრამ. ნაწერები, თბ., 1910.

1469. ერისთავი დ. გ. სამშობლო. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. ფრანგულიდან გადმოკეთებული. + ამონაჭერი ჟ. „ივერიიდან“, 1881 წ., № 10.

ხელნაკეთ ყდაზე და თავფურცელზე: „სამშობლო. „ივერიიდან“ ამონაბეჭდი ეგზემპლდარი. ი. გრ.“

წიგნის ბოლოს დაკრულია ქაღალდი მინაწერით: „1945. 6/V. მე დავაპაჩინკე. ი. გრ.“

1470–1475. ერისთავი დ. სამშობლო! დრამა. 5 მოქმ. და 7 სურ. ფრანგ. გადმოკეთ. [თბ.], 1882.

ყდაზე დაკრულია ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „სამშობლო!“ პიესა. სახლში არ გაიცემა. იშვიათია – თავფურცელი. ი. გრ.“

ყდის მე-2 გვერდზე დაკრულ ქაღალდის ნაჭერზე ჩამოწერილია: „1. „სამშობლო“ პირველად დაიდგა საქართველოში 1882 წ. 20 იანვარს. 2. რუსეთში, პირველად დაიდგა 1892 წ. 16 ოქტ. ლენსკის ბენეფისში (აქ მესხიშვილის როლს, იქ-იუჟინი(?) (იხ. Орленовის მოგონებები გვ. 486). 3. პარიჟში 1869 წ. 18 მარტს. 4. „სამშობლო“ – ოპერადაც დაიდგა. (იხ. „თეატრი“, (?) 1887 წ., №1, გვ. 9). 5. დაიდგა სარდუს პიესა „ფლანდრიას“ – სახელით გ. ქიქოძის თარგმანით 1942 წ. 7 აპრილს რუსთ. თეატრში“.

ფორზაცზე: „მამრწუნებ, 27; დაჰკა ლევან, 96; წამების ხმა, 91; რუსულში არ არის: – იჰ, ოლონდ ხვალინდელი დღე გაგვითენდეს, გვ. 12; განა ჩვენთვის ღმერთია ღმერთი, ღმერთი რომ ჩვენზე მწყალობელი იყოს განა გაგიშვებდათ, 14; – გლოვის ზარი დარეკე, (არ არის რუს.) გვ. 35; რა ვქნა დავითნს რომ აღარ მავითხებენ, 63; დაჰკა ლევან და სხვ. არ არის ამ რუსულში, 96. [არის შემდეგ რუსულში]“.

გვ. 4. მოქმედ პირთა სიას მიწერილი აქვს ფრანგ მოქმედ პირთა სახელები.

გვ. 12. მოხაზულია პირველი ორი სტრიქონი, მიწერილია: „ეს არ არის რუსულში“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „მე ეხლა ათას ოქროთა ვღირვარ“... ქვემოთ არშიაზე: „რუსულში Сто тысяч экю.“

გვ. 34. ხაზგასმულია: „ბატონის შვილი“... მიწერილია: „Принц Оранский“. ამავე გვერდზე ხაზგასმულია: „დიდმის ტყეებში“, მიწერილია: „დიდმის – Суанский лес“.

გვ. 35. მოხაზულია მოქმედი პირის – სიმონის სიტყვები და მიწერილია: „ეს რუსულში ვერ ვიპოვე“.

გვ. 38. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „ეს არ არის რუსულში. იხ. რუსული გვ. 48“. იქვე ქვემო არშიაზე: „\*ალბად არ უნდოდა ქართველი ქალი მოღალატე გამოეყვანა და თათრის სისხლი ჩაუწვეთა“.

გვ. 39. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ეს რუსულში არ არის“.

გვ. 40. ტექსტში ხაზგასმულია: „მე ქალი ვარ და სამშობლო ჩემი სიყვარულია!...“ მიწერილია: „იხ. რუსული 49 (ძველი) 19 (ახალი)“. აქვე ქვემოთ მოხაზულია ადგილი და მიწერილი: „გვ. 49 რუსული და მეორე რუსულში გვ. 18“. მოხაზულია ლევანის სიტყვები და მიწერილია: „რუსული გვ. 71“.

გვ. 57. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „რუსულში ექვსი ათასია, 77“.

გვ. 63. ხაზგასმულია ტექსტში: „მეტეხის ციხეში“, მიწერილია: „Брюсельск. ратуш.“ იქვე ხაზგასმულია მოქმედი გმირის გოგიას სიტყვები, მიწერილია: „ეს არ არის რუსულში 83“.

გვ. 71 . ხაზგასმულია: „ლევან ამბობს „ლოცვას“, მიწერილია: „იხ. რუსული 89“. აქვე მოხაზულია ადგილი და მიწერილი: „ლექსი არ არის რუსულში“.

გვ. 74. ხაზგასმულია ტექსტში: „მაშინვე გულში ხანჯალი დაეცით“... არშიაზე: „კარგად არის გაკეთებული. შახ-აბაზის დროს თოფი არ იყო Пистолет к горлу (რუსულში, გვ. 92. მეორე რუსულში, გვ. 30. ჩვენი მსახიობები – ეფექტისთვის მაინც ჰკლავდნენ ტყვიით გოგიას.“

გვ. 96. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „ეს არ არის რუსულში 1872 წ. გამოცემაში. არის შემდეგ გამოცემაში (გვ. 36)“.

გვ. 122. მოხაზულია ადგილი და მიწერილი: „ეს განმეორება რუსულში არ არის, გვ. 43“.

გვ. 123. ტექსტის ბოლოს: „აქ კოცონის ალი ჩანს ფანჯარაში! ასე სდგამდნენ. ი. გრ.“

წიგნში დევს კონვერტი წარწერით: „სოსოს მინაწერები“. კონვერტში დევს: 1. ქალაქის პატარა ნაჭერი, რომელზედაც წერია: „სამშობლო“ რუსთაველის თეატრში პირველად დაიდგა 1942 წ. 17 დეკემბ. ი. გრ.“ 2. ქალაქის ნაჭერი წარწერით: „სამშობლოზე“ Н. К. მიხაილოვსკის წერილი. (იხ. მისი ტომი V. გვ. 604. გამოც. „Русск. Богатс.“ 3. გაზეთ „კომუნისტის“ 1942 წ., № 84“-დან ამოჭრილი შ. აფხაიძის წერილი „პატრიოტული სპექტაკლი „ფლანდრია“ რუსთაველის თეატრში“. 4. რუსთაველის თეატრის სპექტაკლის პროგრამა. 3. სარდუ. ფლანდრია (სამშობლო). სეზონი 1941–1942 წ. პროგრამის პირველ გვერდზე წერია: „პრემიერა. 7 აპრილს 1942 წ. – ი. გრ.“ 5. ქალაქის ნაჭერი, რომელზედაც გამეორებულია ყდის შიდა გვერდზე ჩამოწერილი შენიშვნები. 6. ქალაქის ნაჭერი, რომელზედაც წერია პიესის მოქმედი პირები და მისი პირველი შემსრულებლები. 7. ქალაქი წარწერით: „სარდუჯან მეგობრები ანუ ჰაი გიდი, მეგობრებო. კომედ. 4 მოქმ. თარგ. კ. ბაქრაძისა „ივერია“, 1899. № 23. პირველად წარმოადგინეს 1897 წ. 8 ოქტ.“ 8. ქალაქის ნაჭერი წარწერით: „გოთფრუას ცირკი იყო საცა ეხლა მთავრობის დიდი სასახლეა. ძველად ამ ალაგს – ვიდრე რუსულ ტაძარს ააშენებდნენ – ერქვა გუნბის მოედანი“. 9. მწერალ-სარდუს პორტრეტის ფოტორეპროდუქცია.

მეორე ცალის ფორზაცზე უწინდელი მფლობელის ხელწერა: „თ. ა. გ. ერისთავი“

ტყავის ყუაზე ამოტვიფრულია: „ა. ე. სამშობლო. ერისტოვისაგან“.

ფორზაცზე: „აქ მომქმედი პირების გვარებიცაა. ი. გრ.“

წიგნში ჩადებულია კონვერტი წარწერით: „სამშობლოს“ გარშემო“. კონვერტში დევს: 1. ქალაქის ნაჭერი წარწერით: „პიესა „სამშობლოს“ გარშემო. ლ. ა. მაღალაშვილის პასუხი „მოსკოვის უწყების“-ში მოყვანილ რეცენზიის გამო, დაიბეჭდა გაზ. „გოლოსში“. ამ წერილის თარგმანი დაბეჭდილია გაზ. „შრომაში“, 1882. № 13, 7 აპრ.“ 2. ქალაქის ნაჭერი, წარწერით: „სამშობლო“ და ეს პიესა. ხანი. + რამდენჯერ მიბრძანებია, შენ ჩემთან ხანჯლით არ შემოხვიდე ხოლმე. იხ. მირზა ფატალის კომედია „ხანის ვეზირი“ გვ. 42. აკაკის „კრებული“, 1895, № 7“. 3. 1928 წლის მაგიდის კალენდრის 30 აპრილის ფურცელი, რომელზედაც წერია: სამშობლო“. – პიესა „სამშობლოს“ გარშემო განგაში ასტეხა პირველად „Гусли“-მ (1882 წ. № 5, 8, 9) თხორჟევსკიმ და ოპოჩინინმა (დ. ერისთავის ამხანაგებმა, ალბად შეშურდათ კავკაზი რომ ქართველმა ჩაიბარა). მერე გადაბეჭდა: „Москов. Ведомост“-მა“.

მესამე ცალი დაზიანებულია. აკლია თავფურცელი და ფურცელი მოქმედნი პირებისა შემსრულებელთა გვარებით.

კანის მე-2 გვ. აღდგენილია თავფურცელი: „დ. ერისთავი: სამშობლო! დრამა 5 მოქ. და 7 სურათად. ფრანციცულიდან გადმოკეთებული. 1882. სტამბა მელიქიშვილისა“.

შმუცტიტულზე: „დ. ერისთავი [და სარდუ]“.

სათაურის ქვემოთ: „ეს დრამა პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „ივერია“-ში, 1881 წ., № X, ი. გრ.“

გვ. გვ. 121, 122 და 123 ქვემოთ კუთხეები მოხეულია და აღდგენილია ი. გრ. ხელით.

გვ. 121. ხაზგასმულია: „შეჩვიე ცეცხლსა“ და მიწერილი: „შეჩვიე პაჟარს“ – ასე უთხრა ერთხელ სვიმონიძემ ქეთევანს“.

წიგნის ბოლოს ჩადებულია: 1. „ივერიიდან“ ამოხეული დრამა „სამშობლოს“ ნაწყვეტი, გვ. 65–78. 2. პროგრამა რუსთაველის თეატრის სპექტაკლისა „სამშობლო“ მინაწერით: „1943, 14 იანვარი“.

მეოთხე ცალის შმუცტიტულზე წარწერა: „ჩემს მშვენიერ ფაიხოშს მარიამ საფაროვა-აბაშიძისას თ. დავით ერისთავი. 1882, 9/VII, თბილისი“.

ფორზაცზე: „ტასო აბაშიძემ მიფეშქაშა. ი. გრ. 1945. 12/X“.

გვ. 42. ბეჭედი: „ივანე ესტატეს-ძე მჭედლიშვილი“.

გვ. 93. ბეჭედი: „Мария Михайловна Сапарова“.

წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი ვ. ევსიშვილის წერილი „ქართული კულტურის დიდი მოამაგე. (დ. ერისთავის გარდაცვალების 55 წლისთავის გამო)“ მინაწერით: „1945 წ., № 211. „ინდუსტრ. ქუთაისი“, 24 ოქტ.“

1476–1484. ერისთავი დ. სამშობლო. დრამა 5 მოქმ. და 7 სურ. თბ., 1947.

თავფურცელზე დაკრულია საგაზეთო ცნობა დ. ერისთავის წიგნის გამოსვლის შესახებ, მინაწერით: „1947, № 141, 25 ნოემბ.“

კანზე ავტორის გვარის ქვეშ მიწერილია: „(1847–1890). გარდაიცვ. 43 წლის“. იქვე: „1947, 2/X, ი. გრ.“.

გვ. III. გადახაზულია ფანქრით: „დამაარსებლის“, მიწერილია: „რედაქტორის“.

გვ. VIII. ხაზგასმულია: „და ფულს მოგცემთ“, მიწერილია: „ჩეკი მისცა“.

გვ. IX. ხაზგასმულია: „ერისთავის სადგომამდე, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად“, მიწერილია: „სადაც წინად რესტორანი „ბომონდი იყო“ (ელისაბედის ქ. კუთხეში) შემდეგ სათეატრო მუზეუმი სლინკოს სახლებში. ი. გრ.“

გვ. XIV. „თამარ ბატონიშვილი“-ს წინ ჩამატებულია: „გ. რჩეულოვის“. ხაზგასმულია: „ამ პიესით იხსნებოდა სეზონი“. მიწერილია: „ჩაემატოს ჩემსას 107“.

1485. ერისთავი დიმ. ნაქვთები. [ქუთაისი], 1891.

1486. ერისთავი დიმ. ვისი ბრალია. მოთხრობა. ამონაჭერი ჟურნ. „მოამბედან“, 1894, № 6, 7.

ხელნაკეთ კანზე და თავფურცელზე: „დ. ერისთავი. ვისი ბრალია? (მოთხრობა)“.

ავტორის გვართან: „გარდაიცვალა 1925, ოზურგეთში“.

სათაურს ქვემოთ: „კიდევ აქვს მოთხრობები ცალკე წიგნად: 1. ნაქვთები. 2. დაუსრულებელი რომანი. 3. ვისი ბრალია?“

1487–1488. ერისთავი დიმ. ვისი ბრალია. (მოთხრობა). ოზურგეთი, 1911.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკიდან ი. გრ.“

წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი, რომელზედაც წერია: „დიმ. კონსტანტინეს ძე ერისთავი. გარდაიც. 1925 წ. იხ. „თ. და ც.“, 1925 წ., № 3. გრიგოლ კუნჭულია. [წერილის ავტორია]. ექიმი, შინაგან სნეულებათა მცოდნე და დოსტაქარიც. გურულები ტიტკოს უწოდებენ“.

1489. ერისთავი დიმ. ნაწყვეტი დაუსრულებელ რომანისა. (მოთხრობა). ოზურგეთი, 1912.

წიგნში ჩადებულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „დიმ. ერისთავი. „ნაწყ. დაუსრულებელი რომანისა“ დიმ. ერისთავისა (იბეჭდებოდა „ივერიაში“, 1903, № 56, 57 და ა. შ.).“

1490–1492. ერისთავი კ. ბრმა. დრამ. ფანტაზია სამ სურ. გადმოკეთებული. ქუთაისი, 1905.

კანზე: „შიგ ჩასწორებულია ავტორის ხელით. ი. გრ.“ იქვე: „კ. ერისთავი – ყოფილი მარშალი. ავტორი ცნობილი ლექსისა:

„ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი  
მხმარი, უსუნო. გავსილი სილით,  
შენგნით უმიზნოთ ის მოწყვეტილი

და დაგდებული იქვე სიცილით“ და სხვა. (იხ. მისი „ლექსთა კრება“ და ჩემი „ბოჰემა“ თავი „ბეჩარა“) ი. გრ. 1930, 12/III“.

გვ. 3. უცნობის ხელით: „1 მაისი 1919 წ., თ-დ. კ. ერისთავისაგან“.

გვ. გვ. 4, 7, 13 მეღნით ავტორის მინაწერები.

გვ. 9. მე-13 სტრიქონში ხაზგასმულია სიტყვები: „სამარის ბნელში“ და სქოლიოში გასწორებული: „ბნელ სამარეში ი. გრ.“

1493. ერისთავი კ. ლექსნი. ტფ., 1887.

ფორზაცზე: „სახლში არ გაიცემა! ი. გრ.“ იქვე „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი“. გვ. 23.“

მითითებულ გვერდზე 1-ლ სტროფში სიტყვა: „ვიპოვე“-ს ზემოთ მიწერილია: „ვიხილე“. „გასვრილია“-ს ზემოთ კი – „გავსილი“. მე-3 სტროფში ხაზგასმულია: „დამიღუპე“, მიწერილია: „მომიწამლე“. მე-4 სტროფში ხაზგასმულია: „[გაახარებდა]“ ის მასზედ [ბულბულს]“. მიწერილია: „თვისზე მჯდომ“. იმავე სტროფში ხაზგასმულია: „აწი“, მიწერილია: „ეხლა“.

1494. ერისთავი კ. ყან ალმალ (სისხლის აღება). [მოთხრობა]. ტფ., 1930.

თავფურცელზე წარწერა: „ფრიად საყვარელს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. V . 30 წ.“

გვ. 51. ლექსიკონში ხაზგასმულია: „ბელქი – ეგებ, იქნება“ და არშიაზე წერია: „სომხ. „ბალქამ“.

1495–1497. ერისთავი რ. თხზულებანი. ნაწ. 1. თბ., 1882.

თავფურცელზე სათაურის ქვევით: „ნაწ. I“ და „ეს წიგნი სხვა თავფურცელიანია. არ არის აწერილი პალატის მიერ. ი. გრ.“

მოხაზულია წინასიტყვაობის I-ლი აბზაცი და მიწერილი: „ამ წიგნის მეტი არ დაბეჭდილა (იხ. „ნობათი“, 1884 წ., № 7–8–9 გვ. 104 (დამატ.) ი. გრ.“

მეორე ცალის ფორზაცზე: „ვიყიდე ბაზარზე 1942 30/VI. ი. გრ.“ იქვე ადრინდელი მფლობელის ხელით: „დავით კარიჭაშვილის ბიბლიოთეკა“.

1498–1501. ერისთავი რ. თხზულებანი. ლექსები. ნაწ. 2. ტფ., 1890.

თავფურცელზე წარწერა: „ძღვნად ი. გრიშაშვილს. გ. მსხილაძე. 10/III–56 წელი“.

ხაზგასმული ადგილები ი. გრიშაშვილს არ უნდა ეკუთვნოდეს.

მეორე ცალის ყდაზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ვალ. გუნია“. იქვე ი. გრ. ხელით „ვიყიდე მ. გაჩეჩილაძისგან 1922, 19/X.“

1502. ერისთავი რ. თხზულებანი. ტ. 1. [ლექსები], ტფ., 1893.

ფორზაცზე: „ჩემი რედაქციით ასე უნდა იყოს: 1. გვ. 189. 2. გვ. 20. 3. გვ. 14. 4. გვ. 15. 5. გვ. 11. 6. გვ. 11. შეცდომა. გვ. 68, 69 ი. გრ.“ აქვე: „რაფ. ერისთავი დაბადებულია 1822 წ. 6 თებ. (იხ. „ლიტ. საქართველო“, 1943 წ., № 20)“.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ასონანსი, გვ. 13, 155, 201, 198, 166, 267, 276. სთარგმნიდა ტიუტჩევს – გვ. 187. ჯერ შრომა, მერე ხტომა (Кончил дело, гуляй смело) – მიბაძვა ი. გოგებაშვილის თარგმანისა (იხ. „დედა ენა“. 1868, გამოც. გვ. 1). პირველად დაიბეჭდა 1884 წ. „ნობათი“. № 1, გვ. 201“.

გვ. 5. ლექსს – „ნამბობი მოხუცისა“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი ორჯელ დაიბეჭდა „ცისკარში““.

გვ. 11. ლექსის „დარიგება“ სტრიქონში „ჯერ მიმითვისა, შემდეგ სხვისას შეუდგა გზასა“ – სიტყვა გზასა გასწორებულია: „კვალსა“ და მიწერილია: „რითმა ასე უნდა იყოს“.

გვ. 13. ლექსს – „ორჯერ დაბრმავებული“ ბოლოს მიწერილი აქვს: „ასონანსი“.

გვ. 14. ლექსში „თვალეზი“ ხაზგასმულია: „სიმშვიდეს ემონება, მითვე ინატრებისა“, მიწერილია: „ინეტარებსა. (მუხამბაზის ფორმას რითმა შეშვენის)“.

გვ. 15. ლექსის „ყვავილი“-ს ბოლო სტროფს მიწერილი აქვს: „ამ კუპლეტს ერთი სტრიქონი აკლია მგონი“.

გვ. 20. ლექსს „ნატვრა“ მიწერილი აქვს: „ეს მიბაძვავა სპარსულისადმი, იქ ნათქვამია: „სიმღერის დროსო, როცა იმღერებო““.

გვ. 41. ლექსს „მადლობა“ ლერმონტოვიდან მიწერილი აქვს: „თავისუფალი თარგმანია“.

გვ. 55. ლექსს „ფერხულის ხმაზედ“ მიწერილი აქვს: „იხ. გ. ერისთავის ლექსი“.

გვ. 69. ლექსში „ძუნწი გმირი“ ხაზგასმულია: „ბამბითა“ და მიწერილია: „ბაბთითა“ ი. გრ.“

გვ. 155. ლექსში „სადღეგრძელო“ ხაზგასმულია სიტყვა: „მარია“ და მიწერილია: „ასონანსი“.

გვ. 159. ლექსის სათაურს: „სოფ. მელ-სას“ მიწერილი აქვს: „სოფიო მელიქოვისას“.

გვ. 164–165 ლექსის სათაურს: „ღმერთო მაშორე“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მიბაძვავა ერთი რუსული ლექსისა „Избави нас, избави нас“ და სიტყვას „კრინოლინს“ მიწერილი აქვს: „ხაბარდა“.

გვ. 189. ლექსის სათაურს „ბერუას ჩაფიქრება“ მიწერილი აქვს: „ეს რუსულად ითარგმნა“. იქვე მოხაზულია: „მაგრამ რომ ღალა მიწისა არ ასცილდება მთესველსა?“ და მიწერილი: „მთესავსა“? ამავე ლექსის ბოლოს: „ახალი გამოცემის გვ. 178“.

გვ. 190. ლექსში „ღამის მეხრე“ ხაზგასმულია: „ხანდისხან“ და მიწერილი: „თუ ხანდახან?“

გვ. ... ლექსს „ტეტისა მოთქმა“ მიწერილი აქვს: „ეს რუსულად ითარგმნა“.

გვ. 195. მოხაზულია ოთხი სტრიქონი და მიწერილი: „ა. ჭ-ძე“.

გვ. 198. ლექსში „მოკითხვა“ ხაზგასმულია სიტყვები: „ან-ბანი“ და „ამბავი“ და მიწერილი: „ასონანსი“. ამავე ლექსის ბოლოს: „ივერია“, 1884 წ., № XII, გვ. 151“.

გვ. 201. ლექსის სათაურს „ჯერ შრომა მერე ხტომა“ მიწერილი აქვს: „პირველად დაიბ. „ნობათი“, № 1, 1884 წ.“ ამავე ლექსში ხაზგასმულია სიტყვები: „შეითამაშე“, „მამაშენს“, მიწერილია: „ასონანსი“.

გვ. 206. ლექსის სათაურს „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ მიწერილი აქვს: „ივ.“, 1884 წ., № 4, გვ. 80“.

გვ. 207. ლექსს „მებადური და ოქროს თევზი“ მიწერილი აქვს: „თარგმანი პუშკინისაა“.

გვ. 267. ხაზგასმულია სიტყვები: „ვერავენ“, „ჰვერავენ“ და მიწერილი: „ასონანსი“.

გვ. 272. ლექსთან „სიმღერა“ მიწერილია: „მაჯამა“.

გვ. 276. ხაზგასმულია სიტყვები: „ზამბახი“, „ამბოხი“ და მიწერილია: „ასონანსი“.

გვ. 277. ლექსს „შვიდნი ვართ“ მიწერილი აქვს: „აქებს გ. ყ-ძე. „მომამბე“, 1895, X, გვ. 95“.

გვ. 281. გასწორებული თარიღი. ნაცვლად: „1878“-ისა არის: „1876“. აქვე მიწერილია: „ეს იგავ-არაკები ზოგი კრილოვიდანაა, ზოგი საბა-სულხან ორბელიანისაა“.

გვ. 364. ჩადებულია გაზეთის ნაჭერი, ამავე გვერდზე წერია: „გვ. 283-დან აქამდე კრილოვისაა. ი. გრ.“

გვ. 365. ლექსის ზევით: „აქედან ბოლომდე საბასია. ი. გრ.“.

სარჩევში ხაზგასმულია ზოგიერთი ლექსი და მიწერილი შენიშვნები.

წიგნში დევს კონვერტი წარწერით: „სოსოს მინაწერები“, მასში ჩალაგებულია ფურცლები შენიშვნებით: „1. ი. იურკვევიჩიდან. (იხ. ამ იურკვევიჩის წერილი მუსიკაზე) „ცისკ.“. 1866, აპრილი; გვ. 159. 1880 წ. 2. რ. ერისთავი. „სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. „დროება“, 1873, № 3. 3. აქ არის თუ არა? რ. ერისთავის „ჩივილი მხვედრისადმი. (იხ. „სამწერლო თაიგული“ ი. ჭყონიასი 1880). 4. ასონანსი ძველ მწერლებში. ანზანი – ამბავი. რ. ერისთავის ლექსი „მოკითხვა“ („ივერია“, 1884, ტ. IV, თხზ.). 5. რ. ერისთავის „ზედმეტი სურათები“ ჩაკერებულია „მომამბე“, 1895, № X, გვ. 1, 6. რ. ერისთავზე გ. ყიფშიძის წერილი „НОВОЕ ИНОЗ.“, 1895, № 3917. 7. „სვანეთი“ რაფ. ერისთავისა. „И. ИНОЗ“; 1897, № 4555. 8. დ. ყიფიანი 1. ერთი სიტყვის გულისათვის გახდა დიდი. 2. რაფ. ერისთავიც ერთი ლექსისთვის „სამშობლო ხევსურისა“. მთელი რაზიკაშვილები აქედან გამოდიან. 3. „ასონანსის პირველი ოსტატი“. 1934, 19 დეკემბერს „ელხ“-ში რაფ. ერისთავზე წაიკითხა მოხსენება შ. რადიანმა. 9. ი. გრ. რაფ. ერისთავის შემოქმედების შესახებ – 1934 წ. მწერალთა ყრილობისათვის მოსკოვში.

1503–1512. ერისთავი რ. თხზულებანი. შ. რადიანის რედ., წინასიტყვ. და შენიშვნებით. ტ. 1–4. ტფ. 1935–1938.

ტ. 1. ლექსები. 1935.

სუპერზე: „ჩემგან 313“.

ფორზაცზე: „რაფ. ერისთ. დაიბადა 1822 6 თებ. რაფ. ერისთ. გარდაიც. 1901 წ. 19 თებ. (იხ. ახალი მასალა)“. იქვე გაზეთიდან ამოჭრილი ნ. ხომტარიას წერილი „რაფიელ ერისთავის ბიოგრაფიისათვის“ მინაწერით: „(ლიტ. საქართ.“, 1943 წ., № 20, 20 აგვისტო.). ჩიტი ტუმანსკის, 182 და შენიშვნა, 375. „შეცდომა: დალოცვილო, ჯერ შეადარებდი და მერე 1. დასწერდი: ის რომანსი სხვაა და ეს კიდევ სხვა, (გვ. 383). 2. გვ. 178 (შეც.)“.

შმუცტიტულზე: „1. წაწალი, 225“.

გვ. XXXIV. ბოლო აბზაცში, რომელიც შეეხება კრილოვის თარგმანს, მოხაზულია ორი სტრიქონი და მიწერილია: „ჩემგან“.

გვ. XLVI. ხაზგასმულია: „1857 წ. „ცისკარ“-ში (№ 6-ში) დაიბეჭდა მოთხრობა „ნინო“. არშიაზე მიწერილია: „გამოვიდა ცალკე წიგნადაც“. ხაზგასმულია კომედია „იჭვიანის“ სათაური, მიწერილია: „დაიბეჭდა მეორედ „პანთეონში“. მერე „ჩანგში“ დაიბეჭდა. ვისგან გადმოაკეთა? რატომ არა სწერს?“

გვ. XLVIII. მოხაზულია: „1884“, მიწერილია: „ეს გამოცემა პირველად გამოვიდა 1873 წელს ჟურ. გადმობეჭ.“. ხაზგასმულია; „50 წ. აღსანიშნავი იუბილე“, მიწერილია: „სტალინმა ლექსი უძღვნა“. შენიშვნის ნიშანი უზის „Этногр. очерки о Сванетии“-ს დაბეჭდვის თარიღს და სქოლიოში მიწერილია: „ცალკე წიგნად?“. ამავე გვერდზე მიწერილია: „არ არის მოხსენებული „პარიკმახერისას“. 2. „თეატრი“ (ჟურ.) პიესები „ბრილიანტი“. 3. „ბიძიასთან გამოხმაურება“. 4. „ჯერ დაიხოცენ“. 5. „Лит-Вечер.“

გვ. 99. ლექსში „მეფე და მისი შვილები“ სიტყვა „მომსწრები“ გასწორებულია „მამსწრებად“.

გვ. 128. ლექსის „ღმერთო მამორე“ არშიაზე: „ერთი კუპლეტი იხ. „კრებული“ 248“.

გვ. 171. ლექსთან „მიპატიჟება სასწავლებელში“ მიწერილია: „(რუსულით). იხ. გვ. 373“.

გვ. 178. ლექსთან „ბერუას ჩაფიქრება“ მიწერილია: „რატომ დავყავით ასე?“ ხაზგასმულია: „მთესველსა?“, მიწერილია: „მთესავსა“. ი. გრ.“

გვ. 230. ლექსის ბოლო სტრიქონი მოხაზულია და მიწერილი: „ასონანსი“.

გვ. 239. ლექსის – „სამადლობელი ლექსი“ ზემოთ წერია: „იუბილეს ლექსი“.

გვ. 244. ხაზგასმულია მიძღვნა: „(ქ. გ. იოიანს)“, მიწერილია: „იოსელიანს(?)“.

გვ. 259. მოხაზულია მიძღვნა: „სოფ. მელ-სას“, მიწერილია: „სოფიო მელიქოვისას“.

გვ. 261. „Романс“ (პუშკინიდან) მიწერილია: „იხ. რუს. 16“.

გვ. 331. ლექსს „ბაყაყნი, მთხოვნელნი მეფისა“ მიწერილი აქვს: „ა. ფურც.“

„რაფიელ ერისთავის ლექსების ტექსტისათვის“ – წიგნი ამ ნაწილში ბევრია ხაზგასმული ან მოხაზული ადგილები. არის მინაწერები:

გვ. 371. ქოროლი (ხალხური ლეგენდა)“. მიწერილია: „(1881 წ. გამოცემა)“.

გვ. 374. შენიშვნებში ლექსისა „მიპატიჟება სასწავლებელში“ მოხაზულია რუსული ვარიანტი და მიწერილია: „(გვ. 171. აქვე). ავტორი?“ შენიშვნა ლექსის „ჯერ შრომა, მერე ხტომა“ მოხაზულია მთლიანად. ქვევით მიწერილია: „Кончил дело, гуляй смело“, იხ. ი. გოგებაშვილის პირველი თარგმანი.“

გვ. 375. ტუმანსკის ლექსის „ჩიტი“ შენიშვნაში ხაზგასმულია ამ ლექსის ქართული თარგმანი, შესრულებული მიხ. ფავლენიშვილი მიერ და რუსული ტექსტი, მიწერილია: „ეს ლექსი სთარგმნა გრ. აბაშიძემაც, შ. მღვიმელმაც, რატომ არ სწერს?“

გვ. 384. ხაზგასმულია: „1894 წ., მიწერილია: „1893“.

გვ. 391. სარჩევში ხაზგასმულია ლექსის სათაური: „სოფ. მელ-სას. (იურკევიჩიდან)“, მიწერილია: „სოფიო მელიქიშვილისას“.

წიგნის ბოლოს ჩაკრულია ა. ჯ-ს რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „ლიტ. გაზეთი“, 1936 წ., № 13, 16 აგვისტო“.

ტ. 2. პოემები. 1936.

სუპერზე: „გარეგნობა 174“.

ფორზაცზე: „შეცდომები 157. 165“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1936 წ., 9/XI. საკამათო 1. გვ. 208. 2. გვ. XIII. 3. 66.“

წინასიტყვაობაში ჩართული პირველი გამოცემის თავფურცლის რეპროდუქციას აწერია: „ეს უალაგო ალაგასაა ჩაკერებული“.

გვ. 66. ხაზგასმულია: „ბრძანებს: „ჩემმა ძმამ შექცევა სხვა თუ ჰპოვა ღირსია“, მიწერილია: „აკლია. ი. გრ.“



გვ. 157. პოემაში „ძუნწი გმირი“ ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „კარგია“. მოხაზულია: „ივანე“, მიწერილია: „შავი ასოებით არ უნდა. ისე გამოდის თითქოს ამ სიტყვებს ივანე ლაპარაკობდეს. „კრებულში“ 1872 წ. № X–XI–XII გვ. 5. იქ ივანე შავით არ არის აწყობილი“.

გვ. 158. ხაზგასმულია: „ატლას-ბამბითა“, მიწერილია: „ატლას-ბაბთითა“.

გვ. 160. მოხაზულია: „ალბერ: შენ ჩემო თავო!“ წინ უწერია: „ვაი“.

გვ. 161. მე-2 აბზაცში გასწორებულია კორექტურული შეცდომა, მიწერილია: „კრებულში“ რომ დაიბეჭდა იქ... „გაგცემდი“. მოხაზულია სიტყვა „ღორო“. მიწერილია: „ძაღლო“.

გვ. 162. 1-ლ აბზაცთან მიწერილია: „სუსტია“.

გვ. 164. მე-2 აბზაცთან მიწერილია: „გაგრძელებულია“.

გვ. 165. მიწერილია: „ალბერ: გადიო შე ძაღლო, გადი აქედგან!..“ ასეა „კრებულში“, 1872, № X–XI, გვ. 18“.

გვ. 208. შენიშვნები „ასპინძის ომის“ გარშემო მთლიანად მოხაზულია, მიწერილია: „კიდევ დაიბეჭდა „ცისკარში“, მგონი „ივერიაში“ მეორედ იყო“. პოემა „თამარიანის“ შენიშვნაში მოხაზულია: „1887“, „დიდხანს“, მიწერილია: „ერთი წელი დიდი ხანია?“.

გვ. 209. მოხაზულია მთელი აბზაცი და მიწერილი: „კრებულში“ კარგადაა. აქ შეცდომები. შეადარე?“. ამავე გვერდზე ზღაპრის „ოქროს თევზი და მებადური“ შესახებ მიწერილია: „რაფ. ერისთავის ეს ზღაპარი დაიბეჭდა ბევრჯერ. 1... 2. ივ. როსტ.“

წიგნში ჩადებულია რეცენზია რ. ერისთავის ლექსებზე მინაწერით: „საბჭოთა აჭარა“, 1936 წ., № 102“.

ტ. 3. მოთხრობები და სცენები. 1937.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1938. 22/1“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1938. 20/1. აკლია ლექსიკონი“.

ფორზაცზე: „1. ბიბაში, პირტაში, გვ. 165, 171. 2. პაჟარნი. 173. 3. თათარიხნად, 178. 4. იარალიში, 85“. იქვე: „აკაკის კინტო, 172. მაჯამა, 185. ანაგოჯი, 185. სათარა, 249. სუნდუკ. ა. ცაგარ., 173. 177. კინტოკრატები, 155. ოპერა, 185. ნაჩხატი, 88. Отцы и дети, 95. ცახე – 91. „ვ. ტყაოსანი“. გვ. 8. კახეთის გზა, 149. შეშუდი, 151, ფიშქარი, 151“.

აღნიშნულ გვერდებზე მითითებული სიტყვები ხაზგასმულია ცალკე ან შესაბამისი კონტექსტით. არის მინაწერებიც.

გვ. 99. მოხაზულია: „რა გინდა, დედავ და თვალო?...“ მიწერილია: „ა. ც. (I გამოც)“.

გვ. 150. მოხაზულია 7 სტრიქონი, დაწყებული: „კალიაზედ, რომელსაც...“ და მიწერილია: „სირაჯები“. ხაზგასმულია: „ბოლაზია“, მიწერილია: „ყელი“.

გვ. 161. სცენას – „თავშალი მათხოვეო“ – ბოლოში მიწერილი აქვს: „თეატრი“, 1888 წ., № 24“.

გვ. 171. ხაზგასმულია: „თუკი ჩემი და არდაღანში გარდაიცვალა ფარდახტიანი საოფლით და დაკოდილებს თავი შესწირა“. „არშიაზე: „ბ. ჯორჯაძე?“ ხაზგასმულია: „ულვამ მოპარსულიც იყოს“ და მიწერილია: „ე. ი. მსახიობი? გადაკრულადაა ნათქვამი. ძველად მსახიობები არ უყვარდათ“.

გვ. 172. არშიაზე: „აკაკი და სუნდუკ“.

გვ. 178. ტექსტში ხაზგასმულია: „კენჭაძე“ და სქოლიოში მინაწერი: „მანსვეტაშვილი“.

გვ. 179. ხაზგასმულია: „კალმუხის ბიჭები“ და მიწერილია: „КАЛМЫК“.

- გვ. 181. ხაზგასმულია: „ყუმარეზედ“ და მიწერილია: „ყომარი“.
- გვ. 253. შენიშვნებში ხაზგასმულია: „27. თეატრში (გვ. 172–179)“ და მიწერილია: „ნ. გაბუნიაზე“. ქვევით, ტექსტის ბოლოს მიწერილია: „აკლია: 1. „ხათაბალა (იხ. „ჩანგი“). 2. „მარილის მოყვანა“ (იხ. „ჩანგი“)“.
- გვ. 252-სა და 253 შორის ჩადებულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „რ. ერისთ. სცენები. თითო ნომერში ორი სცენაა. „ივ.“, 1877, № 7, 9, № 12“.
- მეორე ცალში:
- გვ. 123. ხაზგასმულია: „მოწყულად“, მიწერილია: „მაწყულად“.
- გვ. 173. წაშლილია სიტყვა: „ამ პიესამ“ და მიწერილია: „აკაკის კინტომ“.
- გვ. გვ. 172–175 მოხაზულია მთელი გვერდი ან აბზაცები და მიწერილია: „არა“.
- გვ. 177. მოხაზულია სიტყვა: „ოცნებობს“ და მიწერილია: „იოცებს ი. გრ.“
- ტ. 4. დრამატული ნაწერები. 1938.
- შმუცტიტულზე ნაჩუქრობის წარწერა: „პოეტს და მკვლევარს ი. გრიშაშვილს მეგობრული გრძნობით შ. რადიანი. 20. II. 1939 წ.“
- ფორზაცზე: „კორექტ. შეცდ., 238. 239 დაბადი, 255 ბუმბულაძე?. 302 ზინეკი. 1. ზ-ნეთი – უნდა იყოს ზინეთი, გვ. 302 (ზინეთი სიმდიდრეა). 2. გ. სკანდაროვას ლექსი, 43. 3. ჰალაჰალაა, 392. 4. ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობაა, 400“.
- გვ. 167. „ბრილიანტი“. ტრადი-კომედია ორს მოქმედებაში. ქვევით მიწერილია: „[1881]“.
- გვ. 193. 1. მოქმ. დასასრულს მიწერილია: „დასწერა 1881 წ. (იხ. ცნობა ვ. აბაშიძის „თეატრი“, 1888 წ.)“.
- გვ. 302. მესამე აბზაცის შემდეგ მიწერილია: „ფარდა“. შემდეგ მთელი გვერდი მოხაზულია და მიწერილია: „ამას ვაკლებდით“.
- გვ. 367. ვოდევილის „იჭვიანი“ დასასრულს მიწერილია: („ცისკარი“, 1870, აგვისტო)“.
- გვ. 387. ხაზგასმულია: „ამ მდულარე გულს მე დამიტკბობს“ და მიწერილია: „ამ მდულარე გულს დამიტკბობს“.
- გვ. 391. მოხაზულია 1–2 აბზაცები და მიწერილია: „ზარაფობა“.
- გვ. 393. ხაზგასმულია: „გინდათ ჩემი ვირიც გარყვნათ? არშიაზე: „სინჩლა“.
- გვ. 494. კომედია „ბრილიანტის“ შენიშვნაში ხაზგასმულია დაბეჭდვის თარიღი: „თეატრში“, 1889 წ., № 8-ში და მიწერილია: „და № 15... [?]“. შენიშვნა მთლიანად მოხაზულია და მიწერილია: „ბრილიანტი“ დასწერა 1881 წ.“ ამავე გვერდზე: „ნათლია და ნათლულები სცენაზე“, მიწერილია: „1883“.
- წიგნში ჩადებულია ქალაქის ნაჭრები შენიშვნებით. 1. „რაფ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული. რამდენიმე პიესა ამ ტომში არ შეგვიტანიაო (გვ. 492) მაშ რა არის თუ არა გადმოკ. „ჯერ დაიხოცენ“. „ბიძიასთან გამოხუმრება“, „იჭვიანი“, „მბრუნავი სტოლი“. 2. „შირ-ალის პიესას ახუნდოვის თარგმნით. თარგმ. ქარ.“ 3. „კონკა“, რომელ წელს შემოვიდა (დაწერილი 1889 წ.) ტ. IV. გვ. 226“.
- 1513–1514. ერისთავი რ. რჩეული თხზულებანი. თბ., 1958.
- გვ. 578. „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ შესახებ შენიშვნის გასწვრივ, არშიაზე: „ჩანგში“ დაიბეჭდა“, ხოლო „იჭვიანის“ შესახებ შენიშვნის გასწვრივ: „გამოვიდა ცალკე წიგნად“.

1515. ერისთავი რ. ბიძიასთან გამოხუმრება. ოპერეტკა-ვოდვეილი ერთს მოქმედებაში. აზრი რუსულიდგან – ამონაჭერი ჟურნ. „ივერიიდან“ 1880, № 1.

თავფურცელზე: „ივერია“, 1880 წ., № 1. ი. გრ. ლექსი – გვ. 164“.

გვ. გვ.: 164, 165, 178, 180. ხაზგასმულია.

1516. ერისთავი რ. თამარიანი. ისტ. პოემა. თბ., [1887].

ფორზაცზე ნუსხა-ხეცური ასოებით:

„კარიჭაშვილის ბიბ-კა“. ქვემოთ მიწერილია: „მომყიდა მისმა შვილმა დავითმა – ჩემის თხოვნით. ი. გრ. 1933. 2. XI.“

იქვე: „ჩემგან: P. S. „ჩვენს პატივცემულს პოეტს რაფ. ერისთავს გაულექსავს ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი“ გრ. რჩეულიშვილისა და აპირებს ბეჭდვას“. („ივერია“, 1886 წ. № 169). ქრონიკაში. ი. გრ.“

ქვემოთ: „იხ. იაკ. გოგებაშვილის წიგნი. „საარაკო თავგადასავალი ტახის მემკვიდრისა“.

ფორზაცზე: „1. ფარსაგი, გვ. 104. 2. მეფა, გვ. 1. 3. ქსუ – გვ. 12.“ იქვე: „კორექტორული შეცდომა შეცდომა ხომ არ არის? წერია: „გულის ბრწყინვალე ბედია“. ალბათ უნდა იყოს – გელის ბრწყინვალე ბედია. ი. გრ. (გვ. 20, 29, 34). 4. უებრო – გვ. 23. 5. დამბაჩა – გვ. 27. და თოფი – გვ. 39.

გვ. 31. ქვისლი }  
ნისლი } თავუნამაც იხმარა

ალაზანი, გვ. 36. ქე – გვ. 38.“ მითითებულ გვერდებზე აღნიშნული სიტყვები ხაზგასმულია:

თავფურცელზე აღდგენილია გამოცემის წელი“ „1887.“

გვ. 2. მესამე სტროფში ხაზგასმულია: „რაციფი“ და სქოლიოში მიწერილი: „რაციფს არა ხსნის და ხვრელი ვინ არ იცის? ი. გრ.“

გვ. 8. მოხაზულია რითმა „შალვასა-ალვასა“ და მიწერილი: „გვ. 6“.

გვ. 13. ხაზგასმულია: „მზერალმა“ და მიწერილია: „მზირალმა“.

გვ. 15. სიტყვა „შევერცხლილითა“ გასწორებულია: „შევერცხლულითა“.

გვ. 20. ხაზგასმულია: „გულის ბრწყინვალე ბედია“ და მიწერილია: „გულის თუ გელის? ი. გრ.“

გვ. 21. ხაზგასმულია: „სოფლის ჟღერასა“ და მიწერილი: „ბედის ტრიალსა? ი. გრ.“

გვ. 22. მოხაზულია რითმები და მიწერილია: „ეს რითმები იხ. გვ. 38“.

გვ. 25. ხაზგასმულია: „თართია“ და მიწერილი: „თართი საბას განმარტებით დიდ მაღლსა ნიშნავს. აქ რა არის ნაგულისხმევი, თევზი? ი. გრ.“

გვ. 26. მოხაზულია რითმები: „განძია“... ბრანძია“ და მიწერილი: „გვ. 22“.

გვ. 29. ხაზგასმულია: „ფოლია“ და მიწერილია: „? ბალახია“.

იმავე სტრიქონში ხაზგასმულია: „შეგწოლია“ და მიწერილია: „შემოგწოლია. ი. გრ.“.

გვ. 32. ხაზგასმულია: „უბიძგა“ და მიწერილი: „ბიძგი“.

გვ. 34. ხაზგასმულია: „ტრედებსა“ და მიწერილი: „ტრელი? უწესოება, იხ. საბა!“.

გვ. 38. მეორე სტროფის რითმებს მიწერილი აქვს: „იხ. 22“. იქვე, მეოთხე სტროფში ხაზგასმულია „ქე მოსწყდა“ და მიწერილი: „ქვე?“

გვ. გვ. 2, 4, 5, 8, 20–28, 30–33, 35, 36, 39, 41, 86, 148 – ხაზგასმულია ადგილები.

1517–1519. ერისთავი რ. იგავ-არაკნი, გამოკრებულნი „სიბრძნე-სიცრუიდგან“ და გალექსილნი. თფ., 1878.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1921 წ. 26 სექტ.“

წინასიტყვაობა მოხაზულია და ხაზგასმული.

გვ. 17. სარჩევში მოხაზულია სამი ნაწარმოები: „ორი ძმანი“, „განძის-უფალი და მეზვერი“, „ზეგნელი“ და იქვე მიწერილია: „ეს სამი დიდ წიგნში არ არის. ი. გრ.“.

1520. [ერისთავი რ. იგავ-არაკები სიბრძნე-სიცრუიდან, გალექსილი] – ამონაჭერი წიგნიდან რ. ერისთავი. თხზულებანი. ტ. 1. თბ., 1893.

ხელნაკეთ კანზე: „სულხან-საბა ორბელიანი. იგავ-არაკები „სიბრძნე სიცრუიდან“. გალექსილი რაფ. ერისთავისაგან. ამონარიდი რაფ. ერისთავის 1893 წ. დაზიანებული წიგნიდან. ი. გრ.“

წიგნის დასაწყისში: „შიგ ბევრი კორექტ. შეცდომებია. ი. გრ.“

1521. ერისთავი რ. იგავ-არაკნი. ტფ., 1896.

1522. ერისთავი რ. [ლექსები. თარგმანები. შ. რადიანის წინასიტყვაობით.] თბ., 1949.

1523. ერისთავი რ. პარიკმახერისას. თბ., 1880.

იქვე: „აკლია 6–10. ი. გრ.“

1524–1526. ერისთავი რ. რჩეული ლექსები. ტფ., 1927.

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვეშ: „1824–1901. იუბილე, 1895“.

იქვე სათაურის ქვეშ: „წინასიტყვაობა ვახტანგ კოტეტიშვილისა“.

გვ. 79. ლექსში „მეცხვარე თრიალეთზედა“ ხაზგასმულია სტრიქონი: „კალმახი იცის ოქროსი“, მიწერილია: „გ. ლეონიძე“.

1527–1528. ერისთავი რ. რჩეული ლექსები. [თბ.], 1928.

1529. ერისთავი რ. რჩეული ლექსები. ტფ., 1932.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1932. 30. VI. ასონანსი – 41“.

პორტრეტის მე-2 გვ. მიწერილია: „ბიოგრაფია სულ არ არის ამ წიგნში. ი. გრ.“

გვ. 3. სათაურს ზემოთ არშიაზე: „ეს წერილი გადმობეჭდილია „ქართული მწერლობიდან“ თუ „მნათობი“-დან“.

გვ. 14. ხაზგასმულია მე-3 აბზაცი რომელსაც ეკუთვნის მინაწერი სქოლიოში: „როგორ შეიტანდა, როცა ეს ლექსი გ. ერისთავს ეკუთვნის“ (იხ. „Аргонавт“. 1901, № 17)“.

აქვე არშიაზე: „ა. ხახანაშვილმა შეაცდინა. ტ. IV, გვ. 208–9“.

გვ. გვ. 14–15 შორის ჩადებულია კალენდრის ფურცლის ნახევი. რომელზედაც წერია: „შეცდომები“.

გვ. 41. ლექსში – „ზამბახი“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „შრომანი“ – „სოსანი“ და „ზამბახი“ – „ამბოხი“. არშიაზე: „ასონანსი“.

გვ. 42. ლექსს „ნანა“ მიწერილი აქვს: „ილიას ნანასა ჰგავს“.

გვ. 47. მოხაზულია ლექსი „შიშხილი“ და მიწერილია: „ეს ლექსი ავტორს 16 მარც. შაირით აქვს დაწერილი. აქ რათ არის დატეხილი? იხ. 1893 წ., გვ. 194“.

გვ. 49. სათაურს ზემოთ: „16 მარც. შაირია, რათ დატეხეთ?“

გვ. 53. ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „ყანები“, „ვეთაყვანები“ არშიაზე: გვ. 60“.

გვ. 54. ბოლო სტრიქონში ჩასწორებულია სიტყვა: იქვე მიწერილია: „(რად შესცვალეს?) ეს არის რედაქცია?“

გვ. 58. სიტყვას „ხანდის-ხან“ ეხება შენიშვნა: „ავტორს შეერთებული აქვს: „ხანდისხან“ გვ. 190“.

გვ. 60. ხაზგასმულია რითმები: „ყანები“ და „ვეთაყვანები“. იქვე მიწერილია: „იხ. გვ. 53“.

1530. ერისთავი რ. რჩეული ლექსები და იგავ-არაკები. თბ., 1940.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1941. 15/IV. 1. ბევრი სიტყვები არ არის ახსნილი. 2. შეცდომა: 63, 117, 78. 3. ბაჩანა და რ. ერისთ., გვ. 109.“

გვ. 11. ლექსის ბოლო სტროფი მოხაზულია და აღნიშნული კითხვის ნიშნით. იქვე მინაწერი: „აკლია“.

გვ. 25. ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „ნაჭრები“ – „გამონაჭრების“ და მიწერილია: „ასონანსი“.

გვ. 43. ლექსში „ღვინის ძალა“ ხაზგასმულია სიტყვა: „ხეიბარი“. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დასახიჩრებული, „კალეკა“, (რუს.). ი. გრ.“

გვ. 76. ლექსში „გაზაფხულდა“ ხაზგასმულია: „აჩქარის“. აღნიშნულია კითხვის ნიშნით და მიწერილია: „ბალახი“.

გვ. 78. სქოლიოში მოხაზულია: „ხარიპარია – სადამოს ვარსკვლავია“ და მიწერილია: „დილის ვარსკვლავია (იხ. „ირემი“ (ოვანეს თუმ.)“.

გვ. 117. სქოლიოში ხაზგასმულია: „მღილი-ჩრდილი“ და მიწერილია: „შეცდომა: მღილი – ჭია-ღუა. მატლი. ი. გრ.“

წიგნში დევს ფურცელი, რომელზედაც წერია: „ბულბულის ყეფა. რ. ერისთავი: „ბულბულნი ჰყეფენ უწყალოდ,

ვარდების ბუჩქზე ბნდებიან“. (რ. ერისთავი. ლექსი „მაისი“)“.

1531. ერისთავი რ. სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. – ამონაჭერი „კრებული“-დან. 1872, № 7.

ხელნაკეთ კანზე: „რაფ. ერისთავი. სცენები. ი. გრ.“

წიგნის ბოლოს: „კრებული“, 1872, № 7.“

1532. ერისთავი რ. ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს. ვოდვეილი 2 მოქმ., გადმოკეთებული [თბ., 1900]. – ამონაჭერი. კრ. „ჩანგი“, 1900 წ.

ხელნაკეთ კანზე: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს: ი. გრ.“

ჩადებულია ამონაჭერი (წიგნიდან ან ჟურნალიდან), რომელიც წარმოადგენს შენიშვნას ამ ვოდვეილის შესახებ.

1533–1534. ეს ერთი. პოეტი – მასხარა. [სატირული კუპლეტები]. თბ., 1907.

კანზე: „ვლ. მიქელაძე იგივე პროკოპი მიქელაძე (იხ. „მწყემსი“, 1895. № 12)“

თავფურცელზე მინაწერები: „ეს წიგნი თბილისის არც ერთ ბიბლიოთეკაში არ არის! (იხ. „ქართული წიგნი“ გვ. 308) ი. გრ. – იხ. „მასხარა“ № 1 და „ეკალი“ № 5.“

კანის მე-3 გვ.: „ისარმა“ გამოაცხადა, რომ გამოვიდა „ეს ერთის“ წიგნიო“. – „ეკალში“ № 2, პასუხია ამ ლექსისა გვ. 6.“

მეორე ცალის კანზე: „ღუბლ. ი. გრ. ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ.“

1535. ესებუა გ. იზა. [პოემა]. ტფ., 1937.

1536. ეული-ქურიძე ს. თხზულებანი. (პოეზია). თბ., 1947.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენს საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს სიყვარულის გრძნობით. სანდრო ეული-ქურიძე. 8/1, 48 წ.“

1537. ეული-ქურიძე ს. რჩეული. ლექსები. პოემები (1934–1953). თბ., 1954.
1538. ეული ს. ათი წელი. (პოემა). ლექსები ოქტომბერზე. ტფ., 1927.
1539. ეული ს. არასდროს! [ლექსები. სატირა]. თბ., 1942.
- თავფურცელზე წარწერა: „სიყვარულის“ პოეტს საყვარელ სოსოს, სიყვარულით. ს. ეული. 13. V. 42“.
- წიგნში გაზეთიდან ამონაჭერი ბ. ჟღენტის რეცენზია, არშიაზე მიწერილია: „ლიტ. საქართ.,“ 1942 წ., № 13, 29 მარტი“.
1540. ეული ს. არწივის ბუდიდან. თბ., 1945.
1541. ეული ს. ახალგაზრდა საქართველო. [ლექსები]. ტფ., 1927.
1542. ეული ს. ბარიკადებზე. (ლექსები). ტფ., 1929.
- თავფურცელზე წარწერა: „პოეტს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 28/IX 29.“
- 1543–1545. [ეული ს.] გადარეული. გადარეული საქართველოში. [სატირა]. ტფ., 1928.
- თავფურცელზე წარწერა: „ცნობილ ქართველ პოეტს ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. 22/XI-1928 წ.“
- კანზე ფსევდონიმის ქვეშ მიწერილია: „(სანდრო ეული)“.
- მეორე ცალის კანზე: „ს. ეულის წიგნი“.
1546. ეული ს. დიად დღეებზე. პოემა. ტფ., 1930.
- 1547–1548. ეული-ქურიძე ს. ზღვათა სიმფონია. ლექსები. თბ., 1960.
- სუპერზე: „ი. გრ. 1960 წ. 26/XII“.
- წიგნში ჩადებულია მანქანაზე დაბეჭდილი მოსაწვევი ბარათი: „სალამოს შემდეგ გთხოვთ მობრძანდეთ ვახშამზე... კეცხოველის ქ. № 5. ბიბლიოთეკა.“
1549. ეული ს. კომუნა საქართველო. [ლექსები]. თფ., 1929.
- თავფურცელზე: „1929, 25/II.-ი. გრ.“.
- კანზე: „ი. გრ. (ბოლოში რეცენზიებია). ავტორს რაღაც აკლიაო.“
- გაზეთის ამონაჭრები:
1. თ. ლი-ს ხელმოწერით რეცენზია, არშიაზე მიწერილია: „ახ. კომ.“, 1939, 28 მარტი“. 2. მ. ა-ს ხელმოწერით რეცენზია, მიწერილია: „1929. 9 აპრილი“.
- 1550–1551. [ეული ს.] ნიანგი. კუზიანების პოლიტიკა. თბ., 1930.
1552. ეული ს. ლენინ. [ლექსები]. ტფ., 1929.
- თავფურცელზე წარწერა: „ქართველ პოეტს ი. გრიშაშვილს 24/I . ავტორისაგან.“
1553. ეული ს. ლექსები. შრომისა და ბრძოლის ჰანგები. ტფ., 1927.
1554. ეული ს. ლექსები. [თბ.], 1929.
1555. ეული ს. ლექსები. პოემები. [თბ., 1937].
1556. ეული ს. პატარა მოთხრობები. თბ., 1942.
- თავფურცელზე წარწერა: „ჩვენს ძვირფას და საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს პატივისცემით სანდრო ეული. 17/I 43.“
1537. ეული ს. პოემები. ტფ., 1933.
1538. ეული ს. რევოლუციის საყვირი. [ლექსები]. თბ., 1921.
- კანზე: „ი. რ. 1921 წ., 29 სექტ.“
- წიგნის ბოლოს თავისუფალ გვერდზე, მიწერილია გ. გვაზავას ლექსი:

„აღსავსე იყო კაცით და ქალით,

ცირკის რიგები ახლო თუ შორი  
და ასპარესზე წითელის შალით,  
ხარს აჯავრებდა ტორეადორი.

კისერსა ბრაზით გრეხავდა ხარი,  
კუდს გაჭიმავდა, გადახტებოდა  
შეუგნებელი და შუბლმაგარი  
რქებით წითელ შალს ეტაკებოდა.

ეს შედარება როგორ მართალი  
არა მგონია საჭოჭმანები –  
ჩემი ლექსია წითელი შალი,  
და ხარი – ჩემი კრიტიკანები.

გ. გვაზავა.“

1559. ეული ს. რჩეული ლექსები და პოემები. ტ. 1. [თბ.], 1930.

შმუცტიტულზე: „კვლავ „ოქროს ფეხი“, გვ. 115.“

მოხაზულია 2 სტროფი, დაწყებული: „და მოგყვებოდით. როგორც მაყრები...“ და  
მიწერილია: „ბუაჩიძე. მამაშვილი, სანდრო ეული, კ. ლორთქიფანიძე.“

1560–1561. ეული ს. ფოლადის პოეტი. [ლექსები]. თბ., 1934.

1562. ეული ს. ქარხნის ტრიუმფი. [ლექსების მე-2 წიგნი]. თფ., 1923.

თავფურცელზე წარწერა: „ჟურნალ „ილიონს“ ავტორისაგან.“

1563. ეული ს. ჩვენი ქუჩის დღესასწაულზე. (ახალი ლექსები). თბ., 1943.

თავფურცელზე წარწერა: „ჩვენს ძვირფას სოსოს სადროსაგან. 5. X. 43.“

წიგნში დევს მოსაწვევი ბარათი ი. გრ. სახელზე, ბარათზე წერია: 1943 წ. 6  
ოქტომბერს რუსთაველის თეატრში დანიშნულია ს. შანშიაშვილის პიესა „კრწანისის  
გმირები“-ს დახურული წარმოდგენა.

1564–1565. ეშმაკი. ანარქიზმის ბუკინისტი „ლიტერატორ მეწვრიძელე „ზუგდიდელი  
ჯგუფის“ თავი ანუ აკობია პავლე. [თბ., 1908].

კანზე: „სახლში არ გაიცემა – იშვიათია! ი. გრიშაშვილი.“

1566–1572. ეშმაკი. პირველი ღია წერილი სოლომონ ზურგიელიძეს საიქიოს. [თბ.],  
1919.

კანზე: „ი. გრ. 1919. 26/V“. იქვე აღდგენილია გამოცემის ადგილი და წელი: „თბ.,  
1919.“

კანის მე-3 გვ.: „ამ წიგნზე ჩემი პატარა შენიშვნა, იხ. „ლეილა“, 1921 წ., № 2, გვ. 16. ი.  
გრ.“

მეორე ცალის კანზე ბოლოში: „[1919]. ი. გრ.“

1573. ეხვია მ. ნაპერწკლები. (ლექსები). სოხუმი, 1933.

1574. ვ. ნ-ძე. სინიდისის ხმა. (გადმოკეთებული). ქუთაისი, 1911.

1575–1576. [ვადაჭკორია ნ.] ეგვიტიშვილი ნ. თხზულებანი. წ. 1. თბ., 1904.

კანზე ფსევდონიმის ქვეშ: „ნ. ვადაჭკორია“.

გვ. 3. სქოლიოში ხაზგასმულია სიტყვები: „ავტორი ნიკო ეგვიტიშვილი  
(ვადაჭკორია)“.

1577. ვადაჭკორია ნ. ს. სხვადასხვა ლექსები. თბ., 1903.

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვეშ მიწერილია: „ეგვიტიშვილი“.

1578–1582. ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, თბ., 1961.

ტ. 1. ლექსები.

ტ. 2. პოემები.

ტ. 3. მოთხრობები.

ტ. 4. მოთხრობები, დრამატული ნაწარმოებები, თარგმანები.

ტ. 5. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები.

1583–1599. ვაჟა-ფშაველა. [თხზულებანი]. ტ. 1–7. ტფ., 1928–1956.

ტ. 1. ლექსები. 1928.

სუპერზე: „ი. გრ. I. ლექსები. 1. „ფშაველის სიყვარული“, გვ. 12. 2. „ისევ შენ“, გვ. 5.“

ყდის მეორე გვერდზე გაზეთიდან ამონაჭერი რ. გ-ს წერილი „ვაჟა-ფშაველა“, მინაწერით: „კომ.“, 1928 წ., 5 აგვისტო.“

ფორზაცზე: „ი. გრ. 1928 წ. 10/VIII.“

„სამშობლოს არვის წავართმევთ,

ნურც ნურვინ შეგვეცილება

თორემ ისეთ დღეს დავაყრით

მკვდარსაც კი გაეცინება. გვ. 135. ლექსი დაწერილი 1904 წ.“

გვ. გვ. 12–13 ჩანიშნულია ქალაქის ნაჭრით ლექსი „ფშაველის სიყვარული“. მასზე წერია: „ეს ლექსი წავიკითხე ერზეში. 1935.“

გვ. 213. სქოლიოში ხაზგასმულია შენიშვნა: „ეს ლექსი [„ილიას სადამო“] წაკითხულ იქნა ვაჟა-ფშაველას მიერ 1910 წ. ქუთაისში ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ სადამოზე“, მიწერილია: „მეც ვიყავი იქ. ი. გრ.“

მეორე ცალის ყდაზე: „ამ წიგნის ბოლოში ვიღაც ზარმაც მოსწავლეს მიუწერია ლექსი... 1946. 15. V. P. S. სახლში არ გაიცემა!“.

გვ. 355. მიწერილია: „ვაჟა და ზარმაცი მოსწავლეები. ი. გრ. 1946, 15/V“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე უცნობი მოსწავლის მიერ დაწერილი ლექსი: „ჩვენი „სატანჯიო.“

„რატომ დაწერე ვაჟაო

ჩვენ სატანჯავად ლექსები

რად მოგვაცდინე, აბურდე,

სწორად სავალის ეს გზები?

ჩვენ რას გვერჩოდი, საწყლებსა

ვსწავლობთ და არა ვიცით რა,

ბაბო მჭედლიძემ „არაგვი“

„ზეპირად“-აო ეს გვითხრა.

დავჯექით მე და თამარი

„არაგვის“ სასწავლებლადა

ვერ დავისწავლეთ ბოლომდე,

გაგვიხდა საწვალეზლადა.

ხან დაგვამთქნარა და ხან კი

თვალი გვეხუჭა ძილადა,

ცივი წყალი ვსვით მაგრამა

მაინც ვერ გავხდით ფხიზლადა.



რატომ დაწერე ლექსები,  
ვინ გთხოვა, შეგეხვეწაო,  
ხვალ კი ნაღდ ცუდებს მივიღებთ  
თამარიცა და მეცაო.

არაგვი ალბათ ისევ სჩქეფს  
და გულს უხარებს პოეტებს,  
ღმერთო, გვაცდინე კლასიკებს  
შექსპირს, აკაკის, გოეტეს.

მაშ ვინც იხილავს არაგვსა  
ლექსს გამოუთქვამს ხელადა  
და კვლავ გახდება მოსწავლის  
ის თავის სატეხელადა.  
არაგვო არ დამავიწყდები ხვალამდე?“

იქვე მინაწერი: „შემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება.“

ტ. 2. პოემები. 1930.

ტ. 3. პოემები. 1930.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1930. 23/XII“.

გვ. 13. პოემის ბოლოს მიწერილია: „სოფ. ოთარშენი. 1884 თებერვალი.“ იქვე: „[1884].  
იხ. პ. უმიკაშვილის ნაქონი წიგნი“.

წიგნის ბოლოს თანდართულ ვარიანტებში, შენიშვნებში, ბიბლიოგრაფიაში ი. გრ.  
მიერ შეტანილია შენიშვნები:

გვ. 345. ხაზგასმულია: „1883“ და მიწერილია: „(1884 წ.) მოხუცის ნათქვამი“.

გვ. 346. ხაზგასმულია: „B“-პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში, 1886 წ., № 89“,  
მიწერილია: „მეორედ ცალკე წიგნად 1889 წ.“

გვ. 348. მოხაზულია: „მოხევე გუდამაყრელი: „შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით...“  
და მიწერილია: „იხ. დ. კარიჭაშვილის წიგნი?“

გვ. 363. ხაზგასმულია: „არა ვარ შენი მტერიო...“ მიწერილია: „იხ. ჩემს წიგნთსაცავში  
დაცული ვაჟას „თხზულებანი“.

გვ. 456. ხაზგასმულია: „დაუძახა – ცეცხლზე წყალი შედგი და ძაღლების სალაფავი  
გააკეთეო“, მიწერილია: „სალაფავი“ ეს მოყვანილი აქვს აკაკის „ვორონცოვში“.

გვ. 457. ხაზგასმულია: „ნუ დამიმალავ, სწორედა თქვი, საქართველოს  
თავისუფლებას არ გულისხმობ „ბახტრიონში“... მიწერილია: „ერთხელ მეც  
მეუბნებოდნენ ამასვე: „შენ გაირყვნები“ (ჩემს ლექსზე)“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1932. 21/IV. აპრილი“. იქვე: „მე-419, 437“. მითითებულ  
გვერდებზე ხაზგასმულია ადგილები, სადაც ი. გრ. არის მოხსენებული და არშიაზე: „ი.  
გრ.“

შმუცტიტულზე: „კალა, სპილენძი, რვალია“, გვ. 8. რისთვის, გვ. 176. უნჯი, (185)“.

– მითითებულ გვერდებზე ადგილები ხაზგასმულია.

ფორზაცზე: „419, 437“.

წიგნის ბოლოს სუპერზე მიწერილია: „აინოინი; ბუერა (საბა); ბაიყუმი (რაფ.);  
დარანი; პურიმ. 464.“

- გვ. 179. ხაზგასმულია: „ვიჩინის“, მიწერილია: „[და შამხის]?“.
- გვ. 186. ხაზგასმულია: „წინწელმა“, მიწერილია: „[წი]“, ხაზგასმულია: „ტარასტა“, მიწერილია: „Староста?!“
- გვ. 187. ხაზგასმულია: „ვკნესია“, მიწერილია: „ვკვნესია“ (კორექ.).“
- გვ. 189. მოხაზულია 6 სტრ., დაწყებული: „ხეებზე ახდომა მიყვარს...“ მიწერილია: „ეს ექვსი სტრიქონი არ დაიბეჭდა „სახალხოში“.
- გვ. 191. მოხაზულია: „თუთა მოვჭერი მხოლოდა...“ მიწერილია: „ესაც არ არის „სახალხოში.“
- გვ. 194. ხაზგასმულია: „ვერც თავის მოკვლა გავბედე, როგორც უქნიათ ზოგებსა“, მიწერილია: „ივ. მაჩაბელი ხომ არა ჰქონდა მხედვ.“
- გვ. 286. ხაზგასმულია: „მონიაზესა“, მიწერილია: „მონატრულსა მონიტერესას“.
- გვ. 401. მოხაზულია: „ცალკე დაიბეჭდა იმავე (1905) წელს“; შენიშვნა ეხება „ნახევარწილას“, მიწერილია: „არ დაბეჭდილა, ამონაბეჭდი იქნება“.
- გვ. 436. მიწერილია: „ეს პოემა „ჰაოს და ქართლოს“ უნდა დაბეჭდილიყო ცალკე წიგნად 1899 წ. (იხ. განცხადება „მოწაფის ჰიგიენას“ გარეკანზე, გამოც. ი. იმედაშვილის)“.
- გვ. 449. ხაზგასმულია: „ალაფი-მეფევილე“, მიწერილია: „ხორბლეულით მოვაჭრე.“
- გვ. 451. ხაზგასმულია: „არამი“, მიწერილია: „უკანონო, აქედან არამხანა, უკანონო სახლი“. ხაზგასმულია: „ბაზაზ-ხანა“, მიწერილია: „დუქანი არ არის, დუქნების რიგი.“ ხაზგასმულია: „დიდი ნიჩაფი რკინისა, პურზე ნაცრის დასაყრელი.“ შენიშვნაში მიწერილია: „აგრეთვე ვარცლიდან ცომის ასაფხევი (იხ. ასიკო ცაგარლის „რაც გინახ.“). ხაზგასმულია: „ბაიყუში – სულელო, გაუგებარი“, მიწერილია: „ბაიყუში ფრინველსაც ჰქვიან, კაცზე იტყვიან მარტოხელაზე ბაიყუშივით სცხოვრობსო“, და კიდევ მიწერილია: „უბადრუკი...“
- გვ. 452. მოხაზულია: „ბილანი – გულუბრყვილო“, მიწერილია: „გამგები“.
- გვ. 453. ხაზგასმულია: „ბუერა-ბორხვენა, მცენარეა ფართე ფოთლიანი“, მიწერილია: „ბუერი – მონათოვი ნისლი (საბა)“.
- გვ. 455. ხაზგასმულია: „სიძე-პატარძალი“, მიწერილია: „ნეფე-პატარძალი“. მოხაზულია: „დარანი“, მიწერილია: „თევზის ბინა ქვის ქვეშ.“
- გვ. 456. ხაზგასმულია: „დაროშვა“ და მიწერილია: „წისქვილი რომ ფქვავს აქეთ... [?]“ „დაფ-დაფის“ გასწვრივ მიწერილია: „ბარაბან“.
- გვ. 457. მიწერილია: „ელიოზ-კაცის სახელი 14.“
- გვ. 461. ხაზგასმულია: „მონიაზე“. მიწერილია: „ნიაზი, ინტერესი, მონატრულსა, მონიტერესესა“.
- გვ. 463. „ნაოხარი“-ს გასწვრივ მიწერილია: „გაპარტახებული.“
- გვ. 464. მიწერილია: „რვალი, გვ. 8.“
- გვ. 466. ხაზგასმულია: „სინა“, მიწერილია: „შეცდომაა ტექსტში.“
- გვ. 467. მიწერილია: „უნჯი, 185, ფასობენ – გააფასა, 195“.
- გვ. 469. ხაზგასმულია: „ღველფი“, მიწერილია: „ცეცხლი.“
- გვ. 472. „ცვილი“-ს გასწვრივ მიწერილია „Воск.“
- გვ. 474. „ხირიმი“-ს გასწვრივ: „(ყირიმისა)“.
- გვ. 475. ხაზგასმულია: „ჯინა-მოწნული საწოლი“, მიწერილია: „ნასილკა“.

გვ. 477. შინაარსში პოემის – „ჰაოს და ქართლოს“ – გასწვრივ მიწერილია „(იხ. შენიშვნები).“

ტ. 5. მოთხრობები და პიესები. [1936].

ფორზაცზე: „ი. გრ. 1936. 27/III“.

სუპერზე: „5. „მოთხრობები და პიესები“ 1936.“

გვ. 505. ხაზგასმულია: „დავავალო „მსმენელთა ყურნი“, მიწერილია: „შოთადან „ყურნიცა დავალებ...?“

გვ. 521. ხაზგასმულია: „ავტოგრაფები არ შენახულა“, მიწერილია: „იხ. 523.“

გვ. 525. ხაზგასმულია: „მოთხრობა დაწერილია 1883 წელს...“ მიწერილია: „პეტერბურგში.“

წიგნში ჩადებულია გაზეთის ამონაჭერი: ქ. რაჭველიშვილის რეცენზია წინამდებარე ტომზე, მინაწერთ: „კომუნისტი“, 1936 წ., № 150. 30 ივნისი.“

ტ. 6. მოთხრობები. 1939.

სუპერზე: „[მოთხრობები]. ტ. VI. 1939. ი. გრ.“

ფორზაცზე: „ი. გრ. 1939, 24/II. 1. შენისმა ნამგლიის ყანა მქნა, რომ ფხაზე შაგეჭრებოდი, 417 – აქ შეცდომაა. 2. ვაჟას აქ ბევრი რუსული სიტყვები აქვს (ეს ცალკე წერილის საგანია). 555.“

გვ. 113. ხაზგასმულია: „ყმა უმღერალი არ ვარგა...“ მოხაზულია სტროფი მთლიანად და მიწერილი: „(ხალხური. იხ. დ. ხიზანიშვილის წიგნი)“.

გვ. 550. მოთხრობა „სათაგურის“ გასწვრივ მიწერილია: „ცალკეც გამოვიდა 1911 წ.“

გვ. 551. ხაზგასმულია შენიშვნა, რომელიც ეხება ნაწარმოებს – „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე?“ მიწერილია: „გამოვიდა ცალკე წიგნად 1911 წ.“

გვ. 552. ხაზგასმულია შენიშვნა, რომელიც ეხება ნაწარმოებს „ბუნების წიაღზე“, მიწერილია: „(ცალკე წიგნად გამოვიდა! 1911 წ.)“

გვ. 554. მოხაზულია შენიშვნა მთლიანად: „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ და მიწერილია: „სად დაიბეჭდა პირველად? აქ რომელი ვარიანტ.“

მეორე ცალის კანი და შმუცტიტული გაკეთებულია ი. გრ. მიერ, მისივე წარწერებით.

კანზე: „ვაჟა-ფშაველა. მოთხრობები. ტომი VI.“

ყუაზე: „ვაჟა-ფშაველა (მოთხრობ. VI)“.

კანის მე-4 გვ. ფანქრით: „წოწლოკინა, გვ. 340; ქალაქს ჩავალ, ქალ. თბილისს ჩავალ, გვ. 161; ნიაზი (ინტერესი – „ენიაზებოდათ“), გვ. 162; ქიშმირი, 166; თავში სილა ჩაარტყა, 166; გერში თუ გეში, 262; ხევსურს სახლში არ უშვებდნენ: ეს ხანჯალი დამიკიდეო, 270“. მითითებულ გვერდებზე ადგილები ხაზგასმულია.

ტ. 7. ეთნოგრაფია. ფოლკლორი. კრიტიკა. პუბლიცისტიკა. კორესპონდენციები. 1956.

ფორზაცზე: „ი. გრ. გამოვიდა 1956 წ., 20 ივნისს“.

ყდის მეორე გვერდზე: „ჩემთვის: ღალღას წერილი ქუთაისის ილიას სადამოს შესახებ, მეც ვიღებდი მონაწილეობას – გვ. 306“. იქვე: „1. ჯალაბი – 314. 2. ვაჟას ნამდვილი ბიოგრაფია – 337.“

გვ. 306. ვაჟა-ფშაველას „მცირე შენიშვნა“-ს, იქ სადაც ავტორი ამბობს ილიას სადამოზე თავის და „სხვების“ მონაწილეობის შესახებ, მიწერილი აქვს: „[გრიშაშვილი]. მხოლოდ ორმა წავიკითხეთ ლექსები: ვაჟამ და მე. ი. გრ.“.

აქვე ჩადებულია ორი ფურცელი მინაწერებით: „1. 1910 წელს მე და ვაჟა მიგვიწვიეს ქუთაისში ილიას სალამოზე. აქ მე წავიკითხე ლექსი. ასე თავებოდა „ოლონდ მგოსანს მეორედ ნუ მოჰკლავთო“, გრ. უროტაძემ (დალღამ) დასწერა რეცენზია. იხ. „საქმე“, № 84, 1910 წ. ამ წერილს უპასუხა ვაჟამ (იხ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ., № 161). შდრ. ვაჟა ტ. VII გვ. 306“. ამ ფურცელზე სიტყვა „ოლონდ“ ხაზგადასმულია. „2. ვაჟა ამაყი იყო და მედიდური, როგორც ასეთი არ უნდა ყოფილიყო ახალგაზრდების მიმართ, რადგან იგი გულწრფელად გვიყვარდა. მას არც ერთი ახალგაზრდა პოეტი არ წაუხალისებია და ყოველთვის ზევიდან დაჰყურებდა. არამც თუ ახალგაზრდა, თვით აკაკისადმი პასუხშიც ნაწყენობა ეტყობოდა. ბევრი შეიძლება ეხლა „სხვა“ ნიჭიერი ახალგაზრდა გამოვიდა მწერლობის გზაზე, მაგრამ მაშინ „სხვა“ არ ვიყავი. მით უმეტეს რომ ეს კამათი ღალღასთან სწორედ ჩემი ლექსის გამო მოხდა“.

გვ. 308. უკანასკნელი აზრები მოხაზულია და ტექსტის ბოლოს მიწერილია: „სახალხო გაზეთი“. 1910 წ., № 161“.

გვ. 314. ნ. მარის მიერ ნათქვამ სიტყვას – „челечи“, მიწერილი აქვს: „ჯალაბი“.

ბოლო გვერდზე გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა ამ წიგნის გამოცემის გამო მინაწერით: „საბჭოთა აქარა“, 1956 წ. № 142, 15 ივლისი“.

1600–1604. ვაჟა-ფშაველა [თხზულებანი]. აღ. აბაშელის და აკაკი შანიძის რედ. ტ. 1–2. თბ., 1946–1950.

ტ. 1. ლექსები. 1946.

ყდაზე: „ჩემი შენიშვნებით. მეორე გამოც. 1946 წ.“

ფორზაცზე: „ი. გრ. 1946, 15/II.“

წიგნზე დართულ ლექსიკონში ხაზგასმული და შესწორებულია ზოგიერთი სიტყვა.

ყდის მესამე გვერდზე მიწერილია: „აკლია ლექსიკონში: (388), იჭაკა (გვ. 126–5), 380–(?)“. იქვე საგაზეთო ცნობა ამ წიგნის გამოცემის შესახებ, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1947, № 7, 19 თებერ.“

ტ. 2. ლექსები. 1950.

ფორზაცზე: „ი. გრ. გამოვიდა 1950. 20/X.“ იქვე: „გვ. 387, ლექსი წაიკითხ. აგვისტ. გვ. 419, შეცდომა: 1. მაღალი, 443 (202). მაღალი – სათუთი – გვ. 313. 2. გვ. 119, (462) ხვედა.“

გვ. 19. ხაზგასმულია: „დაგავსო“, მიწერილია: „დავსება – (იმერულია)“. ხაზგასმულია: „ურო-ხვედა“ და მიწერილია: „ხველა სულ სხვაა“.

გვ. 142. ლექსს „სახსოვარი“ მიწერილი აქვს: „ნატოს“.

გვ. 273. ხაზგასმულია: „რუსთველის ქების ჩვეულო, მეც ქებას გაგიბედაო“, მიწერილია: „ვხედაო“.

გვ. 281. ლექსს „ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ“ აქვს მინაწერი: „[1913]. ი. გრ.“

გვ. 287. მოხაზულია ლექსი „არად მიღირს“ და მიწერილია: „მუხამბაზურ ყაიდაზე. ნატო – მოსიმღერეც იყო“.

გვ. 291. ხაზგასმულია: „ახზედა“, მიწერილია: „ახი.“

გვ. 292. ხაზგასმულია: „ჭკვაზედა“, მიწერილია: „სხვაზედა“.

გვ. 313. ხაზგასმულია: „კირთები“, მიწერილია: „კისრები? (გვ. 417)“.

გვ. 317. ლექსს „სამეფო სიყვარულისა“ მიწერილი აქვს არშიაზე: „10 მარცვლიანი ლექსი არ ეხერხება ავტორს“.

გვ. 319. მიწერილია: „გვ. 361. ი. გრ. „მოამბე“ დაარსდა 1895, შეჩერდა – 1904–1905“.

- გვ. 324. სქოლიოში ხაზგასმულია: „კუნკუხო-გავა“, მიწერილია: „კუკუხო“.
- გვ. 355. ხაზგასმულია: „როსა“, მიწერილია: „ოდეს.“
- გვ. 361. ხაზგასმულია: „სამეფო სიყვარულისა“... გაგზავნილია „მოამბის“ №№-სთვის“, მიწერილია: „მოამბე შეჩერდა 1905 წ.“
- გვ. 369. ხაზგასმულია: „დამუნჯებულის ენითა“, გაზ. „მეგობარი“, № 58“, მიწერილია: „ამ ლექსს მიწერილი აქვს: „ვაჟა-ფშაველა“, ჟ. „თეატრში“, 1885 წ.“
- აქვე ჩადებულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ვაჟა. სიმღერა დამუნჯებულის ენითა“ ვაჟა-ფშ. „მეგობარი“, 1906, 3 დევ.“
- გვ. 376. ლექსის „აკაკის საიუბილეოდ“ – შენიშვნაში ხაზგასმულია სტრიქონები, მოხაზულია: „1909“, მიწერილია: „აკაკის იუბილეზე?“
- გვ. 376–77 შენიშვნების: 62, 63, 65 გასწვრივ მიწერილია: „ვ. გუნია“.
- გვ. 378. ხაზგასმულია: „ღეში ალაღოთ კვებითა“, მოხაზულია ქვევით 4 სტრ., დაწყებული: „მაშინ რითმაც უფრო სწორი გამოვა...“ და მიწერილია: „სწორეა“.
- გვ. 385. ხაზგასმულია: „დროება“ და მიწერილია: „რომელი წლის „დროება“? 1910 წ.“
- გვ. 287. ხაზგასმულია: „ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ საღამოზე“ და მიწერილია: „მეც ვიყავი მაგრამ არა XI თვეში, არამედ IX“.
- გვ. 397. ხაზგასმულია: „წიწამურას გამჭვირვალე ნისლს ეძახიანო“, მიწერილია: „იხ. „ლიტ. და ხელ.“, 1950 წ., № 46, 12 ნომბ., გვ. 4.“
- გვ. 407. „ნიკო ლომოურის ხსოვნას“ – შენიშვნაში ხაზგასმულია: „(გვ. 274)“ – „ვარიანტი“, მიწერილია: „ეს ვარიანტი არ არის; დამოუკიდებელი ლექსია. ი. გრ.“
- გვ. 415. „აქა ამბავი დისწულ-დედიძმათი“ – შენიშვნაში ხაზგასმულია 3 სტრ. და მიწერილია: „რატომ?“ ტექსტში ჩართულ სალექსო სტროფში ხაზგასმულია: „მედიდურები“, მიწერილია: „მედიდურდები.“
- გვ. 419. ხაზგასმულია: „პატარა ბიძინა მერკვილაძეს...“. მიწერილია: „ეს ლექსი გამოქვეყნდა ვაჟას სიკვდილის შემდეგ და დაიბეჭდა „საქართველოს“ დამატებაში, 1916 წ., № 5. ი. გრ.“
- გვ. 425. მიწერილია: „ვაჟა ფოთში მასწავლებელმა ალექსიშვილმა წაიყვანა“.
- ლექსიკონის წინ თავისუფალ ფურცელზე მიწერილია: „ამ ლექსიკონში არ არის ახსნილი ის სიტყვები, რომელიც „შენიშვნებში“ ვარიანტის სახელით არის მოყვანილი (მაგ. „ალაჩოლი“ 410 და სხვ.) ი. გრ.“
- ლექსიკონში ი. გრ. მიერ შეტანილია მთელი რიგი შენიშვნები: ხაზგასმულია და მოხაზული სიტყვები, მრავლადაა მინაწერები: გვ. გვ.: 430, 433–38, 440–43, 445–52...“
- წიგნის ბოლოს ფორზაცზე მიწერილია: „ვაჟა-ფშაველა, გვ. 61 და 369. ახი, 413 და ლექსი ალაჩოლივით, გვ. 410“.
- წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი ვაჟა-ფშაველას ლექსები, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1950, № 33“. და ქალაქის ნაჭრები მინაწერებით:
- „1. ვაჟა-ფშაველა. ბიუროკრატის ჩვილი („ივერია“, 1905. № 139). 2. ვაჟას პროზა („ივ.“, 1905 წ., № 167). 3. ვაჟას პროზა („ივერია“, 1905 წ., № 172). 4. ლიტ. მუზეუმის ხელთ., № 34–4., ტ. II, გვ. 417. ვაჟას ლექსი იალბუზი თავი IV. „ნისლები“, კირთები, გვ. 313“. ამავე ფურცლის მე-2 გვ. უცნობი ხელით:

„მთებმა რაცა სთქვის კიდევ ჰქმნეს

იალბუზს დასცეს ნისლები

თავად კი შეიმსუბუქეს

ზურგი და კისრები კირთხები“. მიწერილია: „ზურგს ნაკიდები კირთხები.“

წიგნში ჩადებულია ვაჟა-ფშაველას ლექსი „სიმღერა“ ამოჭრილი გაზეთიდან, მინაწერთ: „ცნ. ფ.“ დამატება, 1904.“

1602. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. ტფ., 1899.

წიგნი ჩასმულია საგანგებო ყდაში. ყუაზე ამოტვიფრულია: „თხზულებანი ვ. ფშაველისა. – გრიშაშვილი.“

ყდის მეორე გვერდზე: „ავტორის ხელით ნასწორები (მივეცი ს. აბაშელს გასასწორებლად). გვ. 137, 281, 283, 284, 286, 287, 312, 313. ი. გრ.“ იქვე: „ღუალიზმი: 1. ბედილბალი, გვ. 497, 2. (ჰეინედან), იხ. „ივერია“, 1893, № 50.“

ფორზაცზე: „ვაჟას ნათარგმანები: 1. ორლენელი ქალი – შილერისა (დაიბეჭდა: გაზ. „დროება“. 1909 წ., № 101. ნაწყვეტი). 2. დემონი ანუ ქაჯი – ლერმონტოვისა (დაიბეჭდა ვ. გუნისას „საქ. კალენდარში“, 1896 წ., გვ. 13 სალიტ. განყ.). 3. ყორანი-ედგარ პოესი – (იხ. გაზ. „მეგობარი“, 1906 წ., № 69). 4. ეროსი და ფსიქეია-ჟულავსკი (ხელნაწერად დარჩა). იხ. ამის შესახებ მხოლოდ ქრონიკა, გაზ. „მზე“-ში, (ს. ფირცხალავას რედ., 1908 წ., № 1. არის ხელთნაწ.). 5. ქალის მთა (რუსულით [ავტორი? ი. გრ.], იხ. „ცრემლები“ გვ. 31. 6. მზითვის ლანგარი-უიდისა („ნაკადული“, 1907. (მოზარდ.), № III.) IV, V, VI, VII. 7. საქართველოს ოცნება-კრემლიოვისა (იხ. „დროება“, 1909, № 91, 26 აპრ.). 8. ფეოდალის აღზრდა (იხ. 1880 წ. „ივერია“, № 4). ი. გრ. 1930. 2/XII“.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ვაჟას ავტობიოგრაფიული ცნობები 1. [იხ. „სახალხო ფურც.“ (დამატება), 1915 წ. № 61]“.

ამ მინაწერის ქვეშ დაკრულია ქაღალდის ნაჭერი, რომელზედაც წერია: „ს. აბაშელს ვაჟას ლექსები [უცნობ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული]: 1. „სიმღერა“ („ზღვა დამდგარიყო ცრემლისა“) – დაბეჭდილია: აღმანახ. „ზურნა“-ში, 1912 წ. № 1 (მ. ლელაშვილის რედ.). 2. „ქართლს“ – იხ. გაზ. „ქართლი“, 1912 წ., № 67. 3. „საკმაო ხანი ვიცოცხლე“. 4. „ჰეი ტკბილო ხმებო“ იხ. „სავაჭრო გაზეთი“, 1908 წ., № 2, 3. ი. გრ.“

წიგნში ჩადებულია ქაღალდის ნაჭრები მინაწერებით: „1. არეულია გვ. 231 (ვაჟას თხზ., 1899, გვ. 231). 2. ვაჟას აქვს: „მე შენი ტრფობით ვერ ვძლები, შენ ჩემი სიყვარულითა“. 3. ეს ვაჟასაც აქვს. მე იმის სიყვარულით ვერ ვძლებოდიო და ის ჩემი მტრობითაო (ანდაზა).– იხ. Сн. матер. учебн. округа, 1882 გვ. 145, (მეორე განყ.)“.

თავფურცელზე: „ლექსიკონისთვის ამოვიწერე: „იხტილათი – 492, ფირი – 492, დოსტოდრივ – 11, აირ-დაირია, აქოთდდა, ახმაურდა. გვ. 14, არეულია რითმა? გვ. 231.“

გვ. 12. არშიაზე: „ვარიანტი დ. კარიჭაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნიდან. ი. გრ.“

ამავე გვერდზე, პოემაში „მოხუცის ნათქვამი“, სტროფის: „აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი...“ გასწვრივ მიწერილია შესწორებული ვარიანტი:

„აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი  
გუდამაყრელნი, მოხევე,  
შენ წინ ვართ, შენი ერთგულნი,

სად არის ქართველთ მოდავე“.

იხ. ს. აბაშელის რედ. გამოც. „ვაჟა“, ტ. III, გვ. 348.“

გვ. 13. ხაზგასმულია ორი სტრიქონი:

„მთელი სიტურფე ქართლისა

იმას ესვენა მხრებზედა“ და მიწერილია: „ეს გახალხურდა შემდეგში“.

გვ. 16. პოემის – „მოხუცის ნათქვამი“ – ბოლოს მიწერილია: „[ს. ოთარშენი, თებერვალი, 1884 წ.]. იხ. წ. კ. ს. წიგნთსაცავი, ბ. 12. 360. ი. გრ.“

გვ. 288. ლექსის – „ღამე მთაში“ – ბოლოს მიწერილია: „ივერია“. 1890 წ., 53.“

გვ. 351. მოთხრობის – „შვლის ნუკრის ნაამბობი“ ბოლოს მიწერილია: „1883 წ. პეტერბურგი“. ეს მინაწერი ხაზგასმულია და მიწერილია: „ეს წარწერა ეკუთვნის ავტორს, პ. უმიკაშვილის ეგზემპლიარზე (იხ. ქ. შ. წ. კ. ბიბლ. ბ. 12. 360). ი. გრ.“

გვ. 377. მოთხრობის „კურდღელი“ – ბოლოს მიწერილია: „1883 წ. პეტერბურგი, (იქვე)“.

1605. ვაჟა-ფშაველა. [თხზულებანი. გ. ქიქოძის შესავ. წერილით]. ტ. 1. ლექსები. ტფ., 1922.

კანზე: „ი. გრ. პირველი გამოცემა.“

თავფურცელზე მინაწერები: „13 სექტ. 1922. აქ თურმე წაწალი. წიწილად არის დაბეჭდილი“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ამ წიგნის რეცენზიები „ბახტრიონი“, № 16, ოქტ. 23. „ტრიბუნა“, № 325, ოქტ. 22. „ბახტრიონი“, № 17, ოქტ. 30. „კომ.“, 1923 წ. აგვისტოს 14“. იქვე: „ვაჟას თარგმანები: 1. „ყორანი“ (ედგარ პო), გაზ. „მეგობარი“, (სოც. ფედრ.), № 69, 1906 წ. 2. „საქართველოს ოცნება“, (კრემლოვისა), გაზ. „დროება“, № 91. 1909 წ. 3. „ორლეანელის ქალი“ (შილერისა), გაზ. „დროება“, № 101, 1909 წ. 4. „ქაჯი“ (ლერმონტოვისა), ვ. გუნიას „საქართ. კალენდარი“, 1891, გვ. 17“.

1606. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები. ალ. აბაშელის შენიშვნებით და ა. შანიძის ლექსიკონით. თბ., 1960.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1960. 5 სექტ.“

1607. ვაჟა-ფშაველა. ერთტომეული. რჩეული. [ალ აბაშელის და ა. შანიძის რედ.]. თბ., 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1954. 2/XI“.

წიგნის ფორზაცზე: „ბოლთა. 81. ლუყურტი, 389, აწიოწა, 337. ხათაბალა – 62“.

გვ. 335. ხაზგასმულია: „იმ ხანებში“ და მიწერილია: „1886 წ.“

გვ. 378. მოხაზულია: „ილიას საღამო“ და მიწერილია: „მეც ვიყავი ამ საღამოზე“.

გვ. 383. ხაზგასმულია: „ჩემი წუთისოფელი“ და მიწერილია: „დაიბეჭდა მგონი „ძველ საქართველოში“.

ლექსიკონში: გვ. 387–389. ხაზგასმულია: „აბასტად“ და მიწერილია: „ანაზდათ“. ხაზგასმულია: „ახალ-უხლები“, მიწერილია: „ახალუხლები“. ხაზგასმულია: „ბალა“, მიწერილია: „ბალა კაცის სახელია, მაგრამ „ხათა-ბალასაც“ ნიშნავს“. ხაზგასმულია: „ბარდანი“, მიწერილია: „დაბარდნა“. ხაზგასმულია: „აწიოწა“, მიწერილია: „აწიოწა – ბავშვთა თამაში“. ხაზგასმულია: „ბურდო-აწეწილი თივის გროვა“, მიწერილია:

„სწორია“. ხაზგასმულია: „გონთით გადვარდა“, მიწერილია: „გონება შეერყა“. ხაზგასმულია: „გულხადარა – ერთი ტომის სახელია ლეკეთში“, მიწერილია: „იხ. ბესიკის ლექსი“. ხაზგასმულია: „დაბდური“, მიწერილია: „დაბდურა“. ხაზგასმულია: „უდავლათო“, მიწერილია: „ლატაკი“. ხაზგასმულია: „დაოსდა“, მიწერილია: „გაიბერა“. სიტყვის: „დოსტოლრივ“ გასწვრივ: „დასტურით“. ხაზგასმულია: „ხინათი სამკაული“, მიწერილია: „დოვლათი – იხ. ბარნ.“. ხაზგასმულია: „თანგირა – თუჯი ქვაბი“, მიწერილია: „დიდი ქვაბი“. ხაზგასმულია: „თოხუმი – თესლი, გვარი, ჩამომავლობა“, მიწერილია: „სწორეა“. ხაზგასმულებია: „ლაქარდიანი“, „ლუგუმი“ მიწერილებია: „ლაქათა“, „ლუყურტი“. ხაზგასმულია: „შირიმის კლდე, წყალი რომ წვეთავს“, მიწერილია: „ადამიანს რომ შარდი შეეკვრება, გამიგონია შირიმი აქვსო. ე. ი. კენჭი“. ლექსიკონში კიდევ მრავალი სიტყვაა ხაზგასმული და ახლად განმარტებული.

1608–1610. ვაჟა-ფშაველა. რჩეული ნაწერები. გ. ქიქოძის რედ. ტექსტი დადგენილია ალ. აბაშელის მიერ. ტფ., 1936.

ფორზაცხე: „რეცენზიები – 1. „კომ. – განათლება“, 1936, №46. (უსაყვედურებს რატომ ლექსიკონი არ არისო და პროზა არ უნდა ყოფილიყო). 2. „მუშა“. 1936, № 148.“

წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი ვ. ს-ს რეცენზია, მინაწერით: „მუშა“, 1936, № 148.“

1611–1613. ვაჟა-ფშაველა. ალუდა ქეთელაური. პოემა. გორი, 1916.

1614. ვაჟა-ფშაველა. ალუდა ქეთელაური. [პოემა ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონით. თბ.], 1929.

კანზე: „ი. გრ. 1929. 2 VI.“

1615. ვაჟა-ფშაველა. ალუდა ქეთელაური. [პოემა]. (ხევისურების ცხოვრებიდან). თბ., 1961.

1616–1618. ვაჟა-ფშაველა. ამოდის, ნათდება! და სხვა მოთხრობები. ტფ., 1898.

1619. ვაჟა-ფშაველა. ასი ლექსი. თბ., 1961.

ფორზაცხე: „ი. გრ. 1961. ბორჯომი. 4 აგვისტო.“

1620. ვაჟა-ფშაველა. აფორიზმები. თბ., 1961.

1621–1622. ვაჟა-ფშაველა. ახუნდი. (ძველი ამბავი). პოემა. ტფ., 1898.

მეორე ცალის კანზე: „დუბ. შევად. ი. გრ.“

1623–1624. ვაჟა-ფშაველა. ბახტრიონი. პოემა. თბ., 1897.

ხელნაკეთ ყუაზე და კანზე: „ი. გრ. პირველი გამოცემა 1897 წ.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „ვუძღვნი ჩვენს ნიჭიერ მგოსან ქალს განდეგილს. ავტორი“, კანზე: „იშვიათია. ი. გრ.“

1625–1630. ვაჟა-ფშაველა. ბახტრიონი. პოემა, გამოც. მე-2. ტფ., 1911.

გვ. V. ქვემო არშიაზე შენიშვნა: „პირველი გამოცემა გამოვიდა 1897 წ.“

მეორე ცალში დევს საკატალოგო ბარათი წარწერით: „ბახტრიონი. ნასწორებია. იხ. „ივ.“ 1892, № 29, 34, 35. თავი XVI. ჰშვენოდა ძმობა ვაჟაკასა.“

1631–1632. ვაჟა-ფშაველა. ბახტრიონი. პოემა. გამოც. მე-3. ტფ., 1920.

1633. ვაჟა-ფშაველა. ბახტრიონი. [პოემა ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონით. თბ.], 1929.

კანზე: „ი. გრ. (ლექსიკონით)“.

1634–1635. ვაჟა-ფშაველა. ბახტრიონი. [პოემა]. ტფ., 1935.



- კანზე: „ჩემი გასწორებული. ჩარა – 16, ჯილავი – 18“.
- გვ. 15. მოხაზულია ნახევარი გვერდი, არშიაზე წერია: „ილიას ჰგავს: „დედა ღვთისაო: ეს ქვეყანა...“
- გვ. 27. ხაზგასმულია: „უსურმაგს“ გასწვრივ წერია: „მუსულმანს?“. სტრიქონშია „მუმბარეზობით“, გვერდზე მიწერილია „ბემურაზობით?“.
- გვ. 28. მოხაზულია: „ნეტავ“, „ხანდახან“. „ნეტარ, გვ. 38“.
- გვ. 41. ხაზგასმულია „სპეროზიას“, გვერდზე წერია: „კლდეა“.
- გვ. 58. ლექსიკონში ხაზგასმულია: „დაზარნიშული“ გასწვრივ წერია: „ზარნიში ოქროს სპარს“.
- გვ. 59. ხაზგასმულია: „ზინათი – სამკაული“, მიწერილია: „სიმდიდრეა, დოვლათია და არა სამკაული“.
- გვ. 60. „კაპუნი (ტუჩების) კანკალი“. გასწვრივ: „წკაპუნი (ტუჩების გაღება და დახურვა და არა კანკალი)“.
- გვ. 69. ხაზგასმულია: „ჭიელი“, არშიაზე: „თუ ჯიელი“.
1636. ვაჟა-ფშაველა. ბახტრიონი. [პოემა ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონით]. თბ., 1940.
1637. ვაჟა-ფშაველა. ბახტრიონი. თბ., 1946.
1638. ვაჟა-ფშაველა. გველის მჭამელი. პოემა. ტფ., 1920.
1639. ვაჟა-ფშაველა. გველის მჭამელი. [პოემა]. ტფ., [1932].
1640. ვაჟა-ფშაველა. გველის მჭამელი. – სტუმარ მასპინძელი. – ალუდა ქეთელაური. [პოემები]. თბ., 1961.
- 1641–1643. ვაჟა-ფშაველა. გოგოთურ და აფშინა. [პოემა]. (ხევსურების ცხოვრებიდან). გორი, 1916.
- 1644–1645. ვაჟა-ფშაველა. გოგოთურ და აფშინა. [პოემა ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონით. თბ.], 1929.
- 1646–1648. ვაჟა-ფშაველა. გოგოთურ და აფშინა. [პოემა ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონით]. ტფ., 1935.
1949. ვაჟა-ფშაველა. ეთერი. [პოემა, ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონით. თბ.], 1929.
- კანზე: „ი. გრ. (ლექსიკონით)“.
- 1650–1655. ვაჟა-ფშაველა. [ლექსები]. თბ., 1915. – სათაური კანზე: „უკვდავ ვაჟას ქართველ სტუდენტებისაგან“.
- მესამე ცალის თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელით: „თეოფილე ნიქაბაძე. 1915. წ. 30 ივლისი“.
1656. ვაჟა-ფშაველა. ლექსები, პოემები, მოთხრობები. თბ., 1959.
1657. ვაჟა-ფშაველა. მოკვეთილი. დრამა 5 მოქმ. ამონაჭერი: „მომბე“, 1894, № 4.
- ხელნაკეთ კანზე: „ვაჟა-ფშაველა. მოკვეთილი. დრამა 5 მოქმ. „მომბე“, 1894 წ., № 4. ი. გრ.“
- 1658–1660. ვაჟა-ფშაველა. მოკვეთილი. დრამა 5 მოქმ. (ფშაველების ცხოვრებიდან). თბ., 1948.
1661. ვაჟა-ფშაველა. (ლ. რაზიკაშვილი). მოთხრობანი. ტფ., 1889.
- თავფურცელზე: „შესწორება იხ. 16 და 35. ი. გრ.“

გვ. 16. პოემა „მოხუცის ნათქვამი“. ტექსტის ბოლოს: „1884 წ. ს. ოთარშენი თებერვალი – საკუთარის ხელით ნაწერი ჩემის თხოვნით ლუკა რაზიკაშვილისგან“. „ეს სიტყვები მიწერილია პ. უმიკაშვილის ეგზემპლიარზე, რომელიც ინახება საქ. უნივერსიტეტის წიგნთსაცავში. ბ. 12“. 360. – ი. გრ.“

იქვე დევს თხელი ქაღალდის ნაჭერი, რომლითაც გადაღებულია ვაჟა-ფშაველას ავტოგრაფის ასლი. მასზე წერია: „1884 წ. ს. ოთარშენი თებერვალი. ასლი“.

გვ. 35. მოთხრობის – „შვლის ნუკრის ნაამბობი“ ბოლოს: „1883 წ. პეტერბურდი. – I. ეს თარიღი მინაწერი ავტორისაა. იხ. წ. კ. საზ. წიგნთსაც. პ. უმიკაშვილის წიგნი“.

გვ. 47. მოთხრობის „კურდღელი“ ბოლოს მიწერილია: „1883. პეტერბურდი“.

1662. ვაჟა-ფშაველა. ნახევარი წიწილა. (ხალხური ზღაპარი). – ამონაჭერი: „ივერიის ბიბ-კა“. 1905 წ., № 6.

1663–1668. ვაჟა-ფშაველა. ნახევარ-წიწილა. [პოემა]. ტფ., [1932].

თავფურცელსა და კანზე სათაურის შემდეგ მინაწერი: „ალი არსენიშვილის წინათქმით“.

გვ. 3. ხაზგასმულია: „უკანასკნელი ჩამოსვლის დროს ავად გახდა“ და მიწერილია არშიაზე: „ავად თავის სოფელში გახდა.“

1665–1666. ვაჟა-ფშაველა. რჩეული ლექსები. თბ., 1959.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ სოსოს დაბადების 70 წლის თავთან თიანეთელ ევა ზატუაშვილისაგან. 6 ოქტომბერი, 1959 წელი“.

1667. ვაჟა-ფშაველა. რჩეული ლექსები და პოემები. თბ., 1938.

1668. ვაჟა-ფშაველა, რჩეული მოთხრობები. თბ., 1948.

1669. ვაჟა-ფშაველა. ღილა და კვირისა. [პოემა]. ტფ., [1932].

1670–1671. ვაჟა-ფშაველა. შალვას ნანახი ხატი. ამბავი. – მოხუცის ნათქვამი. პოემა. ტფ., 1896.

1672–1675. ვაჟა-ფშაველა. ცრემლები. [ლექსები]. ტფ., 1909.

კანზე: „ქალის მთა“, 31. იქვე აღდგენილია გამოცემის წელი: „1909 წ.“

თავფურცელზე დაკრულია საკატალოგო ბარათი, რომელზედაც წერია: „ვაჟას „ცრემლებში“ 46 ახალი ლექსი დაიბეჭდა პირველად. ვაჟას „ცრემლები“ გამოვიდა 1909 წ. 20 თებერვალს. იხ. „ფასკუნჯი“, 1909, № 9“.

გვ. 31. სათაურის „ქალის მთა“-ს ქვევით ხაზგასმულია სიტყვა „რუსულით“ და მიწერილია: „ავტორი? ი. გრ.“

მეორე ცალის ფორზაცზე: „II ტ. ი. გრ. 1943 წ., 8/III“.

კანზე: „ეს წიგნი შევიძინე ბუკინისტებში (იხ. ბოლო) ხაზგასმული ადგილები ეკუთვნის იაკობ ფანცხავას. ი. გრ.“

წიგნში მრავალი ადგილი ხაზგასმულია, მოხაზულია, მიწერილია კითხვის ნიშნები და შენიშვნები ი. ფანცხავას ხელით.

მესამე ცალის თავფურცელზე ადრინდელი მფლობელის ხელწერა: „იასამანი. 09. VII-2.“

1676. ვაჟა-ფშაველა. ძალღიკა ხიმიკაური. [პოემა]. ტფ., [1932].

1677. ვაჟა-ფშაველა. ხის ბეჭი. პოემა [თბ.], 1930.

1678–1679. ვაკელი ი. გიორგი სააკაძე. ტრაგედია 4 მოქმ. თბ., 1957.

1680. ვაკელი ი. ევროპა [პოემა]. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1926. 10/III“.

1681. ვაკელი ი. თამარ მეფე. დრამა 5 მოქმ. – ამონაჭერი: „მნათობი“, 1948, № 5.

1682–1684. ვაკელი ი. ლექსები [თბ.], 1929.

კანზე: „მაზა. გვ. 162“.

გვ. 44. ლექსში „ხარატი“ ხაზგასმულია: „[სტიროდა ქარი] საზანდარივით“ და არშიაზე: „ტირილი შეუძლიან ჭიანურს“.

1685. ვაკელი ი. ლექსები. ტფ., 1933.

ფორზაცზე: „საიათნოვა 146“.

1686. ვაკელი ი. ლექსები. თბ., 1940.

1687. ვაკელი ი. მეწისქვილე. პოემა. [თბ., 1926].

1688. ვაკელი ი. რვალი. დრამა 4 მოქმ. და 7 სურ. თბ., 1953.

1689. ვაკელი ი. შამილი. ტრაგედია 4 მოქმ. ამონაჭერი: „მნათობი“, 1940. № 9.

გვ. 73. სათაურის წინ: „მნათობი“, 1940, № 9. აკლია.

1690–1691. ვაკელი ი. შარავანდედი. ლექსები და პოემები. წ. 1. ტფ., 1923.

კანზე: „ი. გრ. 20/I X – 23 წ.“

თავფურცელზე ავტორის ფსევდონიმის ქვეშ: „ი. მეგრელიძე“.

1692. ვაკელი ი. შირაქიანი. [ტფ., 1934].

1693. ვაკელი ი. შური. დრამა 4 მოქმ., თბ., 1956.

1694. ვარდოშვილი ხ. რჩეული [ლექსები]. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილს. გვ. 20, გვ. 129. ი. გრ.“

1695. ვარდოშვილი ხ. ლექსები. 1918–23. ტფ., 1924.

ფორზაცზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს ძვირფასს პოეტს წრფელს და ამაყს. ხარიტონ ვარდოშვილი. 1 ივლისი 1924 წ.“

გვ. 10, 15. ლექსში „სათხოვარი სულისადმი“ ხაზგასმულია სიტყვა: „მოგიპარავენ“.

არშიაზე: „გაგიტაცებენ?“ ამავე ლექსში ხაზგასმულია: „ვიქნებით მარად შეუცნობელი“.

არშიაზე: „ჩემი იხ. II ტ. 1915 წლის ლექსში: „ვინც რა უნდა სთქვას!“

გვ. 25. ლექსში: „შავი ჰაერი“ ხაზგასმულია რითმები: „შემოესია“, – „და პოეზია“.

არშიაზე: „ჩემი იხ. „ზომლეთელს“.

გვ. 30. ლექსში „ლანდი ალიდან“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „მისანი“ – „ოქროისანი“. არშიაზე: „ჩემი იხ. „ავლაბარი“.

გვ. 37. ლექსს „შემლილი წელი“ სათაურთან მიწერილი აქვს: „კარგია“. მე-2 სტროფში ხაზგასმულია სიტყვები: „შხამი“ და „წამოსასხამი“. არშიაზე: „იხ. „გენაცვალე“.

გვ. 41. ლექსის – „სივრცეები“ – სათაურთან მიწერილია: „ობოლი მუშა? (იხ. „კავკასიონი“)“.

გვ. 112. ლექსის – „ღმერთის ცრემლები“ – მე-4 სტროფთან მიწერილია: „კარგია“.

გვ. 122. მოხაზულია ლექსის „ლტოლვა“ პირველი აბზაცი. არშიაზე: „იხ. ჩემი ლექსი: „თიბათვე წაღვერში“.

გვ. 139. ლექსში „გახედვა ცისკენ“ მოხაზულია სტროფები. სათაურს ზემოთ მიწერილია: „არეულია მარცვლები“.

გვ. 141. ლექსის „დაშლილი“ სათაურს ზემოთ არშიაზე: „აკროსტიხი არ იყო საჭირო – ბანალობა!“

გვ. 146. ლექსში „ლოცვა უბედურთათვის“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „საპყრობილე“ და „ხელაპყრობილი“. არშიაზე: „კარგია“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე წერია: „ლექსები თითქოს არ არის დასრულებული და როცა კითხულობ თითქოს გაგრძელებას ითხოვს მკითხველი. ენა მოიკოჭლებდა (არ შეგეშინოს) აქ გაუსწორებია. იხ. „ლომისი“. ავტორი თავისებურია, არავის არა ჰგავს. ნაზი, სევდიანი ბავშვი. რითმების მოთხოვნილება (ჯვარედინი რითმები) ბევრგან არ არის დაცული. მაგრამ რითმათა სიახლე, თუ გინდ არა სწორად გამართული – საკუთარი აქვს, ეს კი იშვიათია ჩვენს პოეტებში. პოეტს ლექსი ესმის, არა როგორც მხოლოდ რითმის მიგნება, არამედ როგორც განცდილი მისტერია. პოეტი არ არის ნაძალადევი. ბევრი ლექსი კი სუსტია და განმეორებული აზრები გდლის – პოეტისათვის წიგნის დაბეჭდვა ორლესული ხმალია. განცდები“. ცოტა ქვემოთ წერია: „კარგია. 1. იისფერი ქალი“.

1696. ვარდოშვილი ხ. ლექსები. თბ., 1943.

თავფურცელზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს. სიყვარულით. ხარიტონ ვარდოშვილი. 20.IV.43.“ იქვე: („იხ. რეცენზია ერ. ასტვაცატუროვისა გაზ. „მებრძოლი“, 1943 წ., № 48). ი. გრ.“

გვ. 50. ლექსში „ტფილისი“ ხაზგასმულია სტრიქონი: „და გრიშაშვილი – მარგალიტი სიტყვის მფლობელი“. იქვე ჩადებულია ფურცელი, რომელზედაც წერია: „ი. გრიშაშვილის მასალებისათვის. ხ. ვარდოშვილის ლექსში ჩემი გვარი. (იხ. მისი ლექსების წიგნი „ლექსები“ ფედერაციის გამოცემა 1943 წ. გვ. 50). ამოიწეროს“.

1697–1698. ვარდოშვილი ხ. ლექსები. თბ., 1947.

კანზე მიწერილია: „დეფექტიური“.

1699–1700. ვარშანიძე მ. მებრძოლის სიმღერები. ლექსები. ბათუმი, 1946.

თავფურცელზე წარწერა: „პოეტ ი. გრიშაშვილს. პ. რურუა. 9/V, 45 წ.“

1701. ვარშანიძე მ. მთის ყვავილები. [ბათუმი], 1955.

1702. ვარშანიძე მ. სიცოცხლის წყარო. [ლექსები]. ბათუმი, 1953.

ფორზაცზე წარწერა: „სახსოვრად პატ. და საყვარელ პოეტს, თავდაბალ ადამიანს, კეთილსინდისიერსა და ადამიანს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან. 8/X -53 წ.“

1703. ვარშანიძე მ. შენს მზეს ვფიცავ! [ლექსები]. ბათუმი, 1957.

კანზე: „ი. გრ. 1958. 28. I.“

1704. ვარშანიძე მ. ჩემი ტამარი. [ლექსები და პოემები]. ბათუმი, 1960.

ფორზაცზე წარწერა: „სახსოვრად საქართველოს უნიჭიერეს საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს დიდი მოკრძალებით ავტორი. 26. XI-60. ქ. თბილისი“.

1705–1706. ვარშანიძე მ. ჩემო სამშობლოვ. ლექსები. ბათუმი, 1950.

ფორზაცზე წარწერა: „სახსოვრად საბჭოთა მკითხველის უსაყვარლეს პოეტს მგრძნობიარე ლირიკოსს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან. 27/VIII-50 წ. ქ. ბათუმი“, აქვე ჩადებულია ბანდეროლის ფურცელი ი. გრიშაშვილის მისამართით.

1707–1708. ვარშანიძე მ. ხიხანის არწივები. პოემა. ბათუმი, 1958.

კანის მე-2 გვერდზე წარწერა: „სახსოვრად პატ. იოსებ გრიშაშვილს ჩვენს საყვარელ პოეტს ავტორისაგან. 19/I-59 წ.“

1709–1710. ვაჩნაძე ი. კაცი ვარ და ქუდი მხურავს. კომედია 3 მოქმ. თბ., 1902.

1711. ვაჩნაძე ი. 1. კაცი ვარ და ქუდი მხურავს. კომედია 3 მოქმ. და 4 სურ. (მე-2 შესწ. და შევს. გამოც.). 2. ცოლ-ქმარი. დრამა 4 მოქმ. ტფ., 1913.

1712–1716. ვახტანგ VI. თხზულებათა კრებული. ლექსები და პოემები. აღ. ბარამიძის რედ. და შენიშვნებით. თბ., 1947. დანართი: ლექსიკონი ი. აბულაძისა.

ფორზაცზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს დიდი პატივისცემით. რედაქტორისაგან. 15. IX. 47“.

მეორე ცალის თავფურცელზე მიწერილია: „ლექსიკონი ილია აბულაძისა“.

გვ. XVII. სქოლიოში შენიშნულია: „აქ უნდა გადმოსულიყო XVIII – ორი კუპლეტი (სხოლიო)“.

გვ. 51. „ქილილა და დამანას“ მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „ქებასა“. არშიაზე წერია: „მკობასა. (ი. გრ.)“.

გვ. გვ. 193, 200, 205 ლექსიკონში ჩამატებულია სიტყვა: „მთხრებლი – ორმო. IX მაჯამა 10“. ხაზგასმულია: „ქასრი – მცენარეა“, მიწერილია: „ქასრი – სალესავი თუ ჩარხი. ი. გრ.“ სიტყვა „ჯუფთი“-სთან მიწერილია: „წყვილი“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე წერია: „შეცდომები: „მკობასა 51“.

ფორზაცზე დაკრულია კ. კეკელიძის რეცენზია „კარგად გამოცემული წიგნი“ ამოჭრილი გაზეთიდან. მინაწერით: „სახალხო განათლება“, 1947 აგვისტო-სექტ.“

1717. ვაზირიშვილ გრ. ლევან დავითის-მე ძამაშვილი. [ლექსი]. თბ., 1908.

კანზე: „ბეგლარასი. ი. გრ.“

გვ. 8. „ბეგლარას ლექსი. გრ. ვეზირიშვილი პარიკმახერი იყო და ბეგლარას სთხოვა დამიწერო. ი. გრ.“

1718. ველისციხელი მ. ჩემი ფიქრები. ლექსთა კონა. წიგნაკი 1-ლი. თფ., 1916.

1719. ვეფხის-ტყაოსნის შესანიშნავი ადგილები და რამდენიმე ლექსი მ. გურიელისა და აღ. ყაზბეგისა. ქუთაისი, 1897.

გვ. 26 და 27. შუა დევს ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „მაქვს მ. ჯ-შვილის წიგ[ნ]ებში: 1. შოთას აფორიზმები (რუსულად)“.

1720. ვეშაპიძე მ. ჩემი საჩუქარი. ნაწარმოებების პირველი რვეული. ტფ., 1917.

1721–1722. ვისრამიანი. რედაქტორობით ი. ჭავჭავაძის, აღ. სარაჯიშვილის და პეტ. უმიკაშვილის. ტფ., 1884.

წიგნი ყდიანია. ტყავის ყუაზე ამოტვიფრულია: „ვისრამიანი“ და ქვემოთ: „ი. მ.“ [ივანე მაჩაბელი].

შმუცტიტულზე ავტოგრაფი: „ი. მაჩაბელი“, იქვე ი. გრიშაშვილის ხელით: „მე მაჩუქა შვილმა მისმა ი. გრ. 1921 წ. ი. ზურაბიშვილის თანადასწრებით“.

ფორზაცზე დაწებებულია ი. გრიშაშვილის ექსლიბრისი, რომლის ქვემოთ მიწერილია ა. ლაზარაძე-ციციშვილის ხელით: „სოსოს ხელით ჩაკრული ექსლიბრისი. ანი“.

ფორზაცზე: „ვისრამიანის“ ცისკარში დაბეჭდვა უნდოდა ივ. კერესელიძეს – (იხ. „ცისკარი“, 1860 წ., № ივლისი. გვ. 357), ი. გრ. ნ. ბარათაშვილმა რუსულად სთარგმნა „ვისრამიანიდან“ ერთი ნაწყვეტი (გვ. 210) და დაბეჭდა „Цветок гимназии“, 1839 წ., № 2. ი. გრ. P. S. ამ თემაზე მე მოხსენება წავიკითხე „ელბ“-ში (1933 წ.) ი. გრ.“

იქვე წერია: „შეგამეცნიერე“ – 306. – „მოვიდენ“ გვ. 213. – ჩინეთის ქვაზედ სწერია, გვ. 151. (ეს ხალხმა აიღო). – მაგნიტი, 412. – ბოჭყმაში, 30. – კიდევანობა, 298“.

ადნიშნულ გვერდებზე მითითებული ადგილები და სიტყვები ხაზგასმულია.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ივ. მაჩაბლის „почерк“-ი გვ. გვ. IX, X, 212, 151, 141, 142, 145, 193, 136, 476, 468, 430, 416, 415, 203, 97, 93, 91, 32, 20 და ხაზები ყველგან ივ. მაჩაბლისაა. კიდურებზე ხშირად ასე აქვს: „!!?“ !?? P. S. ჩემს ორიოდ ხაზს „ი. გრ.“ მოვაწერე“. იქვე: „ა. ჭ-ძე 136.“

თავფურცელზე ქვესათაურის ქვემოთ ტეხილ ფრჩხილებში: „[ფასი 1–50 კ.] . ი. გრ.“

გვ. VII, რედაქციის წინასიტყვაობის წინ: „ირ. სონღულაშვილი წერს, რომ ვისრამიანის წინათქმა ალ. სარაჯიშვილს ეკუთვნისო! (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. IV, გვ. 3. და „კლდე“, 1914 წ., № 23, გვ. 4). ი. გრ. ხოლო დ. კარიჭაშვილის კატალოგში (1911 წ. გამოც). ილიას სახელთანაა მიწერილი, გვ. 115. ი. გრ.“

გვ. X. სქოლიოში მინაწერს: „იქნება რუსთაველს სპარსულად წაეკითხა და არა ქართულად!“ მიწერილი აქვს. „[შენიშვნა ივ. მაჩაბლისაა ი. გრ.]“.

გვ. XII. რედაქციის წინასიტყვაობის ბოლოს მიწერილია: ი. გრიშაშვილის ხელით: „[ალ. სარაჯიშვილი].“

გვ. [XIII]. „ლექსიკონის შესწორება“ მოხაზულია ფანქრით და არშიაზე: „ივ. მაჩაბლის ხელით ეს „გასწორება“ ჩატანილია ქვევით. ი. გრ.“

გვ. 54. ხაზგასმულია: „გულ-დადრეჯილობისაგან გამოწმედილი, ვითა გამოწურვილი ვერცხლი“ და არშიაზე: „ეს ი. მაჩაბლის ხელია. ი. გრ.“

გვ. 56. ხაზგასმულია: „მტკურად“ და არშიაზე მიწერილი: „მტკვარი? ი. გრ.“

გვ. 91. პირველ აბზაცში ხაზგასმულია სიტყვა „ნიშტიანად“ და არშიაზე, შესამღებელია ივ. მაჩაბლის ხელით მიწერილი: „მაგრად?“, რასაც მისდევს ი. გრიშაშვილის მინაწერი: „მაგრად შეცდომაა დამწერის. ნიშატობა ნიშნავს მხიარულობას, ლხინს. ი. გრ. 16 მარტს 22 წ.“

იქვე, ქვემოთ ხაზგასმულია სიტყვა „ექენები“ და არშიაზე: „ეხვეწები“.

გვ. 101. ქვემოდან მე-5 სტრიქონში ხაზგასმულია: „ცული“ და არშიაზე ორი კითხვის ნიშანი უზის და მიწერილია: „უნდა იყოს ცვილი!“ ი. გრ.“

გვ. 136. ხაზგასმულია: „ლამისა სიბნელე რამინის თმათა სიშავისა ნაცვლად იამებოდის“, არშიაზე მიწერილია ივ. მაჩაბლის ხელით: „...ჭავჭავაძე“. იქვე ი. გრიშაშვილის ხელით „P. S. ეს შენიშვნა ივ. მაჩაბელს ეკუთვნის: ალბად აქ, სადაც ქალაქის კიდურია წაჭრილი, უნდა იყოს ა. ჭავჭავაძე. სწორედ ა. ჭ-ძეს აქვს: „და ლამისა სიბნელე მომაგონებს გიშრის თმასა.“ ი. გრ.“ ეს გვერდი ჩანიშნულია აბრეშუმის ბაფთით, რომლის ერთ კიდეზე წერია: ი. გრიშაშვილი“ და მეორეზე – „1000“.

გვ. 210. თავს „ლვ“ მიწერილი აქვს: „ეს თავი რუსულად სთარგმნა ნ. ბარათაშვილმა. ი. გრ.“

გვ. 430. ხაზგასმულია ქვემოდან მე-3 სტრიქონში: „ერთი შენი თმა“ და მიწერილი: „ახნაზაროვს აქედან აუღია. ი. გრ.“

ვისრამიანის ლექსიკონში, გვ. 466 სიტყვა „მახმურობა“-ს შემდეგ ი. გრიშაშვილის ხელით ჩამატებულია: „მახმური – ხავერდი“.

გვ. 468. არშიაზე უთუოდ ივ. მაჩაბლის ხელით წერია: „[ცე]ცხლის მსახურობის სწავლით – მკვდრის გვამი და მისგან გაუწმინდურება, წაბილწვა [ნავს]ის, (ეშმაკის) ნამოქმედარი“ – ეს წინადადება ისრით ი. გრიშაშვილს შეუერთებია სიტყვასთან „ნასი“ და მიუწერია: ი. გრ.“

- გვ. 472. სიტყვებს „უნ“-ზე მიწერილი აქვს: „უხამსი(?) ი. გრ.“  
 იმავე გვერდზე ხაზგასმულია სიტყვა „ფარანდა“ განმარტებითურთ და მიწერილი:  
 „დ. ჩუბ-ს აქვს ფარნადი – კურიერი. ი. გრ.“
- გვ. 476. ივ. მაჩაბლის ხელით შესწორებულია სიტყვა „ხუარაზმი“-ს განმარტება  
 „კასპიის ზღვის აღმოსავლეთის იქით მდებარე ქვეყანა, რომელსაც ევროპიელები ეხლა  
 ხივას, ხივის სახანოს უწოდებენ“. იქვე, იმავე ხელით სიტყვა „ჯანგირის“ შემდეგ  
 ჩამატებულია: „ჯანგირი, ჯეანგირი, ჯანგირი საკუთარი სახელია. სპარსულად ჯან –  
 სული“. ეს ორივე შენიშვნა გაერთიანებულია ისრით ი. გრიშაშვილის მიერ და  
 მიწერილი: „ივ. მაჩაბლის ხელია. ი. გრ.“
- გვ. 477. ლექსიკონის ბოლოს მიწერილია: „ამ ლექსიკონის შეცდომის გასწორება იხ.  
 თავში, გვ. XIII. ი. გრ.“
- წიგნის ბოლოს თეთრ ქაღალდზე დაწებებულია „შესასწორებელი შეცდომანი“, ი.  
 გრიშაშვილის წარწერით: „ვისრამიანიდან“.
- ივ. მაჩაბლის მინაწერები, გარდა ზემოაღნიშნულისა:  
 გვ. 32. ხაზგასმულია სიტყვა: „საეჭვი“ და არშიაზე: „предположение.“  
 გვ. 93. ხაზგასმულია: „იალმაგი“ და არშიაზე: „სამოსელი“.
- გვ. 141. ხაზგასმულია: „ასაბიანი“ და არშიაზე: „მტერზედ მიმყო... შემნე“...  
 ჩამოჭრილია ბოლო.
- გვ. 142. ხაზგასმულია: „ღაფლად“ და არშიაზე: „Врасплох“.
- გვ. 145. ხაზგასმულია: „რახსისაგან“... „ჭარმაგს“ და არშიაზე: „შავ-მოწითალო ცხენი  
 – თეთზე შავი დაწიწ“... მოჭრილია.
- გვ. 151. ხაზგასმულია სამი სტრიქონი, დაწყებული სიტყვებით: „ჩინეთის ქვაზედა  
 სწერია... და არშიაზე: „ვეფხ. ტყაოს.“
- გვ. 203. ხაზგასმულია: „მოგუისაგან“ და არშიაზე: „სამოგვე“.
- გვ. 214. ხაზგასმულია: „ქოისტანისა“ და არშიაზე: „აღმოსავლეთის ნაწილია“.
- გვ. 339. ხაზგასმულია: ორ ადგილას სიტყვა: „საეჭუი“ და არშიაზე: „предполож...“
- გვ. 416. პირველ აბზაცს მიწერილი აქვს არშიაზე: „[მოჭრილია] ეპრვეს მაგივრად“.
გვ. 310. ტექსტში ხაზგასმულია: „კანეინა. კანის ცოლს ნიშნავს, და კნეინა თავადის ცოლს...“ არშიაზე: „ჩვენმა დიდკაცის ცოლებმა მაგისთანა სახელი დაირქვეს რუსეთის მოსვლის შემდეგ. (ხელთნაწერი)“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი“.

ყდის მე-3 გვ. მიწერილია: „მარიჯან“. აქვე დაკრულია გაზეთ „Тифлисский Рабочий“-დან ამოჭრილი ცნობა იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ გამოცემის შესახებ. ხაზგასმულია ადგილი: „Калмахиба“ („Лов форелей“) და მიწერილია კითხვის ნიშნით „კალმახოზა(?)“. გაზეთის არშიაზე: „Тифлисский Рабочий“, 1935, № 46, 26 თებ.“

წიგნში დევს კონვერტი, რომელშიც მოთავსებულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „გვ. 310–311. ეს უფრო სახუმარო სცენაა ვინემ ისტორია.“ ამავე ფურცლის მე-2 გვ. მიწერილია: „თვით ლიტერატურაშიც...? არის დიალოგი იოანე ბერთან“... დანარჩენი სიტყვები გაურკვეველია.

მეორე ცალის ფორზაცზე: „დუბლ. აბანო-41. 1. იარალი შანშიაშვილი, 403. 2. ისერეთ (სერობა, 316)“.

1990–1992. იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედ. ტ. 1–2. ტფ., 1936–1948.

ტ. 1. 1936.

ყდის მე-2 გვ. „ყომარბაზობა, 192.“

ფორზაცზე წერია: „სხვადასხვა ლექსთწყობათ გარჩევა, 294; ამოიგდო, 23; შეცდომა, 295; საიათნოვა, გვ. 296; გვ. 226. (საიათნოვას ისტორია).“

შმუცტიტულზე: „იოანე ბატონიშვილი დაიბადა 1772 წ. გარდაიც. 1839“.

გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. ალ. ბარამიძის წერილი „Иоанн Батонишвили и его „Калмасობა“ არშიაზე წერია: „№ 221. 22 სექტ. „Заря“, 1940, ი. გრ.“

2. გ. ა-ს რეცენზია მინაწერებით: „ახალგ. კომ.“. 1936 წ., № 243, 21 ოქტ.“

3. კ. გამსახურდიას წერილი „იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1936, № 16. 30 სექტ.“

ტ. 2. 1948. თავფურცელზე: „ი. გრ. 1948. 26.VIII“.

ფორზაცის ბოლო გვერდზე მინაწერები: „1. დადესტნელნი, 130 2. როჭიკი, გვ. 163, 239–240. 3. ტუტუა და ჭუჭუა, 241. 4. ღვინო, 68. 5. ჯილტაში, ზუმფარა. 20.“

გვ. 29. ხაზგასმულია რედაქტორის შენიშვნა: „მსჯელობა ცუდდიდებობაზე და ამპარტავნობაზე“ და არშიაზე წერია: „ეს არ უნდა გამოგეკლოთ. ი. გრ.“

გვ. 47. მესამე აბზაცში რკალშემოვლებულია სიტყვა: „მტრიანი“. არშიაზე ფანქრით: „ვაჟასაც აქვს ეს სიტყვა“.

გვ. 192. ხაზგასმულია: „დავით ალექსიშვილისთვის“ და მიწერილია: „რექტორი“.

თავფურცელზე გაზეთიდან ამონაჭერი ცნობა: „ახალი წიგნები“, მინაწერით: „კომ.“, 1948, 24 აგვის.“

გვ. 80 და 81 შუა ჩადებულია საქ. თეატრალური საზოგადოების მოსაწვევი ბარათი, ი. გრიშაშვილისადმი. 1948 წ. 7 სექტემბრის თარიღით – პრეზიდენტის მორიგ სხდომაზე დასასწრებლად.

1993. იოანე მოსხი. ლიმონარი. ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თბ., 1960.

1994. იორამაშვილი ს. მოთხრობები. [თბ., 1960].

ფორზაცზე წარწერა: „ულრმესი პატივისცემით მებრძოლ პოეტს – ხუტა ბერულავას ავტორისაგან. ს. იორამაშვილი. 1. 11. 60 წ.“

1995. იორამაშვილი ს. ნაცნობი სახე. [მოთხრობები. თბ.], 1956.

1996. იორამაშვილი ს. უცნაური შეხვედრა. [მოთხრობები]. თბ., 1962.

1997. იორამიშვილი-დუმბაძე მ. ლექსები. სახსოვრად მეგობრებს. ტფ., 1926.

1998–1999. იოსებ ტფილელი. დიდი მოურავიანი, თქმული სააკაძის-ძის იოსებ თფილელისაგან. დამატებით სხუათაცა მისთა თხზულებათა. [პლ. იოსელიანის რედ.]. თფ., 1851.

თავფურცელზე სათაურის ქვეშ მიწერილია: „პლატონ იოსელიანის რედაქციით. ი. გრ.“

მეორე ცალის თავფურცელზე და გვ. გვ.: 5, 41, 61, 73, 75, 79–80 ბეჭედი: „მიტროპოლიტი კალისტრატე“.

2000–2001. იოსებ თბილელი. დიდი მოურავიანი. ისტ. პოემა. თფ., 1897.

კანზე: „(კორექტ. შეცდ. ბოლოში.)“

თავფურცელთან ჩადებულია ქაღალდის პატარა ნაჭერი მინაწერით: „დიდმოურავიანი გალექსა გ. ხეჩუაშვილი“.

მეორე ცალის თავფურცელზე უწინდელი მფლობელის ავტოგრაფი: „ლ. ბაღაშვილი“. იქვე მინაწერი: „ბუკინისტისგან ვიყიდე კიკნაველიძე. ი. გრ. 1939. 16/V.“

2002–2004. იოსებ ტფილელი. დიდმოურავიანი. გ. ლეონიძის რედ. [თბ.], 1939.

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „სოხტი, 50“.

გვ. V. ხაზგასმულია: „ა. ფურცელადის მონოგრაფიის გავლენა“, მიწერილია: „თუ გ. ხეჩუაშვილის წიგნის ზეგავლენით.“

გვ. X. არშიაზე მიწერილია: „იმედაშვილის გამოცემას დართული აქვს „კორექტურული შეცდომების გასწორება“ (აქედამ ზოგიერთი გასწორებულია იხ. ყდა)“, სქოლიოში წერია: „\*ქელიძე-იმედაშვილი არავის დაჰყრდნობია, ისინი სწერენ...; [?] პ. იოსელიანის წიგნ.“

გვ. 67. ლექსიკონში მიწერილია: „გაბეზრდა-ბეზარ.“

გვ. 81. ხაზგასმულია: „რამლი, 62. ქვიშით მკითხავი“, მიწერილია: „რამლი თითონ კამათელია: „რამლსა ჰყრიან.“

გვ. 84. ხაზგასმულია: „ყაუხი 423, ქუდი“, მიწერილია „ბერძნ.“

გვ. 86. ხაზგასმულია: „წინწილები“, მიწერილია: „წინწილა“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „უნდა: ადვილად, 9. რამლი? 81. ჩახჩური – 85 შარვალი?“ წიგნში ჩადებულია გაზეთის ამონაჭრები:

1. ს. ხანთაძის წერილი „Поэма Востока“, 1939, № 134, 14/VI“. 2. გაზ. „ავანგარდის“ (ცხაკაია), 1940 წ., 9 ივლ. №-რი. 3. გაზ. „ახ. კომ.“, 1939 წ., 27 ივნ. ნომერი. მოთავსებულია ბ. ინასარიძის წერილი „დიდმოურავიანი“. 4. დ. კასრაძის წერილი: „იოსებ ტფილელი – „დიდმოურავიანი“, „კომ.“, № 153, 1939 წ. 6 ივლ.“ 5. გაზ. „ინდ. ქუთაისის“, 1939 წ. 10 ივლისის ნომერი. ლ. ხუროძის წერილით „პოემა ლეგენდარულ გმირზე“. მინაწერით: „დიდმოურავიანზე.“

2005. იოსელიანი გ. სურამის ციხე. (გადმოკეთებული). – ამონაჭერი: ჟურნ. „ჯეჯილი“, 1900, № 9.

აკინძულია წიგნად ი. გრ. მიერ.

კანზე: „სურამის ციხე. იხ. „ჯეჯილი“. 1900 წ., № IX.“

2006. იოსელიანი ი. მოთხრობები. თბ., 1946.

წიგნში გაზეთიდან ამონაჭერი დ. შენგელაიას წერილი „ივანე იოსელიანის მოთხრობები“, მიწერილია: „ლიტ. და ხელ.“ 1946, 24 ნოემბ.“

2007. იოსელიანი ი. მოთხრობები. თბ., 1961.

2008. იოსელიანი შ. დაბრუნება. ამბავი. ბათუმი, 1940.

2009–2010. იოსელიანი შ. სიმღერები. მზიური საბჭოთა აჭარის ბედნიერ სახლგაზრდობას. ბათუმი, 1937.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1937. 29/X, ტფილისი.“

2011. ირეთელი პ. ბედნიერი დღე. კომ. 3 მოქმ. თბ., [1913].

2012. ირეთელი პ. დამარცხებულნი. დრამა 5 მოქმ. ტფ., 1908.

კანზე და თავფურცელზე ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“.

2013–2014. ირეთელი პ. დამარცხებულნი. [დრამა 5 მოქმ.]. ქრისტინე. [დრამა 4 მოქმ. და 5 სურ.]. ტფ., 1925.

თავფურცელზე: „ჩემს ძვირფას მეგობარს, საქართველოს საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს ნიშნად გულითადი მეგობრობისა. პ. ირეთელი. 28/XI 1925.“

იქვე: „რუსთ. თეატრში იყო 25 წლის იუბილე 1925 წ. 14 დეკემბ. მიულოცა კ. მაყაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა. ი. გრ.“

კანზე: „ავტორისაგან. იხ. II გვ. პ. ირეთელი (კალანდაძე) [1876–1931]. ი. გრ.“

2015. ირეთელი პ. დამარცხებულნი. [პიესა. თბ.]. ამონაჭერი წიგნიდან.
- 2016–2118. ირეთელი პ. მოთხრობები. [რედ. ი. გრიშაშვილი]. თბ., 1946.
- ყდაზე: „ჩემის რედაქციით. ი. გრ. 1946. 21/X.“
- გვ. III. მოხაზულია: „1911 წელს პ. ირეთელმა თბილისში...“ მიწერილია: „ეს საღამო გაიმართა სტუდენტ ჩიტო კაპანაძის სასარგებლოდ. სხვათაშორის აკაკიც იღებდა მონაწილეობას. ი. გრ.“
- 2019–2020. ირეთელი პ. საბედისწერო გზით. მოთხრობა. ტფ., 1925.
- თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ძვირფას ძველ მეგობარს. ცხოვრების ქარბუქში ჩემ თანამგზავრს, პოეტს იასამანს (მიხეილ კინწურაშვილს) სულით და გულით. პ. ირეთელი. 8/VII 1925 წ.“
- მეორე ცალის თავფურცელზე: „ძვირფას მეგობარ ჩვენ სყვარელ პოეტ იოსებ გრიშაშვილს. პ. ირეთელი. 19/VI-1925 წ.“
- 2021–2022. ირეთელი პ. სოფლის გმირები. დრამა 4 მოქმ. (სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი“). თფ., 1911.
- 2023–2026. ირეთელი პ. ქრისტიანე, დრამა 4 მოქმ. და 5 სურ. (სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან). თფ., 1909.
- 2027–2028. ირემაშვილი ი. რევოლუციის ტალღებში. ისტ. პიესა 3 მოქმ. და 6 სურ. თბ., 1920.
- თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ხარფუხელ მეგობარს. ავტორისაგან. 1920 წ. 29. IV“.
- 2029–2032. ისარლოვი ლ. ლექსნი. ტფ., 1894.
- მინაწერები კანზე: „ინთილა, თათულა – 145, ფერმანგი – 151 (98). ალ. ჭ-ძე თუ ისარლოვი – გვ. 16. ლექსთწყობა მუხამბაზი. თახმისი და სხვ. – 118. აქ ბევრი თარგმანია „პუშკინიდან“ – 10, 28, 32. კრილოვი, იგავ-არაკნი, გვ. 64. ნინო ჭავჭავაძე – გვ. 45“.
- კანსა და თავფურცელს შუა დევს ქაღალდის პატარა ნაჭერი შენიშვნებით:
- „აკაკის ლექსი. რომელსაც გვარი არ აწერია: არაკი („იყო ერთი მაიმუნი, ეძახოდნენ ლუკა-მელას.“) („დროება“, 1884, № 16 22 იან. იხ. I ტ. 341. შენიშ. II ტ. 668.)“
- გვ. I. მოხაზულია „რ უ ხ ა ძ ე“, წერია: „ხ უ რ ს ი ძ ე“.
- გვ. 28. ლექსის სათაურის „განღვიძება“ (პ უ შ კ ი ნ ი თ“). გასწვრივ არშიაზე: „ეს სთარგმნა ა. ჭ-ძ ე მ ა ც – „Пробуждение“.
- გვ. 35. დევს ქაღალდი წარწერით: „ს ო ს ო! ვიყავი ვერ გნახე. ლ უ კ ა ს... ს ო ლ ო მ ო ნ. 25-I-41“
- გვ. 37. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „გაიანეს“. არშიაზე: („ეს იყო ცოლი პოეტისა) ასე მითხრა ლ უ კ ა ს ქალმა ყ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ოჯახში. 1930. 20/IV ი. გრ.“
- გვ. 99. ხაზგასმულია ადგილები არშიაზე: „ეხლაც სწერენ, 1928“.
- გვ. 105. მოხაზულია ტაეპი, არშიაზე: „ძნელი მაჭამა?“
- გვ. 106. მოხაზულია ტაეპი, გვერდზე: „დაბეჭდილი იყო „ივერიაში“, 1879, № 5“.
- გვ. 109. ხაზგასმული და მოხაზულია ადგილი, არშიაზე: „ბ ე ს ი კ ი რუსულად“.
- გვ. 133. ბოლო ტაეპი მოხაზულია, გვერდზე კითხვის ნიშანი, ქვემოთ არშიაზე: „მელი ლომსა, ჩიტი გნოლსა, მწყერი სდევდეს მიმინოსა“. ეს ლექსი აქაც არის დაბეჭდილი, იხ. კ ო ლ ხ ი დ ე ლ ი ს „ლექსთა კრება“ 1901 წ., გვ. 69“.
- 2033–2034. ისიანი ს. ლექსები. თბ., 1940.
2035. ისიანი ს. ლექსები. თბ., 1945.

2036. ისიანი ს. ლექსები. თბ., 1949.
2037. ისიანი ს. ყველაფერს ვხედავ. ლექსები. თბ., 1957.  
ფორზაცზე: „შამილი, 85“. „ი. გრ.“.
- 2038–2041. კაზალიკაშვილი ი. ლექსები. მ. პატარიძის რედ. და წინასიტყვ. ტფ., 1933.  
კანზე: „ი. გრ. 1933 წ., 3/XII.“
2042. კაკაბაძე პ. რჩეული თხზულებანი. პიესები. [თბ.], 1954.  
კანსა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1955, 25/I“.
2043. კაკაბაძე პ. დრამატული თხზულებები. თბ., 1959.
2044. კაკაბაძე პ. კოლმეურნის ქორწინება, ამონაჭერი: „მნათობი“, 1939, № 2.  
გვ. 124–125. დევს გაზეთიდან ამოჭრილი ს. კლდიაშვილის წერილი „პ. კაკაბაძის კომედიები“ მინაწერთ: „ლიტ. საქ.“, 1940, № 7“.
- 2045–2047. კაკაბაძე პ. ლისაბონის ტუსაღები. პიესა 3 მოქმ. ტფ., 1925.
- 2048–2049. კაკაბაძე პ. ორი პიესა. [ყვარყვარე თუთაბერი. – კოლმეურნის ქორწინება]. თბ., 1946.
2050. კაკაბაძე პ. პიესები. ყვარყვარე თუთაბერი. კოლმეურნის ქორწინება. თბ., 1952.
2051. კაკაბაძე პ. ყვარყვარე თუთაბერი. თბ., 1936.
- 2052–2053. კაკუშაძე ნ. დამკვერელ მშენებლებს. (ლექსები). ქუთაისი, 1933.
2054. კაკუშაძე ნ. თერგი. [რომანი]. თბ., 1961.
2055. კაკუშაძე ნ. წიგნის სასახლე. [რომანი]. მოთხრობები. მეომრის დღიურიდან. თბ., 1955.
- ფორზაცზე წარწერა: „ქართული ლექსის რაინდსა და სულის ინჟინერს ხალხის უსაყვარლეს პოეტს ს ო ს ო ს! დიდი სიყვარულით, დიდი პატივისცემით, მოკრძალებით ავტორისაგან. 27/IV 55 წ.“
2056. კალანდარიშვილი ა. ფიცის ძალა. პიესა 4 მოქმ. და 6 სურ. თბ., 1958.
- 2057–2062. კალანდაძე ა. ლექსები. თბ., 1953.
2063. კალანდაძე ა. ლექსები. თბ., 1957.
2064. კალანდაძე ა. ლექსები. თბ., 1960.
2065. კალანდაძე გ. ლექსები. თბ., 1939.
- 2066–2067. კალანდაძე გ. ლექსები. [თბ.], 1955.
- ფორზაცზე წარწერა: „ი ო ს ე ბ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს – დიდ ქართველ პოეტს, ძვირფას ადამიანს – სიყვარულით და პატივისცემით. გ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. 5. I. 56 წ.“
2068. კალანდაძე გ. ჩაუქრობელი კერა. ლექსები. თბ., 1959.
2069. კალანდაძე ჭ. და ჯიბუტი ფ. იმბურგ. (ქარიშხალი ზღვიდან). დრამა 4 მოქმ. ტფ., 1930.
2070. კალანდაძე ჭ. და ჯიბუტი ფ. მზადება. პიესა 3 მოქმ. ტფ., 1929.
2071. კალაძე ვ. ერთტომეული [ლექსები]. თბ., 1954.
2072. კალაძე ვ. ამბავი აჭარელ ამხანაგების. [თბ.], 1932.  
ფორზაცზე: „ი. გრ. სადგური. 1932. 21/X“.
2073. კალაძე ვ. ახალი ლექსები, ბალადები და სიმღერები. თბ., 1944.  
თავფურცელზე წარწერა: „ს ო ს ო ს მარად მისი მოსიყვარულე ვ. კ. 15/XII-44“.
2074. კალაძე ვ. ისევ მშობლიურ სოფელში [ლექსები, პოემა]. თბ., 1949.
2075. კალაძე ვ. იუმორისტული პოემები. თბ., 1958.



- კანზე: „ი. გრ. 57, 58“
2076. კალაძე ვ. კოლმეურნე ქალიშვილი. კომედია 3 სურ. თბ., 1947.
2077. კალაძე ვ. ლექსები. პოემები. თბ., 1957.
2078. კალაძე ვ. ლექსების ახალი წიგნი. თბ., 1959.
2079. კალაძე ვ. მგზავრობის დროს თქმული ლექსები. ბათომი, 1935.
- ფორზაცზე წარწერა: „ყველასთვის საყვარელ პოეტს ს. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს. კ ა რ ლ ო. 20/I, 35“
- გვ. 5. ლექსში „მგზავრული“ ხაზგასმულია რითმები: „ჩრდილებს“... „დავიმორჩილებ“, მიწერილია: „ჩემ“.
2080. კალაძე ვ. მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა. რომანი ლექსად. თბ., 1955.
2081. კალაძე ვ. რამდენიმე ლექსი, ტფ., 1926.
2082. კალაძე ვ. როგორ. პიესა. ტფ., 1929.
2083. კალაძე ვ. რომანი ლექსად. ლექსები. თბ., 1961.
2084. კალაძე ვ. რჩეული ლექსები. ტფ., 1927.
- გვ. 64. ტექსტში ხაზგასმულია: „დაადრჩობს ღამეს, – და ცაზე მთვარე ვეღარ ამოვა“. იქვე არშიაზე: „ეს ლექსი ა ბ ა შ ე ლ ი ს ლექსზე ადრეა დაწერილი“.
2085. კალაძე ვ. რჩეული ლექსები. [თბ.], 1939.
- შმუცტიტულზე წარწერა: „ყველასათვის საყვარელს ს ო ს ო გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ი ს ა გ ა ნ. 9/VII, 39“.
- წიგნში დევს გაზეთ „ლიტ. საქართველოს“ 1939 წ., № 20-დან ამოჭრილი გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი ს წერილი „კარლო კალაძის ლექსები“.
2086. კალაძე ვ. რჩეული ლექსები და პოემები. 1920–1940. თბ., 1940.
- ფრონტისპისის მეორე გვერდზე წარწერა: „ს ო ს ო გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს მისი შესანიშნავი წიგნების მკითხველი და პატივისმცემელი, მისი მეგობარი – კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. 29/XII 40“.
- გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. პ. ა ბ რ ა მ ი ა ს წერილი ვ. კ ა ლ ა ძ ი ს შესახებ: „ყურადღება, ლაპარაკობს თბილისი...“ მინაწერით: „რადიო-პროგრამები“, 1941, წ., № 11“. 2. ფ. ნ ა რ ო უ შ ვ ი ლ ი ს წერილი „ქრონიკები ჩვენი დროის ნორჩ ტრადიკოსების შესახებ“ მინაწერით: „ვ. კ ა ლ ა ძ ე ზ ე „სალიტ. გაზეთი“, 1933, № 9“.
- 2087–2088. კალაძე ვ. რჩეული ლექსებისა და ბალადების ერთტომეული. თბ., 1946.
- ყდაზე: „ავტორისაგან. 1946“.
- თავფურცელზე წარწერა: „ყველასათვის საყვარელ პოეტს ს ო ს ო გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს, უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით კარლო კალაძე. 8-IV. 47“.
- წიგნში დევს გაზეთებიდან ამოჭრილი ვ. კალაძის სამი ლექსი და გ. ნატროშვილის წერილი „კარლო კალაძის პოეზია“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1947, № 17.“
- მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „შესანიშნავ ადამიანს და შესანიშნავ მწერალს, ქართული სიტყვის ტრფიალს – ილია ზურაბიშვილს უღრმესი პატივისცემით კარლო კალაძე. 2. IV. 47“.
2089. კალაძე ვ. ტრადედია ოხ! მეამბოხე. ტფ., 1926.
- ფორზაცზე წარწერა: „ჭემმარიტ პოეტს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემის ნიშნად ავტორი. 19. 21. VI. 26 წ.“
- ფორზაცზე „აკრძალულია“.

2090. კალაძე ვ. უკრაინელ მეგობრებს. [ლექსები]. თბ., 1954.
2091. კალაძე ვ. უჩარდიონი. წიგნი 1. ტფ., 1933.
2092. კალაძე ვ. ქურდი. ლექსი კინოსთვის. ტფ., 1927.  
კანზე: „ი. გრ. 1926. 21. V“.
- 2093–2094. კალაძე ვ. ძახილი აღმოსავლეთს. [პოემა]. ტფ., 1927.  
კანზე: „ი. გრ. 1927. 25. V“.
2095. კალაძე ვ. წიგნი ლექსების. 1927–1929. ტფ., 1929.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1929. 21. V“.
2096. კალაძე ვ. ხატიჯე. დრამა 4 მოქმ. ტფ., 1933.
2097. კალაძე ვ. ხერთვისის განთიადები. თბ., 1937.  
შმუცტიტულზე წარწერა: „ი. გრ.-ს მისი ნიჭის პატივისმცემელი კარლ.“  
გვ. 15. ლექსში „მხედრული“ გადახაზულია: „ხორციტ და სისხლიტ ტოლები!“  
მიწერილია: „ვართ გულიტ თანატოლები“. ამავე გვერდზე სტრიქონებში: „სისხლის  
ღვარებად მორბიან, იმავე მიწის ხორციდან...“ ხაზგასმულია: „სისხლის“ და „იმავე“ და  
მიწერილია: „ნიაღვარებად“, „მაშინ“, „ნიაღვარებად მორბიან მაშინ მიწის ხორციდან...“
2098. კანდელაკი ვ. ამაღლებული სოფელი. კომ. 4 მოქმ. ბათუმი, 1952.
2099. კანდელაკი ვ. მათა წყნეთელი, ჰეროიკული კომ. 4 მოქმ., 8 სურ. თბ., 1956.
2100. კანდელაკი ვ. ორი პიესა: ორი სპეციალისტი. – უმრეტი წყარო. ბათუმი, 1956.
2101. კანდელაკი ვ. რევაზ პირველი. პიესა 4 მოქმ., 7 სურ. ბათუმი, 1954.
2102. კანდელაკი ნ. ამაყი გული. [მოთხრობა]. თბ., 1961.
2103. კანდელაკი ნ. ორ ცეცხლ შუა. [იუმორისტული მოთხრობები]. თბ., 1959.
2104. კანდელაკი ნ. პაპა ოლიფანტე. [იუმორისტული მოთხრობები]. თბ., 1961.
2105. კაპანაძე ა. ლექსები. თბ., 1902.  
კანზე: „P. S. ვიცნობდი ამის ავტორს ჩემი შემოქმედების გარიჟრაჟზე –  
თავდახურული დადიოდა, ნაყვავილარი დედაკაცი იყო, პატივისცემით ექცეოდა ჩემს  
გამოსვლას. ი. გრ.“
- 2106–2107. კაპანაძის ა. მოულოდნელი სიკვდილი. ლექსით. ტ. 2. ტფ., 1904.
2108. [კარბელაშვილი პ.] კლდე-მაღალას ციხე. (ისტ. ლეგენდა) პ. ჭალელისა. თბ.,  
1895.  
ავტორის ფსევდონიმის ქვეშ მინაწერი: „პ. კარბელაშვილი. – ი. გრ.“
2109. კარდენახელი ვ. საადგომო საჩუქარი ანუ ბედ დაკარგული. თბ., 1914.
2110. კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი. მოთხრობა. თბ., 1887.  
კანზე ავტორის გვართან: „(მამა)“. იქვე: „\*) მეოთხე მსხვერპლი მე ვიყავი [ლექსები].  
ტფ., 1921.  
ფორზაცზე: „ამ წიგნის შესახებ, იხ. სტ. ჭრელაშვილის რეცენზია. „ივერია“, 1888.“
- 2111–2114. კარმელი შ. ბაბილონი. [ლექსები]. ტფ., 1921.  
კანზე: „ი. გრ. 8 დეკემბ. 1921 წ.“ ავტორის ფსევდონიმთან წერია: „შალვა  
გოგიაშვილი“.
- შმუცტიტულზე: „ამ პოეტმა ლექსი ისე გაიგო. როგორც რითმის მიგნება“.  
თავფურცელზე: „შალვა გოგიაშვილი გარდაიცვალა 1922 წელს თებერვალს“.
- გვ. 7. სონეტში „ავტობორტრეტი პროფილში“ პირველი ტაეპის მე-4 სტრიქონი  
ხაზგასმულია, არშიაზე: „ასე ვიღაცას აქვს. მოვიგონებ ალბად“. მე-3 სტროფის ორი

სტრიქონი მოხაზულია, მიწერილია: „ჩემი საქართვებს“. მე-4 სტროფის ბოლო სტრიქონი ხაზგასმულია, გვერდზე კითხვის ნიშანი, ქვეშ მიწერილია: „ჯერ ერთი ეს რითმა: „ლექსი, რეფლექსი“ – გვაზავას აქვს (იხილეთ: „მისი პოემა „შალვა ოდიშელია“, გვ. 38) და მეორე როცა ამბობს – პირველად რითმა მე გავმართეო ქართულ ლექსებში, არც ერთი სხვისი რითმა არ უნდა იკადროს..., ი. გრ.“

გვ. 9. სონეტში „ჩვენება იუდეის ასულის“ მე-3 სტროფში ხაზგასმულია ადგილი, გასწვრივ კითხვის ნიშანი და მინაწერი: „სახურავი: ალბად ჩამოსასხამი! მოსახურზე.“ მე-4 სტროფში ხაზგასმულია ადგილები, ქვეშ მიწერილია: „იხ. ჩემი I ტ. „მიტკლის ბაგე“ (გვ. 205)“

გვ. 10 ლექსის „ეს როდის იყო“ ბოლო სტროფში ხაზგასმულია სიტყვები, იქვე წერია: „იხ. ჩემი I ტ., გვ. 147“.

გვ. 13. ლექსის „შურისძიება უკვდავებით“ მე-2 სტროფში ხაზგასმულია სტრიქონი, არშიაზე წერია: „რა კონსტრუქციაა!“.

გვ. 16. ლექსის „მეხერაზადეს ზღაპარი“ მე-2 სტროფში ხაზგასმულია სიტყვები, გასწვრივ არშიაზე: „ერთი და იგივე სიტყვები“.

გვ. 35. ლექსის „მთვრალი თვალები“ სათაური ხაზგასმულია. არშიაზე: „იხ. ჩემი „ცრემლების კრიალოსანი“ (პროზა). (იხ. „თეატ. და ცხ.“, 1914 წ., № 40)“. მოხაზულია ბოლო სტროფის ორი სტრიქონი, ქვემოთ არშიაზე: „მიბამვა გალაქტიონისა“.

გვ. 37. ლექსის „ყვითელ თოვანში“ 3–4 სტროფში ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „ბაღები. ზამბახები“, არშიაზე: „ს. წევლის რითმაა „ამ ბაღებს, ზამბახებს“, მერე იხმარა გალაქტიონმა, ეხლა კი კარმელმა!“

გვ. 46. ლექსში „გამოტირალი ჩემზე“ მოხაზულია ბოლო სტროფი, ქვეშ წერია: „თაგუნას რითმა“.

2115. კარსანიძე ვ. შეჯიბრება გრძელდება. კომ. 4 მოქმ., 10 სურ. თბ., 1953.

2116–2117. კასრაძე დ. თეატრი: ციხის ცრემლები. იუდარია. მეფე არლეკინ. ტფ., 1924.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს სოსოს. დავით კასრაძე. 28 IX 25“.

კანზე: „ი. გრ. ჩემი ლექსი, გვ. 118“.

კანზე გამოცემის წელთან: „1925 გამოვიდა“.

გვ. 3. დრამ. ეტიუდის „ციხის ცრემლები“ სათაურთან: „ეს პიესა პირველად დაიბეჭდა ბათ. გაზ. „მწვერვალ“-ში. 1923, № 1, 2, 3. ი. გრ.“

გვ. 170 ხაზგასმულია: „ჩამალავს თავს და თავს ებრძვის“, მიწერილია: „როგორ?“

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „პატივისცემით პავლე საყვარელიძეს გამომცემელი. 1925 1/სექტ.“

2119–2120. კასრაძე დ. კეთრი. რომანი. ტფ., 1928.

კანსა და თავფურცელზე: „ი. გრ. 1929. 2. VI“.

გვ. 3. ხაზგასმულია: „როგორც ჟრუანტელ“ და არშიაზე: „როგორც ჟრუანტლით“.

წიგნის ბოლოს, თავისუფალ გვერდზე მინაწერი: „1. რეცენზია: „ახალგაზრდა კომუნისტში“, მაისის №-რი, 1929“.

2121. კასრაძე დ. მათიას შავარდენი. ამბავი. თბ., 1959.

2122. კასრაძე დ. როსკიპი. რომანი ორ ნაწილად. თფ., 1912.

ყუაზე ამოკვეთილია: „დ. კასრაძე „როსკიპი“. ი გრიშაშვილი“.

ფორზაცზე: „ულამაზო და ტლანქი პორნოგრაფია შემდეგ კაბადონებზე: გვ. 12, 54, 155, 217–219, 220 და სხვა“... „P. S. ამ წიგნზე რეცენზია დავწერე გრილის ფსევდონიმით (იხ. „სახალხო...“, 1912 წ., № ?) ი. გრ.“

ფორზაცის მეორე გვერდზე: „როსკიპის“ ერთი ნაწყვეტი დაიბეჭდა „თემში“, 1911 წ., № 34. ი. გრ.“

წიგნში დევს ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „დ. კასრაძემ დაბეჭდა ჟ. „მნათობში“ „გორის დღეები“ (იხ. „მნათობი“, 1942 წ., № 7–8). აქ გვ. 71 – ერთი თავია: ზღაპრის გმირი, რომელიც დ. კასრაძეს გადმოუბეჭდია თავის ძველ მოთხრობიდან. (იხ. „ნაკადული“ (მც. წლ.), 1917 წ., № 15–16, გვ. 5. ამავე მოთხრობაში ერთი თავი: „აღთქმა დედის საფლავზე“ ჰგავს დ. კასრაძისავე მოთხრობას (იხ. „ნაკადული“ (მც. წლ.), 1917, № 13–14). ი. გრ.“

2123–2124. კასრაძე დ. როსკიპი. რომანი ორ ნაწილად. გამოც. მე-2. გორი, 1927.

თავფურცელზე წარწერა: „მუდამ ჩემს სოსოს. დ. კასრაძე. 5. XI. 28“.

თავფურცელზე: „მეორე ნაწილის მესამე თავი მაშინდელმა ცენზორმა აკრძალა. აქ აღდგენილია. ი. გრ.“

გვ. 12. მოხაზულია ლექსი და არშიაზე: „დ. გივიშვილის ლექსიდან“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ქ-ნ. ფედოსიას ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. დათიკო. 1/XI-27“. იქვე: „ფედოსია – ს. ქვარიანის მეუღლე. ი. გრ.“

2125. კასრაძე დ. შურისციხელი. [მოთხრობა]. თბ., 1960.

2126–2128. [კაშმაძე შ.]. სილეო-რეან, ატლანტიდა. [ლექსების მე-2 წიგნი]. ტფ., 1927.

გახსნილია ფსევდონიმი: („შალვა კაშმაძე“).

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ თბილისის „ობოლს“ და ბრწყინვალე ჭირისუფალს, ჭეშმარიტ ქართულ კალმის მატარებელ პოეტს. ავტორი. ტფილისი. 28/IV-28 წ.“

მეორე ცალის კანზე: „განსვენებულ შალვა კაშმაძის ფსევდონიმი. ი. გრ. 1956. 12. II.“

2129. კაშმაძე შ. ორი შეხვედრა. პოემა. ბათუმი, 1940.

თავფურცელზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს, მთელი გულით! შალვა კაშმაძე“.

2130. [კაშმაძე შ.] (სილეო-რეან). შემოდგომიდან ქარიშხალამდე. [ლექსების მე-3 წიგნი]. ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „პატ. სოსო გრიშაშვილს ავტორისაგან. 30/IX 28 წ.“

2131–2133. კაჭარავა გ. დილა სოფელში და სხვა ლექსები. ფოთი, 1905.

2134. კაჭახიძე გ. რჩეული. თბ., 1958.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენი ხალხის საყვარელ პოეტს სოსო გრიშაშვილს, ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ავტორისაგან. 1958 წ., 10. V“.

2135. კაჭახიძე გ. ახალი ლექსები. თბ., 1950.

ფორზაცზე გაზეთიდან ამოჭრილი ვ. კალმახელიძის წერილი „პოემა ნორჩ მიჩურინელებზე“. ეხება გ. კაჭახიძის პოემას „ჩვენი სკოლის ყმაწვილები“. არშიაზე: „ლიტ. და ხელ.“, 1950, № 35, 27 აგვის.“

2136. კაჭახიძე გ. ლექსები. [თბ.], 1936.

ყდის მეორე გვერდზე გაზეთიდან ამოჭრილი ვ. აქბარდიას რეცენზია მინაწერით: („ახალგ. კომ.“, 1937, № 14, 17/I)“.

2137. კაჭახიძე გ. ლექსები. თბ., 1956.

2138. კაჭახიძე გ. სიმღერა გრძელდება [ლექსები]. თბ., 1953.
2139. კახიძე მ. სიყვარულის ასაკი [ლექსები]. თბ., 1955.  
კანზე: „48“.
- გვ. 48. ლექსში „სოხუმი“ ხაზგასმულია სიტყვა „ლამაზმანს“ და არშიაზე: „ჩემგან“.
2140. კეკელიძე მ. ბრწყინვალე ვარსკვლავის მამიებელი. [ისტ. რომანი]. თბ., 1962.
2141. [კერესელიძე ი.] ი. კ. ლექსები. ტფ., 1859.
- წიგნი დეფექტურია, აკლია გვ. გვ. 1–2, 15–18, 55–58. ამ გვერდების მაგივრად ი. გრიშაშვილის მიერ ქალაქის სუფთა ფურცლებია ჩაკერებული.
- კანზე: „იშვიათი წიგნია. ეს წიგნი არ არის წ. კ. საზ. წიგნთსაცავში. „ალ. ჩიქოვანს“, 31. ამ ლექსს ილიამ მიჰბაძა (გვ. 12). ი. გრ.“
- გვ. 1-ის მაგივრად ჩაკერებულ სუფთა ფურცელზე: „ი. გრ. გაზაფხული (იხ. 1878, გამოც. გვ. 44)“.
- გვ. 14. ლექსის „ნანა“ ბოლოში მიწერილია: „ცისკარი“ 1857, X.“
- გვ. 23. ლექსს „ცრემლი ალაზნისა“ მიწერილი აქვს: „აკაკიმ ამას მიჰბაძა. იხ. „ოცნება“. ი. გრ.“
- გვ. 31. ლექსს „თ. ალ. ჩიქოვანის გარდაცვალებაზე“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მერე უძღვნია გ. ერისთავისათვის. იხ. 1878, გამოც. გვ. 47.“
- გვ. 68. სარჩევში ხაზგასმულია „მთავრინა ეკატრინას“ და მიწერილია: „ა. ჭ-ძის ქალს“.
- კანის პირველსა და მეოთხე გვერდზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „Г. Сакварелидзе“.
- 2142–2148. კერესელიძე ი. ლექსები. დაწერილი 1854–1876 წ., ტფ., 1878.
- წიგნი შეკეთებულია ი. გრიშაშვილის მიერ, ყუაზე მელნით: „ი. კერესელიძე“.
- კანზე: „ორთავ თვალის სინათლე, გვ. 80; კავკაზი 25; ლექსი დ. ჭონქაძეზე 75; ლექსი გ. ერისთავზე 47“.
- გვ. 15. ლექსში „ადგილის მძებნელი“ პირველი ორი სტრიქონი მოხაზულია და არშიაზე: „ასონანს?“.
- გვ. 47. ლექსის „გიორგი ერისთავის გარდაცვალებაზე“ სათაურის წინ მიწერილია: „ცისკარშიც“ დაიბეჭდა“, და გვერდის ბოლოს შენიშვნის სახით: „ეს ლექსი დაბეჭდილია 1854 წლის გამოცემაში და იქ ალ. ჩიქოვანს ეძღვნება 31“.
- გვ. 48. ლექსს „ცრემლი ალაზნისა“ მიწერილი აქვს: „აკაკის აქვს ასეთი ლექსიც ალაზანზედ: „ოცნება“.
- გვ. 64. ლექსს „ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ“ მიწერილი აქვს: „აკაკის აქვს ასეთი ლექსიც“.
- გვ. 78. ლექსს „ალლა-ვერდი“ მიწერილი აქვს: „(სოლოგუბისა)“.
- გვ. 80. ლექსში „ჩემო თვალის სინათლე“ – მოხაზულია პირველი სამი სტრიქონი და არშიაზე: „ილია“.
- გვ. 85. ლექსის „ჩემს შვილს გიორგის“ სათაურში ხაზგასმულია: „გიორგის“. მთელი ლექსი მოხაზულია და არშიაზე: „ვიცნობ, არ შეუსრულებია“.
- გვ. 86. ლექსს „ნანა“ შენიშვნის სახით მიწერილი აქვს: „ილიას „ნანა“ აქედან არი. ეს წინ არის დაბეჭდილი. – იხ. „ცისკარი“, 15“.
- გვ. 162. ტექსტის ბოლოს ფანქრით: „ამასვე ეკუთვნის:

„ავალ – ავალ – ავდივარ  
ავალ – ამიხარია,  
ჩავალ – ჩავალ – ჩავდივარ,  
ჩავალ – ჩამიხარია.

ბეთანიის გზაზე ნათქვამი (კახეთში მოგზაურობიდან) იხ. აკაკის მოგონებანი. ი. გრ.“

კანის მე-3 გვ.: „ამასვე ეკუთვნის „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“ (იხ. „ცისკარი“, 1872, სექტ., გვ. 466)“.

კანის მე-4 გვ.: „ნანა“, გვ. 86“.

მეორე ცალის კანზე წარწერა: „არხიმანდრიტ გრიგოლ დადიანს ექვთიმე ხელაძისაგან“. იქვე: „ღუბ.“

2144–2146. კერესელიძე ი. ლექსები. თბ., 1958.

თავფურცელზე: „ჩემო თვალის სინათლე! გვ. 41“.

გვ. 37. ლექსი „ჩემს მეგობარს“ მოხაზულია, არშიაზე: „რითმა?“

გვ. 41. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „ჩემო თვალის სინათლე“, მიწერილია: „გ. სკ.“ „ი. ჭ.“

გვ. 47. ლექსში „გაზაფხული“ ხაზგასმულია: „მწვანილი, ყველი, საღვინე სველი, მასში კახური ღვინო წითელი“, მიწერილია: „გრ. ორბ.“

2147–2148. კერესელიძე ი. ცოლები დავკარგეთ. ვოდვეილი 1 მოქმ. გადმოკეთ. ივ. კერესელიძისაგან. 1857 წელსა. – ამონაჭერი: „ცისკარი“, 1860, № 10.

ხელნაკეთ კანზე: „ცოლები დავკარგეთ! ი. გრ.“

თავფურცელზე: „(გავაკეთე ჟ. „ცისკრიდან“ (ღუბ.) 1860 წ., № [10] ოქტომბრისა. ი. გრ.“

მეორე ცალის ხელნაკეთ კანზე: „ცისკარი“, 1860, ოქტ. №-რი.

ამავე სათაურით ალექსანდრე გარსევანოვმა გამოსცა ეს კომედია და თავის თხზ. გაასაღა. დაბეჭდ. ცალკე 1881 წ. (მე მაქვს). ი. გრ.“

2149. კერესელიძე კ. „ემშაკი“. პიესა 4 მოქმ. და 6 სურ. ტფ., 1930.

2150–2152. კესაშვილი ღ. ბაში-აჩუკი. ისტ. დრამა 5 მოქმ. აკაკის მოთხრობიდან გადმოკეთ. დრამა დაჯილდოებული აკაკის ხელისმოწერით. ქუთაისი, 1914.

2153. კეშელავა ბ. ლექსები. თბ., 1950.

თავფურცელთან გაზეთიდან ამოჭრილი თ. წიგნაძის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „ბოლშევიკური სიტყვა“ (ხაშური), 1950, 20 აგვისტო, № 68“.

2154. კეშელავა ბ. გულის პასუხი. ლექსები. თბ., 1955.

2155. კვირა რკინაელი. ანთებული გული. მაქსიმ გორკის მოთხრობა – „იზერგილი“-დან გადმოკეთებული. [თბ.], 1922.

ავტორის ფსევდონიმთან: „[ა. აბაშელი] ი. გრ. 1922“.

იქვე: „ა. აბაშელის რედაქციით“.

სათაურის ქვემოთ: „პიესა 1 მოქმ.“

გვ. 3. ხაზგასმულია: „გლახასავით“, მიწერილია: „მათხოვარსავით“.

2156. კვირკველია დ. მთაში. [მოთხ.]. ქუთაისი, 1934.

2157. კვიციანი დ. გზა. ლექსები. პოემა. თბ., 1959.

ფორზაცზე წარწერა: „ქართული პოეზიის სიამაყეს, ერის სასიქადულო პოეტს, საყვარელ ადამიანს, პატივცემულ სოსოს მოკრძალებით ავტორისაგან! 15 მაისი. 1960 წ., ქუთაისი“.

2158. კიბუცაძე ი. სამი მოთხრობა. თფ., 1906.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1930. 12/XII“.

2159. [კიკვაძე თ.] პატარა მოთხრობა. თხზ. თ. კ-ძისა. თბ., 1889.

კანზე გახსნილია ავტორის კრიპტონიმი: „თევდორე კიკვაძე. ი. გრ.“

2160. კიკვაძე მ. სხვადასხვა ლექსები. ტფ., 1920.

2161. კიკვაძე ნ. ღირსეული მეუღლე. პიესა 4 მოქმ. და 7 სურ. თბ., 1950.

2162–2163. კილასონია ნ. ლექსები. თბ., 1954.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ მია სოსოს სიყვარულით! სიყვარულით! ავტორისაგან. 1954. ივნისი“.

2164. კილასონია ნ. ლექსები. თბ., 1959.

2165–2169. [კინწურაშვილი მ.]. იასამანი. თხზულებანი. ტ. 1. ლექსები. თბ., 1922.

შმუცტიტულზე წარწერა: „უტყუარს ნიჭს, ენერგიულ პოეტს ი. გრიშაშვილს პატივისცემის ნიშნად. ავტორისაგან. 19.20.VI. 22 თფილისი“.

თავფურცელზე ავტორის ფსევდონიმთან: „მიხეილ კინწურაშვილი“;

წიგნის უკანასკნელ გვერდზე: „ტეხნიკ. – 1. მაღლაა აწეული ტექსტი. 2. თარიღი. ვინაიდან ყველა ლექსს უზის ეგრეთწოდებული „ციფრკოლონა“. ზევით უნდოდა“.

წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი წარწერით: „ლექსი „პოეტს“ – ჩაგრული ხალხის გამოქომაგება – პოეტს კი თავისი ბუნებრივი დანიშნულებით ეს სრულიად არ ევალება. იასამანი უფრო ლირიკოსია, ნაზი, ჩვენ აქ უფრო მოგვწონს. ლიტერატურული ეთიკა მოითხოვს, როცა მწერალი თვითონაც თანაზიარია თავის წიგნის გამოცემისა, თავი შეიკავოს სურათების ჩაკერისაგან წიგნში“. იქვე მინაწერები, „როგორც ისტორია შეიძლება კარგი იყოს. შხეფელი, მიმოზა, (მალაქიაშვილი) – იყო ფსევდონიმი იასამანის“.

წიგნში დევს „მნათობი“-დან ამოჭრილი რეცენზია იასამანის წინამდებარე წიგნზე.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ნიჭიერს დრამატურგს, ღრმად პატივცემულს ტრიფონ რამიშვილს. იასამანი. 1922. 23/VI დედაქალაქი“.

მიწერილია: „ვიყიდე ბაზარზე, 1930. 15/IV. ი. გრ.“

2170. კინწურაშვილი ა. იუმორისტული მოთხრობები. თბ., 1957.

კანზე ავტორის ქვემოთ: „ირაკლი აბაშიძე (?)“

2171. კირვალიძე ვ. გამწარებული მოხუცი. (ამბავი). თბ., 1904.

2172–2173. კლდიაშვილი დ. თხზულებათა სრული კრებული. ს. კლდიაშვილის რედ. და გ. ნატროშვილის წინასიტყვ., ტ. 1–2. ტფ., 1933–1935.

ტ. 1. მოთხრობები. 1933.

ტ. 2. მოთხრობები. პიესები. მემუარები. 1935.

ყდაზე: „ი. გრ. 1935. 14/XII“. სათაურის ქვეშ: „II“.

2174–2175. კლდიაშვილი დ. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. თბ., 1952.

ტ. 1. 1952.

ტ. 2. 1952.

2176–2178. კლდიაშვილი დ. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტფ., 1926.

- ტ. 1. მოთხრობები.
- ტ. 2. მოთხრობები.
- 2179–2181. კლდიაშვილი დ. ბაკულას ღორები. სურათი. ტფ., 1926.  
თავფურცელზე წარწერა: „საუკეთესო პოეტს და ადამიანს ი. გრიშაშვილს. ვ. გორგაძისაგან.“
- 2182–2184. კლდიაშვილი დ. ბაკულას ღორები. [მოთხრობა. თბ., 1941].  
კანზე: „ი. გრ. 1941“.
- 2185–2186. კლდიაშვილი დ. დარისპანის გასაჭირო. სურათი 1 მოქმ. – ამონაჭერი: „მოამბე“, 1904, № 2.
2187. კლდიაშვილი დ. დარისპანის გასაჭირო. სურათი 1 მოქმ. ამოღებულია წიგნიდან: „დ. კლდიაშვილი. მოთხრობები. 1911.  
თავფურცელზე: „დავით კლდიაშვილისა. 1911 წლ. გამოცემიდან. ი. გრ.“
- 2188–2190. კლდიაშვილი დ. დარისპანის გასაჭირო. ხუმრობა 1 მოქმ. თბ., 1941.  
კანზე: „ი. გრ. 1941. 17. IV.
- 2191–2192. კლდიაშვილი დ. დარისპანის გასაჭირო. (სურათი 1 მოქმ.), თბ., 1947 [კანზე: 1948].
2193. კლდიაშვილი დ. ირინეს ბედნიერება. სურათი სოფლის ცხოვრებიდან, 2 მოქმ. ამონაჭერი: „მოამბე“, 1897, № 12.  
აკინძულია წიგნთან: ერვიე, პ. „ბრჭყალები“ და სხვ.
- გვ. 58. სათაურის წინ უცნობი პირის ხელით: „სუფლიორისაა!“ იქვე ი. გრ. ხელთ. „2 დეკემბერი. ი. გრიშაშვილი. 1910 წ. სუფლიორი ი. გრ. 1910 წ. ხაზები ჩემია“.
- 2194–2195. კლდიაშვილი დ. ირინეს ბედნიერება. სურ. სოფლის ცხოვრებიდან. 2 მოქმ. თბ., 1947 [კანზე: 1948].
2196. კლდიაშვილი დ. მოთხრობანი. ტფ., 1901.
- 2197–2198. კლდიაშვილი დ. მოთხრობები. ტ. 1–2. ბათუმი, 1911.
- ტ. 2. თავფურცელზე წარწერა: „ჩვენი გულის გამხარებელს ძვირფას ს. გრიშაშვილს. დავით კლდიაშვილი, მარტი. 8. 1912 წ.“ იქვე დევს გაზეთებიდან ამოჭრილი: 1. „დავით კლდიაშვილის გარდაცვალების გამო“ მინაწერით: „კომ.“, 1931, № 96“. 2. ცნობა „დ. კლდიაშვილის გარდაცვალება“ მინაწერით: „კომ.“, 1931, 25 მაისი“.
- წიგნი საგანგებო ყდაშია ჩასმული. ყუაზე ამოტვიფრულია: „დავ. კლდიაშვილი. 1-2. – გრიშაშვილი“.
2199. კლდიაშვილი დ. მოთხრობები. თბ., 1937.  
თავფურცელზე: „ბასტა რუსული არ არის, 147“.
2200. კლდიაშვილი დ. მოთხრობები. თბ., 1947.
2201. კლდიაშვილი დ. მოთხრობები. თბ., 1959.  
კანზე: „ი. გრ. ბორჯომი, 1960, აგვისტო“.
2202. კლდიაშვილი დ. მოთხრობები და პიესები. თბ., 1947.
2203. კლდიაშვილი დ. ორი მოთხრობა: სოლომონ მორბელაძე. როსტომ მანველიძე. ტფ., 1930.
- 2204–2205. კლდიაშვილი დ. სამანიშვილის დედინაცვალი. მოთხრობა. ტფ., 1926.  
წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი გ. ქიქოძის წერილი „დავით კლდიაშვილი“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1940, № 7.“



2206. კლდიაშვილი დ. სამანიშვილის დედინაცვალი. მოთხრობა. ტფ., 1935.
2207. კლდიაშვილი დ. უბედურება. სურათი ერთ მოქმ. ამონაჭერი.
- 2208–2210. კლდიაშვილი დ. უბედურება. (სურ. 1 მოქმ.). თბ., 1947.  
თავფურცელზე: „დ. კლდიაშვილი. ი. გრ. 1948. 11/II“.
- 2211–2212. კლდიაშვილი ს. აზნაურ დახუნდარელის უცნაური თავგადასავალი ტფ., 1927.
2213. კლდიაშვილი ს. აზნაურ დახუნდარელის თავგადასავალი, მე-2 შესწ. გამოც. თბ., 1936.
2214. კლდიაშვილი ს. აპრილის საიდუმლოება. [იუმორისტული მოთხრობები]. თბ., 1958.
2215. კლდიაშვილი ს. ბრიგადირის ქორწინება. [პიესა]. თბ. 1947.
2216. კლდიაშვილი ს. გმირთა თაობა. [პიესა 4 მოქმ.]. ტფ., 1937. 153 გვ.
2217. კლდიაშვილი ს. გმირთა თაობა. პიესა 4 მოქმ. [თბ.], 1937, 96 გვ.
2218. კლდიაშვილი ს. მარტოობა. პიესა 7 სურ. თბ., 1958.
2219. კლდიაშვილი ს. მოთხრობები. წ. 1. ტფ., 1933.  
წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი ს. ფურცელადის რეცენზია მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1934, № 214“.
2220. კლდიაშვილი ს. ნოველები. ტფ., 1938.  
ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ, ძვირფას ი. გრიშაშვილს – ს. კლდიაშვილი. 4. IV. 38“.
2221. კლდიაშვილი ს. ნოველები. თბ., 1960.
2222. კლდიაშვილი ს. ნოველების წიგნი. თბ., 1946.  
ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. შ. აფხაიძის რეცენზია „სერგო კლდიაშვილის ნოველები“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1946, 1 დეკემბ., № 46“. 2. გ. ლომიძის წერილი „ერთი ნოველის გამო“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1946, № 48, 15 დეკემბ.“
2223. კლდიაშვილი ს. პროვინციის მთვარე. [რომანი]. ტფ., 1929.
2224. კლდიაშვილი ს. ფერფლი ქრონიკები. [თბ.], 1932.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1933. 18/X“.
2225. კლდიაშვილი ს. ციციხო გურიელი [მოთხრობა]. ტფ., 1930.
2226. კლიმიაშვილი ა. ყვავილი. ლექსები. ტფ., 1913.  
გვ. 9. ლექსთან „მთვრალი ვიყავი“ მინაწერი: „იხ. ჩემი I ტომი „მთვრალი გეგონე?“  
გვ. 10. ლექსში „გასწი გამშორდი!“ ხაზგასმულია: „კმარა რაც მასვი სიმწრის ფიალა“.  
მიწერილია: „იხ. ჩემი პირველი ტ. „ჩამომეხსენი““.
- 2227–2229. კობალაძე დ. ლექსები. თფ., 1901.
2230. [კობახიძე პ.] საცოლოც მოიგო. (კომ 3 მოქმ.). გადმოკ. პ. ხეთელის მიერ. ტფ., 1929.  
ხაზგასმულია გადმომკეთებლის გვარი და მიწერილია: „პიერ კობახიძეა. ი. გრ.“.
2231. კობიძე დ. ლითონის ფრინველები [ლექსები], წიგნი 1-ლი. ტფ., 1924.  
კანზე: „ი. გრ. 1924, 11 აგვისტო. წალვერი“.  
კანის მე-4 გვერდზე წერია: „1. როგორც ბავშვის ლექსებს – არა უშავს-რა. 2. მომწონს ის რომ ავტორი რითმების ლოთი არ არის და არ მისდევს სხვა ეპიგონებს, სწერს არა რითმისათვის, არამედ რითმა რევანშს უკეთებს ავტორის განცდებს“.

- გვ. 10. ლექსში „ოქტომბრის ცხენები“ ხაზგასმულია: „გულში ჩაიკრეს დროშები ფრთხილად...“ მიწერილია: „იხ. ჩემი: „მოლა მინარეთზე“.
- 2232–2233. კობიძე დ. საქართველოს დამეები. [ლექსების მე-2 წიგნი]. ტფ., 1928.  
თავფურცელზე მიწერილია: „ქართულ მწერლობის“ რედაქციას“.
2234. კონდოლელი გ. გლახა. (პოემა). ტფ., 1897.  
წიგნი შეკეთებულია ი. გრიშაშვილის მიერ. ყუაზე: „წიგნი იოსებ მამულაშვილის“.
- 2235–2237. კორინთელი ა. ორიონი. პიესები. ტფ., 1925.  
მეორე ცალის კანზე: „(გაცისკრება) საბა-ს. ორბ-ი“.
- გვ. IV. წინასიტყვაობაში სიტყვები „რიოში“ და „ტარიგი“ სქოლიოში განმარტებულია: „\*) ყალბი, \*\*) კრავი (სამსხვერპლო)?“.
2238. კრიხელი ტ. ლექსები და პიესა. [ცხინვალი], 1956.
2239. კრიხელი ტ. ლექსები და პოემები. (კრებული). [ცხინვალი], 1942.
2240. კრიხელი ტ. სამშობლოსადმი. ლექსები და პოემა. [ცხინვალი], 1952.
2241. კუპრავა ო. ახალი ლექსები და პოემები. თბ., 1959.
- 2242–2244. კუპრავა ო. ლექსები [და თარგმანები. რედ. ი. გრიშაშვილი]. სოხუმი, 1951.
- გვ. 3. წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, ჩემს მასწავლებელ პოეტს და პირველ რედაქტორს გულწრფელი სიყვარულით. ო. კუპრავასაგან. 8/VIII. 51 წ., სოხუმი“.
- მეორე ცალში ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. ა. ციხისთავის რეცენზია „ეპიგონური ლექსები“ მინაწერით: „იხ. „ახალგ. კომ.“, 1952, № 7, 15 იანვარი“. რეცენზიის ავტორის გვარი ხაზგასმულია, მიწერილია: „ფსევდონიმი ხუტა ბერულავასი“. 2. ს. წვერავას რეცენზია მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1951 წ., № 210, 24 ოქტ.“
- მესამე ცალის გვ. 116: „რედაქტორი ი. გრიშაშვილი“.
- წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი ო. კუპრავას ლექსი „ბალადა მემანქანეზე“. მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1951, № 153. 5 აგვისტო.“
- წიგნში დევს ქაღალდის ნაჭერი მინაწერით: „აქ რედაქტორი გამორჩენილია“.
2245. კუპრავა ო. ლექსები. თბ., 1956.
- თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს. საყვარელ პოეტს და ადამიანს. ჩემი პირველი წიგნის რედაქტორს, უღრმესი პატივისცემით ო. კუპრავა. 28 აგვისტო. 1956 წელი“.
- 2246–2247. კუპრავა ო. ნაცრისფერი ყაბალახი. პოემა. სუხუმი, 1952.
- თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, საყვარელ მგოსანს, უღრმესი პატივისცემით ახალგაზრდა ავტორისაგან. 15 სექტემბერი. 1952 წელი. თბილისი“.
2248. კუპრავაშვილი ბ. ბუში. [რომანი]. ტფ., 1935.
- 2249–2251. კუჭავა შ. ახალ ცხოვრებისაკენ. პიესა 5 სურ. ტფ., 1934.
- 2252–2255. კუჭავა-პონტოელი შ. ნივთების როკვა. წიგნი 2. ტფ., 1928.
- კანზე წარწერა: „პოეტს „ცვარ-ნამს“ – ნიშნად მომავალში ყოველ მხრივ დამეგობრებისა. ავტორი“.
- 2256–2257. კუჭუხიძე პ. თებერვალი სოფლად. რევ. პიესა 2 მოქმ. გადმოკეთ. ა. გლებოვის პიესა „Расплата“-დან. კლუბებისათვის, წითელი კუთხეებისათვის და სასოფლო თეატრებისათვის. ტფ., 1931.
2258. კუხალეიშვილი გ. ომიანობის ამბები. ქუთაისი, 1914.

- 2259–2260. ლალიონი. მოთხრობები. ტფ., 1920.  
თავფურცელზე: „მ. კინწურაშვილი. 15-V-27 წ.“
2261. ლალიონი. მოთხრობები. თბ., 1949.  
გვ. 189. ავტორის ბიოგრაფიის ბოლოს: „ჩემი მასწავლებელი იყო. ი. გრ.“
2262. ლალიონი, ორი მოთხრობა. ამონაჭრები: „მოამბე“, 1895 წ., № 4, 5; 1904 წ., № 3.  
წიგნად შეკერილია ი. გრ. მიერ.  
ხელნაკეთ კანზე: „ლალიონი“.
- ხელნაკეთ თავფურცელზე: „ლალიონი (არსენ მამულაიშვილი). ორი მოთხრობა. 1. ფირალი დავლაძე, 2. რაქვიანა“. ავტორის გვართან: (+1918 წ. სექტემბრის 17-ს ახალი სტ.)“.
- 2263–2265. ლალიონი. რაქვიანა. თბ., 1940.  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1940. 19/VI“.
2266. ლარაძე პ. დილარიანი. [ზ. გულისაშვილის წინასიტყვაობით]. თბ., 1903.  
წიგნს აქვს საგანგებო ყდა. ყუაზე ამოტვიფრულია: „დილარიანი. – გრიშაშვილი“.
- გვ. 178. ხაზგასმულია სტრიქონი, მიწერილია: „ლექსად აღმოაჩინა პ. მირიანაშვილმა (იხ. მისი „განარკვი“, გვ. 81)“.
- ბოლო ფორზაცზე: „დილარიანის“ შესახებ: 1. ზ. ჭ-ქემ გამოსცა 1897 წ. (ძველი ტექსტი) 2. ე. თაყაიშვილი. იხ. „მოამბე“, 1900 წ., № II.
- წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი უავტორო წერილი „პეტრე ლარაძე. გარდაცვალების 100 წლის შესრულების გამო“ მინაწერით: 1937, № 24, ლიტ. საქართ.“
2267. ლაცაბიძე ი. [პიესა]. [ად. ა. წ. ა.].
2268. ლებანიძე მ. აფხაზეთი. ლექსები. სოხუმი. 1949.
2269. ლებანიძე მ. ლექსები. თბ., 1950.  
ყდაზე მინაწერი: „რეცენზიით“.
- რეცენზიები წინამდებარე წიგნზე, ამოჭრილი გაზეთებიდან: 1. „იყიდეო, აპოლიტიკური პოეზიის რეციდივები, მინაწერით: „კომ“. 1950. 1 სექტ., № 198“. 2. შ. ამისულაშვილის „ლექსები ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდობაზე“, მინაწერით: „ახალგ. კომ“, 1950, № 59 20/V“. 3. ა. ნემსაძის რეცენზია „მ. ლებანიძის მოთხრობების წიგნზე. მინაწერით: „Заря“, 1950, № 112. 30/V.“
2270. ლებანიძე მ. ლექსები. [თბ.] 1956.
2271. ლებანიძე მ. ლექსები. – ფიქრები. – პოემა. თბ., 1961.  
„ფორზაცზე წარწერა: „ქალბატონ ქეთევანს, იოსებ გრიშაშვილს დიდი პატივისცემით მურმან ლებანიძე. 5 ივლისი. 1961. ბორჯომი“.
- 2272–2273. ლებანიძე მ. მწვანე სიმღერა. ლექსები. თბ., 1959.  
ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს. დიდი პატივისცემით მურმან ლებანიძე. 21 იანვ. 59“.
2274. ლელაშვილი მ. ავადმყოფობა და მედიცინა. [პოემა]. თბ., 1908.
2275. ლელაშვილი მ. იასონ მწყემსი შიოშვილი. თბ., 1913.
- 2276–2277. ლელაშვილი მ. მოღალატე ძმა. (ზღაპრული პოემა). ახალსენაკი, 1895.
2278. ლელაშვილი მ. ოსმალების ომი. (პოემა). ტფ., 1912.  
თავფურცელზე: „არ არის ქართული წიგნში. ი. გრ.“
- 2279–2280. ლელაშვილი მ. შამილი. პოემა. ტფ, 1913.

2281. ლეონიძე გ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1. თბ., 1962.
2282. ლეონიძე გ. რჩეული. [ლექსები და პოემები]. თბ., 1958.
- ამონაჭერი გაზეთებიდან: „1. გ. ლეონიძის ლირიკული პოემა „თბილისი“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1958 წ., № 242, 18 ოქტ.“ სათაურთან კითხვის ნიშანი. ადგილები ხაზგასმულია. პოემის მე-6 ნაწილში სარიტმე სიტყვები „ჭრიალებს“ – „ჩაიმაჭრიანეთ“ ხაზგასმული და მიწერილი: „ხალხური“. 2. „თბილისის მომღერალი“. წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებული ცნობა მინაწერით: „ლიტ. გაზ.“, 1958, ოქტ.“.
2283. ლეონიძე გ. რჩეული ლექსები და პოემები. თბ., 1960.
2284. ლეონიძე გ. ლექსები და პოემები [ერთტომეული]. თბ., 1947.
- ფორზაცზე: „ქალაქური სიტყვები: 1. დასტა, 240. 2. ქანდირბაზი, 226. 3. პეიტარი, 354. ი. გრ. 1948, 15. I“.
2285. ლეონიძე გ. ლექსები და პოემები. თბ., 1952.
- წიგნში დევს: „1. გაზეთიდან ამოჭრილი გ. ვარდოსანიძის წერილი „მგზნებარე სიმღერები სამშობლოზე“ მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1952 წ., № 98. 14 აგვისტო“. 2. გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ 1953 წ., 16 ივნ., № 117 წარწერით: „გ. ლეონიძეზე“.
2286. ლეონიძე გ. ლექსები. პოემები. თბ., 1954.
- 2287–2288. ლეონიძე გ. ლექსები. თბ., 1939.
- კანის მე-2 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა გ. ლეონიძის პიესა „გიორგი ბრწყინვალეზე“ მუშაობის შესახებ მინაწერით: „კომ.“, 1943 წ., 3 აპრილი“.
- ფორზაცზე: „აქაური დუბლიკატი – ჩემი შენიშვნებით. კომინტ. ქ. № 5. ი. გრ.“
- 2289–2290. ლეონიძე გ. ლექსები. [თბ., 1943].
- ფორზაცზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს პატივისცემით და მეგობრობით. მატარებელზე მაგვიანდება. გ. ლეონიძე. 8 აგვისტო. 1943.“
- გვ. 28–31 ლექსის „ქართველ ოსტატებს“ ბოლოს მიწერილია: „მნათობშიც დაიბეჭდა“. ამავე გვერდზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი გ. ლეონიძის ლექსი „ქართველ ოსტატებს“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1943 წ., № 227, 31 ოქტომბერი. გადაბეჭდილია წიგნიდან“. იქვე ჩადებულია გ. ლეონიძის ლექსი „Прощание“. ბ. სერებრიაკოვის თარგმანი, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „Заря“, 1944, 23 თებ., № 38“.
- გვ. 86–91, მე-5 თავის ბოლო სტროფს მიწერილი აქვს: „საიათნოვას სიტყვა“.
- გვ. 109–111. ლექსს „კახეთი“ (ნაწყვეტი) მიწერილი აქვს არშიაზე: „ეს ლექსი „კომუნისტში“ დაიბეჭდა 1943 წ. ამ წიგნის გამოსვლის ოთხი თვის შემდეგ. იხ. „კომ.“, 1943, № 218, 19 ოქტ.“. იქვე გაზეთიდან ამოჭრილი ეს ლექსი მინაწერით: „კომ.“, 1943, № 218, 19 ოქტ.“
- წიგნის ბოლოს სარჩევში შენიშვნას მიწერილი აქვს: „ვარსკვლავიანი ლექსები ყველა დაბეჭდილი იყო პერიოდულ გამოცემებში. ი. გრ.“ იქვე გაზეთიდან ამოჭრილი გ. ლეონიძის ლექსი „არ დაიდარდო დედაო“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1943, № 242, 23 ნოემბერი“.
- წიგნში დევს გაზეთის ამონაჭრები: „1. გ. ლეონიძის ლექსი „ქართველი მხედრის ნაამბობი“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1944, № 2.“ 2. შ. აფხაიძის წერილი „გიორგი ლეონიძე“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“. 1944, № 2, იანვ. 3. გ. შატერაშვილის წერილი „გიორგი ლეონიძის ლექსები“ მინაწერით: „კომ.“. 1944, № 37, 22 თებ. აკადემიის არჩევნების დღეს – ორი ცალია. 4. გ. ლეონიძის ლექსი „ქართველ პარტიზანებს“,

მინაწერით: „კომ.“, 1944, № 97, 14 მაისი“. 5. გლ. ლეონიძის ლექსი „შინმოუსვლელი სადა ხარ“... მინაწერით: „კომ.“, 1944 წ., № 104, 24 მაისი“. 6. გ. ლეონიძის ლექსი „უკვდავი არის თავისუფლება“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1944, № 21, 16 ივნისი.“ 7. გ. ლეონიძის ლექსი „რას ამბობენ მტკვარი და არაგვი მცხეთაში“ მინაწერით: „კომ.“, 1944, 27 აგვისტო, № 174“. 8. გაზ. „ლიტ. და ხელოვნების“ 1944 წლ. 22 სექტ. № 32-დან ამოჭრილი გ. ლეონიძის ისტ. დრამის „გიორგი ბრწყინვალეს“ ნაწყვეტი“.

მეორე ცალის ყდაზე: „ბუკინისტთან ვიყიდე (იხ. თავფურცელი)“.

ფორზაცზე: „ეს წიგნი ვიყიდე აკად. მაღაზიაში – (სუმბათა). გ. ქიქოძის მიერ გაყიდულ წიგნებში ერია: – შიგ ქიქოძის შენიშვნებია. ი. გრ. 1946. 16/IV. გვ. 98, 99, 42, 32, 17.“

2291. ლეონიძე გ. ლექსები. თბ., 1944.

კანის მეოთხე გვ: „ი გრ. 1945. 25 მარტი“.

თავფურცელთან ჩადებულია ქალაქი მინაწერით: „ჰკითხეთ კვალად კოლხიდას, იმოწმეთ ზღვისა კიდეები, ფაზის მდინარემ გითხრასთ საქმე. რაც ჰქმნეს დიდები“. – ბეგლარ ორბელიანი. (დ. ჩუბ. ქრისტ. ტ. II, 1846 წ., გვ. 239)“.

2292. ლეონიძე გ. ლექსები. სუხუმი. 1950.

2293. ლეონიძე გ. ლექსები. თბ., 1951.

ფორზაცზე: „1952. 18 თებ. ი. გრ.“

2294. ლეონიძე გ. ლექსები. [თბ.] 1959.

2295. ლეონიძე გ. მუხის ფოთოლი. [ლექსები]. თბ., 1961.

თავფურცელზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს ძმური სიყვარულით – ავტორი. 27/II 62“.

2296. ლეონიძე გ. ნატვრის ხე. [მოთხრობები]. თბ., 1962.

2297. ლეონიძე გ. სამგორი. ამბავი თბილისისა და სამგორისა. საგმირო ეპოპეა. თბ., 1947.

ყდის მეორე გვ.: „ქალაქური სიტყვები: სართი, 39.“

ბოლოს გაზ. „კომუნისტის“ 1948 წ., 28 აპრ., № 85-დან ამოჭრილი ანონიმური რეცენზია „პოემა „სამგორის“ შესახებ“. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „(გ. ჯიბლაძე)“. აქვე გ. ლეონიძის ინტერვიუ პოემა „სამგორზე“ მუშაობის შესახებ, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „Заря“, 1947 წ. 19 სექტ., № 186.“

2298. ლეონიძე გ. სამგორი. ამბავი თბილისისა და სამგორისა. საგმირო ეპოპეა, მიძღვნილი თბილისის 1500 წლისთავისადმი. თბ., 1950.

წიგნში გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1948 წლ. 1 მაისის № 17-დან ამოჭრილი გ. ჯიბლაძის წერილი „სიმბოლიზმის ნამსხვრევები“. შენიშვნები გიორგი ლეონიძის პოემაზე „სამგორი“.

2299. ლეონიძე გ. სამგორი. [პოემა], თბ., 1957.

2300. ლეონიძე გ. სამშობლო. სტალინი. [ლექსები]. თბ., 1942.

კანზე: ი. გრ. 1942. 20/VII.“

წიგნში გაზ. „კომუნისტიდან“ ამოჭრილი გ. ლეონიძის პოემა „ქართველ მხედრებს“ მინაწერით: „1942 წ., 5/IX. № 211.“

2301. ლეონიძე გ. სტალინი. ლექსები კრებული. [თბ.], 1939.

ფორზაცზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს ძმურად, მეგობრულად. გ. ლეონიძე. 2. II. 40“.

2302. ლეონიძე გ. სტალინი. ბავშვობა და ყრმობა. ეპოპეა. წ. 1. თბ., 1939.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1940. 14/1“.

წიგნში გაზეთის ამონაჭრები: 1. გ. ლეონიძის „ლირიკული ლექსები“ მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1939, № 19, 30 ივნისს“. 2. გ. ნატროშვილის წერილი „გიორგი ლეონიძე“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1940 წ., № 30, 30 ოქტ.“. აქვე მიკრულია ბარათი: „ჩემო კარგო სოსო! მოსკოვისთვის მჭირდება გოგლა ლეონიძის ლექსი (სტალინზე), რომელიც თამარა ჭავჭავაძემ წაიკითხა კრემლში, თუ გაქვთ, გთხოვთ რომ გადმომიწეროთ. ხვალ საღამოთი მივდივარ მოსკოვში. საღამი. ბოდიში შეწუხებისათვის. ანი“. [ანი ვარდიაშვილი]. 3. გ. ლეონიძის ლექსი „თოლია“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1940, № 34“. 4. გ. ლეონიძის ლექსი „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ მინაწერით: „კომ.“, 1941, 2 ივლ.“. 5. გ. ლეონიძის ლექსი „წინ სტალინურ არწივო!“ მინაწერით: „კომ.“, 1941, 22 ივლისი, № 171.“ 6. გ. ლეონიძის ლექსი „ხმალი კვლავ გავაკამკამოთ“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1941, № 177, 29 ივლისი“. 7. გ. ლეონიძის ლექსი „მხედარი პირტახია“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1941, № 189. 12 აგვისტო“.

2303. ლეონიძე გ. სტალინი. ეპოპეა. წ. 1. ბავშვობა და ყრმობა. თბ., 1949.

გვ. 8. მე-4 სტროფის არშიაზე: „გ. ტ.“. იმავე გვერდის ბოლო სტროფის არშიაზე: „ხმალი სტიროდა“.

გვ. 17. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „ფარულად, გრიგალ-ქარულად“ და მიწერილია: „ჩემი რიტმია (იხ. „შენ გაირყვნები“)“.

გვ. 18. მეოთხე სტროფის არშიაზე: „რა?“

გვ. 23. ხაზგასმულია „თევზი“. მიწერილია „ხრამული“.

გვ. 24. მეორე სტროფი მოხაზულია არშიაზე: „ჩემი რიტმები“.

გვ. 33. ხაზგასმულია: „გორი – ქართლის მეთაური“, არშიაზე: „აკაკი“.

გვ. 46. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „გამოვა, გამოვა“ და მიწერილია: „ქართული რიტმა არ არის, რუსულად კარგი გამოვა“.

გვ. 47. ხაზგასმულია: „მით ძვალი მაგარი არი?“ არშიაზე: „ცეზურა?“, შემდეგი სტროფის არშიაზე: „ჩემი ლექსიდან“.

გვ. 48. ბოლო სტრიქონი ხაზგასმულია და მიწერილი: „ქარი?“.

გვ. 51. ხაზგასმულია: „ცხვრისთავის ტოლა“, მიწერილია: „ა. ცაგარელი“.

გვ. 101. ხაზგასმულია: „ჩოხის ნაგლეჯი მიაგდო ვაჟკაცის ბანზე ნიაგმა“, მიწერილია: „აბა ნიაგმა როგორ უნდა მიაგდოს, „ნიავი“ ხომ ქარიშხალი არ არის – დღევანდელი გაგებით“ იქვე ბოლო სტროფს მიწერილი აქვს: „ნაძვის ხე ისე ვერ ჩამოიხლიჩება. რომ გმინვა ისმოდეს“.

გვ. 114. ხაზგასმულია: „პატარაა, რას ჰბედავს?“ – მიწერილია: „იხ. ა. ახნაზ. „უეჭველია“.

გვ. 115. ხაზგასმულია მე-4 სტროფში „კენარი“, მიწერილია: „კენარი მაღალს ნიშნავს. იხ. გვ. 12“.

გვ. 133. პირველ სტრიქონში მოხაზულია: „სოსელო“, არშიაზე: „ეს სიტყვა პირველად მე ვიხმარე ლექსში (ი. გრ.)“, შემდეგ სტროფში ხაზგასმულია: „ბულბული ბოლოგამლილი“, მიწერილია: „ბულბული განა ფარშავანგია?“.

გვ. 148. ხაზგასმულია: „ენას მგლეჯს...“, მიწერილია: „აკაკი“.

2304. ლეონიძე გ. ფორთოხალა. – ბერშოულა, [პოემები]. თბ., 1952.
2305. ლეონიძე გ. ქართველ მეომრებს. [პოემა]. თბ., 1944.
- კანის მე-4 გვერდზე: „ი. გრ. 1944. 1/II“. იქვე წიგნში დევს გაზეთის ორი ამონაჭერი: 1. გ. ლეონიძის ლექსი „სამშობლოს“, მინაწერით: „კომ.“, 1945, № 1“. 2. გ. ლეონიძის წერილი „პოეზიის ხალხურობისათვის“, მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნება“, 1944, № 13.“
2306. ლეონიძე გ. ქართლის ბაღი [ლექსები]. თბ., 1947.
- ყდაზე: „იხ. ბოლო“.
- ფორზაცზე: „ი. გრ. გამოვიდა 1947. 16. II.“
- გვ. 3. ლექსში „ქართლის ბაღი“ მე-6 სტროფში ხაზგასმულია: „ფირუხქარით“, მიწერილია: „ფირუხქარი – ძვირფასი ქვაა. ი. გრ.“
- გვ. 20–21. ლექსის „დედა-ენა“ არშიაზე: „7 მარცვალი, 8 მარცვ.“
- გვ. 55. ლექსში „ჰეი არწივნო!“ პირველ სტროფში ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები და მიწერილია: „იხ. ჩემი „შენ გაირყვნები“ („ექვსი ლექსი“)“.
- გვ. 59. ლექსის „არ დაიდარდო დედაო!“ სათაურთან: „ხალხურ ყაიდაზე“.
- გვ. 85. ლექსში „მეტივეები“ ხაზგასმულია: „მოსაღამურდა“, მიწერილია: „ჩემია „ასაღამურდა!“
- გვ. 86–88. ლექსის „ძველი დაირა“ ბოლოს ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „ოცნება“, „გაკოცნება“, მიწერილია: „ჩემია“.
- გვ. 97. მოხაზულია ლექსის დაწერის თარიღი „1936“ და მიწერილია: „როგორც ლექსი კარგია, მაგრამ თანამედროვეა?“
- გვ. 116–117. ლექსში „სოლომონ ლეონიძეს“ ხაზგასმულია: „მე. ლეონიძე“ და მიწერილია: „მე, ლევანიძე“.
- გვ. 118–119. ლექსში „საათნავა“ ხაზგასმულია ადგილები, შესწორებულია საიათნოვადან მოყვანილი ადგილები. ბოლო სტროფში ხაზგასმულია: „ქანდირბაზი“, მიწერილია: „ქანდირბაზი თოკზე მოთამაშე (იხ. საათნ.“)
- გვ. 128. „ხეებზე დაწერილი ლექსების“ მე-3 სტროფს მიწერილი აქვს: „ეს ჩემი ლექსის მიბაძვაა „მტკვარი და არეზი“.
- გვ. 129. ლექსს „სიმღერა თარზე“ მიწერილი აქვს: „თუმანიშვილის მიბაძვა“.
- გვ. 131–132. ლექსში „კახეთი“ ბოლოში ხაზგასმულია: „მაბამ ოქროს დიელო“, არშიაზე: „ა. შ.“.
- წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „1. სიმღერა თარზე, (გვ. 129). 2. საათნავა, 113. 3. საზანდარი, 67. 4. გიშერთვალა ვირი, 71“.
- გაზეთებიდან ამოჭრილი: „1. გ. ლეონიძის ლექსის „სალამი უკრაინას“ ბ. სერებრიაკოვისეული რუსული თარგმანი, ამოჭრილი „Заря Востока“-დან მინაწერით: „1948 წ., № 18, 25 I“. 2. გ. ლეონიძის ლექსი „თბილისს“. ამოჭრილი გაზ. „კომუნისტის“ 1947 წ. 14 თებერვლის ნომრიდან. ლექსში ხაზგასმულია ზოგიერთი რიტმა და არშიაზე მიწერილია: „ჩემი“. 3. ს. ოდიშელის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1947, № 40, 25 თებ.“
2307. ლეჟავა გ. ლექსები. თბ., 1944.
- კანის მე-2 გვერდზე წარწერა: „ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით – გიორგი ლეჟავა“.

„მწვავდა სიმღერა მზეს ვსახავდი მშობლიურ ქნარად,  
ვაჟკაცურ ქნარზე ჩვილ-სიყრმიდან ოცნება ტოკავს,  
სოსო ძვირფასო! პოეზიამ ზეამაქანა  
და ჩემი სული ზღვადატეხილ ქარიშხალს მოგავს!

გ. ლ.“

კანზე: „მივიღე ავტორისაგან. ამ წიგნის ფაქტიური რედაქტორი მე ვიყავი. ი. გრ. 1944. 19/XII“.

2308. ლექავა გ. ლირიკა. თბ., 1957.

2309. ლესელი პ. ორი კომედია: ვაი დროებას! კომედია ხუმრობა. 1 მოქმ. არეული მონასტერი. კომედია-ხუმრობა 1 მოქმ. თბ., 1919.

2310–2311. ლიონიძე ს. მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ლერკულეს ნეტარების ღირსისა. XVIII საუკუნის ავტოგრაფიული ხელნაწერის მიხედვით ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა. თბ., 1957. ყდაზე და კანზე: „სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე“.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს – ჩემს უსაყვარლეს პოეტსა და ადამიანს – ნიკოლოზ კანდელაკისაგან. 24. VII. 57. თბილისი“.

2312. ლისაშვილი ი. თხზულებანი. 2 ტომად. ტ. 1. თბ., 1960.

ფორზაცზე წარწერა: „გამოჩენილ ქართველ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. იაკინთე ლისაშვილი. 24/XII. 60 წ.“

გამლილ ფურცელზე სიტყვაში „ორტომეული“ ხაზი აქვს გადასმული „ორ“-ს და მიწერილია: „ოთხ.“

2313. ლისაშვილი ი. გამლილი ფრონტი. ტფ., 1931.

2314. ლისაშვილი ი. ერთგულება. რომანი. თბ., 1958.

თავფურცლის მეორე გვერდზე წარწერა: „გამოჩენილ პოეტს – აკადემიკოსს იოსებ გრიშაშვილს. იაკინთე ლისაშვილი. 19/XI 58 წ.“

2315. ლისაშვილი ი. ვარდნილი. რომანი. ტფ., 1933.

წიგნში დევს 1934 წლის გაზეთიდან ამოჭრილი ვ. ლუარსამიძის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „კომუნ.“, № 80.“

2316. ლისაშვილი ი. ზვირთების ქარავანი. (პოემა). ტფ., 1926.

თავფურცელზე წარწერა: „დამსახურებულ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 17/III-26 წ.“

2317. ლისაშვილი ი. კადონა. ტფ., [1934].

ფორზაცზე წარწერა: „ნიჭიერ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. ი. ლისაშვილი. 17/III. 35 წ.“

2318. ლისაშვილი ი. კერპი. [მოთხრობები]. თბ., 1960.

ფორზაცზე წარწერა: „საქართველოს სახალხო პოეტს-აკადემიკოსს, ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს იოსებ გრიშაშვილს – სიყვარულით იაკინთე ლისაშვილი. 4-I-61 წ.“

2319. ლისაშვილი ი. კეცხოველი. რომანი. თბ., 1941.

თავფურცელზე წარწერა: „ცნობილ პოეტს მეგობარს იოსებ გრიშაშვილს – ავტორისგან“.

თავფურცლის მეორე გვერდზე: „ყველგან ამ თავში ლადოს ნაცვლად უნდა იყოს „ლადიკო“. ი. გრ.“



ფორზაცზე: „მოველ სრულ 9 საათზე. მეკარე დამხვდა: სასახლეში სოლონო თავაძეა და რაღაცას სწერსო. მასთან მოვიდა შერმანი. 291/2 საათია, ისევ მალე წავიდა, მე-5 საათამდე დავრჩი. 14-IX“.

ფორზაცზე გაზეთიდან ამოჭრილი ქრონიკალური ცნობა: „რომანის „ლადო კეცხოველის“ საჯარო განხილვა“ და ჟღენტის წერილი „Книга о пламенном революционере. И. Лисашвили-Кецховели“ მინაწერით: „Заря Востока“, 1941, № 107, 9 მაისი“.

2320. ლისაშვილი ი. კეცხოველი. რომანი. თბ., 1949.

2321. ლისაშვილი ი. კეცხოველი რომანი. თბ., 1953.

2322. ლისაშვილი ი. მანქანების ჭრაქები. ლექსები და მინიატურები. თბ., 1953.

კანზე: „ი. გრ. 1/VI. 23 წ. „ჭრაქები? თუ „ჩირაღები?“

ავტორის ფსევდონიმის ქვეშ: „ხომერიკი“.

2323. ლისაშვილი ი. მოთხრობები ომზე და შრომაზე. თბ., 1942.

ფორზაცზე: „ცნობილ პოეტს, მეგობარს იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 5. VIII. 42 წ.“. იქვე: „ილიას სიტყვები არეულია, გვ. 21“.

მითითებულ ადგილზე: „არეულადაა მოყვანილი. ი. გრ.“

2324. ლისაშვილი ი. პოემები. თბ., 1935.

2325. ლისაშვილი ი. სიცოცხლისათვის. რომანი. ტბ., 1946.

2326. ლისაშვილი ი. ძახილი მთაში. რომანი. ტფ., 1937.

გვ. 47. ლექსში „სამი მწუხარება“ ხაზგასმულია: „(ა. საფოსი)“, მიწერილია: „თარგმანი. ა. საბო (ვენგრელი პოეტი) თუ რუმინელი“.

გვ. 51. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „მ. ფაზელის სიკვდილზედ“, ბოლოში მიწერილია: „(„ივერია“)“.

გვ. 60. ლექსთან „მ-ს“ მიწერილია: „[შალვა დადიანის დას – მამოს]“.

2680–2681. მეგრელიშვილი გ. (ტყის ასული). ყვავილის ჩრდილში. ლექსები. ტფ., 1927.

თავფურცელზე ბეჭედი: „მორის ფოცხიშვილის წიგნებიდან“.

2682. მეგრელიშვილი ს. საჯაოხური ხუმრობა. იუმორისტ. ნაწერები. წიგნი 1-ლი ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. – 21 ივლისი, 1926. ვოგზალი“.

სათაურის გასწვრივ მიწერილია შენიშვნის ნიშანი და ქვევით ჩამოტანილია: „\*) სადგური „საჯავახო“, ამბობენ საჯაოხური ხუმრობა ნახევრად მართალიაო. ი. გრ.“

გვ. 36. ხაზგასმულია: „თედო ღლონტის ავტომობილაი“. მიწერილია არშიაზე: „ჩემია“.

2683. მეგრელიშვილი ს. ძირს რეჟიმ ეკონომია?!... იუმორისტ. ნაწერების მეორე წიგნი. ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 27/IV“.

2684–2685. მეგრელიძე ლ. მშობლიური ცის ქვეშ. დღიურები და ქრონიკები. 1901–1906, თბ., 1955.

ფორზაცზე მიკრულია ლ. მეგრელიძის წერილი ი. გრიშაშვილისადმი: „პატ. სოსო! მენანება თქვენს არქივში ჩემი წიგნი რომ არ არის. ეს წიგნი ჩემს ბავშვებს გამოვართვი და გიგზავნი. ეს არის მართალი წიგნი. ნამდვილი ხალხის გულიდან. მე ხელმძღვანელობის გზით არ წარმომართავს ეს წიგნი. აქ სჩანს ხალხის შეგნებული ბრძოლა რევოლუციისათვის. სხვას რომ დაეწერა ეს წიგნი სხვა ბედი ეწვეოდა, მაგრამ მწერალთა კავშირში ამ წიგნის ხსენებაც არ სურთ. ეს წიგნი შორეულ პატიოსან მკვლევარს მაინც არ გამოადგება. აბლაბუდებით არ არის დაბლანდილი. ლ. მეგრელიძე.“

სიამოვნებით წავიკითხე სოსო, შენი წიგნი. ცოცხალ ადამიანს მუდამ სწყურია სიყვარული“.

გვ. 49. გადახაზულია სიტყვა „ამოჰკიდა“ და არშიაზე: „წამოიწყო“.

გვ. 95. სიტყვა „ჰერმერს“ გასწორებულია „ჰერმესს“.

გვ. 240. პროლოგს ავტორის ხელით მიწერილი აქვს: „მეორე წიგნისთვის“ და ტექსტის ბოლოს (გვ. 241): ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ ვწერ მეორე წიგნს. გადატყდა ჩემი პერსპექტივა...“

2686. მეველე (დ. მიქელაძე) ხაფანგი. (პიესა). – ამონაჭერი: „აკაკის კრებული“, 1899, № 2.

გვ. 66. ტექსტის ბოლოს სქოლიოში ხაზგასმულია: „ამ დრამის შესწორება თვითონ ავტორსავე ჰქონდა ნაკისრი“. მიწერილია: „მერე შეასწორა?“

2687. მეზუროვი მ. მოულოდნელი შემთხვევა. ვოდ. 1 მოქმ. თბ., 1912.

2688–2690. მეიფარიანი ა. ქმრები გავაბით მახეში. ნამდვილი კომედია 2 მოქმ. წარმოდგენილი იყო 2-ს და 16-ს დეკემბერს 1851 წელსა. თფ., 1853.

წიგნში დევს ქალაღდის ნაჭერი მინაწერით: „ა. მეიფარიანის (ავტორი „ქმრები გავაბით მახეში“) არტისტობა: „გაყრაში“ უთამაშნია 1861 წ. ქუთაისში (იხ. „ცისკარი“, 1861, № III. გვ. 450).

მეორე ცალის ფორზაცის მე-2 გვერდზე: „მხოლოდ საჯაროშია! ი. გრ.“

კანზე ყოფილი მფლობელის ხელით: „კონსტანტინე გვარამაძისა“. თავფურცელზე ქვემოთ: „მესხი იოანე მღ. გვარამაძისა“.

2691–2692. მელანია ნ. ბნელო. მოთხრობა. თბ., 1891.

ფორზაცზე და თავფურცელზე: „ი. გრ. 1932. 20. VII“.

ფორზაცზე: „გ. გვაზავას რითმა: „ლევანი-მტევანი“, გვ. 37.“

ფორზაცის მე-2 გვ.: „ბნელო“ პირველად დაიბეჰდა „ივერიაში“, 1888 წ., № 141–153. [11 ფელეტ.]“ აქვე კალენდრის ფურცელი მინაწერით: „მელანიას მოთხრობა „პრიგავარის მღვდელი“ მთლიანად დაიბეჰდა ქუთათურ ჟურნალ „ცხოვრება“-ში 1916 წ. № 1, 2, 4, 5, 6, 7. მელანიაზე: „მის ნაწერებს წ. კ. სა. გამოსცემსო“ იხ. „თ. და ც.“, 1920 წ. № 9, გვ. 16. წერილი აქვს მელანიაზე ილ. ნაკაშიძესაც“.

გვ. 16 ხაზგასმულია: „მამულაშვილების“ და „დათია“. არშიაზე: „დათია მამულაშვილი“.

გვ. 26. სქოლიოში განმარტებულია სიტყვები: „ბაზმა“ და „ბობოლა“. იქვე არშიაზე: „კალენდარული სისტემა“.

გვ. 37. ხაზგასმულია სარითმე სიტყვები: „ლევანი“, „მტევანი“. მიწერილია: „გვ. გვაზავა“.

გვ. 53. ხაზგასმულია: „აგრე იტყოდა-ყე“, არშიაზე: „ა. ჰ-ძეც ხმარობდა ასე“.

გვ. 58. ხაზგასმულია: „გამოკანკლული“, არშიაზე: „გამოპრანჰ., გამოკობტავებ...“ ქვემოთ ხაზგასმულია სიტყვა: „გაჩამიჩებული“, არშიაზე: „დაბეჩავებული“.

გვ. 69. ხაზგასმულია: „უსანეთობას“, არშიაზე: „გორის მაზრაში ეკლ. დღეობა“.

გვ. 74. ხაზგასმულია: „პეწენიკი“, „ყვიტყვიტებს“ და „ჩავტიტე“. არშიაზე: „ჩავმარხე, ჩავაკალი“.

გვ. 75. ხაზგასმულია: „მინაბრებული“, არშიაზე: „მიტოვებული“.

- გვ. 76. ხაზგასმულია: „ყაჯრებს“, არშიაზე: „ხალიჩა ნაქსოვი, ცხენსაც მოსართავად გადააფარებენ. ყაჯარი“.
- გვ. 77. მოხაზულია ლექსის მთელი სტროფი არშიაზე: „ჩახსაკრავი“.
- გვ. 79. ხაზგასმულია: „ნულარავე“, არშიაზე: „წყევლის უკან წაღება, რომ არ გამართლდეს“.
- გვ. 105. ხაზგასმულია: „სამზეურებით ხელში“, არშიაზე: „ქოლგა“.
- გვ. 106. ხაზგასმულია: „კარამც“, არშიაზე: „კიდევ კარგი რომ“.
- გვ. 107. ხაზგასმულია: „ტომბახი“, არშიაზე: „მადარიჩი“.
- გვ. 144. ხაზგასმულია: „იყმინდებოდა“ არშიაზე: „იტენავდა“.
- გვ. 151. ხაზგასმულია: „სლუკსლუკი“, არშიაზე: „სლუკუნი“.
- გვ. 172. ხაზგასმულია: „ყილთალიანი“, არშიაზე: „ყილთალი“.
- გვ. 175. ხაზგასმულია: „გამიქვავდა“, არშიაზე: „აკი ტიროდი, გვ. 173“.
- 2693–2694. მელანია ნ. ბნელო. მოთხრობა. მე-2 გამოც. ტფ., 1920.
2695. მელანია ნ. ბნელო. მოთხრობა. თბ., 1951.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 30/VI“.
- ყდაზე ავტორის გვარის ქვეშ: „(1853–1921)“. იქვე: „შეცდომა: 1. წალო, გვ. 135; „ცხრა“, გვ. 48“.
- გვ. 48. ტექსტში მოყვანილ ლოცვაში ხაზგასმულია: „ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი“, არშიაზე: „ცხრა მუხა, ცხრა წყარო“.
- გვ. 49. ხაზგასმულია სიტყვა: „ამ რე[შეზული]“. არშიაზე: „მრეში“.
- გვ. 135. სქოლიოში ხაზგასმულია სიტყვა „წალო“-ს განმარტება და მიწერილია: „კედელში დატანებული დიდი კარადა“.
- გვ. 209. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია სიტყვა: „ქორვაჭრები“, არშიაზე: „ჩემი სიტყვა (იხ. „ბოჰემა“)“.
- 2696–2697. მელანია. გიორგი და გეურქა. (ამბავი). თბ., 1915.
- გვ. 1. ფანქრით: „მელანია (ნათიძე). ი. გრ.“
- 2698–2699. მელანია. კრიალოსანი. ამბავი. – ამონაჭერი: „მოამბე“, 1894, № 4.
2700. მელანია. ლადიკო. [მოთხრობა]. ამონაჭერი: „მოამბე“, 1902, № 2.
- 2701–2702. მელანია. მამა ქრისტეფორე. [მოთხრობა]. ტფ., 1934.
- კანზე: „ი. გრ. 1934. 20. V. ანეგდოტი – 32; შეცდომა (?) გვ. 11, 25, 37“.
- თავფურცელზე: „შეცდომები – 11, 25, 37.“
- გვ. 4. ხაზგასმულია სიტყვები: „მელანია მკრთალი ვარსკვლავით ანათებს“, არშიაზე: „მეტი არაფერი?“
- გვ. 11. ხაზგასმულია სიტყვები: „სიღარიბის მოწყობა“. არშიაზე გასწორებულია: „სიღარიბის მოწმობა“ (?)“.
- გვ. 16. სქოლიოში მიწერილია: „ვისი შენიშვნაა?“
- გვ. 18. ტექსტში ხაზგასმულია სიტყვები: „მასწავლებლობაში ჯამაგირს აიღებდი წელიწადში“, არშიაზე: „აკლია“. აქვე ხაზგასმულია სიტყვა: „ვიწყალავდი“. ამოღებულია „ა“, მიწერილია: „ავტორს სწორედ აქვს“.
- გვ. 31. ხაზგასმულია სიტყვა: „გამოვჭედილიყავით“, არშიაზე: „ავტორს კარგადა აქვს (იხ. შენიშვნ.)“
- გვ. 33. ხაზგასმულია: „მსუბუქი“, არშიაზე: „სუმბუქი“.



გვ. 43. ხაზგასმულია: „ჭირისუფლების“, მიწერილია: „(გვ. 37)“. ხაზგასმულია: „შემომხედოთ“, მიწერილია: „გვ. 39“. არშიაზე: „დაბეჭდილიც ასევეა“.

2703. მელანია. ნავარდობა. მოთხრობა. ნაწ. 1–3. – ამონაჭრები: „მოამბე“. 1899, №№ 4–8, 11; 1900, № 5–6.

აკინძულია წიგნად.

თავფურცელზე მინაწერები: „მელანია (მღვ. ნათიძე) დეკ. ნიკოლოზ გიორგის-ძე ნათიძე+თებერვლის 4-ს 1921 წ. გარდაიც. – „ნავარდობა“ (მოთხრობა). „მოამბე“, 1899 წ., IV, V, VI, VII, VIII, XI; 1900 წ. V, VI, P. S. მელანია ფსევდონიმია მღვდ. გიორგი ნათიძისა. „მელანია“ – წარმოსდგება სოფ. მელაანიდან ერთი „ა“- ბოლოში გაუკეთა და გამოვიდა ქალის სახელი მელანია. ი. გრ.“

ფორზაცზე: „იხ. II გვ.“

ფორზაცის მე-2 გვერდზე: „კიდევ მოთხრობები: „ბნელო“ (ჯერ „ივერიაში“ დაიბეჭდა – გამოვიდა 1891 წ. და შემდეგ). 1. ძეგლზე წასაწერი „ლექსი“ („კლდე“, 1915 წ., № 12, 13). 2. აქეთ-იქით გამარჯობა („თ. და ცხ.“ 1917 წ., № 32, 33). 3. კრიალოსანი („მოამბე“, 1894 წ., № IV). 4. ლადიკო („მოამბე“, 1902 წ., № II). 5. გიორგი და გეურქა (ცალკე გამოცემა ჟურ. „კლდისა“, 1915 წ.). 6. პრიგავარის მღვდელი (ჯერ გუნიას ჟურნალში „ძალა“, „ნიავი“ და სხვ. № 5, 6, 8; მერე ხომლელის ჟურნ. „ცხოვრება“ და სხვ.) 1916 წ., 1, 2, 4, 5, 6, 7. 7. ქედნის ღულუნი. („მოამბე“, 1904 წ., № VI). 8. ზურაბ ქართველიშვილი იგივე „შოვინისტი“ (გაზ. „ქართლი“, 1912 წ. № 9). 9. სცენები („წყალობა და მისი მეუღლე მარმარა და სარქისა და წყალობა“ იხ. გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., № 222). 10. სახელოანი – „საქართველოს“ დამატ., 1916 წ., № 22 და 16. 11. სცენები („საქართველო“, 1918. № 222). 12. მამა ქრისტეფორე ცალკე წიგნად გამოვიდა 1934 წ. (ცენზორის აკრძ.)“

წიგნის ყოველი ნაწილის პირველ ფურცელზე მიწერილია, თუ რომელი ნომრიდანაა ამოჭრილი.

ჩადებულია ქალაქის ნაჭრები მინაწერებით: 1. „მელანიას მოთხრობები. „ზურაბ ქართველიშვილი“ – იგივე „შოვინისტი“ (იხ. „ქართლი“, 1912 წ., № 9) და სხვ. 2. დეკ. ნ. ნათიძეს ორი კარგი მოგონება აქვს ვაჟაზე. შიგ ვაჟას კერძო წერილებიცაა. (იხ. გაზ. „საქართველო“. 1915 წ., № 66 და 92. აქ ვაჟას კერძო წერილებია)“.

2704. მელანია. ქედნის ღულუნი. [მოთხრობა]. – ამონაჭერი: „მოამბე“, 1904, № 6.

2705. მელია ი. ბედნიერება. [ლექსები]. ბათუმი, 1958.

2706. მელია ი. ზურმუხტოვან ბაღნარებში. [ლექსები]. ბათუმი, 1961.

2707. მელია ი. ლექსები. ბათუმი, 1953.

კანზე: „გვ. 5“.

გვ. 5. ლექსში „სამშობლოს დილა“ ხაზგასმულია: „ვესალმები“, არშიაზე კითხვის ნიშანი და „მივესალმები“.

2708. მელია ი. ლექსები. ბათუმი, 1955.

2709. მერკვილაძე ი. ალექსანდრე ბოჭორიშვილი. (ბრძოლის ველზე დაღუპვის გამო). ქუთაისი, 1915.

ხელნაკეთ კანზე აღდგენილია თავფურცლის მონაცემები: „ალექსანდრე ბოჭორიშვილი (ბრძოლის ველზე დაღუპვის გამო). შედგენილი და გამოცემული ივლიანე მერკვილაძის-მიერ. ქუთაისი, 1915 წ.“ იქვე: „თბილისში არ იშოვება“.

2710. მერკვილაძე ი. ლექსი ტყიბულის ქვანახშირის მუშებისადმი. ქუთაისი, 1907.

- კანზე მიწერილია; „ივლიანე“. ქვევით: „მეწიგნე სოსიკო არ არის. ი. გრ.“  
 თავფურცელზე, მე-17 და 30-ე გვერდებზე ბეჭედი: „პ. გუგუშვილი“.
2711. მერკვილაძე ი. ჭიათურა და საყანჩია. [ლექსები]. ქუთაისი, 1908.  
 კანზე: „ივლიანე მერკვილაძე არის – ი. გრ.“
- 2712–2713. მერ-ქვარ. საქონლის სადგური. ინსცენიროვკა 4-მოქმ. და 1 სურ. თბ., 1925  
 კანზე ავტორის ფსევდონიმთან: „ალ. ქვარელი“.
2714. მესხი დ. იმერული სცენები: „გასართობი“. „პროზა და ლექსი“. მე-2 გამოც.  
 ქუთაისი, 1902.
- კანზე ხაზგასმულია: „მეორეთ გამოც.“, მიწერილია: „პირველი გამოცემა გამოვიდა  
 1900 წელს. ი. გრ.“
2715. მესხი კ. გამარჯვების გზაზე. [მოთხრობები]. თბ., 1951.
- 2716–2717. მესხი კ. თამარ-ბატონიშვილი. ხუთ-მოქმ. დრამა XIII ს. ცხოვრებიდამ.  
 გადმოკეთ. გრ. რჩეულოვის რომანიდამ „საქართველოს თამარ-ბატონიშვილი“. თფ.,  
 1878.
- გვ. 93. მინაწერი; „სუფლიორი ი. გრიშაშვილი. 19. 2. III. 04 წ. ავლაბრის თეატრი“.
2718. მესხია ა. თავგადასავალი, წერილები, აფორიზმები. საუბრები  
 თვითშემეცნებაზე პავლე აკობიასი. თბ., 1905.
2719. მეტრეველი ბ. ბროლის ჩქერები. [ლექსები]. სოხუმი, 1960.
2720. მეტრეველი ლ. განთიადი 25 თებერვლისა საქართველოში. ტფ., 1931.
- 2721–2722. მეტრეველი ლ. ცივ დამეში ცივი ფიქრებით. (ლექსისებური). თბ., 1910.
- კანზე ხაზგასმულია გამომცემელი: „ახოსპირელი“. ხაზგასმულია ავტორის გვარი და  
 მიწერილია: „გარდაიც. 1941. 27 აგვისტოს. დაიბ. 1885 წ.“
2723. მეტრეველი ლ. ცხრათვალა მზე. მოთხრობების კრებული. თბ., 1939.  
 შმუცტიტულზე წარწერა: „პეი, შორს წასულო მეგობარო, სოსო! კარგად ვეღარ  
 ვხედავ, ხომ არ გამოიცვალე? ან მეგობრობაც ხომ არ ბერდება ჯერ დღეგრძელი იყოს და  
 შემდეგ მოკვდეს უბერებლად როგორც ჭაბუკი, ამიტომ ალავერდი შენთან „ცხრათვალა  
 მზე! ლევ. მეტრეველი. 10-II-39“.
- ყდის მე-2 გვ.: „მკერდი, 120“.
- ფორზაცზე: „მახიანად ანგლები, 123“.
- ყდის მე-3 გვ. დაკრულია ფურცელი წარწერით: „სარჩევი (ავტორის ხელით)“.
- „ცხრათვალა მზე – 5  
 მიგნებული საუნჯე – 82  
 სანეტარო განთიადი – 120  
 გატეხილი ხმალი – 260“.
- 2724–2725. მეტრეველი ლ. ჯაგანი. [მოთხრობები. თბ.], 1936.  
 თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს მეგობრული გრძნობით ვუძღვნი ამ  
 მცირე ჯაგანს ჩემი რთველიდან. ლევ. მეტრეველი. 4/IV. 37“.
- წიგნში დევს ლევან მეტრეველის ნეკროლოგი, ამოჭრილი გაზეთიდან. არშიაზე:  
 „ლიტ.-საქართ.“, 1941, № 35, 29 აგვისტო“. მწერლის დაბადების თარიღის გასწვრივ  
 მიწერილია: „1885“.
2726. მეტრეველი ნ. ლექსი, თქმული ნიკო დიმიტრის-ძის მეტრეველისაგან. თფ.,  
 1897.

- თავფურცელზე: „ი. გრ. ქალ-ვაჟიანი“.
2727. მეფარნიშვილი გ. ცრემლთა გუბე და სხვადასხვა საამდროვო ლექსები. თბ., 1914.
2728. მექანაროვი დ. ანბანით-ქება. თქმული თელავის სობოროს მღუდლის და ზაკონოუჩიტელის დიმიტრი მექანაროვის მიერ. თფ., 1860.
- 2729–2730. მექანაროვი დ. თელავი თავისის ბუნებით და ხალხითა. ლექსად თქმული. ტფ., 1880.
- მეორე ცალის კანზე და ფორზაცზე უწინდელი პატრონის ხელწერა: „მარიამ ჩილაევისა“. კანზე: „ვიყიდე. ი. გრ.“
2731. მექანარე დ. კალამი. ლექსად თქმული. ტფ., 1880.
- კანზე და გვ. 3 ყოფილი პატრონის ხელწერა: „მარიამ ჩილაევისა“. კანზე: „ვიყიდე. ი. გრ.“
2732. მექვაბიშვილი ს. უღელტეხილთან. [რომანი]. თბ., 1960.
2733. მეღვინეთხუცესოვი დ. ექიმბაში. კომედია წარმოადგენს ძველსა და ახალს დროებას. ორ მოქმ. თფ., 1876.
- 2734–2735. მეღვინეთ-ხუცესოვი დ. კატა აწონა. კომედია ორ მოქმ. სრული. თბ., 1880.
- წიგნი შეკრულია ი. გრ. მიერ, მისივე ხელით კანზე: „დიმიტრი მეღვინეთხუცესი. კატა აწონა. კომ. 2 მოქმ. 1880 წ. იბეჭდებოდა „დროებაში“, 1869 წ. ი. გრ.“
2736. მთვარაძე ს. ახალი დღეობა. მხიარული სცენა 1 სურ. [თბ.], 1932.
2737. მთვარაძე ს. გააწბილეს. პიესა 3 სურ. [ტფ., 1932].
2738. მთვარაძე ს. მეცხრე შვილი. ჯადოსნური ზღაპარი. 4 მოქმ. და 6 სურ. [თბ., 1958].
2739. მთვარაძე ს. მძლეთამძლე. რომანი. [თბ.], 1960.
- ყდაზე: „ავტორისაგან“.
- თავფურცელზე წარწერა: „ქართული პოეზიის მშვენიერებას იოსებ გრიშაშვილს! უღრმესი პატივისცემის გრძნობით. ს. მთვარაძე. 19-6/IV-61 წ. ქ. თბილისი“.
2740. მთვარაძე ს. სურამის ციხე. ტრაგედია 4 მოქმ. და 8 სურ. დაწერილია დ. ჭონქაძის მოთხრობის მიხედვით. [თბ.]. 1954.
2741. მთვარაძე ს. ჩაშლილი ქორწილი. მოთხრობა. თბ., 1952.
- თავფურცელზე წარწერა: „ქართული საბჭოთა პოეზიის სიამაყეს იოსებ გრიშაშვილს – მოკრძალებით მიემღვინას! ს. მთვარაძე. 2. VIII. 59 წ.“
2742. მიმინოშვილი ა. ბრძოლა გამარჯვებამდე. პიესა 2 მოქმ. თბ., 1940.
2743. მირიანაშვილი ა. ასული ლევან მეფისა. (ზეპირ-გადმოცემა). ისტ. მოთხრობა. თფ., 1897.
- 2744–2746. მირიანაშვილი ა. ბედ-უკუღმართი ჯალაბობა. მოთხრობა. თბ., 1883.
- გვ. 34. ბოლოსიტყვაობის ავტორის ხელმოწერასთან „-ია-ძესი“ მიწერილია: „ზ. ჭ.“
- მეორე ცალის გვ. 1 გვ. 25 ყოფილი პატრონის ბეჭედი: „Григорий Тимофеевич Полумордвинов.“
- გვ. 34. ტექსტის ბოლოს; „[ზ. ჭ.]“
2747. მირიანი ანუ ზღაპრული მოთხრობა მაშრიყის ხელმწიფისა, ხოსროვ შაჰისა და შვილისა მისისა მირისა. ტფ., 1876.

2748–2749. მირიანი ანუ ზღაპრული მოთხრობა მაშრიყის ხელმწიფისა, ხოსროვ შაჰისა და შვილისა მისისა მირისა. მე-2 გამოც. თფ., 1900.

კანზე: „არ არის თბილისში. ი. გრ.“.

2750–2751. მირნელი მ. დღეებს გაგხედავ. ლექსები. პოემა. სოხუმი, 1958.

2752. მირნელი მ. ზღვისპირეთის მელოდიები. [ლექსები]. თბ., 1960.

2753–2754. მირნელი მ. მთების დუმილი. სოხუმი, 1961.

ფორზაცზე წარწერა: „ხალხის საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით. ავტორი. 6/XII 61“.

2755. მირნელი მ. ფერების ტალღა. [ლექსები]. სოხუმი, 1956.

ფორზაცზე: „ლამაზმანო – 48“.

2756. [მირცხულავა ა.] მაშაშვილი ა. ერთტომეული. ლექსები და პოემები. თბ., 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 3/XI“.

წიგნში დევს ამონაჭერი გაზ. „გამარჯვებიდან“ ჟ. სიხარულიძის სტატია „ა. მირცხულავას რჩეული ლექსები“. არშიაზე: „1953. № 84. 28 აპრილი, – ერთ წელიწადში ორჯელ გამოსცა“.

2757–2758. [მირცხულავა ა.] მაშაშვილი ა. რჩეული ლექსები. ტფ., 1937.

2759. მირცხულავა (მაშაშვილი) ა. რჩეული [ლექსები. პოემები]. თბ., 1947.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 29.VI“.

1-ლ და მე-2 გვ.: „ლექსის მაშხალებს, გვ. 29. 221; კოცნის წკარუნი, 222; მკერდზე ფორთოხლები, გვ. 220; სხეულს მიახრევს ქნარივით, 228; ჩიხტა-კოპი, 20, 204; ძლივს იკავებდი უბეში გვრიტებს, 128; ან რძე ან თაფლი ან დასალევი, 249. „ქალი, კაცი, გინდ გასათხოვარი“ (მ. გურიელი); მკერდ გავსებული ვაშლის ხეხილით? 129; მთვარე მთაშია. ხან იყალთოში. 127. აქვე: (იყალთო ბარშია თუ მთაში?); დედამ მახინჯი რატომ არ გმოზა, 221; არ გამაგონო, 112“.

გვ. გვ. 7–11. ლექსში „სამშობლო ბელადისა“ გვ. 7 ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები „ნიავს“ და „მიაქვს“, არშიაზე: „ჩემი რიტმები. იხ. „დუდუკის საარი“. გვ. 8. ხაზგასმულია: „ქარხნის სალამურები“, მიწერილია: „გვ. 12“.

გვ. 13–14. ლექსში „ჰიმნი სამშობლოს“ ხაზგასმულია: „ქარხნის სალამურს“, მიწერილია: „იხ. გვ. 8“.

გვ. 33. ლექსში „სახალწლო“ ხაზგასმულია: „კისერ-აღერებულად“, მიწერილია: „კისერი თუ ყელი?“.

გვ. 65. ლექსში „ახალი წელი“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „შემოსა“ და „გარემოსა“, მიწერილია: „ჩემი. იხ. „რა კარგი ხარ“.

გვ. 112. ლექსის „არ გამაგონო“ არშიაზე: „იხ. ჩემი „ბოჰემა“. მოხაზულია ბოლო 4 სტროფი და მიწერილია: „ვახტ. ორბელიანი“.

გვ. 118. ლექსში „ბათუმი“ ხაზგასმულია: „სახევენებული“, იქვე მინაწერი: „თუ აყვავებულია სახე რატომ უნდა ჰქონდეს ვნებული“. იმავე გვერდზე ლექსის „შენ რაღას იტყვი რიონო“ არშიაზე: „მიბაძვა ი. გვანცელაძის!?“ (ქნარი)“.

გვ. 119. ლექსის „ხის გოდება“ არშიაზე: „ხენთი“.

გვ. 122. ლექსში „ქუთაისი მაისში“ ხაზგასმულია: „ავილებით“, მიწერილია: „იხ. საიათნოვა“. იმავე გვერდზე ლექსში „ქალაქის ნიავი“ გასწორებულია კორექტურული

შეცდომა. მიწერილია: „რა იარა?“ იქვე ლექსთან „რჩევა-დარიგება“ მიწერილია: „ან ერთი ან მეორე“.

გვ. 123. ლექსის „ლექსები“ არშიაზე: „უკვე გამლილან და რაღას ეძებს?“ იმავე გვერდზე ლექსში „ხალხი უკვდავია“ ხაზგასმულია: „ჩვენ“, არშიაზე: „შენ ხალხი არა ხარ?“

გვ. 125. ლექსთან „ბავშვობა და სიბერე“ მიწერილია: „კარგია“. იქვე ლექსში „ახალი წელი“ ხაზგასმულია: „სულო და ღვინო ...საწყაულს“, მიწერილია კითხვის ნიშანი და „122“.

გვ. 128. ლექსში „ზამთრის ნიავი“ ხაზგასმულია: „საზანდარი“, არშიაზე: „გვ. 112“.

გვ. 174–176 ლექსის „სისხლი და ცრემლები“ ბოლოს ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „ნუგუმის მცემლები“ და „ცრემლები“, მიწერილია: „ჩემი. ი. გრ.“

გვ. 219. ლექსში „ციცინათელა“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „ნიავექარულად“ და „ფარულად“, მიწერილია: „იხ. ჩემი „შენ გაირყვნები“.

გვ. 220. ლექსის „პატარა“ სათაურთან: „იხ. ჩემი ლექსი „პატარას“.

გვ. 221. ლექსში „პირველი კოცნა“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „დინებას“ და „შთაბეჭდილება“, მიწერილია: „რა რითმია“.

გვ. 231. ლექსში „ნატვრა“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „ბატკანი“ და „მათგანი“, არშიაზე: „იხ. ოვ. თუმ. რუბაია“. იქვე: „არ შეგცივდეს ბარაშკაჯან“.

2760. მირცხულავა (მამაშვილი) ა. რჩეული [ლექსები]. თბ. 1952.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. 30. XI. ერთგვარობა, გვ. 14“.

გვ. 14. ლექსში „დაბადება“ ხაზგასმულია ბოლო ორი სტრიქონი:

„რომ პატარა გორის ჭერქვეშ.“

დაიბადა გარიჟრაჟი“.

ამავე გვერდზე ფანქრით წერია:

„გლახს ბაასით შეჰყოლია ბევრჯერ,

ნაპერწყალი უთესია მთაში,

ამ პატარა და უსაზღვრო ჭერქვეშ

აუნთია ლენინს გარიჟრაჟი“

ს. ჩიქოვანი.

(„ახალგაზრდა კომ.“, 1952 წ., № 144. 29 ნოემბ.)“

გვ. 115. ლექსთან „სიმღერა გამარჯვებისა“ წერია: „შ. მღვიმელი“.

გვ. 255. ლექსში „ლენინურ კომკავშირს“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „ათიოდე“ და „გადადიოდნენ“, არშიაზე: „ჩემია“.

გვ. 257. მოხაზულია ლექსი: „ჭარმაგობა“, მიწერილია: „ჩემგან“.

გვ. 266. ლექსში „ახალი წელი“ ხაზგასმულია სარიტმო სიტყვები: „შემოსა“ და „გარემოსა“. არშიაზე: „ჩემგან“.

გვ. 268. ლექსში „ნატვრა“ ხაზგასმულია: „ბატკანი“ და „მათგანი“, მიწერილია: „ჩემი“.

გვ. 342. ლექსში „წიგნი“ ხაზგასმულია სიტყვები: „ჰა, ჩემი წიგნი“, „ჩანჩქერია“, „ჩასცქერიან“ და „ჰაუ“. იქვე: „ჩემიდან“.

2761. მირცხულავა (მამაშვილი) ა. რჩეული. [ლირიკა]. თბ., 1957.

2762. [მირცხულავა ა.] მამაშვილი ა. ენგური. პოემა. თბ., 1937.

შმუცტიტულზე წარწერა: „ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს, ჩემს ძველ მეგობარს სოსო გრიშაშვილს პატივისცემით ალიოსაგან. 28. 1. 39 ტფილისი“.

გვ. 9. ხაზგასმულია: „კალატოზური ბირდაბირებიც“, მიწერილია: „ბირდაბირი მხერხავს აქვს“.

გვ. 25. ხაზგასმულია მე-6 სტრიქონი და მიწერილია: „ქალს გამოეყო ენა?“

გვ. 51. ხაზგასმულია: „ღია [სასმისი]“, მიწერილია: „ცარიელი?“.

გვ. 67. მთლიანად მოხაზულია და მიწერილია: „ხალხურივით, კარგია“.

წიგნში ჩადებულია გაზეთ „სოციალისტური შეტევის“ (სამტრედია). 1938 წ. 6 მარტის ნომერი, სადაც მოთავსებულია გ. გახოკიძის რეცენზია სათაურით: „ა. მაშაშვილის პოემა „ენგური“. ამონაჭერი გაზეთებიდან: 1. გ. ნარიძის რეცენზია აღნიშნულ პოემაზე მინაწერით: „მუშა“, 1938, № 7“. 2. ალ. ქუთათელის კრიტიკული წერილი პოემა „ენგურზე“ მინაწერით: „ლიტ. საქ.“, 1938, № 4“. 3. კლ. გოგიავას რეცენზია მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1937, № 268, 23 ნოემბ.“ ეს ამონაჭერი დაკრულია თეთრ ქაღალდზე, რომელზედაც წერია: „ი. გრ. 1937. 24/XI“. 4. ნ. აგიაშვილის წერილი სათაურით: „ხაზი ყველგან ჩემია“. რომელშიაც გარჩეულია პოემა „ენგურის“ ენობრივი მხარე. არშიაზე: „1934. „სიტყვა და საქმე“ № 1“. 5. ინფორმაცია: „დისკუსია ა. მაშაშვილის პოემის „ენგურის“ გარშემო“ მინაწერით: „ლიტ. საქ.“, 1937, 20 დეკემბ.“ 6. „ენგური“ ეკრანზე. ცნობა. არშიაზე: „ლიტ. საქ.“, 1938, № 6“.

2763. [მირცხულავა ა.] მაშაშვილი ა. ენგური. პოემა. [თბ., 1939].

2764. [მირცხულავა] მაშაშვილი ა. ლექსები. თბ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 1. II“.

2765. [მირცხულავა] მაშაშვილი ა. ლექსები. თბ., 1945.

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი ანონიმის რეცენზია მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1945, № 14, აპრ.“

2766. [მირცხულავა] მაშაშვილი ა. ლექსები და პოემები. [თბ.], 1939.

ფორზაცზე წარწერა: „ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს, მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატს ი. გრიშაშვილს სახსოვრად ჩემგან ეს წიგნი. ალიო მაშაშვილი. 19. 9. 39. ერევანი“. იქვე: P. S. ხაზები მარიჯანისაა, გვ. 154. ი. გრ.“.

გვ. 35. ლექში „ლენინი – ჩვენს საქმეში“ ხაზგასმულია სიტყვები: „ამაყად გაჰყვირი“, სქოლიოში: „პირველად რომ დაიბეჭდა ეს გამოთქმა ასე იყო: „კისერი გაჰყვირის“ იხ. „კომ.“, 1928 წ., № 186, 12 აგვისტო, ი. გრ.“

გვ. 51. ლექსში „პოეტი კაპიტანი“ ხაზგასმულია სიტყვა: „ზიან“, არშიაზე: „თუ სხედან?“ ი. გრ.“

ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან: 1. ვ. გოლცევის რეცენზია მინაწერით: „ბოლშევიკი“, № 12, 1940 წ.“ 2. შ. გოზალიშვილის რეცენზია, გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის“ 1941 წ. 25 იანვ. ნომრიდან. 3. ა. სულავას წერილი „ალიო მაშაშვილი“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1939, № 20.“ 4. მ. მამულაშვილის წერილი „ბრძოლისა და სიხარულის პოეტი“ მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1939, № 152, 5 ივლისი“. 5. გაზეთ „ჭიათურის მადაროელის“ 1941 წ. 30 იანვრის ნომერი, მინაწერით: „ა. მაშაშვილის გვერდი“.

2767–2768. მირცხულავა ა. მაღალი ოცნება. [ლექსები]. თბ., 1950.

წიგნში გაზეთიდან ამოჭრილი ს. წვერავას წერილი „მაღალი ოცნების მომღერალი“, მინაწერთ: „საბჭ. აფხაზეთი“, 1951, № 120, 20 ივნისი“.

2769–2770. [მირცხულავა] მაშაშვილი ა. მე და ბარათაშვილი. [ლექსები. თბ.], 1935.

კანზე: „ექვსი ლექსივით გამოუცია“.

2771. [მირცხულავა ა.]. ბუმერანგი ა. მერეხი. [ლექსები]. ტფ., [წ. ა.]

კანზე: „ი. გრ. 1929. 3/X“.

ფორზაცზე: „ბუმერანგი – მოკაკული, წვრილი წვეტიანი ჯოხია, რომელიც გასროლის დროს ტრიალებს და თანდათან უმატებს ტრიალს. თუ კი მიზანს ასცილდა ბუმერანგი წრეს აკეთებს და ბრუნდება იმ ადგილას საიდანაც ადამიანმა გაისროლა“.

წიგნში დევს ალიო მაშაშვილის ლექსი „დარიალიდან მოსკოვამდე“, ამოჭრილი გაზეთიდან. მე-7 სტრიქონში ხაზგასმულია: „გაიარს“ [მერანი], დასმულია კითხვის ნიშანი, ხაზგასმულია მე-15 სტრიქონის დაბოლოება და არშიაზე: „აკლია“.

2772. [მირცხულავა ა.] მაშაშვილი ა. ობოლი ვანო. ესკიზი. თბ., 1923.

2773. [მირცხულავა ა.] მაშაშვილი ა. პოემები. ტფ., 1930.

სუპერზე: „ი. გრ., გვ. 105“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ., გვ. 105-6. (იხ. „ქართ. მწერ.“). ლეონიძესაც აქვს რითმა – 19, 56, 44“.

გვ. 44. ხაზგასმულია სარითმო სიტყვები: „იარა“ და „იარალს“, მიწერილია: „იხ. გვ. 56“.

გვ. 52. მოხაზულია პირველი სტროფი, მიწერილია კითხვის ნიშანი, არშიაზე: „საზოგადოთ მთელი ლექსი დაწერილია ჩემი „ხასა“-ს ზეგავლენით. ი. გრ.“

გვ. 56. ხაზგასმულია სარითმო სიტყვები: „იარას“ და „იარალს“, მიწერილია: „ლეონიძესაც აქვს ეს რითმა იხ. წიგნის გვ. 44“.

გვ. 105–106 ხაზგასმულია;

„აქ გრიშაშვილი  
იქ აბაშელი  
და შემდეგ –  
რაზმი მოშიარეთა!“  
„მათი ცხოვრება  
მოგავს პანთეონს,  
სადაც ლანდია  
მკვდარი ჩონჩხების...“

არშიაზე კითხვის ნიშანი და მინაწერი: „პანთეონი მარტო სასაფლაო როდია. მოშიარეც! ი. გრ. 1929. 23. VI“.

2774. [მირცხულავა ა.] მაშაშვილი ა. ჰიმნი სამშობლოს. ლექსები. პოემები. თბ., 1951.

2775. [მირცხულავა ა.] მაშაშვილი ა. და ქორქია რ. ქლუხორი. [ნარკვევი]. თბ., 1945.

2776. მიქაშავიძე შ. ვერცხლის მედალოსანი. 1 მოქმ. პიესა. თბ., 1953.

2777. მიქელაძე მ. ვიმღეროთ ბრძოლის ამბავი. [ლექსები]. თბ., 1947.

2778. მიქელაძე მ. ზღვისპირა ბაღი. [ლექსები]. თბ., 1956.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს, კარგ ადამიანს – ძვირფას სოსოს – ნიშნად ღრმა პატივისცემისა. ავტორი. 8/I 1957 წელი“.

2779. მიქელაძე მ. ლექსები. თბ., 1939.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს, კარგ და გულისხმიერ ადამიანს – იოსებ გრიშაშვილს – ნიშნად ღრმა პატივისცემისა. მ. მიქელაძე“.

2780. მიქელაძე მ. მზე პირს იბანს. ლექსები [და თარგმანები]. თბ., 1957.

2781. მიქელაძე მ. ომგადახდილნი. პიესა 1 მოქმ. თბ., 1947.

2782. მიწიშვილი ნ. რჩეული. თბ., 1958.

გვ. 120. ხაზგასმულია „ვინძლო“. არშიაზე კითხვის ნიშანი.

გვ. 158. ხაზგასმულია: „რომ სცადოს ბედი“, არშიაზე: „ბედის საცდელად“.

გვ. 165. ხაზგასმულია „ვალაგებ“, მიწერილია: „ამოვალაგე“.

2783. მიწიშვილი ნ. გარდაცვალება. პოემა. ტფ., 1926.

შმუცტიტულზე წარწერა: „მეგობარს და კარგ კაცს – პავლეს. ნ. მიწიშვილი.“

2784. მიწიშვილი ნ. ერთი ღამის ამბავი. ნოველები. ტფ., 1931.

ფორზაცზე წარწერა: „მვირფას პავლეს საპატივისმცემელი ავტორისაგან. ნ. მიწიშვილი“.

2785–2786. მიწიშვილი ნ. შავი ვარსკვლავი. პოემა. თბ., 1926.

თავფურცელზე და შმუცტიტულზე უწინდელი მფლობელის ბეჭედი, „თომაშვილის წიგნებიდან“.

მეორე ცალის ფორზაცზე წარწერა: „პავლეს ნიკოსაგან“.

2787. მიწიშვილი ნ. წმინდანიანი. წიგნი ლექსების. ტფ., 1922.

შმუცტიტულზე წარწერა: „პავლე საყვარელიძეს“.

2788–2790. მიწიშვილი ნ. წმინდანიანი. [ლექსები]. მე-2 გამოც. ტფ., 1926.

ფორზაცზე წარწერა: „პავლეს. ნ. მიწიშვილი“.

2791–2792. მოისწრაფიშვილი ს. ობლიგაცია. აგიტ-პიესა 2 მოქმ. [თბ.], 1930.

2793. მოსაშვილი ი. რჩეული. 1920–1946. თბ., 1947.

2794–2795. მოსაშვილი ი. რჩეული თხზულებანი. ორ ტომად. ტ. 1. თბ., 1959.

2796–2798. მოსაშვილი ი. თოლია. [მოთხრობა]. ტფ., 1932.

თავფურცელზე წარწერა: „ძველს მეგობარს პოეტს – სოსოს ავტორისაგან. 1932–21/VI“.

2799. მოსაშვილი ი. თოლია. [მოთხრობა]. ტფ., 1937.

კანზე: „ი. გრ. 1937. 12/XII“.

2800. მოსაშვილი ი. ლექსები. თბ., 1939.

წიგნში დევს ი. მოსაშვილის ნარკვევი „დამარცხებული სისხლი“. ამოჭრილი გაზეთიდან, მინაწერთ: „სოციალისტური გზით“, 1935 წ., 6 თებ., № 6.“

2801. მოსაშვილი ი. ლექსები. თბ., 1940.

ფორზაცზე წარწერა: „ძველის ძველ მეგობარს, ქართული ლექსის სახელოვან ოსტატს, ჩემი ერთ-ერთი ახალგაზრდობის ლექსის შთამაგონებელს – იოსებ გრიშაშვილს, პატივისცემით და ძმური სიყვარულით. ილო მოსაშვილი. 1940–18/XI“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „აკლია ლექსები: 1. კიროვის ძველზე; 2. ბათომის მოღალატეებს“.

გაზეთის ამონაჭრები: 1. ილო მოსაშვილის ლექსი „ბელორუსიის ღამე“ მინაწერთ: „კომ. 1935, № 263, 14 ნოემბ.“ 2. ი. მოსაშვილის ლექსი „სერგეი კიროვის ხსოვნას“. გაზ. „კომუნისტის“ 1937 წ. 4 დეკ. 3. იგივე ლექსი გაზ. „კომუნისტის“ 4 დეკ. ნომრიდან ამოჭრილი. 4. ბ. გოგოტიშვილის რეცენზია „ილო მოსაშვილის ლექსები „ფედერაციის“



გამოცემა 1939 წ.“ მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1939, № 109, 15 მაისი“. 5. ალ. სულავას წერილი „ილო მოსაშვილის ლექსები“ მინაწერით: „კომ.“, 1939, № 148, 30 ივნისი“. 6. „ლიტ. საქართველოდან“ ამოჭრილი ი. მოსაშვილის სიტყვა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიაზე. 7. ა. სულავას წერილი „ი. მოსაშვილის პოემა „ბაზალეთი“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, № 20, 1941“. 8. „ლიტ. საქართველოს“ 1941 წლ. 12 იანვ. № 2 მინაწერით: „ილო მოსაშვილი. აქ ჩემზედაც, გვ. I, გვ. 2.“ 9. „მნათობის“ 1939 წ. № 9-დან ამოჭრილი ბ. ჟ. [ბ. ჟღენტი] რეცენზია „ილო მოსაშვილის ლექსები. „ფედერაცია“. თბილისი, 1939 წ.“

2802. მოსაშვილი ი. ლექსები. თბ., 1945.

გვ. 179. ლექსს „ქორწილი ჩვენს სოფელში“ მიწერილი აქვს: „გრიშაშვილის მიბაძვა“.

2803. მოსაშვილი ი. ლექსები. თბ., 1950.

ფორზაცზე წარწერა: „ჩემი ახალგაზრდობის ლექსების გზის გამხსნელს, სახელოვან პოეტს, ძმასა და მეგობარს – სოსო გრიშაშვილს, ნიშნად სიყვარულისა. ილო მოსაშვილი. 1950–5/VI“.

ბოლო ფორზაცზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი შ. ამისულაშვილის რეცენზია „სწრაფვა აქტუალობისაკენ“ მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1950, № 121“.

2804–2805. მოსაშვილი ი. ლექსები. პოემები. თბ., 1952.

შმუცტიტულზე წარწერა: „საქართველოს გამოჩენილ პოეტს, ძველს – საყვარელ მეგობარსა და ახალ მეზობელს, – იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1953. 10/V. თბილისი. ლენინის ქ. სახლი 20“.

ყდის მე-3 გვერდზე: „დანით, 21; ზედ, მზე, 206?“.

წიგნში დევს ნიკოლაი დორიზოს წერილი „Стихи о сыне“ ამოჭრილი გაზეთიდან. სათაურთან: „Литер. газета“. от 25. IX. 1952 г.“

2806. მოსაშვილი ი. ლექსები. პოემა. პიესა. [თბ.], 1954.

2807. მოსაშვილი ი. ნარკვევები. ტფ., 1935.

ფორზაცზე გაზეთიდან ამონაჭერი კ. გ.-ს რეცენზია „ილო მოსაშვილი – „გატეხილი ღამეები“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1936, 26 ივლისი“.

2808. მოსაშვილი ი. პიესები. თბ., 1950.

ფორზაცზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტსა და მეგობარს სოსო გრიშაშვილს. ძველი და გაუტეხელი მეგობრობის ნიშნად. ავტორისაგან. 1951-20/VI. თბილისი“.

2809–2810. მოსაშვილი ი. სადგურის უფროსი. პიესა 4 მოქმ. და 8 სურ. თბ., 1947.

2811–2812. მოსაშვილი ი. და ლორთქიფანიძე კ. ერთხელ ღამით. პიესა 2 მოქმ. თბ., 1947.

2813–2814. მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი. (XII საუკუნის). ტფ., 1896.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემი სიცილის და ცრემლების მოზიარეს – სოსოს. მარიჯანისაგან. 1921-20/X; 1929. 9/V“.

კანზე: „ნ. მარი და ზ. ჭ., გვ. 397. ი. გრ.“ იქვე: „უნდა ყდაში ჩაისვას, ისე არ წაიკითხება. ამ წიგნზე იხ. რეცენზია: „Новое обозрение“, 1897, № 4546. Л. И.“

გვ. 397. ხაზგასმულია: „სწორედ ეს კამათი [ნ. მართან „ამირან-დარეჯანიანის“ არაქართულობის შესახებ], გახდა იმის მიზეზათ, რომ მე „ამირან-დარეჯანიანის“ დაბეჭდვა განვიზრახე...“, მიწერილია: „აი რატომ დაუბეჭდია“.

წიგნში დევს ქალაღდის ნაჭერი წარწერით: „არის კიდევ „ამირან-დარეჯანიანზე“ წერილები ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული“.

2815–2816. მოსე ხონელი. ამირან-დარეჯანიანი. ს. კაკაბაძის რედ. თბ., 1939.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1939. 2/III“.

წიგნში დევს: 1. ალ. ბარამიძის წერილი „ამირან-დარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხისათვის“, ამოღებული მეცნ. აკადემიის მოამბედან, ტ. IV, № 6, 1943. არშიაზე: „ი. გრ. 1943. 5/X“. ამ წერილის მე-3 გვერდზე ხაზგასმულია: „ამის მიხედვით ზედმეტად ცხადი ხდება, რომ ერთია „ამირანდარეჯანიანი“ და მეორეა ამირ ჰამზას ამბავი“. არშიაზე: „იხ. კაკაბაძე, გვ. XI“. 2. ივ. ლოლაშვილის სტატია „აკად. ნიკო მარი და „ამირანდარეჯანიანის სადაურობის პრობლემა“, ამოჭრილი გაზეთიდან, არშიაზე: „ლიტ. საქართ.“, 1941, № 16“. 3. ივ. ლოლაშვილის წერილი „ამირან-დარეჯანიანის“ ახალი ხელნაწერი“, ამოჭრილი გაზეთიდან, არშიაზე: „ლიტ. და ხელ.“, 1948, № 7.“

მეორე ცალის თავფურცელზე სათაურის ქვეშ: („ახალი რედაქცია“).

გვ. VI. ხაზგასმულია: „ენა ამირანდარეჯანიანისა არის მარტივი და არსებითად განსხვავდება მაღალ-ფარდოვან საეკლესიო ენისაგან“. არშიაზე: „იხ. გვ. X“.

გვ. X. ხაზგასმულია: „(მას ატყვია) ძლიერი გავლენა ეკლესიური ლიტერატურული ნორმებისა“. არშიაზე: „გვ. VI“.

გვ. XI. მოხაზულია მე-3 აბზაცი ციტატა ალ. ბარამიძის ნარკვევიდან „ამირანდარეჯანიანის“ შესახებ. არშიაზე: „ი. აბულაძე?“

გვ. XIX. წინასიტყვაობის დასასრულს მიწერილია: „[ს. კაკაბაძე], გვ. X.“ ქვევით: „1939. 2/III. ი. გრ.“

გვ. 18. მოხაზულია მე-2 აბზაცი, არშიაზე: „იუმორი“.

გვ. 181. ლექსიკონში, არშიაზე: „იჩქითი, გვ. 83“.

გვ. VI–X. აღნიშნული და ხაზგასმულია იმ ავტორთა გვარები, რომელთაც აზრი გამოუთქვამთ „ამირან-დარეჯანიანზე“. არშიებზე დასმულია ნომრები (სულ 9).

2817. მოსკოველ-ოდიშელი ნ. ჩემის დღიურიდან. ბათუმი, 1906.

2818. მოძღვრიშვილი ს. ლექსები. თბ., 1957.

კანზე: „ი. გრ. 1957, 9/XII. ქილიკი, 33“.

2819. მოხეტე კ. ფანტომი. [ლექსები]. ბათომი, 1926.

კანზე: „ი. გრ. ბათომი. 1926. 13/IV“.

2820. მჟავია ქ. ლექსები. ბათუმი, 1954.

2821. მრევლიშვილი მ. გულისა [ლექსები]. [თბ.], 1961.

2822. მრევლიშვილი მ. ლექსები. [თბ.]. 1940.

თავფურცელზე წარწერა: „ბ-ნ სოსოს, ლექსის დიდს ოსტატს, უშნო შეგირდისაგან. მ. მრევლიშვილი. 22/I-41 წ.“

2823. მრევლიშვილი მ. ლექსები. თბ., 1958.

2824. მრევლიშვილი მ. ქართლის უბეში. [ლექსები]. თბ., 1950.

კანზე „სიყვარული-52“ და 52-ე გვ. მოხაზულია ორი სტრიქონი:

„...ერთი მკლავითაც შენ მოგიზიდო,  
შენ, შორეული ჩემი ტრფიალი...“

ბოლო სტროფში ხაზგასმულია: „მოგეკარე“, არშიაზე მიწერილია: „მიგიკარი“.

გვ. 49. ხაზგასმულია: „მე და ქარი“ და მიწერილია: „გ. ტ.“

2825–2826. მრევლიშვილი მ. ჭირნახული. (სამამულო ომის დროინდელი სურათები). თბ., 1956.

თავფურცელზე წარწერა: „სახსოვრად ჩვენს საამაყო პოეტს იოსებ გრიშაშვილს მოკრძალებით მ. მრევლიშვილი. 1957 იანვარი“.

მეორე ცალის გვ. 3 ხაზგასმულია: „კარის მეზობლებს“, მიწერილია: „ჩემი“.

გვ. 4. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „გიშხერ – ქიმზე“, მიწერილია: „ჩემგან“.

გვ. 17. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „მშვიდობა – „შვინდობას“, მიწერილია: „ჩემიდან“.

2827. მრევლიშვილი მიხ. ზვავი. დრამა 4 მოქმ. 8 სურ. თბ., 1958.

2828–2829. მრევლიშვილი მიხ. მოთხრობები. თბ., 1953.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტსა და ქართული კულტურის გულშემატკივარს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით მიხეილ მრევლიშვილი. 23. II. 53. ქ. სოხუმი“.

2830–2831. მრევლიშვილი მიხ. მოთხრობები, თბილისური ნოველები. მგზნებარე მეოცნებე. თბ., 1961.

2832. მრევლიშვილი მიხ. მოსალოდნელი დასასრული. პიესა 3 მოქმ. თბ., 1957.

2833. მრევლიშვილი მიხ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. (ბედი მგოსნისა). პიესა 4 მოქმ. და 8 სურ. თბ., 1950.

ფორზაცზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტს, ქართული ლექსის დიდ ოსტატს იოსებ გრიშაშვილს სიყვარულით ავტორისაგან, 12. XII-50 წ.“

2834–2835. მრევლიშვილი მიხ. პიესები. თბ., 1957.

2836–2837. მრევლიშვილი მიხ. ხარატანთ კერა. [მოთხრობა]. თბ., 1948.

წიგნის ბოლოს გახეთიდან ამოჭრილი ვლ. ჯიბუტის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერთ: „ახალგ. კომ.“, 1948 წ., 74, 19 ივნისი“.

2838. მრევლიშვილი მიხ. ხარატანთ კერა. დრამა 4 მოქმ., 8 სურ. [თბ.], 1954.

2839. მრელაშვილი ვ. ლექსები. თბ., 1916.

კანზე: „თბილისში არ არის – ი. გრ.“ ავტორის სახელი გახსნილია: „ვანო“.

გვ. 1. მიწერილია: „ვ. მრელაშვილის გამოცემა № 1. ი. გრ.“

გვ. 3 და 16 ბეჭედი: „პ. გუგუშვილი“.

2840. მრელაშვილი ლ. ლექსები. თბ., 1959.

2841. მუმლაძე კ. ყირიმის მიწაზე. [მოთხრობა]. თბ., 1949.

2842–2843. მღვიმელი შ. სალაშქრო ლექსები. ტფ., 1921.

კანზე: „ი. გრ. 20/I. 1921 წ.“

თავფურცელზე: „აკლია კარგი ლექსი: „მინდა ჩემს ნაბატონარსა ცოტა რამ გაუზიარო (იხ. ვ. გუნია)“.

კანის მე-3 გვერდზე: „1. „მინდა ჩემს ნაბატონარსა“ იხ. „მოამბე“. 2. შ. მღვ. ლექსები იხ. „გლეხში“. 3. „ეკალო გინდა მიჩხვლიტო“ („საქ. კალენდ.“, 1905, გვ. 497). 4. შიოს ლექსები დიდებისათვის იხ. ყველა „საქ. კალენდ.“

კანის მე-4 გვ.: „ბევრი ლექსი აკლია“.

გვ. 11. ლექსთან „მუქარა“ მიწერილია: „ვ. გუნია, და-მმაში“.

გვ. 37. ლექსის „რა ვქნა, ე ჩუმი ნალველი“ ბოლო სტროფთან მიწერილია: „ლოცვის წინააღმდეგ“.

გვ. 38. ლექსს „განთიადის შუქმა დაჰკრა“ გასმული აქვს ხაზი და მიწერილია: „ეს სათაური არ ვიცი ევლოშვილს აქვს თუ ს. გომამეს“.

გვ. 40. ლექსს „განთიადის შუქმა დაჰკრა“ ბოლოს მიწერილი აქვს: „იხ. „რევ. პოეტები“, გვ. 45“.

გვ. 42. ლექსს „ვალიკო“ ბოლოს მიწერილი აქვს: „1917 (იხ. საიუბ. კრებ.)“.

2844–2851. მღვიმელი შ. სიმღერები. შეკვრიბა და წინათქმა დაურთო ი. გრიშაშვილმა. თბ., 1938.

ფორზაცზე „ჩემს ბიბლიოთეკას. რედ. ი. გრ. (იხ. გვ. 3) აქ შენიშვნებია“.

გვ. XX. სქოლიოში გასწორებულია სიტყვა: „დაარქვა“, მიწერილია: „შეარქვა“. არშიაზე: „P. S. ერთი ფსევდონიმია კიდევ შიოსი „ზეზვა“, სადაოა!“

გვ. 2. მოხაზულია: „შხამად შემერგოს დედის რძე“, მიწერილია: „ეს ლექსი ხალხური ჰგონიათ. ი. გრ.“

გვ. 3. წიგნში ჩაკრულია კალენდრის 1942 წ. 2 იანვ. ფურცელი, სადაც დაბეჭდილია ალიო მირცხულავას ლექსი „სიმღერა გამარჯვებისა“. ლექსში ხაზგასმულია სტრიქონი „შხამად შეგერგოს დედის რძე“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილის ეგზემპლდარი!“

გვ. VII. გადახაზულია: „შ. მღვიმელი“, არშიაზე: „დვანამე, კორტოხა, განდეგილი და სხვანი“.

ამავე გვერდზე მოხაზულია: „შიო მღვიმელზე“ და მიწერილია: „რომელსაც წელს შეუსრულდა 10 წელი გარდაცვალებიდან“.

გვ. X. გადახაზულია სიტყვა: „ცარიზმის“, მიწერილია: „თვითმპყრობელობის“. ამავე გვერდზე ლექსს „შხამად შემერგოს დედის რძე...“ მიწერილი აქვს: „ამ ლექსს მთლიანად წავიკითხავთ, გვ. 2.“

გვ. XI. გადახაზულია: „ჯარისკაცის წერილში“, მიწერილია: „მხედართა ძველი სიმღერა“.

გვ. XVII. ხაზგასმულია: „ამ კრებულში თავი მოვუყარეთ ისეთ სიმღერებს...“ ზემოთ მიწერილია: „შიოს მოზრდილთათვის დაწერილ ამ სიმღერებში“.

ამავე გვერდზე აზხაცს: „მუხა საქართველოა, ყლორტები – ახალი თაობა,...“ ეს ნატვრა საფლავში არ ჩაჰყოლია პოეტს...“ ეხება მინაწერი სქოლიოში:

„და ისე ჩავალ მე სამარეში  
ბეწვის ოდენა არ მიმდევს დარდი,  
სამშობლო ჩემი თავისუფალი  
ჰყვავის, იშლება ვით იავარდი“.

გვ. XIX. ერთსტროფიან ლექსთან მიწერილია! „ან კიდევ მყინვარს, გვ. 49“.

გვ. XX. ლექსის სტრიქონებთან

„დაზგაზე რანდით ლამობდი

მრუდე ხის გასწორებასა“ მიწერილია: „ეს სიმბ. თქმა ი. დავით. ხარატი ხელში რანდით მომუშავე“.

მესამე ცალის ფორზაცზე: „ჩემს ბიბლიოთეკას, ი. გრ. 1938. 1/X“.

წიგნში ჩადებულია:

1. რვეულის ფურცელი, რომელზედაც წერია: კურიოზი:

„ჩურჩხელებს რომ აკეთებენ  
დღეს არ იცი, ჩემო ნანი?  
წამო, გოგო, ჩვენც დავავლოთ

გადაადგე „ჩირაღდანი“\*)

შოი მღვიმელი.

(შენიშვნა: \*) – წიგნს, რომელსაც თქვენ სწავლობთ მეორე კლასში, ჰქვია „ჩირაღდანი“. იხ. ნინო ძიმიგურის „ქართ. ენის სახელმძღვანელო დაწყ. სკ. II კლ. 1941 წ., გვ. 18“, გვერდზე მიწერილია: „ეს ლექსი წინათ სხვანაირათ იყო“. 2. ჟურნალიდან ამოჭრილი ანონიმური რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით „მნათობი“, 1938, № 9“.

2852–2853. მჭედლიშვილი ი. ალექსანდრე ბატონიშვილი. ისტ. პიესა 5 მოქმ. ტფ., 1935.

გვ. 13. ხაზგასმულია: „ზარბაზანი“, მიწერილია: „ზარბაზანი იყო მაშინ?“

გვ. 15. ხაზგასმულია: „საღდათს“, მიწერილია: „ჯარისკაცს“.

გვ. 16. ხაზგასმულია: „ვირ-ემმაკები“, მიწერილია: „ასე პირდაპირ?“

გვ. 20. ხაზგასმულია: „ურო“, მიწერილია: „უფრო“.

გვ. 23. ხაზგასმულია: „ჰკვა გაგიჭრიდეს“, მიწერილია: „ჰკუა გიჭრიდეს“.

2854. მჭედლიშვილი ი. ანგელოსთა აჯანყება (ბიბლიური თქმულება). [პოემა]. ტფ., 1915.

კანზე: „მივიღე თბილისიდან ბარკალაიასაგან. 1915 წ. კისლოვოდსკი. 27 ივლისი – ი. გრ.“

2855. მჭედლიშვილი ი. გიო. სურათი. ტფ., 1913.

თავფურცელზე წარწერა: „ნიშნად ღრმა პატივისცემისა და გულწრფელი სიყვარულისა ჩემთან შეზრდილს ჩემს თანამოკალმეს სოსოს სოსოსაგან. 2. I. 18 წ.“

ხაზგასმულია: „1913“. იქვე მიწერილია: „1918“.

2856–2857. მჭედლიშვილი ი. თქმულება შოთა რუსთაველზე. ტფ., 1924.

კანზე: „დაიბეჭდა პირველად „სახალხო გაზეთის“ დამატება, 1913 წ., № 163“.

გვ. 8. სტრიქონთან: „წამო და თვითონ გაიგებ“... მიწერილია: „დაბეჭდილია „მწყემსი“.

გვ. 15. ტექსტში ხაზგასმულია სტრიქონები:

„რუსთველო, მენატრებოდა

სიკვდილი შენის ხელითა“. არშიაზე: „ა. ხახანაშ., 165“.

გვ. 16. მოხაზულია სტრიქონები:

„შოთავ, შენს წმინდა ლოცვებში

ახსენე ჩემი ცოდვები...“. არშიაზე: „დეზდემ“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „დაბეჭდილი იყო „სახალხო გაზეთის“ დამატებაში 1913 წ., № 163. აქ შეცვლილია ცოტათი. – ი. გრ. 1924 წ., 31. XII“.

გვ. 4. ტექსტში ხაზგასმულია სტრიქონი: „ზღვის ბსკერთა შიგან...“ მიწერილია: „ზღვისა ძირებსა“. იქვე ხაზგასმულია სიტყვა: „დაიბლაჯნის“, მიწერილია: „დაისერავს“.

2858–2859. მჭედლიშვილი ი. ლექსები. წ. 1. ტფ., 1922.

ხელნაკეთ კანზე: „ი. მჭედლიშვილის ლექსები. ი. გრ. 1922 წ. 12/VII“.

გვ. 5. ლექსში „ვარდი და ბულბული“ ხაზგასმულია:

„განა უტურფოდ ქვეყანა

იცოცხლებს, ამღერდებაო?!“ მიწერილია: „ვარდ-ბულბულის გაბაასება თეიმურაზისა“. ამავე ლექსში ხაზგასმულია:

„ვიდრე ვიყავი თავისუფალი,

თავისუფალი მე მქონდა ენა...

მიწერილია: „ვილასაც აქვს ასე – არ მაგონდება.“ ხაზგასმულია:

„...არა იმღეროს

თავისუფლება ვისაც მოაკლდეს“, მიწერილია: „ნ. ბარათაშვილს გავლენა I-ში“.

გვ. 8. ლექსში „სამ-გორი“ ხაზგასმულია:

„ანათებ მაინც ცივი ვარ

და არ ანათებ მაინცა“, მიწერილია: „ახოსპირელისაა“. ხაზგასმულია: „მაგრამ რომ ვწერ, მიტომ არ ვწერ“, მიწერილია: „ილია“.

გვ. გვ. 9–10 ლექსში „ფერადი მძივი“ მოხაზულია მეხუთე სტროფი და მიწერილია: „ეს მთლიანად სხვისია, მოვიგონებ“. ხაზგასმულია: „გვაზის... სილამაზის“, მიწერილია: „ჩემი I წიგნი“.

გვ. 11. ლექსთან „სადამო მთაში“ მიწერილია: „ვაჟას სათაური“.

გვ. 12. ლექსში „სიმღერა“ ხაზგასმულია: „მეთქი მშვენიებით“, ბოლოში მიწერილია: „არა სჯობდა „მშვენიერებით!“

გვ. გვ. 13–14. ლექსის „ნეკერი“ მეორე სტროფს მიწერილი აქვს: „ახნაზაროვი“. მე-8 სტროფში ხაზგასმულია: „ერთი მქონდა და ერთს გიძღვენ გული!“ არშიაზე: „გვაზავას ლექსი: „მე ხომ ერთი გული მქონდა, ისიც შენ ერთს მოგიძღვენი“. იხ. „ივერია“. ამავე გვერდზე მოხაზულია;

„დაკარგვა თურმე ადვილი არი,

პოვნა კი, პოვნა – ძალიან ძნელი“, მიწერილია: „ზურგიელიძის აფორიზმი“.

გვ. 15. ლექსში: „მარტო ვარ... მარტო...“ ხაზგასმულია სარითმე სიტყვები: „წამს“, „მწამს“ და მიწერილია: „ერთმარცვლოვანი რითმა“.

გვ. 17. ლექსში „გლოვის ორძალი“ ხაზგასმულია სარითმე სიტყვები: „სამარეს“ – „ამ არეს“, მიწერილია: „ახოსპირელის რითმა“.

გვ. 18. ლექსში „ორი ცრემლი“ ხაზგასმულია:

„ვეღარ მოვრჩი კაცთ სიმრუდეს:

ტანჯვას ღირსის უღირსთაგან“, მიწერილია: „ჰამლეტ“. (გვ. 63)“. მოხაზულია:

„დაიწყევლოს ჩემი ენა, ამ ქვეყანას რო ვაქებდი!

ძირში მომტყდეს ის მარჯვენა, რომლითაც მე ლექსებს ვწერდი...“

მიწერილია: „ჩემი, იხ. I ტ. „ჩემს გველს“ (გვ. 121)“.

გვ. 25. ლექსში „გამოიცანით“ ხაზგასმულია: „ვარსკვლავებს იქით სად ჰპოვებ სადგურს“, მიწერილია: „ნ. ბარათაშვილი“.

გვ. 26. ლექსში „მშვიდობით“ ხაზგასმულია: „სადმე“, „სად შენ და სად მე“, მიწერილია: „ივერია“, 1909 წ.“.

გვ. 27. ლექსში „სიმღერა“ ხაზგასმულია:

„მე შენ მიყვარდი და მეყვარები,

ვიდრე სიკვდილი ჩაგიტანს საფლავს“, მიწერილია: „შ. მღვიმელი“.

გვ. 31. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „არყი“, მიწერილია: „რად არის სხვა პატარა სათაურები აქ?“ აქვე ლექსში „გემი“ ხაზგასმულია: „სულაც არ უკრთის ზღვის ბობოქრობას“, მიწერილია: „ჩემი ლექსი „ზღვა“, I ტ.

გვ. 33. ლექსში „განუყრელნი“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „თანამგზავრები“ „მივემგზავრებით“, მიწერილია: „ერთნაირი რიტმა“.

გვ. 34. ლექსში „მე მსურს ტირილი“ ხაზგასმულია: „ვინ შევიყვარო? ვის მივცე ხელი?“, მიწერილია: „ლერმონტოვი“.

გვ. 44. ლექსში „თავი და ბოლო“ შემოხაზულია მე-2 თავი და მიწერილია: „იხ. ჩემი „აცივდა““.

გვ. გვ. 52–53. ლექსში „ო, ნინო, ნინო“ ბოლო სტროფში ხაზგასმულია: „გაღმა-გამოღმა“, მიწერილია: „ჩემი რიტმა – გვაზავათი გამოწვეული: იხ. „ივერია“, 1909 წ., № 7.

გვ. 59. ლექსში „ნასვამი“ ხაზგასმულია: „ფიქრმა და დარდმა დამაძაბუნა...“ მიწერილია: „რაფ. ერისთავი“. ლექსის ბოლოს: „იხ. „ხმა კახეთისა“, № 10, 1912 წ.“

გვ. 71. ლექსში „ათი-შაურად“ ხაზგასმულია: „რიტმაზე რიტმის გადაკეთება“ და მიწერილია: „და არა გვირისტი“.

გვ. 76. ლექსში ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „დანდგარი“, „ამდგარი“, მიწერილია: „გ. ლეონიძემ იხმარა აქედან“.

გვ. 88. ლექსში „სამყურა“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „მაგრე“ – „ციხე-სიმაგრე“, მიწერილია: „ჩემი. თხ. I ტ.“. იქვე ხაზგასმულია: „ჯოჯოხეთისა და ჯანდაბის“, არშიაზე: „ორთავე ერთია“.

გვ. 93. ლექსში „დასასრული“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „გამყაროს“ – „სამყაროს“, მიწერილია: „ჩემი. იხ. II ტ. იხ. ლექსი „თვითმკვლელობა“.

გვ. 94. ლექს „ტფილისი“ მიწერილი აქვს: „ჩემი მიზაძვა“. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „მწვანეთს“ – „ერთმანეთს“, მიწერილია: „იხ. ჩემი „ლოტოსი“ II ტ., ან ჟურნალი „შვიდი მნათობი“, № 4“.

გვ. 104. ლექსთან „1914 წელი“ მიწერილია: „მიზაძვა ჩემი“.

გვ. 110. მიწერილია: „მჭედლიშვილი ფსევდონიმს მიხსნის. ფსევდონიმის გახსნა განა არსებითად ეხება კამათს? ეს უკვე ის დანაშაულია, რომლის შესახებაც გაზეთის ფურცლებზე აღარ შეიძლება წერა. ამისთვის არსებობს სხვა ადგილი და სხვა საშუალება. მჭედლიშვილი „იქნებას“ ფსევდონიმით წერდა რელიგიის წინააღმდეგ „ტრიბუნაში“ წერილებს, ეს ეხლა, როცა ლეონიძემ გამოზარდა“.

კანის მე-3 გვერდზე; „ჩემი გავლენა: – შეითანბარზე. წალვერზე, მწუხრზე. გაჩუმდა? ქვემოთ: „იხ. ჩემი I წიგნი, გვ. 121 და მჭ. – გვ. 18. „ივერია“, 1909, № 10. მჭ. – გვ. 14“. ქვემოთ: „თარიღი? რათ უსპობს საშუალებას მკითხველმა დაგვაფასოს – შეადაროს თარიღები? პუშკინის „სულელი მთვარე“ მჭედლიშ. აქვს გვ. 23. ეს უკვე სახეა.“

კანის მე-4 გვერდზე: „რატომ არ შეიძლება ერთი და იგივე ჰაზრი მჭედლიშვილსაც დაეხადოს და შექსპირსაც. ასე მაგალითად:

მჭედლიშვილი – „ის კაცი იყო, ვითარ შეჰშვენის კაცსა კაცობა“. (იხ. „ხმა კახეთისა“, № 7, 1912 წ.)

შექსპირი – „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“. (იხ. „ჰამლეტი“ გვ....)

მჭ. – „მე შენ მიყვარხარ და მეყვარები,

ვიდრე სიკვდილი ჩამიტანს საფლავს“ („ხმა კახეთისა“, 1913, № 58).

შ. მღვიმელი „მე შენ მიყვარხარ და მეყვარები, ვიდრე ცოცხალი დავიარები“ (იხ. „სატრფო“, გვ. 27).

მეორე ცალის ფორზაცზე წარწერა: „ვასილ კახიძეს. მიიღეთ ეს ცენზურის მიერ გაყვლეფილი წიგნი. გააძრეს ტყავი, ეგონათ გაწითლდებოდა, მაგრამ იგი ისევ თეთრი დარჩა. სახსოვარი ესე ნიშნად ღრმა პატივისცემისა და მეტი სიყვარულისა იყოს თქვენთან. „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“. ი. მჭედლიშვილი. 1922–31 მკათათვე. ტფილისი“.

გვ. 104. ლექს „1914 წელი“ მიწერილი აქვს: „გრიშაშვილის მიზაძვა“.

2860–2863. მჭედლიშვილი ი. მეომარი პოეტი [პიესა. თბ., 1922].

თავფურცელზე წარწერა: „უნიჭიერეს პოეტს გრიშაშვილს სახსოვრად ი. მჭედლიშვილი. 1922–1924 აგვისტო. ტფილისი“.

თავფურცელზე: „არის ისეთი წიგნი, რომელიც თვით შეიცავს რეცენზიას. ამ წიგნზე შეიძლებოდა გვეთქვა რამ, მაგრამ საგინებლად თავისავე სისულელე ეყოფა“.

გვ. გვ. 12–13 შორის ჩადებულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „მომქმედნი პირნი წარამარად შედიან და გამოდიან – სრულიად უაზრობაა. პიესა არც სასცენოა და მით უმეტეს წასაკითხი. თვითონ პოეტი რაღაც შეშლილს ჰგავს, ბავშვია. – 2. ერთი მონოლოგია და ერთ ლექსად იყო დაბეჭდილი. ... – ომია, ომი – ცალკე მოთხრობაა ამონაბეჭდი „ლეილასათვის“. ამავე ფურცლის მე-2 გვერდზე წერია: „წიგნში ბევრი კორექტურა დაბეჭდილი. ვერ... – რა ჰქვიან სათაურად“.

გვ. 23. არშიაზე: „ეს დაბეჭდილი იყო: „მეოცნებე გოგი“. ცალკე იყო დაბეჭდილი“.

გვ. 42. ტექსტში ხაზგასმულია სიტყვები: „ენას ჭალი მედება“, იქვე მიწერილია: „ჩემი სიტყვაა... რომ ვეკამათებოდი“.

გვ. 54. ტექსტში ხაზგასმულია: „ეს ორი ბაგე იმისთვის დასადავებენ ქალწულებრივი ცეცხლით, რომ ზედ შავი ასოებით ეწეროს უნამუსოო?“ არშიაზე: „ოტელოდან“. ამავე გვერდზე ხაზგასმულია სიტყვები: „ამ ხელებმა სატაცურივით ნაზმა“, არშიაზე: „ჩემია. უთხარი ნინო...“

მეორე ცალის თავფურცელზე: „ეს წიგნი ანიკოს ეკუთვნის ნიშნად იმ... რა ვთქვა, არ ვიცი, ღმერთმანი! ნიშნად ყველაფერი კარგისა და... ცუდი, ღმერთმანი, არაფერი ჩამიდენია, გარდა საქვეყნო საქმისა. ბევრს რასმე დაწვერდი ანიკო აქ, მაგრამ ცოდოა ამ წიგნის ყდა და ამასთანავე არც ეტევა ზედ. ი. მჭედლიშვილი. 1922–3 მაისი. გენუის მეოცდაოთხე დღე“.

იქვე ქვემოთ: „ვიყიდე ბაზარზე 1931 10 V. ი. გრ.“

2864. მჭედლიშვილი ი. მეოცნებე გოგი. [ნაწყვეტი. მოთხრობა. თბ., 1920] ამონაჭერი: „ცისარტყელა“, № 7.

2865–2866. მჭედლიშვილი ი. მსოფლიო გვრგვინვაში. [ლექსები]. 1914–1917 წ., ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „ულრმესი და გულწრფელი სახსოვარი ი. გრიშაშვილს ნიშნად ულრმეს და უგულწრფელეს პატივისცემისა ი. მჭედლიშვილისაგან. 22. IX. 28 წ.“

გვ. 10. ლექსში „ზღაპარი ქარზე“ ხაზგასმულია: „არა ჰზოგავს ფერსო – სოლებს“, არშიაზე: „ორთქლმავალი?“

გვ. 12. ლექსში „მშვიდობით“ ხაზგასმულია: „უწყალო ოტარიდობით“, არშიაზე: „რა შუაშია აქ ოტარიდი“.

გვ. 53. ლექსში „სომხის ასული“ მოხაზულია ზემოდან 6 სტრიქონი, არშიაზე: „აკლია ერთი სტრიქ.“



გვ. 61. სათაურთან: „ი. მჭედლიშვილის წიგნები“ მიწერილია: „ეს სულ ბოლოში უნდა ყოფილიყო“.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „კაკოს საჩუქრად მამასაგან. 19/IX–28 წ.“

2867. მჭედლიშვილი ი. მფლანგველი. თანამედროვე პიესა. ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „სოსოს – სოსოსაგან. 24. V. 28 წ.“

გვ. 18. პოემაში „მფლანგველი“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „წინარე“, „ამომდინარე“, მიწერილია: „იხ. ჩემი „ლოტოსი“. ხაზგასმულია სტრიქონი: „უცეცხლოთა და ბოლოთა“, არშიაზე: „მაშინ ასე სჯობდა: „უცეცხლოდ და უბოლოდა“.

გვ. 21. ხაზგასმულია რიტმები: „მელოტი“ – „სველოთი“, არშიაზე: „იხ. ჩემი ლექსი: „მამაჩემს“. ტ. II“.

2868. მჭედლიშვილი ი. მწყემსის წერილები. თფ., 1917.

ხელნაკეთ კანზე: „ი. მჭედლიშვილი. „მწყემსის წერილები“.

თავფურცელზე წარწერა: „სეხნიას – სეხნიასაგან. 1919. 27 იანვარი. ტფილისი“.

2869. მჭედლიშვილი ი. პოემები. თბ., 1940.

2870. მჭედლიშვილი ი. შვიდნი ძმანი ხევსურნი. [პოემა]. თბ., 1919.

2871–2872. მჭედლიშვილი ი. ჯვარცმული. ლეგენდა 5 მოქ. ტფ., 1933.

2873–2874. მჭედლიშვილი პ. ლონდონის მაწანწალები. [მოთხრობა]. ტფ., 1903.

2875. მჭედლიშვილი შ. სიმღერა შენზე. [ლექსები]. თბ., 1961.

2876. ნადირაძე კ. თხზულებანი. თბ., 1958.

2877. ნადირაძე კ. რჩეული. თბ., 1962.

2878. ნადირაძე კ. ბალდახინი. [ლექსები]. ქუთაისი, 1920.

კანზე: „ი. გრ. 20 წ. 29/IV“.

გვ. 7. ლექსში „ძველი რიტმებით“ ხაზგასმულია: „ძვირფასო ჩემო!“, მიწერილია: „ახალია, ძველად: ჩემო ძვირფასო“. ხაზგასმულია: „ლამაზი სევდა“, მიწერილია: „მე მაქვს „მშვენიერი სევდა“.

გვ. 28. ლექსის „მისტერია ფოთლების“ I სტროფში ხაზგასმულია: „ღამით“, „ბალღამით“, მიწერილია: „იხ. ჩემი ლექსი „თამარ“. „სახალხოს დამატება“, № 95, 1916 წ.“

გვ. 29. ლექს „ჯვარცმა ღამეში“ მიწერილი აქვს: „აბაშელი“.

გვ. 42. ლექსში „ბალდახინი“ ხაზგასმულია: „ვინ შეგვახვედრებს, ვის უნდებვართ, ვინ მოგვიგონებს?!“..., მიწერილია: „ნ. ჩხიკვაძისებური“.

2879–2881. ნადირაძე კ. დიდ გზასთან. [ლექსები]. თბ., 1946.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს – პოეტსა და მეგობარს. კოლაუ ნადირაძე. 18. VIII. 1946 წ. თბილისი“.

2882. ნადირაძე კ. ლექსები რევოლუციაზე: 1905 წელი. – წითელი მოედანი. – შოტლანდიელი ცეცხლფარეში. [თბ.], 1930.

2883. ნადირაძე კ. ლექსები. წ. 2. თბ., 1939.

2884. ნადირაძე კ. მენავთე. მოთხრობა. ტფ., 1927.

2885–1886. ნავთლულელი შ. ლექსები. ლენინის ხსოვნას. ძღვნად ახალგაზრდობას. ტფ., 1925.

კანზე წარწერა: „სახსოვრად ამხანაგ იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან. 9 თებერვალს 1925 წელს“.

2887. ნავთლულელი შ. მწყემსის გოდება და მწყემსის ფიქრები. [ლექსები]. ძღვნად საქ-ოს მწყემსობას. ტფ. 1925.  
კანზე: „ი. გრ. 1925. 22/X“.
- 2888–2889. ნავთლულელი შ. ნილაბ ქვეშ. ლექსები. ტფ., 1927.  
კანზე: „ი. გრ. 1927. 7/V“.
- 2890–2891. ნავთლულელი შ. ორი პოემა. ტფ., 1932.
2892. ნავთლულელი შ. სილოსი. ლექსები. ტფ., [1931].  
თავფურცელზე: „1931. 23/II. ი. გრ.“  
კანის მე-4 გვ.: „ი. გრ. 1931 წ. 25/II“.
2893. ნავთლულელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი ლექსები. თბ., 1908.
2894. ნავთლულელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი ლექსები. 1896–1926. ტფ., 1927.  
თავფურცელზე წარწერა: „სახსოვრად ძვირფას მეგობარს იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან“.  
კანზე და შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1927. 8. III“.
2895. ნაზარბეგოვი ი. გმირული ბრძოლის დღეები [ნარკვევი]. ტფ., 1931.
- 2896–2897. ნაკაშიძე ნ. რჩეული. ტ. 1–2. თბ., 1961.
- 2898–2900. ნაკაშიძე ნ. ვინ არის დამნაშავე? დრამა. ტფ., 1926.  
კანზე: „ნინომ კიდევ დაბეჭდა (-ცალკე მაქვს) 1. მოთხრობანი. 1935 წ. 2. ხალხური ზღაპრები. 1936“.
- 2901–2902. ნაკაშიძე ნ. ვინ არის დამნაშავე. დრამა 4 მოქმ. თბ., 1948.
- 2903–2904. ნაკაშიძე ნ. მოთხრობები. [თბ.], 1935. ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან:  
1. ა. სულავას კრიტიკული წერილი „ნინო ნაკაშიძე“ მინაწერით: „მშრომელი ქალი“, 1935 წ., № 9“. 2. ქ. რ.-ს რეცენზია ამ წიგნზე“ მინაწერით: „კომ.“, 1936, № 85“. 3. კ. დონაძის რეცენზია მინაწერით: „კომ. განათლება“, 1936 წ., № 6.“
2905. ნაკაშიძე ნ. მოთხრობები და პიესები. [თბ.], 1950.
2906. ნაკაშიძე ნ. შობა. მოთხრობა. (გურიის ცხოვრებიდან). თბ., 1911.
- 2907–2908. ნარგიზოვანი. XVIII საუკუნის ლირიკული პოემა, ალ. ბარამიძის რედ. ტექსტი. წინასიტყვაობა. ლექსიკონი. ტფ., 1936.  
წიგნში დევს: 1. ტ. რუხაძის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „კომ.“, 1936 წ., № 247, 24/X“. 2. კ. კეკელიძის წერილი „ვინ არის „ნარგიზოვანის ავტორი?“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1939, № 34“.
- 2909–2910. ნარიშანიძე ს. როცა იღვიძებენ ტყეები. ლექსები. თბ., 1957.
2911. ნაროუშვილი ფ. ორი მისამართი. პოემები. [თბ.], 1934.
2912. ნაროუშვილი ფ. რიონი. პოემა. ტფ., 1934.
- შმუცტიტულზე ადრინდელი პატრონის ხელწერა: „შალვა დოლაქიძისა. 23. VIII. 34“.
2913. ნარსია ნ. მზეს გამოჰყევით. [ლექსები]. თბ., 1961.
- 2914–2915. ნასარიძე გ. ლექსები. ჭიათურა, 1934.
- პირველ ფურცელზე წარწერა:  
„ი. გრიშაშვილს!  
შენს სახელის ხსენებაზე  
გულში გრძნობამ გამირბინა –  
მცირე ნაშრომს გიძღვნი და მსურს

შენს წიგნებთან ჰქონდეს ბინა.

ავტორი. ქ. ზესტაფონი. 16. II. 45 წ.“

2916–2917. ნატროშვილი გ. დასავლეთის ფრონტზე. (ფურცლები დიურიდან). [წ. 1–2]. თბ., 1943–1945.

წიგნი 1. 1943.

კანზე: „ი. გრ. I“. წიგნში დევს გაზ. „კომუნისტის“ 1944 წ. 4 აპრილის ნომრიდან გ. ნატროშვილის ნარკვევი: „ბრძოლის წინააღმდეგ“.

წიგნი 2. 1945. კანზე: „ი. გრ. II“.

თავფურცელთან გაზეთიდან ამონაწერი დ. შამათავას რეცენზია „გმირული ეპოპეიას შესავალი“, მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 1945, № 128, 27 ნოემბერი“.

2918. ნატროშვილი გ. ისევ გაზაფხული იყო. მოთხრობები. თბ., 1957.

2919. ნატროშვილი გ. მოთხრობები. [თბ.], 1955.

2920. ნაფეტვარიძე გ. გაფრენილი დურაჯი. ლექსები და პოემები. თბ., 1957.

2921. ნაფეტვარიძე გ. დაუმთავრებელი ბალადა. თბ., 1961.

2922. ნაყოფია ზ. ენგურის პირას. მოთხრობები. სუხუმი, 1954.

2923. ნაშვილები ი. ფიქრთა კრებული. [ლექსები]. ტფ., 1928.

კანზე: „მარიჯანის ლექსის მიბაძვა. იხ. გვ. 16. ი. გრ.“

გვ. 16. ლექსის „ჩემი ანდერძი“ არშიაზე: „მარიჯანის მიბაძვა“.

2924. ნახუცრიშვილი გ. მგელკაცა. რომანი. თბ., 1939.

ფორზაცზე წარწერა: „ქართული პოეზიის ცეცხლოვან გიგანტს ბ-ნ იოსებ გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით. გ. ნახუცრიშვილი. 27/IV-40“. ქვევით: „ესენინი, 166; გრიშაშვილი, 89“.

კანზე: „გრიშაშვილის ლექსების კრებული, გვ. 89. (1939 წ.)“.

2925–2926. ნახუცრიშვილი გ. მგელკაცა [რომანი. მე-2 გამოც.]. თბ., 1958.

ავტორის ხელით: „ძვირფასო ბატონო სოსო! როდესაც ამ წიგნზე თქვენდამი მოძღვნის წარწერას ვაპირებდი – უეცრივ მეხსიერებაში წარსულის ერთმა პაწია სურათმა გამიელვა.

...ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ.

ჩვენ, ე. ი. დავით ნახუცრიშვილის ოჯახი, მაშინ ანჩისხატის გადმოსწვრივ ერთ ძველ სახლში ვცხოვრობდით.

იმხანად თქვენ – ახალგაზრდა ჭაბუკი – გაზეთის დამტარებლად მუშაობდით, და მე – მაშინ ჯერ კიდევ პატარა ბიჭს – სიზმარივით ჩამრჩა მეხსიერებაში თქვენი მუდამ მხიარული მოსვლა ჩვენს სახლში, ჩვენს ნათესავ გოგონა კატოსთან ოხუნჯობა და სიცილი. დღესაც ყურებში მიდგა კატოს ხმა, რომელიც წასვლისას მოგდევდათ ხოლმე უკან და გეხვეწებოდათ:

– ბიჭო, სოსო, კიდევ დაგვიწერე ეგეთი კარგი ლექსები, კიდევ:

– დღეს თქვენ ხალხის მიერ დიდ მგოსნად და საზოგადო მოღვაწედ აღიარებული – ყველა ხელოვანისათვის სანატრელ მწვერვალზე დგეხართ და იმედი მაქვს – არ იწყენთ და არ ითაკილებთ ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილ თქვენი წარსულის ამ პაწია სურათის მოგონებას. ვაი იმას, ვინც ყმაწვილობაში მაღალი მდგომარეობით დაიწყო და სიცოცხლის დაისზე კი, თავისი უნიათობის გამო, გაზეთის დამტარებლობამდე დავიდა, – თორემ თქვენ, ხალხის „უჩინოთა“ წიაღიდან გამოსულმა, მატერიალურ

სახსარს მოკლებულმა ახალგაზრდამ – გაზეთის დამტარებლობით დაიწყეთ და პოეტ-აკადემიკოსობამდე ახვედით მხოლოდ და მხოლოდ თქვენი პირადი მაღალნიჭიერებისა და დაუღალავი შრომის წყალობით. და დაე, მთელი თქვენი სიცოცხლე და ცხოვრების შემოქმედებითი გზა სასწავლო მაგალითი იყოს ყველა ჩვენი ახალგაზრდისათვის ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ულრმესი პატივისცემით და გულითადი სიყვარულით.

გ. ნახუცრიშვილი. 5. X. – 58 წ. ქ. თბილისი“.

ყდის მეორე გვ.: „გვ. 104“. ამ გვერდზე ხაზგასმულია: „ხოლო გრიშაშვილის ლექსებს გრიშაშვილისებურადვე კითხულობდა და მუდამ აღტაცებას იწვევდა მსმენელებში“. ეს აბზაცი მთლიანად მოხაზულია.

2927. ნახუცრიშვილი გ. „ცეცხლის ხაზზე“. პიესა 4 მოქმ. და 8 სურ. თბ., 1955.

2928. ნახუცრიშვილი გ. სიჭაბუკე ბელადისა. პიესა 4 მოქმ. თბ., 1951.

თავფურცელზე გაზეთიდან ამონაჭერი ა. სოკოლოვის წერილი „Удачный спектакль“. მინაწერთ: „სიჭაბუკე ბელადისა“. „Правда“ „ი. გრ.“

2929. ნახუცრიშვილი დ. „დედაკაცმა აგვრია!“ სცენები სოფლის ცხოვრებიდან. 1 მოქმ. ამონაჭერი: „ცხოვრების სარკე“, წ. 2.

თავფურცელზე მიწერილია: „თბ., 1908“.

2930–2931. ნახუცრიშვილი დ. იანიჩარი. ისტ. დრამა. 5 მოქმ. თბ., 1901.

თავფურცელზე: „ი. გრ. იბეჭდებოდა „მოგზაურში“.

2932. ნახუცრიშვილი დ. ჯიუტები. (მოთხრობათა კრებული). თბ., 1914.

თავფურცელზე წარწერა: „სიტყვის ქურუმს, ტკბილ მგოსანს – იოსებ გრიშაშვილს სახსოვრად. დ. ნახუცრიშვილი“. იქვე მიწერილია: „გარდაიცვალა 1932 წ.“

კანის მეორე გვერდზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი განცხადება – დავით გიორგის-ძე ნახუცრიშვილის გარდაცვალების შესახებ, მიწერილია: „1932 წ. 2 აგვისტო“.

2933–2934. [ნებოძირელი]. ელენე. ამბავი ქართველ მაჰმადიანების ცხოვრებიდან. ტფ., 1901.

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვემოთ: „ნებოძირელისა [ილია ფერაძე]. სწორეა? ი. გრ.“

გვ. 3. დაბეჭდილია; „სოფელი ბ-ჩხა“, მიწერილია: „[ბორჩხა]. ი. გრ.“

კანის მე-4 გვ. ხაზგასმულია: „მუქთად მიეცემათ იმ ქართველ მაჰმადიანებს, რომელთაც ქართული წერა-კითხვა იციან“, მიწერილია: „მუქთად“.

მეორე ცალის თავფურცელზე ავტორის გვარი ქვემოთ: „ნებოძირელი (ფსევდონიმია ილია ფერაძისა). ი. გრ.“

2935. ნიკო. რამდენიმე ლექსი. თბ., 1898.

2936. ნიკოლაიშვილი ი. ოთხი მოთხრობა. – ამონაჭერი „მოამბე“, 1895, № 3, 5, 6; 1896, № 4; 1897, № 9.

ხელნაკეთ კანზე და თავფურცელზე: „იასონ ნიკოლაიშვილი – ოთხი მოთხრობა – I. „ცოლ-ქმარი“, II. „შერიგდნენ“, III. „ჰაიდა აქედან“, IV. „რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ!“

წიგნში გაზეთიდან ამოჭრილი ი. ნიკოლაიშვილის ნეკროლოგი მინაწერთ: „ლიტ. საქართველო“, 1941, № 20“.

2937. ნინოშვილი ე. სრული თხზულება. ავტ. სურათით, ბიოგრაფიით, სხვადასხვა წერილებით და ივ. გომართელის კრიტიკ. წერილით. თბ., 1904.

ყუაზე ამოკვეთილია: „ეგნატე ნინოშვილი. – გრიშაშვილი“.

ყდის მე-4 გვ. მიწერილია: „ეს შაირი ეხლაც დადის ხალხში. გვ. 480“ და მითითებული შაირი მოხაზულია.

2938–2941. ნინოშვილი ე. თხზულებათა სრული კრებული. მე-4 გამოც. ს. ხუნდაძის რედ. და შენიშვნ. ტ. 1–3. ტფ, 1932–1935.

ტ. 1. მოთხრობები. 1888–1891, 1932.

შმუცტიტულზე მინაწერი: „ი. გრ. 1932. 25/X. იხ. ამ წიგნზე რეცენზია: რ. კალაძე – „წიგნი“, 1932, № 3; ეგ. ნინოშვილის ბიბლიოგრაფია შეადგინა ნ. კურდღელაშვილმა“.

რედაქციის წინასიტყვაობაში: გვ. X. მოხაზულია ბოლო აბზაცი, მიწერილია: „იხ. ს. ფ-ს წერილი“. გვ. XI ხაზგასმულია: „ყველაზე უფრო სუსტად არის დამუშავებული შენიშვნები და კომენტარები“, მიწერილია არშიაზე: „ეს შეცდომა წიგნის რედაქტორსაც აქვს. იხ. „კირილე ლორთქ.“ გვ. XII. ხაზგასმულია: „კორექტურული შეცდომები“, მიწერილია: „იხ. პ. ზუმბაძის წერილი („კომუნისტი“, 1935 წ., № 94)“; ხაზგასმულია ადგილები მეოთხე აბზაცში და მიწერილია: „თუ გ. გამყრელიძემ მოგიტანა?“ გვ. XIII. არშიაზე: „ესაც ხომ ილია არ იყო – რატომ არ დაბეჭდეს?“ ხაზგასმულია 3 სტრ., დაწყებული: „ივერიაში“ ეგნატეს უფრო მეტი წერილები აქვს მოთავსებული...“, მიწერილია: „ივერიის“ 1887 წ., № 165 აქვს კორესპონდენცია პირველი“. გვ. XIV მოხაზულია ბოლო სტრიქონები, სადაც დახასიათებულია საერთოდ აკადემიური გამოცემა და მიწერილია: „ამერიკა!“ გვ. XV. ხაზგასმულია: „დედნები“ და მიწერილია: „აკი არ არის დედნებიო?“

გვ. გვ. 3–123. მოთხრობაში „ჯანყი გურიაში“ გვ. 3 ხაზგასმულია: „ფარდი ქალი“, მიწერილია: „იხ. გვ. 271“. იქვე ხაზგასმულია: „თეთრ-ყირმიზს“, მიწერილია: „არ არის ახსნილი“. გვ. 5. მოხაზულია: „ამას წამართვი – წაგართვი ქვია“, მიწერილია: „როგორ ესმის ნინოშვილს რევოლუცია!“ გვ. 6. ხაზგასმულია: „ბევრს აქ“, მიწერილია: „აქვს?“. გვ. 8. ხაზგასმულია: „თამარ მეფის დროს“, მიწერილია: „ყველგან თამარი! აქ ირონია ხომ არ არის?“ გვ. 9. ხაზგასმულია 5 სტრ., დაწყებული: „მღვდელი აფიცებდა...“ მიწერილია: „რევ. და მღვდელი! (იხ. ბოჰემა)“.

გვ. გვ. 251–277. ლექსიკონი. სათაურთან მიწერილია: „ვერ გავიგე ეს „გურული ლექსიკონია“ თუ საზოგადოთ ნინოშვილის ნაწერებში უცნობი სიტყვების ლექსიკონი? მაშ რატომ არ არის ახსნილი. „ყურუმსალი“, „ყირმიზი“ და სხვ. ამ ლექსიკონს ერთი შეცდომა აქვს, არ არის აღნიშნული გვერდები, თუ ეს სიტყვები რომელ ნაწარმოებშია ნახმარი, რომ მკითხველს შეძლება ჰქონდეს შედარებისა. ეს ხომ აკადემიური გამოცემაა? 1932. 1/X ი. გრ.“ გვ. 254 მიწერილია: „ამ ლექსიკონში არ არის გამოყენებული „ჯანყი გურიაში“. გვ. 264 არშიაზე: „კინტრად, გვ. 5.“ გვ. 268. მიწერილია: „პაემანი – გვ. 4. (რათ გამოსტოვა?)“. გვ. 271. „ფსკერის“ გასწვრივ: „ანუ ბსკერი“. გვ. 272. არშიაზე: „ყირმიზი – გვ. 3 (გამოტოვებულია)“. გვ. 273. არშიაზე: „ყურუმსალი“ – გვ. 11“.

გვ. 333. „გოგია უიშვილის“ შენიშვნებში ხაზგასმულია: „დათიკო ვერმიცანიშვილი“, მიწერილია: „წულაძე (მღვდ.)“.

გვ. 344. „პალიასტომის ტბის“ შენიშვნებში ხაზგასმულია სქოლიოში: „პ. გ-ე-ა (პ. ჭარაია)“, მიწერილია: „ნამდვილია“.

გვ. 379. „სიმონას“ შენიშვნებში მოხაზულია სქოლიო, მიწერილია: „არ უნდა ესასტიკა?“.

- ტ. 2. მოთხრობები. 1892–1894. 1932.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1933. 8. III.“  
წიგნის ბოლოს სუპერზე: „1. გვ. 65, სხოლიო (ვის ეკუთვნის?). 2. საცეცხლური? თუ სამერცხლო, გვ. 223“.
- გვ. 63–109. მოთხრობის „პარტახი“ გვ. 65-ზე სქოლიოს მიწერილი აქვს: „ავტორის შენიშვნა“.
- გვ. 223–265. მოთხრობაში „ცოლი და ქმარი“ გვ. 223-ზე ხაზგასმულია: „საცეცხლურს“, მიწერილია: „თუ სამერცხლო?“.
- გვ. 277. ხაზგასმულია: „ელედი“, ლექსიკონში მიწერილია: „ელეგი-ჟილეტივით“.
- გვ. 278. ხაზგასმულია: „ზურგის ნაწილი“, მიწერილია: „რისი?“
- გვ. 281. ხაზგასმულია: „მიდღემჩი“ და მიწერილია: „სამუდამოთ. არასოდეს“.
- რედაქტორის შენიშვნებში „ქრისტინეს“ ტექსტისათვის გვ. 293 ხაზგასმულია: „1892 წლის 8 აპრილს“, მიწერილია: „ერთ დღეში დასწერა? თუ „დაამთავრა“. მოხაზულია ადგილი, რომელიც ეხება ე. ნინოშვილის წერილს ვ. ჭიჭინაძისადმი და მიწერილია: „მე მიუთითე ამ წერილზე, არ იცოდა (იხ. „მნათობი“)“.
- გვ. 307. „მონადირე“, არშიაზე მიწერილია: „ამ მოთხრობას არჩევს და აქებს „G“ (გ. ყიფშიძე). იხ. „მოამბე“, 1895, № V, გვ. 93“.
- გვ. 308. „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, მიწერილია: „პიესად გადააკეთა“.
- გვ. 312. ხაზგასმულია: „თავსთუმალი“, მიწერილია: „სასთუმალი“.
- გვ. 316. მოხაზულია: „ივერიის კორესპ. წერილი“, მიწერილია: „ეს ისეა დაწერილი“, ზევით არშიაზე: „სენკევიჩის მოთხ. ჰგავს“.
- გვ. 321. „განკარგულება“, მიწერილია: „ამ მოთხ. არჩევს გ. ყიფშიძე (იხ. „მოამბე“, 1895 წ. № V)“.
- ტ. 3. პუბლიცისტური წერილები. 1935.  
შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1935. 21. XI“.
- ფორზაცზე: „დაღესტნელებს წუწკებს უწოდებს, გვ. 35; შეცდომა, გვ. 177“.
- გვ. 101. ვარლამ ჭიჭინაძისადმი ბარათს მიწერილი აქვს: „ამ წერილს ყურადღება მე მივაქცევინე. (იხ. „მნათობი“, 1930, № 8–9, 217) ი. გრ.“
- გვ. 128. ეგნატეს ბარათს თომასადმი მიწერილი აქვს: „იხ. შენიშვნები“ „მნათობი“, 1930, № 8–9“.
- გვ. 166. ბიბლიოგრაფიაში ხაზგასმულია: „პ. პეტრიძე“, არშიაზე: „პ. უმიკაშვილი“.
- გვ. 172. ირ. წერეთლის მიერ დაწერილ წერილს „ტანჯვის პოეტი“ („თანამედროვე აზრი“, № 17, 18, 19, 20“), მიწერილი აქვს: „(მერე შევიდა მის ტომებში)“.
- ამავე გვერდზე ხაზგასმულია და მიწერილია კითხვის ნიშანი № 164 შენიშვნაზე: „რ. კალაძის მოგონებანი ეგნატეზე „Кавказский рабочий““.
- გვ. 174. მოხაზულია № 186, 187, 188 შენიშვნები. არშიაზე: „ლექსები“. ხაზგასმულია № 201 შენიშვნა: „კ. ბ. (კ. ბერეკაშვილი) – ეგნატეს უკანასკნელი ჩასვლა ბათომში“, „მუშა“, № 167“. არშიაზე კითხვის ნიშანი.
- გვ. 177. ხაზგასმულია № 249 შენიშვნა: „მოსე თოიძე – ჩემი ავტობიოგრაფია...“ ხაზგასმულია № 257 შენიშვნა: „პ. ირეთელი: „ეგნატეს პირველი სიყვარული“... № 269 შენიშვნაში გასწორებულია შეცდომა. წერია: „ვარ. რუხაძე“... არშიაზე: „ხუროძე“.
- გვ. 178. შენიშვნაზე მიწერილია: „ს. დოლიძე?“

2942–2943. ნინოშვილი ე. თხზულებათა სრული კრებული. გ. ქიქოძის რედ. თბ., 1954.

2944. ნინოშვილი ე. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ტ. 1. მოთხრობები. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959 წ. 15 მაისი“.

2945–2948. ნინოშვილი ე. თხზულებანი. ტ. 1–3. ტფ., 1920.

ტ. 1. მოთხრობები.

ტ. 2.

თავფურცელზე: „ლაზარედი ანი“, ქვევით: „ჩემი ბიბლიოთეკისთვის. ი. გრ.“

კანზე: „ანის – ი. გრ.“ სათაურის ქვევით: „[ივ. გომართლის წერილით]“.

2949–2952. ნინოშვილი ე. [თხზულებანი ტ. 1–2] ტფ., [1924–1925].

ტ. 1. მოთხრობები. 1924.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1925-18-I. გვ. 83. საიათნოვა“.

ლექსიკონში: გვ. 403. ხაზგასმულია: „სიტყვებსა და ფრაზებს გვერდზე ორს-სამ რიგად ციფრები უზის...“, არშიაზე: „ყველგან არ არის“. გვ. 407. ხაზგასმულია: „ბოლაზი“, მიწერილია: „ყელი“. გვ. 408. ხაზგასმულია: „გაიდონა-ბულბული“, მიწერილია: „იადონი“. გვ. 427. ხაზგასმულია: „ფარდი“, მიწერილია: „იხ. საიათნოვა“. გვ. 428. ხაზგასმულია: „ღრიანკელი – კლდოვანი ადგილი“ და არშიაზე: „არის მორიელიც. იხ. საბა“. გვ. 429. „ყველაი“-ს მიწერილი აქვს: „შენი ყველაყისამ (ქართლში)“. ხაზგასმულია: „ყურყუმა – ძლიერ შავი“, მიწერილია: „ყარყუმი ცხოველი თეთრი ფერის ტყავი“. გვ. 430. ხაზგასმულია: „მედლუხი“, მიწერილია: „სპარსულია, იხ. ფარსად. გორგიჯანიძე“. გვ. 434. ხაზგასმულია: „ჯიღასავით“, მიწერილია: „ამ სიტყვის ძირი?“

ტ. 2. მოთხრობები. 1925.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1925. 15/III. II ტომი“.

ეგნატ ნინოშვილის ძეგლის ფოტოილუსტრაციაზე მიწერილია: „იაკობ ნიკოლაძისა“.

გვ. 401. ალექსანდრე თოიძისადმი ე. ნინოშვილის წერილის სქოლიოში მიწერილია: „პურ-ღვინოს“ პატრონი ლექსებსაც წერდა „სანდრო ბიჭის“ ფსევდონიმით. ამის ქალი ნინო (მომღერ.) და ოლია“.

გვ. 403. ე. ნინოშვილის მეორე წერილს ა. თოიძისადმი ქვევით არშიაზე მიწერილი აქვს: „P. S. ეს ორი წერილი პირველად დაიბეჭდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანოში (გაზ. „გრიგალი“, 1906 წ., № 14). ი. გრ.“.

გვ. 412. ე. ნინოშვილის თ. სახოკიასადმი მიწერილ წერილის შენიშვნასთან იაფი სასადილოს შესახებ მიწერილია: „ეს სასადილო იყო მთაწმინდაში და ეკუთვნოდა არჩილ ხვედელიანს. (იხ. „ბოჰემა“, გვ. 140)“.

გვ. 435. ე. ნინოშვილის ბიბლიოგრაფიაში „ქრისტინე“-ს მიმართ: „რუსულადაც არის: მოსიძემ სთარგმნა. ირეთელმა გადააკეთა „სოფლის გმირებიც“ 1911 წ. გამოსცა. „ქრისტინე“ ეკრანზედაც არის (პირველი კინო საქართველოში)“. „პალიასტომის ტბის“ მიმართ მიწერილია: „3. ცალკე წიგნად“.

გვ. 437. 1909 წ. ე. ნინოშვილის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში ხაზგასმულია: „ურუმადისა“, მიწერილია: „თუ ურატადისა“.

გვ. 440. 1921 წ. ე. ნინოშვილის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებს დამატებული აქვს: „ამავე წელს დაიბეჭდა კრებული (ქუთ.) გვ. 261. ილ. ფერადის წერილი ეგნატე

ნინოშვილის (ინგოროყვას) მოწაფეების გარშემო 1877–1878 (ისტ. ბიოგრაფ. გამოკვლევა) გვ. 28“.

გვ. 441. მოხაზულია კრებული „ჩირაღდანის“ გამოცემის ადგილი „ქუთაისი“, მიწერილია: „ტფილისი, „კომ.“ დამატება“, იქვე არშიაზე: „ქუთათური „კრებული“ „ქართული სიტყვა“.

ლექსიკონში: გვ. 446. ხაზგასმულა: „ანძის სიმაღლე“, მიწერილია: „ანძა რაღა? უნდა აიხსნას დიდი ბოძი გემზე, რომელზედაც აფრაა“. გვ. 447. მიწერილია: „ბაიყუში, გვ. 316, რატომ არ არის ახსნილი?“, ხაზგასმულია: „ბაწარი – წვრილი თოკი“, მიწერილია: „ბაწრით ჩამოგვიდებთ და ჩამოგახჩობთ“, გვ. 6–24. რა ახსნა უნდა? წვრილი თოკით ვინ იხრჩობს თავს?“. ხაზგასმულია: „ბელტი“, მიწერილია: „სხვა მნიშვნელობა?“ გვ. 448. ხაზგასმულია: „ბორჯი“, მიწერილია: „ბორჯი – გადასახადია და არა დრო“. „ბუნდრუკის“ გასწვრივ მიწერილია: „ფუნდრუკი, ხბოზე იტყვიან“. ხაზგასმულია: „ქარაგმით“, მიწერილია: „Намек“. გვ. 450. ხაზგასმულია: „გომბიო“, მიწერილია: „მართალია, გომბიო გომბეშოს მნიშვნელობით აქვს ნახმარი ეგნატეს, მაგრამ გომბიო რაღას ნიშნავს, ესეც უნდა აიხსნას თუ აკადემიური გამოცემაა“. გვ. 452. ხაზგასმულია: „ჭონია“, მიწერილია: „ჟილეტი – იხ. აღნიაშვილის ლექსიკონი“. ქვევით არშიაზე: „თივთიკის ყაბალახი, 157“. გვ. 453. ხაზგასმულია: „იაკამა დარი“, მიწერილია: „(გვ. 95)“; „იახში“ – „კარგი“, მიწერილია: „(თათრულია)“. გვ. 456. ხაზგასმულია: „მოკატუნდა“, მიწერილია: „კატასავით“. „მოლაზონის“ გასწვრივ მიწერილია: „მოლოზანი“. გვ. 457. მიწერილია: „მუყაითი მზერა, 161“. გვ. 460. მიწერილია: „სიყვარულობით წაჰკრა, 158“. „ურთხელას“ გასწვრივ მიწერილია: „ურთხის ბოძები, გვ. 5“. გვ. 461. ხაზგასმულია: „ფელიკი“, მიწერილია: „საიდან წარმოსდგება ეს სიტყვა?“ გვ. 462. მიწერილია: „ყიალი, გვ. 155-დაყილობდა“. გვ. 463. ხაზგასმულია: „მაჭანკალი“, მიწერილია: „ჩ. ჩანჩურ ივანიჩები. გვ. 158“. გვ. 466. „ხალთა“ – მიწერილია: „გუდა, ტომარა, ხელი ხალთის“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ეგნ. ნინოშვილი“. ფელეტონი Г. К. (გრ. ყიფშიძე). 1895, № 3892. „Нов. обзорен.“ 1905 წელს გამოვიდა Игнати и Ниношвили. გვ. 24 Изд. Кавказоведение. სერია: საქართველოს გამოჩენილ პირთა... [?] ბიოგრაფია“.

2953–2955. ნინოშვილი ე. გოგია უიშვილი. მოთხრობა. თფ., 1909.

2956. ნინოშვილი ე. გოგია უიშვილი. მოთხრობა. [თბ.], 1926.

2957. ნინოშვილი ე. გოგია უიშვილი. [მოთხრობა]. თბ., 1927.

2958–2959. ნინოშვილი ე. გოგია უიშვილი. განკარგულება. პალიასტომის ტბა. მოსე მწერალი. [მოთხრობები]. ტფ., 1934.

2960–2962. ნინოშვილი ე. გოგია უიშვილი. [მოთხრობა]. მცირეწლოვანთათვის. ტფ., 1936.

2963–2964. ნინოშვილი ე. მოთხრობები. ტფ., 1937.

2965–2966. ნინოშვილი ე. მოთხრობები. თბ., 1947.

2967. ნინოშვილი ე. მონადირე. განკარგულება. [მოთხრობები]. თბ., 1926.

2968. ნინოშვილი ე. მონადირე. განკარგულება. [მოთხრობები]. თბ., 1932.

2969. ნინოშვილი ე. მოსე მწერალი. მოთხრობა. ტფ., 1894.

2970–2971. ნინოშვილი ე. მოსე მწერალი. [მოთხრობა]. თფ., 1912.

2972. ნინოშვილი ე. მოსე მწერალი. [მოთხრობა]. თბ., 1932.



- 2973–2976. ნინოშვილი ე. ორი მოთხრობა. ავტორის სურათით. მისი ბიოგრაფია შედგ. გ. წერეთლის მიერ. თფ., 1895.
- კანზე: „P. S. ეს წიგნი არ იშოვება. ი. გრ.“
- თავფურცელზე: „ამ წიგნზე იხ. რეცენზია მდ. კელენჯერიძისა. „მოამბე“, 1895 წ., № V. ი. გრ.“
- კანის მე-3 გვერდზე მიწერილია: „სარჩევი: 1. განკარგულება. 2. მონადირე.“
- მეორე ცალის კანზე: „მოამბის“ რედაქციას“.
2977. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. მოთხრობა. თფ., 1904. – ამონაჭერი ე. ნინოშვილის თხზულებებიდან, 1904.
- 2978–2982. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. მოთხრობა. თფ., 1909.
- კანზე: „ეს წიგნი არა აქვს საჯაროს. – ი. გრ.“.
2983. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. [მოთხრობა]. თბ., 1926.
2984. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა, მონადირე. [მოთხრობები]. თბ., 1928.
2885. ნინოშვილი ე. პარტახი. მოთხრობა. თფ., 1897.
2986. ნინოშვილი ე. პარტახი. [მოთხრობა. თბ.], 1932.
2987. ნინოშვილი ე. პარტახი. [მოთხრობა]. ავტოგრაფის მიხედვით გამოცემული შენიშვნებითა და ლექსიკონითურთ. ა. შანიძის რედ. ტფ., 1935.
- სათაურის ქვეშ: „შენიშვ. და ლექსიკონი ქეთო ლომთათიძისა“.
2988. ნინოშვილი ე. რამდენიმე მოთხრობა. (გურიის ცხოვრებიდან). ოზურგეთი, 1892.
- თავფურცელზე: „ვიყიდე ბუკინისტ ვანიჩკსათან. 1930. 24/II. ი. გრ.“ იქვე წიგნის ყოფილი პატრონის ხელწერა: „ილია ჭყონია“.
2989. ნინოშვილი ე. სამწუხარო შედეგი. ისტ. რომანი გურიის ცხოვრებიდან. თბ., 1908.
- თავფურცელზე ყოფილი პატრონის ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“.
- თავფურცელზე გამოცემის წერილი „1908“ ხაზგასმულია და მიწერილია: „1910 წ.“
2990. ნინოშვილი ე. სიმონა. [მოთხრობა. თბ.], 1932.
- 2991–2992. ნინოშვილი ე. ქრისტინე. მოთხრობა. ტფ., 1893.
- მეორე ცალის ფორზაცზე და თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „სტეფანე გიორგის ძე ნოზაძე“.
2993. ნინოშვილი ე. ქრისტინე. მოთხრობა. ბათუმი, 1900.
- კანზე: „იშვიათია! თბილისში არ არის. ი. გრ.“
- 2994–2995. ნინოშვილი ე. ჩვენი ქვეყნის რაინდი. მოთხრობა. ბათუმი, 1896.
- 2996–2997. ნინოშვილი ე. ჩვენი ქვეყნის რაინდი. [ტფ.], 1927.
2998. ნინოშვილი ე. ჩვენი ქვეყნის რაინდი. [მოთხრობა. თბ.], 1932.
- 2999–3000. ნინოშვილი ე. ჯანყი გურიაში. [რომანი]. ტფ., 1935.
- 3001–3003. ნინოშვილი ე. ჯანყი გურიაში. [რომანი]. თბ., 1939.
3004. ნიშნიანიძე გ. ზღვა სიხარული. (ნარკვევების კრებული). თბ., 1960.
3005. ნიშნიანიძე გ. შავი ხალები. [იუმორი]. თბ., 1958.
3006. ნიშნიანიძე შ. ახალგაზრდული. [ლექსები]. თბ., 1960.
3007. ნიშნიანიძე შ. ზეთისხილის რტო. [ლექსები]. თბ., 1961.
3008. ნიშნიანიძე შ. მე და შენ. ლექსები. [თბ.], 1956.

3009. ნონეშვილი ი. ერთტომეული. ლექსები. პოემები. [თბ.], 1954.  
ფორზაცზე: „ი. გრ.“ 1955. 15/II გამოვიდა“.
3010. ნონეშვილი ი. ამბავი ერთი ქალიშვილისა. პოემა. [თბ.], 1952.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 19/III“.
3011. ნონეშვილი ი. ამბავი ერთი ქალიშვილისა. პოემა. თბ., 1956.
- 3012–3013. ნონეშვილი ი. არის ასეთი ქვეყანა. [ლექსები და პოემა]. თბ., 1960.
3014. ნონეშვილი ი. ახალი ლექსები. [თბ., 1950].  
ქალაქის ნაჭერი წარწერით: „ახალი ლექსები“. 1950 წ. „საბჭოთა მწერალი“.  
რეცენზია: „მნათობი“, 1951, № 6, გვ. 165. სიმონ არველაძისა“.
3015. ნონეშვილი ი. ლექსები. თბ., 1940.  
შმუცტიტულზე წარწერა: „ახალგაზრდობის დიდ ქომაგს, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატს პატივცემულ ი. გრიშაშვილს, უღრმესი პატივისცემის ნიშნად ი. ნონეშვილი, 8/1 1941. დედაქალაქი“.
- გაზეთიდან ამოჭრილი ი. ნონეშვილის ლექსი „დილა მშვიდობისა“, მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1941, № 14“.
- დ. ს.-ს რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „ლიტ. საქარ.“ 1941, № 1“.
3016. ნონეშვილი ი. ლექსები. თბ., 1944.  
თავფურცელზე წარწერა: „ჩემს საყვარელ მგოსანს, ძველი თბილისის ტრუბადურს მისი უმცროსი თანამოკალმისაგან. სიყვარულისა და უღრმესი პატივისცემის ნიშნად. ი. ნონეშვილი. 1944. 5. X, დედაქალაქი.“
- ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. დ. მელუხას რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „ახალგ. კომუნისტი“, 1945 წ., 12 აპრილი. 2. წერილი „ახალგაზრდა მწერლების შესახებ“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1945, № 15. 3. შ. ბუაჩიძის რეცენზია წინამდებარე წიგნზე მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1944, № 42, 22 დეკემ.“.
- 3017–3018. ნონეშვილი ი. ლექსები. [რედ. ი. გრიშაშვილი]. თბ., 1946.  
ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტსა და ადამიანს ი. გრიშაშვილს ავტორისგან. 1946-22-IX. დედაქალაქი“.
- გაზეთიდან ამოჭრილი გ. ნატროშვილის წერილი „იოსებ ნონეშვილის ლექსები“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1946, № 41, 20 ოქტ.“
3019. ნონეშვილი ი. ლექსები. პოემა [ამბავი ერთი ქალიშვილისა]. თბ., 1951.  
ფორზაცზე: „1951. 30/XII“.
- გვ. 10. ლექსის „მშვიდობისათვის, სტალინისათვის“ ბოლო მიწერილია: „გ. ლ.“
- გვ. 35. ლექსის „სიმღერა გაზაფხულისა“ ბოლო მიწერილია: „გ. ლ.“
- გვ. 38. ლექსში „მესაზღვრეების სიმღერა“ ხაზგასმულია: „ასი თვალი, ასი ყური გვაბია“, მიწერილია: „ეს სტრიქონი „ზოიაშიც“ არის. (იხ. „კომუნისტი“).
- გვ. 88. ლექსში „პუშკინის ძეგლთან“ ხაზგასმულია: „პოეტს ნატყვიარს...“, მიწერილია: „ვინ?“
- გვ. 161. ლექსში „სურათები ნინოშვილის ცხოვრებიდან“ ხაზგასმულია: „მაგრამ ჩირგვები სად არის?“, მიწერილია: „განა ჩაი ჩირგვებად არ არის?“
- გვ. 163. ლექსები ციკლის სათაურს „ფერად-ფერადი“ აქვს მინაწერი: „ვ. ბარნოვი“.
- გვ. 164. ბოლო სტროფში ხაზგასმულია სიტყვები: „კვნესამე – მესამე“, მიწერილია: „ჩემი რითმა“.

- გვ. 166. ხაზგასმულია: „იცი რა?“, მიწერილია: „კ. მაყა[შვილი]“.
- გვ. 167. ხაზგასმულია: „[შენი ლანდი] პატარა“, მიწერილია: „ჩემი ლექსიც“.
- გვ. 169. ხაზგასმულია: „ჯარჯივით თმაში“, მიწერილია: „ჩემი“.
- გვ. 174. არშიაზე: „სხვაგანაც წამიკითხავს“.
- გვ. 182. ხაზგასმულია: „ლეილალი“, მიწერილია: „ჩემი“. ხაზგასმულია: „ცისფერი წიგნი, შარშანდელ ვარდით დევს ჩანიშნული“, მიწერილია: „ა. ჭ.“. მომდევნო სტროფები მოხაზულია და მიწერილია: „შ. ა.“
- გვ. 188. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „სხვისია“.
- გვ. 190. ხაზგასმულია სტროფი და მიწერილია: „ხალხურიდან“.
- გვ. 203. მინაწერი: „შ. მღ[ვიმელი]“.
- გვ. 235. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „მარიჯან“.
- გვ. 291. ხაზგასმულია: „სულის ამოსვლა“, სქოლიოში მიწერილია: „გულის გაცემა“.
- გვ. 297. სიტყვა „ხანდისხან“ შეცვლილია სიტყვით: „ხანდახან“. სიტყვა „ომახიანის“ მნიშვნელობა დაზუსტებულია: „დიდი ხმა“.
- წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ძალიან ბევრი ხარაჩოები და ცისარტყელებია“.
- ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. დ. ბენაშვილის რეცენზია „Живое чувство современности“ მინაწერით: „Заря“. 1951, № 286, 7 დეკემბ.“ 2. ერ. ქარელიშვილის წერილი „იოსებ ნონეშვილის ლირიკა“, მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნ.“, 1951 წ., № 50, 16 დეკ.“ 3. ი. ნონეშვილის ლექსი „შეადე გულის კარები“, მინაწერით: „სახალხო განათ.“, 1948 წ., 27 ოქტ.“. ლექსში ხაზგასმულია მე-3 სტრიქონი. მიწერილია: „ჰგავს ჩემს ლექსს ე. ჩერქეზ[იშვილზე]“. 4. ი. ნონეშვილის ლექსის რუსული თარგმანი: „У памятника Пушкину“ მინაწერით: „Мол. сталинец“, 1952, № 18, 9 თებ. 5. ი. ნონეშვილის ლექსის რუსული თარგმანი „Новогоднее письмо вождю“ მინაწერით: „Заря“, 1952, № 1“.
6. ნაწყვეტი ი. ნონეშვილი ლექსიდან მინაწერით: „სახალხო განათლება“, 1952, № 8. ხაზგასმულია და აღნიშნული კითხვის ნიშნით: „ედემის [აღმოცენებას]“. 7. ს. მაღლაფერიძის რეცენზია „ახალი შემოქმედებითი გამარჯვება“ მინაწერით: „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1952 წ., № 11, 15 იანვ.“. 8. ს. ჭილაიას წერილი „შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე“, მინაწერით „კომუნისტი“, 1952 წ., № 5, 6 იანვ.“. ტექსტში ხაზგასმულია ადგილები. 9. ერ. ქარელიშვილის წერილი „პოემა ზოია რუხაძის ცხოვრებაზე“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1951 წ., № 52, 30 დეკემბ.“
3020. ნონეშვილი ი. ლექსები. პოემები. 1938–1958. თბ., 1958.
- ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ მგოსანსა და ადამიანს, ქართული ლექსის ლაზათსა და მოამაგეს. – ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. ი. ნონეშვილი. 3. XI-58 თბილისი“.
3021. ნონეშვილი ი. ლირიკა. თბ., 1956.
- 3022–3023. ნონეშვილი ი. ლირიკა. თბ., 1961.
3024. ნონეშვილი ი. სახლი გორკაში. [ლექსები. პოემა. თარგმანები]. თბ., 1954.
- თავფურცელზე: „1955. 25. I. ი. გრ.“
- 3025–3026. ნონეშვილი ი. სიმღერა მეგობრობისა. ლექსები. [თბ.], 1954.
- თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ მწერალსა და ადამიანს ი. გრიშაშვილს სიყვარულით ავტორისგან. ი. ნონეშვილი. 6. 6. 54. თბილისი“. ქვემოთ „[1954. 9/VI] ი. გრ.“
- მეორე ცალის თავფურცელზე: „ი. გრ. 1954-22-V.“

გვ. 62–63. ლექსში „ვლადიმერ მაიაკოვსკი“ ხაზგასმულია: „ნემოს სურნელი“, მიწერილია: „გამხმარი ბალახი“. იქვე ხაზგასმულია „ცულივით“ და არშიაზე: „თუ ცელივით“. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „შეურიგალი... გრიგალი“ – მიწერილია: „სხვისია“.

3027. ნონეშვილი ი. [ქარიშხლის შემდეგ]. ლექსები. თბ., 1949.

გვ. 14. უსათაურო ლექსთან „სად არ ვიყავ, სადა არა...“ მინაწერი: „ჩემი პატარას მიბაძვა“.

გვ. 36. ლექსის „სიმღერა გაზაფხულისა“ უკანასკნელი ორი სტრიქონი მოხაზულია და მიწერილია: „გ. ლ.“

თავფურცელთან გაზეთის 2 ამონაჭერი: 1. ი. ნონეშვილის ლექსი „ლამპარი“ მინაწერით: „კომ.“, 1949, 21 დეკ.“ 2. შ. ამისულაშვილის რეცენზია მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 1949, № 61, 14 მაისი“.

წიგნში ჩადებულია რვეულის ორი ფურცელი, მასზე ი. ნონეშვილის ხელით გადაწერილია მისივე ლექსი: „საუბარი ნაძვებთან“. 18/II. 1940 წ. ტფილისი.

3028. ნონეშვილი ი. ყაზახეთის ველებზე. [ლექსები]. თბ., 1955.

კანზე: „ი. გრ. 1955. 16/VII“.

3029. ნონეშვილი ი. ცისარტყელის ჭიშკარი. [ლექსები]. თბ., 1960.

3030. ნუცუბიძე გ. 10 ფელეტონი. 1 წიგნაკი. ბათომი, 1928.

თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას სოსოს ავტორისაგან“.

3031. ნუცუბიძე ლ. ლექსები. თბ., 1959.

3032. ობოლაშვილი გ. ლექსები. წ. 1. ტფ., 1929.

კანზე: „ლექსი გრიშაშვილზე, გვ. 19“.

3033. ოდიშარია ა. მამა და შვილი. ახალ-სენაკი, 1894.

3034. ონაშვილი ნ. პატარა მოთხრობები. თბ., 1958.

3035–3036. ონელი ა. მთები. ლექსები. ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 2/VI“.

3037. ორბელიანი ა. ბატონის-შვილის ირაკლის პირველი დრო. ტრაგედია ოთხ. მოქმ. ტფ., 1864.

ავტორისეული ცალი. ნასწორები მისივე ხელით.

ფორზაცზე: „იშვიათია ეს გამოცემა, არც წ. კ. ს. ბიბლიოთეკაშია. ვიყიდე ი. მიქელაძისაგან. სიონის ქუჩაზე. ი. გრ. 1925 წ. 10/VI“. ავტორის მიერ ნასწორები გვერდები. 1. შესავალი. გვ.... !

აქვე დევს ქალაქი წარწერით: „ავტორის გასწორებული. ი. გრ.“

შმუცტიტულზე, თავფურცელზე და გვ. 1 ბეჭედი: „ბიბლიოთეკა ივანე ვლ. მიქელაძისა“.

თავფურცელზე გამოცემის წელს მიწერილი აქვს: „მეორედ დაიბეჭდა 1878“.

3038–3040. [ორბელიანი ა.] ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო. ტრაგედია ოთხ. მოქმ. ტფ., 1877.

ფორზაცზე მინაწერები: „შეცდომებით დაბეჭდილი წიგნი. – „ნახევარი კაცი უჭირავს მკლავში“, გვ. 75; „ერთის მოქნევით გამეპო მსურდა“ (აკაკი). აქვე ბეჭედი: „Василий Александрович Карсидзе“.

თავფურცელზე სათაურის ქვემოთ: „ანუ თავდადება ქართველთა. გამოცემა: ზ. ჭ. 1878 წ.“

გვ. VII. სათაურთან „ავტორის ბიოგრაფია“ მიწერილია: „68 წლისა გარდაიცვალა ვახტანგ ორბელიანივით“.

გვ. 3. მოხაზულია სიტყვა: „ჯარი“, მიწერილია: „ჯარბი – (მძვინვარე გველი).“

გვ. 21. მოხაზულია ტექსტი და არშიაზე: „შერიგება ლევან და რევაზ. (აკაკი).“

გვ. 23. ხაზგასმულია სტრიქონი. მიწერილია: „იხ. აკაკის II მოქმ.“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „სცენაზე კაცის თავი“.

3041–3045. ორბელიანი ა. დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი. ისტ. დრამა. 4 მოქმ. [თფ.], 1891.

კანზე: „ეს გალექსა მოსე ჯანაშვილმა. იხ. ბოლოში ბოლოსიტყვაობა“. ბოლოსიტყვაობის სტრიქონები ხაზგასმულია.

თავფურცელზე სათაური მოხაზულია და მიწერილია: „გალექსა მოსე ჯანაშვილმა ფსევდონიმით: „იხ. უკვდავთა ღალადებანი“.

3046–3049. ორბელიანი ა. და ორბელიანი ვ. თ. ალექსანდრე ჯამ-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა. გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. თბ., 1879.

ყდაში ჩასმულია ი. გრ. მიერ.

ყდის მე-2 გვერდზე დაკრულია ფოტოსურათი წარწერით: „ალექსანდრე ორბელიანი (1801–1869)“.

ფორზაცზე: „ჩემი ბიბლიოთეკისა. ი. გრ.“ იქვე: „ნუზლი, გვ. 146; ნ. ბარათაშვილზე, გვ. 252; ქართული ენის ქება, გვ. 240.“

თავფურცელზე: „მირზაჯანზე, გვ. 155“.

გვ. 55. ხაზგასმულია: „ავ“აშანი“, მიწერილია: „ავშანი?“.

გვ. 133. ჩამატებულია: „სტეფანე მდივანოვმა“ და სქოლიოში წერია: „ასე იყო პირველად, რომ „ცისკარში დაიბეჭდა ეს წერილი (იხ. „ცისკ.“, 1858, IX, გვ. 57) ი. გრ.“

გვ. 136. ბოლოში: „ბეთანიის მონასტერ“-თან მიწერილია: „აქ ვრცელი შენიშვნა ჰქონდა პირველად რომ დაიბეჭდა ეს წერილი (იხ. „ცისკ.“, 1858, № 9 გვ. 61)“.

გვ. 155. ხაზგასმულია: „მ. მ. რა კაცი იყო...“ მიწერილია: „მირზაჯან მადათოვი. (იხ. წ. კ. ხელთ. 1569 ბ)“

გვ. 159. ხაზგასმულია აბზაცი და მიწერილია: „ტოლუბაში – მირზაჯან“.

გვ. I. ხელისმომწერლების სიაში ხაზგასმულია: „დავით ქობულოვი“, მიწერილია: „ამ დავითს ჰყავდა ალ. ორბ-ს ქალი დარია. ი. გრ.“

წიგნში დევს ქალაქის 3 ნაჭერი მინაწერებით: 1. „ვახტანგ ორბელიანიც გარდაიცვალა 68 წლისა. ალექსანდრე ორბელიანი დაიბადა 1801 წ. გარდაიც. 1869 წ. 13 დეკემბერს. (68 წლისა გარდაიცვალა). ნეკროლოგი „მნათობი“, 1869 წ., ნოემბ. და დეკემბერი. იგი იყო მეფის ირაკლის ასულის თეკლეს შვილი, ალექსანდრეს მამა ვახტანგი მოჰკლეს 1809 წელს მგონი. დაკრძალულია სიონში. ჯარბი – მძვინვარე გველი. 2. ალ. ორბელიანის ლექსი „რუსთაველს“ დაბეჭდილია „ცისკარი“, 1853 წ., № 1, გვ. 3. 3. ალ. ორბელიანზე იხ. აკაკის მოგონება: აკაკი, სახელგამის გამოც. ტ. I. გვ. 84. და კერძო წერილი ნ. ავალიშვილისა“.

3050–3051. ორბელიანი გ. თხზულებათა სრული კრებული. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959 წ. 29/VII“. იქვე: „67“.

გვ. 067. სქოლიოსთან მიწერილია: „იხ. ი. გრ.“

გვ. 436. ხაზგასმულია: „იხ. ალ. ჭავჭავაძის თხზულებანი, 1940“, მიწერილია: „ი. გრ.“

გვ. 442. ხაზგასმულია: „სოფიო-მესამე ასული“, არშიაზე: „იხ. ჩემი“.

გვ. 446. არშიაზე: „იხ. ჩემი საიათ.“ იქვე მოტანილ ეპიგრაფში ხაზგასმულია რამდენიმე სტრიქონი, მიწერილია: „საიათ. მიბაძვა“.

ყდის მე-3 გვერდზე: „არავითარი სადაო! გვ. 310.“

3052–3055. ორბელიანი გ. ლექსებისა და წერილების სრული კრებული. ვ. კოტეტიშვილის რედ. შენიშვნებით და კრიტიკ. წერილით. ტფ., 1928.

კანზე: „V“, „მირზაჯან“, 174. პასუხი შვილთა“.

კანის მე-2 გვერდზე საგაზეთო ცნობა: „გრ. ორბელიანის წერილები. ი. გრიშაშვილი ამზადებს გრ. ორბელიანის წერილების გამოცემას“. გვერდზე მინაწერი: „1/VI, 33.“

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1928. 26/V (მაისი).“ იქვე: „ერთი კარგი ბიოგრაფია არ არის! როდის დაიბადა, გარდაცვალება, რა ფსევდ. ჰქონდა. ნ. ავალიშვილის წერილი გრ. ორბელიანზე (მე მაქვს).“

კანსა და შმუცტიტულს შუა ჩადებულია ქალაქი, რომელზედაც ჩამოთვლილია გრ. ორბელიანის თხზულებათა გამოცემები: „გრ. ორბელიანის ლექსების წიგნი: 0. სადღეგრძელო, გამოც. ი. კერესელიძის, 1871. 1. გრ. ორბელიანის ლექსები (გამოც. პ. უმიკაშვილისა), 1873 წ. 2. გრ. ორბელიანის ლექსები (ზ. ჭ-ძე) 1879 წ. 3. გრ. ორბ. ლექს. (ზ. ჭ-ძე) 1884 წ. 4. გრ. ორბ. (ცოდნის გამ.) 1904 წ. 5. გრ. ორბ. (ვ. კოტეტ.) 1928 წ. 6. გრ. ორბ. (მ. ზანდუკ.) 1935 წ. 7. გრ. ორბ. (საბლიტგამი) აკ. გაწერელის რედ. 1940 წ.“

გვ. IX. სქოლიოში მე-2 შენიშვნას მიწერილი აქვს: „№-რი?“.

გვ. XIII. ხაზგასმულია: „ი. მეუნარგიამ დასწერა გრიგ. ორბელიანის ბიოგრაფია, მაგრამ ამ ბიოგრაფიიდან გენერალ-ადიუტანტი უფრო მოსჩანს, ვიდრე პოეტი“. გასწვრივ არშიაზე: რომელ წელს? სად? რატომ არა წერ. „მომამბე“ (მერე ცალკე ამობეჭდა). ეს კიტამ აღნიშნა პირველად. (იხ. ეტიუდები)“.

გვ. XVII. მოხაზულია ადგილი. მიწერილია: „ი. მეუნარგიიდანაა. ამაზე წინ მე ამოვიღე.“

გვ. XVIII. მოხაზულია აბზაცი. არშიაზე: „ესაც მეუნარგიიდან არის ამოღებული. მე ყველაზე ადრე ამოვიღე საათნოვაში, ვ. კ-ი იმეორებს. თავის „ქართ. ლიტ. ისტორიაშიც“ აქვს მოყვანილი“.

გვ. XXI. ხაზგასმულია ადგილი; „ლექსები ქსნისხეველის ფსევდონიმით დაიბეჭდა“, მიწერილია: „ეს მე უთხარი“. იმავე გვერდზე მოხაზულია ალექსის სტრიქონები. არშიაზე: „საათნოვიდან?“.

გვ. XXII. ხაზგასმულია: „სტამბის მუშებმა გარდაცვალებულ პოეტს გვირგვინი მიართვეს, წარწერით: „შენ იცოდი, რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწართა ცხოვრება“, გასწვრივ არშიაზე: „კინტოებმა მიართვეს, ესაც მე ვუთხარი: (იხ. „დროება“, 1883)“.

გვ. XXVI. ხაზგასმულია: „რუსულში ეს ფორმა, თუ არა ვცდებით ჟუკოვსკიმ იხმარა“. არშიაზე კითხვის ნიშანი.

გვ. XXVIII. ხაზგასმულია: „ლექსი თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, პოეტმა ღრმა მოხუცებულობაში დასწერა (76 წლისამ)“. არშიაზე: „როდის დაიბადა, 1877 წელს დასწერა, იხ. გვ. 61“.

გვ. XXX. ხაზგასმულია ლექსის სტრიქონი. არშიაზე: „იხ. ალ. ჭ-ძე. „ვიდრე ხელთ გქონდეთ ნება გულისა, იგემეთ სიტკბო სიყვარულისა“.

გვ. 5. „წვრილი ლექსების“ სტროფები მოხაზულია, მიწერილია: „(იხ. არტ. გაბუნას ხელთ., გვ. 21)“.

გვ. 7. ლექსის „მტირალი ნ...ს...“ სათაურის გასწვრივ: „ნინო ჭ-ძეს“

გვ. 10. ლექსის „მ...დმი“ სათაურთან წერია: „მანანასადმი“.

გვ. 13. ლექსის „მ...ს“ არშიაზე წერია: „გ. თუმანიშვილის აზრით ეს ლექსი პუშკინის მიბაძვას. („დროება“, 1880 წ., № 126. ი. გრ.)“.

გვ. 14. ლექსის „მირზაჯანის ეპიტაფია“ ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია: „თორემ“, არშიაზე შესწორება: „თვარა“. (ვარიანტი ცენტრ. არხივ. № 486)“. ლექსის ბოლოს მოხაზულია თარიღი: „პეტერბურგი, 1832 წ.“, მიწერილია: „დაწერილია ადრე“.

გვ. 38. ლექსში „მუხამბაზი“ მოხაზულია: „ალავერდა“, მიწერილია: „მომღერალი“. მოხაზულია მე-2 სტროფი, მიწერილია: „მირზაჯანა მადათოვი“. მოხაზულია მე-5 სტროფი, მიწერილია: „ეს ზ. ჭ. გამოცემიდან არის ჩამატებული“.

გვ. 59. ხაზგასმულია: „ჩამჩი-მელქო“; მიწერილია: „ეს ჩამჩი მელქუა ვინ იყო? მე ვიცი. ი. გრ.“

გვ. გვ. 61–63. ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ხაზგასმულია: „ხმა-მიღებულსა“, მიწერილია განმარტება: „უხმოს, ხმის არა მქონეს. შ-დ. სუნმიღებული, სუნის არ მქონე (ა. ჭ.) ი. გრ.“ ლექსის ბოლოს: „ამ ლექსზე იხ. თვით ავტორის წერილი „ლიტ. საქართ.“, 1938, № 16. ცენზორმა ადგილები ამოიღო.“ ლექსის დაწერის თარიღს ეხება მინაწერი: „იხ. გვ. XXVIII. ვ. კ-ი ამბობს: ამ დროს ავტორი 76 წლისა იყო“.

გვ. 68. ლექსში „ფსალმუნი“ ხაზგასმულია ლექსის დაწერის თარიღი, მიწერილია: „ივნისის 16. ამ ლექსზე გრ. ორბ. წერს ევ. დადიანს: „ჩემო მწყალობელო დედოფალო, დავბერდი, სულის გზას შევუდეგ, ვჰკითხულობ ფსალმუნსა და, აი, მეცა მივჰბაძე და თუ არ მოგეწონოსთ, დახიეთ: (მოყვანილია მთელი ლექსი. იხ. „დროება“, 1885 წ., № 190“. არშიაზე: „ეს შენიშვნები გავაკეთე „დროებიდან“, 1885 წ., № 190“.

გვ. 74. ლექსის „პასუხი შვილთა“ ბოლოს მიწერილია: „ვარიანტი, № 109, იხ. ზ. ჭ.“

გვ. გვ. 80–81. ჩადებულია ქაღალდი წარწერით: „გრ. ორბელიანის სადღეგრძელო, მიბაძვას ჟუკოვსკის ლექსისა „Певец во стане русских воин“ (ნიკო დემეტრაძის წერილი) „დროება“, 1871, № 8“.

გვ. გვ. 112–114. ლექსში „ხელმწიფევი ჩვენო“ მოხაზულია: „შენნი“. არშიაზე: „მხენნი, იხ. მ. თუმ. არხივი. არტ. გაბ.“ ხაზგასმულია: „სამართალსა“, მიწერილია: „სიმართლისას“. ხაზგასმულია: „აწლას“, მიწერილია: „ახლის“. ხაზგასმულია: „შეგინებული“, მიწერილია: „შემინებული“. ხაზგასმულია: „მტერი“. მიწერილია: „ტ“ – ხელთში გარკვევით არა წერია“. ლექსის ბოლოს მიწერილია: „5 აპრილს, 1854 წელს, თემირ ხანშურაში. (ეს წარწერა აქვს ამ ლექსს, იხ. გრ. ორბ. რვ. გვ. 19–21. არტ. გაბ.) (მ. თუმანიშვი. არხივი)“.

გვ. 151. ლექსის „დილა“ არშიაზე წერია: „სისხამი დილა. ეს ლექსი გ. დვანაძეს ეკუთვნის. ზოგან გ. ორბელიანს“. სტრიქონში მოხაზულია „მანა“. მიწერილია: „მანა? (?) იქნება მანანა“. ლექსის ბოლოს: „გ. დვანაძე, იხ. „ივერია“, 1877“.

გვ. 153. ლექსის „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ დასასრულს: „გიორგი ორბელიანისაა, იხ. „ივერია“, 1877 წ. № 18.“

გვ. 170. დანიშნულია „შკოლა ყ...ისა“, არშიაზე გახსნილია: „შკოლა დათიკო ყიფიანისა“. ხაზგასმულია: „ლ-მე...საგან“, არშიაზე: „ლევ. მელიქიშვილია?“

გვ. გვ. 173–191. რედაქტორის შენიშვნები: გვ. 173. ხაზგასმულია: „ანტონს“, არშიაზე: „ეს ანტონი ვინ არის? რატომ არ ამბობ? მგონი პოეტის ძმა უნდა იყოს“. ხაზგასმულია: „იხ. ნ. ბარათაშვილი, 1921 წ. გვ. 112, არშიაზე: „იხ. მეუნარგია“.

გვ. 174. ხაზგასმულია: „იხ. გრ. ორბ. მიწ. მოწერა“. მიწერილია: სად? საისტ.-საეთნ. № 177“. მოხაზულია: „მადათაშვილი“. მიწერილია: „მადათოვ, შუშელი? სომეხი. ტფილისელი მოქალაქე“. მოხაზულია: „გაუგებარია“, მიწერილია: „არაფერია გაუგებარი“.

გვ. 175. არშიაზე: „ეს ლექსი დაუწერა ადრევე-მირზაჯანას სიცოცხლეში, როგორც თავის ეპიტაფია, გვ. 42.“ ხაზგასმულია ლექსის სათაური „ახალი აღნაგო“, არშიაზე: „ეს ლექსი სთარგმნა პუმპინმა. ლექსი ეკუთვნის თუმანიშვილს. „ახალ აღნაგო“ მერე ფალიაშვილმა დასწერა მუსიკად. გვ. 176. ხაზგასმულია: „მანშიაშვილი“, მიწერილია: „შიშნიაშვილი“.

გვ. 177. მოხაზულია ადგილი, არშიაზე: „თარგმანი შ. ბილანიშვილის. დაიბეჭდა მეუნარგიას წიგნში“.

გვ. 178. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ჩამჩი-მელქო? იხ. საიათნოვა“. აბზაცის დასასრულს წერია: („იხ. ბოჰემა“). მოხაზულია ადგილი. მიწერილია: „წერილები, ამოღებული ი. მეუნარგიიდან“.

გვ. 179. ხაზგასმულია ადგილი, არშიაზე წერია: „იხ. „ლიტ.-საქ.“, 1938, № 16. ცენზორმა ამოიღო № ვ“. ხაზგასმულია ადგილი, არშიაზე: „იხ. ჩემი „ბოჰემა“. მე-6 აბზაცი მოხაზულია. არშიაზე: „№-რი?“. აბზაცის დასასრულს მიწერილია „(სად წერია?)“. მე-7 აბზაცი მოხაზულია, გვერდზე წერია: „როდის დასწერა?“.

გვ. 187. ხაზგასმულია ადგილები, არშიაზე: „იხ. ბოჰემა“, აბზაცის ბოლოს: „(1874 წ. № 10) ი. გრ.“

გვ. 188. მე-3 აბზაცის ბოლო ოთხი სტრიქონი მოხაზულია და ხაზგასმულია, მიწერილია: „მე ვუთხარი. ი. გრ.“

გვ. 189. შენიშვნაში ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „მენდე რაღა! ი. გრ.“

გვ. 190. მოხაზულია ლექსის სათაური: „დათვი და ცხვარი“, მიწერილია: „ზოგი ა. ჭ-ძეს აკუთვნებს“.

გვ. 195. მოხაზულია ლექსის სათაური: „დილა“, მიწერილია: „ახ. დილაჲ! (ეს ლექსი გ. დვანაძისაა. იხ. ხელთ.). ხაზგასმულია ლექსის სათაური: „ხმა ლოპიანას საფლავიდან“, არშიაზე: „ეს ლექსი გიორგი ორბელიანისაა (იხ. „ივერია“, 187, № 18)“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე დაკრულია გახეთიდან ამოჭრილი ო. კრიბას რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „Заря“, 1928 წ., 22 ივლისი“. იქვე მიწერილია: „კიდევ იყო რეცენზია ვ. ხუროძისა. „მნათობი“, 1928 წ., № 7“.



კანის მე-3 გვერდზე დაკრულია „კრიტიკოსის“ რეცენზია ამ წიგნზე, ამოჭრილი გაზეთიდან, მინაწერთ: „კომ.“, 1928 წ., 7 ივნისი“.

კანის მე-4 გვერდზე მინაწერი: „რეცენზიები: 1. „მნათობი“, 1928 წ., № 7. „წიგნს ბიოგრაფია არა აქვს“. 2. „კომუნისტი“, 1928 წ., № 17, ივნისისა“. 3. „Заря Востока“, 1928 წ., № 22, ივლისისა“.

მეორე ცალის შმუცტიტულზე: „დუბლ. კრილოვიდან სამი ლექსია“.

3056. ორბელიანი გ. ლექსები. პოემა. თბ., 1959.

3057–3058. ორბელიანი გ. პოეტური ნაწერების სრული კრებული. 1827–1883. ლირიკა. ეპოსი. თარგმანები. ა. გაწერელისა შესავ. წერილით, რედ. და შენიშვნებით. თბ., 1951.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 10 IV“.

გვ. 38. სქოლიოში მიწერილია: „ვისი შენიშვნაა“.

გვ. 176. ჩართულ ფურცელზე მიწერილია: „საჭირო იყო პირველი გამოცემის თავფურცელი. ი. გრ.“

გვ. 177. ხაზგასმულია შემოკლებები: „თ.“ „კ.“, მიწერილია: „თ[ავადი], კ[ნიაზი].“

წიგნის ბოლოს, ფორზაცზე: „რეცენზია იხ. „მნათობი“, 1951, № 12“.

3059–3060. ორბელიანი გ. ლექსები. ტფ., გამოც. პ. უმიკაშვილისა, 1873.

ჩასმულია ყდაში. ყუაზე ამოტვიფრულია „გრიგოლ ორბელიანის ლექსები“ და ყოფილი პატრონის ინიციალები: „ნ. ა.“

კანზე: „I გამოც.“

ყდის მე-2 გვერდზე: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა“.

შმუცტიტულზე ყოფილი პატრონის ხელწერა და ბეჭედი: „ნ. ავალიშვილი“.

სარჩევის 1-ლ გვერდზე ხელ-წერა: „დაიბადა 1800 წ. გრ. ორბელიანი“. იქვე: „(ეს ნიკო ავალიშვილის ხელია! ი. გრ.)“.

3061–3064. ორბელიანი გ. ლექსები. გამოც. მე-2 გამოც. ზ. ჭიჭინაძის თბ., 1879 [კანზე: 1880].

თავფურცელზე: „გამოცემა მეორე“ გადახაზულია და წერია: „მესამე“. აქვე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ზ. ჭიჭინაძე“.

კანზე ცენზორის მინაწერი: „Дозволено цензурой 5 февраля 1884 года – Тифлис, цензор Л. Исарлов – с исключением строк зачеркнутых и добавлением и изменением зачеркнутых слов“. ზედა ნაწილში: „По кн. зак. № 8“. კანზე მიწერილი ცენზორის შენიშვნა მოცემულია დანაწევრებით ყველა გვერდზე.

წიგნის ბოლო ყდაზე ცენზორის მიერ მიწერილია შეცდომების გასწორება.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა. ი. გრ. 1953 წ. 8/I. ვალიკო ლორთქიფანიძისაგან“.

წიგნში ცენზორის ხელით შეტანილია შენიშვნები: გვ. გვ. 17, 19, 20, 22, 24, 31, 33, 34, 36, 37, 41–56, 58, 62, 65, 67, 70–72, 74, 75, 79–82, 84, 85, I–IV.

სარჩევის წინ თავისუფალ გვერდზე ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“.

მეორე ცალის ბოლოს ბუკინისტური მაღაზიის ბეჭდის ქვეშ მიწერილია: „ვ. კოტეტიშვილის წიგნთსაცავიდან“.

მესამე ცალის ხელნაკეთ კანზე: „ეს დარჩეს ჩემთან. ი. გრ.“

კანის მე-2 გვერდზე: „წითელი ფანქრით გავასწორე გრიგოლ ორბელიანის გასწორებულ ეგზემპარიდან, რომელიც ვნახე ივ. პოლუმორდვინოვის ოჯახში. 1945. 2/V ი. გრ.“

თავფურცელზე მინაწერი: „(ბოლოსიტყვაობით)“.

გვ. გვ. 17, 20, 31, 33, 43, 44, 46, 48, 49, 51–54, 58, 62, 67, 70–72, 74, 79, 82, 84, 85 ჩასწორებულია ი. გრ. ხელით და ი. პოლუმორდვინოვის ეგზემპლარის მიხედვით.

გვ. 88 მოხაზულია სტროფი დაწყებული: „და გული ოხრავს...“ მიწერილია: „ეს ექვსი სტიქონი ლ. ისარლოვმა გამოტოვა. ი. გრ.“

გვ. III. ბ. ჭიჭინაძის ბოლოსიტყვაობაში ხაზგასმულია „ლექსთა კრება“, მიწერილია: „იხ. ზ. ჭ. გამოცემ. „ლექსთა კრება“, 1878, გვ. 3.“

მეოთხე ცალის ხელნაკეთ კანზე: „ი. გრ. დუბლ. აკლია ბოლოში“.

გვ. III. არშიაზე: „მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობა“. მე-7–10 გვერდები აღდგენილია ი. გრ. ხელით.

86-ე გვერდის შემდეგ ჩაკერებულია და დანომრილია 3 ფურცელი, რომლის უკანასკნელ გვერდზე წერია: „გრ. ორბელიანის ლექსები გამოვიდა: I. 1871 (გამოსცა ივ. კერესელიძემ. მხოლოდ: „სადღეგრძელო“). II. 1873 წ. (პ. უმიკაშვილი). III. ზ. ჭ-ძემ (1879 წელი). IV. ზ. ჭ-ძემ 1884 წ. V. 1904 წ. „ცოდნა“-ს გამოცემა. VI. 1928 წ. ვ. კოტეტიშვილის გამოცემა“.

3064–3069. ორბელიანი გ. ლექსები. მე-3 გამოც. გამოც. ზ. ჭიჭინაძისაგან. თბ., 1884.

ჩასმულია ყდაში.

ფორზაცზე: „21, 23, 35, 56, 57, 37, 32 – ეს ნასწორებია გრ. ორბ. [მიერ]. ზ. ჭ-ძეს ვერ შეუნიშნავს. P. S. ეს მესამე გამოცემა ავტორისაგან გასწორებულ ეგზემპლარიდან არის დაბეჭდილი. ასე რომ, უნდა აიწყოს ამ გამოცემიდან. გრ. ორბელიანს კარგად შეუსწორებია 1880 წლის გამოცემა. ი. გრ. შეცდომა, 9.“

თავფურცელზე: „პირველი გამოცემა იყო 1873 წ., მეორე გამოცემა 1879–1880 წელს“.

თავფურცელის მე-2 გვერდზე: „ეს წიგნი ნებადართულია ლუკა ისარლოვის მიერ. ი. გრ.“

გვ. 9. ლექსთან „მ...“ მინაწერი: „ეს იყო „ცისკარში“ [ნ-დმი]. ნ. ა. „ცისკარი“, 1862, იანვარი, გვ. 29.“

გვ. 24. ხაზგასმულია: „სალომესთან“, არშიაზე: „ა. ჭ-ძის მეუღლე“.

გვ. 31. ლექსის „ჩემს დას ეფემიას“ სათაურის შემდეგ მიწერილია ქვესათაურად: „ჟამსა პერობილობისას“.

გვ. 41. ლექსის სათაურთან „ალბომში ღრ. ოპ...“ მიწერილია: „[ოპ]ერმანს“.

გვ. 50. ლექს „დიმიტ. ონ-ის დარდები“ ეხება მინაწერი: „ავტორმა ასე დაყო“.

გვ. 54. ლექსთან „Горные вершины“ მიწერილია: „სადღეგრძელოში“.

გვ. 65. „სადღეგრძელოში“ ხაზგასმულია: „ნიკოლოზ დიდო სულგრძელობითა!“ მიწერილია: „ავტორმა ეს სტრიქონი ჩაასწორა ერთ გამოცემაში, რომ აქ დაბეჭდილიყო“.

გვ. 91. ლექსში „პასუხი შვილებთა“ მოხაზულია ბოლოდან 6 სტრიქონი. მიწერილია: „ეს ამომ. გრ. ორბელიანმა“.

სარჩევში გვ. II ჩამატებულია: „ჟუკოვსკიდან... 92“.

ბოლოსიტყვაობაში გვ. I მიწერილია: „ეს ეგზემპლარი ჩვენ ვნახეთ ივანე პოლუმორდვინოვთან და შევადარეთ. სწორეა“.

ბოლოში დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ჯ. ჭუმბურიძის წერილი „გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი უცნობი ნაწარმოების შესახებ“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1945, № 14, აპრ.“

მეორე ცალის ხელნაკეთ კანზე: „გრიგოლ ორბელიანის ლექსები (1804–1883 წ.)“. იქვე: „ნინო გრიბოედოვზე სამი ლექსი, გვ. 7, 30; ევ. ჭ-ძეს. გვ. 6, 49; გვ. 80, კინტოები“. „გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1804 წ. 2 ოქტ., გარდაიცვალა 1883 წ. 21 მარტს.“

კანის მე-2 გვერდზე: „ნიკოლოზ დიდო. გვ. 65.“

თავფურცელზე მინაწერები: „ბოლოსიტყვაობით. ამ ლექსების გარდა ოთხი ლექსი დაბეჭდილია 1885 წ. „ივერიაში“, № IV, V: 1. იმედი. 2. აზარფეშა. 3. კინტოს სიმღერა. 4. დავბერდი.“

გვ. 5. „წვრილი ლექსების“ მეორე სტრიქონს „მარამ ვინ ჰსცნავს, ვინა სუნავს: ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას?“ ეხება მინაწერი სქოლიოში: „არ ვიცი დილა იმას ამშვენებდა თუ ის დილასა“ (ილია). „გლახის ნაამბობი“, გვ. 109, ქართ. წიგნის გამოც.“

გვ. 6. ლექსის „ევ. ჭა...სას“ ბოლოს ხაზგასმულია დაწერის თარიღი: „1829“. მიწერილია: „პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ (იხ. „ცისკ.“. 1852, № 2). იქ თარიღად 1836 წელი უხის, 22 ივლისი „ეკატერინე ჭავ.“

გვ. 11. ლექსის სათაურთან „მირზაჯანას ეპიტაფია“ მიწერილია: „(იხ. გვ. 35)“. ხაზგასმულია სიტყვები: „შეუპოვრად ხმა მალღივ“, მიწერილია: [„ჩემებრ მთვრალი უშიშრად“]. (ვარიანტი: იხ. ცენტრ. არხივში. № 486)“.

გვ. 17. ლექსში „იარალის“ მოხაზულია ორი სტრიქონი დაწყებული „ცხენთა თქრიალი...“ მიწერილია: „იხ. ა. ჭ. გვ. 107.“

გვ. 30. სათაურთან „ნ“ მიწერილია: „(ნინო გრიბოედოვისას)“.

გვ. 35. შენიშვნაში ხაზგასმულია: „მირზაჯანა მადათოვი“, მიწერილია: „(იხ. გვ. 11). მირზაჯანა მადათოვი (იყო: „Командир 2-го мусульманского конного полка“, იხ. „რუსკი ვესტნიკ“, 1869, № 3)“.

გვ. 49. ლექსში „მოგონება“ ხაზგასმულია: „გისმენდი ტკბილად ხმა-სირინოზსა...“, მიწერილია: „ალ. ჭავჭავაძის ქალი“. აქვე ჩადებულია ფურცელი მინაწერით: „წინანდალი იყო პოეტების სამეფო. აქ გრ. ორბელიანი იგონებს თავის ლექსში იქ გატარებულ დროს“.

გვ. 66. არშიაზე: „რუსთ მეფეზე ლექსი აქვს აგრეთვე დიმ. ბერიევს: 1869 წლის „მნათობში“ (მარტი). დიდი თავადის მიხეილ ნიკოლოზზე და ოლღა თადეოსის ასულზე-1863 წლის „ცისკარში“ (დეკემბ., გვ. 251).“

გვ. 80. ლექსის „მუშა ბოქულაძე“ სქოლიოში მიწერილია: „როცა გრიგოლ ორბელიანი გარდაიცვალა, ტფილისის ყარაჩოღელებმა გვირგვინი დაადეს კუბოზე, რომელზედაც ეწერა:

„შენ იცოდი. რომ არიან ღარიბნი

არის სადმე სიმწართა ცხოვრება“.

გვ. 92. „პასუხი შვილთას“ ბოლო სტრიქონში გახსნილია კრიპტონიმი „მ...ი“ – „მესხი“. სქოლიოში შენიშნულია: „\*) იხ. ჭავჭავაძის კრებული გედევანიშვილის გამოცემა, გვ. XVI.“

სარჩევში ხაზგასმულია ადგილები და არშიაზე მიწერილია კითხვის ნიშნები.

წიგნის ბოლოს, ფორზაცზე: „წერილები გრ. ორბელიანზე: 1. იონა მეუნარგია, ცალკე წიგნად. 2. კიტა აბაშიძე, თხზულებანი. 1 ტ. 3. „იმედში (ნეკროლოგი) 1880, № II (1883 წ.). 4. აკაკის კრებული I, 1899 წ. ვ. წ.-ს. 5. სერგო გორგაძის ქრესტომათია. 6. სილ. ხუნდაძე, [ცალკე წიგნად]. 7. საიათნოვა. 8. „მნათობი“ (№ 6–7, 8–9, 1926 წ.) 9. ვ. კოტეტიშვილი (ქართ. სიტყვ. ისტორია I ტ.). 10. ვ. კაპანელი (ქართული სული ესთეტიკურ სახეებში)“. იქვე: „ოთხი დაუბეჭდავი ლექსი: (1. „იმედი“, 2. „აზარფეშაზე“, 3. „კინტოს სიმღერა“, 4. „დავბერდი“. ) დაბეჭდილია 1885 წლის „ივერიაში“ № IV–V. („ახ, დილაავ, დილაავ“ (იხ. „სალხინო საზანდარი“. გვ. 141). გ. დვანაძისა“.

კანის მე-3 გვერდზე: „გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე თქმული ილია ჭ-ძის სიტყვა. „დროება“, 1883 წ., მარტი (გადაბეჭ. ჟურ. „შრომა“, 1883 წ., № 13). „Кавказ“, 1883, № 66, 70).“

3070–3073. ორბელიანი გ. რჩეული ლექსები სკოლებში და ოჯახში სახმარებელი. თბ., 1904.

ფორზაცზე: „ი. გრიშ. 1915 წ.“

გვ. 17. ლექს „ჩემს დას ეფემიას“ აქვს მინაწერი: „დიდებულია. ი. გრიშაშვილი“.

გვ. 38. ჩადებულია ქალაქის ნაჭერი წარწერით: „გრ. ორბელიანის ლექსში „ილვა ბინდი ღამისა“ უნდა იყოს: „ილვა ბინდი ღამისა“.

გვ. 45. ლექსში „პასუხი შვილებთა“ აღდგენილია ცენზურის მიერ გამოტოვებული სტრიქონი: „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“. აქვე გვ. 46 ხაზგასმულია კრიპტონიმი „მ...ს ...ი“, მიწერილია: „მესხი“.

3074–3077. ორბელიანი გ. ლექსები. მე-5 გამოც. მიხ. ზანდუკელის რედ., შენიშვნებითა და კრიტიკ. წერილით. ტფ., 1935.

ფორზაცსა და შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1936. 2. II“. იქვე: „1. შეცდომები, 143, 149. ყარაჩოღელებზე – შეცდომით, თავი 4. სრულიად არ-არის ბიოგრაფია პოეტისა. ეს მეოთხე გამოცემა და მაინც არ არის ბიოგრაფია (ჩემი წერილი გრ. დაბადების შესახებ). არც ბიოგრაფია პოეტისა, არც ლექსიკონი, შენიშვნებიც არ არის სრული. – ვინცა გნახოს, 54.“

თავფურცელთან ჩადებულია რვეულის 2 ფურცელი, რომელზედაც წერია ლექსები:

„ოჰ სოფელო, რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?  
შენსა მომდევარს ეჩვენები ტურფად ცდუნებით,  
შენში კეთილსა საცხოვრებლად აქვს წამი ოდენ?  
ჰმუნვა არს უფრო, სიამენი მალიად ჰფრინვენ  
(ჟუკოვსკიდან).

ამა სოფელს დამშთომიეს მხოლოდ ესე სანატრელი,  
ოდეს გავლი ცხოვრების გზას და მეწვევის აღსასრული.  
ჩემსა სულსა, რომელიც აწ შენდამო მაქვს შეწირული  
სამოთხის წილ შენ ზილფებში აღუნიშნე მას ადგილი.

პუშკინიდან ალექ. ჭავჭ.

(ხელთ. 101. H. გვ. 113).“

იქვე: „გრ. ორბ. იხ. ზანდ. რედ. გვ. 149 და 7“.

თავფურცელთან ჩადებულია ქალაქის ნაჭრები მინაწერებით „1. „გრ. ორბ. 1. თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში. ფსევდ. ქსნისხეველი. (დაიბ. „ივერია“, 1877, № 6). 2. მუშა ბოქულაძე. ფსევდ. ქსნისხეველი „ივერია“, 1877, № 7, 2. „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ თ. გიორგი ორბელიანისაა (იხ. „ივერია“, 1877, № 18). რამდენად სცდებიან გრ. ორბ. ლექსების რედაქტორები, რომ ამ ლექსს გრ. ორბელიანს აკუთვნებენ. ამავე ჟურნალში გრ. ორბელიანმა ორი ლექსი დაწერა ქსნისხეველის ფსევდ. და რაღა ამას არ მიაწ.“ 3. „დილა“ (გვ. 143) გ. დვანადისაა (იხ. ჩემი მასალა), უნდა წერილი დავწერო“.

გვ. 4. ჩადებულია კალენდრის ფურცელი მინაწერით: „გრ. ორბელიანის ლექსი ეკატერინე ჭ-ძეს. სულ 18 სტრიქონია. (იხ. ნინო ბარათაშვილ... ალბომი).“

გვ. 7. ლექსი „მასვე“ მოხაზულია, არშიაზე: „იხ. გვ. 149. ორჯერ დაუბეჭდიათ“. იქვე: „ეს მგონი ჟუკოვსკიდან არის“.

გვ. 9. ლექსის „ვაჰ სოფელო!...“ ბოლოს მიწერილია: „(პუშკ.)?“

გვ. 10. ლექსის „მ...დმი“ ბოლოს: „იქ სათაურია „ნ-მდი“. „ცისკ.“, 1862, № 1, გვ. 29.“

გვ. გვ. 10–11 შორის დევს ქალაქის ნაჭერი წარწერით: „გრ. ორბელიანის ლექსებში შესწორება: 1. მ...[მაია? ა. ჭ-ძეს დედა?] „მნათობი“. ეს ლექსი დაბეჭდილია ცისკარში (1862, № 1, გვ. 29). სათაურით „ნ...დმი“ [ნინოსადმი ჭ-ძე]. 2. ღრაფინია ოპერმან. ეკ. დადიანის ცალკე ქალაქებში ამ ლექსს ქვეშ აწერია 1840, მაისი, 7, გორდს და არა გორს“.

გვ. 15. ლექსის „ლხინი“ ბოლოს მიწერილია: „ცისკ.“, 1860, № 12.“

გვ. 46. მოხაზულია „მუხამბაზის“ მეორე სტროფი, მიწერილია: „მირზაჯანა“.

გვ. 53. ხაზგასმულია ლექსის „ალბომში ღრ...ოპ...“ დაწერის ადგილი: „გორს“. მიწერილია: „მაისი 7-ს გორდს (იხ. ეკ. დადიანისეული რვეული. ინახებ. ნინო ბარათაშვილ...)“.

გვ. 54. უსათაურო ლექსის „ვინცა გნახოს...“ ბოლოს მიწერილია: „მღეროდა ნ. გაბუნია-ცაგარელი“.

გვ. 73. ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ბოლოს: „დაიბ. ივ.“. 1877, № 6, ქსნისხეველის ფსევდ.“

გვ. 76. ლექსის „მუშა ბოქულაძეს“ ბოლოს მიწერილია: „პირველად დაიბეჭდა ქსნისხეველის ფსევდ. („ივ.“, 1877, № 7“).

გვ. 78. მოხაზულია ლექსი „აზარფეშაზე“, მიწერილია: „ომარ ხაიამის რუბაია“.

გვ. 131. ლექსი „ჰოდ სოფელო“ მოხაზულია, მიწერილია: „იხ. გვ. 134.“ ხელთ. საისტ. 101.“

გვ. 134. ლექსი „მისვე“ მოხაზულია, მიწერილია: „იხ. გვ. 131.“

გვ. 143. ლექსის „დილა“ ბოლოს: „გ. დვანადის ლექსი, იხ. ხელთ.“

გვ. 145. ლექსის „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ ბოლოს: „გიორგი ორბელიანის ლექსი (იხ. „ივერია“, 1877, № 18). ეს გიორგი ძველი „მნათობის თანამშრომელი იყო“.

გვ. 149. უსათაურო ლექსის „ამა სოფელს დამშთომიეს...“ ბოლოს: „იხ. გვ. 7.“

გვ. 155. არშიაზე მინაწერი მირზაჯანას შესახებ: „პოეტი იყო აშიკ პერი და კამათობდნენ.“

გვ. 156. შენიშვნაში ხაზგასმულია: „ბეჟანა მკერვალი...“ და არშიაზე: „ბეჟანა უმიკოვი“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „დუბლ. სრულია“. იქვე: „კრილოვიდან“.

გვ. გვ. 135, 136 იგავ-არაკების ბოლოს მიწერილია: „გრიგოლ ორბელიანი“.  
მესამე ცალის ყდაზე გადახაზულია: „რაფიელ ერისთავი“ და მიწერილია: „გრიგოლ ორბელიანი“.

3078. ორბელიანი გ. ლექსები, თბ., 1939.

გვ. 49. შენიშვნა № 9 მოხაზულია, მიწერილია: „ჩემიდან, საიათნოვა“.

3079. ორბელიანი გ. ლექსები. პოემა. თბ., 1956.

3080. ორბელიანი გ. ლირიკა. – ეპოსი. – თარგმანები. 1826–1883. თბ., 1948.

3081–3086. ორბელიანი გ. წერილები. ა. გაწერელის რედ. და შენიშვნებით. ტ. 1–2. [თბ.], 1936–1937.

ტ. 1. (1832–1850). 1936.

სუპერზე: „1. 1832–1850 წლამდე. ი. გრ.“

ფორზაცზე ს. ხუციშვილის წერილი „ორი პოეტის ურთიერთობიდან“, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1941 № 24.“ აქვე დევს კონვერტი, რომელშიც ქალაქის ოთხი ნაჭერია წარწერებით:

I. „1. ბუჭყიევის ქალი ილია ორბელიანის დანიშნული ყოფილა, (გვ. 67 და 253). 2. გრ. ორბელიანი და ჩოხა, 68, 75. 3. ნოქარი, 64, 68, 69, 264, 71, 72, 76. 4. შეცდომით თარგმნა, გვ. 265 და 82. 5. ხოხოროს, 84. 6. ჰარაქათი (?), 85, 94. 7. მახლას (8), 91, 101 ჰართი-ფურთოზს, 51, 91; დასტალული, 93; ახრ, 96; ბაბაჭუა, 97; გორხანა, 100, საფლავი; კუწურაქი, 151, 152 (ორჯერ); ხათა და ბალა, 151; ბარამჯიბილი, 152 (ყარამან); თაბაუთი, 204; ყაფლანურად, 201; გაყრის წარმოდგენაზე, 202; გრ. ორბ. თბილისს „ჯადოს“ ეძახის, 203; ჰაი-ჰარათი, 205; სალტად (სალთად), გვ. 213.

II. „ჯანჯალი, 44; ხაჯალი(?) 44; პრომტა, 47; ჰიმამები, 51; თობა, 51; отказ; ჰართი-ფურთი, 51.

ახრ, ამოიწეროს მთელი აბზაცი, გვ. 55. აქ კარგი ფრაზაა; პოხონდრია, 62; ბაჭყალა – 64, 68; დუთმა, 64; ნოქარი, 64, 68, 82, 130, 143; ზედატანებით, 67; ქულფათები, 68, 73; კუტრი-კოტრ. 71, 72; ყულუხი, 72; ქულფათი, 261; ფაღარათად, თავისთვის 72, 74; კობრჩხილო 73, ქარქვეტასავით მცენარეა, აქ: ჩხირები; ხაბარი, 75; ახრ, 82; კუწურაქი-კრიჟანგი, 122; ყონადად, 123; სიქა, ე. ი. გაუცველ... არიოლითო, გვ. 126; ჩაპროშტე, პოლუმპერ. 155; აიბუა, 163; ნაღლი, 163; აშოლლანი, გვ. 167; გამოჩხუპა მდინარე, გვ. 184, 185“.

III. 1. ქორწილში პატარძალი, გვ. 18.

2. ხალი. (ევროპაში ხალის ქება არ იცინო, იხ. გრ. ლექსი „ხალი“, გვ. 20).

3. ალ. ჭავჭავაძის ქალების სილამაზეზე, გვ. 25.

4. ევ. ჭავჭავაძის ლეკური 25.

ანჩისხატელი დეკანოზის დიმიტრი მესხიშვილის (ცენზორის?) ქალი ქეთევანი შეირთო გრ. ორბ. ძმამ ზაქარიამ, გვ. 27, 232; ბარათაშვილი, 97; საბრალო ეფემიას უნდა შეეწიო, გვ. 126, 128; ბანდაყული, 133; გრ. ორბ. მამას რა ერქვა ზურაბი თუ დიმიტრი? გვ. 108, 110, 147 და შენიშვ. 279. ადრესში კი გვ. 91, 93, 94 დიმიტრი. ზურაბი პაპა იქნება. ზურაბის შვილი ვარო, გვ. 147, 293; ორბელიანები, ყაფლანიშვილი, 116; დ. ყორღანოვის სიკვდილი, 186; მანანას ვაჟი, 184, 187; ნიკო ბარათაშვილის დას ბაბალეს მზითვად ვაძლევ ას თუმანსო (გვ. 194, 198); „ზურაბ თუ დიმიტრი (გვ. 199); ბარბ. ანდრევსკი, გვ. 304“.

IV. „სალთად, სალტი სოფელი ხომ არ არის? შემოწმდეს სოფელია? (გვ. 213. გრ. ორბ. წერილები, ტ. 1 სალტი, ტ. II, გვ. 10)“.

მინაწერები ფორზაცზე: „1843 წ. გრ. ორბელიანი „დავითნს“ და „ვ. ტყაოსანს“ თხოულობს ბრძოლის დროს. (გვ. 80); ამაზონკობა – 80; ყაჩაღებს თავებს ვაჭრევიანებ, გვ. 213, ნელნელა თავებს ვაჭრევიანებ, გვ. 52, 213; გრ. ორბ. ლექსი, 239; ნ. ბარათაშვილს კიდევ ჰყოლია ძმა, 43; მე და ტატოს გვიყვარდა ერთმანეთი, 43; რუსულ თეატრებს მაღლა აყენებს, გვ. 24; ქართველ ქალებს სულ გრიბოედოვისთანა ქმრები უნდათო, გვ. 34; მე პუშკინის წიგნები არ წამიღია – 49; პორნოგრაფია, 50; მელიტონი, ნიკოს მამა ანჩხლი ყოფილა, 50; გრ. ორბელიანის დედას ხორეშანი რქმეგია, 51; ნამუსის ქუდი, 55; ნახევარი წვერ-ულვაში დააპარსინე, 55; კუზიანი სომეხი, 56“.

მინაწერები შმუცტიტულზე: „ბანდაყული, 133; ახრ – 126, 125, ევემია (თავის და) 126, 128; სოფიო ჭ-ძე (გვ. 24 და 230); ნინო გრიბოედოვი, გვ. 18, 32, 103, 276, 112, 237, 118 (კარგი წერ.) 284, (ნინოს დანიშვნა 145); ნ. (ტატო) ბარათაშვილზე – 118, 106, 97, 109, 64, 75; გრ. ორბ. დედა გარდაცვლია 1833 წ., გვ. 9, 17; მელიტონს დამბლა – 106; იაკინთე მესხიშვი., გვ. 146 და 244; თრინჯული, 93; დიმიტრი ორბელიანი, გვ. 219 (ა. ჭ-ძემ ლექსი უძღვნა); არტისტი მაჩალოვი, პიესა ყომარბაზის ცხოვრება, 219; ლალა, 78; მირზაჯანაზე, გვ. 21, 147. (მირზაჯანა და პატარა ბიჭი), 229; შეცდომა: გვ. 43, 264; ნოქარი, გვ. 230– (1833 წელს დაიბადა! და არა 1834 წელს); ვირის მოთმინება, 30; ხალი-აზიასტსკი ვკუს! 44; ნოქარი, გვ. 64, 68, 264; ლეკური სიტყვები, 64, 67, 69, 73; მეკანკლედებოდა, 67; ბუჩყიევი, 67.

1. კუმისში დამმარხეო, 159. 2. დავძრწი „ვეჩნი ჟიდივით“, 167. ნინო გრიბოედოვა, 119; „წინანდალს ნინო ჭ-ძე დედათა მონასტერს უწოდებდა, გვ. 237; გრ. ორბელიანს თმის ცვენა დასწყებია 1847 წელს (გვ. 152)“.

მინაწერები თავფურცელზე: „მურთუხალა, 184, 302; გაყრა, 202“.

თავფურცლის მე-2 გვერდზე: „კახური ღვინო და რუსი, 169“.

გვ. 12. ილია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ხაზგასმულია: „სიბერის დროს მინდა მისი ჰსწავლა“, არშიაზე: „30 წლისა იყო ამ დროს“.

გვ. 16. ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „ახ, (ეს „ახ“ სხვაა და არა „ახრ“ სხვაა).“

გვ. 20. მოხაზულია სიტყვა: „დრუსტ“, არშიაზე: „სომხურია – „მართალია“.

გვ. 24. არშიაზე: „ბირჟას შესახებ იხ. გვ. 41“.

გვ. 25. მოხაზულია ადგილი, გვერდზე „იხ. მეუნარგია“.

გვ. 36. არშიაზე: „დღიური შემოიღეო“.

გვ. 42. ხაზგასმულია: „ინვალიდში“. მიწერილია: „ჟურ. „Инвалид“ (სამხედრო ჟურნ.)“.

გვ. 44. ხაზგასმულია: „ხაჯალი“, მიწერილია: „ხანჯალი(?) ი. გრ.“

გვ. 92. ხაზგასმულია: „ტუყისაცა (Sic)“, მიწერილია: „ტუჩი(?) ი. გრ.“

გვ. 118. მოხაზულია წერილი, მიწერილია: „ნიკო ბარათაშვილი გარდაიც. 9 ოქტ.“

გვ. 119. ხაზგასმულია ადგილი: „თქვენი განბრწყინვალეებული სალონი სავსეა ანგლიჩნებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით , არშიაზე: „სალონი აქ დაცივითაა“.

გვ. 120. ხაზგასმულია სახელები: „ელენეს და მარიამს“, მიწერილია: „ამათ ნ. ბარათაშვილიც ეკამათებოდა“.

გვ. 140. ხაზგასმულია: „სიქა მანათს“, არშიაზე განმარტება: „ცინცხალს ვერცხლს და არა ქალაღდს“.

გვ. 145. არშიაზე: „ა. ჭ-ძე რომ მოკვდა, ეკატ. ფეხმძიმედ იყო.“

გვ. 163. მოხაზულია უცხო სიტყვები, მიწერილია: „თათრულია“.

გვ. 174. ხაზგასმულია ორი სტრიქონი, არშიაზე: „ონიკოვი? შადინოვი?...“.

გვ. 190. ხაზგასმულია: „ივანე“, არშიაზე: „ივანე ორბელიანი, შვილი მანანასი (?)“.

გვ. 292. (90). ხაზგასმულია: „გრიგოლ შადინოვი“, მიწერილია: „ფორში შადინოვის ქალია“.

გვ. 320. არშიაზე მინაწერები: „საიდუმლ., 208; ყაჯრები, 134; ბოში, 134; ქოვლუ, 144, 138; ცინცხალს. სიქა, 140, 153, 194; კახპა, 141; რაღა. 142; თაბახი (ქალაღდი), 143“.

წარწერები წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ლექსიკონისათვის: ჰუტნაღალი – 11, ცურვაა ერთგვარი; თაფაუთი, 12; ფინთი, 15; ჯადობაზი, 18; იშალლა. 18; ეშხი, გვ. 20; დარდიმანდული, 20; ყიამათი, 22, 50; ეჩანჩლე – 27; პროშტი, 28, 30; მახლას, 91, 101; დასტალული, 93; თრინჯული, 93; თელეთობა, 93; ჰარაქათი, 94; ბაბაჭუა, 97 და 108; ქულფათი, 97 და 104; გორხანა – 100; წიპრუა – ნ. ბარათ. 102 და 275; თარი (აღას თარი, 103); ფაღარათად (თავისუფლად, არხენად,) 107; ზედატანზე, 108; თოხუმი, 109; ჯანჯალი...; კუწურაქი, (წუწურაქი), 111, 112, 151; კუტრი, დოსტი, 146; ყავლი, გვ. 49; სალთი, 213; ქოქოლა, 35“.

წარწერები სუპერის მე-4 გვერდზე: „იაკინთე, გვ. 100; მესხიშვილი, 146; ნინო გრიბოედოვა, 103 და 276; ეფემიას ფული, 109; ექიმი ანდრეევსკი, 116 და 284; შადინოვი, 292.“

ბოლოს გ. ნადირაძის რეცენზია ამ წიგნზე, ამოჭრილი გაზეთ „კომ.“, 1936 წ., № 142–დან.

ტ. 2. (1851–1859). 1937.

სუპერზე: „2. 1851–1859 წლამდე. ი. გრ.“

ი. ბალახაშვილის რეცენზია ამ ტომზე, ამოჭრილი გაზეთიდან. რეცენზიის ზოგიერთი ადგილი ხაზგასმულია, არშიაზე მიწერილია: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1938, № 150, 3 ივლისი.“ გაზეთის მეორე მხარეს: „სისასტიკეს იჩენს – 144–148, 150, 197, 206, 216, 222.“

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1938. 12/VI.“

მინაწერები ფორზაცზე: „არ არის ახსნილი: თილიყამყამი, გვ. 9 (ყარამანანიდან არის.); გავასი (გავაზი), 9; ფუქსავატი, 12; ყათლამი, 15; პოლუიმპერიალი, 146; კოდა, 252; ბორჯომი, 14; კრივი, 34; გულხადარა, 29. ლეკებს ერქვა; ხრიკი (აქ ღილი). გაკერპდი, გვ. 33; ჰარაია, 64, 130; სათალი (თევზი), 108; ზედდატანებით, 24, 25; გაფარფარებული, 122; ხელჯაგი, (ხელთათმანი?), 123; იალადი, 241. ხურუმი, 246; იარალაში აქვს მეჯღან. 251; თელეთი, 375; ლუპუსტაცი, 258; აშოღლანი, 259; ქობაჩი, 269 და 382“.

მინაწერები შმუცტიტულზე: „მუშტაიდის ბალი, გვ. 237; სუნდუკიანცი, გვ. 238; ვაყუფის ლექსები, გვ. 163; რუსული სიტყვები: 20, 22, 26, 37, 38, 53, 62, 63, 80, 146, 190.

შეცდომები: „1. მომაზა უნდა და არა მოიკაზმა „მაზა“, 173. 2. სუნდუკიანცი (?), გვ. 371. 3. ყარაჩოღლელები და არა გლეხები – იხ. 248, 375. 4. თელეთი (აქ – ქართლისა არ არის). 351, 375. 5. მეზურნე ალექსა, 10 (ამას იხსენებს მ. თუმანიშვილიც თავის



მოთხრობაში). 6. მურთუხალი, 285 (იხ. ჩამჩი – მელქო). 7. იაკინთე და სარდიონ მესხიშვილებია, გვ. 167.“

მინაწერები შმუცტიტულის მე-2 გვერდზე: „ლაზზზათები, 14; წელნაზი თამარ, 167 და 347; ჰამქარნი, 267, დოდი, ნინიკა და გრ. ორბ. ცხენი, 268; კრივი, 34; მიხ. თუმანიშვილის ლექსებია? რომელი ლექსია? თუ სხვა თუმანიშვილია? (გვ. 34). აქ ხომ არ იგულისხმება ბარა, ქოქოლა, 154. იშულ–ოლლანი (აშოდ–ლანი), 78; 1. თამამშოვის ქარვასლა, 41; 2. ბეზირგანი, 51; 3. კუტრი, 66, 71; 4. ლაწირაკი, 70; 5. ანგალი, 76; (უნდა ვნახო ხელით). თაბახი [ქალაღდი] 77, 141, 147; 7 ჯანაბა 109.“

თავფურცელზე მინაწერები: „დადეშკელიანის მიერ გაგარინის მოკვლა, 230; საინტერესოა, რომ არც ერთ წერილში თავის პოეზიაზე არ ლაპარაკობს. დაბადების თარიღში მე მეთანხმება.“

თავფურცლის მე-2 გვერდზე: „1. გრ. ორბ. უწოდებს თავის გვარს ზურაბიანთ, 52, 66, 77, 312. 2 სარდიონ მესხიშვილი, 55. 3. თეატრი თემირხანშურაში; 56. 4. თევზნანი (ლოპიანას ეშხით ამბობს ასე), 61. 5. ოსმალნი, – „ძალიან მინდა ტრაპიზონის ფაშობა“, გვ. 68, 69, 71, 6. გრ. ორბ. და სომხეთი, 76, 313. ჩლუქები, 101; ბაჭყალა, 153; ინშალა, 105, 130; ქორი – ბრმა, 145.“

ფრონტისპისზე და მის მეორე გვერდზე მინაწერები: „ჩემი გვარი, 305; ყაფლანი ძალიან უყვარს გრიგოლს, 149, 162; ყაფლანს სთხოვს შენი სურათი გამომიგზავნეო, 122; დ. ჰ-ძე, 101; სოფიო ჰ-ძე. 102; თათრული ენა ისწავლეთო, ინგლისურით პურს ვერ შესჭამთო, 110.“

შმუცტიტულზე: „შეცდომა, გვ. 314, 92, 173; ფორტეპიანო, გვ. 162; ლექსიკონი: იანალი, 174; ბარამჯიბილი, 179, 182; საღსალამათად, 180; გარდანქემანგი, 200; კუტრი (ბანკროტი), 204, 215; ჩოქჩოქა, რუსის დედაკაცი? 215; ყარა-ყურტა, 216; შადლუნი, 219; თილიყამყამი, 229; ქოვლობა. 278, ქოვლობა საიათნოვასაც აქვს (იხ. ივან სეიდოვის რვეული)“.

ფრონტისპისზე ქინძისთავით მიმაგრებულია ქალაღდის შვიდი ნაჭერი მინაწერებით:

1. „გრ. ორბელიანის წერილები სვიმონ იოსების-ძე შალიკაშვილისადმი, 1851 წ. 11 აგვისტო, 4 ოქტ. აქ ორი წერილია „ივერია“, 1899 წ., № 149, 15 ივლ. გვ. 11. ეს წერილები აღმოჩენილია გურჯაანში ერთ მიკიტნის დუქანში პ. ცხვილოელის (პ. კარბელაშვილის) შენიშვნებით. წერილები უპოვია ივანე ელეფთერიძე, როსტიაშვ. 2. გრ. ორბელიანის წერილები: აქ – ოთხი წერილია. „ივერია“, 1899 წ., № 188 და 189, 2–3 სექტ. წერილი მიწერილია სვ. შალიკოვთან, ზაქათალით 1851, 31 მაის. შიგ ნახსენებია ტალეირანი. 3. წერილი გრ. ორბელიანისა ს. შალიკოვისად. 19 ივლისს 1854. 11 წერილი. შენიშვნა დიმ. ჯორჯაძეზე ეკუთვნის პ. ცხვილოელს (იხ. ივერია, 1899, № 199). 4. გრ. ორბელიანი. წერილები ს. შალიკოვისადმი. 10 აგვისტო. 1851 წ., „ივერია“, 1899, № 196. 5. გრ. ორბელიანის წერილები, „ივერია“, 1899 წ., № 197. სულ 9 წერილია. 6. გრ. ორბელიანის წერილები, „ივერია“, 1899, № 198. 7. გრ. ორბელიანის წერილი ევ. ჰ-ძისადმი და ლექსი „ფსალმუნი“. „დროება“, 1885, № 190 გრ.“

გვ. 398. მინაწერები: „გრ. ორბელიანს შამილი პეტერბ. გაუცვნია, 977 და 384; გრ. ორბელიანი პეტერბურგს წავიდა 1859 წ. (გვ. 383) 6 აგვისტოს. 1859 წ. 20 ოქტ., ჩამოვიდა თბ., გვ. 274.“

გვ. 399. მინაწერები: „შამილი დაეცა 1859, 25 აგვისტოს, 384; პეტერბურგში ჩაიყვეს 1859 წ. 26 სექტემბერს (გვ. 384).“

გვ. 400. მინაწერები: „1. გრიგოლს – ყაფლან ძალიან უყვარდა, 121; 2. ქარვასლის დამწველნი, 121; 3. ზღვა აყმაწვილებსო! გვ. 165, 168, 169, 170, 171; 4. ნ. ბარათაშვილის დის ბაბალეს გათხოვება, 171, 181; 5. გრ. რუსული რეჩი ბარატინსკის, 179, ნ. ბებუთოვის სასაფლაო, 270. სად იყო? (-ხოჯივანქის სასაფლაოზე გამოყოფილი იყო ერთი ადგილი, რომელსაც ბებუთოვიანთ სასაფლაო ეწოდებოდა)“.

წიგნის ბოლოს ფორზაცის ორივე გვერდზე მინაწერები: „1. დავიდარაბა „ერთი მელექსის ნათქვამი!“ (151) ვისია? 2. „ბულბულმა სთქვა“ ვისი ლექსია. „ვარდ-ბულბულიანი“ ხომ არ არის? 248. 3. თელეთი მონასტერია ქართლშიო (?) 375. არა მგონია ეს თუმანიშვილი მიხ. თუმანიშვილი იყოს, გვ. 34 და 291; ყარამნიანი პოემა როდია, 351; უნდა მოგეძებნა, იხ. ცისკარი, რომელზედაც ლაპარაკობს გრ. ორბ. გვ. 213, 360; ჭანკა – გამხდარს, სუსტს ნიშნავს და არა უკანონოს (გვ. 214, 359); არ არის აღნიშნული, რომ ეს სიტყვები საიათნოვასია, გვ. 231; ყარაჩოლელები კი არა გლეხები იყვნენ, გვ. 375, გ. შადინოვი. 289; ი. მ. მირზოევი, 30; ბეკამი, 296; შამილის ცოლები, 306; ღონენა – პიესისთვის სახელი; წინანდალი, 79; ტყვეების გაცვლა, 334; ინგილო – ახალი ქრისტიანებიო, 120, 127; ოპერა 211; ქულა, 266; ა. დიუმას „Три мушкетера“, სკოდნია, 248; გრ. ორბელიანმა სამხედრო სამსახური დაასრ. 1857. (გვ. 369)“.

სუპერზე ბოლოში: „ქულფათი, 211, 251, 166, 266; ელისაბედიანი, 251; მურთაზალი, 285, იხ. „შამჩი-მელქოს ლექსი“.

წიგნის ბოლოს ავ. გაწერელის მიერ გამოქვეყნებული გრ. ორბელიანის ერთი წერილი, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1938, № 16.“ არშიებზე მინაწერები: „ეს წერილი დაწერილია 1877 წელს. ეს ლექსები [იგულისხმება „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“] გრიგოლიმ ფსევდ. დაბეჭდა. „ივ.“ 1877 წელს ქსნისხეველის ფსევდონიმით. ეს უნდა აგეხსნა.“

გვ. 9. ხაზგასმულია: „გავასისაკენ“, არშიაზე: „გავაზი, სოფელი კახეთში“.

გვ. 14. ხაზგასმულია სტრიქონები, არშიაზე: „იხ. ი. მეუნარგია“.

გვ. 19. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „გამოუცვლელია“, არშიაზე: „გამოცვლილია? ი. გრ.“

გვ. 30. მოხაზულია სათაური: „მასვე“, მიწერილია: „რადგან ახალი თარიღია, უნდა ეწეროს არა „მასვე“, არამედ ილია ორბელიანს. ი. გრ.“ ხაზგასმულია სიტყვა: „დორმეზი“, არშიაზე განმარტება: „დორმეზი, სამოგზაურო ეტლი, დასაძინებლად გამოსადეგი. ი. გრ.“

გვ. 76. ხაზგასმულია: „ანგალი“, მიწერილია: „ანგალი იქნება სხვა სიტყვაა და ვერ წაიკითხა რედაქტორმა? ი. გრ.“

გვ. 92. ხაზგასმულია: „გალეულითა“, მიწერილია: „შეიძლება იყოს გოლეული (თაფლი).“

გვ. 114. არშიაზე: „იხ. ვერდერევესკი, გვ. 350.“

გვ. 127. ტექსტშია: „ოჰლიდამ“. აწერია: „ოღლიდამ?“

გვ. 151. მოხაზულია 1-ლი აბზაცი, მიწერილია: „გზის გაკეთება“. ტექსტში ხაზგასმულია: „კნიაზ იოლ“, ახსნილია არშიაზე: „იოლ-გზა (ე. ი. გრიგოლის გზა)“. ხაზგასმულია: „სალოლსუნ“, მიწერილია: „კნიაზმა იცოცხლოს ან ჯანმრთელად იყოს“.

გვ. 155. მოხაზულია ნახევარი გვერდი, მიწერილია: „ზაქარას ვაჟი გარდაიცვალა მოსკოვს“.

გვ. 161. ხაზგასმულია სტრიქონი, არშიაზე: „ნინო. ბარათ. დის ქორწ.“

გვ. 164. ხაზგასმულია ადგილები. არშიაზე: „გლეხებზე სწუხს“.

გვ. 196. არშიაზე: „ეს არ არის შენიშვნები“.

გვ. 213. ხაზგასმულია და დანიშნულია ადგილები. არშიაზე: „ამ ლექსს ჰქვიან „N ვაების უფსკრულს“ (იხ. „ცისკ.“ 1857, № 9, გვ. 3–5)“.

გვ. 314. (213), მე–6 შენიშვნა მოხაზულია, ადგილები ხაზგასმულია. არშიაზე: „ეს როგორ, ორი წლის ბავშვი სამხედრო იყო?“

გვ. 372. (362), მე–4 შენიშვნა მოხაზულია, არშიაზე: „მეგობარი? ნ. ბარათ.“ მოხაზულია მე–7 შენიშვნა, არშიაზე მიწერილია: „დასტოვა მემუარები“.

გვ. 374. (366). მე–20 შენიშვნა: „შერვაშიძე (მხ. გიორგის–ძე) გენ.–ადუტანტი, აფხაზეთის მთავარი“, არშიაზე მიწერილია: „ვითომ?“.

გვ. 375. (368), 28–ე შენიშვნაში მოხაზულია „თავის მოსამსახურე გოგო“, არშიაზე: „საიდან სჩანს? თუ საგინაშვ.“.

3087–3089. ორბელიანი ვ. ლექსნი. ტფ., 1881.

ხელნაკეთ კანზე: „ლექსნი ვ. ორბელიანისა. 1881 წ.“

3090. ორბელიანი ვ. ლექსები. სრული გამოცემა მისი ასულის მარიამ ორბელიანისა. ტფ., 1894.

გვ. V. ხაზგასმულია: „ვახტანგ ორბელიანი თავის შვილის დაბადების წელსვე გარდაიცვალა“, მიწერილია არშიაზე: „მოჰკლეს ჩუმლაყში“.

გვ. გვ. XXI–XXIII სარჩევში, ხაზგასმულია: „მშვენიერთ დასნი“, მიწერილია: „პუშკ.“ ხაზგასმულია: „რა მზე დასავალს ჩაესვენება“, მიწერილია: „პუშკ.“ ხაზგასმულია: „ბაქარ ქართლელს“ მიწერილია: „დ. ყიფიანს“. აღნიშნულია: „პოეტს“, მიწერილია: „გრ. ორბელიანს“. ხაზგასმულია: „ქარიშხალი ჰბერავს“. მიწერილია: „პუშკ.“ ხაზგასმულია: „თითის ტოლა ბავშვი“, მიწერილია: „ჟუკოვსკი“. ხაზგასმულია: „სიცოცხლის რაში“, მიწერილია: „პუშკ.“

3091–3095. ორბელიანი ვ. ლექსები. სრული კრებული. ტფ., 1928.

ფორზაცზე: „ი. გრ. 5/X I – 1928.“ იქვე: „პუშკინის სამი ლექსი, 1. გვ. 15 – (ონეგინიდან 7 თავი, 52 სტროფი). 2. გვ. 73. 3. გვ. 129 – (არ აწერია. იხ. „ივერია“, 1887, № 106). 4. სიცოცხლის რაში („Телега жизни“) – 138. 5. 120, ვის გინახავთ. – „Кто знает край“.

კანზე: „პუშკინიდან – 15, 73, 129, 138, 120; ა. ჭ–ძე? გვ. VII; გეტე, შილერი, შექსპირი – გვ. 91.“

გვ. V. ხაზგასმულია: „პირველად 1894 წელს დაიბეჭდა“, მოწერილია: „პირველად ზ. ჭ–ძემ დაბეჭდა 1881 წ.“

გვ. IX–XI. მიწერილია ლექსების გასწვრივ: „პუშკინისა“, „ჟუკოვსკი“.

გვ. 15. „ლექსს „მშვენიერთ დასნი“, მიწერილი აქვს: „იხ. Евгений Онегин, თავი 7. VII სტროფ. (იხ. რუს. გვ. 393)“.

გვ. 73. ლექსს „რა მზე დასავალს ჩაესვენება“ მიწერილი აქვს: „Из Воспоминаний“.

გვ. 167. შენიშვნების გასწვრივ არშიაზე: „ეს სულ, ე. ი. თარიღები, ძველი გამოცემიდანაა გადმობეჭდილი“.

გვ. 171. ხაზგასმულია: „ქარიშხალი ჰბერავს“ ... მიწერილია: „...პუშკინს ჰგავს...“ [?]“

3096. ორბელიანი ვ. [ლექსები]. თბ., 1949.
- 3097–3099. ორბელიანი ნ. ლექსნი. თბ., [1885]. – აკინძულია იმავე ავტორის ლექსების 1905 წ. გამოცემასთან.
- ხელნაკეთ კანზე: „ნინო ორბელიანი. „ლექსნი“. I და II წიგნი. ი. გრ.“
- თავფურცელზე წარწერა: „კნეინა ნინა ალექსანდრევნა ბარათოვსა ავტორისაგან“.
- შემდეგ ი. გრ. ხელით „1906 წ.“
- გვ. 35. ლექსს „პასუხად მიწერილი ე...ე...“ მიწერილი აქვს: „იხ. გვ. 42“. აღნიშნულ გვერდზე: „მილოცვა ელიზბარ ერისთავს“.
- მეორე ცალის ფორზაცზე: „1. „შენ მოძებნე და სხ.“, 35 და 42. 2. იორდანე ტუსადი, 48. 3. კინტო (ა. ცაგარელს), 62. 4. აღდგენილი სტრიქონი, 47. 5. აღდგენილი, 26.“ გვერდით მიწერილია: „ნინოს მომეტებული სატრფიალო ლექსი ნამღვენი სოსიკო თარხნიშვილისადმი. ი. გრ.“
- გვ. 25. ლექსს „უძღვნი კატო გაბაევისას“ მიწერილი აქვს: „ეკ. გაბაშვ.“
- გვ. 26. ლექსთან „მცივა, მცივა, გამყინა!...“ მიწერილია: „ეს ლექსი ვნახე ნ. გოც. დავთარში. იქ მრავალრიცხვითაა. მაგ. „გვცივა“ და არა „მცივა“. ჩამატებულია 2 ტაეპი:  
„ჩემს სამშობლოს ტკბილს და თბილს არ სჩვევია სიცივე:  
რა ჰაერშიც აღზრდილა, დაუბრუნე იგივე (ეს ლექსი ასე ნ. გოც. ალბომში. ი. გრ.)“
- გვ. 35. ლექსს „პასუხად მიწერილი ე... ე...“ მიწერილი აქვს: „ელიზ. ერისთ. გვ. 42. იმის ლექსი დაიბეჭდა „ჩონგურში“.
- გვ. 41. ხაზგასმულია 2 სტროფი, მიწერილია: „კარგია“.
- გვ. 47. ლექსში „ქანტაზია“ ჩამატებულია 2 სტრიქონი.  
„თუ კი ჩემს მოძმეს, მამულის მოტრფეს  
ვჭკვრეტდე, რომ შრომით არ ილღებოდეს“.
- გვ. 48. ლექსს „იორდანე ტუსალს“ მიწერილი აქვს: „იხ. გვ. 57“.
- გვ. 67. ლექსს „ლეონიძისადმი“ მიწერილი აქვს: „[დ]“, „(ცისკრელი)“.
- 3100–3101. ორბელიანი ნ. ლექსნი. მე-2 გამოც. ახალ-სენაკი, 1894.
- თავფურცელზე: „1. აღდგენილი სტრიქონი, 57, 2. აღდგენილი, გვ. 32, ი. გრ.“
- გვ. 32. ლექსში ჩამატებულია ერთი სტროფი:  
„ჩემს სამშობლოს ტკბილს და თბილს  
არ სჩვევია სიცივე.  
რა ჰაერშიც აღზრდილა,  
დაუბრუნე იგივე“.
- იქვე: „ეს ლექსი ასე ჩამატებ. ვნახე ნ. გოცირიძის ძველ რვეულში. ი. გრ.“
- გვ. 57. ლექსში „ფანტაზია“ ჩამატებულია ორი სტრიქონი:  
„კეთილის ცნობით, ამხანაგობით  
გული ეწოდესთ, ეტანჯვებოდესთ. ი. გრ.“
- დაწერის თარიღს „1881 წ. 24 იანვარი“ მიწერილი აქვს: „ივნისი“.
- გვ. 108. ლექსს „უ. მ. ფ.“ აწერია: „უფალ მამია ფაზელს“.
- გვ. 137. ლექსის „პასუხი გიორგი აგიაშვილს“ სათაურზე მიწერილია: „(პოეტი იყო)“.
- გვ. 149. ლექსის „უძღვნი რუს იმერელს“, სათაურთან მიწერილია: „(იურკვევიჩს)“.
- გვ. 156. ლექსთან „ალექსანდრე ორბელიანს“ წერია: „ეს „ის“ ალ. ორბ. არ არის“.
- გვ. 181. ლექსს „უძღვნი კნეინა ქეთევან ორბელიანისას“ მიწერილი აქვს: „არტისტკა“.

გვ. 189. უსათაურო ლექსს სათაურად მიწერილი აქვს: „იორდანე ტუსაღს“.

გვ. II–IV. სარჩევში ხაზგასმულია ლექსების სათაურები.

გვ. VI. არშიაზე: „P. S. ნინო ორბელიანის ლექსი ჩემდამი (იხ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., № 183, 19 მარტი). ი. გრ.“

წიგნში დევს გაზ. „ახ. კომუნისტის“ 1938 წ. 17 დეკემბრის № 287, სადაც დაბეჭდილია ლადო ასათიანის წერილი „ნინო ორბელიანის დაუბეჭდავი ლექსი“. წერილში ხაზგასმულია: „ნ. ორბელიანის ლექსის ავტოგრაფი დაწერილია ლამაზი და გარკვეული ხელით“, მიწერილია: „ნინო ორბელიანს ძალიან ცუდი და გაურკვეველი ხელი ჰქონდა. იხ. „საქართ. დამატება“.

აქვე დევს ჟურნალის ამონაჭერი, ნინო ორბელიანის ლექსით, და ქაღალდის ნაჭერი წარწერით:

„ნანა შვილო ნანინა

ნეტავი რამ შეგაშინა და სხვ.“

ნინო ორბელიანისა („თეატრი“, 1887 წ., № 5) კნ. კაკოს, „შენის ნუგეშით აღარ მატკობ (იქვე)“.

3102–3103. ორბელიანი ნ. ლექსები რვეული. თბ., 1905.

გაკერილია ი. გრ. მიერ.

კანზე: „კინტო, გვ. 33; ბარონ-დებაის, 16.“

გვ. 33. ლექსს „პასუხად ა. იუ...“ მიწერილი აქვს: „[ანეტა იურკვევიჩი]“.

მეორე ცალის გვ. 40 მიწერილია: „სულ მიძღვნა და მიძღვნა – რა ამბავია? ი. გრ. 1918 წ. 24 ივნისი“.

3104–3106. ორბელიანი ს.-ს. თხზულებანი ოთხ ტომად. თბ., 1959–1962. 1962.

ტ. 1. 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959. 24 ოქტომბ.“

ტ. 2. ნაკვ. 1. 1962.

შმუცტიტულზე წარწერა: „დიდი სიყვარულით იოსებ გრიშაშვილს რედაქტორებისაგან. 12. III-62.“

ტ. 2. ნაკვ. 2. 1962.

3107–3109. ორბელიანი ს.-ს. იგავ-არაკები. თბ., 1944.

კანზე: „ი. გრ. 1944. 20 დეკემბერს გამოვიდა“.

3110–3111. ორბელიანი ს.-ს. იგავ-არაკები. თბ., 1959.

3112–3113. ორბელიანი ს.-ს. რჩეული არაკები სიბრძნე სიცრუისაგან. ტფ., 1874.

თავფურცელზე: „გამოცემა სტ. ზარაფოვისა. (იხ. დ. კარიჭ. კატალოგ.), ი. გრ.“

3114. ორბელიანი ს.-ს. რჩეული იგავარაკები. ტფ., 1937.

3115–3117. ორბელიანი ს.-ს. წიგნი სიბრძნე სიცრუვისა. სპბ., 1859.

კანის მე-2 გვერდზე: „1-ლი გამოცემა – ი. გრ.“

შმუცტიტულზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „გრიშა ყანჩაველის წიგნებიდან“. სათაურის ქვეშ: „[I-ლი გამოცემა]. ვიყიდე სუმბათას წიგნის მაღაზიაში – ი. გრ. 1929. 22/IV“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე ყოფილი მფლობელის ხელით:

„ეს წიგნი მიყიდა

მიმიცია ნაღდი ფული,

ვინც უჩემოდ ეს წაიღოს  
გავარდნია პირში სული.

გრიმა.

ეს წიგნი ჩემია  
ხელი მომიწერია  
ვინც უჩემოდ ეს წაიღოს  
ხელი მოუტეხია.

გრიმა.“

ამ მინაწერის პასუხად ყდის მე-3 გვ. წერია:

„P. S. გინდ მიმართე სასამართლოს  
თავს დამასხი მილიცია. –  
სულ ტყუილად იწყევლები  
ნაღდი ფული მიმიცია  
ი. გრ.

1929. 24/IV“

მეორე ცალს, კანის ნაცვლად შემოკრული აქვს ქალაქი წარწერით: „წიგნი სიბრძნე სიცრუვისა“. აქვე მინაწერები: 1. „ამ წიგნს ცენზორი აწერს ხელს დ. ბაქრაძე [1871] (იხ. გვ. 65) და გასწორებულია მგონი პეტრე უმიკაშვილისა. ი. გრ. 1922 წ. 10/XI. 2. პ. უმიკაშვილის მიერ სრულად დაბეჭდილი 1871 წ.“

წიგნის 1-ლ გვერდზე: „ეს პირველი გამოცემაა. სანკტ-პეტერბურდს, 1859 წ. ეს ცენზორის დ. ბაქრაძის (გვ. 65) მიერ დართული ეგზემპლიარია. გასწორებულია პეტრე უმიკაშვილის მიერ. ი. გრ. 1920. 1/II.“

მრავალი ადგილი ჩასწორებულია, რედაქტირებულია.

3118–3120. ორბელიანი ს.-ს. წიგნი სიბრძნე სიცრუისა. გამოც. მე-2, სრული. პ. უმიკაშვილისა თბ., 1871.

წიგნი საგანგებოდ არის ჩასმული ყდაში, ყუაზე ამოტვიფრულია: „И. Г.“

მეორე ცალის ფორზაცზე: „სრულია! მეორე გამოცემა! ი. გრ.“

3121–3122. ორბელიანი ს.-ს. წიგნი სიბრძნე სიცრუისა. მე-3 გამოც. თბ., 1881.

ფორზაცზე მელნით: „კარგის და ბეჯითის სწავლისათვის“ ეს წიგნი მიეცა საჩუქრათ ალექსანდრე გიორგის ძეს კავლეულაშვილს, რუისის შკოლის მოწაფეს ლენერალ ლეიტენანტის კონსტანტინე მამაცოვისაგან 1886 წელსა 6-ს ოკტომბერს“.

ფორზაცზე: „P. S. ვიყიდე ბაზარზე 1930, 25/II. ი. გრ.“

3123. ორბელიანი ს.-ს. წიგნი სიბრძნე-სიცრუისა. ხელნაწერებთან შედარებული და გამართული ნ. მთვარელიშვილის მიერ. ტფ., 1892.

ტექსტის ბოლოს სუფთა გვერდზე ყოფილი პატრონის ხელით: „1904 წ. აპრილის 24, ვიყიდე ეს წიგნი ფასათ 75 კ. მე იოსებ გიორგის ძე ბარამიძემ ლანჩხუთში. შალიკოს მაღაზიაში. გამგე ლ. ც. ჩემთვის ვიყიდე, თორემ სხვისთვის არ მიყიდა“.

3124. ორბელიანი ს.-ს. წიგნი სიბრძნე-სიცრუისა. სხვადასხვა ხელთ-ნაწერებთან შედარებული და გამართული ნ. მთვარელიშვილის მიერ. გამოც. მე-2. ტფ., 1903.

ფორზაცზე: „ხურო ნაზარას შესახებ, იხ. „ძუნწი ვაჭარი“, გვ. 11.“

გვ. IX. ხაზგასმულია: „ეს წიგნი არაკებად დავანაწილეთ და თითოეულს არაკს შესაფერი სათაური დავუწერეთ“, მიწერილია: „დაყოფა ესე პირველად ნ. მთვარელიშვილმა ჩაიდინა“.

3125–3126. ორბელიანი ს.-ს. სიბრძნე-სიცრუისა. გ. ლეონიძის რედ. ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „პოეტს ი. გრიშაშვილს. გ. ლეონიძე, 8. III. 1929“.

სუპერზე: „ი. გრ. იხ. ჩემი შენიშვ. ლექსიკონში.“

თავფურცელზე: „პეტრე უმიკაშვილმაც ავტორის გვარი ასე დასწერა: “სულხან-საბა ორბელიანი“. (იხ. მისი გამოც.) ჩემი შენიშვ. ლექსიკონშია“.

თავფურცელზე მიკრულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „სიბრძნე-სიცრუეს“ (ნ. მთვარელიშვილის გამოცემას) იწუნებს ვინმე დრიანკელი. (იხ. „ივერია“, 1894 წ., № 2). P. S. აქ მოხსენებულია, რომ ზ. ჭ-ს ჰქონდა საბას სხვა არაკების წიგნიც „სწავლათა კიდობანი“ და რატომ არ მოიხსენია ავტორმაო“.

ფორზაცზე: „ამ წიგნზე ძმაბიჭური რეცენზია ს. კაკაბაძისა („მნათობი“, 1928, № 11–12, გვ. 250)“.

გვ. VII. სქოლიოში მოხაზულია: „სხ.“ არშიაზე მიწერილია: „სხვა“ ამნაირ გამოკვლევებში არ შეიძლება.“

გვ. XVI–XVII შორის დევს: 1. გაზ. „მუშის“ 1927 წ. 17 აპრილის ნომრიდან ამოჭრილი ცნობა ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ გამოცემის შესახებ. 2. ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „სიბრძნე-სიცრუე“ ნ. მთვარელიშვილის რედაქციით. რედაქტორს შეუდარებია სხვადასხვა ხელთნაწერები ვარიანტებისათვის და ისე განუმარტავს. გაბმული ამბავი დაუყვია ცალ-ცალკე იგავ-არაკებად და თვითეულისათვის შესაფერი სახელწოდება მიუცია. („ივერია“, 1893, № 255)“.

გვ. XXXII. მოხაზულია მე-3 აბზაცი, მიწერილია: „იხ. მ. ჯანაშვილი „ტფილისი“, გვ. 90“. აქვე ხაზგასმულია „ოცდა ორი ფუტი“, არშიაზე: „თუ 2, დედანში ორია“. ხაზგასმულია: „ჭრელი ტილოთი“, მიწერილია: „სუზანი.“

გვ. XXXIV. ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „მ. ჯანაშვ.“ და „ჩემიდან“. მოხაზულია „ფიალები“, მიწერილია: „ფიალა“ არა აქვს ავტორს.“

გვ. CLXXX. სქოლიო მოხაზულია, არშიაზე წერია: „იხ. პ. უმიკაშვ. გამოც. გვ. XI“.

გვ. CXCI. ხაზგასმულია: „ვარდანულ არაკებში“, არშიაზე: „იხ. ე. თაყაიშვილი“.

გვ. CXCIV. სქოლიოში ხაზგასმულია: „იხ. „მოგზ.“, მიწერილია: „რომელი წლისა?“

გვ. CXCIX. ხაზგასმულია: „გმირები ქართულ ზღაპრებისა“, არშიაზე: „მოლა მასრადინა ვისია?“

შმუცტიტულზე: „I. ტექსტი თითქმის გადაბეჭდილია პ. უმიკაშვილის გამოცემიდან (1871). II. სათაურები თითქმის გაკეთებულია მთვარელიშვილის გამოცემიდან. ყოველ შემთხვევაში უნდა აღნიშნულიყო, სათაურების მიცემის პრიორიტეტობა და დაყოფა პირველად მთვარელიშვილს ეკუთვნის, ამის აღნიშვნა საჭიროა, ასეთი უანგარო და ჩუმი მოღვაწის (ნ. მთ.) მიმართ, მაშინ როდესაც ეხლა ცხვირის დაცემინებასაც ერთგვარ მიღწევათ სთვლიან. ი. გრ. 1929. 13. II.“

გვ. 196. ლექსიკონში მოხაზულია: „თალარი“, არშიაზე: „ბესეტკაა, ეს სიტყვა საბას მოგზაურობაში აქვს.“ ხაზგასმულია: „თეფში – გადახსნილი საინი“. არშიაზე: „ვინ არ იცის? არ ვარგა-გახსნა? პირგადაშლილი სჯობს“. ხაზგასმულია: „თოქმაჩი – თითბერის ჩამომსხმელი“, მიწერილია: „ჩემიდან - ბოჰემა, გვ. 241. თოქმაჩი ასე მხოლოდ მე მაქვს

ახსნილი. დ. ჩუბინაშვილს აქვს „კვერისმცემელი“ სამჭედლოში. ჩემი ახსნა სწორეა, მაშ რატომ არ ვწერივარ?“.

გვ. 202. ხაზგასმულია: „რუმბი – დიდი ტიკი ძროხის ტყავისა“, არშიაზე: „საბას აქვს ზროხა. საყოველთაო სახელია“. სქოლიოში: „რუმბს აკეთებენ კამეჩის ტყავისაგან, უკეთეს შემთხვევაში რუსეთის წოპე ხარისგან, არას გზით ძროხისგან არ შეიძლება გაკეთდეს, სხვა არა იყოს რა ძუძუები დაუშლის“.

გვ. 204. ხაზგასმულია: „სელის“ ახსნა: „შესაკრავ-გასახსნელი – სკამი“, მიწერილია: „მთვარელიშვ.“ ხაზგასმულია სიტყვა „სიმწყაზარეს“ ახსნა: „სითეთრე, სილამაზე“. მიწერილია: „მთვარელიშვ. სცდება, თეთრი მწყაზარი არ არის. მაშ მწყაზარი თუა წითელი, იხ. გვ. 201.“

გვ. 206. ხაზგასმულია: „უშულლარი“, მიწერილია: „უშულლარია“. მოხაზულია გვ. მაჩვენებელი: „46“. არშიაზე: „ამ გვერდზე არ არის მგონი“. „ფოლორცის“ ახსნაში გასწორებულია კორექტ. შეცდომა: „შუვა-შუკა“. ხაზგასმულია სიტყვა: „ფუნდუკის“ ახსნა: „სასტუმრო სახლი“, მიწერილია: „(ქარვასლა), მთვარელიშ. იმეორებს.“

გვ. 207. მოხაზულია სიტყვა: „ქუფრი“, მიწერილია: „იხ. საბა. თუ საბა გადაუთვალაიერებია, ქუფრსაც ნახავდა. არა! ბრმად აუღია მთვარელიშ.“ ხაზგასმულია: „ყასაბი“, მიწერილია: „რა ახსნა უნდა“.

გვ. 208. ხაზგასმულია: „ყია – ყელის ყანყრატო“. არშიაზე: „ყანყრატო კიდევ სად არის? უნდოდა გადაეკეთებინა და რა გამოვიდა“.

გვ. 211. ხაზგასმულია: „ხარგა – ბალნის კარავი“. არშიაზე: „რატომ ბალნის, რა ბალნის, რათ იმეორებ შეცდომითვე თ. მთვარელიშვილს. იხ. მთვარ. წიგნი.“ ხაზგასმულია: „ხეიბარი – დაშვებული კაცი“, მიწერილია: „ალბათ დაშვებული, არა?“ (ხეიბარი – инвалид)“.

გვ. 212. ხაზგასმულია: „ხურო – დურგალი, მთლელი“. არშიაზე: „ხურო არის ტივის ხის მხერხავი, მთლელი – როგორ შეიძლება“. ამავე გვერდზე ტექსტის ბოლოს წერია: „P. S. ეს ლექსიკონი ორიოდ უმნიშვნელო სიტყვის დამატებით გადმობეჭდილია პირწმინდათ მთვარელიშვილის გამოცემიდან („სიბ. სიცრუე“, 1903 წ.) ახალ რედაქტორს მთვარ.-ის ახსნა გადაუსხ.-გადმოუსხავს. (მაგ. „მოცხარი“ – ხე მჟავე ნაყოფიანი (მთვ.) – მოცხარი – „მჟავე ნაყოფიანი ხე (ლ.). რაც ჩაუმატებია, ისიც სწორედ არ არის ახსნილი, (მაგ. რუმბი და სხვ.) ამ ლექსიკონის შედგენა უფრო ადვილი იყო (თვითონ საბას ლექსიკონს მოიშველიებდა, მაგრამ არ ჩაუხედნია (მაგ. „ქუფრი“).“

3127. ორბელიანი ს.-ს. სიბრძნე-სიცრუისა. გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1938.

ფორზაცზე: „ეს არის ტეხნიკა? გვ. 24-25. „ამხანაგი.“ იქვე გაზეთიდან ამონაჭერი ალ. ბარამიძის წერილი „სულხან-საბა ორბელიანი“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1938 წ. № 30.“

3128–3129. ორბელიანი ს.-ს. სიბრძნე სიცრუისა. [გ. ლეონიძის წინასიტყვ. და ს. იორდანიშვილის რედ.] თბ., 1957.

3130. ორთავაძე მ. ჩვენთან საქართველოში. [იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1958.

3131. ორი პიესა. „იანიჩარი“. დრამა დ. ნახუცრიშვილის. – „ახალი მოძღვრება“ ბარეტისა, თარგმ. ა. კანდელაკისა. ამონაჭერი: „მოგზაური“, 1901, №№ 4–10; „მომბე“, 1901, № 10–11.



- აკინძულია ერთ ყდაში.
- ყდის მე-2 გვერდზე წერია: „წიგნი ეკუთვნის იოსებ მამულაშვილს (გრიშაშვილი) 1907 წ. 4-ს ივნისს (თიბათვე)“.
- 3132–3143. ორი პიესა: I. ნაგავი. ხუმრობა 1 მოქმ. ი. გრიშაშვილისა. II – დაკარგული კბილი. ხუმრობა 1 მოქმ. მარიჯანისა. ტფ., 1927.
- 3144–3145. ორი პოემა. I. ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან ილ. ჭავჭავაძისა. II. უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ი. ევდოშვილისა. ბათუმი, 1904.
3146. ორპირელი ა. ლექსები. „ოცნებათა სურათი“. სამტრედია, 1913.
- კანზე: „იშვიათია! თბილისში არ არის! ი. გრ.“
3147. ორახელაშვილი ე. ესეც შენი ტელევიზორი! [იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1959.
- 3148–3149. ოტიაშვილი ს. და ვახტანგოვი რ. მწუხრის ჰანგები. [ლექსები]. თბ., 1914.
3150. ოქროპირ ბატონიშვილი. ვეფხვის ტყავოსანი. ტრალედია, თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან. მოსკოვი, 1853.
- წიგნი დეფექტურია, უცნობ პირს გადაუწერია და ჩაუკრავს წინასიტყვაობის მე-3 და წიგნის 67–68 გვერდები.
3151. ოქუაშვილი ვ. მოწამლული სიცოცხლე. დრამა 1 მოქმ. ქუთაისი, 1910.
3152. პაპავა ა. მეურმე ნესტორა. მოთხრობა. ტფ., 1926.
- თავფურცელზე: „ი. გრ. 1926. 2. V.“
- კანის მე-3 გვერდზე მინაწერი: „რეცენზიები: „საბჭოთა ხელოვნება“, № 1, 1927; „სოფლის კომუნისტი“, № 11–12, 1926 წ.; „მნათობი“, 1927, № 1“.
3153. პაპავა ა. მოთხრობები. პირველი წიგნი. [ტფ., 1920]. – კანზე სათაური: სოლეილდორ. მოთხრობათა კრებული. წიგნი პირველი.
- თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას სოსოს გრიშაშვილს. ავტორი 4 I“.
- გვ. 28. ხაზგასმულია: „მოდო, მოგელი“, მიწერილია: „შალიკაშვილი?“.
- წიგნში დევს: 1. აკაკი პაპავას მოთხრობების ყდის მაკეტი, ორიგინალი, რომლის მე-2 გვერდზე წერია: „Тов. Арташес! Сделайте в натуре. Расчет со мной. Х. Рачвелишвили. 1928. IV. 27“. 2. გაზეთიდან ამოჭრილი ვ. ლუარსაბიძის წერილი „ლიტერატურული მაკულატურა“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“ 1937, № 24“.
- 3154–3155. პართენაშვილი ს. გარიყული. მოთხრობა. თბ., 1908.
- კანზე ავტორის ფსევდონიმთან: „სოსო ირემამუ. ი. გრ.“
3156. პართენაშვილი ს. ივანეს ოჯახის თავგადასავალი. მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან. ყვირილა, 1901.
- წიგნის ყუაზე წარწერა: „წიგნი იოსებ მამულაშვილისა“.
- 3157–3158. პატარაია ბ. ერეკლე მეორე. რომანი. თბ., 1941.
- ფორზაცზე: „ამ ავტორის ეს მესამე წიგნია: 1. სისხლი (ლექსები). 2. ნონა (მოთხრობა). 3. ერეკლე მეორე (რომანი). სამივე მაქვს. ი. გრ.“
3159. პატარაია ბ. ნონა. (რომანი). ტფ., 1929.
- კანზე: „ი. გრ. 1929. 12/IV.“ იქვე: „ჩემი სტრიქონი, გვ. 33.“ ამ გვერდზე ხაზგასმულია: „მიყვარს ოცნება მგოსანივით მოუსვენარი“, მიწერილია: „ჩემია. ი. გრ.“
- 3160–3161. პატარაია ბ. სისხლი. [ლექსები]. თბ., 1925.

შესავალ წერილში ხაზგასმულია გვ. 5: „ახალი, საუცხოვო რითმები“, გვ. 6. „ამოუშრეტელი ცოდნა“ და მიწერილია: „ლეილა“ ზეპირად უსწავლია.“

გვ. 21. ხაზგასმულია: „შარი აკაკის“ და მიწერილი: „ი. მოსაშვილის მიბაძვას – იხ. „შარი გრიშაშვილს.“

გვ. 69. ლექსში „იჭვიანი პაემანი“ ხაზგასმულია: „ექსესუარი“ და მიწერილია: „ეს სიტყვა „ექსესუარი“ (აქსესუარი“) შეცდომით ვიხმარე – „ჩემს ცოლებში“. ეტყობა „ამოუშრეტელი ცოდნა“ (როგორც ამას ვინმე ძიძიგური ბრძანებს წინასიტყვაობაში).“

გვ. 71. სტრიქონს: „ნინა. ლუბა. თამარა. თინა. მარო ჟენია“ – მიწერილი აქვს: „მართლა რომ მარო ჟენია“ (მარიჯან).“

გვ. 73. ლექსში „ვნება“ ხაზგასმულია სტრიქონები: „ვნებას ეძებს ყოველივე“. „ეგ სიცოცხლე მოლივლივე“, „ვნება ეძებს თვით „სიცოცხლეს“ და არშიაზე: „იხ. ჩემი „ოცნების კოცნა“. ი. გრ.“

გვ. 77. არშიაზე: „ამ წიგნს რად მივე ათი შაური? (მარიჯან). ი. გრ.“

გვ. 85. ლექსში „ავტობიოგრაფია“ ხაზგასმულია: „ვეძებდი გრეთხენს – უცოდველობას“, არშიაზე: „გრეთხენ სინაზის უცოდველობა“ (იხ. „ლეილა“-ში ჩემი ლექსი „ჩემს ცოლებს“) ი. გრ.“

3162. პატარაია ვ. ერთი ფრიცის ამბავი. [სატირა]. თბ., 1942.

3163–3164. პატარაია ვ. ორი პიესა. უჩა უჩარდია. – სანაპიროზე. თბ., 1955.

თავფურცელზე და გვ. 17 ბეჭედი: „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“.

3165. პატარაია ვ. სატირა და იუმორი. თბ., 1957.

თავფურცელის მე-2 გვერდზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს, საყვარელ მგოსანს და მეგობარს. ავტორისაგან. 1958 წელი. 21 თებერვალი.“

3166. პატარაია ვ. ჰებელსი და იხვეები. [სატირა]. თბ., 1942.

3167. პატარიძე გ. ზოგჯერ ფულიც ტვირთია. [მოთხრობები]. თბ., 1960. („ნიანგის ბიბლიოთეკა“, № 29).

3168. პატატიშვილი დ. დიდი სიჭაბუკე. ლექსები. თბ., 1960.

3169–3170. პელაშვილი ბ. ლექსთა კრებული. ფოთი, 1926.

კანზე: „ი. გრ. 1927. 6/II.“

3171. პონტოსპირელი შ. რევოლუცია ქიმერების. პიესა 4 ჩვენებათ. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. ბორჯომი. 1924. 24/VII“.

3172–3173. ჟიუნ-მავრი. ტყის ზღაპარი. (სხვადასხვა დროის ფიქრები). [ლექსები]. თბ., 1920.

ავტორის ფსევდონიმის ქვეშ მიწერილია: „ანანია სალუქვაძე.“

3174. ჟორდანი ი. ერისიონი. [ლექსები]. Аиґа. ღამის ნეგატივები, ეჟენები ცაზე. სიჩუმის ნაქარგები. 1920–1921. ქუთაისი, 1922.

კანზე: „ი. გრ. 1923. 9. I“.

გვ. 7. ლექსში „ელეგია მოტყუებულ თვალებს.“ ხაზგასმულია სიტყვები: „მზის ხალები“, მიწერილია: „პირველად ხომ ჩემია. დაიბეჭდა. (იხ. „ბახტ.“ № 4) იქ „მზის ხალია“.

გვ. 12. ლექსში „შიში ბნელ ღამით“ ხაზგასმულია სიტყვა: „ყარნავათია“, არშიაზე: „ყარავანთია?“

3175. ჟორჟოლიანი ა. სოფლის ფერმალი. შარჟი 1 მოქმ. [თბ., 1915]. – ამონაჭერი: „ემმაკის მათრახი“, 1915, № 14, 15.

3176–3177. ჟუჟისპირელი ა. ტყის ძმები. მოთხრობა გურიის ახლო წარსულიდან. თფ., 1919.

ფსევდონიმის ქვეშ მიწერილია: „ანანია სალუქვაძე“.

3178. ჟურული ვ. ელზასელი ქალი. (კ-იას ნაამბობი). – ამონაჭერი: „მოამბე“, 1896, № 1.

3179. ჟურული ვ. ლექსები. ვარდის ფურცლობა. თბ., 1935.

3180. ჟურული ვ. ლირიკა. თბ., 1956.

3181. ჟურული ვ. ქუთაისის ავტომობილი. ნარკვევი. თბ., 1949.

3182–3183. ჟურული ვ. ჩემი მერცხლები. [ლექსები]. თბ., 1960.

ფორზაცზე წარწერა: „დღევანდელ საათნოვას, საკუთარი ხმის პოეტს ი. გრიშაშვილს – თავზე გახურავს ნამუსის ქუდი. სიყვარულით ვარლამ ჟურული. 28 დეკემბერი 1960 წელი. ქ. თბილისი“.

3184. ჟურული ვ. ჩვენი გაზაფხული – [ლექსები]. თბ., 1950.

3185. ჟურული ვ. ჩრდილოეთის დაპყრობა. ლექსები. თბ., 1940.

3186. ჟღენტი სანდრო. სამშობლოვ ჩემო. ლექსები. თბ., 1956.

3187. ჟღენტი სულიკო. ღვისპირეთის სადამოები. [მოთხრობები]. ბათუმი, 1958.

3188. რაზიკაშვილი თ. შავი ფიქრები. [პოემა]. ტფ., 1891.

კანზე ფანქრით: „გადმობეჭდ. „ივერიიდან“, 1891 წ. № 154 და სხვ. ომი – 3; წინარე – 14. ი. გრ.“

3189. რამიშვილი ვ. ლექსები. ხაშური, 1912.

კანზე ფანქრით: „კალისტრატე რამიშვილი, არ არის თბილისში. (გლეხია). ხაშური. ი. გრ.“

3190. რამიშვილი ვ. პეტრეს დრუნცი. ხალხური სიცილი. ნაწილი ლექსთა კრებულისა (გურული სცენისებურად). მე-2 ნაწ. ტფ., 1925.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1925. 3/III.“

3191. რამიშვილი ტ. ამონაკვეთი. – ამონაჭერი „მნათობი“, 1925, № 7.

3192–3193. რამიშვილი ტ. გაჭირვების ტალკვესი. კომ. 3 მოქმ. – ამონაჭერი: „მნათობი“, 1925, № 8–9.

3194. რამიშვილი ტ. დრამა და კომედია. 1. დედინაცვალი. 2. ჭკუა-მხიარული. ტფ., 1921.

კანზე: „ი. გრ. 1941. 11/II.“

3195–3196. რამიშვილი ტ. ექიმი ამირბაჯიანი. პიესა 3 მოქმ. ხაშური, 1912.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. წადვერი, 2 აგვისტო, 1913 წ.“

წიგნში ჩადებულია: 1. ფურცელი წარწერით: „ტრ. რამიშვილის „სიყვარულის საზღვართან“ „თ. და ც.“, 1923, № 1, 2, 3.“ 2. რვეულის ფურცელზე დაწერილი ბარათი.

„მ. ხ. ბატონო ტრიფონ რამიშვილო!

რადგანაც საშინელი გაჭირვებული ვარ და არავინ ყურადღებას არ გვაქცევს ჩვენ, ამიტომ გთხოვთ ის წიგნები გამოატანოთ ამ წერილის მომტანს, ეგება გაიყიდოს მაღაზიებში, რაც იოსებს ეკუთვნის. თქვენი პატივისმცემელი ანა იმედაშვილი 7 თებერვალი, 1911 წ.“

3197–3199. რამიშვილი ტ. მეზობლები. სურათი თანამედროვე ცხოვრებიდან 4 მოქმ. თფ., 1906.

თავფურცელზე: „ვასო აბაშიძის მინაწერი (იხ. II გვ.) ვასო აბაშიძის ნაქონი წიგნი. ი. გრ.“

თავფურცლის მე-2 გვერდზე: „Фися уехала 22 февраля 1918 г. в понедельник“. ი. გრ. ხელით მიწერილია: „[ეს ვასო აბაშიძის ხელია]. P. S. Фися ვ. აბაშიძის ცოლი იყო (არაჯვარდაწერილი). ძალიან კარგი ქალი იყო – ვასოს უყვარდა იგი. ი. გრ.“

მეორე ცალის კანზე ბეჭედი: „ზ. ს. სახ. სახლი. ქართული წარმოდგენების მმართველი წრე“.

3200. რამიშვილი ტ. მონადირე ქალები. – ამონაჭერი: „მნათობი“, 1927, № 5–6.

ხელნაკეთ კანზე: „ეფემვერდი, 70, 71; აჯილლა, 72; ჭიჭინა, 73; მენენიკი, ჰაიდა, 91; აფრაკი, 92; ამადოს, 93“.

გვ. 54. მოქმედ პირთა სიაში ჩამატებულია: „[„იორამი, თამროს ბიძაშვილი], [ივანე გლეხი]. ი. გრ.“

გვ. 64. ხაზგასმულია: „ტომბახი“, მიწერილია: „მადარიჩი? ტომბახი – ყავარჯენიცაა“. იქვე: ი. გრ. 1937. 2/V.“

გვ. 70. ხაზგასმულია: „იწვის შქერი, იწვის შქერი“.

3201–3202. რამიშვილი ტ. პიესები. ტფ., 1927.

ფორზაცზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ქ. რაჭველიშვილი.“ იქვე მინაწერი: „მაჩუქა. ი. გრ. 1927. 1. IV“.

წიგნში ჩადებულია მოსაწვევი ბარათი თბილისის სანკულტურის თეატრის 1941 წ. 29 ნოემბრის სპექტაკლზე – ტრ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“ და ამ სპექტაკლის პროგრამა. აქვე დევს ლ. დიმიტურის წერილი ტ. რამიშვილზე, ამოჭრილი გახეთიდან მინაწერით: „კომ.“, 1939, № 86“ და ქაღალდის ნაჭერი მინაწერით: „ტრ. რამიშვილი. სიყვარულის საზღვართან. პიესა 3 მოქ. („თ. და ც.“, 1923 წ., № 1, 2, 3)“.

3203–3205. რამიშვილი ტ. საბედისწერო დამბაჩა. დრამა 3 მოქმ. ზანგის წერილით: „მემკვიდრეობის დრამა“. თბ., 1910.

თავფურცელზე წარწერა: „ვუძღვნი ჩემს ძვირფას მეგობრებს ფილიპე და ანნა მგელაძეებს. ავტორი. 19. 14. IX. 10“.

მეორე ცალის თავფურცელზე ხაზგასმულია „ზანგის“, მიწერილია: „გრ. რცხილაძის ბოლოთქმით“. (იბეჭდებოდა „თ. და ც.“, 1910).

3206. რამიშვილი ტ. სალომეს ოჯახი. პიესა 3 მოქმ. [თბ., წ. ა.]. – ამონაჭერი წიგნიდან: ი. გომელაური. ქართველი მწერლები.

3207–3210. რამიშვილი ტ. სტუმარ-მასპინძლობა. კომ. 3 მოქმ. თბ., 1920.

თავფურცელზე ბეჭედი: „ქართული დრამა. სსსრ სახელმწიფო დრამის თეატრი“. მიწერილია: „ვიყიდე ბაზარზე, 1929 წ. 11/V – ი. გრ.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „ცისარტყელაში“ იბეჭდებოდა“.

მესამე ცალის თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „ი. ელიაშვილი“.

3211. რამიშვილი ტ. ფრთა მოტეხილი ყორანი. დრამა 3 მოქმ. – ამონაჭერი: „ცისარტყელა“, 1920, № 11.

შეკერილია წიგნად ი. გრ. მიერ.

3212. რამიშვილი ტ. შეშლილნი. პიესა 2 სურ. [თბ., 1908] – ამონაჭერი: „ისარი“, 1908, № 17, 18, 20.  
 გაზეთის ამონაჭრები აკინძულია წიგნად.  
 პირველ ფურცელზე წარწერა: „ვუძღვნი ზანგს. ავტორი“.
- 3213–3215. რამიშვილი ტ. შეშლილნი. პიესა 2 მოქმ. ტფ., 1911 [კანზე: 1912].  
 კანსა და თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „ან. თუმან...“ [?].
3216. რამიშვილი ტ. ცხოვრების ნაწყვეტი. (დრამა 1 მოქმ.). თფ., 1912.  
 1-ლ გვ. წარწერა: „სახსოვრად ძვირფას მოძმეს ექიმ სიკოს პატივისცემით ავტორი“.
3217. რამიშვილი ტ. ჭკუა მხიარული. სურ. 1 მოქმ. – ამონაჭერი: კრ. „მერანი“, 1916.  
 შეკერილია წიგნად ი. გრ. მიერ.  
 თავფურცელზე წერია: „აქ კორექტ. შეცდომებია. გადმობეჭ. „მერანიდან“, ი. გრ.“
3218. რამიშვილი-დიდვანელი ვ. ღელვის განსაცდელი. ლექსები. წ. 1. დედაქალაქი, 1928.
3219. რაჭველი ი. დასჯილი. (პოემა). ახალ-სენაკი, 1895.
- 3220–3221. რაჭველი ი. მართალი კაცი. მოთხრობა ახალი ცხოვრებიდან. ახალ-სენაკი, 1896.  
 მეორე ცალი აკინძულია წიგნთან: „ნინოშვილი ე. „ჩვენი ქვეყნის რაინდი,“ ბათომი, 1896.
3222. რაჭველი ი. მარიანა. მოთხრობა ბელგიის თანამედროვე ცხოვრებიდან. თბ., 1914.
3223. რაჭველი ი. „მეექვსე ნომერი“ ანუ „ხალიფის წინააღმდეგი“. ამბავი ილდიზ-კიოსკიდან. ტფ., 1897.
3224. რაჭველი ი. რაშია ბედნიერება?... (ისტ. ამბავი ბერძენთა ცხოვრებიდან). თბ., 1904.
- 3225–3227. რაჭველი ი. უმანკო მსხვერპლი. მოთხრობა. ახალ-სენაკი, 1896.  
 თავფურცელზე ავტორის ქვემოთ: „გვარად იასე მეხუზლა (გურული იყო). ი. გრ.“  
 მეორე ცალის კანზე: „არ არის თბილისში. ი. გრ.“
3228. რაჭველი ი. ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო. საშობაო მოთხრობა ახალი ცხოვრებიდან. ტფ., 1897.  
 კანზე: „არ არის აწერილი. ი. გრ.“
3229. რაჭველი ნ. ჩემი თავგადასავალი. თბ., 1917.
- 3230–3231. რემონიძე ს. ადამიანი, პიესა 4 მოქმ. ტფ., 1928.  
 თავფურცელზე წარწერა: „ძვ. პროფ. გ. ახვლედიანს ღრმა პატივისცემით ავტორისაგან. 2/VII 28 წ.“
- 3232–3233. რემონიძე ს. მასწავლებელი. მოთხრობა. ტფ., 1929.
- 3234–3236. რემონიძე ს. მოთხრობები. წ. 1–2. თფ., 1917–1925.  
 წ. I. 1917.  
 თავფურცელზე: „სახალხ. ფურცლიდან“. 1916 წ. 25 აგვისტო. ი. გრიშაშვილი.“  
 წ. 2. 1925.  
 თავფურცელზე წარწერა: „ძვ. მეგობარს პოეტს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 20/VI 25 წ.“

- 3237–3238. რემონიძე ს. პირველი ლაღუმი. (1905 წელი გურიაში). პიესა 3 მოქმ. ტფ., 1925.  
 თავფურცელზე წარწერა: „ძვ. ამხ. ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 30. XII. 25 წ.“  
 მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ძვ. მეგობარს, ტრ. რამიშვილს ავტორისაგან.“
3239. რემონიძე ს. პირველი ლაღუმი. (1905 წელი გურიაში). პიესა 3 მოქმ. მე-2 გამოც. ტფ., 1930.
3240. რემონიძე ს. ჩემი ტფილისი. რომანი. ტფ., 1927.  
 თავფურცელზე წარწერა: „ძვ. მეგობარს ი. გრიშაშვილს ავტორისგან. დედაქალაქი. 1927. 23/VI“.
3241. რემონიძე ს. ძმები. დრამა 5 მოქმ. [ტფ., 1926].  
 თავფურცელზე წარწერა: „ძვ. მეგობარს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 25/V-26 წ.“
- 3242–3243. როინიშვილი ვ. ახალი სასიმღერო ლექსები. [ლექსების მე-2 წიგნი]. თბ., 1928.  
 კანზე: „აკაკის „თემი“, გვ. 4. ი. გრ.“
3244. როინიშვილი ვ. შრომის სხივები. თანამედროვე ლექსთა კრებული. ტფ., 1926.
3245. რომანიშვილი ა. ლექსები. თბილისი, 1915.
3246. [როსტომიშვილი დ.] შიო თავადი. ძველი თქმულება. პოემა დ. ნინოწმინდელისა. ტფ., 1896.
- 3247–3248. როყვა შ. ვარდობის დილა. [ლექსები]. ბათუმი, 1953.  
 ფორზაცზე წარწერა: „ჩვენს საყვარელ პოეტს, სახელოვან მოღვაწეს, შესანიშნავ ადამიანს ამხ. იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით. ავტორი. 2, VII. 53“.
3249. როყვა შ. მამის ღიმილი. ლექსები და პოემები. ბათუმი, 1960.
3250. როყვა შ. სოფლის სიყვარული. ლექსები, ბათუმი, 1955.
3251. რურუა ი. როცა ცხოვრებას შეიტკობ. [მოთხრობები. ბათუმი], 1957.  
 კანის მე-2 გვერდზე წარწერა: „ქართველი ხალხის უსაყვარლეს პოეტს, დედა-თბილისის პირველ მოქალაქეს, ძვირფას იოსებ გრიშაშვილს უსაზღვრო პატივისცემით. ი. რურუა. 7. V. 1958. ბათუმი“.
- 3252–3254. რურუა პ. ერთტომეული. ბათუმი, 1954.  
 ფორზაცზე წარწერა: „ჩვენს ძვირფას საყვარელ პოეტს – ი. გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემის გრძნობით – ავტორისაგან. პ. რურუა. 19<sup>18</sup>/<sub>II</sub> 55“. იქვე: „იხ. გვ. 170. ი. გრ.“
- 170-ე გვ. დაბეჭდილია ლექსი: „ი. გრიშაშვილს“.
3255. რურუა პ. რჩეული ნაწერები. ბათუმი, 1948.  
 ფორზაცზე წარწერა: „ქართული პოეზიის მშვენიერებას, ქართული ლექსისა და სიტყვის ჯადოქარს, შესანიშნავ ადამიანს და მოქალაქეს, ჩვენს ძვირფას პოეტს, იოსებ გრიშაშვილს ძმური სიყვარულით ავტორისგან. პ. რურუა. 25/II 49 წ. ბათუმი.“
3256. რურუა პ. (პ. ოდიშელი). ლექსები. წ. 1. ბათუმი, 1927.  
 თავფურცელზე წარწერა: „ძღვნად პოეტ ი. გრიშაშვილს. ავტორი. 2 მაისი, 1928. ბათ.“
3257. რურუა პ. ლექსები. ბათუმი, 1941.  
 ფორზაცზე წარწერა: „ქართული პოეზიის სიამაყეს, პოეტ ი. გრიშაშვილს, პ. რურუა, 13. II. 45 წ.“

წიგნში დევს: 1. დიმიტრი ჭეიშვილის წერილი „ლიტერატურული ბათუმი“, ამოჭრილი გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1944 წ. № 40-დან. 2. ა. ადამიას ლექსი „შეტევა“, ამოჭრილი გაზეთიდან, მინაწერით: „კომ“, 1945 წ., 13 თებ. 3. ნ. მაღაზონიას ლექსი „ფრონტელი ქალიშვილის წერილი“ მინაწერით: „ – საბჭოთა აჭარა“, 1945, № 45“. 4. ნ. მაღაზონიას ლექსი „1945“ მინაწერით: „საბჭოთა აჭარა“, 1945, № 1.“ 5. ნ. მაღაზონიას ლექსი „გენერალ ი. დ. ჩერნიახოვსკის“ მინაწერით: „საბჭოთა აჭარა“, 1945, № 35, 23 თებ.“ 6. პ. რურუას ლექსი „სიმღერა ჩანგზე“ მინაწერით: „საბჭოთა აჭარა“. 1944, № 205, 15 ოქტ.“

3258. რურუა პ. მხედრული სიმღერები. [ლექსები]. ბათუმი, 1945.

3259. რუსთაველი შ. აფორიზმები. ამოკრება, წინასიტყვ. და შენიშვნები ტრ. ჯაფარიძის. თბ., 1937.

3260–3263. რუსთაველი შ. აფორიზმები „ვეფხის ტყაოსნიდან“. [ამოკრიფეს კ. აბჯანდაძემ და ს. ხუციშვილმა. თბ., 1943].

კანზე: „ი. გრ. 1943 9/X.“

3264–3265. რუსთაველი შ. აფორიზმები. [შემდგ.: ა. შილაკაძე]. თბ., 1954.

3266–3267. რუსთაველი შ. აფორიზმები. [შემდგ.: ა. შილაკაძე]. თბ., 1957.

3268. რუსთაველი შ. ვეფხის ტყაოსანი. [ვახტანგ VI გამოცემა]. ტფ., 1712.

დაზიანებული ცალია: ახლად ჩასმულ ყდაში. აკლია ფურცლები. დაწვრილებითი აღწერილობა ა. შანიძის მიერ აღდგენილ გამოცემაში. ტფ., 1937, გვ. 400.

ფორზაცზე დაწებებულია „ვეფხის ტყაოსნის“ პირველი გამოცემის თავფურცელი, ამოჭრილი „ქართული წიგნის“ პირველი ტომიდან, მიწერილია: „I გამოცემა. 1712 წელს დაბეჭდილი ტფილისში [ვახტანგის კომენტარიებით] ი. გრ.“

ფორზაცზე პროფ. ა. შანიძის ხელით: „აკლია წინ: 1) ორი ფურცელი შესავლისა და 2) გვ. ა-ლგ (სტროფები ა-როვ.) 3. ფფ. ლვ/ლზ, ნზ/ნგ; რმე/ვ, რმე/ვ, რმზ/ზ (ეს ორი ფურცელი აღდგენილია მე-18 საუკუნის ხელთ. რპგ/დ, რპე/ვ, და ამის გარდა აკლია ბოლოში ოთხი ფურცელი (რმე/ვ, რმზ/ზ, რმთ/რნ, რნა) ა. შანიძე. 12 IV 937. ხარფუხი, გრიშაშვილის სახლი და ბინა“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე: „P. S. 1712 წლის „ვეფხის-ტყაოსანი“ ვრცელდებოდა ხელთნაწერადაც. შოთა რუსთ. სახელობის ინსტიტუტს დაუთმე ერთი ხელთნაწერი, რომელიც ვახტანგის დაბეჭდილიდან არის გადაწერილი ვინმე ქაიხოსრო ხიზანოვისაგან. აი ეს მინაწერიც ბოლოში: „წიგნი ესე „ვეფხის-ტყაოსანი აღიწერა ქაიხოსროვ დავითის-ძე ხიზანოვისაგან ჩემ-სა წელსა თიბათვის ია-სა დღესა:

„აბა, ძმანო და დანო, მკითხველნო ამავე წიგნისანო,  
იფიქრეთ თუ ეს სოფელი რა მიუნდობელი ყოფილა.

დავწერე და დავასრულე წიგნი ესე საამურია,

და გთხოვთ ოდეს იკითხოთ, არ მყოთ თქვენგან დაუვიწყარია“. ი. გრ. 1935. 16. XII“.

წიგნის ბოლოს მოკეცილ ქაღალდში დევს 4 გაზეთის ამონაჭერი. ქაღალდზე წერია: „ალექსანდრესაგან. 1712 წელს ტფილისში დაბეჭდილი „ვეფხის ტყაოსანი“. ი. გრ. ამონაჭრები: 1. ავ. შანიძის წერილი „ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენისათვის“ მინაწერით: „კომ.“, 1936, 24 სექტ. 2. „დისპუტი „ვეფხის ტყაოსნის“

შესახებ“ მინაწერით: „მუშა“, 1936, № 230, 5 ოქტ.“ 3. აკაკი შანიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიისათვის“ მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1936 წ., № 18. 4. ა. შანიძის წერილი „ვახტანგის დედანი „ვეფხისტყაოსნის“ მინაწერით: „კომ.“, 1936. № 266, 17 ნოემბ.“

3269–3270. რუსთაველი შ. ვეფხის ტყაოსანი. რუსულად Барсова кожа. პოემა დაწერილია შოთა რუსთაველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულთა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათ. სპბ., 1841.

ყდის მე-2 გვერდზე: „მეორე გამოცემა“.

ფორზაცზე: „ვერცხლი“, გვ. 21; სვიმონ ტაბიძე ბოლოში“.

თავფურცელზე: „ბოლოში ბროსეს ლექსიცაა. (მეორე გამოცემა)“.

თავფურცლის მე-2 გვ. მითითებულია წინასიტყვაობა და წერია: „ესე იწყობა ი. აბულაძისაგ.“

გვ. XIII. მოხაზულია: „საყვარელო ძალსა შენსა“ და მიწერილია: „ა. ჭ-ძე“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ფასი სამი მანათი (ბოლოში ასე წერია). ღირებულა თავის დროს 3 მანეთი. ი. გრ.“

გვ. გვ. 123, 124, 125, 126. შეკეთებულია გვერდები და აღდგენილია ტექსტი.

გვ. 126. სქოლიოში მიწერილია: უკვდავჰყოს სახელი ესტატე შიშნიაშვილისა ამ წიგნის გამთელებისთვისა. 19/I 1935 წელს. გურჯაანი“.

3271–3274. რუსთაველი შ. ვეფხის ტყაოსანი. [სპბ], 1846. (ქართ. ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ. Грузин. Хрестоматия, сост. Д. Чубиновым, ч. II. Стихотворения).

თავფურცელზე: „ვეფხის ტყაოსანი (მესამე გამოცემა) (რუსული ტექსტით). ი. გრ.“

3275–3276. რუსთაველი შ. ვეფხის-ტყაოსანი. თქმული შოთა რუსთაველისა-გან, თამარ მეფის დროს. ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისა-გან განმარტებითურთ. სპბ., 1860.

ყდის მე-2 გვერდზე დაკრულია როინაშვილის ფოტოს რეპროდუქცია: „შოთა რუსთაველი. დამწერი ვეფხვის-ტყაოსნისა“.

3277–3279. რუსთაველი შ. ვეფხის-ტყაოსანი. თქმული შოთა რუსთაველისაგან. ტფ., 1867.

ყდის მე-2 გვერდზე: „ი. გრ. მეხუთე გამოც.“. იქვე: „კორექტ., 152 გვ.“

კანზე: „V გამოც. გიორგი წერეთლის და დავ. ყიფიანის გამოც. (იხ. ს. კ.[აკაბაძის] „ვეფხის ტყაოსანი“, გვ. CXLIII. იქვე: „დ. ჩარკვიანის გამოცემა და იხ. 1887 წ. გამოც. წინათქმა“.

ტექსტის შემდეგ თავისუფალ გვერდზე წერია: „ლექსიკონი აღმიდგინა ა. გაბუნიაძე. 1935. 1/X.“

წიგნის ყდა ტვიფრული ტყავი. ყუაზე ამოკვეთილია: „ვეფხის ტყაოსანი“.

მეორე ცალს აკლია მე-11 გვ.

ყდის მე-2 გვერდზე: „დუბლ, V გამოცემა. კორექტურა მესტამბის დაუდევრობით, გვ. 152. ი. გრ.“

გვ. 163. ხაზგასმულია: „ბეჯითურთ“ და სქოლიოში შესწორებულია სიტყვით: „ბეჭითურთ“.



გვ. 225. ხაზგასმულია და გადაშლილია სიტყვა: „იქები“ და შეცვლილია სიტყვით: „აწები“.

წიგნში დევს ამონაჭერი უცნობი გაზეთიდან სათაურით: „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანი“. სათაური ხაზგასმულია და წერია: „რუმინულ ენაზე. 1957“.

3280–3284. რუსთველი შ. ვეფხის-ტყაოსანი. მეექვსედ დაბეჭდილი არსენ კალანდაძის და ამხ-გან. ავტორის სურათით. ტფ., 1875.

თავფურცელზე: „ი. გრ.... კირილე ლორთქიფანიძის რედაქციით (იხ. ცნობა „ივერია“, 1883, № VII–VIII, გვ. 143)“.

ხელნაკეთ კანზე წერია: „VI. ი. გრ. ვეფხის-ტყაოსანი. კირილე ლორთქიფანიძის რედაქციით (იხ. საცენზურო კომიტეტის მიერ დაბეჭდილი წიგნი: Хронолог. указ. შანშიევს.) მე-VI-გამოც. 1875. ი. გრ.“

წიგნს I–VI გვერდები აკლია.

მეორე ცალის დასაწყისში დაკრულია შ. რუსთაველის სურათი, ამოჭრილი გაზეთიდან. ბოლოში დაკრულია მხატვარ ზიჩის სურათი, ამოჭრილი გაზეთიდან.

3285. რუსთველი შ. ვეფხის-ტყაოსანი. თხზულება შოთა რუსთაველისა. ქუთაისი, 1883.

ყდის მე-2 გვერდზე მინაწერი: „კირილეს [ლორთქიფანიძის] შრიფტითაა აწყობილი“.

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „პ. ჭიჭინაძე“. იქვე: „პ. ჭიჭინაძესი ყოფილა – ვიციდე ბაზარზე 1919 წ. 10/I. (მეშვიდე გამოც.) ი. გრ.“

3286–3288. რუსთაველი შ. „ვეფხის-ტყაოსანი. (ავტორის სურათით). გამოც. გრ. ჩარკვიანისაგან. ტფ., [1887].

წიგნი შეკრულია კანაფით რვეულთან ერთად, რომლის კანზე წერია: „რვეული შედგენილია პოეტ აკადემიკოს სოსო გრიშაშვილისათვის სიმონ ნაციაშვილის მიერ ს. ასლანიშვილის რვეულის მიხედვით შოთა რუსთაველის გამოშვებათა შესახებ. 30/VI. 59 წ.“. ეს წარწერა მოხაზული და აღნიშნულია კითხვის ნიშნით და მიწერილია: „ი. გრ.“

მეორე ცალის ფორზაცზე: „იშვიათია! ი. გრ.“

მესამე ცალის კანზე: „ი. გრიშაშვილისაა. VIII გამოც. ი. გრ.“

გვ.1. მინაწერი: „ვარლამ ბურჯანაძის საკუთრება ყოფილა. გაჰყიდა ბუკინისტ გაჩეჩილაძეზე. მე ვიციდე 1933. 6/VI. ი. გრ.“

3289. რუსთველი შ. ვეფხის-ტყაოსანი. შოთა რუსთაველისა. გამოც. გ. დ. ქართველიშვილის მიერ. (ილ. მ. ზიჩი). ტფ., 1888.

გვ. 359. ბოლოსიტყვაობას „გამომცემელისაგან“ მიწერილი აქვს: „უფრო ი. მაჩაბელის და ი. მეუნარგიას პასუხისმგებლობით გამოვიდა („მოამბე“, 1904, № VI, გვ. 23). ი. გრ.“

3290–3291. რუსთველი შ. ვეფხის ტყაოსანი. მე-9 გამოც. თფ., 1890.

ყდა სქელი თეთრი ქაღალდისაგან გაკეთებულია ი. გრ. მიერ და აწერია: „ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა. ვეფხისტყაოსანი. თბილისი, 1890, სტამბა გრ. ჩარკვიანისა. ი. გრ.“

კანის მე-2 გვ.: „ეს წიგნი არ არის აღნიშნული ქართულ წიგნში“. ი. გრ. 1946. 25. III.“

თავფურცლის მ-2 გვ. „Сия книга принадлежит Г. Деканозову, уч. VI кл. Т. 4. Г.“ („Деканозову“ დაბეჭდილი დაწებებულია). თავფურცელზე უფრო ახალი წარწერებია: Туркистанишвили Нина, Деканозишвили Сесили. შემდეგ წიგნი მოხვედრილია თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რის შესახებ გვამცნობს ბეჭედი თავფურცელზე და 403-

ე გვერდზე და აგრეთვე წარწერა თავფურცელზე: „თელ. მხარეთმცოდ. მუზ. № 417. 19 IV 38“. ამ წარწერის გასწვრივ მიწერილია „გაუცვალე სხვა „ვეფხისტყაოსანში“ და საერთოდ კიდევ ა. ჭ-ძის კუთხე მოუწყვე. 1946 წ. 27 III. წიგნების და ივონოგრაფიის გაცვლა-გამოცვლით. ი. გრ.“

შმუცტიტულზე: „იშვიათი წიგნი! ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა“.

კანის ბოლო გვერდზე: „ფასი 30 კაპ.“

წიგნში დევს ფურცელი, რომელზედაც წერია: „ვ.-ტყაოსანი“. პატარა ფორმატის. ახალი ამბები. „გრიგოლ ჩარკვიანის სტამბაში ამჟამად იბეჭდება და მალე იქნება დარიგებული გასასყიდად ჯიბით სატარებელი სრული „ვეფხისტყაოსანი“. წიგნი იქნება პატარა ზომისა და წვრილი ასოებით აწყობილი. პატარა „ვეფხისტყაოსანს“ ბეჭდავს გრ. ჩარკვიანის და რ. ფანცხავას ქართული წიგნის მაღაზია. ფასი წიგნისა, შედარებით, ძლიერ იაფი იქნება“. („თეატრი“, 1889 წ., № 39–40, გვ. 11, 12 ნოემბ.). ამის ქვემოთ მიწერილია: „მე მინახავს 1900 წლის გამოცემა, ნუ თუ კიდევ იყო?“

3292. რუსთველი შ. ვეფხისტყაოსანი. ოზურგეთი, 1891.

ფორზაცზე მინაწერი: „ეს წიგნი არ არის აღნიშნული „ქართულ წიგნში“. მაშასადამე ბიბ-კებში არ უნახავთ. ი. გრ.“

წიგნში დევს საკატალოგო ბარათი წარწერით: „დუბლ. პლ. ხუნდაძის. ეს წიგნი არც თბილისშია და არც რუსეთში. ქართ. წიგნში არ არის აღნიშნული“.

თავფურცელზე თარიღის „1891“-ის წინ მიწერილია: „1890“.

3293–3295. რუსთველი შ. ვეფხისტყაოსანი. (ავტორის სურათით). ოზურგეთი, 1892.

წიგნში ჩადებულია საკატალოგო ბარათი წარწერით: „თბილისში მხოლოდ საჯაროშია ეს წიგნი“.

მესამე ცალის სათაურის ქვეშ მინაწერი: „ამ წელს ოზურგეთში მეორეჯელ გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“. იხ. გვ. VIII. ი. გრ.“

ყდის მე-3 გვ. მიწერილია: „აფორიზმები, რომლებიც ილიას არა აქვს, გვ. გვ. 204, 175, 129, 109, 55.“

გვ. 55. ხაზგასმულია: „ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“, მიწერილია: „მართალია. ი. გრ.“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „3 მან. 1930. ი. გრ.“

3296–3299. რუსთველი შ. ვეფხისტყაოსანი. (სურათებით). ახალ-სენაკი, 1896.

გვ. XV. ტექსტის წინ ყოფილი პატრონის ხელწერა: „ასლანიშვილი“.

ყდასა და ფორზაცს შუა ჩადებულია გაზეთიდან ამოჭრილი სტატია: „რუმინელი პოეტი ვიქტორ კერნბახი თბილისში“. არშიაზე: „ი. გრ. 1957 წ., 28 ივნისი“.

მეორე ცალის თავფურცელი შედგენილია ი. გრ. მიერ და მიწერილია: „დუბლ. ეს წიგნი თბილისის ბიბ-ში არ არის (იხ. „ქართული წიგნი“, გვ. 217). ი. გრ.“

აკლია გვ. 247–248.

ყდის მე-2 გვერდზე ბავშვური ხელით: „1908-го года. Сия книга принадлежит Арчилу Соломоновичу Биланову“.

მესამე ცალის თავფურცლის ორივე მხარეს ყოფილი პატრონის მინაწერები: „ნინა იანქოშვილისა. 1896. 20/VI. ეკუთვნის ნინა აარონ იანქოშვილის ასულს“.

თავფურცელზე გამოცემის წელთან მიწერილია: „1895. ი. გრ.“

3299–3300. რუსთაველი შ. ვეფხის-ტყაოსანი. მე-14 გამოც. ვ. ყიფიანის მიერ. თბ., 1899.

კანზე წარწერა: „იშვიათია თავფურცლით, ბოლო ფურცლით. ი. გრ.“

ყდაზე შიგნით დაკრულია შ. რუსთაველის პორტრეტი. სათაურის ქვემოთ დაბეჭდილია: „მე-14 გამოცემა ვლადიმერ სიმონის ძის ყიფიანის მიერ“, მიწერილია: „ნამდვილად კი ეს წიგნი გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ, ამ ყიფიანის საფასით, მერე ყიფიანმა თანხა ვერ ჩაიბარა და ჩხუბი ჰქონდათ. ეს წიგნი, რომელიც ღირდა 30 კ. (ექვსი შაური), ხალხში სწრაფად ვერ გასაღდა, კონკურენციად გაჩნდა კ. თავართქილაძე, რომელმაც ვეფხისტყაოსანი 20 კ. გამოსცა და ხალხმა კოწიას გამოცემა დაიტაცა. ნაამბობი მ. გაჩეჩილაძისა. ი. გრ. 1934. 10/XII.“

3301–3307. რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. (სურათები). ბათუმი, 1899.

კანზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ.“

მეორე ცალი ფერადი წამლებით დაბეჭდილი კარგ ქაღალდზე და ძვირფას ყდაში“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1939, 26/XI“, იქვე ბეჭედი: „წიგნი დავკაზმე. ისაკი ვასაძე“.

3308. რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1900.

ფორზაცზე: „იხ. ბოლო ფურცელი (თეთრი).“

ბოლო ფურცელზე: „ეს წიგნი დაიბეჭდა ერთი წლის განმავლობაში (ეს შრიფტი ცოტა ჰქონია) და გაიყიდა კი სამ თვეში. ფასი 25 კ. ჰქონდა. გამომცემელი გრ. ჩარკვიანი. ი. გრ. 1927. 5 V.“

3309–3310. რუსთაველი შ. ვეფხის-ტყაოსანი. მე-19 გამოც. ტფ., 1903.

ყდის მე-2 გვ.: „ეს წიგნი საინტერესოა იმით, რომ აქ ვიღაცას გაუშიფრია „ძნელი“ ადგილები. ი. გრ.“

თავფურცელზე: „1942. 27/II. ი. გრ.“

გვ. 362. თავისუფალ ადგილზე მიწერილია: „გაუყიდა ვინმე ჩხეიძეს, ნიკოლაძის ჩიხი, 12. ი. გრ. 1942. 10/II“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილ. 1913“. იქვე: „უფასო 155 ხანა“.

3311. რუსთაველი შ. ვეფხის-ტყაოსანი. (სურათებით). თფ., 1903.

ფორზაცის 1-ლ და მე-4 გვ. და თავფურცელზე ბეჭედი: „გ. ი. მერკვილაძე-მედგარიძის წიგნებიდან“.

გვ. გვ. 9–239 ხაზგასმულია: აფორიზმები, ტაეპები, სიტყვები, გამოთქმები.

3312–3315. რუსთაველი შ. ვეფხის ტყაოსანი. (სურათებით). თფ., 1910.

თავფურცელზე: „ეს წიგნი თბილისის ბიბ-ში არ არის, ფასი 50 კაპ. ი. გრ.“

წიგნში ჩაკინძულია თეთრი ფურცლები. რამდენიმეზე უცნობი პირის მინაწერები ფრანგულად.

გვ. 10. ჩართულ ფურცელზე ფრანგულად თარგმნილია მთელი სტროფი: „იყო არაბეთს როსტევან...“ და მომდევნო სტროფის 1 სტრიქონი: „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული...“

მეორე ცალის წინასიტყვაობაში მოხაზულია ვეფხის-ტყაოსნის გამოცემის წლები. 1900 წ. გამოცემას მიწერილი აქვს: „პატარა ფორმატისა“.

მესამე ცალის ყდის მე-2 გვერდზე: „ეს წიგნი თბილისის ბიბლიოთეკებში არ არის. (იხ. „ქართული წიგნი“).“

3316–3317. რუსთაველი შ. ვეფხის ტყაოსანი. [ნამდვილი და ჩანართი]. ს. კაკაბაძის რედ. [გამოც. 1-ლი]. ტფ., [1913].

წიგნი საგანგებო ყდაშია ჩასმული და ყუაზე ამოკვეთილია: „ვეფხის ტყაოსანი. – ი. გრიშაშვილი“.

თავფურცელზე წარწერა: „დიდად პატივცემულ ი. გრიშაშვილს გამომცემლისაგან. 29. 5. 1.“ აქვე: „1913“.

გვ. 22. ხაზგასმულია: „მეუბნები“, მიწერილია: „თუ მეურჩები?“.

- ფორზაცზე: „ი. გრ. 1934. 29/V.“
3609. ტაბიძე ტ. სომხეთში. [ლექსები]. ტფ., 1932.
- თავფურცელზე: „წყალტუბო, 1934. 12/X ი. გრ.“
3610. ტაბიძე ტ. წერილები. ნარკვევები. თბ., 1957.
- ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტსა და ადამიანს ი. გრიშაშვილს, შალვა დემეტრაძისაგან 5. 1. 1958 წ. თბილისი“. იქვე: „მე-84, 332.“
- წიგნში დევს გაზეთის ამონაჭერი „პოეტი კრიტიკოსი“. არშიაზე: „საბჭ. აჭარა“, 1958, № 69, 6 აპრილი“.
3611. ტარუაშვილი თ. და მაისურაძე ვ. მწვერვალებისაკენ. 4 მოქ. და 7 სურ. თბ., 1953.
- კანზე ტარუაშვილთან მიწერილია: „თამარ.“
3612. ტარუაშვილი ს. თხები და ცხვრები. იგავ-არაკი. ტფ., [წ. ა.].
3613. ტატიშვილი ი. მოთხრობები. თბ., 1941.
3614. ტატო და ნესტორი. წერილები სატუსალოდან. ტფ., 1880.
- თავფურცელზე სათაურის გასწვრივ „ყაჩაღები“. სახელთან „ტატო“ მიწერილია „(წულუკიძე)“, ხოლო „ნესტორის“ ქვეშ („აბაშიძე)“. იქვე „იხ. მათ შესახებ 1886 წლის „ივერია“, № 37. ი. გრ.“
- 3615–3616. ტერ-ასტვანატურიანცი. ტ---ე. კაპიშონი. ფარსი ორს მოქმ. თბ., 1880.
- კანზე: „მომიტანა ლევან ასტვანატურიანმა რუსულად Богданов ავტორის შვილისშვილმა 1934. 8 აპრილს ი. გრ.“ იქვე გახსნილია ავტორის ინიციალები: „ტერ-ელიშ.“
- წიგნში დევს საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ნაწყვეტი წიგნიდან – მზითების სია.
3617. ტერელაძე ი. განვლილი გზა. ლექსები. ტფ., 1932.
3618. ტეტუნაშვილი ი. ცხოვრების გზაზედ. მოთხრობები. წ. 1. თბ., 1922.

კანზე: „ი. გრ. აპრილი 23“.

თავფურცელზე: „ეს წიგნი განათლ. კომისარიატმა აკრძალა, როგორც უვარგისი ნაწარმოები. ი. გრ.“ იქვე ჩაკრულია ამონაჭერი ჟურნალიდან ს.-ს რეცენზია სათაურით: „ოჩინპიტრეს მხატვრობა“, ბოლოს მიწერილია: „იხ. კოოპერატ. ჟურ. „კავშირი“, № 10, 1922 წ.“ და ავტორის ინიციალთან – „ს“, წერია: „დევდარიანი“.

3619. ტიტკო [დიმიტრი ვარდიაშვილი]. ქიტესა კეთებაშვილი (მოთხრობა).– ამონაჭერი „მომბე“-დან 1905, № 9, 10, 11.

ხელნაკეთ თავფურცელზე წერია: „ტიტიკო“. (დიმიტრი ვარდიაშვილი – მღვდელი, თელაველი. „ქიტესა კეთებაშვილი“ (მოთხრობა). „მომბე“, 1905 წ. № IX, X, XI.“

გვ. 10. მოხაზულია ლეკის სოქვიტას მონოლოგი და მიწერილია: „კარგად დაცულია ლეკის ქართული“.

ტექსტის ბოლოს: „წადვერი, 1920, 10 აგვისტო“.

3620. ტლაშაძე ი. კათალიკოზ-ბაქარიანი, მღვდლის იესე ტლაშაძისა. ტფ., 1895.

გვ. 54. ბოლოსიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ პ. უმიკაშვილმა „ნაკლულოვანი ტექსტის გამოცემა არ ისურვა“, მიწერილია: „მეც ამიტომ არ ვბეჭდავ ა. ჭ-ს „ფედრას“. ი. გრ.“

3621. უბილავა ე. გამარჯვების დროშა. ნარკვევები, მოთხრობები. თბ., 1954.

ფორზაცზე: „გვ. 75.“ ამ გვერდზე ხაზგასმულია: „გრიშაშვილის“.

3622. უბილავა ე. მთანი მაღალნი. ფშავ-ხევსურული შთაბეჭდილებანი. თბ., 1961.

3623. უბილავა ე. სამგორი. ნარკვევი. თბ., 1949.

3624. უბილავა ე. ღელვას ბობოქარს. [ლექსები]. თბ., 1955.

გვ. 5. ხაზგასმულია „უდროოდ დაღუპული ნიჭიერი ქართველი პოეტების“ გვარები და მიწერილია: „პატატაშვილის“.

3625. უხნაძე მ. წერილები ბეუნჩუკელებს. [პოემა]. ტფ., 1935.

კანზე: „ასე ვიყიდე ბუკინისტ კურაღასთან, 1936, 12. VI. ი. გრ.“

თავფურცელზე: „ი. გრ. ეს ხაზები მე არ გამისვია, ასე ვიყიდე“.

3626. უხნაძე მ. სტიქიონი. ლექსები. წიგნი 1. ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „მღვნად ძვირფასს მგოსანს გრიშაშვილს. ავტორისაგან.“

3627–3629. უიარაღო. თხზულებათა სრული კრებული. ორ ტომად. თბ., 1957–1958.

ტ. 1. მოთხრობები. ნარკვევები და წერილები. 1957.

ფორზაცზე გაზეთიდან ამონაჭერი ცნობა „უიარაღოს თხზულებათა სრული კრებული“, მინაწერით: „საბჭოთა აჭარა“, 1957, 28 სექტ.“

ტ. 2. მაძიებელნი. რომანი. ფრაგმენტები. 1928.

ფორზაცზე: „ი. გრ. 2. X-1958“

3630–3634. უიარაღო. მამელუკი. მოთხრობა. ტფ., 1934.

წიგნში დევს ჟურნ. „მნათობის“ 1 ფურცელი. „მა-ლი“-ს რეცენზია წინამდებარე წიგნზე, მიწერილია: „მნათობი“, 1935, № 2“.

მეორე ცალის თავფურცელზე სათაურის ზემოთ: „(ვ. თათარიშვილი)“.

წიგნში დევს ტ. ტაბიძის წერილის „ისტორიული ნოველა „მამელუკი“ 8 ფურცელი. აღნიშნული წერილის IX-გვერდზე ხაზგასმულია: „მამელუკამდე გამოქვეყნებული მისი ნაწერები ეხებოდა ბიბლიურ თემებსო“, მიწერილია: „ეს წერილები ბიბლიურ ჰანგზე უიარაღოს არ ეკუთვნის. ი. გრ.“

- მესამე ცალის ფორზაცზე: „დავით გაჩეჩილაძეს კაკო გაწერელისაგან. 8. VI 35 წ.“  
3635–3637. უიარალო. მამელუკი. მოთხრობა. თბ., 1947.
- კანზე: „ქართული ბალეტის ლიბრეტოსათვის. ი. გრ. 1953 წ. 15. VIII. ბორჯომი“.  
3638–3640. უიარალო. მამელუკი. მოთხრობა. [თბ.], 1954.
3641. უიარალო. მაძიებელნი. (სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან). [თბ., 1940].  
ამონაჭერი: „მნათობი“-დან, 1940, № 10, 11, 12.  
აკინძულია წიგნად ი. გრ. მიერ.
- კანზე მიწერილია: „უიარალო. მაძიებელნი. პირველი ნაწილი. 1940. „მნათობი“, № 10, 11, 12“.
- გვ. 34. წარწერა: „მნათობი“. 1940. № 10, ი. გრ.“  
გვ. 67. წარწერა: „მნათობი“, 1940, № 11.“  
გვ. 94. წარწერა: „მნათობი“, 1940, № 12“.
- გვ. 141. მოთხრობის უკანასკნელი 12 სტრიქონი გადაწერილია ი. გრ. ხელით.  
3642. უიარალო. მაძიებელნი. [რომანი]. თბ., 1941.  
ფორზაცის მე-2 გვ. „ი. გრ. 1941. 25. VII“.
3643. უიარალო. მშვიდობით (სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან). ამონაჭერი: „მოამბე“, 1895, №№ 8, 9, 10, 11.
3644. ულუხანოვი მ. ლექსები. თბ., 1915.
3645. უმიკაშვილი პ. სამზადისი. სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროისა. [1 მოქმ. ტფ., 1892]. ამონაჭერი: პ. უმიკაშვილის წიგნიდან: „სახალხო ლექსები. მცირე ტომთა ენებზე. – სამზადისი. თბ., 1905.
- 3646–3648. უმიკაშვილი პ. სახალხო ლექსები. მცირე ტომთა ენებზე. – სამზადისი. [პიესა]. ტფ., 1905.
- თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. ქ. თბილისი, 22 მარტი. 13 წელს. პეტრე უმიკაშვილმა მომცა ეთერიანის სიუჟეტი“.
- კანზე: „პ. უმიკაშვილის ფსევდონიმები. გვ. 13“.
- გვ. 15. ხაზგასმულია: „პ. უმიკაშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა ალექსანდრე ჭავჭავაძის (1881 წ.) ლექსები“. არშიაზე მიწერილია: „გ. თუმანიშვილის და ილიას თანამშრომლობით. იხ. მისი ავტობიოგრაფია „ივერია“, 1904, № 123“.
- გვ. 81. „მცირე ტომთა ენებზე“ – მ. პეტრიძე. მიწერილია: „(იხ. კრებული)“. ი. გრ.“  
გვ. 42. აფორიზმთან მიწერილია: „ხალხური“.
- მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ღრმად პატივცემულ ბ-ნ პეტრეს. ავტორისაგან.“
- 3649–3650. ურუშაძე ე. (ეფენდი). ფირალები. (ამბავი გურიის ცხოვრებიდან). ოზურგეთი, 1912.
- 3651–3653. ურუშაძე ვ. გურული სცენები და მონოლოგები. თბ., 1908.
- თავფურცელზე წარწერა: „ამხანაგ გრიშაშვილს ავტორისაგან. 5. XII“.
- კანზე: „გვ. 21. ი. გრ.“ მითითებულ გვერდზე მეორე აბზაცის პირველი სამი სტრიქონი მოხაზულია.
- მეორე ცალში პორტრეტის წინ დაკრულია ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „ვასო ურუშაძე. გურული სცენები. I, II წიგნი. ი. გრ.“ პორტრეტზე და გვ. 1. წარწერა: „პატარა გოგონას ვასოსაგან. 4. V.“

3654. ურუშაძე ვ. გურული სცენები და მონოლოგები. წ. 3. ქუთაისი, 1911.
3655. ურუშაძე ს. ალი [მოთხრობა]. ტფ., 1927.
- თავფურცელზე წარწერა: „მვ. მეგობარს პოეტს ხარიტონ ვარდოშვილს. ავტორისაგან“.
3656. ურჯუმელაშვილი ი. დღეები კორეაში. [მოთხრობები]. თბ., 1959.
3657. უჩანეიშვილი ა. ილიკო და სულიკო. პოემა. ფოთი, 1897.
- 3658–3659. უჩანეიშვილი ა. რამოდენიმე ლექსნი ანდრო უჩანეიშვილისა. [ახალი სენაკი], 1895.
3660. ფავლენიშვილი რ. ოთხი მოთხრობა. ამონაჭერი: „მომბე“-დან, 1895, №№ 11, 12, 1896 №№ 1, 4, 6.
- თავფურცელი შედგენილა ი. გრ. მიერ: „რევაზ ფავლენიშვილი. ოთხი მოთხრობა („მომბე“-დან) I „გიორგი ქილესაშვილი“, II. „ევა“. III „მოტყუებული“, IV „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა?!“ იქვე: „რევაზ ფავლენიშვილს კატო მიქელაძე უყვარდაო. ი. გრ.“
- თავფურცელზე ამონაჭერი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-დან, ნეკროლოგი: „რევაზ ალ. ფავლენიშვილი (1864–1918)“ მინაწერით: „თ. და ც.“, 1918. № 8. ი. გრ.“
- გვ. 32. მოხაზულია გვერდი, მიწერილია: „ქართული ჭიდაობა“.
- გვ. 49. ხაზგასმულია გამოთქმა: „ატლასივით გაწითლდა“ და მიწერილია: „ეს შედარება ორჯერ აქვს.“
- გვ. 61. ხაზგასმულია: „ქმარ-შვილს“, მიწერილია: „უკვე შვილიცა ჰყავს.“
- გვ. 27. [მეორე მოთხრობა] სათაურის ზევით მიწერილია: „მომბე“, 1896 წ., № I“.
- გვ. 61. მოხაზულია ადგილი: „არა გავაკეთე-რა“, მიწერილია: „ბავშვებს რომ ასწავლიდა. ი. გრ.“
- გვ. 43. სათაურის ზევით: „მომბე“, 1895 წ., № XI და XII“.
- გვ. 19. ხაზგასმულია: „ზარნაშო“, მიწერილია: „ზანდარჩო“ ი. გრ.“
- გვ. 25. ხაზგასმულია: „ქუბებს“, მიწერილია: „ქუბი“ – დედალი ღორი. ი. გრ.“
- გვ. 7. სათაურის ზევით: „მომბე“, 1896 წ., № VI“.
3661. ფანჯიკიძე გ. ზესტაფონიდან არგენტინამდე. [იუმორისტული მოთხრობები]. თბ., 1958.
3662. ფალავა ი. ჩაუმქრალი კერა. [რომანი]. ბათუმი, 1959.
3663. ფალავა ქ. გოდებით თქმული კნეინა ფალავასა ქრისტინა ელიავას ასულის მიერ, ქუთაისი, 1888.
- კანზე: „ი. გრ. თბილისში არ არის“.
- 3664–3665. ფაშალიშვილი ს. ერთტომეული. თბ., 1959.
- ფორზაცზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს.
- „ვით უახლოესს – უახლოესი.  
ვით სიყრმის დღეთა მოძმეს და პოეტს,  
რომელიც ამ ჩემს წიგნში პოეზი –  
ის და დიდ გრძნობის ნაპერწკალს ჰპოვებს“.
- ს. ფაშალიშვილი. 19/XI 59.
3666. ფაშალიშვილი ს. ლექსები. თბ., 1964.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს. სიჭაბუკიდან სიბერემდე უახლოეს და უძვირფასესს, უცვლელი სიყვარულით. ავტორი. 19<sup>1</sup>/<sub>I</sub> 65.“

3667. [ფაშალიშვილი ს.] ფარსადანი. მხიარული სარკე. [იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1956.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს უსაყვარლეს პოეტს, უძვირფასეს მეგობარს. ს. ფაშალიშვილი. 5/IV-57.“

3668. ფაშალიშვილი ს. ჩაჩანაკი კაკანათში. (კომედია ორ სანახაობად). თბ., 1950.

3669–3671. ფაშალიშვილი ს. ძველ ყამირებზე. [ნარკვევები]. თბ., 1934 [კანზე: 1935].

3672. ფელეტონები. ილია, აკაკი, ვაჟა. თბ., 1960.

3673–3674. ფეშანგი. შაჰნავაზიანი. გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედ. [თბ., 1935].

სუპერზე: „დავით ფეშანგიშვილი. გვ. XXVIII“.

გვ. IX მინაწერი: „სტილი პ. ინგოროყვასი“.

გვ. XXVIII. აბზაცთან წარწერა: „სტილი პ. კეკელიძისა“.

გვ. XXXVII. მინაწერი: „ზ. ჭ-ძე“.

გაზეთის ამონაჭრები: 1. ვ. ლუარსამიძეს რეცენზია „ფეშანგი. „შაჰნავაზიანი“, მინაწერით: „მუშა“, 1935 წ., № 141, 21 ივნისი“. 2. „Шахнавазиани“ არშიაზე: „Тифлиск. рабочий“, 1935 წ., № 146, 28 ივნისი“. 3. „შაჰნავაზიანი“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1935 წ., 4. ივლისი. თვით გ. ლეონიძის“.

3675. ფირცხალავა ი. გამარჯვება. მოთხრობა. ტფ., 1928.

3676–3677. ფირცხალავა ს. ღამე. დრამატული სურათი. – გლოვის ზარი. [მოთხრობა. თბ., 1912]. ამონაჭერი: კრ. „გვირგვინი“, 1912.

3678–3679. ფირცხალაიშვილი კ. იაილების ცრემლები. პოემა [აჭარისტანის ცხოვრებიდან]. ტფ., [1934].

თავფურცელზე წარწერა: „ქართული ლიტერატურის ძველ ვეტერანს – ძვირფას პავლე საყვარელიძეს, ნიშნად ღრმა პატივისცემისა. ავტორისაგან. 19 IX 34 წ.“

3680. ფირცხალაიშვილი კ. საბჭოთა კოლხეთში. [ნარკვევი]. ტფ., 1932.

3681. ფონ-ტეფო (სტეფან ნოზაძე). ლექსები. თბ., 1912.

კანზე: „ფონ-ტეფო (მუშა სტეფანე ნოზაძე) ლექსები. იხ. გვ. 7, 19, 20. აღდგენილია ცენზორის მიერ გამოტოვებული სტრიქონები.“

გვ. 7. აღდგენილია სტრიქონები:

„და ბოროტების მთლად დასამხობად  
ამხედრებდა ყველა ჩაგრულსა“

გვ. 19. აღდგენილია სტრიქონები:

„და ესე ფული მუშის ნაშრომი,  
მზათ მიერთმევათ იმ მუქთახორებს,  
რომლების ხელიც მთელ სიცოცხლეში,  
მცირე კენჭსაც არ გადააგორებს.  
მუშას კი მცირე წვლილს გადაუყრიან,  
რასაც ხელფასი ვითომ ერქმევა,  
მაგრამ ეს ფულიც მუშას უკანვე

გადასახადში გამოერთმევა.“

გვ. 20. აღდგენილია სტრიქონები:

„და ამ ძალასაც – პურს გლეხის ნაშრომს  
ხელთ იგდებს ის, ვინც უქმად ბრძანდება.  
სულ მზას მიირთმევს და შრომა რაა –  
სიზმრათაც კი არ მოელანდება.“

ამავე გვერდზე:

„ნეტავ თუ არის სადმე ქვეყანა,  
კანონი მუშას მიშველებოდეს, –  
რომ უსამართლო ძლიერებისგან  
მუშა ფეხქვეშ არ ითელებოდეს?!  
რომ ფულის შემქმნელს, ფული არ აკლდეს,  
რომ პურის მომყვანს არ მოშივნოდეს,  
და თავის შექმნილ თოფ-ზარბაზნის წინ,  
ისევ თვით მუშებს არ ეშინოდესთ!“.

3682. ფორჩხიძე შ. გზაჯვარედინზე. პოემა. თბ., 1959.

3683. ფორჩხიძე შ. ლურჯ ტბათა იქით. ლექსები. თბ., 1959.

3684. ფორჩხიძე შ. საწინდარი. ლექსები. თბ., 1950.

3685. ფორჩხიძე შ. შენ ხარ ვენახი. ლექსები. თბ., 1956.

3686. ფორჩხიძე შ. ჩემო ქვეყანავ. (ლექსები). თბ., 1952.

3687. ფორჩხიძე შ. ცისფერ გზებზე. [ლექსები]. თბ., 1954.

3688. ფოცხიშვილი შ. ალუბლები წვიმაში. [ლექსები]. თბ., 1957.

3689–3690. ფოცხიშვილი მ. გული დაემებს გულს. [ლექსები]. თბ., 1960.

ფორზაცზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს – უსაყვარლეს პოეტს, ერის სიამაყეს,  
გულითადას და გულისხმიერს! პატივისცემით და მოკრძალებით – ავტორი. 20. II. 61.“

3691–3695. ფურცელაძე ა. თხზულებანი. წ. 1–2. ტბ., 1884.

წიგნი 1. თამარ ღაზნელი. [რომანი].

წიგნი კანში ჩასმულია ი. გრ. მიერ.

წიგნი 2. დიდი მოურავი. ტრაგედია. (ჩვენი მე-16 ს. ისტ. ცხოვრებიდან).

თავფურცელზე: „ი. გრ. აქ, ამ წიგნში დაბეჭდილია პიესა „დიდი მოურავი“. გვ. 47.“

ყდის მე-2 გვ. ყოფილი პატრონის ხელწერა: „გრიგოლა ტეტუნაშვილი. ეს წიგნი  
ეკუთვნის გიორგი ტეტონოვს.“

გვ. III. ხაზგასმულია: „ყარამანიანებში“, მიწერილია: „ყარამანიანი?“

გვ. 47. მოქმ. პირებს ქვევით მიწერილია: „ქეთევან, დედა სააკაძისა. ი. გრ.“.

გვ. 240. წიგნის ბოლოს მიწერილია: „სრულია. ი. გრ.“

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. ქ. ოზურგეთი. 8 ივნისი, 1914 წ.“ აქვე დევს  
ქალაქის ნაჭერი წარწერით: „განცხადება. იყიდება ა. ფურც. ტრალ. „დიდი მოურავი“  
(იხ. „გუთნის დედა“, 1873, № 5, გვ. 2)“.

მესამე ცალის ფორზაცზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „Из книг Ивана  
Полумордвинова.“

3696. ფურცელაძე ა. რჩეული თხზულებანი. [თბ.], 1940.

წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი თ. კ.-ს რეცენზია „ა. ფურცელაძე „რჩეული თხზულებანი,“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1940, № 35“.

3697. ფურცელაძე ა. რჩეული ნაწერები. თბ., 1951.

3698–3700. ფურცელაძე ა. ავაზაკნი. ტრაგედია. თბ., 1880.

კანზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ. ვიყიდე ბაზარში 1929 წ. 10/1“ იქვე: „შუბაშოვი, 26 „ტოტოლას დანა.“

კანსა და თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „მარიამ ჩილავეისა“.

გვ. I. „მოქმედ პირთა სიაში ტოტოლას მიწერილი აქვს: „ტატო წულუკიძეა. ი. გრ.“

კანის მე-3 გვ.: „აქედან „ციმბირელში“ – 1. ქლესილოვი, 21. 2. ახალწლის ღორივით, 26. 3. პეპოს ჰგავს, 43“.

მეორე ცალის ყდის მე-2 გვ.: „დუბლ. ი. გრ.“

ფორზაცზე: „იშვიათია! ეს პიესა მხოლოდ სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაშია. საქართველოს ბიბლიოთეკებში არ არის! (იხ. „ქართ. წ.“, გვ. 141) ი. გრ. 1942. 5/XI.“

3701. ფურცელაძე ა. ავაზაკნი. ტრაგედია 5 მოქმ. მე-2 გამოც. ტფ., 1891. აკინძულია წიგნთან: ფურცელაძე ა. ჩვენებური საქმის ბოლო. თბ., 1893.

3702–3703. ფურცელაძე ა. ასული ისრაელისა 5 მოქმ. ტრაგედია. ტფ., 1903. აკინძულია წიგნთან: ფურცელაძე ა. ჩვენებური საქმის ბოლო. თბ., 1893.

თავფურცელზე ბეჭედი: „Суфлиор Иосип Г– Мамулов“.

3704–3706. ფურცელაძე ა. ბაგრატიონთა დიდება. მესტვირული პოემა. თფ., 1881.

წიგნის კანი გაკეთებულია ი. გრ. ხელით. მასზე წერია: „ა. ფ. [ანტონ ფურცელაძე]. ბაგრატიონთა დიდება. მესტვირული პოემა. [აღდგენილია ცენზორის მიერ გამოტოვებული ადგილები]. გვ. 3, 8, 20, 31, 34, 36 ი. გრ. სახლში არ გაიცემა.“

გვ. 3. „ივერია“, 1881 წ., № VIII, ი. გრ.“

ცენზორის მიერ გამოტოვებული ადგილები აღდგენილია უცნობი პირის ხელით: „გვ. 3. სტირსაო“. გვ. 8. „ოქროს ქოჩრიან ვაჟსაო“. გვ. 30. „სხვებსაო.“ გვ. 31. „ქართულებს კი გარდავაგდებდეთ და მოვსპობთ მის ენასო“. გვ. 34. „რუსნი კი იბერებთან“. გვ. 36. „მარცვლებს უყრიან იმათა, როგორც პატარა ჩიტსაო“.

წიგნის ბოლოს გახსნილია ინიციალები: „ა. ფ.“ [ა. ფურცელაძე]“.

მეორე ცალი აკინძულია წიგნთან: ლუგინინი ვ. ფ. და იაკოვლევი ა. ვ. სასოფლო სესხებითი ამხანაგობანი. თფ., 1874.

3707. ფურცელაძე ა. ვაი მართალთა. [მოთხრობა]. თბ., 1881.

3708. ფურცელაძე ა. ვაი მართალთა! [მოთხრობა]. მე-2 გამოც. თბ., 1891.

3709–3710. ფურცელაძე ა. თამარ ღაზნელი. [პოემა]. მე-2 გამოც. თბ., 1901.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. 1918 წ. 7 აპრ.“

კანზე: „დინგი, გვ. 5.“

3711–3715. ფურცელაძე ა. ლექსები. თბ., 1897.

თავფურცელზე: „დარჩეს. ი. გრ.“

გვ. 72. ლექს „ტენისონიდან“, მიწერილი აქვს: „ტენისონი“.

გვ. 111. ლექს „მელა და ყურძენი“, მიწერილი აქვს: „კრილოვი (?) ი. გრ.“

გვ. 131. ლექსში „აგერ ჰმარხავენ ებრაელს“ ხაზგასმულია: „აბალე“, მიწერილია: „გლახურად“.

- გვ. 134. ლექსში „ქვეყნის ფარ-ხმალი“, ხაზგასმულია სიტყვა: „მდევი“, არშიაზე: „ი. ჭ. (?)“.
- გვ. 135. ლექსთან „პრომეტეოსს (ფრუგიდან)“, მიწერილია: „ფრუგე“.
- გვ. 138. ლექსში „გმირო გაჩნდი“ მოხაზულია სტროფი და მიწერილია: „ანტ. ფურცელაძე გმირს უხმობდა აკაკივით. ი. გრ.“
- გვ. 141. უსათაურო ლექსს მიწერილი აქვს: „(სომხურიდან?) ი. გრ.“
- მეორე ცალის კანსა და თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „ნიკო. ნ. გოცირიძის წიგნებიდან“.
- მესამე ცალი აკინძულია საგანგებოდ ი. გრ. მიერ. ა. ფურცელაძის მოთხრობებთან ერთად. ყუაზე ამოტვიფრულია: „ა. ფურცელაძე. ნაწერები. I. ი. გრ.“
- ყდის მე-2 გვ.: „აგერ მარხავენ ებრაელს“.
- ფორზაცზე წარწერა: „1. ლექსები. 2. სამის თავგადასავალი, (მოთხრობა). 3. მართა (მოთხრობა)“.
- გვ. 95. გადახაზულია სიტყვა „ვაებისა“, მიწერილია: „ვედრებისა. ი. გრ.“
- გვ. 107. იგავის „მგელი და ბატკანი“ ბოლოს მიწერილია: „დაიბეჭდა „თეატრში“, 1889, № 16. ეს თემა დამუშავებული აქვს გ. ტ-ძე-საც, იხ. მისი თხზ. III. 1940. გვ. 187. იხ. ჩემი ა. ჭ-ძეც (შენიშ.).“
- გვ. 111. სათაურს მიწერილი აქვს: „კრილოვია.“
- გვ. 131. ლექსს „აგერ ჰმარხავენ ებრაელს“ მიწერილი აქვს: „რუსულიდან, იხ. ჩანგი“. ლექსის ბოლოს: „ეს ლექსი უთარგმნია განდეგილსაც და ევდომვილსაც.“
- სარჩევში ხაზგასმულია ზოგიერთი სათაური და მიწერილია ავტორის გვარი.
- მეოთხე ცალი, აკინძულია წიგნთან: ა. ფურცელაძე, ბანკები, ფული და მათი მნიშვნელობა. თბ., 1906.
- თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ახალგაზრდა მეგობარს და თანამოაზროვნეს სიმონ ქვარიანს ავტორი“.
- გვ. 4. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „კარგია“.
- გვ. 6. ლექსის ბოლოს: „აზრი მშვენიერია“.
- 3716–3717. ფურცელაძე ა. მარაბდა. პოემა. თბ., [1890].
3718. ფურცელაძე ა. მარაბდა. (ცხრა ძმა) [პოემა]. თბ., 1942.
- კანზე: „ი. გრ. 1942. 12/VI“.
- თავფურცელზე: „P. S. შენიშვნები ვის ეკუთვნის? ი. გრ.“
- გვ. 5. არშიაზე წერია: „გარდა პიესისა ა. ფ. დასწერა ვრცელი გამოკვლევა „ბრძოლა საქართვე... (გ. სააკაძე). ორ გამოცემად. – ი. გრ.“
- 3719–3720. ფურცელაძე ა. მართა. მოთხრობა. თბ., 1893.
- 3721–3722. ფურცელაძე ა. მაცი-ხვიტია. რომანი. თბ., 1891.
- ყდაზე დაკრულ ქაღალდზე წერია: „მაცი-ხვიტია. I გამოც. ი. გრ.“
- ყდის მე-2 გვ.: „P. S. ვიყიდე, 25 მანეთად. სახელგამის მაღაზიამ არ დამიკლო. (გამყ. ესებუა და კივნაველიძე), მეც ვიყიდე ამ ფასად, რადგან თბილისში ეს წიგნი არსად არ იშოვება. ეს არის პირველი გამოცემა. (იბეჭდებოდა 1872 წლის „მნათობში“). ი. გრ. 1941, 11/XII.
- 3723–3724. ფურცელაძე ა. მაცი-ხვიტია. რომანი. მე-2 გამოც. ტფ., 1895.



ხელნაკეთ კანზე წერია: „ანტონ ფურცელაძე. მაცი-ხვიტია, 1895, გამოც. II. აქ ენა გ. ქიქოძემ გაასწორა“. [წიგნში მრავლად არის გ. ქიქოძის ხელით გასწორებული სიტყვები და გამოთქმები].

თავფურცელზე: „აკლია გვ. 193–194. ეს გამოცემა თბილისში არ არის. ი. გრ. ამ გასწორებულიდან დაიბეჭდა 1935 წ. „ფედერაციის“ მიერ“.

3725. ფურცელაძე ა. მაცი ხვიტია. ისტ. რომანი სამეგრელოს ცხოვრებიდან (გამოც. მე-3). თბ., 1911.

ყდაზე დაკრულ ქაღალდზე წერია: „III გამოც. ი. გრ.“

ფორზაცის მე-2 გვ. წერია: „სიტყვა-„მშვენიერია“ 5-ჯერაა ნახმარი. იხ. ვგ. 24–25“. ეს სიტყვა ტექსტში ხაზგასმულია და მიწერილია: „მხატვრული ენა(?)“.

თავფურცელზე: „ეს გამოცემა არ არის თბილისში. კოწია თავართქილაძის გამოცემა. ი. გრ.“

წიგნში დევს: 1. ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „ანტონ ფურცელაძე წერს. რომ კ. თავართქილაძემ „მაცი-ხვიტია დამიმახინჯაო! („თემი“, 1911 წ., № 28, გვ. 4)“. და 2. 1922 წ. 16 ოქტ. კალენდრის ფურცელი, რომელზედაც წერია: „ანტ. ფურცელაძე პროტესტს აცხადებს კ. თავართქილაძის მიმართ, რომელმაც 1911 წ. დაბეჭდა შეცდომებით მაცი ხვიტია. (იხ. „თემი“, 1911 წ. № 28)“.

გვ. 277. მინაწერი: „ამ წიგნზე ავტორს წერილი აქვს (იხ. თემი, 1911 წ., № 28) სადაც უსაყვედურებს გამომცემელს შეცდომით დაბეჭდვას და დამახინჯებას. ი. გრ. P. S. ფედერაციამაც ასე გამოსცა.“

3726. ფურცელაძე ა. მაცი ხვიტია. ისტ. რომანი. თბ., 1935.

სუპერზე: „მე-4 გამოცემა. ი. გრ. 1935. 10/XII“.

შმუცტიტულზე: „1. იბეჭდებოდა 1872 წ. „მნათობში“. 2. ჩარკვიანის გამოცემა 1891 წ. 3. ზ. ჭ-ს გამოცემა, 1895. (აწერია 2 გამოც.). 4. კ. თავართქილაძის გამოცემა 1911 წ. 5. წინამდებარე გამოცემა [1935] არ აწერია გამოცემის წელი (მეოთხე გამოცემა).

თავფურცელზე: „[1935 წ.]. ი. გრ.“

გვ. 5. მიწერილია: „ენა გამოუსწორებიათ.“

გვ. 12. ხაზგასმულია: „შეატყვეს“, მიწერილია: „შეატყვეს (ძველი გამოცემა)“.

გვ. 14. ხაზგასმულია: „ქალთ“, მიწერილია: „ქალებს იყო“.

გვ. 18. ხაზგასმულია: „იქაური უქნარობა“, მიწერილია: „უსაქმობა (ძველ გამოცემაში)“

გვ. 20. ხაზგასმულია: „აპა“, მიწერილია: „აბა (ძველში)“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „უარი“, მიწერილია: „უვარი“.

გვ. 143. არშიაზე წერია: „გამოკლებულია გვ. 156. იხ. 1895 გამოც.“

გვ. 161. ხაზგასმულია: „ციხის კაცთა და ყარაულთაც“, მიწერილია: „234. კ. თავარ.“

ყდის მეორე გვ. ჩაკრულია გაზეთიდან ამონაჭერი მ. გ-ს წერილი სათაურით „მაცი ხვიტია“. არშიაზე: „კომ.“, 1936, № 16.“

წიგნში დევს ქაღალდის ნაჭერი წარწერით: „ენა თითქო... განა სიტყვების გადასმა რედაქტორობას ნიშ. მშვენიერია ფორზაცი დახატ. ელენე ახვლედიანის მიერ. ზოგი სურათი ძნელი გასაგ.“

გვ. 185. „ბევრი მეტია. საიდან გადაბეჭდეს, კორექტურული შეცდომები გაიმეორეს თუ არა?“

3727–3729. ფურცელაძე ა. მაცი ხვიტია. ისტ. რომანი. თბ., 1939. ი. გრიშაშვილის მიერ მიწერილია: „5-ე გამოცემა“.

3730. ფურცელაძე ა. მაცი ხვიტია. ისტ. რომანი. თბ., 1958.

3731–3732. ფურცელაძე ა. სამის თავს გადასავალი. მოთხრობა. თბ., 1889.

3733–3734. ფურცელაძე ა. სამი პოემა. 1. ცისკარა. 2. ცხრა ძმა. 3. წყალობა, ტფ., 1899.

3735–3736. ფურცელაძე ა. ქიტესა. მოთხრობა. თფ., 1890.

ფორზაცზე წარწერა: „ს. გრიშაშვილს. მარიჯან. 1921 წ.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „ჩემს მეგობარს ნიკო ლომოურს. ავტორი“.

1-ლ და 27 გვ. ბეჭედი: „Григорий Тимофеевич Полумордвинов.“

გვ. 11. ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов.“

3737. ფურცელაძე ა. შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი. ძველებური ლეგენდა. – ამონაჭერი: „ცისკარი“, 1863, № 1.

აკინძულია ამონაჭერთან: ს. ბარათაშვილი. საქართველოს ისტორია. „საქ. მოამბე“, 1863, № 1.

3738. ფურცელაძე ა. შოთა რუსთაველი და მისი ცოლი. ძველადგან ამბათ დარჩენილი. თბ., [1886].

თავფურცელზე: „მხოლოდ საჯაროშია. ი. გრ.“

3739. ფურცელაძე ა. შოთა რუსთაველი და მისი ცოლი. (ლეგენდა). ბათუმი, 1899.

თავფურცელზე: I „ძველადგან ამბად დარჩენილი“, (იხ. 1886 წლის პირვ. გამოცემა).

II – ეს მეორე გამოცემაა. ი. გრ.“

წინასიტყვაობის შემდეგ თავფურცელზე მიწერილია: „P. S. ეს ლეგენდა ოდნავი განსხვავებით ჩაწერილი აქვს ა. ხახანაშვილსაც (იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 36, გვ. 5). ი. გრ.“

3740. ფურცელაძე ა. ჩვენებური საქმის ბოლო. მოთხრობა. თბ., 1873.

კანზე: „არ არის, ი. გრ.“

3741–3742. ფურცელაძე ა. ჩვენებური საქმის ბოლო. [მოთხრობა. მე-2 გამოც.] თბ., 1893.

წიგნი აკინძულია საგანგებოდ ი. გრ. მიერ.

ყუაზე ამოტვიფრულია: ა. ფურცელაძის ნაწერები. II.

ფორზაცზე წერია: „1. ჩვენებური საქმის ბოლო (მოთხრობისებური). 2. ავაზაკნი (ტრაგედია), 3. ასული ისრაელისა (ტრაგედია); 4. სამი პოემა: I ცისკარა. II ცხრა ძმა, III წყალობა. და კიდევ ცალ-ცალკე მაქვს: 1. მარაბდა. 2. დიდმოურავიანი. 3. ვაი მართალთა. 4. ბრძოლა (გ. ს-ძე). 5. თამარ ღაზნელი, 6. მაცი ხვიტია, 7. შოთა და მისი ცოლი, 8. ქიტესა, 9. დ. მ. ჯანდიერი. 10. ბანკები და მათი მნიშვნელობა. 11. კაცობრიობა და ხალხოსნობა“.

3743. ფურცელაძე ა. წყალობა. პოემა. თბ., [1890].

კანზე: „ეს წიგნი ცალკეც მაქვს ყდაში“.

3744. ფურცხვანიძე ე. ორი გლახა. რომანი. ქუთაისი, 1927.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1928. 17/XI.“

3745–3746. ფურცხვანიძე ე. ქუთაისი ცეცხლი ალში!... [ნაწერების მეხუთე წიგნი]. ტფ., 1928.

3747. ფხაკაძე ნ. შრომადღეები. პოემა. ტფ., 1935.

3748. ქავთარაძე გ. სიცოცხლის სიყვარული. ლექსები. თბ., 1956.

თავფურცლის მეორე გვ. წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს ნიშნად დიდი პატივისცემისა. ავტორი. 1958 წ. 29 ნოემბერი.“

3749. ქავთარაძე გ. ჯარისკაცის ჩანაწერები. თბ., 1964.

თავფურცელზე წარწერა: „ქართველი ერის საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს – დიდი სიყვარულით გიორგი ქავთარაძე. 1964 წ. 29 მარტი“.

აქვე დევს წერილი ი. გრიშაშვილის სახელზე: „ბატონო სოსო! როგორ ბრძანდებით? გავიგეთ, ცოტა შეუძლოთ ყოფილხართ. თქვენ არა გაქვთ უფლება ავადმყოფობისა. თქვენ ხომ შემოქმედებისათვის ხართ დაბადებული და უთქვენობა ვერც კი წარმოგვიდგენია. გვენატრებით ძალიან გვენატრებით.“

გაზაფხულდა, დავდივარ მოცალოების ჟამს ჩვენი საყვარელი თბილისის ქუჩებსა და ბაღებში და ჩემთვის ვჭურჭულებ:

„ჰაერში ოქრო ლივლივებს.

მთებზე ზურმუხტი ლაღია!...“

„დავბერდი? არა ლექსების ფერებს

დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,

ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს სულზე უტკბესო!..“

მე არ ვითვლი თქვენს წელთა სვლას. მე ის ვიცი, რომ პოეტის დაბერება არ შეიძლება, პოეტი მარად ახალგაზრდაა.

დღეს ვიღაც ლამაზი ქალი შემხვდა ქუჩაში, ოდნავ ემჩნეოდა წარბები და თქვენი სტრიქონი მომაგონდა: „შევცქერ შენს წარბებს – სახარების წაშლილ სტრიქონებს...“

გიგზავნით ჩემს ახალ გამოსულ წიგნს – „ჯარისკაცის ჩანაწერებს“. ვიცი, რომ თქვენ გიყვართ ასეთი სათავგადასავლო ლიტერატურა. თუ მოგეწონებათ, ხომ კარგი, თუ არა და მაინც შეემატოს თქვენს ზღვა წიგნებს.

გისურვებთ კარგად და მხნედ ყოფნას ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

დიდი პატივისცემით გიორგი ქავთარაძე

1964 წ. 29 მარტი. ქ. თბილისი.“

3750. ქავთარაძე ი. მოთხრობები: დამზრალი სიცოცხლე. – კურტან-ქვეშ. – ამბავი გულთამზის სურათისა. – ჩვენი ნაცნობები. [თბ.], 1928.

3751–3754. ქაიხოსრო. ომინიანი. ვეფხისტყაოსნის გაგრძელება. რომანი მე-17 საუკუნისა. ტფ., 1937.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1937. 24/XII. შოთას დღე.“

გვ. 145. ლექსიკონში ხაზგასმულია სიტყვა „მართ.“ არშიაზე: „მართვე 61. ბლარტი.“

კანზე: „ი. გრ. წიგნი ანბანით.“

თავფურცელზე: „P. S. ეს წიგნი თბილისში მხოლოდ საჯარო ბიბლიოთეკაშია. ი. გრ. (იხ. „ქართ. წიგნი“).“

3755–3756. ქამჯარაძე ხ. ლექსები. თბ., 1900.

გვ. 12. ხაზგასმულია: „ბელქი“, მიწერილია: „ბლქამ“ (იქნებ?).

მეორე ცალში დევს ქაღალდის ნაჭერი მინაწერით: „ჯ. ნოღაიდელის სამი წიგნი: „აჭარა დიალექტოლოგიურად და სხვ. მაქვს ჩემს ლექსიკონში (ყუთებში)“. აქვე გაზეთიდან ამონაჭერი ი. მეგრელიძის რეცენზია „აჭარის ხალხური სიტყვიერება“, მიწერილია: „კომუნისტი“, 1941, № 74, 29 მარტი“.

- 3757–3758. ქართველიშვილი ბ. უცნაური საუბარი. თბ., 1947.
3759. ქართველიშვილი ე. ნოველები. – ამონაჭერი: „მნათობი“, 1934, № 7–8.  
აკინძულია წიგნად ი. გრ. მიერ.  
წიგნში დევს ჟურნალიდან ამოღებული პაოლო იაშვილის ლექსები „დილა“ და „მწვერვალებიდან“, მიწერილია: „მნათ.“, 1934, № 7–8.“
3760. ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები შეკრიბა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა. თბ., 1958.  
გვ. 367. ლექსიკონში ხაზგასმულია: „გრიშაშვილი იოს. 270“.
3761. ქაროსანიძე ა. ვერ მოესწრო. მოთხრობა 1924 წლ. ცხოვრებიდან. ქუთაისი, 1927.
3762. ქაროსანიძე ა. ჯანყი კინჩხაში. (ისტ. მოთხრობა 1856–7 წ. ცხოვრებიდან). ტფ., 1930.
- 3763–3765. ქელბაქიანი გ. ახალგაზრდა მასწავლებელი. პიესა 4 მოქმ. და 10 სურ. თბ., 1955.
3766. ქელბაქიანი გ. (გ. ლიაძე). ვის დავაბრალო? [იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1957.
- 3767–3768. ქვარაია ბ. სამშობლოსათვის თავდადებულნი. [ლექსები. რედ. ი. გრიშაშვილი]. თბ., 1945.  
თავფურცელზე წარწერა: „ეს პატარა წიგნი დიდ ადამიანს, ძვირფას პოეტს ი. გრიშაშვილს, ნიშნად უღრმესი სიყვარულისა და პატივისცემისა. ავტორი. 6/VIII 45 დედაქალაქი“.
- მეორე ცალის კანზე: „ჩემის რედაქ. ი. გრ.“
3769. ქვარიანი ს. ანჟელინა. (მოთხრობა). ამონაჭერი: „აკაკის კრებული“-დან, 1900, № 3–4.  
სათაურის წინ: „სვიმონ ქვარიანი. „აკაკის კრებული“, 1900 წ., № III–IV. (გამოვიდა ცალკე წიგნადაც).“
- გვ. 111. უსათაურო ლექსის ბოლოს ფსევდონიმთან „სისონა მეჩონგურე“, მიწერილია: „ს. ქვარიანისაა ი. გრ. თვითონ მითხრა“.
- 3770–3771. ქვარიანი ს. დიდი მოურავი. ისტ. რომანი. თბ., 1937.  
ფორზაცზე: „ზარბაზანი (?)–52. ღრიანცელი(?) 54. „სამხედრო გზა“ ერქვა XVII საუკ., 54. „მაქამდე“ – 71. „გონივრულ რჩევამ“, – 70. „დაშაქრულ სისინმა“, 73. „ერთგულ ყმებმა“, 82 – ყველგან „მა“ უნდა. აფორიზმი („ათასად გვარი“) – 73.“
- წიგნში დევს გაზეთის ამონაჭერი: „თეატრალი. უშანგი ჩხეიძის ტრაგედია „გიორგი სააკაძე“. არშიაზე: „მუშა“, 1938, სექტ. 8.“
- მეორე ცალის თავფურცელზე: „ნაყოფიერ მწერალს, ენის ოსტატსა და მედგარ მუშაკს, ამხ. დავით კასრაძეს და მის მამაც მეუღლე ქრისტინეს. ნიშნად პატივისცემისა. ავტორი. 24. IV-37 წ. თბილისი“. იქვე მინაწერი: „ვიყიდე ბუკინისტებში. 1946. 12. II.“
3772. ქვარიანი ს. დიდი მოურავი. ისტ. რომანი. თბ., 1940.  
თავფურცელზე: „ი. გრ. (ლექსიკონით)“.
- ფორზაცზე: „1. ლექსიკონში შეცდომებია. 2. ზარბაზანი, 58.“ გვ. 58. ხაზგასმულია: „ზარბაზანი“, მიწერილია: „ზარბაზანი როდის შემოვიდა?“

გვ. 369. ხაზგასმულია: „ბირბაში – თურქეთის პოლიციელი“. არშიაზე: „თავი (ბაშ.)“ სიტყვა „გეთ – წადი“-ს გასწვრივ მიწერილია: „(თურქულია)“. ხაზგასმულია: „დაფიონი – ალიონი“, „დარილი – მწვავე შურისძიება“.

გვ. 370. ხაზგასმულია: „დელიბაში – თავზეხელაღებული“, მიწერილია: „(დალი – გიჟი)“, ხაზგასმულია: „თალარი – პაწია კოშკი“, მიწერილია: „ყურძნის ფოთლების ფანჩატური“. ხაზგასმულია: „იახში“ და მიწერილია: „თურქ.“ ხაზგასმულია: „კაპადონი – წიგნი“, მიწერილია „წიგნის გვერდი, წიგნის ნაწიბური“.

გვ. 371. სიტყვა: „მათარას“ მიწერილი აქვს: „ტყავის ჭიქა“.

გვ. 372. ხაზგასმულია: „მთის მაცვალი“, მიწერილია: „მალინა.“

გვ. 373. ხაზგასმულია: „ქუქანგი – წყალსადენის გამყვანი“ და მიწერილია: „თიხა?“ ხაზგასმულია: „ღოროტოტო“, მიწერილია: „სადაური სიტყვაა.“ მოხაზულია: „ყული“ და მიწერილია: „მონა“.

3773. ქვარიანი ს. ვიზიტი. (ეტიუდი). ქუთაისი, 1903.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. 1914 წ. 2 მაისი“

3774. ქვარიანი ს. სუმბული. [ლექსები]. ყვირილა, 1901.

კანსა და შმუცტიტულს შორის თავისუფალ ფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. ოქტ. 21. 1913 წ.“ იქვე: „ჩემი ოლ-ოლ! არ ვიცი რად მომაგონდა!“

შმუცტიტულის მეორე გვ. ერთ სტროფიან ლექსთან „ვნახე რუსეთი ადგილ-ვაკენი“... მიწერილია: „დ. გურამიშვილის დაუბეჭდავი ლექსი, განაგონი სვ. ქვარიანისაგან 1916 წ. წაღვერი. 8 აგვისტო.“

გვ. 8–9. ლექსის „ნეტარებს მწირი... ცხელს უდაბნოში...“ ბოლოს მინაწერი: „(იხ. „კვალი“, 1894, № 33) ფსევდონიმით „ახალგაზრდა ქართველი“.

3775–3776. ქვარიანი ს. ცაცინა. მოთხრობა. ახალ-სენაკი, 1896.

3777. ქვაყუდელი ბ. მასესხეთ 25 მანეთი. სახუმარო. 1 მოქმ. ახალციხე, 1920.

3778. ქვაყუდელი ბ. ქარჩხიანი. (სურათი სოფლის ცხოვრებიდან). თბ., 1919.

3779. ქვლივიძე მ. ლექსები. თბ., 1952.

კანზე: „1952. 10/VI. (გვ. 39) - ავტორმა ეს ლექსი უნივერსიტეტში გამართულ ჩემს საღამოზე წაიკითხა. ი. გრ.“.

3780–3781. ქვლივიძე მ. ლირიკა. 1956.

3782–3783. ქვლივიძე მ. მოვდივარ. დამიხვდი. ლექსები. თბ., 1959.

3784–3788. ქიაჩელი ლ. თხზულებანი ოთხ ტომად. თბ., 1946–1955.

ტ. 1. მოთხრობები. 1946.

ყდაზე: „რეცენზიები ჩაკრულია ი. გრ. 1947. 25/I.“

გაზეთის ამონაჭრები: „1. ერთი ინფორმაციის შესახებ: „კომუნისტი“, 1947, № 47.“ 2. ს. ჭილაია – „მეტი პასუხისმგებლობით მოვეპყრათ საბჭოთა მწერლის სახელს“, „კომუნისტი“, 1947, № 20. 26 იანვარი. ლეო ქიაჩელზე.“

წიგნში დევს „მნათობი“-დან ამოღებული: „ლეო ქიაჩელი – „ერთი მოქცევის ამბავი“. „მნათობი“, 1944 წ., № 12.

ტ. 2. ტარიელ გოლუა. – სისხლი. [რომანები]. 1947.

ყდაზე: „ჩემი შენიშვნები „სისხლში.“

ყდის მე-2 გვ. მიწერილია: „გვ. 341. ხომ არ აკლია: „ვერ“. ბაყალი – მეწვრილმანე სჯობდა, – 261. საცვალი, 268. ჩამოდი(?) 277. აუტოკა, 294. ჰაიდა, 418. მასლაათი – 414. იათახი – 420. ყაიდა – 432. მეთულუხე, 434. შეესვეტა – 481. ცერზე შემდგარა – 488.“

ფორზაცზე: „მაშხალა (490–493). სოლომონ ვარამე. ანდრო ქარივამე გვ. 188–ერთმანეთს ჰგავს. ცაცა რამამე – 249. ზღაპარს ჰგავს – 77. ზღაპარს კი ჩვენში ღამე ამბობენ. ი. გრ. 1947. 2/VI“.

ტ. 4. მოთხრობები, წერილები. 1955.

ფორზაცზე წარწერა: „დიდ პოეტს, შესანიშნავ ადამიანს და ჩემს ძვირფას მეგობარს იოსებ გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით ლეო ქიაჩელი. XI. 55“.

3789. ქიაჩელი ლ. თხზულებანი ხუთ ტომად. თბ., 1961.

ტ. 3. მოთხრობები.

3790. ქიაჩელი ლ. რჩეული. თბ., 1956.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს დიდ პოეტს პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობით ლეო ქიაჩელი 10-II. 57.“

3791. ქიაჩელი ლ. გვადი ბიგვა. რომანი. თბ., 1938.

ფორზაცზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 16/XII 38.“ აქვე ვ. გოლცევის სტატია: „Мастер грузинской прозы“ (ლეო ქიაჩელის შესახებ). ამონაჭერი გაზეთიდან. არშიაზე: „Правда“, 1941 წ. 5 თებერვ. № 35 და ს. ცაიშვილის სტატია „გვადი ბიგვა“ ამონაჭერი გაზეთიდან. არშიაზე: „მუშა“, 1939 წ., № 20“.

3792–3793. ქიაჩელი ლ. თავადის ქალი მათა. ნოველა. ტფ., [1928].

3794. ქიაჩელი ლ. მთისკაცი. (ჯოტოს მამა). რომანი. თბ., 1948.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას მეგობარს ი. გრიშაშვილს სიყვარულით და პატივისცემით. ლეო ქიაჩელი. 30/XII.“

3795. ქიაჩელი ლ. მოთხრობები. ნოველები, ესკიზები. [ტ]. 1. ტფ., 1924.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას პოეტს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან.“

კანზე: „ი. გრ. 1924. 6/VI.“

3796. ქიაჩელი ლ. მუხა და ტირიფი. ამონაჭერი: „მერანი“-დან, 1916.

3797–3798. ქიაჩელი ლ. ნოველები. თბ., 1934.

წიგნში დევს ლ. ქიაჩელის „შმიდტის“ შემოსვლა სოხუმში“ (ნოველიდან „ჰაკი აძბა“), ამონაჭერი გაზეთიდან, არშიაზე: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1939 წ., № 168, 24 ივლისი.

3799. ქიაჩელი ლ. სისხლი. რომანი. წიგ. 1. თბ., 1929.

კანის მე-2 გვ. დაკრულია ლეო ქიაჩელის კარიკატურა.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1929. 5 მაისი.“

წიგნის ბოლო გვერდზე მიწერილია: „რეცენზია. „Литер. газета“ 1930 წ., № 62, გვ. 4.“

3800. ქიაჩელი ლ. სისხლი. რომანი. თბ., 1945.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1946“.

3801–3803. ქიაჩელი ლ. ტარიელ გოლუა. მოთხრობა. თბ., 1917. (წ. 1).

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს სიყვარულით, სიხარულით. ავტორისაგან 1917 წ.“

მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „ირ. ჭუმბურიძე.

19  $\frac{29}{XII}$  33 წ.

3804–3805. ქიაჩელი ლ. ტარიელ გოლუა. რომანი – 1905 წლის ეპოქიდან. გამოც. მე-2 ტფ., 1925.

კანზე: „II. ი. გრ. 1925 წ.“

3806. ქიაჩელი ლ. ტარიელ გოლუა. რომანი. გამოც. 3 ტფ., 1927.

თავფურცელზე ბეჭედი: „გ. ი. მერკვილაძე-მედგარიძის წიგნებიდან“. იგივე რუსულად.

კანსა, ფორზაცსა და თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „გ. მერკვილაძე“.

3807. ქიაჩელი ლ. ტარიელ გოლუა. რომანი. გამოც. მე-4 ტფ., 1931.

თავფურცელზე: „ი. გრ. გამოვიდა 1931 წ.“

3808. ქიაჩელი ლ. ტარიელ გოლუა. რომანი. მე-5 გამოც. [თბ.], 1933.

3809. ქიაჩელი ლ. ტარიელ გოლუა. – ჰაკი აძბა. თავადის ქალია მათა. აღმასგირ კიბულან. [მოთხრობები]. ტფ., 1937.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1937. 29/X.“

3810. ქიაჩელი ლ. ჰაკი აძბა. [მოთხრობა] თბ., 1938.

3811–3812. ქოიავა ა. ლექსები. სოხუმი, 1948.

თავფურცელზე წარწერა: „ყველა ქართველისათვის საყვარელ და საამაყო პოეტს, ლექსის მარგალიტწყობით მშენებელ დიდ ოსტატს დიდებულ იოსებ გრიშაშვილს გულთბილად ვუძღვნი ამ მცირე ნაშრომ წიგნს. არისტარხო ქოიავა. 20. 05. 1948 წ.“

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. აქ რეცენზიაცა“. გაზეთიდან ამონაჭერი ი. ბოცვაძის წერილი „ა. ქოიავა. ლექსები“, მიწერილია: „ი. გრ. 20. III. 1948 წ. „საბჭოთა აფხაზეთი“, № 57.“

3813. ქოიავა მ. განვლილი გზები. ლექსები. პოემა. თბ., 1959.

3814. ქოიავა მ. მზის სადღეგრძელო. ლექსები. სოხუმი, 1951.

3815. ქორქია რ. გამოცდა. პიესა 1 მოქმ. თბ., 1947.

3816. ქორქია რ. მზე წითლად ამოდოდა. მოთხრობა. თბ., 1946.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. ბ. მანთიძე. „ლიტერატურული სადამოებო პიონერთა ბანაკებში“, მიწერილია: „ნორჩი ლენინელი“, 1940 წ., № 64. 25 აგვისტო. ტექსტში ხაზგასმულია ადგილი, რომელიც ეხება ი. გრიშაშვილს. 2. „Враг на эстраде. Дело артиста С. Н. Москвина“ მინაწერით: „Советск. иск., 1935, № 19, 23 აპრ.“

3817. ქორქია რ. მოთხრობები. ტ. 1. ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 29/V.“

სარჩევის ბოლოს: „ნიღაბით?“ სადაა? „თ. და ც.“-ში რომ დაიბეჭდა და აკრძალეს? ი. გრ.“

წიგნის ბოლოს გაზეთის ამონაჭერი: „კომ.“, 1927, 12/VI“ ე. ვ-მე-ს წერილი „როდიონ ქორქია. მოთხრობები. 1. ტ.“

3818. [ქორქია რ.]. რანქანი. საიმედო მეგობარი. პიესა 3 მოქმ. ტფ., 1930.

3819. [ქორქია რ.] რანქანი. ციხის აღება. აგიტ-პიესა 1 მოქ. [თბ., 1932].

კანზე ავტორის ფსევდონიმის ქვემოთ მიწერილია: „[როდიონ ქორქია]“.

სათაურის ქვემოდ წერია: „ბოლოში რედაქციის შენიშვნაა.“

3820. ქოჩლაძე დ. სამი მოთხრობა. 1. სოფელში და ქალაქში. 2. ლოთობის უარყოფა. 3. გერი და დედინაცვალი. თფ., 1915.

3821–3824. ქსნისპირელი ვ. მონა ასულისა და სხვა პატარა ლექსები. ტფ., 1913.

- კანზე ავტორის ფსევდონიმთან: „კ. რატიშვილი“.
3825. ქსნისპირელი კ. (კონსტ. რატიშვილი). „ნაადრევი ყვავილი“. ახალი ლექსები. თბ., 1911.
3826. ქუთათელაძე დ. შემთხვევა აგარაკზე. ვოდვეილი – კომ. 3 მოქმ. თბ., 1957.
3827. ქუთათელი ა. აბესალომ და ეთერი. ნოველა. თბ., 1939.
- ფორზაცზე: „გენაცვალე“. 33, 53. კონაკი (ყონალი), 85. ცალუდები, 69. ი. გრ.“
- გვ. 18. ხაზგასმულია: „ხახა“, მიწერილია: „ლაყუჩი(?)“.
- გვ. 65. ხაზგასმულია: „პირველმა აქტმა“ „როგორ ცეკვავდა, ხომ ნახე?“ მიწერილია: „კარმენი I-მოქ-ში არ ცეკვავს.“
- გვ. 75. ხაზგასმულია: „იავარად უპასუხა“, მიწერილია: „კარგი სიტყვაა, მაგრამ აქ შეუფერებელია“.
- გვ. 77. ხაზგასმულია: „აბესალომი და ეთერი იქნებით“, მიწერილია: „იხ. გვ. 53. ამ დროს „აბესალომ და ეთერი“ უკვე დადგმული იყო“.
- გვ. 82. ხაზგასმულია: „ქიმერიონის“, მიწერილია: „რომელი წელია?“
- გვ. 86. ხაზგასმულია: „გობოის ბოლოსავით“, მიწერილია: „ეს შედარება ორჯერაა“. ხაზგასმულია 5 სტრ. „გამიგონია კომპოზიტორმა ვერდიმ...“ მიწერილია: „მახსოვს მე ვუთხარი.“
- გვ. 94. ხაზგასმულია: „თუ ჩემი ხმა ამ ბოლო დროს მოისუსტებს“, მიწერილია: „როდის? 1920 წელს?“.
- გვ. 99. მოხაზულია: „უყნოსა“, მიწერილია: „დაჰყნოსა.“
- გვ. 103. ხაზგასმულია: „ბენზინითა და მაზუთით გაზუზული ვეება ხელები ჩაგვავლო“, მიწერილია: „დილაადრიაანად სად იყო მაზუთი?“
- გვ. 114. მოხაზულია ბოლო სტრიქონი და მიწერილია: „ამ დროს ცოლი ჰყავდა ვანოს ხომ? ეს ზევით იყო ნათქვამი“.
- გვ. 150. ხაზგასმულია: „როგორც გობოის ბოლო...“ მიწერილია: „კიდევ ეს შედარება“.
3828. ქუთათელი ა. აბესალომ და ეთერი. თბ., 1959.
3829. ქუთათელი ა. ახალი ლექსები. თბ., 1959.
3830. ქუთათელი ა. ლექსები. თბ., 1941.
- თავფურცელზე წარწერა: „ძველი ტფილისის სწორუპოვარ მომღერალსა და ჩვენი დროის უნიჭიერეს პოეტს. იოსებ გრიშაშვილს, სიყვარულით და პატივისცემით, ეს ჩემი გულის მურაზიც ა. ქუთათელი, ტფილისი. 1941. 5/VIII.“
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1941. 16/VIII.“
- 3831–3833. ქუთათელი ა. პირისპირ. რომანი. [წ. 1–3]. ტფ., 1933–1943.
- წიგ. 1. 1933.
- თავფურცელზე: „ი. გრ. 1933. 10/XII“.
- წიგნის ბოლო ამონაჭერი გაზეთიდან: В. Тибурцев „Молодой человек и революция“, მიწერილია: „Лит. газета,“ 1934, № 130, 28 სექტ.“
- წიგნ. 2. 1938.
- წიგ. 3. 1943.
- ფორზაცზე წარწერა: „ნიჭიერ ქართველ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. ქართველი ხალხის განვლილ დღეთა მოსაგონარად, სიყვარულით და პატივისცემით ალ.“



ქუთათელი. თბილისი, 11/X 1943“. აქვე წერია: „[ავტორის მიერ ჩასწორებული კორექტურით]“.

ყდის მე-2 გვ. მიწერილია: „გერმანოვა, 122; „მოძრავი ძუძუს თავი“. გვ. 69“.

გვ. 122. ხაზგასმულია: „ცნობილ ქალს გერმანოვას“, მიწერილია: „მსახიობ“.

გვ. 190. ლექსის ნაწყვეტს მიწერილი აქვს: „გ. ჭალადიდელი“.

3834–3838. ქუთათელი ა. პირისპირ. [რომანი]. წიგნი 1–4. თბ., 1947–1952.

წ. 1. გამოც. მე-2. 1947.

წ. 2. გამოც. მე-2. 1948.

წ. 3. გამოც. მე-2. 1949.

წ. 4. 1952.

3839. ქუთათელი ა. პირისპირ. ნომანი 2 ტომად. ტ. 1. თბ., 1960.

ტ. 1. წიგნი 1–2.

ფორზაცზე: „ი. გრ. 15 ივლისი, 1960 წ.“

3840. ქურდიანი ე. ვარდობისთვე. [ლექსები]. სოხუმი, 1949.

3841. ქურდიანი ე. თბილისური ლექსები. თბ., 1959.

3842. ქურდიანი ე. სიცოცხლის გადარჩენა. ლექსები, ბალადები და პოემა. სოხუმი, 1953.

ყდაზე: „ლექსი ჩემდამი მიძღვნილი, გვ. 48. ი. გრ.“

3843–3854. ქუჩიშვილი გ. [თხზულებანი]. წიგ. 1–6. თბ., 1914–1923.

წ. 1. პოეზია. 1914.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1916 წ. 21 ივნისი“. იქვე: „ჩემზე გვ. XXV, ი. გრ.“

გვ. 13. ლექსში „ღამე“ ხაზგასმულია: „გული ჰკნესს, გული ქვითინებს“, მიწერილია: „ევდოშვილი“.

გვ. 14. ლექსში „დილა“ მოხაზულია 3 სტროფი და მიწერილია: „დედა ენა“.

გვ. 103. ლექსთან „ჩემი სატრფო“, მიწერილია: „დუტუს ლექსი“.

გვ. 107. მოხაზულია: „იგი არი ზეცის ცვარი“. მიწერილია: „სილოვანს აქვს.“

წიგნში დევს ქაღალდის ნაჭერი მიწერილი: „ნაამბობი; ვარდი და ბულბული; შველის ნუკრი; ნაპოლეონი; ყვავილები; ნაწყვეტები; მგოსნის ვედრება; ველის ყვავილს; იას სიკვდილი; ბალის ყვავილი; გულის ყვავილი; 1911 წ., „თემი“, მაისი, № 21. „გალობა“ ეს ლექსი დაიბეჭდა გოგია უიშვილის ფსევდონიმით ჟურნალ „ცხოვრება და ხელოვნებაში“, ნიკო ლორთქიფანიძის რედაქტორ. № 4, 1911 წ. 2 იანვარს. მერე ეს ლექსი შეცვლით დაიბეჭდა ესდეკების გაზეთში 1914 წ. გ. ქუჩიშვილის ფსევდონიმით.“

მეორე ცალის კანზე წარწერა: „ნიშნად პატივისცემისა ი. ტ. პოლუმორდვინოვს ავტორისაგან 27 მაისი 1914 წ.“

წ. 2. პროზა. 1914.

კანზე წარწერა: „ძღვნად ძვირფას ლიტერატორს ი. ტ. პოლუმორდვინოვს ავტორისაგან. 16 მაისი. 1914 წ.“

წ. 3. ლექსები და პოემები. 1916.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. 1916 წ. 24 ავგისტო – მარიამობისთვე. ქ. ტფილისი“.

კანზე: „ბრბო, გრიშაშვილიც, გვ. 12“.

გვ. 12. ლექსი „ბრბო“ მოხაზულია და ხაზგასმულია: „ი. გრიშაშვილი“.

გვ. 14. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ეს ლექსი გ. უიშვილის ფსევდონიმით იყო დაბეჭდილი „სახალხო გაზეთში“, 1910–11 წ. მგონი.“

კანზე: „არა აქვს „პალატას“ ი. გრ.“

მესამე ცალის თავფურცელზე: „ბრბო და გრიშაშვილი (?) გვ. 12.“

[წ. 4. ლექსები]. 1920.

კანზე: „წიგნი მეოთხე“.

თავფურცელზე: „ი. გრ. მაისი 12“.

წ. 5. [ლექსები, პროზა]. 1922.

კანზე: „1922 წ. ი. გრ. ივნისის 3–“.

თავფურცელზე ჟურნალიდან ამონაჭერი სოსელის [ი. გრ.] სტატია გ. ქუჩიშვილის მეხუთე წიგნზე „ილიონიდან“.

წ. 6. შრომის და ბრძოლის სიმღერები. [ლექსები. 1923].

კანზე: „ი. გრ. 27/X 23. აქ ჩემი წერილია, გვ. 2“.

თავფურცლის მე-2 გვ. მიწერილია: „ივ. გომელაურის III წიგნში (1923 წელს გამოც.) დაბეჭდილია გ. ქუჩიშვილის ლექსი: „ჩემი ვედრება“

„ვინ გაჰბედა, ვინ იშიშვლა სასიკვდილოდ ერზე ხმალი,

ვინ აღმართა სისხლის დროშა, ვის მიუძღვის ცოდო ბრალი.

ღმერთო! ღმერთო! შენს წინაშე ვსდგევარ ლოცვად გულმწუხარე.

დაიფარე ერი ჩემი, დაიფარე ჩემი მხარე!“

ივ. გომელაურმა მე მესამე წიგნში წელს აღარ მომათავსა. შეეშინდა, როგორც ეროვნულ პოეტის [მე კი მითხრა ნება არ დამართო რ. კალაძემამო] და გ. ქუჩიშვილს კი ნება მისცა ჩემი ლექსი გადაეკეთებინა და დაებეჭდა: (იხ. „ილიონი“, № 1, „ჩემი ლოცვა“). იგივე 16 მარცვლოვანი, იგივე სათაური, იგივე დაბოლოვება: „ეს ქვეყანა ღმერთო! ღმერთო! დაიფარე! დაიფარე! ი. გრ.“

კანის მე-4 გვერდზე: „ჩემი ვედრება“ დაბეჭდილია „ქართველი მწერლები“, გვ. 210, 1923 წ.

„დაიფარე ერი ჩემი, დაიფარე ჩემი მხარე“ გ. ქუჩიშვილი. მიბადვა გრიშაშვილისა. „იხ. „ილიონი“, № 1 „ჩემი ლოცვა“.

გვ. 11. ლექსის „ჩემი პასუხი“ მე-2 სტროფის გასწვრივ არშიაზე: „ჩემია“

3855–3856. ქუჩიშვილი გ. თხზულებანი. თბ., 1929. [კანზე: „ლექსები“].

3857–3860. ქუჩიშვილი გ. [თხზულებანი] ტ. 1–4. ტფ., 1935–41.

[ტ.] 1. ლექსები. 1935.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1936. 30/III“, იქვე: „1. კობტა გოგო წყალზე მიდის, გვ. 188. 2. „ბრბო“ და ჩვენ, გვ. 231. 3. ჩემი მიბადვა, გვ. 148“.

გვ. XXI. მოხაზულია: „ქუჩის ავარები“, მიწერილია: „სახლის ავარებიც არიან? ი. გრ.“

გვ. XXXIII ხაზგასმულია: „იძულებული გავხდი გაზეთ „ცნობის ფურცელი“-სათვის მიმემართან“, მიწერილია „ამ დროს „ცნობის ფურცელი“ არ გამოდიოდა“.

გვ. XXXVI. ტექსტის ბოლოს წერია: „ეს წერილი მე ადრე წამიკითხავს.“

გვ. 142. ლექსის „ტირილი მტკვარში დამხრჩვალ დედაზე“, ბოლოს მიწერილია თარიღი: „1934“.

გვ. 146. ლექსში „ივ. გომართელს“ ხაზგასმულია „ხარობს ტყეცა“, მიწერილია: „თუ ყველა ხარობს, ტყემ რაღა დააშავა, რატომ არ უნდა გაიხაროს. ეს ჰგავს მამია გურელის

ლექსს „ქალი, კაცი გინდ ადამიანი“. მოხაზულია ბოლო სტროფი და მიწერილია: „მინდა“, ერთი ასეთი ლექსი მეცა მაქვს 1907 წ. „ნიშადურში“, არ შემიტანია კრებულში.“

გვ. 147. ლექსში – „დ. თურდოსპირელს“ ხაზგასმულია: „ამრევი გზა და კვალისა“ და მიწერილია: „აკაკის სტრიქონია. (იხ. „ავადმყოფი“)“.

გვ. 153. ლექსში „სადამო ზღვასთან“ მოხაზულია: „მსურს შენ გიძღვნა მეგობარო მიიღე და შეიწირე“ და მიწერილია: „გ. ტაბიძის ლექსიდან ჩემზე (იხ. „თემი“)“.

გვ. 158. ლექსს „მე და ზღვა“ მიწერილი აქვს: „ჩემი „ოცნების კოცნა“.

გვ. 162. ლექსის „სამაგიერო“-ს პირველი ორი სტრიქონი მოხაზულია და მიწერილია: „ძველი მწერლებიდან“. ხაზგასმულია: „და ამ რწმენით ყოფნის ზღვაზე“ მიწერილია: „ა. აბაშელი“.

გვ. 170. ლექსის სათაურთან „ჩემს მამულს“. მიწერილია: „ილია“.

გვ. 171. ლექსს – „ჩემი მხარე“ მიწერილი აქვს: „კარგია“.

გვ. 192. ლექსში „მზისკენ“ – ხაზგასმულია: „მზის სიცილი“ და მიწერილია: „ჩემი“.

გვ. 231. ლექსის სათაურთან „ბრბო“ მიწერილია: „ეს ჩემი ლექსის მიბაძვია. იხ. ჩემი „ზეკაცი“

გვ. გვ. 304, 305. ორივე ლექსში ხაზგასმულია: „ქათქათებს მთვარე“, მიწერილია: „ცახელი, გ. ახოსპირელი, ი. ევდომვილი.“

გვ. 307. ლექსში „რთველობა“ ხაზგასმულია: „ბჭობენ“, „ყელი მოუღერია“, მიწერილია: „რთვლის დროს ბჭობა (კრება) შეიძლება. „ბჭობენ“ და „ყელიც მოუღერიათ“.

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი: ს. ჭილაია – გ. ქუჩიშვილის „თხზულებანი“.

ტ. 2. ლექსები. 1938.

ტ. 3. პოემები და ლეგენდები. 1939.

ტ. 4. პროზა. 1941.

3861–3864. ქუჩიშვილი გ. [თხზულებანი ტ. 1–4]. თბ., 1946–1955.

ტ. 1. ლექსები. 1946.

ფორზაცზე მიწერილია: „შეცდომა, 16, 220“.

გვ. 16. ხაზგასმულია: „იძულებული გავხდი გაზეთ „ცნობის ფურცელი“-სათვის მიმემართნა“... მიწერილია: „ცნობის ფურცელში“ გ. ქ-ლი არ ყოფილა დაბეჭდ.“

გვ. 133. ლექსის სათაურს „მზე“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მეორდება“.

გვ. 220. ხაზგასმულია ლექსი „ბრბო“ და მიწერილია: „ილიას მოკვლის შემდეგ, კიტამ „ბრბო“ დაარქვა ილიას მკვლელებს. 1907. ი. გრ.“

გვ. 230. ლექსში „ჩემი სატროფო“, ხაზგასმულია: „მეცა მყავს სატროფო, მაგრამ იგი არა ჰგავს სხვისას“, მიწერილია: „აკაკი“, დუტუ მეგრელი.

ტ. 2. ლექსები. 1949.

ყდაზე: „ი. გრ. 1950 23/IV“. იქვე: „ჩემდამი, გვ. 271“.

გვ. 271. ლექსს „ი. გრიშაშვილს“ მიწერილი აქვს: „ციალამ მამის ქალაღებში – ეს ლექსი იპოვნა“.

ტ. 3. ლექსები და პოემები. 1951.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. 22/II“.

ტ. 4. პროზა. 1955.

ყდასა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1955, 1/X.“

ყდის მე-3 გვ. „1. ილია და არტისტი? ტყუილია, 294. 2. აუგი აკადემიური ჯგუფის, 283. 3. მე და ქუჩიშვილი გორში, 296“.

3865. ქუჩიშვილი გ. ერთტომეული. თბ., 1958.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959 19/III.“ იქვე: „ანდერძი, გვ. 92. „ბრბო“, გვ. 219. ცეკა, 149“.

გვ. 165. ხაზგასმულია მიძღვნა „ჩემს მეუღლეს – ვ. ჩხეიძეს“, მოხაზულია ეპიგრაფი, მიწერილია: „გ. ტაბიძე“.

გვ. 189. ლექსის ბოლოს მიწერილია: „აკლია?“

გვ. 203. ხაზგასმულია ლექსის სათაური „ჩემს ვ-ს“, მიწერილია: „ვასასის.“

3866–3867. ქუჩიშვილი გ. ბრძოლის და შრომის სიმღერები. ლექსები. [თბ., 1929].

კანის მე-4 გვ. № 89. 1929 წ., [17 ნოემბ.] ი. გრ.“

3868. ქუჩიშვილი გ. ლექსები, ტფ., 1932.

3869. ქუჩიშვილი გ. ლექსები. ტფ., 1934. სუპერზე: „აქ თარგმანებია. ი. გრ.“

3870. ქუჩიშვილი გ. ლექსები. ტფ., 1937.

3871. ქუჩიშვილი გ. ლექსები. თბ., 1945.

3872. ქუჩიშვილი გ. მხედრული ლექსები. ტფ., 1932.

3873–3875. ქუჩიშვილი გ. ნანგრევებზე. ლექსები. თბ., 1917.

3876–3877. ქუჩიშვილი გ. შრომისა და ბრძოლის სიმღერები. თბ., 1926.

საგაზეთო ცნობა ამ წიგნის გამოსვლის შესახებ მინაწერთ: „მუშა“, № 1093, 1926 წ., 13 ივლისი.“

3878. ქუჩუკაშვილი ქ. ყვავილები მდინარეზე. [მოთხრობები]. თბ., 1962.

3879. ღილა მოხევე. ამონაკვნესი. ახალი ლექსები. „ღილა მოხევისა“. ტფ., 1908.

თავფურცელზე ხაზგასმულია ავტორის ფსევდონიმი და მიწერილია: „(გვარად ლუდუშაური). ეს წიგნი თბილისის ბიბ-ში არ არის. – ი. გრ.“ იქვე: „ორი ქვა“ კარგი ლექსია. გვ. 22. 1908 წ. დაიბეჭდა. 1909 წელს კი თავი მოუკლავს ავტორს(?)“

გვ. 17. მოხაზულია მთელი გვერდი, მიწერილია: „იხ. ეს ლექსი სრულად გვ. 22. აქ ეტყობა შეცდომითაა ეს ნაწყვეტი დაბეჭდილი. ი. გრ.“

გვ. 23. მოხაზულია: „მოთმენას“, მიწერილია: „თმენასა“. სტრიქონთან: „მანც ვერ ვანძრევ ენასა“, მიწერილია: [და ვერ კი ვანძრევ ამ ენას]“.

გვ. 24. ხაზგასმულია: „მდიდრებმა“, მიწერილია: [მდიდრდება]“.

გვ. 25. მოხაზულია ორი სტროფი, მიწერილია: „დავამსხვრევთ უღელს და შევქმნით ერთობასა და ძმობასა“ (პ. შარაბიძის ვარიანტით)“.

3880. ღონდაძე შ. კომკავშირული გული. ლექსები პროლეტარული პოეზიიდან. ტფ., 1929.

3881. ღონდაძე შ. ნათელა. დრამა 6 სურ. ბათუმი. 1938.

3882. ღონდაძე შ. ფორე. დრამა 5 მოქ. ტფ., 1934.

ფორზაცზე: „დოდოს (ალექსიძეს) გამოვართვი. ი. გრ. 1935. 14. XI.“

3883. [ლოლობერიძე დ.]. დღევანდელ სოფლის ცხოვრებიდან. სოფ. ს... სამახსოვროდ. შეადგ. და გამოც. ასოთამწყობ ღონ-ღანის მიერ. თბ., 1906.

3884–3885. ლოლობერიძე დ. „ესეც კიდევ სოფელს“ (ლექსები და მოთხრობა). ქუთაისი, 1915.

კანზე: „თბილისში არ არის. ი. გრ.“

3886–3887. ლოლობერიძე დ. ლიკლიკი. პატარა ნაწარმოები. ქუთაისი, 1917.

მეორე ცალის კანზე წარწერა: „პატივცემულ მოქ. დათიკო მგალობლიშვილს. ავტორი.“

3888. ღოღობერიძე დ. საახალწლო [ლექსები]. ტფ., 1926.

კანის მე-4 გვ. წარწერა: „დ. ღოღობერიძის წიგნები:

1. „ესეც კიდევ სოფელს“. (1915 წ.).

2. „გზა და გზა“. (1915).

3. „სიმართლის მთქმელი მხედარი. (1915?).

3889. ღოღობერიძე დ. სამაისო. (ლექსები). ტფ., 1926.

3890. ღოღობერიძე დ. ტაბახმელის გლეხებს. (ლექსები). ტფ., 1927.

3891–3892. ღოღობერიძე დ. უმადური. ლექსები და მოთხრობა. შეთხზული დონ-დანისა. ქუთაისი, 1915.

3893. ღოღობერიძე დ. „ჩემი ლიკლიკი“ [ლექსები. მოთხრობა]. (ძველად დაბეჭდილები). ტფ., 1928.

გვ. 1. წარწერა: „პატიოსან მუშას, უნარიან მოხელეს და ამხანაგებში (ამრიგად) დიდი ხნის ცნობილს – ლევან პოგოსოვს ავტორისაგან ქ. ტფილისი. 1928 წ., 23 დეკემბერი.“ ქვემოთ მინაწერი: „P. S. მე მაჩუქა ლევანმა.“

3894. ღოღობერიძე დ. ჩინჩხალი. (პატარ-პატარა ლექსები და მოთხრ. [ტფ.], თ. ა.).

3895–3897. ყაზბეგი ა. თხზულებანი ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). ნაწ. 1 [მოთხრობები. პიესები]. თბ., 1885.

კანზე მინაწერი: „ასეთი განცხადება იყო: „იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა „ელგუჯა“. „არსენა“, „დილა ქორწილის შემდეგ“ და „თხზულებანი“, პირველი ტომის პირველი ნაწილი. („დროება“, 1885 წ., № 8. გვ. 4). ი. გრ.“

გვ. 75. სათაურთან: „დილა ქორწილის შემდეგ“, მიწერილია: „სიუჟეტი აღებულია, იხ. გვ. 42. ურუსოვის პიესა“.

კანის მე-4 გვ. მიწერილია: „კორექტურა გვ. 70, 74“.

მეორე ცალში მოთხრობებსა და პიესებს შორის ჩაკინძულია ორი მოთხრობა: „ციკო“ და „განკიცხული“, პირველი 1883 წ., გამოცემა, მეორე – 1884 წ.

ფორზაცზე, თავფურცელზე და გვ. 1. ბეჭედი: „Мария Михайловна Сапарова“.

გვ. 1. ყოფილი მფლობელის ხელწერა: „მ. საფაროვისა“.

მოთხრობა: „განკიცხულის“ თავფურცელზე ბეჭედი: „ა. მ. ყაზბეგი“.

მესამე ცალი სრული არ არის. აკლია ორი მოთხრობა: „ციცკა“ და „ელისო“.

ფორზაცზე ყოფილი მფლობელის ხელით ხუცურად: „დავით კარიჭაშვილის ბიბლიოთეკა.“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ი. გრ. 1942. 4/IV.“

3898–3904. ყაზბეგი. ა. თხზულებანი. ტ. 1–4. თბ., 1891–1892.

ტ. 1. ელგუჯა. – ციკო. – ელისო. [მოთხრობები]. 1891.

ხელნაკეთ კანზე წარწერა: „ი. გრ. ა. ყაზბეგი, I ტ, 1891.“

ტ. 2. მამის მკვლეელი. – განკიცხული. [მოთხრობები]. 1891.

კანგადაკრულია ი. გრ. მიერ წარწერით „ი. გრ. II ტ.“

ტ. 3. [მომღვარი. – ციცია. მოთხრობები]. 1891.

ყდაზე: „ა. ყაზბეგი. III. 1891, ი. გრ.“

ტ. 4. [ნამწყემსარის მოგონებანი. ნინო. ბერდია. – ელბერდ. – ელეონორა. – ჩინოვნიკი ილურიძე. – ხევის ბერი გოჩა. – ციცკა. – ფათი. მოთხრობები]. 1892.

3905. ყაზბეგი ა. თხზულებანი. ტფ., 1904.

3906. ყაზბეგი ა. [თხზულებანი]. ტფ., [1905].

„ფორზაცზე მინაწერები: „ცნობის ფურცლის“ და „მომბის“ პრემია. 1. დაიბ. 1847–14 ნოემბ. გარდაიც. – 1893 10 დეკემბ. 2. კორექტურა, გვ. 238, 380 ი. გრ.“

თავფურცელზე: „ეს წიგნი „ცნობის ფურცლის“ და „მომბის“ პრემიად დარიგდა 1904 წ. (ცენზ. თარიღი 1903). შემდეგ გამოვიდა ყველასათვის 1905 წელს და მოხსნილი ჰქონდა „ცნ. ფ.“ და „მომბის“ პრემია. ი. გრ. ეს წიგნი ორჯერ დათარიღდა: I პირველ გამოცემას აწერია: „Дозволено цензурою 28 июня 1903 г., Тифлис. II“.

გვ. XXXV. მოხაზულია ადგილი, სადაც ლაპარაკია „მოდვარის“ ორიგინალსა და ვარიანტებზე. არშიაზე: „საჭიროა შედარება“.

გვ. 79. ხაზგასმულია: „ის ნიავის მსგავსი ჩურჩულით.... [წარმოსთქვამდა ფიცს].“ არშიაზე: „ეს შედარება იხ. „ელისოშიც“.

გვ. 80 მოხაზულია აბზაცი. არშიაზე: „ოცნებაშიც იჭრება ელგუჯა.“

გვ. 111. მოხაზულია ელგუჯას სიმღერის ტექსტი: „შენ რომ გვმორდები გმირთ-გმირო“. გასწვრივ: „ლექსი კი სანდროსია უეჭველად“.

გვ. 112. მოხაზულია აბზაცები, (სიმონის გლოვა). არშიაზე: „შახსეი-ვახსეი?“

გვ. 389. მოხაზულია: „გირგოლა არ მასვენებს...“ არშიაზე მინაწერი: „გლახა“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე მინაწერები: „1. შესანიშნი. 2. აღძრული, გვ. 42. 3. გიზმენ, 43. 4. „გაუფრთხილდით, 56. ანბავი, 66. 6. მერმე, 73. 7. გაწბილება, 74“. ამ შენიშვნებს აწერია: „ეს ავტორის ლაპარაკია და არა მომქმედ პირების. ხან „ლეჩაქს“ ხმარობს ხან „ჩიქილას“. იქნება გადაწერის დროს შეეშალა. უნდა შევადარო ეს მოთხრობა პიესებს. მართლა ავტორი სანდროა თუ არა. და ვინაიდან ეს II თავის დასაწყისია, აქ უფრო დასტოვებდა თავის ენას. ელგუჯა და ელისო ერთი ავტორისაა“.

ყდის მესამე გვერდზე მინაწერი: „გულს ჩამოჰხადეს მომეტებული ბარგი, გვ. 60“.

3907–3909. ყაზბეგი ა. თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1. ტფ., 1935.

სუპერზე: „ი. გრ. 1935, 10/X“.

შმუცტიტულზე მიწერილია: „ძაღლები მოდიან, 112. აქ აღდგენილი ელგუჯაა. 1884 წლის გამოცემა ვისი გამომცემლობით გამოვიდა? უნდა იყოს თქმული.

გვ. VI. წინასიტყვაობაში ხაზგასმულია: „კონსტანტინე ბატონიშვილის“ სათაურიც ჯერ „წამება ქეთევან დედოფლისა“ ყოფილა“... და სქოლიოში მიწერილია: „წამება ქეთევან დედოფლისა“ (დაიბ. „ივერია“, 1883) სამღვდელოებამ აკრძალა, წმინდანის სცენაზე გამოყვანა არ შეიძლებაო და დაარქვეს „კონსტანტინე ბატონიშვილი“.

გვ. VIII ხაზგასმულია: „კაცია-ადამიანი?“ (ი. ჭავ-ძის) მოთხრობა, პიესად გადაკეთებული“ და მიწერილია: „საინტერესო.“

გვ. IX მითითებულია: „დილა ქორწილის შემდეგ“ და მიწერილია: „დაბეჭდილია. (თარგმანია)“.

გვ. XI. ხაზგასმულია: „დიომიდე კილაძე“, სქოლიოში მიწერილია: „დიომიდე კილაძე ამ დროს გარდაცვლილი იყო. დიომიდე კილაძე გარდაიც. 1921 წ. აპრილში.“

გვ. 339. სქოლიოში მიწერილია: „და 1924 წ. გამოცემა. გვ. XXXVII“.

გვ. 341. დანიშნულია ადგილი: „აკლია მართლწერა შენს მშვენიერს ქართულს ენას, ნუ დაიზარებ შეისწავლე ესეცა...“ სქოლიოში მიწერილია: „რედაქტორები გრ. ორბ. უჯერებდნენ და ასწორებდნენ „ელგუჯას“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ცალკე გვექნება საუბარი“ „ეს სიტყვა ძალიან უყვარს ჩვენს ვახტანგს. იხ. 1924 წ. გამოცემის წინათქმა. ტ. I, გვ. XXXI“.

3910–3914. ყაზბეგი ა. თხზულებათა სრული კრებული ოთხ [ხუთ] ტომად. ტ. 1–5 თბ., 1948–1950.

ტ. 1. [მოთხრობები და რომანები]. 1948.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1948-30-IX იუბილე.“

ყდის მე-2 გვ. წერია: „მე-490“

ტ. 2. [მოთხრობები]. 1948.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1949-25-II.“

გვ. 516. ხაზგასმულია: „ამავე ღინჯა ხულებისაგან ჩაუწერია ლექსი, მიწერილია: „საიდანა სჩანს?“.

გვ. 540. ხაზგასმულია: „გომბიო დიდი ბაყაყი“, მიწერილია: „გომბეშო.“

გვ. 542. ხაზგასმულია: „ვეძა“ და განმარტებასთან მიწერილია: „(საბა)“.

გვ. 543. ხაზგასმულია: „ზურგიელი ერთნაირი თევზია“, მიწერილია: „თევზის მამხივით?“

გვ. 544. ხაზგასმულია: „ძაუჯი-ყაუს ძველი სახელია“. მიწერილია: „რომელია ძველი?“

გვ. 545. ხაზგასმულია: „კვერი მრგვალად გამომცხვარი პური“, მიწერილია: „ბუბლიკივით.“ ხაზგასმულია: „ბაგე-პირი“. მიწერილია: „უმნო პირი, ჩამოწეული ბაგე.“

გვ. 548. დაბეჭდილია: „ნაკონკი ტანისამოსი – დაკონკილი, დაგლეჯილი ტანისამოსი“, მიწერილია: „დაკონკილი ბებულება“.

გვ. 549. ხაზგასმულია: „ნებისნებად“, მიწერილია: „ნელა“.

გვ. 556. ხაზგასმულია: „ღვია მცენარეა, (ბუჩქებში იზრდება)“, მიწერილია: „თუ ბუჩქად?“.

გვ. 562. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „ეს წერილი ლექსიკონის თავში უნდა ყოფილიყო“.

ტ. 3. [ლექსები და პოემები. პიესები]. 1949.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1949. 12 დეკემბ.“ იქვე: „შენიშვნების შენიშვნა. აქ პიესაა „დავითის სახლობა“, რომელსაც ავტორმა სხვა სათაურიც დაარქვა: „აღმზრდელები“.

გვ. 66. მოხაზულია ლექსი „პასუხად“. იქვე მინაწერი: „ყველა ლექსი რედაქტორს დაუყვია ხანებად. რითმის შეგრძნობა არ ჰქონია“.

გვ. 215. ლექსის „ულვაშებგაკრეჭილი“ გასწვრივ „პ. უმიკაშ.“

გვ. 218. ლექსში „ქუთათურ ქალებს“ ხაზგასმულია „თარით“ და მიწერილია: „ქუთაისი და თარი?“

გვ. 220. ხაზგასმულია ლექსის სათაური „ვიქტორს“, მიწერილია: „ვიქტორ იურკევიჩს (რუს – იმერელს)“.

გვ. 221–227. ცალკეული სტროფების გასწვრივ მინაწერები, რომლებშიც გახსნილია ლექსში სახელით მოხსენებული პიროვნებები: „ოლგას – ოლგა ყაზბეგი. ნატოს – ნ. გაბუნია. მაკოს – მ. საფ.-აბაშიძე. ბაბოს – ბ. ავალიშვილი; ფედოსიას – თ. სახოკ.?“

ატატოს – ატატო ბებურიშვილი?; მამოს – მამო ყიფ.; მაკინეს – ამირაჯიბ.“ სტროფი „ისევ ბაბოს“ მოხაზულია და აღნიშნული კითხვის ნიშნით.

გვ. 271. დრამის „დავითის სახლობა“ სათაურის გასწვრივ მინაწერი: „ანუ აღმზრდელები“ ი. გრ.“

გვ. 383. მოხაზულია სიტყვა „ხათავ“. მიწერილია: „ხათაუ“.

გვ. 615. ხაზგასმულია: „პ. უ-შვილი (1838–1904)“, მიწერილია: „ულვაშს არ ატარებდა“. ამავე გვერდზე 304-ე შენიშვნაში ხაზგასმულია: „ტასო აბაშიძე, მსახიობი ვასო აბაშიძის (1854–1926) ქალი“.

გვ. 616. 310-ე შენიშვნა მოხაზულია. იქვე მინაწერი: „ეს ცნობა მე მივეცი – უნდა აღენიშნა, ი. გრ.“ ამავე გვერდზე 311-ე შენიშვნა ხაზგასმულია: „ტასოს ნათლია“; არშიაზე: „ესეც.“

გვ. 619. ხაზგასმულია: „ს-გან, არშიაზე მინაწერი: „საფაროვი“. მოხაზულია გვარები: „მძინაროვი... მაქსიმძე.“ გასწვრივ არშიაზე: „ერთი და იგივეა.“

გვ. 627. სქოლიოში მოყვანილი მსახიობთა გვარები შესწორებულია: „ბაბნიევ“ – შიშნიევი“. „მძინაროვი (მაქსიმძე) – „მძინაროვი“.

გვ. 638. სქოლიოში მოხაზულია ცალკეული სიტყვები: „ასახელებენ“ – მინაწერი: „იხ. ი. გრიშაშვი. წიგნი“. „უწოდა“ – მინაწერი: „ჩვენ არტისტებმა ვუწოდეთ და არა ავტორმა“.

გვ. 646. მოხაზულია სიტყვა „ბარი-ბარში“ განმარტება – „ქვით“ იქვე: „Квит.“

გვ. 650. ხაზგასმულია სიტყვა „ელხოზა“-ს განმარტება, მიწერილია: „არ მომწონს“.

გვ. 657. ხაზგასმულია სიტყვა „სტაქანის“ განმარტებაში „რუს“. მიწერილია: „დოსტაქანი? (საბა)“.

გვ. 661. ხაზგასმულია სიტყვა „ცისკარი“ თავის განმარტებით. მინაწერი: „ამას რა ახსნა უნდა?“ ხაზგასმულია სიტყვა „ცოდისშვილო“ განმარტებითურთ. მინაწერი: „ცოდვის შვილი“ – ობოლი, მოტყუებული“.

გვ. 662. ხაზგასმულია: „წაწარაქი, წაწირაქი“. მინაწერი: „წუწურაქი“. მოხაზულია სიტყვა „ხათა“ განმარტებითურთ და მიწერილია: „უბედურება, ი. გრ.“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე წერია: „წალო, 71. მიდღემჩი, 348. ხათავ? გვ. 383. ლექსიკონში, გვ. 662. დოსტი, 39.

ტ. 4. [დაუმთავრებელი მოთხრობები. პიესები]. 1950.

ალ. ყაზბეგის ლექსიკონში მინაწერები აქვს სიტყვებს: „ბაბაყული – ბაიყუში ფრინველია; ბილილა – აბელილა; მანყული – ფულია; მეკობრე – ზღვის ავაზაკი“.

წიგნში დევს ფურცელი მინაწერით: „ალ. მოჩხუბარიძის მოთხრობა „მტრედი“ იხ. „ნობათში“, 1883 წ., № 1.“

ტ. 5. [წერილები სხვადასხვა საკითხებზე. ავტობიოგრაფიული ცნობები, კერძო მიმოწერა. ჩანაწერები. ვარიანტები]. 1950.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 30/VI“.

გვ. 526. სქოლიოში ხაზგასმულია: „ალ. ნ-ლის.“ მინაწერი: „ნა-ლი“.

გვ. 554. ხაზგასმულია: „მინდა. რომ ჩემსა სატროფოსა ვხედავდე თავისუფალსა“, მინაწერი: „(აკაკი)“. ხაზგასმულია: „ბათუმის გმირი“, მინაწერი: „თავის რეცენზენტის ლანძღვა“.

3915–3916. ყაზბეგი ა. რჩეული თხზულებანი. ტ. 1–2. თბ., 1946.

ტ. 1.



- ტ. 2.
3917. ყაზბეგი ა. რჩეული ნაწერები. თბ., 1937.  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1938. 1/IV“.
- 3918–3919. ყაზბეგი ა. არსენა. დრამა 3 მოქ. ამონაჭერი: ალ. ყაზბეგი. თხზულებანი. ნაწ. 1. თბ., 1885.
3920. ყაზბეგი ა. არსენა. დრამა 3 მოქ. თბ., 1948.
3921. ყაზბეგი ა. განკიცხული. (მოთხრობა). თბ., 1884. – ამონაჭერი „ივერიიდან.“  
აკინძულია წ-თან ყაზბეგი ა. თხზულებანი ნაწ. 1. თბ., 1885.  
ყოფილი პატრონის მ. საფაროვას ავტოგრაფით.  
თავფურცელზე ბეჭედი: „ა. მ. ყაზბეგი“.
3922. ყაზბეგი ა. განკიცხული. (მოთხრობა). თბ., 1884. ამონაჭერი „ივერია“-დან. 1884, № 1, 2, 3.  
წიგნში დევს 1938 წ. 28 იანვ. გაზ. „კომუნისტი“, რომლის მე-3 გვერდზე დაბეჭდილია „ი. გრიშაშვილის წერილი „ყაზბეგი თეატრში“.
- 3923–3924. ყაზბეგი ა. დაუბეჭდავი ლექსები. ტფ., 1910.  
კანზე: „ჩემს ბიბლიოთეკას ი. გრ. ეს წიგნი ჩემს მიერ ნამუშევარია“. აქვე გაზეთის ამონაჭერი: „ალ. ყაზბეგის ლექსები“, მიწერილია: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1938 წ., № 285, 15 დეკემბერი“.
- თავფურცელზე წარწერა: „იხ. ხელნაწ.“ – აქ იგულისხმება ჩემს ბიბლიოთეკაში დაცული ა. ყ. დავთარი. ი. გრ.“
- გვ. 12. არშიაზე: „ეს ლექსი გადაიბეჭდა – იხ. „სახალხო გაზეთი“, [ხრამელაშვილის რედაქ.] 1909, № 6, 18 ოქტომ., ი. გრ.“
- გვ. 27. არშიაზე: „[ეს ლექსი დაწერილი ყოფილა ხელმწიფის სურათზე. იხ. იაგორ ღუდუშაურის მოგონებაზე]. ი. გრ.“
3925. ყაზბეგი ა. დარო (მოთხრობა). თბ., 1916. ამონაჭერი: „მერანი“, 1916, № 1. ეს მოთხრობა აკინძულია და შემოკრული აქვს ქალაქის კანი, რომელზედაც წერია: „ა. ყაზბეგი. ი. გრიშაშვილის გამოტანილი. იხ. „მერანი, 1916 წ., № 1 (მეტი არ გამოსულა).  
ტექსტის ბოლოს მინაწერი: „აკლია გვერდნახევარი. იხ. „მერანი“, 1916 წ. № 1“.
- კანის მე-4 გვ. წერია: „აკლია. სრული ჩემს შეკვრაში მაქვს“.
- წიგნში დევს გაზ. „ივერის“ 1904 წ. 21 ნოემბრის ნომერი. პირველი გვერდის არშიაზე მინაწერი: „ი. გოგებაშვილის წერილი ა. ყაზბეგზე – როგორ დაბეჭდა „ელისო“. ეს წერილი მოთავსებულია გაზეთის მე-2 გვერდზე. ტექსტში ხაზგასმულია ადგილები.
3926. ყაზბეგი ა. დაუმთავრებელი მოთხრობები – ამონაჭერი „მოამბე“-დან, 1895, № 7.
3927. ყაზბეგი ა. დილა ქორწილის შემდეგ. ვოდვეილი 1 მოქ. ამონაჭერი წიგნ. ალ. ყაზბეგი. თხზულებანი. ნაწ. 1. თბ., 1885.
3928. ყაზბეგი ა. ელგუჯა. მოთხრობა. [თბ.], 1914.  
გვ. 190. მოხაზულია ადგილი, არშიაზე მიწერილია: „მათია?“  
გვ. 129. ხაზგასმულია: „ყველა ამ სიტყვებში“... მიწერილია: „ყოველ ამ სიტყვაში.“  
გვ. 154. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „ეს არ არის თხზულებაში“ გვ. 101.“  
წიგნის ბოლო ფორზაცზე წერია: „ბ. ახოსპირელის წიგნებიდან. 1. ჩემი სიმღერა; 2. ჩემი ნანიწა, 3. ცხოვრების სიმღერები. 4. შვენება და სიყვარული.“
3929. ყაზბეგი ა. ელგუჯა. [მოთხრობები], ტფ., 1920.

3930–3931. ყაზბეგი ა. ელგუჯა. [მოთხრობა]. ტფ., 1927.

3932. ყაზბეგი ა. ელგუჯა. [მოთხრობა] ტფ., 1937.

3933. ყაზბეგი ა. ელგუჯა. მამის მკვლელი [მოთხრობები]. თბ., 1948.

3934. ყაზბეგი ა. ელისო. მოთხრობა ჩეჩენთ ცხოვრებიდან. თბ., 1884.

კანზე: „იხ. განცხადება. ი. გრ.“

კანის მე-4 გვერდზე ხაზგასმულია: „ელგუჯა“ (ისტ. მოთხრობა) ამავე „ავტორისა“, მიწერილია: „ეს აიკრძალა“.

3935–3937. ყაზბეგი. ა. ელისო. მოთხრობა. ქუთაისი, 1909.

კანზე: „ეს წიგნი იმით არის აღსანიშნავი, რომ აღ. ყაზბეგის ენა საგრძნობლად შეცვლილია ქუთათურების მიერ. ი. გრ. P. S. იხ. ამ წიგნის ბოლო შენიშვნა“.

წიგნში დევს კონვერტი, რომელშიაც მოთავსებულია: 1. „კრებულიდან“ ამონაჭერი და ი. გრ. მიერ შეკრული წიგნაკი, რომლის თვითნაკეთ კანზე წერია: „ი. გრ. დიმიტრი ყაზბეგი. „მავნე სულები“, „კრებული“, 1872, № X–XI–XII“. პირველ გვერდზე: „ი. გრ. მე ვმუშაობ „კრებული“, 1872–3 წ., № X–XI–XIII“. უკანასკნელ გვერდზე მიწერილია: „ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი, დიმიტრი ყაზბეგი (მიტკა), რომელსაც ავი ენანი აკუთვნებენ ა. ყაზბეგის მოთხრობებს. ი. გრ.“ 2. გაზეთიდან ამონაჭერი: „გიორგი თედორაძე – ჩადინებული (აღ. ყაზბეგის მოთხრობის „ხევის ბერი გოჩას“ ხალხური ვარიანტი). „ლიტ. საქართველო“, 1940, № 7“. 3. ქალაქის ნაჭერი, მინაწერით: „ა. ყაზბეგი. აკლია ლექსები და „დილა ქორწილის შემდეგ“. ცალკე მაქვს „ელისო“. 4. მუყაოს ნაჭერი, რომლებზედაც მიწერილია: „ყაზბეგის ზოგიერთი წიგნი და ლექსები ცალკე შეკვრაში მაქვს. იქ არის აგრეთვე უცნობი მოთხრობები“. 5. 1913 წ. გაზეთიდან ამონაჭერი განცხადება აღ. ყაზბეგის დრამის „კონსტანტინე ბატონიშვილის“ დადგმის შესახებ. აგრეთვე ქალაქის 4 ნაჭერი ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნებით აღ. ყაზბეგის ნაწარმოებებზე.

მესამე ცალის კანზე: „ქუთაისმა ენა გადაუკეთა.“

3938–3939. ყაზბეგი ა. ელისო. [მოთხრობა]. ტფ., 1917.

3940–3941. ყაზბეგი ა. ელისო. [მოთხრობა]. ტფ., 1920.

კანზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „დ. კარიჭაშვილი.“

3942. ყაზბეგი ა. კონსტანტინე ბატონიშვილი ისტ. დრამა 5 მოქ. და 7 სურ. ამონაჭერი აღ. ყაზბეგი. თხზულებანი. 1904.

ხელნაკეთ კანზე წერია: „აღ. ყაზბეგი. კონსტანტინე ბატონიშვილი. [ქეთევან წამებული]. ეს პიესა პირველად დაიბეჭდა ჟ. „ივერიაში“, 1883 წ., № 4, 5-6-7 (?) ი. გრ. 1904“.

კანის მე-4 გვ.: „ყაზბეგის პიესა „წამება ქეთევან დედოფლისა“ „ივ.“, 1883 წ., № 4. ა. ყაზბეგის „მტრედი“ სად დაიბეჭდა? ნობათში“.

3943–3944. ყაზბეგი ა. მოძღვარი. მოთხრობა. თბ., 1885.

თავფურცელზე წიგნის პალატის ბეჭედი, მიწერილია: „ეს მათი დუბლიკატი იყო. ი. გრ.“

წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი შ. ღლონტის წერილი „მასალები ი. გოგებაშვილის ბიბლიოგრაფიისათვის“. ხაზგასმულია: „ი. გოგებაშვილის ფსევდონიმები“, მიწერილია: „ი. გრ. „სახალხო განათლება“, 1947, № 18, 1 მაისი“.

3945. ყაზბეგი ა. მოძღვარი. [მოთხრობა]. თბ., 1928.

3946–3947. ყაზბეგი ა. რჩეული მოთხრობები. ტ. 1–2. ტფ., 1924.

ტ. 1.

კანზე: „ი. გრ. ჩემი ჩამატებული „(მათია?)“. შეცდომა, გვ. 327“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1924 20/II. შეცდომაა 328“. ს. აბაშელის წინასიტყვაობაში, გვ. VI ხაზგასმულია: „გრიქუროვის სტამბაში“ და არშიაზე მიწერილია: „გრიქუროვმა გამოსცა, მას სტამბა არ ჰქონია. ჰქონდა წიგნის მაღაზია“. ხაზგასმულია: „ცენზორს მიუცია ნებართვა ცალკე წიგნად „ელგუჯა“-ს [გამოცემისა]“ არშიაზე: „ალბათ ამაზე ეწერა ალ. ყაზბეგი“.

გვ. VII. მოხაზულია: „მამის მკვლელში“ და გასწვრივ წერია: „რატომ ეს აღარ გაასწორე? იხ. გვ. 328.“

გვ. VIII. მოხაზულია 5 სტრიქონი, დაწყებული სიტყვებით: „საზოგადოდ ყაზბეგის ნაწერებში“... და არშიაზე: „სანდრომ იქნება მართლა გადაწერის დროს სახელები შეცვალა“.

ვ. კოტეტიშვილის შესავალ წერილში, გვ. XXXI ხაზგასმულია: „წამება ქეთევან დედოფლისა“, მიწერილია: „დაიბეჭდა ამ სათაურით „ივერიაში“. იმავე გვერდზე სიტყვების: „Торговля Алек. Казбека“– გასწვრივ მიწერილია: „ი. ევდომვილსაც ჰქონდა ასეთი დუქანი“.

გვ. XXXIV. მესამე აბზაცში ხაზგასმულია: „მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა“, არშიაზე მიწერილია: „ეს ის პიესებია, რომელზედაც გ. თუმანიშვილი წერს თავის „Восп. и харак.“

გვ. XXXV. პირველ აბზაცში ხაზგასმულია: „იხ. „დროება“, წ. კ. გამ. საზ-ბის წ. საც. № 3990“. არშიაზე: „№ -რი წგ.?“

გვ. 328. ხაზგასმულია ორ ადგილას „ათ-ათი თუმანი“, მიწერილია კითხვის ნიშანი. შეცდომაა „ოც-ოცი თუმანი“.

ტ. 2.

კანზე: „ი. გრ. 16 სექტ. 1924“.

3948. ყაზბეგი ა. ფათი. სააღდგომო მოთხრობა. ამონაჭერი: ა. ყაზბეგის თხზულებანი. ნაწ. 1. თბ., 1885.

3949. ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) ა. ციკო. მოთხრობა. თბ., 1883.

კანზე: „ი. გრ. გადმობეჭდილი ჟურნ. „ივერიიდან“, 1883 წ.“

3950. ყაზბეგი ა. ციკვა. – ელისო. [მოთხრობები]. ამონაჭერი: ა. ყაზბეგი. თხზულებანი ნაწ. 1. თბ., 1885.

3951. ყაზბეგი ა. ხევისბერი გოჩა. [მოთხრობა]. ტფ., 1928.

თავფურცელზე: „ვიყიდე ბაზარზე. ი. გრ.“

3952. ყაზბეგი ა. ხევისბერი გოჩა. მოთხრობა. ტფ., 1935.

3953. ყაზბეგი ა. ხევისბერი გოჩა. მოთხრობა. თბ., 1953.

3954–3958. ყანჩაველი გ. სევდის ნაკვესი. [ლექსები და მოთხრობა]. გამოც. 1-ლი. თბ., 1911.

3959–3960. ყიფიანი დ. ზვიმა. ქინაქინის ამბავი. (ყანლისის თხზულებიდან – გამოკრებილი) დიმ. ივ. ყიფიანის მიერ. ქუთაისი, 1896.

კანზე მინაწერი: „დაიბეჭდა პირველად „ცისკარში“. 1858, № IX.“

3961. ყიფიანი ე. ავანსის ავანსი. [იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1960.

3962. ყიფიანი ე. დღისით, მზისით [იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1956.
3963. ყიფიანი ე. მაღალი ჭერი. [მოთხრობები]. თბ., 1956.
- თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით ედ. ყიფიანი 19. 7. 56.“
- 3964–3965. ყიფიანი ე. ღიმილი სარკეში [იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1959.
- კანის მე-2 გვ.: „იოსებ გრიშაშვილს საყვარელ პოეტს უღრმესი პატივისცემით ედიშერ ყიფიანი. 15. 7. 59.“
- 3966–3972. ყიფიანი ვ. სამეგრელოს მთავარი ლევან. ისტ. დრამა 5 მოქმ. [თბ., 1909].
- თავფურცელზე: „იბეჭდებოდა გაზ. „დროება“-ში 1909 წ. ფელეტონებად. ეს წიგნი 1909 წ. გამოვიდა ი. გრ.“
- კანზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „სუფლიორის ეკზემპლიარი. ვ. მესხი“.
- წიგნში დევს ქალაქის ორი ნაჭერი მინაწერებით: „1. „სამეგრელოს მთავარი ლევანი“ (იხ. ალმანახი ვ. გუნიასი, „თეატრი“, 1909, № 7, გვ. 12). 2. „სამეგრელოს მთავარი ლევანი“, (იხ. „ფასკუნჯი“. 1909).
- მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი. 1918 წ. 6 აპრილი“.
- წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი, რომელზედაც დაკრულია განცხადება ვასილ ყიფიანის გარდაცვალების შესახებ, მიწერილია: „30 იანვარი 1926 წ.“
- მესამე ცალის კანზე, თავფურცელზე, გვ. 1. ბეჭედი: „ქუთ. ქართ. დრამატიული საზოგადოება“.
3973. ყიფიანი ი. ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ. ფანტასტიური რომანი. თბ., 1936.
- გაზეთიდან ამონაჭერი ვ. მელაძის რეცენზია ამ წიგნის შესახებ – სათაურით „სიბრძნე-სიცრუე ყიფიანისა“, მიწერილია: „ლიტ. საქართ.“, 1937, № 6“.
3974. ყიფიანი ი. მოთხრობათა კრებული. გადმოკეთებული. ქუთაისი, 1911.
- 3975–3978. ყიფიანი ნ. სიზმარი. ი. გრიშაშვილის გამოცემა. [ტფ., 1916].
- 3979–3981. ყიფიანი ს. სამი მოთხრობა. ინდოურების თავგადასავალი. – ირემი და ხარი. – გამოუცხადეს. ტფ., 1911.
- 3982–3984. ყიფიანი ს. შაქარას ნაამბობი (აღდგომა თუ გარეგნობა). [მოთხრობა]. ქუთაისი, 1914.
- თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „პ. გუგუშვილი“.
- 3985–3986. ყიფიანი ს. წვრილი მოთხრობანი. ტფ., 1911.
- კანზე: „ი. გრიშაშვილი. 1917 წ. 4/II.“ იქვე ავტორის გვართან წერია: „[დაიბ... გარდაიც. 1930. მარტს]. ი. გრ.“
- თავფურცელზე ავტორის გვარის გასწვრივ: „ხეობელი ამის ფსევდონიმი იყო. ი. გრ.“
- სარჩევში ხაზგასმულია მოთხრობა „საწყალი მელანო“, მიწერილია: „დროების კალენდარი“, 1908, გვ. 113.“
- კანის მე-3 გვ. წერია: „აკლია: 1. „მეგობრის ნაამბობიდან“. (დიდი მოთხრობა). (იხ. „ივერიის ბიბლიოთეკა“ № 3, 1905 წ.). 2. „დროების კალენდარი“, ი. ი. მჭედლიშვილ. შედგ. „საწყალი მელანო“ არის აქ. 1908 წ., გვ. 113.“ ამ მინაწერს დამატებული აქვს: „დისტიპლ. ბატალ.“
- კანის მე-4 გვ. „ნ. სამანაშვილის გამოცემა“ ი. გრ.“
- წიგნში დევს 2 ამონაჭერი გაზეთ „საქართველოს“ 1920 წ., № 71. 72-დან: „სვ. ყიფიანი „რუსული ღორის კანონი“ (პატარა ამბავი)“.

მეორე ცალის კანზე და თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“.

3987. ყორღანოვი მ. ლექსები. ტფ., 1876.

3988. ყორღანოვი მ. სხვადასხვა ლექსები. თხზულება. ტფ., 1881.

კანსა და თავფურცელზე: „ი. გრ. 1923. 10/V.“

კანის პირველ გვერდზე: „მირზა შაფი“ (60)“.

კანის მე-2 გვ.: „P. S. ერთი ყორღანოვი ქართული ენის პირველ მასწავლებლად ითვლებოდა ტფილისში. ეს ყორღანოვი ხომ არ იყო? ი. გრ.“

თავფურცელზე: „ეს წიგნი ძლივს აღვადგინე. პუშკინის ლექსები, გვ. 84, 73. კამათი ლექსებით, გვ. 100–105“.

გვ. 90. ლექსის დასაწყისში ხაზგასმულია: „პუშკინით“, მიწერილია კითხვის ნიშანი. არშიაზე წერია: „ეს ლექსი გ. შიხიანსაც აქვს ნათარგმნი. იქ წერია: ბერანჟედან. იხ. „კრებული“, გვ. 8.“ იქვე: „ეს ლექსი გ. დვანაძედან არის აღებული.“

**ყუბანეიშვილი ს.** ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. წინასიტყვ. კ. კეკელიძის ტ. 1–2. თბ., 1946–1949.

ტ. 1. 1946.

წიგნში გაზეთიდან ამონაჭერი ტ. რუხაძის „უცხოეთის კულტურის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ – ლიტერატურული შენიშვნები“, მიწერილია: „ლიტ. და ხელოვ.“, 1947 წ., 28 დეკემბ., № 49.“

ტ. 2. 1949.

3991. ყურაშვილი ს. რაინდები. (ლექსები და პოემები). [ცხინვალი], 1956.

3992. ყურაშვილი ს. სიტყვა გენერალ ლესელიძეზე, (ლექსები და პოემები) [ცხინვალი], 1952.

თავფურცელზე წარწერა: „პოეტს – აკადემიკოს სოსო გრიშაშვილს: უღრმესი პატივისცემის ნიშნად ავტორისაგან. 23-XII 52 წ.“

ფორზაცზე დაკრულია ავტორის წერილი: „პატივცემულ სოსოს! როგორ ბრძანდებით? გავიგე ავადმყოფობსო და გული ჩამწყდა, თქვენთან ავადმყოფობას რა ხელი აქვს?! გიგზავნით ჩემ წიგნს „სიტყვა გენერალ ლესელიძეზე“ სადებიუტოა. გულის ფანცქალით მოველი თქვენს აზრს ამ წიგნზე – ყველაზე ავტორიტეტულს და საჭიროს ჩემთვის. ამას გთხოვთ უდიდესი მოწიწებით, განსაკუთრებული მორიდებით. საუკეთესო სურვილებით სერგო ყურაშვილი. 23-XII 52 წელი“.

3993. შავარდნაძე ვ. სიყვარულის მსხვერპლნი. დრამა 5 მოქ. ბათომი, 1900.

თავფურცელზე ბეჭედი: „Суфлиор Иосиф Г. Мамулов.“

3994. შავგულიძე ს. ი. საღამოს მზადება სკოლაში. კომ. 1 მოქმ. თბ., 1920.

კანზე: „ი. გრ. იმერიზმები, გვ. 18“.

3995. შავგულიძე ს. ი. საღამოს მზადება სკოლაში. კომედია. [ფოთი, 1921].

3996. შავგულიძე ს. ი. ფარნაოზის მესამე ცოლი. კომ 1 მოქმ. სოფლის ცხოვრებიდან. ქუთაისი, 1919.

3997. შავგულიძე ს. ი. წითელი სანათით. [მოთხრობები]. ტფ., 1925.

თავფურცელზე წარწერა: „პატივისცემით ი. გრიშაშვილს. ს. შავგულიძე“.

3998–3999. შაველაშვილი შ. გულიდან. ლექსები. ტფ., 1934.

თავფურცელზე წარწერა: „სოჭის ატყორცნილ ხეს: ნინიკოს, რომელიც ქარში ირწევა, როგორც ოცნება. ავტორისაგან“.

წიგნშია ნინო თოფურიძის სამედიცინო ტექნიკუმის სტუდენტის პირადობის მოწმობა – გაცემული 1933 წლის 31/X და ქალაქი წარწერით „ახალგაზრდა პოეტებო! ნუ გიყვართ თქვენი ლექსების წიგნებზე მიძღვნა სანტიმენტალური სიტყვების, თორემ ხომ ხედავთ თქვენს საიდუმლოებას ვერ ინახავენ, ბაზრებში პარკების შესახვევად ჰყიდიან. კიდევ კარგი მე ჩამივარდა ხელში. ი. გრ.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „ი. გრ. 1931 წ.“

სუპერზე: „გვ. 46. ჩემზე“.

4000. შაველაშვილი შ. ქართლის ტრამალები. ლექსები. ტფ., 1934.

4001–4003. შავთელი ი. თამარ მეფასი და მეუღლის მისისა დავით მეფისა შესხმა. თქმული ლექსად აბდულ-მესსია შავთელისაგან. წელსა ქრისტესით 1192-სა აღბეჭდილი პლატონ ეგნატის-ძის იოსელიანის მიერ. ტფ., 1839.

სუპერზე: „ი. გრ. აბდულმესიანი“.

4004–4006. შავთელი ი. თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფის შესხმა. თფ., [1883].

ფორზაცზე წარწერა: „ვუძღვნი ჩემს საყვარელ ძმას და მეგობარს ვანო პოლუმორდვინოვს. ლ. მშველიძე.“

თავფურცელზე: „ვანო პოლუმორდვინოვის წიგნებიდან. იქვე ბეჭედი: „Григорий Тимофеевич Полумордвинов“.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „სილოვან ხუნდაძეს გამომცემლისაგან“.

4007–4010. [შავთელი ი.] ქებანი დავით მეფისა, დავით მწირის მიერ. გამოც. ს. კაკაბაძე, ტფ., 1913.

გვ. 17. ხანა 56. ხაზგასმულია სიტყვა „ედილად“, მიწერილია: „მასწავლებელი.“

ხანა 57. ხაზგასმულია: „ცხოვრებ“, მიწერილია: „ცხვრებივით“. ხაზგასმულია: „მზახთა“, მიწერილია: „ზახილი“.

ხანა 58. ხაზგასმულია: „ზარქან.“ არშიაზე: „ოქრორჩეული“. ხაზგასმულია: „ბაზიყად“, მიწერილია: „ამხანაგი, ტოლი.“

ხანა 59. ხაზგასმულია: „ეტონეოსა“, მიწერილია: „მთა იტალიაში, ცეცხლისმფრქვევი“.

გვ. 18. ხანა 60. ხაზგასმულია: „კვირინ“, მიწერილია: „რომი“. ხაზგასმულია: „გუთეთი“, მიწერილია: „ყირიმი“. ხაზგასმულია: „ციდა მტკაველი“, მიწერილია: „ქონდრის კაცი“.

ხანა 62. ხაზგასმულია: „ხორშაკთა“, მიწერილია: „ცხელი უდაბნოს ქარი“.

გვ. 19. არშიაზე მიწერილია: „28 ნოემბერი. 1918 წ.“

ხანა 67. ხაზგასმულია: „შეფრინვით“, მიწერილია: „აღტაცებით“.

გვ. 24. ხანა 86. ხაზგასმულია 1–2 სტრიქონი:

„ვით ქვიშა ზღვისა, ცვარი წვიმისა,  
ვერვინ აღრიცხვის თვითოეულად“.

არშიაზე: „აკაკისაც აქვს.“

გვ. I. სიტყვასთან „გოლი“ მიწერილია: „გოლეული“.

გვ. II. სიტყვასთან „მე“ მიწერილია: „მეძხანა – სამიკიტნო“, „რამლი“. მიწერილია: „ქვიშა“. „სარდიონი“ – ქვა არის“, მიწერილია: „სისხლის ფერი“.

მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ლევ. ფალიაშვილი“.  
4011–4013. შავთელი ი. აბდულ-მესიანი, რედ. მ. გ. ჯანაშვილისა. თბ., 1915.

გვ. 68. ტექსტში აღნიშნულია „ქონდრის კაცნი“. არშიაზე: „მაიმუნი?“  
4014–4016. შავთელი ი. აბდულ-მესიანი. მ. ჯანაშვილის წინასიტყვ. და განმარტ. ტფ., 1920.

კაზნე: „ჩემს საყვარელ შიო არაგვისპირელს სახსოვრად – მ. ჯანაშვილი“.

მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „პაატა გუგუშვილის წიგნებიდან.“

4017–4018. შავთელი ი. აბდულ-მესიანი, ტფ., 1937.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1937. 24/XII. შოთას დღე.“

გვ. 47. ხაზგასმულია: „დამეყბედოსა“. არშიაზე: „ვაჟა“.

გვ. 50. ხაზგასმულია: „ძვალნი ქარქვეტებრ.“ არშიაზე: „დაბადებამიც არის ეს სიტყვა“.

გვ. 54. ლექსიკონში ხაზგასმულია: „მატერია“. მიწერილია: „ქსოვილი“. „ინახი – საუბარი. არშიაზე: „ინახით ჯდომა.“

გვ. 56. ხაზგასმულია: „მწყაზარი – თეთრი“, მიწერილია: „თეთრწითელი“.

გვ. 57. სიტყვასთან „სარდიონი“ მიწერილია: „ძვ. ქვა“. „ქარქვეტი ლერწმის“ – მიწერილია: „ქარქვეტა – ლერწმისა არ არის - სხვა მცენარეა“.

გვ. 58. ხაზგასმულია: „ხორშაკი – ძლიერ ცხელი“. არშიაზე: „ძლიერ ცხელი? რა? მაგ. ძლიერ ცხელი ლობიო ხორშაკი იქნება? ხორშაკი არის ძლიერ ცხელი უდაბნოს ქარი. ი. გრ.“

წიგნის ბოლო ფორზაცზე მიწერილია: „სადაო ახსნა: 1. ქარქვეტა, 2. ხორშაკი. 3. ინახი“.

წიგნში დევს: 1. ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ა. ნანეიშვილის წერილი იოანე შავთელზე („დროება“, 1884, № 19)“. 2. გაზეთიდან ამონაჭერი ვ. წ.-ს წერილი „აბდულ-მესიას“ ახალი რუსული თარგმანი“, მიწერილია: „ლიტ. საქართ.“, 1942 წ., № 20, 17 მაისი“.

4019. [შავთელი ი.] ქებანი დავით მეფისა. თბ., [თ. ა.].

გვ. 16. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „მგონი სარგის კაკაბაძის რედაქციით უნდა იყოს ეს გამოცემა – ბაზარზე არ მინახავს. ი. გრ. 1926.“

4020. შავიშვილი გიორგი. მოხალისე დრუჟინის ლექსი. მოხუცის ნაამბობი. გალექსილი. ქუთაისი, 1914.

4021. შავიშვილი გიორგი. მოხალისე მილიციელის ლექსები. ბების ნაამბობი ბაღის გვერდზე, მარჯვენა ფეხის ღალატი. ქუთაისი, 1915.

4022. შავიშვილი გრ. აღმშენებლობის გზაზე. მხატვრული მოთხრობა. წიგ. 2. ბათომი, 1930.

თავფურცელზე წარწერა: „რითმებით მოცეკვავეს, ხელოვანსა და მწერალს სოსო გრიშაშვილს. ავტორისაგან. ქ. ბათომი, იანვარი“. იქვე: „[1930] 14 თებერ. ი. გრ.“

4023. შავიწყაროელი ვ. ბაქიების ხროვა. კომ. 1 მოქმ. ტფ., 1866.

4024. შაიშმელაშვილი ი. ლექსები. პლ. მიროტაძის წინასიტყვ. და რედაქ. ტფ., 1935.

4025. შალამბერიძე ო. ლირიკული აპრილი. ლექსები. თბ., 1957.  
წიგნის ბოლო კანზე წარწერა: „რეცენზია „ახალგაზრდა კომ.“ 1957, № 82, 9 ივლისი.“
4026. შალიკაშვილი ვ. ჩვენები. კომ. 3 მოქ. ამონაჭერი: „თეატრი და ცხოვრება“, 1930, № 24, – 28.  
აკინძულია წიგნად ი. გრ. მიერ.  
კანის მე-4 გვ.: „პიესების ყაფაზა“.
4027. შამათავა დ. მოზარდი ენთუზიასტები [ლექსები]. ტფ., 1933.  
4028–4029. შამათავა ე. ეხლანდელი „რამე რუმე“ და სხვანი. [ლექსები]. ფოთი, 1915.  
ფორზაცზე ცენზორის ხელწერა: „Просмотренно 15 мая 1952 г. И. Судаков“ ცენზორის გვარის წინ დაბეჭდილია: „И. об инструктора по делам печати в кутаисском губернии.“  
თავფურცელზე ბეჭედი: „პ. გუგუშვილი“.
- მეორე ცალის თავფურცელზე: „თბილისში არ არის ეს წიგნი. ი. გრ.“
4030. შამანაძე ნ. სიჭაბუკის გზაზე. ლექსები. თბ., 1957.
4031. შანიძე აკაკი. ქართული ეროვნული ჰიმნი. [ლექსი]. ამონაჭერი „პრომეთე“-დან, 1918, № 1.  
შეკერილია წიგნად ი. გრ. მიერ. კანზე: „აკაკი შანიძე. ქართული ეროვნული ჰიმნი. „პრომეთე“. 1918 წ., № 1, ი. გრ.“
- 4032–4034. [შანიძე ა.] ალეო ბეგალელი. ლექსები. [თბ.], 1928.  
მეორე ცალის თავფურცელზე: „სახსოვრად მეგობარ შოთა ძიძიგურს. ავტორი. 4/III 30 წ. ტფილისი.“
4035. შანიძე ა. ლექსები. თბ., 1939.  
თავფურცელზე წარწერა: „სახსოვრად ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. პატივისცემით ავტორი. 20/XI 32. ტფილისი“.
- 4036–4037. შანიძე ა. მეჩვიდმეტე. ლექსები. [ლექსების მეოთხე წიგნი]. ტფ., 1934.
- 4038–4039. შანიძე ა. სიყვარულმა მათქმევინა. [ლექსები]. თბ., 1955.  
კანის მეორე გვერდზე წარწერა: „ძვირფას ადამიანს, ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. პატივისცემით ავტორი. 25/I 56 წ.“
4040. შანიძე ა. ჩემი ოცნების ცისკარი. [ლექსები]. თბ., 1957.
- 4041–4095. შანშიაშვილი ს. [თხზულებანი]. ტ. 1–2. ტფ., 1925–1926.  
ტ. 1. ლირიკა. პოემები. 1905–25 წ. 1925.  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1925. 31/XII“.
- კანის მე-2 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა ს. შანშიაშვილის დრამის – „მათრახის პანაშვიდი“-ს დადგმის შესახებ მინაწერით: „Заря“, 22 ნოემბ., 1925 წ.“ იქვე: „P. S. როსსეკის რომანი სასცენოდ გადმოაკეთა ვ. მარჯანიშვილმა. ვ. მარჯანიშვილმა ეს თავის პიესა („Сказка старой липы“) გადასცა შანშიაშვილს სათარგმნელად. მან გადააკეთა და დაარქვა „მათრახის პანაშვიდი“.
- გვ. 7. ხაზგასმულია: „არ ჩახრის მუხლს“, მიწერილია: „იხ. გვ. 24“. ხაზგასმულია: რითმები: „ერთობა, ალავერდობა“, მიწერილია: „კარგია“, „მარანი“, „ჰარალი“, მიწერილია: „იხ. 48“.
- გვ. 8. ლექსთან „მაისობა“ მიწერილია: „გაზ. „ახალი სოფელი“, 1925“.
- გვ. 20. ხაზგასმულია: „თვითონ იცხოვრონ და სხვაც აცხოვრონ.“ არშიაზე: „ილია“.
- გვ. 28. ლექსთან „კახეთი“ მიწერილია: „ვაჟა. იხ. „სახალხო დამატება.“



- გვ. 30. მოხაზულია: „წყალნი ეგრერიგ მორბიან, თითქოს თმას შლიდნენ მხეველნი“, მიწერილია: „კარგია, მაგრამ ძველია, ვიღაცას აქვს კიდეც“.
- გვ. 34. ხაზგასმულია სტრიქონი „არ იამაყოს ამ გულმა...“ მიწერილია: „ვაჟა.“
- გვ. 38. ხაზგასმულია: „არეს სამარეს“, მიწერილია: „ჩემი.“
- გვ. 39. მოხაზულია: „ფაფარ-აშლილი, მასზე გაშლილი“, მიწერილია: „ტ. ტ. მოსწონს“.
- გვ. 41. ლექსის ბოლო სტროფს მიწერილი აქვს: „ილია“.
- გვ. 43. ლექსთან „ციხეში იჯექ“, მიწერილია თარიღი: „1906 წ.“ გასწვრივ წერია: „1915 წელს დაიბეჭდა „საქ.“ დამატებაში“.
- გვ. 45. ხაზგასმულია რითმა: „მოალხენს – მოახლეს“, მიწერილია: „კარგია.“ ხაზგასმულია: „ლალისფერია თუ ქარვის ფერი, კახურ ღვინოს მე ვსვამ და ვმღერი“... მიწერილია: „დ. გივიშვილისა „ღვინოვ კახურო ვარ შენი მსმელი, გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი.“
- გვ. 46. ხაზგასმულია რითმა: „ნაური – ინდაური“, მიწერილია: „ინდაური ბევრჯერ აქვს.“
- გვ. 48. ლექსის „ბრძოლის სიმღერა“ ბოლოში მიწერილია: „ეს ლექსი დაწერილია 1915 წ. იხ. „საქ.“ დამატებანი.“
- გვ. 49. ლექსთან „ხალხს“ მიწერილია: „(გვ. 93)“.
- გვ. 54. ლექსის „ნახვამდის“ დაწერის თარიღი დაბეჭდილია „1909 წ.“ მიწერილია: „1910 წ.“
- გვ. 55. მოხაზულია ლექსის „არავის ველი“ ბოლო სტროფი, მიწერილია: „ქუჩიშვილმა ამას მიჰზადა“.
- გვ. 60. ლექსში „მგოსანს“ მოხაზულია დაწერის თარიღი, მიწერილია: „ი. ევდოშვილზე(?) იხ. „ცნ. ფურც.“ დამატება.“
- გვ. 68. მოხაზულია 1 სტროფი, მიწერილია: „მარიჯან.“
- გვ. 90. ლექსის „მოღალატე ლეილა“ ბოლოში მიწერილია: „(იხ. ლეილა № 2 და დედანი).“
- გვ. 99. ლექსში „დია“ მოხაზულია სტროფები და მიწერილია: „იხ. „რჩეული ნაწერები“, გვ. 269, 270“.
- გვ. 101. არშიაზე მიწერილია: „დია“ დაიბეჭდა ბევრჯერ სხვადასხვა თარიღით.“
- გვ. 127. ლექსთან „ელდინო“ მიწერილია: „აქ ლექსები ამოღებულია პოემა „შვების თავადიდან.“
- გვ. 142. ხაზგასმულია: „ხალისით – ალიზით“, მიწერილია: „იხ. გვ. 6“.
- გვ. 147. მოხაზულია: „ვაქებ შვენიერს“... მიწერილია: „ჩემი რომანსი „ცით მონაბერო სულო ციერო მსურს მშვენიერო სულ შენ გიმღერო“, 1908“.
- გვ. 222. სარჩევში ხაზგასმულია: „ოცნების მხარეს“, მიწერილია: „ამ პოემაზე იხ. საშინელი წერილი (პლაგიატობას სწამებენ – ედმონ როსტანი გაქურდაო). იხ. გაზ. „მომავალი“, 1909 წ., 65, 68, 75“.
- წიგნის ბოლო ფორზაცზე: „რა სამაგელი გამოცემაა. ი. გრ. საინტერესო და კურიოზული რეცენზიაა მოთავსებული („ახალ სოფელში“, № 113, 1927, 24 თებერვ.)“.
- მეორე ცალის თავფურცელზე: „მომავალი თაობის აღმზრდელს ვარლამ ძიძიგურს. ავტორი. 1926 წ. 23/III“.

- ტ. 2. ეპოსი. 1926.
- თავფურცელზე წარწერა: „პოეტ სოსო გრიშაშვილს. ავტორი. 1926 წ. 15/III.“  
კანზე: „თარიღის შეცდომა 212“.
- გვ. 32–33. მოხაზულია სტროფები, მიწერილია: „ამოღებულია ახალ გამოცემაში“.
- გვ. 35. ხაზგასმულია: „ძუძუმკერდი გადმოშლილი შუქსა ფენდა, ვითა მთვარე“, მიწერილია: „იხ. 275 1947 წ. გამოცემა.“
- გვ. 41. ხაზგასმულია: „რითმა“, მიწერილია: „რა რითმაა დამაფარე-შემიფარე.“
- გვ. 64. მოხაზულია 3 სტროფი, მიწერილია: „ბ. ახოსპირელი.“
- გვ. 212. ხაზგასმულია თარიღი: „1909–1912 წელი. ბერნი“, მიწერილია: „ამის ავტორი 1910 წელს 8 მაისს თბილისში ლექსს კითხულობდა, 1909 საიდან გაჩნდა ბერნში.“
- გვ. 215. ხაზგასმულია: „ბრძენო“, მიწერილია: „ბეგორ, სახელები ასე შეცვლილა 1947 წ.“
- გვ. 216. ხაზგასმულია: „გმირო“, მიწერილია: „ურგენ.“
- გვ. 217. ხაზგასმულია: „ჰანგო“, მიწერილია: „ანგირ“.
- გვ. 218. ხაზგასმულია: „ძნეო“, მიწერილია: „ნარსი“.
- გვ. 219. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „ქალის სურნელება?“
- გვ. 222. მოხაზულია მთელი გვერდი. არშიაზე: „ერთი ქალის გულისათვის ამდენი ხალხი დახოცეს.“
- გვ. 228. ხაზგასმულია: „ჩემი სხეული მე თვით მომწონს“, მიწერილია: „ქალი ამბობს“. მოხაზულია სტროფი და მიწერილია: „ჰიმნი ვნებას“.
- გვ. 248. ხაზგასმულია: „ყვავ-ყორნები ეხვევიან“, მიწერილია: „ბარათ.“
- გვ. 258. ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „სამინელება“.
- გვ. 270. ხაზგასმულია: „დიაძუხარ!“ მიწერილია: „ძუ-დედაკაცი ხარ.“
- გვ. 275. ხაზგასმულია: „ბერლინ 1912 წ.“ მიწერილია: „პირველად დაიბეჭდა „თ. და ც.“.
- გვ. 277. ლექსთან „ორფეუს და ევრიდიკე“, მიწერილია: „პირველად გაზეთში რომ დაიბეჭდა, ავტორი კ. მაცაშვილს უძღვნოდა. ალბათ ეხლა სხვები აირჩია. (იხ. I ტ.). ი. გრ.“
- გვ. 288. მიწერილია: „რა რითმაა, 234, 5–6. 246 245 – ჩემი ერი – რა შუაშია?, 255 – გულსა სჭრის შვილი დედას? 271 – სიბილწიდან ამომიყვა“.
4046. შანშიაშვილი ს. რჩეული თხზულებანი ოთხ ტომად. ტ. 1. პიესები. თბ., 1960.
- 4047–4048. შანშიაშვილი ს. რჩეული ნაწერები. თბ., 1947.
- ფორზაცზე: „...უთხარით, რომ დღეის ამას იქით ნურაფერში ნუ დამინდობს და თუ მტრობა უნდა, პირდაპირ მიმტროს, – იქნება ჩვენც შევიძლოთ პასუხის გაცემა. ილია ჭავჭავაძე. („ამირანი“, 1908, № 158).“ იქვე: „1. მაიაკოვსკი ეუბნება მზეს მოდი ჩემთან მაგიდაზე და ერთად ჩაი დავლიოთო. (ჩაის სვამენ მურაბით) ი. გრ. 2. პორნოგრაფია 137, 165, 269, 275, 363, 268. 3. ყანწელებზე, 146. იხ. „შვიდი მთიები“, 1919, № 2“.
- წიგნის ბოლო ფორზაცზე: „რა ენაა, 337, 338. ი. გრ. 1947. 9.V“. იქვე: „ამქარი, 160, დასტა, 163. დოლი, 222, აიდოსტ, 218. საარი, 130, 139. დიპლიპიტო, 138.“
- ყდის პირველ გვერდზე: „დამუშავებულია“.
- ყდის ბოლო გვერდზე: „დუტუს აზრით: 297. ქმარი – 338“.

წიგნში დევს კონვერტი ქალაქის ნაჭრებით შემდეგი მინაწერებით: „1. თარიღები საკამათო. დამუშავებული. ა. შანშიაშვილი. „შური – არს მწუხარებაი სხვისა სიკეთესა ზედა“ – (საბა ორბელიანი). 2. „რა ძალა გაქვს, ხელში კალამი გიჭირავს?“ („პეპო“ – ბოლო მოქმედება). უსწავლელეები იყვნენ, სკოლაში ვინ მიიღებდა ამ ხელოსნის შვილებს. მერე კიდევ, ჩემი „ბოჰემა“ ეხება ერთ უბანს თბილისისას. აი, რატომ ვამბობდი პირდაუბანელი დადიოდა [ხარფუხში] ქართული ენა. ამ ხალხური პოეტების ლექსები, რომ იბეჭდებოდა, წინ ჯერ ანბანი იყო დართული და მერე მათი თხზულება. 3. შანშ. მიკვირებს ელამი თვალეები რად მოსწონსო, განა ტოლსტოის მიერ აწერილი ელამი თვალეი ტურფა კატიუშასი ცუდია? („აღდგომა“, გვ. 49, 1951 წლის ქართ. გამოცემა). „...კატიუშას ოდნავ ელამი შავი თვალეები ევსებოდა ცრემლებით.“

„მე მიყვარს თვალნი  
ოდნავ ელამნი.“ (ი. გრიშ.)

4. ხელოსნების შვილებს არ აძლევდნენ სწავლის უფლებას. ამიტომ ვამბობ: „ქართული ენა პირდაუბანელი დადიოდა“. სწავლობდნენ მხოლოდ მდიდრის შვილები, ჩვენის ოფლით, ტანჯვით გამოზრდილები. ზ. ჭ. (ხელოსნების პაპა). 5. ა. შანშიაშვილის „მათრახის პანაშვიდისათვის“. კოტე მარჯანიშვილი პოეტიც იყო. მას აქვს პოემები, ლექსები, პიესები. ერთი მისი პიესა: „Сказка старой липы“ ლექსად თქმული, თარგმნა და გააკეთა დრამად („მათ. პანაშვ.“ სანდრო შანშიაშვილმა. კ. მარჯანიშვილმა ნება არ დართო თავის სახელიც ყოფილიყო აფიშაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოტეს სიკვდილის შემდეგ როცა ეს პიესა დაიბეჭდა, ნამდვილი ავტორის პატარა სახელიც არ ბრწყინვალეობდეს... 6. „რა კარგი ხარ, რა კარგი“ ცნობა იხ. „ქართ. წიგნი“, გვ. 409.

კონვერტშივე დევს გაზეთის ამონაჭრები. 1. ლ. ასათიანი „საბავშვო ლექსები და იგავები“, „ლიტ. და ხელოვნება“, 1949, № 39, 2 ოქტომბერი. 2. შანშიაშვილი ს. „მწყემსი ქავთარი“, „ლიტერატ. და ხელოვნება“, 1948, № 22. 3. შ. აფხაიძე „გამოჩენილი დრამატურგი“ სათაურთან „ა. შანშ.“ „კომუნისტი“, 1949 წ., № 91, 8 მაისი“.

მეორე ცალის ყდაზე: „ეს არ არის დამუშავებული“.

4049. შანშიაშვილი ს. რჩეული. თბ., 1953.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1953. 2/IX.“

გვ. 70. ლექსთან „ჩემი სიტყვა სამადლობელო“ მინაწერი: „სოლოგუბის მიბაძვა.“

გვ. 125. მოხაზულია ლექსის „ბრძოლის სიმღერა“ დაწერის თარიღი და მიწერილია: „1916“.

გვ. 138. ლექსის სათაურის ქვეშ მიწერილია: „ილია ჭ-ძეს“.

გვ. 155. ლექსში „მხიარულობს ჩემ წინ კრება“ ხაზგასმულია ბოლო სტრიქონში: „სად მივყევარ... იქვე მიწერილია: „სად მივყევარ მდინარეც. (ი. ჭ.)“

გვ. 163. ლექსში „ცელქო გოგონა“ ხაზგასმულია: „წავალ, მეწვევა სევდა დამწველი“, მიწერილია: „ოდეს მეწვევა სევდა დამწველი (გრ. ვოლსკი).“

წიგნის ბოლო ფორზაცზე წერია: „თარი, 154. დაირა, 208. მოველ, 263. ბალმონტს, 204. „ოდეს მეწვევა სევდა დამწველი“, 163. ჩრდილოეთით, 143. თარიღი შეცვლილია, 125. „მემკვიდრე?“ 115. „მადლობელი ვარ“. სოლოგუბისა 70, არჯალი, 33“.

4050. შანშიაშვილი ს. რჩეული. [ლექსები, პოემები]. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959. 10/V.“ იქვე: „გვ. 159 საკამათო“.

- გვ. 21. მეორე სტრიქონში ხაზგასმულია: „რამაზ“, არშიაზე მიწერილია: „გვეტაძე“.
- გვ. 39. აღნიშნულა სათაური: „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“, მიწერილია: „ეს კი კარგია! ი. გრ.“
- გვ. 143. არშიაზე: „გაზ. „საქართველოს დამატება“ 1919(?)“.
- გვ. 151. არშიაზე: „დ. გურამიშვილი“.
- გვ. 163. სტროფის პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „შადიმანები“, გასწვრივ არშიაზე: „ჰაზირა“.
4051. შანშიაშვილი ს. ამბოკარი. [მოთხრობა]. ტფ., [1929].
- გაზეთიდან ამონაჭერი გ. ხ-ის წერილი ამ წიგნზე მინაწერთ: „კომუნისტი“, № 253, 1929, 1 ნომბ.“
4052. შანშიაშვილი ს. ანზორ. დრამა 4 მოქმ. გადმოაკეთ. ვს. ივანოვის „14–69“-დან. – [ამბოკარი სოციალური დრამა 5 მოქმ.]. თბ., 1935.
- 4053–4054. შანშიაშვილი ს. არსენა. [დრამატ. პოემა 5 მოქმ.], თბ., 1936.
- ყდაზე: „ი. გრ. 1936. 10/VII.“
- გვ. 6. ხაზგასმულია: „იყიდეთ კოდი ხუთ მანეთად“, დასმულია კითხვის ნიშანი, მიწერილია: „რა ამის საქმეა როგორ უნდა იყიდონ“.
- გვ. 7. ხაზგასმულია: „ეს ქვეყანა არ მომწონს, დროება წამხდარია,“ მიწერილია: „ჰაზირას ლექსის სტრიქონი“. აქვე ხაზგასმულია: „აქია“, მიწერილია: „აქია-ისტორია“. ხაზგასმულია: „გულის დარდი რას ჰქვია!“ მიწერილია: „იმერული“.
- გვ. 15. მოხაზულია არსენას სიტყვები, მიწერილია: „ლექსად არ ვარგა. პასუხი პროზად სჯობია“.
- გვ. 19. მოხაზულია არსენას სიტყვები, მიწერილია: „ია კარგარეთელის ჩაწერილი „ხალხურია.“
- გვ. 20. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „იხ. „ბოჰემა“ გვ. 163“. მოხაზულია ნენოს პასუხი და მიწერილია: „ხალხური.“
- გვ. 25. ხაზგასმულია: „ასი ურემი ჯარს სჭირდება გადასაყვანად“, მიწერილია: „გასამართლებელი საბუთი ჰქონია“.
- გვ. 29. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „მოურავს ვინ მიუშვებდა როზენთან“.
- გვ. 59. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „იხ. გვ. 60“.
- გვ. 60. ხაზგასმულია ადგილი და მითითებულია გვ. 59.
- გვ. 70. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „მსხვერპლიდან“.
- გვ. 74. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „არა აქვს დამაჯერებლობა.“
- გვ. 79. მიწერილია: „შოთა.“
- გვ. 94. მოხაზულია მართას სიტყვები და მიწერილია: „ღალატი“.
- გვ. 95. მოხაზულია მთელი გვერდი და მიწერილია: „ბევრი ლაპარაკია“.
4055. შანშიაშვილი ს. არსენა ჯორჯიამშვილი. დრამ. პოემა 5 მოქმ. თბ., 1958.
- თავფურცელზე: „ი. გრ. 1958, 12/X.“
- 4056–4058. შანშიაშვილი ალ. ბაღი სევდისა. [ლექსები. თბ., 1910].
- 4059–4060. შანშიაშვილი ს. გავლილი შარა. ლექსები. თბ., 1935.
- სუპერზე: „1936 წ.“
- გვ. 127. ლექსთან „გლეხის ქალი“ მიწერილია: „ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი. (დ. გურამიშვილი).“

- გვ. 145. სათაურის „სიმღერა თარზე“ მიწერილია: „აკაკის სათაური.“  
4061. შანშიაშვილი ს. გიორგი სააკაძე. დრამატ. პოემა. თბ., 1942.  
თავფურცელზე წარწერა: „სოსოს სანდროსაგან სახსოვრად, მოსაგონებლად. 1943 წ. 24/III.“
- 4062–4063. შანშიაშვილი ს. დედა. პოემა. თბ., 1946.  
კანზე: „ი. გრ. 1946. 28/VII.“
- გვ. 16. ხაზგასმულია ტექსტში რითმები: „იარაღს“, „იარას“, მიწერილია: „ჩემი“.
- გვ. 32. ხაზგასმულია: „რომ ჩამორეკეს მესამე ზარი“, მიწერილია: „ეხლა მესამე ზარი აღარ არის!“ მოხაზულია: „ჩავარდა ხაროს“, მიწერილია: „სადგურზე ხარო?“
- გვ. 55. ხაზგასმულია: „დასტრიალებენ სუფრას განიერს“, მიწერილია: „გრძელი სუფრა გამიგია.“
- გვ. 56. ხაზგასმულია: „ტარიელ“, მიწერილია: „ტარია?“.
- გვ. 62. მოხაზულია ტექსტი, მიწერილია: „აკაკი“.
- გვ. 73. ხაზგასმულია: „თმა სრულიად ექმნა ჭაღარა“, მიწერილია: „ზევითაც ჭაღარააო ამბობდით.“
- გვ. 75. ბოლო სტრიქონში: „მაგრამ მწარე ბედს ის არ ჩიოდა“ – მოხაზულია: „ის არ“, მიწერილია: „როდი“ ან „არა“.
- კანის ბოლო გვერდზე მიწერილია: „დავსილი(?) 44. კახეთში. 2. ღიჭის სახრე? 5. 3. გვარიანი? 7“.
- 4064–4069. შანშიაშვილი ს. დრამები. ტფ., 1926.  
კანზე: „ი. გრ. 1927. 28/III.“
- შმუცტიტულზე წარწერა: „პოეტს იოსებ გრიშაშვილს. სანდრო შანშიაშვილი, 1927 წ. 28/III.“
- წიგნის ბოლოს გაზეთის ამონაჭერი. „Рани. Сандро Шаншиашвили – Драма“ „3. В.“, № 1478, 1927.“
- 4070–4071. შანშიაშვილი ს. დრამები. თბ., 1955.
4072. შანშიაშვილი ს. კრწანისი. დრამატ. პოემა. თბ., 1942.  
ყდაზე: „წავიკითხე 1943. 8 სექტ. ი. გრ.“.
- ფორზაცზე: „ვარიანტი. ეს პიესა პრემიერად წარმოადგინეს რუსთაველის თეატრში 1943 წ. 7 ოქტომბერს. ი. გრ.“
- თავფურცელზე წარწერა: „პოეზიაში მუდამ ახალგაზრდას, მეგობარს, სოსოს. სანდროსაგან. 1943 წ. 25/III.“
- 4073–4074. შანშიაშვილი ს. ლექსები. თბ., 1943.
- 4075–4077. შანშიაშვილი ს. ლექსები. თბ., 1948.  
კანზე: „ი. გრ. 1948.“
4078. შანშიაშვილი ს. ლექსები. პოემები. [თბ.], 1940.
- 4079–4080. შანშიაშვილი ა. მეფე-მგოსანი. [პიესა. თბ., 1912]. ამოღებული კრებულიდან „გვირგვინი“, 1912.
- 4081–4082. შანშიაშვილი ა. მეჩონგურე ამბაკო. [მოთხრობები] თბ., 1928.
4083. შანშიაშვილი ს. მოთხრობები. თბ., 1946.  
კანზე: „მე და შანშ. გვ. 315.“
- ფორზაცზე: „ეს წიგნი აქო დ. შენგელიამ (იხ. „მნათობი“, 1947, № 6)“.

- გვ. 35. მოთხრობაში „სამნი“ მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „გაბზარული გული“.
- გვ. 301. მოგონებას ილია ჭავჭავაძის შესახებ მიწერილი აქვს: „ეს მოგონება თავიდან ბოლომდე მოგონილია.“
- გვ. 313. მოგონებაში – „აკაკი წერეთელი“, ხაზგასმულია ზოგიერთი ადგილი, მიწერილია შენიშვნები.
- გვ. 320. მოგონებაში – „ვაჟა-ფშაველა“, შესწორებულია ზოგიერთი ადგილი.  
წიგნის ბოლო ფორზაცზე წერია: „1. დედაკაცის შარი, მოვარდნილი ღვარი. (ანდაზა).  
2. ყარაჩოღელები და „კიკიროზი?“ გვ. 11. 3. ყალიონი და ნარგილე 66. ერთი და იგივეა“.  
წიგნის ბოლო კანზე: „ი. გრ. 1946. 21/XII“.
4084. შანშიაშვილი ს. მოჯამაგირე გაბო. [მოთხრობა]. ტფ., 1927.
4085. შანშიაშვილი ს. მოჯამაგირე გიგო. პიესა 2 მოქმ. ტფ., 1927.
- გვ. 3. წარწერა: „ამხ. იოსებ კოდუას „მოჯამაგირის ხმის“ რედაქტორისაგან 3. X.“  
კანზე და მე-3 გვ.: „ვიყიდე ბუკინისტ ქ-ნ პიჩკოვთან. ი. გრ. 1929. 3. XI.“
4086. შანშიაშვილი ს. პიესები. თბ., 1948.
4087. შანშიაშვილი ს. პიესები. თბ., 1951.
- 4088–4089. შანშიაშვილი ს. სპარტაკ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. რომის ცხოვრებიდან. ფაბულა აღებულია. ტფ., 1923.
- თავფურცელზე წარწერა: „ჩემს მეგობარს პოეტს ი. გრიშაშვილს. სანდროსაგან. 19 II/15 24 წ.“  
კანზე: „ი. გრ. 1924. 14/II.“
- გვ. 14. ხაზგასმულია: „გულის სატრფო-და მეგობარიც“, მიწერილია: „ნ. ბ-შვილი“.  
წიგნის ბოლო ფურცელზე მიწერილია: „Искусство“, გვ. 378.
4090. შანშიაშვილი ა. ტყის ქურდი. (მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან). ტფ., 1928.
4091. შანშიაშვილი ა. უგვირგვინო მეფენი. დრამა. 5 მოქმ. ამონაჭერი კრებულიდან „ქართველი მწერლები“, ტფ., 1914.
4092. შანშიაშვილი ს. ურჩი მფლობელი. იმერეთის ღამეები. [დრამატ. პოემა]. – ამონაჭერი: „მნათობი“, 1946, № 4.
- გვ. 71. როსტომის სიტყვაში ხაზგასმულია: „დაბრუნდებოდა მამ რას იქმოდა“, მიწერილია: „სამშობლოდან“ ქეთევანის რეპლიკა – ი. გრ.“
- გვ. 81. ხაზგასმულია: „თვალეზს სწვავდნენ“... მიწერილია: „სამშობლოდან.“
4093. შანშიაშვილი ს. ფარხაჩელი რევიზორი. კომ. 3 მოქმ. გადმოკეთ. [თბ.], 1929.  
თავფურცელზე ხაზგასმულია სიტყვა: „გადმოკეთებული“, მიწერილია: „საიდან?“
- 4094–4095. შანშიაშვილი ა. შვების თავადი. დრამ. პოემა 5 მოქმ. 1909–1911 წელი. ტფ., 1911.
- თავფურცელზე წარწერა: „ვუძღვნი გრიშაშვილს. გამომცემელი. 28. X. 911 წ.“  
შმუცტიტულზე მიწერილია ლექსები: 1. გრიშაშვილის ლექსები:  
„მსურს, შენი გრძნობა თაიგულად შევკრა, შევკონო,  
მსურს, შენის კოცნით აღვსდგე, კოცნით ავმალდე ცამდე;  
წმინდა ხარ, წმინდა, ივერიის ტურფა ასულო,  
იყავ კურთხეულ უკუნითი-უკუნისამდე.  
(გრ. I ტ. გვ. 115. 1911 წ.)“.
2. კ. მაყაშვილის ლექსი:

„ეხლა ანდა არასოდეს  
ცეცხლით ცეცხლით ახლდებოდეს  
ჩემი მხარე განწმენდილი  
ეხლა ანდა არასოდეს.

(კ. მაყაშვილი. 1917 წ.)“

იქვე მიწერილია: „საქართველო“, 1917, 12, „თ. ც.“, 1910.“

3. ი. გრიშაშვილის ლექსი:

„არ შევდრკებით რა გინდ მტერი  
ჩვენს წინაშე მახეს ქსოვდეს  
უნდა აღსდგეს საქართველო  
ეხლა ანდა არასოდეს!

(იხ. გრ. II ტ. 101). 1917 წ. თქმული. გუნიას იუბილეზე“

4096. შანშიაშვილი ს. შოთას ბეჭედი. წიგნი ბალადების და ლეგენდების. ტფ., [1928].

ფორზაცზე წარწერა: „სიყრმის მეგობარს იოსებ გრიშაშვილს. სანდრო შანშიაშვილი.  
1928 წ., 23/IV.“

თავფურცელზე: „ი. გრ-1928.“

გვ. 7. ხაზგასმულია: „მას ჩემი ჩანგი უთავდებია“, მიწერილია: „ბიჭოს“.

გვ. 11. ხაზგასმულია: „სევდის ბალებში“, „ამ არეს“ „სამარეს“, მიწერილია: „იხ. 78.  
„რჩეული“.

გვ. 14. ხაზგასმულია: „უმცროს მმას“, „ომში მოკლეს“, მიწერილია არშიაზე:  
„გიორგი“.

გვ. 33. ლექსის – „შოთამ მამხილა“ სათაურის გასწვრივ მიწერილია: „თამარ მეფე“.

გვ. 73. ხაზგასმულია: „კაჩეგარო“, მიწერილია: „ცეცხლფარეში“.

გვ. 74. ხაზგასმულია: „მე არ ვუშველე, მე არ ვუშველე“, მიწერილია: „ჩემებურია – ი.  
გრ.“ ხაზგასმულია: „თვითონ იცხოვრონ და სხვაც აცხოვრონ“. მიწერილია: „ილია.“

გვ. 75. ხაზგასმულია ლექსის „მაშინ სიმღერა“ – დაწერის თარიღი. მიწერილია: „1907,  
„ისარი“, 1907, № 176, 12 აგვისტო“.

გვ. 97. ხაზგასმულია: „სწვავენ“ და მიწერილია: „წინად დაბეჭდილი იყო „სწნავე“.

გვ. 100. ლექსის სათაურში „ერთი კოცნა და გავშორდეთ“ გადაშლილია „და  
გავშორდეთ“, მიწერილია: „განშორება“ „ეს ლექსი მიბაძვია.“

გვ. 136. ლექსის – „Lulmann“ – გასწვრივ მიწერილია: „ოტელო“.

გვ. 140. ლექსს „ვინც მისთვის სტირის“... ბოლოს მიწერილია: „(იხ. „საქ.“ დამატ., 1915  
წ., № 5).“

გვ. 142. წერია: „ასწევს“. მიწერილია: „აღწევს“.

გვ. 144. ხაზგასმულია: „კვალად შემამკობთ და შემაქებთ ცბიერის ენით“, მიწერილია:  
„მართალია“.

გვ. 198. ბალადა: „შოთას ბეჭედი“, დაწერის თარიღი: „1909–1923 წწ.“ ხაზგასმულია,  
მიწერილია: („განათლება?“). ამდენხანს წერდა ი. მჭედლიშვილის ტექსტზე“.

გვ. 199. ხაზგასმულია: „რაც შეეკმენ, თურმე მეტი ბარგია“, მიწერილია: „სულ ასე  
ჰგოდებდა და ეხლაც ასე ჰგოდებს. 1947. 20/V“.

სარჩევში, გვ. II. ხაზგასმულია: „ერთი კოცნა“ და მიწერილია: „მიბაძვია ი. გრ.“

კანის მე-4 გვ. მიწერილია: „თაღლითობა, 75.“

4097. შანშიაშვილი ს. ხევისბერი გოჩა. დრამატ. პოემა 5 მოქმ. ა. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით. თბ., 1945.

4098–4099. შარაძე ე. აღმასხან ბედინეიშვილი. ისტ. რევოლუც. დრამა 6 სურ. (აღებულია გურიის ცხოვრებიდან – ბატონ-ყმობის ხანიდან). ბათომი, 1933.

კანზე: „გოთაული – ადამიანით მოვაჭრე, 6“

თავფურცელზე წარწერა: „ჩვენს სასიქადულო-საყვარელ პოეტს, პატივცემულ ამხ.

სოსოს ავტორისაგან. 19 $\frac{13}{\vee}$ 37 წ.“

კანის ბოლო გვერდზე მიწერილია: „წავიხემსებთ, 18“.

4100. შარაშიძე ე. ძლიერი ლომისკარელი. ისტ. რევოლუც. დრამა 4 მოქმ. ტვ., 1925.

ავტორის გვართან მიწერილია: „(1860–1939)“.

4101–4102. შარვაძე გ. გვადანის ციხე. (ლეგენდა) [ლექსად ქ. ა., წ. ა.].

თავფურცელზე წარწერა: „ს. ნაკაშიძეს\* ძია გიორგისაგან.“

კანის მე-2 გვ.: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკიდან.“

თავფურცელზე: „იშვიათობაა! ი. გრ. 1943. 7/VII.“

გვ. 2. მიძღვნაში „თელემაკს“ [გურიელს] ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია: „გრიშასთან“ და სქოლიოში წერია: „P. S. გრიშა აბაშიძეა თუ გრიშა დადიანი? ჩემის აზრით „გრიშა“ უნდა იყოს დადიანი. (ზუგდიდის მარშალი), ძე კონსტანტინე დადიანისა და გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის) ძმისწული. ი. გრ.“

გვ. 20. ხაზგასმულია: „კეკე“ – არშიაზე: „კეკელა-კეკლუცი? ი. გრ.“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილის ბიბ-კა“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ავტორის ნასწორები გვ. 14, 28 და სხვა ი. გრ.“

გვ. 4. ტექსტში სტრიქონი „თუ ხალხი არის მოუსვენარი“ – ავტორის ხელით გადაშლილია: „მო“ და წერია: „და“. ქვემოთ სტრიქონში „მაგრამ არ ჰქონდა... არსაიდან“ გადაშლილია და ჩამატებულია: „მას“.

გვ. 14. სტრიქონში „დროს ატარებენ სიხარულითა“ გადაშლილია „დროს ატარებენ“ და ავტორის მიერ მიწერილია: „შეექცევინ“.

გვ. 28. ტექსტის ბოლოს ავტორის ხელით მიწერილია: „ნაწილი მეორე დაწყებული მქონდა და დარჩა“.

წიგნში ყოფილი პატრონის ბეჭედი: „გიორგი ნიკოლოზის-ძე ნიშნიანიძე“.

4103. შარვაშიძე გ. გიორგი მესამე. ისტ. დრამა, 4 მოქმ. [თბ.], 1948.

4104. შარვაშიძე გ. ლირიკა. ეპოსი. დრამა. ს. ჯანაშიას რედ. და ნარკვევით. სოხუმი, 1946.

თავფურცელზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს გულითადი სალამით. ს. ჯანაშიასაგან. 18. V. 1947.“

ფორზაცზე: „მე“ გვ. 51, 222.“

ყდაზე ავტორის გვარის ქვეშ: „(1846–1918)“.

გვ. 79 ხაზგასმულია ლექსი „პუმკინიდან“, მიწერილია: „გ. შ.“

\* სოფიო დადიანის ასული, მიხეილ ნაკაშიძის მეუღლე, გიორგი შარვაძის დის, თამარის ქალი. თ. ნ. (თინა ნაკაშიძე).



გვ. 86. აკაკის ლექსი „გიორგისადმი მიწერილი“ – დანიშნულია და მიწერილია: „პეტიტით აკაკის ლექსი.“

გვ. 95. ლექსში „სადღეგრძელო ქალებს“, ხაზგასმულია: „თასი“, მიწერილია: „ჯამი.“

გვ. 218. ხაზგასმულია: „ფაჩუ მხეიძე“, მიწერილია: „ამის ლექსი იხ. „ნიშად.“

გვ. 220. ხაზგასმულია: „რომ და მაგრამ“, მიწერილია: „იხ. ჩემი ა. ჭ-ძე შენიშვნებში „მეფე რომ ვიყო“.

გვ. 222. ხაზგასმულია: „ერთმა მისმა ნათესავმა“, მიწერილია: „მუშნი დადიანმა?“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „პიესა – კომლი უცეცხლოდ სად არის?“. აქვე გაზეთის ამონაჭრები:

1. კ. ბახტურიძის წერილი „გიორგი შარვაშიძე“, „კომუნ.“ 2. გ. ქიქოძის წერილი „გიორგი შარვაშიძე“, „ლიტ. და ხელ.“ 1946 წ., № 49, 20 დეკემბ.

წიგნში დევს გაზ. „საბჭ. აფხაზეთი“, 1947 წ. 2 ოქტ., სადაც დაბეჭდილია გიორგი შარვაშიძის წერილი „ბერლინერ ტაგებლატის“ რედაქციისადმი“

4105–4107. შარვაშიძე გ. მომაკვდავნი სურათნი. კომედია 4 მოქმ. მიზამვა, ქუთაისი, 1882.

მეორე ცალის თავფურცელზე ადრინდელი მფლობელის ხელწერა: „ნ. კურდღელაშვილი“.

მესამე ცალი აკინძულია წიგნთან: „ალ. გარსევანოვი. „ცოლები დავკარგეთ“. თბ., 1880.

4108–4109. შატბერაშვილი გ. ა იმ მთაზე. ლექსები. თბ., 1956.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს. უფროს მეგობარს ი. გრიშაშვილს. პატივისცემით. გ. შატბერაშვილი. 11. IV. 57. თბილისი“.

4110. შატბერაშვილი გ. ლექსები. ტფ., 1932.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1932. 26/IV.“

კანზე: „გვ. 42. ი. გრ.“

4111–4112. შატბერაშვილი გ. სამაია. [ლექსები]. თბ., 1956.

თავფურცელზე წარწერა: „სახელოვან პოეტსა და საყვარელ ადამიანს, იოსებ გრიშაშვილს, პატივისცემით ვუძღვნი ამ პატარა წიგნს. გ. შატბერაშვილი. 2-XII-56 წ. თბილისს“.

4113. შატბერაშვილი გ. უკვდავი ფესვი. (მოთხრობები). თბ., 1949.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, სიყვარულით და მისი პოეზიის ღრმა პატივისცემით. გ. შატბერაშვილი. 20. V. 49. ქ. თბილისი“.

4114–415. შატბერაშვილი გ. ფიქრის გორა. ლექსები. მოთხრობები. დრამა. თბ., 1947.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს, ძვირფას ადამიანს, იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით ვუძღვნი ამ მცირედ სახსოვარს. გ. შატბერაშვილი. 22 III 47 წ., ქ. ტფილისს.“

სათაურის ქვეშ: „[პიესა, ლექსები, მოთხრობები].“

4116. შატბერაშვილი გ. ჩემს ძველ სახლში. [მოთხრობები]. თბ., 1960.

4117. შენგელაია დ. ბათა ქექია. რომანი. [თბ.], 1933.

შმუცტიტულზე: „წინადადება, გვ. 21“.

წიგნში „ლიტ. გაზეთიდან“ ამოჭრილი თედო ბეგიაშვილის წერილი „ბათა ქექია – ნაცარქექია, (ლიტერატურული ტიპის პრობლემა)“ მინაწერით: „1934, № 27, 30 XI.“

4118. შენგელაია დ. ბათა ქექია. – წითელი ყაყაჩო. [რომანები]. თბ., 1954.
4119. შენგელაია დ. გზა [მოთხრობა. თბ.], 1929.
4120. შენგელაია დ. ლაფშა. მოთხრობა. ტფ., 1926.  
წიგნის ბოლოს რეცენზია ამოჭრილი გაზეთიდან „მუშა“, 1927 წ., 5 იანვარი“.
4121. შენგელაია დ. მერხეული. [მოთხრობა]. თბ., 1944.
4122. შენგელაია დ. მოთხრობები. ტ. 1. ტფ., 1934.  
შემუცტიტულზე: „ი. გრ. 1934. 10/VIII“.  
გვ. 368. ხაზგასმულია: „სათარას, ლოპინას“. მოხაზულია ბოლო აბზაცები, მიწერილია: „ეს პოეტი როდის იყო?, ჯერ საიათნოვა – მერე სხვები.“
4123. შენგელაია დ. სამი რომანი. [შთაგონება. – სანავარდო. – ცისკარი]. თბ., 1946.  
გაზეთიდან ამოჭრილი გ. ნატროშვილის სტატია „დემნა შენგელაიას რომანები („სამი რომანის“ გამოცემის გამო)“ მინაწერით: „კომუნისტი“.
4124. შენგელაია დ. სანავარდო. რომანი. ტფ., 1926.  
კანზე: „ი. გრ. 1926. 20/IX.“  
გაზეთიდან ამოჭრილი რ-ს რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „Заря“, 1926, 19/X.“
4125. შენგელაია დ. ფიცი [მოთხრობა. თბ.], 1934.  
ყდაზე: „ი. გრ. 1934. 1. IV.“  
წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „აჯალი, გვ. 9. ტყვია თუ თუთია? გვ. 19. ხმელი კალენკორი? 31. მუშამბა? ლიტავრა? 55. მჯილი, გვ. 4.“
4126. შენგელაია დ. ფიცი. [მოთხრობა]. ტფ., 1937.
4127. შენგელაია დ. შთაგონება. რომანი. – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“. 1940, № 10, გვ. 37–84.
4128. შენგელაია დ. ცისკარი. რომანი. თბ., 1940.  
გაზეთიდან ამოჭრილი შ. გოზალიშვილის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „საბჭ. აფხაზეთი“, 1941, № 70. 25/III.“ და ჟურნალიდან ამოჭრილი „დემნა შენგელაია – „ცისკარი“ მინაწერით: „მნათობი“, 1941 № 1“.
4129. შენგელაია დ. ცხრა თვალი. მოთხრობები. ტფ., 1930.
4130. შენგელაია დ. წითელი ყაყაჩო. რომანი. თბ., 1949.  
თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას სოსოს სიყვარულით დემნა შენგელაია. 10-X-49 თბილისი.“  
ტექსტის ბოლოს: „1949 წ. იხ. „მნათობი“. გაზეთიდან ამოჭრილი ს. ჭილაიას რეცენზია „წითელი ყაყაჩო“ მინაწერით: „კომ.“, 1949, № 229 19 ნოემბერი.“
4131. შენგელაია დ. – წითელი ყაყაჩო. [რომანი]. თბ., 1952.
4132. შენგელი შ. საჭესთან. [ლექსები]. ტფ., 1931.  
კანზე: „ი. გრ. იხ. გვ. ბოლო.“  
გვ. 32. ტექსტის ბოლოს მოხაზულია ადგილი, სადაც დაბეჭდილია ამწყობთა გვარები, მიწერილია: „ეს თუ აწყობილია...“
4133. შენგელია ა. გაზაფხულის სიმღერა. [ლექსები]. თბ., 1944.  
კანის მე-2 გვერდზე წარწერა: „ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს, საყვარელ ადამიანს და ახალგაზრდობის ქომავს – სოსო გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით ალექო შენგელია. 9. 10. 44. ტფილისი.“
4134. შენგელია ა. ლექსები. თბ., 1940.

გვ. 29. ლექსში: „შენი სახელი“ ხაზგასმულია: „საღამოა თუ დილა სისხამი.“ არშიაზე: „ი. მოსაშვ.“

გვ. 48. ლექსში „როგორც კოლხეთის უმთვარო დამე...“ მოხაზულია ორი სტრიქონი: „ციცინათელებს ჩაგიფრენ მრავალს. რომ ვარსკვლავებით აგენტოს თმები“... არშიაზე: „ი. გრიშაშვილიდან.“

4135. შენგელია ა. ლექსები. ბათუმი, 1946. ფორზაცზე: „ი. გრ. 1946. 9/IX.“

4136. შენგელია ა. ლექსები. თბ., 1953.

4137. შენგელია ა. ლირიკა. თბ., 1956.

4138. შენგელია ა. მე მიყვარს. [ლექსები]. სუხუმი, 1950.

თავფურცელზე წარწერა: შესანიშნავ ქართველ პოეტს, ხალხს საყვარელს, ჩემთვის საყვარელს სოსო გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით. ალექო შენგელია. 24. X. 50“.

4139. შენგელია ნ. (ჭაგნელი ბზიკი). ობოლი ცრემლი. [ლექსები]. ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926. 24/III.“

4140. შერაზადიშვილი ზ. ლექსები. თბ., 1950.

გაზეთიდან ამონაჭერი შ. ამისულაშვილის წერილი „პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი“ მინაწერთ: „ახალგ. კომ.“ 1950 წ., № 114, 28 ოქტ.“

4141–4142. შერაზადიშვილი ზ. სამშობლოს გზებზე. [ლექსები]. თბ., 1953.

ყდის მეორე გვერდზე: „გ. ნატროშვილი რას იტყვის? 1. ალაყაფი, 56. 2. შახიანი, 57.“

4143. შერაზადიშვილი ზ. ჩანჩქერები. [ლექსები]. თბ., 1956.

4144. შერვაშიძე ა. ბაგრატიონი. დრამა 5 მოქმ., 11 სურ. ბათუმი, 1953.

4145. შერვაშიძე ა. კრავჩუკის ცრემლები. პიესა 4 მოქმ. და 5 სურ. ბათუმი, 1940.

4146. შერვაშიძე ა. მახინჯაურელი ჭაბუკი. [მოთხრობები]. ბათუმი, 1958.

4147. შერვაშიძე ა. მზე. პიესა 4 მოქმ. ბათუმი, 1955.

4148. შერვაშიძე ა. ოქროს სამაჯურები. ისტ. დრამა 4 მოქმ. და 11 სურ. ბათუმი, 1954.

4149. შერვაშიძე ა. პიესები. ბათუმი, 1959.

4150. შინატყელი გ. გლეხის ცრემლები. [ლექსები]. თბ., 1911.

კანზე: „1. იშვიათი. 2. არ არის არც ერთ ბ-ში. ი. გრ. 3. გვარად მანთაშვიცი იყო, მეჩქემე.

ი. გრ.“

თავფურცელზე: „ნიჭიერი მუშა პოეტი, მეჩქემე. ი. გრ.“

4151–4153. შიუკაშვილი ნ. გამხმარი ფოთოლი. პიესის სახით. 4 მოქმ. ტფ., 1910.

4154–4156. შიუკაშვილი ნ. მეგობრობა. დრამა 4 მოქმ. ტფ., 1911.

თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას ივ. პოლუმორდვინოვს. ავტორისაგან.“

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ტრიფონს რამიშვილს ვ. პოლუმორდვინოვი“. იქვე: „ივ. პოლუმორდვინოვი უძღვნის – ი. გრ.“

4157–4158. შიუკაშვილი ნ. მთის ზღაპარი. პიესა 3 მოქმ. – ამონაჭერი ჟურნ. „მნათობი“-დან. 1926, – 5–6.

სათაურთან წერია: „მთის ზღაპარი“ პირველად წარმოადგინეს 1912 წ. 20 სექტემბერს ი. გრ.“

წიგნში დევს ფურცელი, რომლის თავისუფალ გვერდზე ჩამოწერილია ნ. შიუკაშვილის პიესები: „1. „აბესალომის თმები.“ სურ. 1 მოქმ. (დაიბეჭდა ჩემის გამომცემლობით. ალმანახი „ძალა“, 1909 წ., № 6.) 2. „ამერიკელი ძია“. 3. „ამერიკელი ძიის გასაბჭოება“. 4. „ბეკეკა“. ვოდ. 1 მოქმ. 5. „გამხმარი ფოთოლი“, პიესა 4 მოქმ.

(დამატებით.) 6. „ჯაშუში“. საბავშვო. პიესა 2 მოქმ. (იხ. „ნაკადულში“). 7. „მეგობრობა“. 4 მოქმ. 8. „მთის ზღაპარი“. დრ. 3 მოქმ. (იხ. „მნათ.“) 9. „მხოლოდ ერთხელ“. ვოდ. 1 მოქმ. 10. „ნაგავი“, პიეს. 4 მოქმ. 11. „როსტევიან“. დრ. 5 მოქმ. (ცნობა ნ. შ. „დიქცია“ გვ. 96). 12. „სიმახინჯე“, პიესა 4 მოქმ. (იხ. „ერი“.) 13. „სულელი“. პიესა 3 მოქმ. 14. „ციცინათელა“. 4 მოქმ. 15. „მადლობა“, პიესა 4 მოქმ. 16. „მზე შინა და მზე გარეთა.“

4159. შიუკაშვილი ნ. პიესები. თბ., 1953.

კანზე: „ნუგბარი“, გვ. IX. ავტორის გვართან: „(1870–1938). 68 წლისა გარდაიცვ.“

გვ. IV. ხაზგასმულია: „იმ პერიოდში ვალერიან გუნია ჟურნალ „თეატრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მთავარი თანამშრომელი იყო“, მიწერილია: „1885.“

გვ. VI. ხაზგასმულია: „ნიკო... წერს პიესა „ციცინათელას“, არშიაზე: „მეგობრობას.“

გვ. VII. ბოლო სტრიქონში, ნ. შიუკაშვილის პიესებში ფანქრით ჩამატებულია: „სოლომონის თმები.“

4160–4162. შიუკაშვილი ნ. სულელი. (პიესა 3 მოქმ.) ტფ., 1921.

კანზე: „მეორედ გადაკეთებული წარმოადგინეს 1938 წ. 22 მარტს რუსთ. თეატრში. ი. გრ.“

თავფურცელზე: „ი. გრ. შემოკლებ.“

გაზეთებიდან ამონაჭრები: 1...ნ. შიუკაშვილი – პიესა „სულელის“ ბიოგრაფია. „მუშა“, 1938, № 65, 21 მარტი“. 2. Драматург Г. Шиукашвили о своей пьесе „В. Тугелиси“, 1938, № 65.“ 3. 1938 წლის 24 მარტის „Заря Востока“, რომლის მე-3 გვ-ზე, მოთავსებულია სტატია: Г. Семенов, Г. Глебов – „Сулели“. 4. ბეს. ჟღენტი – „სულელი“, „კომ.“, 1938, № 77, 4 აპრ.“ და 5. რუსთაველის სახ. თეატრის სეზონი 1937–38 წ. დრამა „სულელის“ პროგრამა. 6. 1937–38 წ. სეზონში დადგმული პიესის „სულელის“ 32 გვერდიანი ლიბრეტო ქართულ და რუსულ ენაზე. წიგნაკის კანზე მიწერილია: „წარმოადგინეს პირველად 1938 წ. 22 მარტს რუსთ. თეატრში.“

4163. შონვაძე ა. გაფრენილი დღეები. ლექსები. რვეული პირველი. 1922–1924. ტფ., 1925.

კანზე: „1924. 19. III. ი. გრ.“

4164. შუბლაძე ა. მოხუცის დარიგება და სხვადასხვა ლექსები. [ფოთი, 1913].

კანზე: „თბ-სში არ არის. ი. გრ.“

გვ. 9 და წიგნის ბოლოს ხელწერა: „პ. გუგუშვილი.“

4165–4166. შუბლაძე ვ. დრო წავიდა – სიყვარული კი არა. [ლექსები]. თბ., 1960.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. ვ. ბობოხიძე.“

4167–4168. შუბლაძე ვ. კავკასიონის მთებში. [პოემა. რედ. ი. გრიშაშვილი]. თბ., 1946.

წარწერა: „ამ წიგნის მოამაგეს. ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს ნიშნად ღრმა პატივისცემისა. ავტორისაგან. 6/X 46 წ.“

4169. შუბლაძე ვ. ლექსები. ტფ., 1938.

გვ. 5. ლექსში „საყვარელო ჩემო მხარევ!“ ხაზგასმულია: „სხვაგვარ“. მიწერილია: „სხვაგვარად.“

გვ. 27. ლექსში „ფშავური მელოდია“ ხაზგასმულია: „თუმც ეს დღეები სწრაფად მიდიან, მაინც დარჩები დაუვიწყარი“, მიწერილია: „ე. ი. დღეები რომ სწრაფად არ მიდიოდნენ, დავივიწყებთ?“

ფორზაცის მე-4 გვერდზე: „ი. გრ. 1938. 2/III.“

4170. შუბლაძე ვ. ლექსები. თბ., 1956.
4171. ჩანტლაძე ა. ლექსი პავლე მოსეშვილზედ. ტფ., 1899.
4172. ჩარკვიანი შ. ლექსები. თბ., 1958.
4173. ჩარკვიანი შ. ფატუმ. [ლექსების მეორე წიგნი]. ქუთაისი, 1925.  
კანზე: „ი. გრ. 1935. 28/III. ტფილისი.“  
გვ. 60. ხაზგასმულია: „სერობა“, მიწერილია: „ჩემი“. ხაზგასმულია: „ალმაცერობა“, მიწერილია: „იხ. ლეილა № 3.“
- 4174–4175. ჩარკვიანი შ. ენგური. [ქებანი]. ქუთაისი, 1928.  
თავფურცელზე წარწერა: „მარად სახსოვრად ქართული ლიტერატურის სინამდვილის ნიღაბის ამხთელს – კრიტიკოს ვახტანგ კოტეტიშვილს. ავტორი. 5. 28 წელი“.
4176. ჩარკვიანი შ. ქვემძრომთ პარადი. [ლექსები]. ქუთაისი, ჩშკდ [1924].  
კანზე: „ი. გრ. 1924. 17/V“.  
ფორზაცზე წარწერა: „პოეზიის ჩუქურთმას პატივცემულ სოსო გრიშაშვილს. ავტორისაგან. 25/IV–24 წ.“.
4177. ჩარკვიანი ჯ. ამოდის, ნათდება. [ლექსები]. თბ., 1962.
4178. ჩარკვიანი ჯ. ერთი დამის სიჩუმეში. ლექსები. თბ., 1959.  
კანის მეორე გვერდზე წარწერა: „ბატონ სოსო გრიშაშვილს. დიდხანს იცოცხლეთ, სოსო ბატონო! ჯ. ჩარკვიანი. 1959 წ. თბილისი“.
4179. ჩარხიშვილი გ. ანთებული ხმები. ცხოვრების ჭირვარამიდან გამომდინარე, თბ., 1924.  
კანზე წარწერა: „გრიშაშვილს ავტორისაგან 26/XI“.  
ავტორის ფსევდონიმთან მიწერილია: „ალავერდოვი“. იქვე: „გრძელი ამბავი მოკლედ“ კარგი ლექსისა პირველი ნახევარი. – ი. გრ.“  
[გვ. 1.] ხაზგასმულია ტექსტში ადგილი და მიწერილია: „ეს არარატის ლეგენდა დაიბეჭდა „ცნობის ფურცლის“ დამატებაში. (1902 წ. № 75, გვ. 4)“.  
[გვ. 3.] ტექსტში მოხაზულია: „ივანიშვილი“ და მიწერილია: „ივანიძე?“. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „მოამბე“, 1910 წ., № IX“. ხაზგასმულია: „მოამბის ცხრა ნომერში“ და მიწერილია: „თუ მეცხრე?“.  
[გვ. 4.] სქოლიოში ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „ამიერკავკასიის „რკინისგზელი““.  
[გვ. 6.] ხაზგასმულია: „კუს ძვლებს“, მიწერილია: „ნიჟარა“?  
[გვ. 7.] მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „რატომ?“  
[გვ. 21.] მოხაზულია ლექსი „გრძელი ამბავი მოკლედ“ და ზემოთ მიწერილია: „იხ. „ცნობის ფურცელი“, დამატ. 1902 წ., № 57. იხ. თარგმანი გიოტედან.“
4180. ჩარხიშვილი გ. ვარინკას ამბავი. მოთხრობა. თბ., 1903. აკინძულია წიგნთან: ცხოვრება და სიყვარული. ტფ., 1904.
- 4181–4183. ჩარხიშვილი გ. თავისუფლება და სიყვარული. თანამედროვე მოთხრობა მოზრდილთათვის. თბ., 1922.  
კანზე წარწერა: „ქართული პოეზიის ქურუმს იოსებ გრიშაშვილს უძღვნის ავტორისაგან. 8/IV 22 წ.“

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „Якову Георгиевичу Елиашвили от автора. 5/II-22“

4184. ჩარხიშვილი გ. ლენინის ბარიკადებზე (მუშა თუ ბატონი). რევოლ. პიესა 5 მოქმ. ტფ., 1930.

4185. ჩარხიშვილი გ. ლექსები და პოემები. თბ., 1903.

4186. ჩარხიშვილი გ. „როსკიპ“ როზას ამბავი. მოთხრობა. მე-3 გამოც. ტფ., 1928.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1928, 29/IV.“

4187. ჩარხიშვილი გ. ცხოვრება და სიყვარული. თანამედროვე რომანი მოზრდილთათვის. ნაამბობი ჩიჩუა ჩიბუხჩოვის – მიერ. ტფ., 1904.

შმუცტიტულზე წარწერა: „უძღვნის სახსოვრათ. ი. გრიშაშვილს ავტორი. 30/X. 1908.“

ფორზაცზე: „გ. ჩარხიშვილი გარდაიც. 1937 წ. 2 ოქტ. (გვარად ალავერდოვი). გ. ჩარხიშვილი–ალავერდოვი. I ცხოვრება და სიყვარული. (რომანი). II. ვარინკას ამბავი (მოთხრობა), III. ლექსები და პოემები“. ეს სამივე წიგნი ერთადაა აკინძული.

4188. ჩაჩავა ნ. სადაც ვშობილვარ. [ლექსები]. თბ., 1958.

4189. ჩაჩავა ნ. სიცოცხლეს ვუმდერ. თბ., 1950.

4190. ჩაჩანიძე რ. ლურჯი სეინერის კაპიტანი. მოთხრობები. თბ., 1959.

4191. ჩაჩიბაია ა. ბუთულა. [მოთხრობა]. ტფ., 1937.

4192. ჩაჩიბაია ა. გმირები. [რომანი]. ტფ., 1937.

4193. ჩაჩიბაია ა. მოთხრობები. თბ., 1948.

4194–4195. ჩაჩუა მ. პირველი მერცხლები. [ლექსები]. სოხუმი, 1956.

თავფურცელზე: „საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან, 18/IV–57 წ.“

4196. ჩაჩუა მ. შენ გიმდერ. [ლექსები]. სოხუმი, 1958.

4197–4198. ჩახრუხაძე. თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა თქმული ლექსად ჩახრუხას-მისაგან წელსა ქრისტესით 1187-სა. აღბეჭდილი პლ. ეგ. იოსელიანისა მიერ. ტფ., 1838.

4199–4201. ჩახრუხაძე. თამარ მეფის და მეუღლის მისის დავით მეფის შესხმა. გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან. თბ., 1882.

4202–4203. ჩახრუხაძე. თამარ მეფის და მის მეუღლის დავით მეფის ქება. ტფ., 1900.

აწერილია გვ. 3 მიხედვით. თავფურცელზე: XII საუკუნე. ქნარი გრიგოლ ჩახრუხაძისა.

4204–4205. ჩახრუხაძე. თამარიანი. ტფ., 1937.

ყდის მეორე გვერდზე: „თამარ წყნარი, 23“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1937. 24/XII. შოთას დღე. ზინდანი? 57.“

გვ. 22. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „გიძნობ“ და მიწერილია: „ძნობა-მუსიკობა“.

გვ. 43. ხაზგასმულია: „რკინისა ჯამლთა შესხმანი“ და მიწერილია: „რკინის ქალამნის ამოსხმა“. ხაზგასმულია: „უმიროსისგან“ და მიწერილია: „ჰომიროსს“.

წიგნის ბოლოს „საკუთარი სახელების მაჩვენებელში“ ჩამატებულია ზოგიერთი სახელი.

4206–4208. ჩახრუხაძე. ქება თამარ მეფისა. ჩახრუხაული. [ს. კაკაბაძის წინასიტყვ.]. ტფ., 1913.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი. 1913 წ. მაისი“.

ყდის მე-2 გვ.: „1. ქება თამარ-მეფისა (ჩახრუხაული). 2. ქებანი დავით მეფისა (დავით მწირის მიერ)“, მიწერილია: „1. თამარიანი (ჩახრუხაძესი). 2. აბდულ მესია (შავთელისა)“.

დასახელებული წიგნები ერთად აკინძულია.

აქვე გაზეთის ამონაჭერი: „ჩახრუხაძის „თამარიანი“ რუსულ ენაზე“ მინაწერით: „კომ.“, 1941, № 221, 18 სექტ.“

მეორე ცალის კანზე და თავფურცელზე ბეჭედი: „წიგნის მალაზია „ცოდნა“ იოსებ ნიკოლოზის-ძე მერკვილაძისა. თბილისი“.

მესამე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ლ. ფალიაშვილი.“

4209. ჩახუნაშვილი ა. განთიადი. ლექსები. ქუთაისი, 1906.

კანზე: „ალექსანდრე წულუკიძეს, გვ. 20“.

თავფურცელზე: „დაიბ. 1885 წ. მისი ფსევდონიმი იყო ალ. საჩინოელი და ალ. ვანელი. ი. გრ.“

გვ. 20. ლექსს „ალ-ეს ცხედარს“, მიწერილი აქვს: „ალექსანდრე წულუკიძეს ეძღვნება. ასე მითხრა ავტორმა. ი. გრ. 1945. 5/VII“.

4210–4211. ჩერქეზიშვილი ე. სამოცი წლის არშიყი. ვოდ. ორ სურათად. – [მიწისძვრა სოფლად. სცენა]. თბ., 1899.

კანზე ავტორის სახელით: „ლიზასია“.

მეორე ცალის კანზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ტერენტი კახეთელიძე.“ იქვე: „ი. გრ. ვიყიდე ბაზარზე. 1931 წ. 22/III.“

თავფურცელზე: „აიწყოს. – ი. გრ. 1941. 10/V.“

სათაურის ქვემოთ: „ვოდევილი 1 მოქმედებად. ი. გრ.“

გვ. 3. არშიაზე: „აქედან აიწყოს ი. გრ.“

წიგნი ტექნიკურად რედაქტირებულია ი. გრ. მიერ.

გვ. 22. ხაზგასმულია ადგილი, არშიაზე: „ეს დ. გივიშვილის ლექსიდანაა“.

გვ. 23. ბოლო სტრიქონს მიწერილი აქვს: „ეს გ. სკანდაროვას ლექსიდანაა ი. გრ.“

4212. ჩეჩელაშვილი ო. ფოლადის ფრთებზე [სამამულო ომის მონაწილის ჩანაწერები]. თბ., 1960.

4213. ჩიანელი დ. ორბი. [მოთხრობა]. ქუთაისი, 1933.

4214. ჩიანელი დ. შემოდგომის ცრემლები. (ნოველები და ლეგენდები). ქუთაისი, 1918.

4215–4216. ჩიმაკაძე ი. სემინარიელები. პიესა 3 მოქმ. მოზრდილთათვის. ტფ., 1933.

თავფურცელზე წარწერა: „ვუძღვნი ძვ. მეგობარს ივ. ასკურავას – ავტორი. 29/IV–34 წ.“

4217–4218. ჩიტალაძე ა. ლექსები. ტფ., 1913.

მეორე ცალის კანზე: „სხვა გამოცემა“.

4219–4220. ჩიტაძე ი. სოფლის მოღვაწენი. მოთხრობა. ტფ., 1895.

4221. ჩიქოვანი გ. მაია. [მოთხრობები. თბ.], 1959.

4222. ჩიქოვანი გ. მეორე ოჯახი. [მოთხრობა]. თბ., 1954.

4223. ჩიქოვანი გ. მოთხრობები. თბ., 1944.

წიგნში დევს გაზეთ „ახალ. კომ.“, 1945 წ., № 52 – ამონაჭერი, ერ. ასტვაცატუროვის წერილი – „ბიბლიოგრაფია. გრ. ჩიქოვანის მოთხრობები.“

- 4224–4225. ჩიქოვანი გ. ნოველები და მოთხრობები. თბ., 1946.
4226. ჩიქოვანი გ. სიცოცხლის გზა. მოთხრობები. [თბ.], 1952.
4227. ჩიქოვანი მ. ანეული. [მოთხრობები]. ტფ., 1931.
4228. ჩიქოვანი მ. აღმშენებლობის მოთხრობები. ჭიათურა, 1931.
4229. ჩიქოვანი ს. ახალი დღიურები. ლექსები. თბ., 1953.
4230. ჩიქოვანი ს. ახალი ლექსები. თბ., 1941.
- შმუცტიტულზე წარწერა: „საყვარელ პოეტს და მეგობარს იოსებ გრიშაშვილს. ს. ჩიქოვანი. 1941 წ. მარტი.“
- სარჩევში, ციკლში „მარშანდელი დღიური“ მოხაზულია ლექსები, არშიაზე: „მნათობი“, 1940, № 12.“
- სათაურთან „დის დაკარგვა“ მიწერილია: „ამის გარდა ყველა „მნათობშია.“
- გაზეთიდან ამონაჭერი ბ. ჟღენტის რეცენზია „სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსები“ მინაწერით: „კომ.“, 1941, № 137, 13 ივნისი“.
4231. ჩიქოვანი ს. ბედი რესპუბლიკისა. პოემა. ტფ., 1931.
- კანზე: „ი. გრ. 1939. 19.VI“.
- 4232–4233. ჩიქოვანი ს. გმირი და წინ. ლექსები და პოემები. 30–32-ე წელი. ქუთაისი, 1932.
- ფორზაცის მე-3 გვერდზე: „ამ წიგნზე რეცენზია: 1. „მნათობი“, 1933, № 1–2. (კ. გამსახურდიასი).“ იქვე დევს ეს რეცენზია ჟურნ. „მნათობიდან“ ამოჭრილი.
4234. ჩიქოვანი ს. ლექსები. თბ., 1939.
- წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „გაარჩიეს: 1. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1939, № 50. 2. „სტალინელი“ (გორი) 1939, № 101, 6 ივნ. 3. „ლიტ. საქართ.“, 1939, № 16.“
- გაზეთის ამონაჭრები:
1. „მ. რადიანის წერილი „სიმონ ჩიქოვანის ლექსები“ მინაწერით: „კომ.“, 1939, № 162, 17 ივლისი.“ 2. გ. ნატროშვილის წერილი „სიმონ ჩიქოვანის ლექსები“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1939, № 16.“ 3. ს. ყრუაშვილის წერილი „მკითხველის თვალთ“ მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1939, № 256, 6 ნოემბ. 4. რ. გოზალოვის წერილი „ს. ჩიქოვანი – „ლექსები“, მინაწერით: „სტალინელი“, 1939, № 101“.
4235. ჩიქოვანი ს. ლექსები. – პოემა. თბ., 1955.
- 4236–4237. ჩიქოვანი ს. ლექსები. – პოემა. თბ., 1960.
- ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს და ძველ მეგობარს ი. გრიშაშვილს. სიმონ ჩიქოვანი, 1960, V-10. თბილისი“.
- 4238–4239. ჩიქოვანი ს. ლექსები და პოემები. წიგნი 1. ტფ., 1933. [სუპერზე. 1934].
- წიგნი 1. ლექსები და პოემები. 1924–1933. 1934.
- ფორზაცზე წარწერა: შესანიშნავ პოეტს და მეგობარს იოსებ გრიშაშვილს. ავტორი. 1934, აგვისტო“.
- მეორე ცალის ყდის მეორე გვერდზე დაკრულია ამავე წიგნის შმუცტიტული წარწერით: „გერონტი ქიქოძეს სიყვარულით და პატივისცემით სიმონ ჩიქოვანი. 1941. მარტი“. ქვედა კუთხეში მინაწერი: „ს. ჩიქოვანის ეს წიგნიც აკადემიის მაღაზიაში იყიდებოდა. მე წარწერა ამოვხიე მხოლოდ. ი. გრ. 1946. 17/IV.“
- გვ. 11. ლექსში „გმირი და წინ“ ხაზგასმულია „ოქროს ფეხი და კუბოსგან კოცნა“, მიწერილია: „ი. გრიშაშვი.“



4240. ჩიქოვანი ს. ლექსები და პოემები. თბ., 1950.

გვ. 229. ლექსში „უდღეურ პოეტს“ გადახაზულია სიტყვები: „მე და შენ“ და მიწერილია: „ჩვენ ორთა.“

გვ. 320. ლექსში „ნაკადულის გალობა გვალვაში“ ხაზგასმულია: „ქვებში“ და მიწერილია: „ქვებზე“. ხაზგასმულია: „ტალღის“ და მიწერილია: „ნაკადულს რა ტალღა აქვს.“

გვ. 366. ლექსის „ქვაზე ამოჭრილი ნადირობა“ ეპიგრაფად მოყვანილ სიტყვებიდან ამოგდებულია სიტყვა „იქვე“.

გაზეთებიდან ამონაჭრები: წერილი „1. ს. ჩიქოვანის ლექსებისა და პოემების წიგნი“ მინაწერით: „სახალხო განათლება“, 1951 წ., № 38, 19 სექტემბერი. 2. „პოეტის შემოქმედებითი გზა. ს. ჩიქოვანის ლექსები და პოემები“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1951, № 172, 24 ივლისი.“ სტატიის ბოლოს ხაზგასმულია: „შემცდარად უნდა ჩაითვალოს „კომუნისტის“ ა. წ. 6 მარტის ნომერში მოთავსებული სტატია“, და შემდეგ: „სრულიად არაფერია ნათქვამი იმ ღირსებებზე, რაც ქართული საბჭოთა პოეზიის ამ ერთ-ერთი მოწინავე ნიჭიერი წარმომადგენლის შემოქმედებას ახასიათებს.“

3. ბ. ნანიტაშვილის წერილი „გადაჭრით აღმოვფხრათ სიმბოლიზმის ნაშთები ქართულ საბჭოთა პოეზიაში“ მინაწერით: „კომ.“, 1951 წ., № 54, 6 მარტი.“ წერილში ზოგიერთი ადგილები და სიტყვები მოხაზული და ხაზგასმულია.

4241. ჩიქოვანი ს. მამულს ვუთხრათ გამარჯვება. [ლექსები]. თბ., 1942.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს და მეგობარს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 1942 მარტი.“

წიგნში დევს გაზეთ „ლიტ. საქართვე.“, 1942, № 4-დან ამოჭრილი ცნობა ამ წიგნის გამოცემის შესახებ.

გვ. 37. ლექსში „პატარა ხალხი“ ხაზგასმულია „ეგებ იმ ღამით კერასთან თოვდა“, მიწერილია: „ეს გადასატანია გვ. 39.“

გვ. 39. ლექსში „ამანათი“ ხაზგასმულია: „თუ თითისტარი დაჰქროდა სწრაფი“, მიწერილია: „აკლია. „ეგებ იმ ღამეს კერასთან თოვდა. (იხ. გვ. 37).“

4242. ჩიქოვანი ს. მხოლოდ ლექსები. წიგნი I-ლი. 1924 წლიდან – 1929-მდე. ტფ., 1930.

სუპერზე: „ი. გრ. 1930. 25/I.“

გვ. 92. ლექსში „მყინვარი“ ხაზგასმულია სიტყვა: „ხმარების“ და მიწერილია: „ხრამების?“

გვ. 162. ლექსს „ზამთრის გადმოცემა ხმაურში“ მიწერილი აქვს: „ქარის ხმა ქარში. (პ. იაშვილი).“

წიგნის ბოლო ფორზაცზე რეცენზიები: „1. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930 წ., № 26. 2. „დროშა“, 1930 წ., № 2. 3. „მნათობი“, 1933 წ. № 1-2. (კ. გამსახურდია).“

4243. ჩიქოვანი ს. სამოცი ლექსი. თბ., 1963.

4244. ჩიქოვანი ს. სიმღერა დავით გურამიშვილზე. [ლექსები. თბ.], 1942.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს და მეგობარს ი. გრიშაშვილს. 1942. ოქტომბერი. ს. ჩიქოვანი.“ იქვე დევს გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა ამ წიგნის გამოცემის შესახებ მინაწერით „Заря“, 27 ნოემბ., 1942 წ.“

კანზე: „ი. გრ. მეწისქვილე, გვ. 51“.

გვ. 39. ხაზგასმულია: „ლავაში ბრტყელი“, მიწერილია: „ლავაში მამ როგორი უნდა იყოს?“

გაზეთის ამონაჭრები: 1. ბ. ჟღენტის წერილი „ისტორიის მეზრძოლი ხელი“, მიწერილია: „სიმ. ჩიქოვანი“, „ლიტ. და ხელოვნ.“. 1943, № 9, 17 დეკემბ.“ 2. გ. გაჩეჩილადის წერილი „ლიტერატურული შენიშვნები. სიმონ ჩიქოვანის პოეზიის შესახებ“ მინაწერით: „ლიტ. საქ.“, 1944 წ., № 6.“

4245–4246. ჩიქოვანი ს. სიმღერა დავით გურამიშვილზე. თბ., 1946.

4247. ჩიქოვანი ს. სიმღერა დავით გურამიშვილზე. თბ., 1949.

4248–4249. ჩიქოვანი ს. ფიქრები მტკვრის პირას. (პოემა). ტფ., 1925.

თავფურცელზე წარწერა: „ძველ მეგობარ პოეტს ი. გრიშაშვილს. ავტორი 30/XI-1935“. წიგნში ჩადებულია გაზეთის ამონაჭერი: „განცხადება ჟურნალ მნათობი“-ს რედაქციისა 1925 წლისათვის ხელისმოწერის შესახებ.

4250. ჩიქოვანი ს. ჩემი მამული. ლექსები. თბ., 1944.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს და მეგობარს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 1944 ივლისი.“

გვ. 80. ლექსის „მიძღვნა ხელთნაწერ „ვეფხისტყაოსანი“-ს ოსტატებისადმი“ ბოლოს მიწერილია: „გ. ლ-მ ამას მიჰბაძა“. ამავე ლექსის უკანასკნელ სტრიქონში ხაზგასმულია: „შუა გაგეპოთ“ და მიწერილია: „გაგესხიპათ.“

ბოლო ფორზაცზე: „ორი ფრთა, 123. მერცხლის ბუდე. 125“.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. შ. აფხაიძის კრიტიკული წერილი „ლიტერატურული შენიშვნები“, ეხება ს. ჩიქოვანის „სიმღერა დ. გურამიშვილზე“. არშიაზე: „ს. ჩიქოვანზე („ლიტ. და ხელ.“, 1945, № 34, 14 ოქტ.)“ 2. გ. ნატროშვილს რეცენზია „სიმონ ჩიქოვანის პოეზია“ მინაწერით: „კომ.“, 1944, № 185, 12 სექტ.“ 3. ა. ქუთათელის რეცენზია „ს. ჩიქოვანის „ჩემი მამული“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, № 29, 25 აგვის. 1944 წ.“ 4. ა. ქუთათელის რეცენზიის გაგრძელება, „ლიტ. და ხელ.“, № 30, 1 სექტ. 1944 წ.“ 5. საგაზეთო ცნობა „საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა წამოაყენა ს. ჩიქოვანის კანდიდატურა“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1945, № 217, 2 ნოემბ.“ 6. შ. აფხაიძის რეცენზია „სიმონ ჩიქოვანის პოეზია“. „ლიტ. და ხელ.“ 1944, № 24, 14 ივლისი“. 7. იასამანი „ს. ჩიქოვანი უკრაინულ ენაზე“. რეცენზია მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1944, № 20, 9 ივნ. ი. გრ.“ 8. С. Спасский, „Симон Чиковани“ მინაწერით: „Лит. и иск.“ 1944, № 21, მაისი“. 9. ცნობა მხატვ. კითხვის სადამოს შესახებ. ს. ბალაშოვის პროგრამაში შეტანილია ს. ჩიქოვანის ლექსები. ამონაჭერზე წერია: „1945.“

4252. ჩიჩუა ა. მოკლე მოთხრობა. (რომანი) კ-ნა ჩიჩუას არეთა ნანეიშვილის ასულის მიერ. ქუთაისი, 1913.

კანზე: „თბილისში არ არის. ი. გრ.“

4252. ჩოგოვადე დ. იცკა. [პოემა]. ქუთაისი, 1931.

4253. ჩხაიძე ა. გზაჯვარედინზე. პიესა. ბათუმი, 1959.

4254. ჩხაიძე ა. უგვირგვინო იუბილარი. მოთხრობები. ბათუმი, 1958.

4255. ჩხაიძე ი. გოლიათი. [მოთხრობა] – ამონაჭერი: „მნათობი“, 1940, № 9.

4256. ჩხეიძე ა. წერილი დასავლეთის პროლეტარიატს. [პოემა]. ტფ., 1929.

კანის მეორე გვერდზე წარწერა: „ჩემს ძმას და მეგობარს ვ. კახიანს ავტორისაგან. 1929 წ. 19. V. ტფილისი“.

4257. ჩხეიძე ბ. დღეები [მოთხრობები]. ტფ., 1931.
4258. ჩხეიძე ბ. ლიახვის პირას. რომანი. თბ., 1947.  
თავფურცელზე წარწერა: „ჩემი ქართულად მოლაპარაკე, ხალხის და ერის საყვარელ სიტყვის ოსტატს პოეტს ი. გრიშაშვილს უძღვნის ამ წიგნს ავტორი ბ. ჩხეიძე. 3. IV. 47.“
4259. ჩხეიძე ბ. მახლობელი. [მოთხრობები. თბ.], 1932.
4260. ჩხეიძე ბ. მოთხრობები. თბ., 1940.
4261. ჩხეიძე ბ. მწვანე ხოდაბუნი. რომანი. წიგნი 1. თბ., 1960.  
ფორზაცზე წარწერა: „ილიასი, აკაკისა და ვაჟასაგან ჩაყენებული საფუვრით გაღუებული ქართული პურის წმინდა ნაწილს, საბასი, გრიგოლის და ალექსანდრეს მიერ წაბლის საწნეხელში დაწურულ-დაყენებულ ღმერთების სასმელ ზედაშეს, მომხიბლავ და მომნუსხავ, გამხარებელ და თავდამავიწყებელ სოსოს ბორის ჩხეიძესაგან. 12 მაისი, 1960 წელი.“
4262. ჩხეიძე ვ. ომგადახდილი. [მოთხრობა]. თბ., 1945.
4263. ჩხეიძე ბ. ფერო. რომანი. [თბ.], 1932.
4264. ჩხეიძე ბ. ღუტუნა და სტეფანე. [მოთხრობა]. 1933.
4265. ჩხეიძე ო. ურწყავი. [მოთხრობები]. თბ., 1948.
4266. ჩხეიძე ო. ხელეური. [მოთხრობები]. თბ., 1947.
4267. ჩხეიძე ო. ჯებირი. [რომანი]. თბ., 1956.  
ფორზაცზე: „რამია საქმე?“ 127 გვ. სჯობია: „რა ამბავია. რა მოხდა“.
- 4268–4271. ჩხიკვაძე ნ. ლექსები. [ს. აბაშელის შესავალი წერილით: „მგოსანი მოუსვენარი“] ტფ., 1922. [კანზე: 1923].  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1923, 19 სექტ.“  
კანზე ავტორის გვარის ქვეშ: „(1883–1920). ი. გრ.“  
გვ. 13. ხაზგასმულია: „ლამანჩის რაინდის წისქვილები მას ალბად არ ასვენებდენ“, მიწერილია: „მანშიაშვილსაც!“  
გვ. 174. ლექსთან „ტყეს სჭირან“ მიწერილია: „მიბადვია – იხ. აკაკი პაპავას მიერ თარგმნილი ლექსი – „ჩანგი“, გვ. 320.“  
გვ. 191. ლექსის „მშვიდობით“ ბოლოში: „იხ. გვ. 39.“  
კანის მე-4 გვ. ფანქრით: „1. გრ.-ს ბიოგრაფია და ს. აბაშელისა ერთი და იგივეა, იქაც სახელი, აქაც სახელი. 2. საშას მოგონება კარგია. 3. არ არის სიული – პრუდონის ერთი ლექსის მიბადვა: „შენ სიყმაწვილეს ჩემსასა ჰგევხარ!“  
მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „იასამანი. 1924. 16-V-ტფილისი“.  
წიგნი ჩასმულია საგანგებო ყდაში, რომელზედაც ამოტვიფრულია: „ნოე ჩხიკვაძე. ლექსები. იასამანი“.
- 4272–4274. ჩხიკვაძე ნ. ლექსები. ტფ., 1930.
- 4275–4277. ჩხიკვაძე ნ. ცისა და მიწის [ლექსები]. ტფ., 1914.  
თავფურცელზე ფანქრით: „ბატონო ივანე! ამ წიგნში ჩაკეცილი ადგილები, გთხოვთ წაშალოთ. სახელდობრ „რწმენის სიმბოლო“, და „ტამარში“, თუ სხვას გაუშვებთ, კარგი იქნება. წიგნი ამ დღეებში მოგივით. ნ. ჩხიკვაძე“.  
გვ. 37-დან 44-მდე მოკეცილია, ლექსები მოხაზულია.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. ჩხიკვაძის ერთი ლექსი დაბეჭდილი ვნახე: („ივერია“, 1904, № 68). „მშვიდობით“ (იხ. „საქართ.“ დამატება 1916, № 22. „მზის ასული“ (იხ. „სალამური“, 1909). „ტანჯვის ქალაქი“ („სამშობლოს“ დამატება, 1915 წ. № 10)“.

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვემოთ: „(24 მაისს, ახ. სტ. 1920 წ.) ი. გრ.“

4278. ჩხიკვაძე ნ. ცრემლის გუბე. (ლეგენდა). ფოთი. 1910.

კანზე ფანქრით: „დაბეჭდილია კაი ლექსი „სახალ. გაზეთის დამატებაში, № 152. 7 აპრილი, 1913 წ.“

იქვე: „ვაჟა, შენის ცრემლებით მოვხარშე, ჩემი გრძნობების ფაფაო“.

4279. ჩხიკვაძე პ. თხზულებანი. ტფ., 1938.

4280. ჩხიკვაძე პ. ერთტომეული. თბ., 1955.

4281. ჩხიკვაძე პ. ახალი ხმელეთი. რომანი. თბ., 1946.

4282–4283. ჩხიკვაძე პ. დაბინდებიდან გათენებამდის. მოთხრობები. ტფ., 1931.

4284–4285. ჩხიკვაძე პ. მინდვრის კვირეული. [მოთხრობა. თბ.], 1931.

4286. ჩხიკვაძე პ. სართულები. რომანი. [თბ.], 1931.

სუპერზე: „ი. გრ. 1931. 1/V.“

ბოლოში ფორზაცზე: „რეცენზიები: 1. „ახალგაზრდა კომ.“, 1931, № 118, 24 მაისი.“

გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. პ. ქიქოძის წერილი „პროლეტარული ბელეტრისტიკის ახალი კადრები“ მინაწერით: „1931, „კომუნისტი“, № 212, 15 სექტ.“. 2. ვ. ლუარსამიძის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „კომ.“, 1931, ივლისის 3.“

4287. ჩხიკვაძე პ. სართულები. რომანი. მე-2 გამოც. [ტფ.], 1933.

4288–4289. ჩხიკვაძე პრ. 1905-დან! დრამა 4 მოქმ. (1-ლი რევოლუციის 20 წ-თავის აღსანიშნავი). ტფ., 1926.

4290–4291. ცაბაძე ა. ახალი ერა. (პოემა). გორი, 1931.

4292. ცაბაძე ა. წარსულის აჩრდილი. ტრაგედია 4 მოქმ. სიუჟეტი 1905 წლის მოძრაობიდან ქართლში. გორი, 1928.

4293–4299. ცაგარელი ა. დრამატიული თხზულებანი. ახალ-სენაკი, 1895–1897.

წ. 1. 1895.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი 1907. „ციმბირელი“ აქედან ააწყეს.“

გვ. 3. პიესას „ქართველი დედა“ მიწერილი აქვს: „ამ პიესას რუსულად ჰქვიან „Иахиль“ – იახილ. (ფრანგ. გადმოკ.). პირველად დაიდგა 1890 წ. 9 დეკემბ. ნ. გაბუნის ბენეფისზე. ი. გრ. ს. არნოს პიესიდან გადმოკეთებულიაო (იხ. საცენზურო არხივის ხელთნაწერი). იქ აწერია დაწერის წელი 1889 წ. ი. გრ.“

გვ. 90. პიესის ბოლოში: „ამ წელს დაიბეჭდა რუსულად ფრანგულიდან გადმოკეთებული პიესა „Иахиль“, ი. გრ.“

გვ. 91. პიესასთან „ციმბირელი“ ჩაკრულ კალენდრის ფურცელზე მიწერილია „ციმბირელი“, კომედია 4 მოქმედებად“. აქვე და 91-ე გვ. ბეჭედი: „ნებას ვრთავ აიწყოს“. „ციმბირელი“ პირველად წარმოადგინეს 1888 წელს (?) 18 მაისს. (პეტუას თვით ავტორი თამაშობდა. „ივერია“, 1888 წ. № 99, განცხ.) ი. გრ.“ იქვე: „მართალია? ახალ ამბად. „ივ.“, 1888, № 104“. სათაურის ქვეშ: „პეტუას ლექსი (გვ. 169 პირველად დაიბეჭდა „დროებაში“, 1885 წ., № 187)“. ქვევით: „ა. ცაგარელს დაუწერია 4 მოქ. კომედია „ციმბირელი“, რომელსაც ამ ზამთარს წარმოადგენენ. („ივერია“, 1886 წ., № 214). ამ წელს არ წარმოუდგენიათ!“.

გვ. 93. მიწერილია: „ასოთ ამწყობს: – ააწყოს როგორც დაბეჭდილია, წაშლილებს და ჩამატებულებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. იმათ ნუ ააწყობ და ისინი ა. ცაგარელს არ ეკუთვნის. ი. გრ. 1936. 29/III.“

გვ. 109. მიწერილია: „გასწვრივ 145-მდე. ი. გრ.“

გვ. 170. მოყვანილია ლექსი „საყვარელი! ოჰ, რა მოსაგონია!...“ არშიაზე: „ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა 1885 წ. „დროებაში“, № 187. სახელწოდებით: „საქულას სიყვარული“.

გვ. 173. ხაზგასმულია: „მაკარონივით რომ იმტვრევი წელში!..“, მიწერილია: „ეს ხაზგასმული სიტყვები უცაბედათ შექმნა ასიკო ცაგარელმა, როცა იგი პეტუას თამაშობდა. მაშო – მაკო საფაროვისა იყო. მაკო მართლაც ამოლტილი ქალი ყოფილა. ი. ელევთერიძის ნაამბობი. ი. გრ. 1933. 10/II.“

გვ. 194. მიწერილია: „უნდა აიწყოს სულ რაც წაშლილია.“

გვ. 208. პიესის ბოლოს დასმულია მთავლიტის ბეჭედი, მიწერილია: „პეტუას აფსონები ულოცავენ, როცა ცეკვით გავლენ. ფარდა. ჩემი სალამო. ი. გრ. 1933. 7/III.“

გვ. 209. მიწერილია: „პეტუა-ძიაჯან, ჩემი ამფსონები მომიყვანია, და შენი ნახვა უნდათ, შეიძლება. ყველანი – შეიძლება! შეიძლება.“

ი. გრ. გაუკეთებია ამ პიესის რედაქცია 1936 წლის გამოცემისათვის. წიგნში მრავალი ადგილი ხაზგასმული, გადაშლილი, გადახაზულია მიწერილია შენიშვნები.

გვ. 209. „ბაიყუშ“-თან მიწერილია: „(მიბაძვა. იხ. I გამოცემა).“

მეორე ცალის თავფურცლის მე-2 გვერდზე: „1. „ქართველი დედა“. 2. „ციმბირელი“. 3. „ბაიყუში“. ბოლოში აკლია პიესა „ბაიყუში“. წ. 2. 1897.

კანის მე-2 გვ. დაკრულია ერთი გვერდის ანაბეჭდი, რომელზედაც მიწერილია: „უნდა დამებეჭდა ა. ცაგარელის I ტომში, მაგრამ დრამები მეორისთვის გადავდე. III-ში გადმოკეთებულები. ი. გრ. დრამების დაბეჭდვა გადაიდო. – ეს ფურცელი დამრჩა. ი. გრ.“

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი. ტფ., 1907 წ.“

გვ. 3. ბეჭედი: „მთავლიტი – ნებას ვრთავ აიწყოს. მთავლიტის რწმუნ... [ხელწერა გაურკვეველია.] 1936 წ. 2 აპრილი.“ იგივე რუსულად.

გვ. 83. პიესა „ხანუმა“-ს მიწერილი აქვს „აიწყოს მთლიანად. ი. გრ.“

აქვე დაკრულია ნატალია გაბუნია-ცაგარელის სურათი.

გვ. 84. შენიშვნაში ხაზგასმულია ადგილი: „ზემოხსენებულ პირთა ეს კომედია ითამაშეს თბილისში პირველად 1882 წელს“... და მიწერილია: „ტყუილია! იხ. I გამოც. ი. გრ.“

გვ. 229. სათაურს „ოინბაზი“ მიწერილი აქვს: „ასიკო ცაგარელისა. ი. გრ.“

წიგნის ბოლო ფორზაცზე წერია: „სადაც არ ვიყავ მე მშვენიერ გაზაფხულს, მე ვხედავ ერთ სიზმარს და ეს სიზმარია, სიზმარი არის, რომ შენ ჩემი იყავ, ეს იყო სიზმარი.“ ი. გრ.“

ტექსტს გაკეთებული აქვს ტექნიკური რედაქცია.

მეორე ცალის ფორზაცზე: „სოლო გომადის ნაქონი წიგნი. ი. გრ.“

გვ. 3. ყოფილი პატრონის ხელწერა: „სოლ. გომადე.“

4300–4306. ცაგარელი ა. კომედიები, ი. გრიშაშვილის რედ., წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით. ტფ., 1936.

წიგნში ჩადებულია სხვადასხვა ზომის ქაღალდი, რომელზედაც წერია: „1. ასიკო ცაგარელი დაიბადა 1857 წ. 9 თებერვალს [ძველი სტილით]. ახლურად 21 თებ. 1957 წ. სრულდება 100 წ. სოლიკო ხუციშვილმა გამოარკვია. 2. (ეს ჭ-ძის ლექსია?) „სიყვარულო რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი ღმერთმანა გყო თუ ეშმაკმა კაცის გულში შთანერგილი.“ (იხ. „ხანუმა“ ა. ცაგარელისა. მეორე მოქმ., II სანახავი). ეს ა. ჭ-ძის ლექსია „სიყვარულო ძალსა შენსა ვინ არს რომელ არ ჰმონებდეს!“ (იხ. ა. ცაგარელის პიესა „ერთი ნაბიჯი წინ“, 1 მოქმ. გამოსვლა 2. „თხზ“ II გვ. 10). 3. ა. ცაგარელის მოთხრობა „სიყმაწვილის სახსოვარი“, „დროება“, 1882, № 166 და სხვა... (ამა წლის „დროებაში“ ასიკოს ლექსებიცაა). ა. ცაგარელის „ოინბაზი“ პირველად წარმოადგინეს 1882 წ. 20 ოქტ. (იხ. „დროება“, 1882, № 218, 19 ოქტ.) რეცენზია აუგად იხსენიებს (იხ. „დროება“, 1882 წ., № 221. 24 ოქტ.) 4. ავქ. ცაგარელის უცნობი პიესის ავტოგრაფი. იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 42, 16 ოქტ. გვ. 4.“

წიგნში ჩადებულია აგრეთვე ქაღალდის ნაჭერი, რომელზედაც უცნობი პირის ხელით წერია: „მოულოდნელი საჩუქარი“, კომ. 1 მოქმ. თარგმ. ა. ცაგარელისა. „თტრ.“, 1889 წ., № 41–42, № 45–46–47.“

მეორე ცალის ხელნაკეთ კანის მე-2 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი თბილისის უნივერსიტეტის განცხადება დისერტაციის დაცვის შესახებ, მიწერილია: „კომ.“, 1941 წ., № 53. (4 მარტი). მე მინდოდა დამეცვა დისერტაცია. მთელი მასალა ამ წიგნშია. ღმერთი არ არის?“.

შმუცტიტულზე: „ეს ჩემს ბიბლიოთეკას რჩება. ი. გრ. 1936. 29/VII. მეორედ აქედან აიწყოს – გასწორებულია. ი. გრ.“ იქვე: „რეცენზიები ამ წიგნზე: 1. „კომუნისტი“, 1936, № 221 (ქრონიკა). 2. „ლიტერატ. გაზეთი“, 1936, № 16 (ქრონიკა). 3. „კომუნისტი“, 1936, № 252, 30 ოქტ. (ქრისტ.) 4. „საბჭოთა ხელოვნება“, 1937, № 2 (შ. ჩხ.). 5. „ლიტ. საქართველო“, 1937, № 23, გვ. 4. (კალენდარში).“

თავფურცელთან გაზეთის ამონაჭერი „ა. ცაგარელის უცნობი პიესები“ მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, № 24, 1939 წ. გ. სუნდუკიანცი მისი საყვარელი მწერალია. ეს პიესა სუსტი ლექსითაა დაწერილი“. [იგულისხმება პიესა „ჩვენი ცხოვრების სურათები“].

აქვე დევს კონვერტები წარწერით: „1. ასიკო ცაგარელის წერილები ჩაემატოს ჩემს ნარკვევებს. 2. ა. ცაგარელი. თუ რუსი არ არის, სხვა ტომს რკინის გზის სამსახურში არავის იღებდნენ. (ნ. ნიკოლაძე.) 3. ნატო გაბუნიას სიმღერა ასიკოს საფლაგზე.“ გაზეთებიდან ამონაჭრები: 1. „აქვსენტი ცაგარელი – კომედიები. რედაქცია, შენიშვნები და ლექსიკონი ი. გრიშაშვილისა.“ ამონაჭერზე წერია: „კომუნისტი“, 1936 წ., № 252, 30 ოქტ.“ 2. აქვსენტი ცაგარელი (დაბადებიდან 80 და გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო)“ მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1937, № 23, 10 სექტ. 3. ა. ცაგარელის კომედიები ი. გრიშაშვილის რედაქციით“. ამონაჭერზე წერია: „კომუნისტი“, 1936 წ., № 221“. 4. ავქ. ცაგარელი – „კომედიები“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით, და ლექსიკონით“ მინაწერით: „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ., № 22.“

წიგნს გაკეთებული აქვს რედაქცია შემდეგი გამოცემისათვის:

თითქმის ყველა გვერდზეა ბიბლიოგრაფიული, სტილისტური და კორექტურული ხასიათის შენიშვნები. მრავალი ამონაჭრები გაზეთებიდან, ქალაქის ნაჭრები შენიშვნებით.

მესამე ცალის ფორზაცზე: „ჩემს ბიბლიოთეკას. 1936. 15/IX“.

ფორზაცის მე-3 გვ. დაკრულია გაზეთიდან ამონაჭერი ქ. რ.-ს წერილი „ავქსენტი ცაგარელი – კომედიები. რედაქცია, შენიშვნები და ლექსიკონი ი. გრიშაშვილისა“ მინაწერით: „კომ.“, 1936, № 252, 30 ოქტ.“

4307. ცაგარელი ა. მათიკო. დრამა – ამონაჭერი: „ივერია“, 1880, № 3.

ხელნაკეთ კანზე: „მათიკო. – ი. გრ.“

ხელნაკეთ თავფურცელზე: „ორი პიესა 1. მათიკო, დრამა ხუთ მოქმედებათ... ა. ცაგარელისა. 2. „პეპო“ კომედია სამ მოქმ. გ. სუნდუკიანცისა. იოსებ გრიგოლის ძე მამულაშვილი (გრიშაშვილი) „1907 წ.“ (16 თებერვალს.)“.

გვ. 55. და გვ. 139. ბეჭედი: „მთავლიტი. ნებას ვრთავ აიწყოს“. იგივე რუსულად.

ტექსტი რედაქტირებულია ტექნიკურად ი. გრ. მიერ.

4308. ცაგარელი ა. მათიკო. მე-3 მოქმ. თფ., 1916.

4309. ცაგარელი ა. მკითხავი. კომ.-ფარსი 3 მოქმ. ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან“ გადმოკეთებული. [ი. გრიშაშვილის წინათქმით. თბ., 1937] – ამონაჭერი: „მნათობი“, 1937, № 5.

ხელნაკეთ კანზე: „ავქ. ცაგარელი. მკითხავი. კომ.-ფარსი 3 მოქ. ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან“ გადმოკეთებული. აღმოაჩინა და წინათქმა დაურთო ი. გრიშაშვილმა. „მნათობი“, 1937, № 5, გვ. 33.“

4310–4314. ცაგარელი ა. ოინზაზი. ვოდ. 1. მოქმ. (გადმოკეთებული). თბ., 1940.

კანზე ბეჭედი: „საქართველოს სათეატრო მუზეუმი.“

4315. ცაგარელი ა. რაც გინახავს ვეღარ ნახავ! კომ. 3 მოქმ. – ამონაჭერი: „ჩანგი“, ტ. 2. თბ., 1916.

გვ. 423. ხაზგასმულია: „მუდრგე!“ მიწერილია: „მუდრეგ!“

გვ. 425. არშიაზე: „აკლია“

გვ. 432. წინადადებაში „ჩემი საქმისა მე ვიცი“... ჩამატებულია „თვითონ.“

გვ. 435. ხაზგასმულია: „ია მეტეხუ პაშოლ!...“, მიწერილია: „ნა“ – „ია“-ს ნაცვლად.

აზნაცის ბოლოს: „აქამდე“.

4316–4318. ცაგარელი ა. რაც გინახავს ვეღარ ნახავ! [კომედია] – ამონაჭერი.

ხელნაკეთ კანზე: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ! ი. გრ.“

თავფურცელზე ჩაკრულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ეს წიგნი არ გამითხუნოთ და დამიბრუნეთ თავის დროზე. ი. გრ. 1931. 26 მარტი“. ჩაკრულია მადლოზის წერილი რუსულ ენაზე თხელ ქალაქზე, დაბეჭდილი ი. გრ. სახელზე, რომელსაც ხელს აწერს დრამწრის ხელმძღვანელი გიგომვილი.

4319. ცაგარელი ა. როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო! თანამედროვე სცენები 4 მოქმ. (ქალაქელთა ცხოვრებიდან) – ამონაჭერი: ცაგარელი ა. კომედიები, 1936.

4320. ცაგარელი ა. ხანუმა. მე-2 მოქმ. ამონაჭერი: ცაგარელი, ა. 3 კომედია, 1844.

ხელნაკეთ კანზე: „ა. ცაგარელი „ხანუმა“. (აქ მხოლოდ მეორე მოქმედება). ი. გრ.“

4321–4325. ცაგარელი ა. სამი კომედია [ხანუმა. – რაც გინახავს, ვეღარ ნახავ. – ბაიყუმი]. თფ., 1884.

თავფურცელზე წარწერა: „პატივცემულ კნენა იულია ივანეს ასულს ბარათაშვილისას, ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. ავტორი.“

ამონაჭერი გაზეთიდან „ლიტ. და ხელ.“, მარგარიტა ვაჩნაძის წერილი „პირველი ქართული კომიკური ოპერა. ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ დადგმის 30 წლისთავის გამო მინაწერით: „ა. ც-ლი. „ლიტ. და ხელ.“, 1949, დეკ.“...

მეორე ცალის ხელნაკეთ კანზე: „ი. გრ. ა. ცაგარელი. სამი კომედია, 1884.“

თითოეულ კომედიას აქვს მთავლიტის ბეჭედი: „ს. ს. რ. მთავლიტი ნებას ვრთავ აიწყოს მთავლიტის რწმუნ. (ხელმოწერა). 20/III. 1936 წ.“ იგივე რუს. ენაზე.

გვ. 113. მიწერილია: „ი. გრ. აქამდე გავასწორე. გადადის გვ. 97.“

გვერდები დანომრილია ი. გრ. ხელით.

გვ. 3. მომქმედ პირთა შემსრულებლებზე მიწერილია: „ნუ აიწყობა.“

გვ. 57. ხანუმას მონოლოგიდან ამოშლილ სიტყვებზე მიწერილია: „უნდა.“

გვ. 73. ვანოს სიტყვასთან: „უნდა“.

გვ. 91. კომედია „ხანუმას“ ბოლოს: „დასწერა 1882 წ.“

გვ. 95. მომქმედ პირთა შემსრულებელ მსახიობთა გვარების ზემოთ: „ამას ნუ ააწყობთ.“ ხაზგასმულია თითოეული გვარი და ზოგ მათგანს მიწერილი აქვს შენიშვნა. ასე მაგ.: „ვ. მანცვეტოვი“, \*, \*) ცნობილი ექიმი, თამაშობდა კენჭაძის ფსევდ.“ ასევე: „ნ. შიშნიევი“ – \*\*) – ნ. თომაშვილი“. ასეთივე მინაწერი გვერდის ბოლოს:

გვ. 96. მიწერილია: „ნუ აიწყობა“.

წიგნის ბოლოს: „სარჩევი“ ხანუმა 3. რაც გინახავს... 93. ბაიყუში, 153.“

მესამე ცალის ხელნაკეთ კანზე: „ა. ცაგარელი. სამი კომედია.“

გვ. I. „სამი კომედია. 1884.“

გვ. 1. „სამი კომედია. ა. ცაგარლისა. გამოც. 1884 წ. დუბ. ი. გრ.“

მეოთხე ცალის კანზე: „იშვიათია. ი. გრ. სრულია.“

4326. ცაგარელი ა. ციმბირელი. კომ. 4 მოქმ. – ამონაჭერი: ა. ცაგარელი. კომედიები, 1936.

თავფურცელზე: „სუფლიორისა! ი. გრ.“ ქვემოთ: „პეტუა ჩემი როლია! ი. გრ.“

თავფურცლის მე-2 გვ. „მოქმედნი პირნი“-ს გვერდით მიწერილია შემსრულებელთა გვარები: „სოსო, ე. ირემამე, გრ. ცეცხლამე, მარიჯანი... და სხვ.“

გვ. 134. გადახაზულია სიტყვა: „გაკისკისებს“ და მიწერილია: „გაცინებს“. ამავე გვერდის ბოლოში გადახაზულია სტროფი და მიწერილია:

„შენი ტუჩები. ნაზ-ფუჩფუჩები  
წინასწარ ბედსა მექადებიან,  
და ეს გრძნობანი, წინაცნობანი,  
ვითა ლახვარი გულსა მხვდებიან.“

გვ. 135. გადახაზულია ლექსი.

გვ. 136. მიწერილია: „ვიღაცეები მოდიან, წავიდეთ! (გადიან).“

გვ. 136–139. „მეორე სანახავი“ – გადახაზულია მთლიანად.

გვ. 143. მიწერილია: „(მაზუთიანი გადის, ქლესოვი მიეგებება შემოსულ ნარგიზას)“.

გვ. 143–145. „მეოთხე სანახავი“ გადახაზულია მთლიანად.

გვ. 173. გადახაზულია: „ღმერთი სამართლიანია და ხემწიფე მოწყალე, ღმერთმა განაძლიეროს“, მიწერილია: „სამართალმა გზა კვალი არ დაჰკარგა.“



გვ. 177. ჩადებულია ქაღალდის ნაჭერი, მინაწერით: „მაშონი; ნარგიზა; ქლესოვი; პეტუა; მაზუთიანი, ციმბ.“

გვ. 184. მიწერილია: „ქლესოვი, მაშ რაც მოგივიდეთ, ჩემი ბრალი არ იყოს. (ესეც გადის).“

გვ. 186 და 187 ჩაკრულია ქაღალდის ორი ფურცელი, მინაწერით: „მაშო – რად გიყვარვარ?“

პეტუა – რად მიყვარხარ? ვაი რომ ვიცოდე, განა კი მეყვარები?...“ მთლიანად გადმოწერილია მონოლოგი, ბოლოს მიწერილია: „(ა. ახნაზაროვი. იხ. მისი „თხზ.“ და „ივერია“, 1891 წ., № 1). ი. გრ.“

გვ. 191. არშიაზე: „ერთი ლოთიანად ჩამაფარებინა თავში (გადის).“

გვ. 192. მაზუთიანის სიტყვის ბოლოს: „სხვას დავუთმო!“

გვ. 215. მიწერილია: „პეტუა-ძიაჯან აქ ჩემი ჰამსუნები არიან, შენი ნახვა უნდათ... ამბობენ ნიკოლას უნდა მიულოცონო.“

ციმბირელი – მოვიდნენ, შვილო?

პეტუა – მოდით რაღა! (შემოდის 6 ყარაჩოლელი შემოაქვთ თარფი. მერე ცეკვავენ.). (ფარდა).“

წიგნის ბოლოს: „უნდა ვითამაშოთ 2 მარტს (1942 წელს). თავდაცვითი ფონდის სასარგებლოდ. ი. გრ. 1942 14/II.“ ქვემოთ: „გადაიდო: უნდა ვითამაშოთ 12 აპრილს 1942 წელს ი. გრ. [გადაიდო!]“ ამის ქვემოთ: „დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში 1933 წ. 7 მარტს ჩემს საღამოზე. ი. გრ.“

გვ. 187-თან მიმაგრებულია ი. გრ. მიერ შედგენილი და მისი ხელით დაწერილი განცხადება მარჯანიშვილის თეატრში ა. ცაგარელის „ციმბირელის“ დადგმის შესახებ. დასაწყისში „მარჯანიშვილის თეატრი“, იქვე: „მწერლები, ორშაბათი 2 მარტს 1942. წარმოდგენილი იქნება ავ. ცაგარელის პიესა „ციმბირელი“, კომედია 4 მოქმედებად. პიესაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ მწერლები.“

მერე ჩამოთვლილია მონაწილე მწერლები და როლები:

„1. სანდრო შანშიაშვილი“ გადახაზულია, მიწერილია: „ი. გრიშაშვილი – მაზუთიანი“. „4. შალვა დადიანი... იოანე უსტაბაში“. „9. ი. გრიშაშვილი“ – გადახაზულია, მიწერილია: „ი. ზურაბიშვილი... კავკასელი პეტუა.“ „5. მარიამ გარიყული“ – გადახაზულია და მიწერილია: „ცქვიტი – ქალია.“ „8. ს. ფაშალიშვილი... სტეფან მაკარიჩი“. „7. მაყვალა მრევლიშვილი“ – გადახაზულია, მიწერილია: „მ. გარიყული... ვარო.“ „10. მარიჯანი... მაშიკო“. „3. მიქელ პატარიძე“ – (გადახაზულია და მიწერილია: „გრ. ცეცხლაძე)... ადვოკატი ქლესოვი“, „6. რაჟდენ გვეტაძე“ – გადახაზულია და მიწერილია: (მ. პატარიძე)... ნიკოლა“. „2. ქეთო ირემაძე... ნარგიზა“, „11. ალ. შანიძე... არტემი.“

თანმიმდევრობის შესაბამისად ხელს აწერენ: „1. შ. დადიანი, 4. [გაურკვეველია]. 9. ი. გრ. 5. მ. გარიყული. 8, 7. გაურკვეველია. 10. მარიჯანი. 3. გრ. ცეცხლაძე. 6. მ. პატარიძე. 2. ქ. ირემაძე“. იქვე: „პიესას დადგამს“ – (გადახაზულია და მიწერილია თავზე: „რეჟისორი: ლეო ქიაჩელი“. რეჟ. თანაშემწე – გადახაზულია და მიწერილია თავზე: „სცენარიუსი: სიმონ ჩიქოვანი. სუფლიორი: ნ. ჩაჩავა. სამხატვრო ნაწილის გამგე სანდრო ეული. მეოთხე მოქმედებაში სტუმრებს შორის გამოვლენ პოეტები: ა. მაშაშვილი, ს. ეული, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, მარიკა ბარათაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი.“ და ბოლოს

აღნიშნულია: „დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე. ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში. (დასასრულ ცეკვა).“

4327. ცაგარელი ა. ცისარტყელა. კომ. 4 მოქ. – ამონაჭრები: „მოამბე“, 1900, № 10. 11.

კანზე: „ი. გრ. ცისარტყელა. („მოამბე“, 1900 წ., № X. XI) „სუფლიორის ეგზემპლდარი – ი. გრ.“

4328–4329. ცაგარელი ა. ცისარტყელა (დღევანდელი ვარამი). კომ. 4 მოქმ. ტფ., 1901 – გადმობეჭდილია ჟურნალ „მოამბიდან“.

თავფურცელზე წარწერა: „უძვირფასესს, დიდებულს მოძღვარს ილიას. ავტორისაგან“.

კანზე: „შევიძინე გაჩეჩილაძისაგან. ი. გრ. 1931 წ. 25/III.“ იქვე: „ამ წიგნს ა. ცაგარელი უძღვნის ილია ჭავჭავაძეს. ი. გრ.“

კანზე ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის წიგნებისათვის დამახასიათებელი – ლურჯი ფანქრით დაწერილი ციფრებია: „418, 29.“

თავფურცელზე: „კორექტ. შეცდომა, გვ. 20.“ და გვ. 20-ზე მე-4 სტრიქონში „დიმიტრი“ გადახაზულია და მის მაგივრად წერია: „სფირიდონ.“

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ძვირფას ძველ მეგობარს მაკოს ასიკოსაგან“.

4330. ცაგარელი ა. ჭკუისა მჭირს! კომ. 1 მოქმ. [თბ., 1908]. – ამონაჭერი: „ცხოვრების სარკე“, 1908.

4331. ცაგარელი ა. ჭკუისა მჭირს! კომ. 1 მოქმ. [თბ., 1936] ამონაჭერი: ა. ცაგარელი, კომედიები. 1936.

4332. ცაგარელი ა. ხანუმა. კომ. 4 მოქმ. – ამონაჭერი: ცაგარელი ა. დრამატიული თხზულებანი, 1897.

4333. ცაგარელი მ. გიორგი, მიხეილ! მოთხრობა. ვუძღვნი ჩვენს ახალგაზრდობას. ტფ., 1901.

4334–4336. ცახელი. გურგენ რაინდი. (ლეგენდა). ქუთაისი, 1893.

კანსა და თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „მირიანაშვილი“.

კანზე: „აფორიზმი 85. ი. გრ.“ იქვე:

„ბოლოში მკითხველის შთაბეჭდილებაა მიწერილი. „იკურთხა შენი საფლავი ავტორო!“ ი. გრ.“

4337–4339. ცახელი. გურგენ რაინდი (ლეგენდა). ტფ., 1920.

4340–4341. ცახელი. ზარნაშო. (ლეგენდა). ქუთაისი, 1892.

4342–4344. ცახელი. რამდენიმე ლექსი. თბ., 1891.

4345. ცახელი. საბრალო ბაბუა. ამბავი. [ლექსად]. – ამონაჭერი: „ნიავი“. [1908].

თავფურცელზე: „ჟურნალ „ნიავი“-დან. ეს კრებული არ გამოსულა. ერთი ეგზემპლარი მე მაქვს. ი. გრ.“

4346–4350. ცახელი. უკვდავი სარდალი. (ლეგენდა) და რჩეული ლექსები. ქუთაისი, 1896.

4351. ცეცხლაძე გ. რჩეული. [ლექსები]. თბ., 1939.

4352. ცეცხლაძე გ. ლექსები. პოემა. თბ., 1957.

ფორზაცზე წარწერა: „ქართველი ხალხის სასიქადულო პოეტს იოსებ გრიშაშვილს. გრ. ცეცხლაძე. 19 5/II-58 წ.“

- 4353–4355. ცეცხლაძე გ. ოთხი მაუზერი. პოემა. ტფ., 1931.
- 4356–4358. ცეცხლაძე გ. პოეტის ყეფა. [ლექსების I წ.]. ტფ., 1924.  
კანზე: „ი. გრ. 1924. 1/I.“  
მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „მეგობარ პოეტს არნო ონელს. ავტორისაგან. 1924. 25. X.“
- 4359–4360. ცეცხლაძე გ. საკუთარი ხმა. ლექსები და პოემები. [თბ.], 1935.
- 4361–4362. ცეცხლაძე გ. ფერად ფერადი ლექსები სატრფოსათვის გასართობათ. პოემა, ტფ., [1925].  
თავფურცელზე წარწერა: „საყვარელსა და მარად შეყვარებულ პოეტს ი. გრიშაშვილს. გრ. ცეცხლაძე. 19 $\frac{20}{12}$ 25 წ.“
- გვ. 15. ხაზგასმულია და მიწერილია: „კარგია“.
- გვ. 22. ხაზგასმულია: „შრამით“, მიწერილია: „რუსულია.“  
მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ძმას და მეგობარს პოეტს იასამანს გრ. ცეცხლაძე. 19 $\frac{8}{I}$ 26 წ.“
4363. ციბელი შ. ჰაიდირი. პოემა. ბათომი, 1933.  
შმუცტიტულზე წარწერა: „ძვირფას ძმას და მეგობარს ამხ. ვანიჩქას ავტორისგან.“  
ქვემოთ – „ვანიჩქა“-სთან მიწერილია გვარი – „ასკურავა“.
4364. ციშბირელი მ. ცეცხლის აკორდები. ლექსთა კრებული. წიგნი-1. ტფ., 1924.  
თავფურცელზე წარწერა: „ძღვნათ ი. გრიშაშვილს, ნიშნად ღრმა პატივისცემისა. ავტორისაგან. 20 მაისი. 1924 წელი“  
კანზე: „ი. გრ. 20/V.“
4365. ცინცაძე ე. ფერადი ფურცლები. [ლექსები]. ტფ., 1926.  
კანზე: „ლექსი ჩემზე, გვ. 28. ი. გრ. 1926. 8/III.“
4366. ცირეკიძე ს. მთვარეულები. [ლექსები]. ქუთაისი, 1921.  
კანზე: „ი. გრ. ქუთ. 28 ივლისი“.
4367. ციციშვილი ი. ავლაბრელი ოსანა მკითხავი. მოთხრობა. თბ., 1893.
4368. ციციშვილი ი. დიდი ოთხშაბათი. პოემა. თფ., 1898.
- 4369–4370. ციციშვილი ი. თამარ დედოფლის სამკაული. მოთხრობა. ტფ., 1899.  
თავფურცელზე: „დუბ. ი. გრ.“  
გვ. 62. წიგნის ბოლოს: „აკლია 1 ფურც.“
4371. ციციშვილი ი. სამუელის ღამე. ფანტაზიური პოემა. ტფ., 1899.
- 4372–4374. ციციშვილი ი. სარდლის კოშკი. პოემა. თბ., 1894.
4375. ციციშვილი ნ. „ვეფხვის ტყაოსნის“ გაგრძელება 1571 ტაეპის შემდეგ. [თბ., 1880] – ამონაბეჭდი: ჟურნ. „ივერია“, 1880, № 3.  
ხელნაკეთ კანზე: „ნანუჩა [ციციშვილის] მიერ გაგრძელებული „ვეფხის ტყაოსანი.“ „ივერია, 1880 წ., № III. ი. გრ. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“, გვ. 7“.
- გვ. 7. ხაზგასმულია: „დამსა ჯარია“, მიწერილია: „დამსაჯანია? ი. გრ.“
- გვ. 27. ხაზგასმულია: „აქ ზმა არის,“ მიწერილია: „თუ მაჯამა? ი. გრ.“
- 4376–4378. ციციშვილი ნ. შვიდი მთიები. ბარამ-გური. კ. კეკელიძის რედ-ით, გამოკვლევით და ლექსიკონით. [თბ., 1930].

ფორზაცზე წარწერა: „პატივცემულ მგოსანს ი. გრიშაშვილს რედაქტორისაგან.“ იქვე: „ი. გრ. 1931. 22/II. ბარამ-გურიანი.“

ყდის მე-2 გვ. ქალაქის ნაჭერი წარწერით: „ბარამიანი, იხ. I. ხახანაშვილი (რუს.) ტ. 3, გვ. 127. II. ცაგარელი, III, 257. III. გენკოს პატარა წიგნი. IV. ქუჩური გამოცემანი „ბალახანი“. V. ი. აბულაძის წერილი ბარამ-გურიანის ხელთნაწერის შესახებ. („სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 818, 9 თებ.). ი. გრ.“

გვ. II. ხაზგასმულია: „კანჯარი“, მიწერილია: „კანჯარი – ველური ვირი, კარაული.“

გვ. III. ხაზგასმულია: „ბარამიანი“, მიწერილია: „იხ. გენკო – ДРАН, 1924, გვ. 140“. მოხაზულია: „დიდი ბარამიანი“, მიწერილია: „იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 818. ი. გრ.“

გვ. IV. ხაზგასმულია: „პრინცესა ტურანდოტი“, მიწერილია: „პრინცესა ტურანდოტ – იხ. ჩემი ბოჰემა, 78“.

გვ. XV. სქოლიოში ხაზგასმულია: „Бертельс, Очерки истории персидской литературы...“ მიწერილია: „მაქვს.“

გვ. 238. ხაზგასმულია: „ნირი“, წერია: „ნირშეუცვლელი! აქედანაა.“

გვ. 240. ხაზგასმულია: „სამა“, მიწერილია: „სამაია [სამის ცეკვა].“ ხაზგასმულია: „სანთური“, მიწერილია: „დასარტყმელი ჯოხებივით – ყუთივით.“

გვ. 241. ჩაკრულია კალენდრის ფურცელი წარწერით: „გვ. 240. სანთური, საკრავია ყუთით, რომელზედაც ჩხირებით უკრავენ. თუ სახარებაში მოხსენებულია სანთური და დ. ჩუბინიშვილი არფას ადარებს, მაშინ ასე შეიძლება ვიგულისხმოდ. არფისა და სანთურის იგივეობა: არფას – უკრავენ ხელით, სანთურს ჩხირებით.“

გვ. 242. ხაზგასმულია: „იყლიმი“, მიწერილია: „ტემპერატურა.“

გვ. 244. ხაზგასმულია: „ჩართარი“, მიწერილია: „ჩარ. ჩარ – დავრიშიანი, ოთხსიმიანი საკრავი.“

გვ. 245. ჩაკრულია ფურცელი მინაწერით: „გვ. 244. ჩართარი, არაბულად ჩარ ოთხს ნიშნავს, აქედან – ოთხსიმიანი თარი, ოთხსიმიანი საკრავი. „ჩარდავრიშიანი“ წიგნიც. არის – ოთხი დავრიშის ამბავი. ნოდარს საზი არა აქვს მოხსენებული და ეს ჩართარი სწორედ საზი უნდა იყოს და საზს ხომ ოთხი სიმი აქვს და გრძელტარიანი ჩონგურია! ი. გრ. გვარი სანთურების მკეთებლისა – სანთურჯიან-სანთურჯან.“

4379–4380. ცნობილაძე ი. „მოტყუებულნი“ კომ. 2 მოქმ. ყვირილა, 1912.

კანზე: „მხოლოდ უნივერსიტეტშია. ი. გრ.“

4381. ცულლუტი. დავითასა და გოგიას ამბავი. იუმორ. კრებული [თბ.], 1911.

თავფურცელზე: „თბილისში არ არის. ი. გრ.“

4382. ცხვედაძე ა. ბედნიერი ქორწილი. კომედია 4 მოქმ. ამონაჭერი: „მნათობი“, 1871, № 2.

4383. ცხვედაძე ა. ბედნიერი ქორწილი. კომ. 4 მოქმ. [თბ., 1871].

4384–4393. ცხოვრების სარკე. პიესების კრებული მსახიობთა სურათებით. [წ.] 1–2. თბ., 1899–1901.

წ. 1. სახსოვრად ქართული სამუდამო სცენის ოცი წ. არსებობისა 1879–1899. 1899.

მეორე ცალის ხელნაკეთ კანზე: „1. ილია ჭავჭავაძის აზრი ვ. აბაშიძეზე. გვ. 228. 2. ჯიმშერ – მ. ნასიძეა, გვ. 154. 3. სარდუ და ვ. აბაშიძე, გვ. 9.“

1. „უნდა გავიყარნეთ“. 2. „ადვოკატი მელაძე“. 3. „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ.“ 4. „ადამ და ევა“. 5. „დატრიალდა ჯარა“.

წიგნში დევს კონვერტი ქალაქის ნაჭრით, წარწერებით:

„1. ცხოვრების სარკე“ (I ტ.). რეცენზია. მირზახანი არჩევს (იხ. „კვალი“, 1899, № 43. გვ. 748). აუგი: „მესხიშვილს. კ. მარჯანოვი... 2. „უნდა გავიყარნეთ“ (სარდუ). მერე ვასომ სახელი გამოუცვალა და დასდგა თავის ბენეფისზე. (1897. 27 ნოემბ.) „ჩემს ცოლს ვეყრები.“

გვ. 233. არშიაზე: „ვასო აბაშიძის შედგენილი ბ. წინათქმა.“

გვ. 236. მოხაზულია ადგილი: „თარგმ. არვიცაშვილისა“, გასწვრივ წერია: „რა კურიოზია ივ. მაჩაბლის რედაქციით ითარგმნა.“

მეხუთე ცალის თავფურცელზე: „Въ ред. Газ. „Кавказ,“ Для рецен. от издателя.“

მეექვსე ცალი საგანგებოდ არის ჩასმული ყდაში. ყუაზე ამოტვიფრულია: „Грузинская Комедии“. А. Е. С.“

წგ. 2.

ხელნაკეთ კანზე: „შერმაზანოვის შენობა იყო მოღნიის (აბას აბადის) მოედანზე და არა იქ, როგორც პირველი წიგნის 213 გვერდზეა აღნიშნული. (იხ. „ცხ. სარკის“ კორექტ. შეცდომის გასწორება გარეკანზე). 1. „ურიელ აკოსტა“. 2. „უფროსი ძმა.“ 3. „ფული და ხარისხი“. 4. „ოსკარ პეტროვიჩი საიქიოს.“ 5. „ჭკუისა მჭირს.“ 6. „დათვი“. 7. „დედაკაცმა აგვრია.“

თავფურცელზე: „ი. გრ. Суфл. И. Г. Мамулов“.

წიგნში ადგილები გადახაზულია, შესწორებულია შეცდომები.

გვ. 8. ხაზგასმულია: „ხომლელი“, გასწვრივ წერია: „ხომლელი (რ. ფანცხავა).“

გვ. 9. „ი. გრიშაშვილი.“ არშიებზე წერია: „ურიელ აკოსტა“ დაიბეჭდა ჟურნ. „თეატრში“, 1886 წ. და 1887 წ. № 1 და სხვა. „ურიელ აკოსტა“ თარგმნა პირველად დავით ერისთავმა („სამშობლოს“ ავტორმა), აწერია მოსკოვი, 1879 წ. (იხ. თეატრის მუზ.). „ურიელ აკოსტა“ ავტორმა კ. გუცკოვმა გადმოაკეთა პიესად თავისავე რომანიდან: „Амстердамский садукей.“ „ი. გრ. „ურიელ აკოსტა“ ხელახლა სთარგმნა ვ. გაფრინდაშვილმა მარჯანიშვილის თეატრისათვის.“

გვ. 10. მომქმ. პირთა გასწვრივ მიწერილია მსახიობთა გვარები, ქვეშ წერია: „ლადო მესხიშვილის ხელია. ი. გრ.“

გვ. 43. სტრიქონების გასწვრივ არშიაზე წერია: „ვსუფლიორობდი. ჩემი კოწიწი ი. გრ.“

გვ. 247. არშიაზე: „აქედან ავაწყობინე. ი. გრ.“

გვ. 246. ფსევდონიმთან: „იზიდე“, მიწერილია: „(ი. იმედაშვილი).“

გვ. 350. ლექსის ბოლოს მიწერილია ავტორის გვარი: „[ა. ახნაზაროვი].“

გვ. 351. სათაურის გასწვრივ არშიაზე წერია: „სხვა თარგმანიც არის „მომამბე“, 1904 წ., № VII, გვ. 114.“

4394. ძამამია რ. ალიაქოთი. ახლათ შედგენილი ლექსები. თბ., 1908.

4395–4396. ძამამია რ. ტალკვესი. სასიმღერო ლექსები. [თბ.], 1908.

კანზე: „ავტორი მეტეხის ციხეში ყოფილა. ი. გრ.“

4397–4398. ძიმისტარიშვილი ს. ლექსები, სცენები და სხვადასხვა ნაწერები. (კორტოხას ფსევდონიმით). ტფ., 1904.

კანზე: „გარდაიც. 1912 წ. დეკემ. ი. გრ.“ იქვე: „კურცოვის მაღაზია, 91. მეგრული ენა, 104. გული მიწუხს, 64.“

თავფურცელზე: „ჩასწორებულია კორექტურა 70, 89. სტეფანე ძიმისტარიშვილის ლექსი „გოჩას“ (იხ. „ცისკ.“, 1872 წ., № 7–6, გვ. 69)“.

გვ. 17. ლექსს „ცრუმორწმუნე და აემაგს“, მიწერილი აქვს: „იხ. „კვალი“, 1894.“

გვ. 71. ლექსს „გამოცანა“ მიწერილი აქვს: „იხ. „კვალი“, 1893, № 31. ი. გრ.“

წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი წარწერით: „კორტოხას ლექსის შესახებ „გოგორა გოგო“ იხ. „ივ.“, 1895, 157. „ივერიის“ ფოსტაში.“

ფორზაცის მე-4 გვ. გაზეთიდან ამონაჭერი ს. ცაიშვილის წერილი „სტ. ძიმისტარიშვილი („კორტოხა“) მინაწერით: „კომუნისტური განათლება.“

4399. ძიმისტარიშვილი ს. ჩიტ-ბელურა. დასურათებული ხალხური ზღაპარი ლექსად. [თბ., 1919].

თავფურცელზე ავტორის გვართან: „კორტოხა“.

4400. ძნელაძე გ. ადამიანს უყვარს ადამიანი. [ლექსები]. თბ., 1959.

4401. ძნელაძე გ. ლექსები. თბ., 1957.

4402–4403. ძნელაძე ვ. მზეს გაუმარჯოს! [ლექსები]. თბ., 1959.

კანზე: „ავტორისაგან“. ავტორის გვარის ქვეშ: „(ავტორი უსინათლოა!) ი. გრ.“

4404. ძნელაძე დ. სამი ვოდვეილი. გადმოკეთ. რუსულიდან. [თბ.], 1959.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტს, ჩემს ძვირფასსა და თბილ მეგობარს – სოსოს. დუდე ძნელაძე. 19. X-59.“

საქართველოს სახალხო პოეტს ღირსეულ საჩუქარს ვერ მოგიძღვნი. ან სად მოვნახო ასეთი?! მაშ მიიღე ჩემგან ეს პაწაწა წიგნაკი, ჩემო სოსო.“

4405. წვერავა ს. გმირის ღიმილი. [მოთხრობები]. სუხუმი, 1950.

ფორზაცზე წარწერა: „ქართული პოეზიის სიამაყეს, ჩემს მეგობარსა და ძვირფას ამხანაგს ი. გრიშაშვილს ვუძღვნი ამ წიგნს დიდი სიყვარულით. ავტორისგან. 13-V-51 წ.“

ყდის მე-2 გვ.: „1. არ მომიპარავს მიპოვნია, განა „შენია“ (პერეფრაზა საიათნოვას ლექსიდან, გვ. 72)“.

4406. წვერავა ს. სტალინელები. ნარკვევები ხუთწლედის გმირებზე. ტფ., 1931.

4407–4429. წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. [სარედ. კოლეგია: გ. აბზიანიძე, ლ. ასათიანი, ი. გრიშაშვილი, პ. ინგოროყვა, შ. რადიანი, გ. აბზიანიძის შეს. წერილით.]. თბ., 1950–1963.

ტ. 1. ლექსები. 1856–1879. 1950.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 25 თებ.“ იქვე: „ხარაბუზა გენერალს, 224, 457 შენიშ. – ნახევარი ცხოვრების გზა, გვ. 255, შენიშვ. 465“.

გვ. 224–227. შენიშვნები შეეხება ლექსს „ხარაბუზა ღენერალს.“ დასაწყისში მინაწერი: „იხ. ჩემი პუბლიკაციით „ლიტ. გაზეთი“, 1935 წ., № 5, 30 იანვ. ი. გრ.“

წიგნში ჩადებულია 3 კონვერტი. ერთ-ერთ მათგანზე წერია: „აქ არ არის აკაკის „სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“ („ცისკარი“, 1861 წ., № 6)“. კონვერტში ჩადებულია ქალაქის ნაჭერი, წარწერით: „აკაკის ლექსი „ძმაო ალექსანდრე!“ (სათაური ასეა, ი. გრ.)

პირველი სტროფი:

„სულით და გულით მიძღვნილი  
მცირედიც შეიწირება!  
ვიცი გაქვს კითხვის სურვილი  
მით შევძელ კადნიერება.

.....

ბოლო სტროფი:

როს შენს კეთილს დასცინიან  
შენ ნუ ისმენ მრისხანებით  
რას შვრებიან არ იციან  
ეტევებათ უგნურებით.

თ. ავ. წერეთელი

(„ცისკარი“, 1861 წ., № 6, გვ. 122).“

მეორე კონვერტს აწერია: „აკაკის დავიწყებული ლექსი – „გარეწრობა“, 1902.“ კონვერტში ჩადებულია ამონაჭერი გაზეთიდან. „აკაკი. ფელეტონი გარეწრობა“ მინაწერით: „ივერია“, 1902 წ., ოქტ. 212. ი. გრ.

მესამე კონვერტზე წერია: „აკაკის ლექსი „სავარცხელი“. იხ. აკაკის ტ. III გვ. 703.“ კონვერტში ჩადებულია ორი ამონაჭერი გაზეთიდან, 14 ქალაქის ნაჭერი და ა. წერეთელის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის პროსპექტი 2 ეგზემპლარად.

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. პ. გუგუშვილის წერილი „ცენზურის მიერ აკრძალული აკაკი წერეთელის ანტიხუცური ნაწერებიდან“ მინაწერით: „იხ. „მებრძოლი ათეისტი“, 1935 წ., № 6, მარტი“. ტექსტში მოყვანილია აკაკის ლექსი „მღვდელი და ექიმი.“ 2. შ. გოზალიშვილის წერილი „აკაკი წერეთელის უცნობი სატირული ლექსი“ მინაწერით: „თბილისი“, 1959 წ., № 80, 4 აპრილი. წერილში მოყვანილია ა. წერეთელის ლექსი „მოდღვარი და მოწაფე.“

ქალაქის ნაჭრები შენიშვნებით: 1. „აკლია „სავარცხელი.“ 2. ერთმანეთზე მიკრული ორი ფურცელი. პირველზე წერია: „აკაკის ეს ლექსი „სავარცხელი“ ქართულად არსად არ შეგვხვედრია დაბეჭდილი. დაიბეჭდა მხოლოდ მისი რუსული თარგმანი ივან-და მარიას მიერ. (ალბათ ხელთნაწერიდან თარგმნეს). ამ ლექსის რუსული თარგმანი შეტანილია ივან-და მარიას (თხორჟევსკების) წიგნში: „Грузинские поэты в образцах“, 1897 წ., გვ. 57. რუსული თარგმანი აკაკის უძღვნია პოლონსკისათვის.“ მეორე ფურცელზე: „აკაკის ლექსი „სავარცხელი.“ უმანეცი ალბათ იცნობდა აკაკის პირადად. აი რას ამბობს უმანეცი აკაკის ერთ ლექსზე: „У князя Акакия Церетели есть прелестное, грациозное стихотворение „Гребешок“, посвященное нешему поэту Я. П. Полонскому, с которым автор был в добрых отношениях.“ С. Уманец (იხ. „Истор. Вестник“, 1901 წ., № 1, გვ. 292).“ 3. „სავარცხელი“ პირობით დავათარილოთ (1901). 4. პოლონსკის აკაკიმ სხვა ლექსიც უძღვნა („დედაბრის მოგონება“), იხ. II ტ. აკად. გამოც., გვ. 540. ეს ლექსი გაგრძელებაა ან ვარიანტი „სავარცხლისა“. „სავარცხელი“ თარგმნა ივან და მარიამ ხელნაწერიდან. 5. იხ. აგრეთვე ლოლაშვილის „აღწერილობა“, გვ. 50. 6. აკაკი. შილიონის ციხე-დარბაზი. პროზა. („ივერია“, 1905, № 162). 7. აკაკის ლექსი (იხ. ჟ. „ცისარტყელა“, 1920 წ., № 6, გვ. 5). 8. აკაკის ლექსი „ყანა“, „ივერია“, 1905, № 185. 9. 1905 წ. გაზ.

„ივერიაში“ აკაკის ბევრი პროზაა. 10. აკაკი – „მოლაღურის ბუდე“. ლექსი. (იხ. „ნაკადული“ – მც. წლ., – 1909 წ., № XVIII). 11. აკაკის ლექსი „ეგ. ნინოშვილს“:

„მას ვინც სიცოცხლე ხანმოკლე  
ხანგრძლივად ნაყოფიერი  
წმინდათ უმსხვერპლა სამშობლოს  
არ დაივიწყებს არც ერი.“

(„ივერია“, 1895, № 116, 6 ივნისი გვ. 1).

12. (წმინდა ნინოს სასწავლებლის კლასის დამრიგებელს) ელიზავეტა კონსტანტინოვნა გენეროზოვას (სურათზე წარწერილი)

„გენეროზოვის ქალს  
რომელიც სჭრის თვალს  
სიბერის დროს მხოლოდ  
პორტრეტით ვუხედი ვალს!“

აკაკი.

13. აკაკის ლექსი „კატო უმანეც“ („ივერია“, 1901 წ., № 130). 14. ამ ფურცელზე უცნობი პირის ხელით გადაწერილია ა. წერეთელის უსათაურო ლექსი „ობობამ ქსელი გააბა...“, რომელიც დაბეჭდილია ჟ. „ნაკადულში“ (მოზრდილთათვის), 1914 წ., № 1.“

ტ. 2. ლექსები. 1880–1900. 1950.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 7 სექტ.“ იქვე: „ჩვენი მიხაკა, გვ. 23. შენიშვ., 450, ლექსი გოგოლზე, 162.“

ყდის მე-2 გვერდზე: „ქართველი სპარსეთში, გვ. 177.“

გვ. 23. ლექსს „ჩვენი მიხაკა“ აქვს მითითება: „გვ. 450.“

გვ. 162–164. ლექსის „გოგოლის ხსოვნას“. მეორე სტროფთან: „ეს კუპლეტი ცენზორმა „ივერიაში“ არ გაუშვა. ი. გრ. „ივ.“ 1886, № 99.“ ლექსის ბოლოს: „ამ სიტყვების შემდეგ აკაკი წერეთელმა ყვავილებში ჩაფლოულ გოგოლის დიდ სურათს ქართველი ერის სახელით დაფნის გვირგვინი დაადგა თავზე. აღტაცება უნაპირო იყო.“

გვ. 178. ლექსში „ქართველი უცხოეთში“ მოხაზულია ადგილი და იქვე მინაწერი: „და სულთამბრძოლსა, წამებულს, დამხერდა პირმომცინარი. (ვარიანტი).“

გვ. 258. ლექსის „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“... ბოლოს: „გვ. 515.“

გვ. 342–343. ლექსში „ივერიის თანამშრომლები“ ხაზგასმულია: „ფარნაოზი“, არშიაზე: „ი. მანსვეტ.“ ლექსის ბოლოს: „იხ. 532.“

გვ. 350. ლექსში „ექსპრომტი“ ხაზგასმულია სახელი „კოლა“ და იქვე მინაწერი: „კოლა ორბელიანი“ ილიას მოძულე. ი. გრ.“

გვ. 450–დან თითქმის ყველა გვერდზე შენიშვნებია მიწერილი.

ტ. 3. ლექსები. 1901–1914. 1954.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1954. 26 ოქტ.“

გვ. 297. ლექსში „პარიზი“ ხაზგასმულია სიტყვა: „ხასიათი“ და მიწერილია: „ასო“.

გვ. 360. ლექსში „ჩემს პატარა მეგობარს თინა ჯაფარიძის ქალს“ ხაზგასმულია: „სუყველაფერი“ მიწერილია: „ყოლიფერი?“

გვ. 476–477. ამ გვერდებზე დაბეჭდილ ლექსებს აქვს მინაწერი: „ეპიტაფია.“

გვ. 485. ლექსის „N-ის გულის პასუხი“ სათაურს ზემოთ „ელისაბედ“.

გვ. 487. ლექსთან „ჭაღარა“, მიწერილია: „დარიას“.



გვ. 517. მინაწერი არშიაზე შეეხება შენიშვნა 75-ში მოხსენებულ სონა ციციშვილს: „სთარგმნა „ალუბლის ბაღი“.

ბოლო ფორზაცზე წერია; „1. სარდიონ ამირეჯიბი. აკროსტიხ., 179. 2. გვ. 521. ეს ლექსი დაბეჭდილია „თ. და ც.“ 3. გ. ლ-მე და აბზიანიძე, 495. 4. სთარგმნა „ალუბლის ბაღი“, 527. 5. გვ. 530. დაიბეჭდ. „თ. და ც.“ 6. ყოლიფერი, (გვ. 297) და 360 – ყველაფერი. 7. ლ. თარხნიშვილი, 562“.

ტ. 4. ლექსები. 1955.

ფორზაცზე: „ი. გრ. გამოვიდა 1 სექტ. 1955 წ.“

მრავალი ადგილია ხაზგასმული და მიწერილია შენიშვნები.

ტ. 5. პოემები. [ი. გრიშაშვილის რედ. და შენიშვნებით]. 1956.

ფორზაცზე: „ტექსტი, ერთი წლის წინათ ჩაბარებული, – გამოვიდა. 1956 წ. 24/IX.“  
ქვემოთ: „ტექსტი დავადგინე და ვრცელი შენიშვნები დაურთო ი. გრიშაშვილმა“.

ტ. 6. დრამატიული ნაწერები ლექსად. [რედ. და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა]. 1956.

ფორზაცზე: „ი. გრ. გამოვიდა 30 ოქტომბერს.“

ტ. 7. მხატვრული პროზა. 1958.

ფორზაცზე: „გამოვიდა 1958 წ. ნოემბერი.“

წიგნში ჩადებულია: 1. ქალაღდის ფურცელი მინაწერით: „ი. გრიშაშვილს სარედაქტორო ეგზემპლარი.“ 2. გაზ. „კომუნისტის“, 1959 წ., 27 მარტის ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ზ. ჭუმბურიძის რეცენზია ა. წერეთელის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-7 და მე-8 ტომებზე, სათაურით: „აკაკი წერეთელის მხატვ. პროზა.“

ტ. 8. მხატვრული პროზა. 1958.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959. 25/III“

გვ. 371. „ი. გრ. ცალკე ნ.“

გვ. 374. თავისუფალ არეზე: „მეთაური (იხ. „ივერია“ 1904 წ.) და ჩემი გამოცემა. ი. გრ.“  
ეს მინაწერი შეეხება სარჩევს.

ტ. 9. დრამატიული ნაწერები. რედ. ი. გრიშაშვილი. 1959.

ფორზაცზე: „ჩემს ბიბლიოთეკას. ი. გრ. 1960 წ. 10/II.“

ტ. 10. დრამატიული ნაწერები. თარგმანები. ტომის რედ. ი. გრიშაშვილი. 1959.

ტ. 11. პუბლიცისტური წერილები. 1861–1880. 1960.

ფორზაცზე წარწერა: „საქართველოს სახალხო პოეტს, ძვირფას იოსებ გრიშაშვილს დიდი პატივისცემით და სიყვარულით. გიორგი აბზიანიძე 20 XI 1960.“

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. 1960. აგვისტო.“

ტ. 12. პუბლიცისტური წერილები. 1881–1889. 1960.

ტ. 13. პუბლიცისტური წერილები. 1890–1900. 1961.

ტ. 14. პუბლიცისტური წერილები. 1901–1915. 1961.

ტ. 15. პირადი წერილები. 1859–1914. რუსულ ენაზე დაწერილი თხზულებანი. 1864–1911. თბ., 1963.

4430–4442. წერეთელი ა. თხზულებანი. სრული კრებული. 7 ტომად. ი. თავაძის, ა. აბაშელის, ი. გრიშაშვილის, პ. ინგოროყვას და გ. ლეონიძის რედაქტორობით. თბ., 1940–1949.

ტ. 1. ლექსები. ა. აბაშელის და პ. ინგოროყვას რედ-იტ. 1940.

შმუცტიტულზე: „ჩემს ბიბლიოთეკას არა რედაქტორისაგან: ი. გრ. 1940. 21/VI.“

ფორზაცის მე-2 გვ. და შმუცტიტულზე: „გასწორებული. 1. მწერლობის ფერხული, გვ. 292. 2. არაკი ლუკა ისარლოვზე. გვ. 341. 3. ფარისეველი, გვ. 35, (ხოლო I ტ. გვ. 635 შეცდომაა). 4. ფარშევანგი, გვ. 122. 5. ნინო [ეს ლექსი ბერანჟესია], გვ. 81. 6. ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე და მისი ისტორია: სხვანაირად თუ „სამნაირად“? (გვ. 138). II ტ. 647. 7. დეპუტატი გეგეჭკორია, გვ. 813. (ხოლო სუსტი შენიშ. II ტ. 704). 8. შეცდომა – გავასწორე – გვ. 752. (ლექსი „ტყვეს“). 9. გავასწორე, გვ. 39. ჩემი გასასწორებელია, გვ. გვ. 332, 300, 138, 719, 785. 81 (ეს ბერანჟესია).“

გვ. 9. ჩადებულია ქაღალდის პატარა ნაჭერი წარწერით: „აკაკის ლექსი „ქართლის სალამი“ („ცისკ.“, 1859, № 10, იხ. I ტ.)“.

გვ. 35. ლექსის „ფარისეველი“ სათაური დანიშნულია და ქვეშ მიწერილია: „[ვუძღვნი მ. საბინინს]\*“. ქვემოთ არშიაზე აღნიშნულია: „\*) ასე აწერია ერთ ხელთნაწერ რვეულს, (გადაწ. 1886), რომელიც დაცულია ნიკო გოცირიძესთან.“

გვ. 39. უსათაურო ლექსის არშიაზე წერია: „ეს კუპლეტი ასე უნდა იყოს“ და ქვეშ მიწერილია მე-2 სტროფის სტრიქონები. ლექსში მე-2 სტროფის სტრიქონების გასწვრივ დასმულია რიცხვები, რომლებიც გვიჩვენებს სტრიქონთა განლაგებას სტროფებში: „2, 1, 3, 4.“

გვ. 81. ლექსის სათაურის „ნინო“-ს ქვეშ წერია: „(ვუძღვნი დ. ბერიევს).“ არშიაზე: „ეს ლექსი წარმოადგენს ბერანჟედან ნათარგმნს. თუმცა „ცისკარ“-ში ორიგინალურ ლექსად არის გასაღებული. ი. გრ. (იხ. „ცისკარი“, 1868 წ., იანვარი. გვ. 2). P. S. თარგმანი აქვს გ. გვაზავასაც სათაურით „მარო“. იხ. მისი „ბერანჟე“ გვ. 37. ი. გრ. რედაქტორს არა აქვს აღნიშნული რომ თარგმანია (იხ. ტ. II, გვ. 642). ალბათ ამ გარემოებამ შეიყვანა შეცდომაში გ. ქიქოძე, როცა მან ეს ლექსი მართლაც აკაკის საკუთრებად მიიჩნია. ბერანჟეს ლექსის სიმახვილე აკაკის ნიჭს მიაწერა (იხ. „ლიტ. და ხელ.“, 1945, № 5).“ ამავე ლექსის დასასრულს გვ. 82 მიწერილია: „ხელმოწერა: ავ. წერეთელი. 20 იანვარი.“

გვ. 121. ლექსი „ფარშევანგის“ სათაურის გასწვრივ არშიაზე წერია: „[ვუძღვნი თ. გრ. ორბელიანს].“ ამავე ლექსის ბოლოს მიწერილია: „[აჭარა]. (იხ. ნიკო გოცირიძესთან დაცული რვეული, გვ. 18) ი. გრ.“

გვ. 125. ლექსის „ხარაბუზა ღენერალი“ დასასრულს მიწერილია: „[7 თებ., 1872 წ. ქუთაისი]. იხ. შ. დადიანის ხელთ.“

გვ. 138. ლექსის „მუხამბაზი“ სათაურის ქვეშ წერია: „[ფიქრები მაქვს წინ შენი სახე მოდის გრ. ორბელიანი.]“ არშიაზე: „თ. და ც.“, 1915, № 6. შენიშვნა, იხ. II ტ. გვ. 647. (აქ არ არის ამ ტექსტის მეორე ნახევრის შევსება). ლექსში დანიშნულია და ხაზგასმულია სიტყვა: „სამნაირად“, არშიაზე განმარტება: „აქ სამნაირად თითქოს ეჭვს იწვევს. პოეტმა გ. შატბერაშვილმა მომწერა – უნდა იყოს, „სხვანაირად“-ო. მაგრამ საქმე ის არ არის, რომ ამ ლექსს გაგრძელება აქვს, სადაც სიტყვა „სამნაირად“ იქ გასაგები ხდება. (წარსული, აწმყო, მომავალი), 1942, 14/VII ი. გრ.“ არშიაზე წერია: „იხ. დროების „ჯიბის კალენდარი“, 1882 წ., გვ. 59. „კრებული“, 1872–1873 წ., № X–XI–XII (სარჩევში არ არის აღნიშვ.). სერგო გორგაძეს კორექტ. შეცდომით. სხვა თარიღი აქვს „1892.“

გვ. 292. ლექსის „მწერლების ფერხული“ ყველა სტრიქონს დართული აქვს შენიშვნა და განმარტება. არშიაზე წერია: „ავტოგრაფი XV/21 პირი–L–2158/4. (იხ. ტ. II, გვ. 660). P. S. ეს ლექსი გავასწორე ნ. გოცირიძის უფროსი ძმის – ალექსანდრეს ხელთნაწერ

დავთრიდან, რომელიც გადაწერილია 1886 წ. გვ. 86. [ეს რედაქცია უფრო სწორია]. ი. გრ.“

ლექსში „მწერლების ფერხული“ დასახელებულ ავტორთა სახელებს მიწერილი აქვს გვარები. აქვე ჩადებულია რვეულის ფურცელი. ავტოგრაფ № 1481 H-დან (ლექსი 21) გადაწერილი ლექსით „მწერლების ფერხული“. არშიაზე წერია: „ეს ლექსი „ლიტ. საქართ.-ში გამოაქვეყნა აგრეთვე პ. კეშელავამ.“

გვ. 330. ლექსის „გამოთხოვება“ დაწერის თარიღთან დასმულია კითხვის ნიშანი, ქვეშ მიწერილია: „პირველად დაიბეჭდა „დროებაში“ (ერთი ხანა აკლდა). აქედან გაზეთ „შრომაში“, 1883 წ., № 2.“

გვ. 332. დანიშნულია. არშიაზე წერია: „მხედრობა და შინ მუშაობა.“ (აკაკის შენიშვნა) „იმედი“, 1883, № II. გვ. 31. ი. გრ.“

გვ. 341. ლექსის სათაურის „არაკის“ ქვეშ წერია: [ლუკა ისარლოვს]. იხ. „დროება“, 1884, № 16, 22 იანვ. ეს ლექსი აკაკიმ ხელმოუწერლად დაბეჭდა. ი. გრ.“ მითითებულია ბოლო სტროფი და მიწერილია: „ამ ლექსის შენიშვნაში (იხ. ტ. II გვ. 668) ეს ავტორის მინაწერი არ არის გამოტანილი. ი. გრ.“ იქვე: „P. S. მუნთანს იმერეთში სილითა ხეხენ და ზურგიელის წვენით ჰხელენ. ავტორი (იხ. ნ. გოცირიძის ძმის ხელთნაწ. გადაწ. 1886 წ. გვ. 21)“.

გვ. 695. ლექსის „უკანასკნელი“ ბოლოს მიწერილია: „ი. გრ. (იხ. „ცნ. ფურც.“, 1904, № 2697, 12 დეკემბ.)“.

გვ. 719. ლექსის სათაურის „ხანჯალს“ ზევით არშიაზე წერია: „ამ ლექსზე იხ. აპ. წულაძის წერილი „საბჭოთა მასწავლებელში“, 1940 წ., № 80, სადაც თარიღი გადატანილია უფრო ადრე 1888–1890 წლებში. ი. გრ.“

გვ. 751. მოხაზულია ლექსის „ტყვეს“ პირველი სტროფი, გვერდზე მიწერილია: „რა კარგა იწყება! ი. გრ.“ ლექსის დასასრულს მოხაზულია დაწერის თარიღი, „[1906–07 წ.]“ და ქვეშ მიწერილია: „(იხ. II ტ. 701)? არშიაზე წერია: „დაიბეჭდა 1909 წ. (იხ. გაზ. „მომავალი“, 1909 წ., № 15. 13 სექ. პარიზი, 1909. ი. გრ.)“.

გვ. 785. ლექსის სათაურის „მოლექსეს“ ზევით არშიაზე წერია: „P. S. ეს ლექსი როგორც უცნობი დაიბეჭდა თავის ავტოგრაფით გაზ. „ჭიათურის მაღაროელში“, 1935 წ. № 15. 7 თებერვალი. ი. გრ.“ ხაზგასმულია პირველი სტროფის მე-2 სტრიქონი: „ვის არ უნდა მოლექსობა?“, გვერდზე მიწერილია: „ვინ არ ჩემობს ლექსის წერას (ჯერ ასე ჰქონია).“

გვ. 837. გახსნილია კრიპტონი: „ტ. ს.“, მიწერილია: „ტასოს [ანასტასია მაჩაბლისადმი]. ი. გრ. ეს მე გავშიფრე!“ არშიაზე წერია: „იხ. შენიშვნა, ტ. II, გვ. 704.“

ტ. 2. ლექსები. 1941.

ფორზაცის მე-2 გვ. „1. პარიზი, 551. 2. ჩვენი მიხაკი, 657. (ჩემიდან). 3. აკაკი და ი. გოგებაშვილი, 720. 4. ველიჩკო? 629, 690. 5. ლექსი („გოდებაც“ ამ დღეში იყო!!) გოდებასთვის გვ. 629 (შენიშვ.). გვ. 614 (ლექსი). ლექსი. გვ. 498. შენიშვნა გვ. 734. 6. პუშკინიდან? 512. 7. აკაკი პარიზში ორჯერ იყო; 712. 8. ხანჯალი, 663. 9. გვ. 244. ტ.-I. შენიშვ. II ტ. 655. „მინდა რომ ჩემსა სატროფოსა“, ოთხი კუპლეტია სულ. არის ჩართული „კუდურ-ხანუმში.“ („ივერია“, 1880 წ., № 2, გვ. 57)“. 10. კუპლეტები, 127. 11. ორბ. შვილი ნიკო, 128, 12. ზმა, („დავით კეხელი“). გვ. 53. აკლია: (იქნებ ვერ ვიპოვე აქ? 1. აკაკის ლექსი „ფოლადი“, (დაიბეჭდა „ჯეჯილში“, 1901 წ., № 2. (თებ.). 2. „სიცოცხლისა

გაზაფხული“, („ჩანგი“, 1888, გვ. 277) აკაკის თარგმანები, 495. აქ ვერ ვნახე აკაკის ლექსი ალბომში („უანგარო სიყვარული“) (იხ. „საქ. კალენდარი“, 1903 წ., გვ. 366. ლექსის დაწერის თარიღი 1902 წ.) ი. გრ. იხ. გვ. 697. ერთი ლექსი ორჯერ დაიბეჭდა. ვოსტორგოვი, – გვ. 40. პოლონსკი, ვორონცოვი – 540.“

შმუცტიტულზე: „ი. გრ. გამოვიდა: 1941. 28 დეკ.“ იქვე: „გამოტოვებულია? ტყვეს („შენ ბორკილში ხარ?)“ (იხ. სოც. დემოკ. ორგანო – გაზ. „მომავალი“, 1909 წ., № 15, 13 სექტ.)“ ქვეშ აწერია: „პარიზი, 1909 წ. ი. გრ. ეს ლექსი რედაქტორს მოუთავსებია 1906–1907 წლების თარიღებში. იხ. I ტ. გვ. 753, შენიშ. II ტ. გვ. 701. ეს ლექსი: „(კეთილი რჩევა ბევრი მსმენია)“ ა. მაიკოვის თარგმნიდან არის გაკეთებული, გვ. 497 და 734 I, II ტ. ვარიანტები იწყება 631, 708.“

წიგნში დევს ქალაღდის ნაჭერი წარწერით: „იხ. გვ. 25. თქვენ მიხმობთ აქ გამოსვლისთვ. და ამბობთ: „ვაშა, ვაშაო! მაგრამ ამაღ დროს ჩემ ცოლმა ლობიო ვერ მოხარშაო. აკაკი.“

წიგნის ბოლოს: „ხოლერა (ჯერ უნდა ყველაფერი ენახა და... გვ. 679). იგავ-არაკები, 624. კუპლეტები, 127/739. ვირი და მგელი ჰგავს თათრულს, იხ. დ. გივიშვ. გვ. 204 და 725 შეცდომა და განმარტება: I. გვ. 701. 2. 714. 3. 677 თარგმანია? 4. პ. გუგუშვილის ცნობით, 677. 5. 123. 6. 118. 7. 714. 730.

გვ. 116. უსათაურო ლექსში ხაზგასმულია და მოხაზულია სიტყვები „თვალად, ტანად“, არშიაზე: „ამ სათაურით აკაკის კიდევ აქვს ლექსი: „თვალად ტანად, სულით გულით.“ მე ხელთ. მინახავს იქ ჩემი ლექსიცაა აკაკის ხელით გადაწერილი.“

გვ. 117. ხაზგასმულია ლექსის სათაური „სალომე იონას ასულ მეუნარგიას“, იქვე წერია: „ხუნდაძეზე გათხოვდა, არ. ჭუმბაძის პოეზიის საგანი! ი. გრ.“

გვ. 118. ხაზგასმულია და მოხაზულია ლექსის სათაური „კომპოზიტორის ალბომში“, არშიაზე მიწერილია: „ამის სათაური სხვა იყო, (იხ. „თ. და ც.)“.

გვ. 123. ექსპრომტში ხაზგასმულია სახელი „კოლა.“ გვერდზე მიწერილია: „ნიკო, პოეტის ვახტანგ ჯამბაკურ ორბელიანის შვილი. „ი. გრ.“

გვ. 127. ლექსის „სასიმღერო კუპლეტები“ არშიაზე წერია: „ამ ლექსის მეორე ვარიანტი, იხ. „ჩანგი“, (გაგრძელება) – 1888 წ. გვ. 279. ი. გრ.“

გვ. 157. ლექსის „ელას დედოფალას“ სათაურის გასწვრივ მიწერილია: „ტ. მაჩაბლის ქალი.“

გვ. 192. „გამოცანებში“ მოხაზულია სტროფი, გვერდზე მიწერილია: „ივ. მაჩაბლის ქალზე.“

გვ. 203. ლექსის „მამალი და ძალი“ სტრიქონში „იაფად არ დაუჯდინა“, ხაზგასმულია: „დაუჯდინა“, არშიაზე: „და იაფად არ დაუსვა. ი. გრ.“

გვ. 204. ლექსის სათაურთან „ვირი და მგელი“ წერია: „ეს თათრულია – იხ. დ. გივიშვ. ლექსი. ი. გრ.“

გვ. 207. ლექსის „მთიულის“ სტროფებში ხაზგასმულია სიტყვა: „ნიგოზს, ნიგვზის“, გვერდზე მიწერილია: „კაკლის ხე“.

გვ. 214. ლექსის სათაურის „მეფე და მხატვარი“ გვერდზე წერია: „საბას არაკი.“

გვ. 221. ლექსის „გული“ სათაურის გასწვრივ წერია: „(ხალხური).“

გვ. 499. ბაირონის ლექსის „გოდება ებრაელთა“ დასასრულს ხაზგასმულია თარიღი, მიწერილია კითხვის ნიშანი.

- გვ. 500. ლექსის „მომაკვდავი ყმაწვილი“ სათაურის ქვეშ წერია: „თარგმანია?“
- გვ. 542. ლექსის „დედაბრის მოგონება“ დასასრულს არშიაზე მიწერილია: „იხ. აკაკის „სავარცხელი“ I ტ. და ამ „სავარცხლის“ თარგმანი ივან-და მარიასი. ი. გრ.“
- გვ. 547. ლექსში „კარგად მყოფ მგოსანს“ ხაზგასმულია სიტყვა: „რწყილოვანს“, გვერდზე კითხვის ნიშანი, სქოლიოში ხაზგასმულია ადგილი: „დაიბეჭდა „კვალში“ 1894 წელსვე“, მიწერილია: „რომელ ნომერში?“
- გვ. 551. დანიშნულია ლექსის სათაური „პარიზი“, არშიაზე წერია: „ვარიანტი პორნოგრაფიული ლექსისა, ი. გრ.“
- გვ. 561. უსათაურო ლექსის არშიაზე წერია: „ტ. მაჩაბელს?“
- გვ. 580. მოხაზულია ლექსის „ნიკოს“ სტროფები, გვერდზე მიწერილია: „ივ. მაჩაბლის შვილებზე ნიკოზე და ელიჩკაზე.“
- გვ. 584. ლექსის „მეგობრებისაგან“ სტროფების გასწვრივ არშიაზე წერია: „გრ. აბაშიძე? ი. გრ.“
- გვ. 604. ხაზგასმულია ლექსის „ხალხურის“ პირველი სტრიქონი. არშიაზე მიწერილია: „თედო ჟორდანიანზე?“
- გვ. 622. შენიშვნებში ხაზგასმულია ადგილები, არშიაზე კითხვის ნიშანი, სქოლიოში ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „ს. გორგაძეზე მეტი უნდა ეთქვა! ი. გრ.“
- გვ. 625. ხაზგასმულია: „ჟურნალი „ფასკუნჯი“, 1909 წ.“, არშიაზე: „ფასკუნჯი“ გაზეთი იყო,“ გაზ. „მზე.“
- გვ. 626. არშიაზე წერია: „სავაჭრო გაზეთი“ ქართული, ქუთაისის გაზეთები? ხაზგასმულია: „ჟურნალი „ერი“. „ალმანახი „მოამბე“. არშიაზე: „საქ. მოამბე“, „ჩვენი ერი.“ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1910–1915 წწ. ხაზგასმულია ჟურნალის გამოსვლის თარიღები, „1910–1915“ არშიაზე მიწერილია: „ისე გამოდის, რომ 1910–1915 წლამდე სულ გამოდიოდა.“
- გვ. 627. ხაზგასმულია ადგილი, არშიაზე წერია: „ს. გორგაძე ამბობს.“
- გვ. 635. მოხაზულია აბზაცი, ხაზგასმულია ადგილი და მიწერილია: „ეს გვერდი ვერ ვიპოვე.“
- გვ. 636. მოხაზულია ადგილი, გვერდზე წერია: „ცენზურა.“
- გვ. 637. ხაზგასმულია სტრიქონი, არშიაზე: „რატომ შენიშვნებში?“
- გვ. 642. მოხაზულია აბზაცი და მიწერილია: „ჩანგი“, 1888 წ. გვ. 277.“
- გვ. 646. მოხაზულია აბზაცი, მიწერილია: „ჩანგი“, 1888 წ., გვ. 277.“
- გვ. 647. მოხაზულია ადგილი, არშიაზე: „ჯიბის კალენდარი“ 1882 წ. გვ. 59.“
- გვ. 655. ხაზგასმულია ლექსის სათაური „სურვილი“, არშიაზე: „პიესაში „კუდურ ხანუმ“, იხ. „ივერია“, 1880 წ. № 2. ი. გრ.“
- გვ. 657. მოხაზულია მთელი გვერდი, არშიაზე: „ჩემი წერილიდანაა გაკეთებული.“
- გვ. 662. მოხაზულია სათაური და მიწერილია: „იხ. დ. მესხის მოგონება ამ ლექსზე“.
- გვ. 664. ხაზგასმულია ადგილები, არშიაზე: „რომელ ნომერში? „ცოდნას“ გამოცემა.“
- გვ. 667. ხაზგასმულია სტრიქონი. არშიაზე: „რატომ არ უჩვენებ წყაროს?“
- გვ. 668. მოხაზულია აბზაცი და გვერდზე წერია: „აქ „აკაკი“ არ წერია“. შენიშვნა მოხაზულია, გვერდზე წერია: „ჩემიდან“.
- გვ. 675. მოხაზულია აბზაცი, გვერდზე მიწერილია: „თამარ მაჭავარიანმა მიუთითა“.

გვ. 696. ბოლო სტრიქონი ხაზგასმულია, ქვეშ მიწერილია: „დაიბეჭდა აგრეთვე „ცნ. ფურცელში“, 1904 წ., № 2, 697, 12 დეკ. ი. გრ.“

გვ. 700. ხაზგასმულია თარიღი „1906 წ.“ გასწვრივ მიწერილია: „უფრო ადრეა დაწერილი.“

გვ. 704. მოხაზულია აბზაცი, გასწვრივ წერია: „ამ ლექსზე ჩემსა და „თემს“ შორის იყო კამათი. ი. გრ.“

გვ. 705. ხაზგასმულია სტრიქონი, არშიაზე: „იხ... „თ. და ცხ.“ და „ფასკუნჯი.“

გვ. 714. ხაზგასმულია ლექსის სათაური „კომპოზიტორის ალბომში“, არშიაზე მიწერილია: „დაიბეჭდა რამდენჯერმე დ. თომაშვილის რედაქციითაც. ეს კომპოზიტორი იქ გახსნილია“.

გვ. 716. ხაზგასმულია ადგილი. არშიაზე: „ვისია? ავტორი.“

გვ. 739. ხაზგასმულია სტრიქონი, მოხაზულია: „გვ. 669.“ არშიაზე: „ამ გვერდზე ეს ლექსი არ არის!“

გვ. 740. ლექსის სტრიქონების გასწვრივ მიწერილია: „ძირითად ტექსტში არ შესულა ეს ლექსი.“

გვ. 753. არშიაზე წერია: „აქ უნდა გამოვიდეს ნინო (ბერანჟეს ეკუთვნის). ი. გრ.“

გვ. 757. არშიაზე წერია: „აკაკის ზოგიერთი ლექსი ხალხში გავრცელებულია არა სათაურებით, არამედ ლექსის პირველი სტრიქონებითაც... ამიტომაც ამ საძიებელში ლექსის პირველი სტრიქონებიც უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რომ მკითხველი არ გაწვალებულიყო! ი. გრ.“

გვ. 761. სარჩევში ხაზგასმულია ლექსის „ტკბილი და მწარეს“ სათაური, მიწერილია: „ტყვეს“, (იხ. გაზ. „მომავალი“, 1909 წ., № 15.)“.

გვ. 764. მინაწერი: „მე-646, და სხვ.“

ტ. 3. პოემები. ი. გრიშაშვილის რედ-ით. 1940.

კანზე გადაკრულია ქალაქის ნაჭერი წარწერით: „1. გვ. 237 აქ. „ნათელა“-ს ტექსტი გასწორებულია დავით ფაღვასეულ აკაკის ავტოგრაფის მიხედვით. 2. დათიკო ფაღვას ჩავაბარე თავისი ეგზემპლარი. 1955. 1/ V. ი. გრ.“

ფორზაცზე: „ეს ეგზემპლარი შესანახია. გვ. 237. „ნათელა“ აქ გასწორებულია დ. ფაღვასთან დაცულ აკაკის პირვანდელ შავის მიხედვით.“

გვ. გვ. 234–235. ჩანიშნულია რვეულის ფურცლით, რომელზედაც მიწერილია: „ტ. V.“

გვ. გვ. 237–268 „ნათელა“ ტექსტოლოგიური შენიშვნები გაკეთებულია ი. გრ. მიერ. იხ. „აკაკი წერეთელი. თხზ. სრული კრებული 15 ტომად, თბ., 1956 წ. გვ. 381.“ აგრეთვე, შენიშვნები დაბეჭდილი პოემების შესახებ იხ. დასახელებულ ტომში გვ. 365-დან ბოლომდე.“

მეორე ცალის შმუცტიტულზე: „ჩემს ბიბლიოთეკას რედაქტორისაგან – ჩემგან. ი. გრ. 1940. 21/VI.“

ფორზაცზე: „გვ. 268, 699, 689.“

გვ. 268. შესწორებულია თარიღი. წერია: „1900“, მიწერილია: „1897 იხ. 699.“

გვ. 689. შესწორებულია თარიღი, წერია: „1936,“ უნდა იყოს: „1926.“

მესამე ცალის თავფურცელზე: „ჩემი კარგი რედაქციით გამოცემული კლასიკოსები: № 5. 1944–14-I. ი. გრ.“

ტ. 4. მოთხრობები. პ. ინგოროყვას რედ-ით. 1949.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1948. 15/VII.“

ტ. 5. დრამატიული ნაწერები. ი. გრიშაშვილის რედ. 1949.

ხელნაკეთ კანზე: „მეორე გამოცემა აიწყო აქედან. პიესები – პროზად“.

აკაკი, 9, 10, შეცდომაა? გვ. 346. V – „შენიშვნები“ აქედან. ი. გრ. 1949. 22-XI“.

გვ. 548. შენიშვნებში ხაზგასმულია: „...გრიგოლ...“ და არშიაზე მიწერილია: „გიორგი“

გვ. 579. შენიშვნაში ხაზგასმულია: „მარკუს – ი. ზარდალიშვილი“. არშიაზე: „ლიგია...“

ალ. კარგათელი. შემდეგში ო. ლეჟავა“.

გვ. 580. ხაზგასმულია: „იანკო მეუსიკე“ და არშიაზე: „იანკო მეუსიკე. თარგმ. ილ. ჟვანიასი 1915 წ. ქუთაისს.“

სარჩევში პიესებს მიწერილი აქვს დაწერის თარიღები.

სარჩევის ბოლოს: „ირაკლი ბატონიშვილი (პროზად), არსენა.“

ბოლო ფურცელზე ჩაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ელენე ვირსალაძის წერილი „აკაკის უცნობი პიესები“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1950 წ., № 25, 18 ივნისი.“

წიგნის ბოლო გვერდზე ჩაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ს. ხუციშვილის რეცენზია „Пятый том литературного наследия Акакия Церетели“ მინაწერით: „ი. გრ. „Заря Востока““.

კანის მე-2 გვ. ჩაკრულია ჟურნ. „მნათობიდან ამოჭრილი „ბიბლიოგრაფია. აკაკი წერეთელი. თხზულებანი. ტომი მე-5, დრამატიული ნაწერები ი. გრიშაშვილის რედაქტორობით, თბილისი. 1949 წ. სახელგამი.“

მეორე ცალი, შექმნილია ბუკინისტურ მაღაზიაში.

მესამე ცალი.

ფორზაცზე: „ვუძღვნი ჩემს ბიბლიოთეკას! აკაკის ეს ტექსტი გადავეცი 1941 წელს. 14 მაისს. გამოვიდა კი 1949 წ. 22 ნოემბერს. რედ. ი. გრ. P. S. შენიშვნები ხელახლად დავაწერე ი. გრ.“

ტ.7. პუბლიცისტიკა. ფელეტონი. 1959.

4443–4449. წერეთელი ა. თხზულებანი. ტფ., 1893.

ტ. 1. ლექსები.

კანზე: „ი. გრ. კეთილი რჩევა, 115. გოდება ებრაელთა, გვ. 68. აღდგენილი სტრიქონი, გვ. 73, 74. გავასწორე, 179. გრ. ორბელიანი, გვ. 160, ბერანჟე და კუროჩკინი, გვ. 105“.

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. არეულია გვერდები 179“.

გვ. გვ. 68–69 ჩანიშნულია ქალაქის ნაჭრით. რომელზედაც წერია: „გოდება ებრაელთა“.

გვ. 68. ლექსის „გოდება ებრაელთა“ სათაურთან: „აკაკის ეს არეულად აქვს თარგმნილი, იხ. რუსული ლექსი – 109, პროზა – 518.“

იმავე ლექსის ორ სტროფთან: გვ. 69. „აჰა გაკიცხვა, შერცხვენა მონის!“ და „მას ჩვენ ვერ მივსცემთ მტერს საკიცხავად“, მიწერილია: „მეტია“.

გვ. 74. ლექსში „შიქასტა“ აღდგენილია: „ყოველ წუთში რუქას ნახავს ქართლის ტანჯვის გამომხატველს“, სქოლიოში: „იხ. წიგნაკი „სალამური“, 1882 წ., № 1. გვ. 4.“

გასწორებულია აღდგენილი სტროფის ბოლო სტრიქონი და მიწერილია: „უიმედობას გულის მომწყველს.“

გვ. 83. ლექსს „იმერული ნანიანა“ მიწერილი აქვს: „ეს დაბეჭდილია II ტ.“

გვ. 105. ლექსს „ქმრის გოდება“-ს აქვს მინაწერები: „Плачущий муж.“ ეს დაბეჭდილია В. Курочкин-ის გვართით – ბერანჟე არ აწერია (იხ. სახუმარო კუპლეტ. „Мир веселый“, გვ. 114. აკაკიმ თარგმნა კუროჩკინიდან. ი. გრ.“

გვ. 111. ჩანიშნულია ქალაღდის ნაჭრით, წარწერით: „ბერანჟე.“ იქვე ლექსს „ნინო“ მიწერილი აქვს: „ბერანჟედან არის? ი. გრ.“

გვ. 113. ამავე ლექსის ბოლოს: „იხ. გვაზავას „მარო“, გვ. 37.“

გვ. 141. ლექსის „ახ...ს“, ბოლოს: „იხ. „ნიშადური.“

გვ. 160. ლექსთან „ფარშევანგი“ „გრ. ორბელიანზე?“ ბოლო სტრიქონის მაგივრად წერია: „ეს დათვი ორ-ბელიანი.“

გვ. 179 და 177 არეულია.

გვ. 177. აღდგენილია: „მღვდელმა ტყვილა ვის უწერა?“

წიგნის ბოლოს სარჩევში ზოგიერთი ნათარგმნი ლექსის სათაურს მიწერილი აქვს ავტორთა გვარები.

წიგნში დევს 1938 წ. 8 იანვ. № 6 „Заря Востока“, სადაც მითითებულია ნ. ნეკრასოვის გარდაცვალებიდან 60 წლისთავისთვის მიძღვნილი სტატიები და აკაკი წერეთელის წერილი ნეკრასოვის შესახებ. გაზეთზე მიწერილია „აკაკი და ნეკრასოვი.“

ტ. 2.

კანზე: „ი. გრ. აღ. ჭ-ძეზე, გვ. 169. ლუკა ისარლოვზე, გვ. 200, აღდგენილია სტრიქონები, 40, ქართველი ქალი. 79. აკაკის თარგმანები, გვ. 132, 134, 135. გორის ქება, 199. შენთან არის გული, გვ. 187. ველიჩკოსი, სიტყ. თეორიაში, აქ გვ. 199.“

გვ. 38. ლექსს „გ...ს“ მიწერილი აქვს: „გ. წერეთელი ხომ არ არის?“

გვ. 40. ლექსში „ნატვრა“ ცენზორის მიერ გამოტოვებული სტროფი ჩაწერილია ფანქრით:

„მხარეს მაგრამ რა მხარეს ოდესმე ბედნიერსა,  
დღეს კი ჭირში ჩავარდნილს“...

გვ. 42. ლექსთან „უ...ს.“ მიწერილია: „[უმიკაშვილს?].“

გვ. 58. ლექსში „ავადყოფი“ ცენზორის მრავალწერტილის ადგილას ჩაწერილია:

„ვინც შენატრის იმის სიკვდილს  
უმაღლ მასვე დაამიწებს.“

გვ. 129. ლექსთან „კატა“, „დედა-ენაში“.

გვ. 132. ლექსში „მახეში გამბული ჩიტი“ ხაზგასმულია: „(თარგმანი)“. მიწერილია: „დედა-ენაში.“

გვ. 153. ლექსში „ზარი“ ხაზგასმულია: „სახალხო ლექსი“ და მიწერილია: „ტყუილია ისე დასწერა ვითომ ხალხურიაო. – ი. გრ.“

გვ. 165. ლექსთან „შეხტი ბიჭო“ მიწერილია: „ბეგლარამ მიჰბაძა.“

გვ. 169. ლექსს „თ-დი ალექ. ჭავჭავაძის საფლავზედ“ მიწერილი აქვს: „დაუწერია 1882, 14 აგვისტოს, (შუამთა, თელავი)“.

გვ. 170. ცენზორის მრავალწერტილის ადგილას ჩაწერილია:

„რომ ჩვენი ერი  
დღეს სხვის ფეხთ მტვერი –  
შენ არ გინახავს ასე ჩაგრული\*)“



სქოლიოში მიწერილია: „\*) ეს ხაზგასმული სტრიქონი, რომელიც ცენზორისგან იყო გამოტოვებული აკაკის წიგნში (იხ. აკ. წერ. თხზ. ტ. II გვ. 170, ქართ. ამხ. გამოც. 1893 წ.-) აქ აღადგინა სოსიკო მერკვილაძემ.“ ამ ლექსის ბოლოს (გვ. 171) მიწერილია: „არის ხელთნ. ლიტ. მუზეუმში. იხ. „დროება“, 1882, № 81, 22 გვ.“

გვ. 187. ლექსში „გამოთხოვება“ ხაზგასმულია „შენთან არს გული“, მიწერილია: „ეს ლექსი ჩაიწერა იპოლიტ. ივანოვმა კახეთში (იხ. მისი მოგონება გვ. 92). ა. ჭ.-ძის მიზამკვაა. ი. გრ.“

გვ. 199. ლექსში „მესტვირული“ მოხაზულია პირველი სტროფი, მიწერილია: „გორი“. ამავე ლექსის ბოლოს (გვ. 200) მიწერილია: („დროება“, 1884, № 41)“. ლექსთან „არაკი“: „ლუკა ისარლოვი,“ ტექსტში: „კუდა მელია“.

გვ. 201. ლექსში „არაკი“ ხაზგასმულია: „ყიზილბაშს“, მიწერილია: „ალ. სარაჯიშვილმა ადგილი მისცა ცენზურაშიო (იხ. აკაკის მოგონება „ნიშადურში“)“.

გვ. 210. ლექსთან „პასუხად კ...ა...ს“, მიწერილია: „კ. აბაშიძეა?“

გვ. 215. ლექსის „კურთხევა“ ბოლოში დაბეჭდილ „თეატრს“, მიწერილი აქვს: „ჟურნალი“.

სარჩევში გვ. მე-2 ხაზგასმულია: „მახეში გაბმული ჩიტი“, „შაბათი საღამო“, „ილოცე ბავშვო“, მიწერილია: „(თარგმანი)“. ხაზგასმულია: „ალი და კვამლი“, მიწერილია: „(„თარგმანი)“. ხაზგასმულია: „შეხტი ბიჭო“, მიწერილია: „გრ. გრიგ. მოწონებული.“ ხაზგასმულია: „გამოთხოვება“, მიწერილია: „(შენთან არს გული)“. ხაზგასმულია: „მესტვირული“, მიწერილია: „(გორის ქება)“ არშიაზე: „ველიჩკოდან აქ არ არის (იხ. „სიტყვ. თეორ.)“

მოხაზულია: „არაკი“, მიწერილია: „ლუკა ისარლოვზე“.

გვ. IV. ხაზგასმულია: „წმ. გიორგი და წმ. ილია“, მიწერილია: „პოემა“. ხაზგასმულია: „მზე და მთვარე“, მიწერილია: „(თარგმანი)“.

4450. წერეთელი ა. თხზულებანი ა. წერეთლისა. ტ. 1–2, ტფ., 1893.

ტ. 1. ლექსები.

ტ. 2. ლექსები.

აკინძულია ერთად.

4451. [წერეთელი ა.]. ჩემი ნაწერები. პირველი წიგნი. თბ., 1912.

კანზე: „I. ი. გრ. ქალებისა და ბავშვების სიყვარული, გვ. 108, 167. კეთილი რჩევა, 101“. მითითებულ გვერდზე მოთავსებულ ლექსს „ნათარგმნი ჰეინედგან“ მიწერილი აქვს: „ჰეინე(?). უდარდელი კაცი. 158“ გვ. 158–159 მოთავსებულია ლექსი „უდარდო კაცი“, რომელსაც ბოლოში მიწერილი აქვს: „იხ. „ცისკარი“, 1965, № 3. იქ ეს ლექსი გრძელია. იხ. აგრეთვე სახელგამი, ტ. IV, გვ. 163. ბაირონი, გვ. 120“ – გვ. 120–121 მოთავსებულია ლექსი „გოდება ებრაული“ (ბაირონით)“, რომელსაც ბოლოში მიწერილი აქვს: „ცისკარი“, 1963, № 2“.

„გასწორებულია, იხ. 105, 117, 108, 102, 118, 134“.

გვ. 102–103 მოთავსებულ ლექსს სათაურის წინ მიწერილი აქვს: „ცისკარი“, 1862, № 4“, ხაზგასმულია: „ხელი გემახონ“ და მიწერილია: „ცისკარის“ რედაქტორმა „ხელი“ (შემლილი) ვერ გაიგო და გადააკეთა – ხელი შეგახონ“. შემდეგ სტროფში სიტყვა „ამაღამაც გასწორებულია „ამელამაც“ და მიწერილია არშიაზე: „ასე იყო დაბეჭდილი

„ცისკარში“. უკანასკნელ სტროფში „გარე“ – [მოდებულს] მიწერილი აქვს არშიაზე: „დაბეჭდილი იყო „ცისკარში“ „გარეს“ ნაცვლად.“

გვ. 105. ლექსს „ფუტურო“ მიწერილი აქვს: „ცისკარი“, 1862, № 5.“ ხაზგასმულია: „მართალ“ და მიწერილია: „ნამდვილ“. ხაზგასმულია: „მირჩება“ და მიწერილია: „მრჩება-ღა“. სიტყვაში „ვერას“ ჩამატებულია „ღ“ და მიწერილია: „დაბეჭდილი იყო ვედარ“. ბოლოში მიწერილია: „ეს გასწორებული ერთ ძველ „ცისკარში“ ვნახე, რომელიც სოსიკო მერკვილაძის შვილმა მაჩვენა. ი. გრ. 1934 1/II“.

გვ. 108. ლექსს „ალექსანდრა გამიხელდა“... მიწერილი აქვს „ცისკარი“, 1862, № 7“. პირველ ტაეპში ხაზგასმულია „ალექსანდრა“ და მიწერილია სატროფო ჩემი. – ასეა გადაკეთებული ერთ დაბეჭდილ „ცისკარში“. (იხ. ს. მერკვი.)“.

გვ. 117–118. ლექსში „მუმური“ ხაზგასმულია: „უპატრონო“ და მიწერილი: „ცისკარში“ დაბეჭდილი იყო „უბატონო“. ხაზგასმულია: „უპატრონოდ“ და მიწერილია არშიაზე: „ცისკარში პირველად დაბეჭდილი იყო „უბატონოდ“, შემდეგ უბატონოდ წაშლილი იყო და ეწერა „მოუვლელად“. უკანასკნელ სტროფს მიწერილი აქვს: „აკლია, იხ. „ცისკარი“, 1863, № 1 და სახელგამის გამოცემა, გვ. 101. (აქაც ისეა, როგორც იქ)“. ბოლოში წერია: „სამართალს კოლოფში სძინავს – „ცისკარში“ ასეა, სადაც წერტილებია, იქ „სამართალს“ უნდა“.

გვ. გვ. 134–135. ლექსს „იმერული ნანინა“ სათაურის წინ მიწერილი აქვს: „ცისკარში“ ამ ალაგას, სადაც მე წითელი ფანქარი მაქვს მოხაზული. მეღნით წაშლევინა ცენზორმა (იხ. „ცისკარი“, 1864 წ., № 5)“. წითელი ფანქრით კი მოხაზულია: „ჩინოვნიკებიც“. ტექსტის ბოლოში მიწერილია: „იხ. ამ ლექსის ვარიანტი ამნაირი წიგნის II ტ. გვ. 176.“

კანზე გამომცემლის გვარს „მანსვეტოვს“ მიწერილი აქვს: „დონ-იაგო“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. ცინდალზე, გვ. 123, დავით ორბელიანზე, გვ. 213.“

გვ. 122–123 მოთავსებულ ლექსის „დღე და ღამე იყრება“ სიტყვა „მოესმა“ გადაკეთებულია „გაისმა“-დ და მიწერილია: „ასე არა სჯობია? ი. გრ.“ ხაზგასმულია: „ცინდალი შესძენია“ და მიწერილია: „ელენე დარიანი“.

გვ. 213–215 მოთავსებულ ლექსის „ფარშევანგი“ სათაურის წინ წერია: „დავით ორბელიანი, იხ. 98, II ტ. 1912 წ.“ ლექსის უკანასკნელი სტროფი მოხაზულია და ხაზგასმულია: „ეს დათვი ორ-ბელიანი“.

შმუცტიტულზე წერია:

„უმიკაშვილმა პეტრემა  
გაზეთში სწერა კრიტიკა,  
გამოიბერა სიბრძნითა  
იკოლოტა და იტიკა,  
სხვისი გალანძღვა უნდოდა  
თავისვე თავში იტიკა  
სადაც ის ახალ აზრებს ჰკრებს  
ჩვენ მონელებულს ვყრით იქა!  
აკაკი.“

იხ. „კვალი“, აკაკის ლექსი და თ. სახოკია.“

გვ. 65. ლექსის „საიდუმლო ბარათო“, შენიშვნას ბოლოში მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მიზამეა აბ. მაჩაბლისა (იხ. „დროება“ და „ჩანგი“).

- გვ. 66. ლექსთან „დედაბერ-მამებრი“ მიწერილია: „არ ვარგა. ი. გრ.“
- გვ. 97. ლექსს „ლოდინი“ მიწერილი აქვს: „შუადამის ქება“, იხ. გ. ტაბიძის „მე და ღამე.“
- გვ. 141. ლექსს „ვედრება“ მიწერილი აქვს: „მიზამვა ი. კერესელიძისა“.
- გვ. 145. ლექსს „იეფთაის ასული“ მიწერილი აქვს სქოლიოში: „იეფი ფასის ასული (ასე დაიბეჭდა პირველად „ცისკარში“)“.
- გვ. 185. ლექსის „პასუხი მაცდურს“ პირველი სტრიქონი ხაზგასმულია და მიწერილი: „ილიას ლექსის დასაწყისისებური. ი. გრ.“
- გვ. 127. ლექსის „ახ- -ს“ ბოლოს მიწერილია: „იხ. „ნიშადური“ 1908 წ.“
- გვ. 211. მოხაზულია ლექსის დასაწყისი. „გამტანია ჩვენი ერი“... და მიწერილია: „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?“
- 4452–4453. [წერეთელი] ა. ჩემი ნაწერები. წ. 1–2. თბ., –ქუთაისი, 1912–1913.
- წ. 1. 1912.
- წ. 2. 1913.
- ფორზაცხე: „აქ ორი ტომია. ვაშკაცი, 33. სახალხო ენით ვწერო, 65. ყოლიფერი, 65. უმართებს, გვ. 27. შამელობა, 39“.
- კანზე: „II ი. გრ.“... მანსვეტაშვილს მიწერილი აქვს „დონ–იაგო“.
- 4454–4457. [წერეთელი] ა. ჩემი ნაწერები. მეორე წიგნი, ქუთაისი, 1913.
- გვ. 5. ლექსში „საქართველოს დღევანდელი სახე“ სტრიქონს „ცრემლი მკვდარს თუ ვერ აღადგენს“ მიწერილი აქვს: „მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს“ (ქ-ნი განდევილი)“.
- გვ. 13 ხაზგასმულია რითმები „დანაბადი... და ნაბადი“ და მიწერილია არშიაზე: „ეს რითმა ვ. გაფრინდაშვილს აქვს“.
- გვ. 79. ლექსის „ენების გასამართლება“ შენიშვნაში ხაზგასმულია: „ირაკლი გრუზინსკიმ... შენც შენი ვინაობა აბანოზე გაცვალე“ და არშიაზე „ირაკლის აბანო“.
- გვ. 80. იმავე ლექსის შენიშვნაში ხაზგასმულია: „მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ლექსმა, მაგრამ დღეს კი აღარა აქვს მნიშვნელობა“ და მიწერილია: „როგორც აკაკის სხვა ლექსებს“.
- გვ. 96. ლექსს „პატრიოტის აღსარება“ მიწერილი აქვს: „I“ და სათაურის ქვემოთ: „(გრ. ორბელიანის პირით)“. იქვე შენიშვნაში ხაზგასმულია: „ილია ჭავჭავაძე“ და მიწერილია არშიაზე: „აკაკი პირველად იხსენიებს“.
- გვ. 98. ლექსს „კოლო-ბუზების პასუხი“ მიწერილი აქვს: „2, გრ. ორბელიანს.“
- იქვე შენიშვნაში ხაზგასმულია: „დავით ორბელიანი“ და მიწერილია არშიაზე: „თუ დათვი ორბელიანი? ი. გრ.“
- გვ. 156. ლექსის „სიყვარული“ პირველ სტრიქონს მიწერილი აქვს: „აკლია“.
- გვ. 167. ლექსს „უ- -ს“ მიწერილი აქვს: „უმიკაშვილი ხომ არ არის?“
- გვ. 168. ლექსს „ნ- -ს“ მიწერილი აქვს: „ნიკოლაძეა?“
- გვ. 177. ლექსის „იავნანა“ უკანასკნელ სტროფში ხაზგასმულია: „...„იცან ქვეყანაო, რომ გაიგო ამ სოფლისა ცრუ გამოცანაო“, არშიაზე: „იხ. I ტ. გვ. 135“.
- გვ. 181. ლექსის „ავადმყოფი“ პირველ სტროფს მიწერილი აქვს: „აკლია“.
- გვ. 248. ლექსის „თვალს მიხვევენ“ ბოლოდან მეორე სტრიქონში სიტყვა „მას“ გადმოტანილია სტრიქონის დასაწყისში და არშიაზე მიწერილია: „ასე არა სჯობია? ი. გრ.“.

სარჩევის გვ. I მოხაზულია პირველი 11 ლექსი და არშიაზე მიწერილია: „ეს არ იყო პირველად, როცა ცენზორმა დაიჭირა აკაკის დიდი პოემა ვარანცოვი იყო, მერე ეს დაბეჭდა“.

სარჩევის გვ. II ხაზგასმულია: „ლეგენდიდან „გოგია მეჩანგურე“ და მიწერილია: „საიათნოვაში ჩასდო ვიღაცამ“.

კანის მე-4 გვ. წერია: „აფორიზმი, 246, 189, 183.“

4458. [წერეთელი] ა. ჩემი ნაწერები. წიგნი მე-2. ქუთაისი, 1913. ცენზორის მიერ დაჭერილი ტომი, სადაც მოთავსებულია პოემა „ვორონცოვი“.

კანზე, თავფურცელზე, გვ. 3, 49, 81, 89, 145, 185 ყოფილი მფლობელის ბეჭედი: „Из книг И. Т. Полумордвинова.“

კანზე ყოფილი პატრონის ბეჭედს მიწერილი აქვს: „მომცა ი. გრ.“ იქვე: „აკრძალული წიგნი („ვორონცოვი“).

შენიშვნები პოემა „ვორონცოვზე“.

გვ. 9. ხაზგასმულია: „ტყუილია“, მიწერილია: „ტყვილია. ი. გრ.“

გვ. 23. ჩამოტანილია სქოლიოში სიტყვა „იმედი“ და მიწერილი: „იმედი დაიბეჭდა „ცისკარში“ 1859 წელს.“

გვ. 25. სიტყვა „რადგანაც“ გადასწორებულია „რადგანც. ი. გრ.“

გვ. 27. სქოლიოს ნიშნით აღნიშნულია „დიმიტრი ციციანოვს“ და შენიშვნაში წერია: „ამ ციციანოვს ერქვა არა დიმიტრი, არამედ პავლე. ამ პავლე ციციანოვს ახალგაზრდა მ. ს. ციციანოვი ახლდა 1803 წ. ი. გრ.“

გვ. 28. ჩამოტანილია სქოლიოში „გრიგოლ“, მიწერილია: „1. ორბელიანი“. „პლატონი“ მიწერილია: „2. იოსელიანი“. „გლუხარიჩი“ – მიწერილია: „3. გიორგი ერისთავი“. „ლევანი“ – მიწერილია: „4. მელიქიშვილი (?) ი. გრ.“

გვ. 29. სიტყვა „თანაც“ გადასწორებულია: „[თანც] ი. გრ.“

გვ. 31. სიტყვა „გამოვხარით“ გადაკეთებულია „გამოვხართ. ი. გრ.“.

გვ. 39. სიტყვაში „ქონია“ ჩამატებულია წინ „3“ და მიწერილია: „ი. გრ.“

გვ. 55. „თვალს წინ ჩამატებულია „არც“.

4459–4463. წერეთელი ა. რჩეული ნაწერები. ს. გორგაძის და ს. აბაშელის რედ. ტ. 1–4. ტფ., 1925–1928.

ტ. 1. [ვახტანგ კოტეტიშვილის შესავალი წერილით]. 1925.

კანზე: „ეს ეგზემპლარი აიკრძალა წინასიტყვაობისა და ნაკვესებისათვის. ი. გრ.“ იქვე: „პუშკინი, 72. დანიბეგოვი, 65. მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, გვ. 76. ოპოზიცია, გვ. 103. ივ. მაჩაბელზე, 357. აკაკის ცოლი ბაზილევსკი, გვ. 77.“

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1926 წ. 5/II. გრ. ორბელიანი, გვ. 91, ალ. ორბელიანი, 82, 84. 94, იარალი (შანშიევი), გვ. 93“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1926 წ., 5/II.“

გვ. X. ხაზგასმულია: „აკაკი წერეთელის პროზა“, მიწერილია: „ეს წერილი ამოვიდა – სხვა წიგნებში არ არის. ი. გრ.“

გვ. 21. ხაზგასმულია სიტყვა „მამამისის“ და მიწერილია: „მამამათის.“

გვ. 75. გახსნილია კრიპტონიმი: „ი. სერ-ვს – ილია სერებრ.“.

გვ. 76. ხაზგასმულია: „მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს“ და მიწერილია: „სტუდ.“ ხაზგასმულია: „ადამიანს ეკალიც კი ვარდად ეჩვენება“ და მიწერილია: „იხ. გვ. 77“.

გვ. 82. მოხაზულია: „ი. კერესელიძე ნამდვილი ქართველი იყო მისის ნაკლით და ნამეტნობით“ და მიწერილია: „ივ. კერესელიძე თარს უკრავდა.“

გვ. 83. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „დიუმას დაუთვრია ქართველები“. მოხაზულია: „ეს თოთხმეტი კლასი კი ჰქონდა გათავებული, მაგრამ მის ჟურნალს მაინც არ ჰქონდა მიმართულება“, დასმული აქვს კითხვის ნიშანი და მიწერილია „მიმართულება.“

გვ. 84. წერილში „ალექსანდრე ორბელიანი,“ მოხაზულია სიტყვა: „იმან“ და მიწერილია: „ივ. კერესელიძემ“, ხაზგასმულია: „ღამე, როცა მარტოკა დარჩებოდა მეგობართან“ და მიწერილია: „ბნელაში ამბობდა პოლიტიკის ამბებს“.

გვ. 101. მოხაზულია ადგილი და მიწერილია „ლექსები.“

გვ. 333. „აკაკის მოსწრებულ სიტყვა-პასუხ“-თან მიწერილია: „აკაკის ნაკვესები გარდა ეთნ. საზ. ხელნაწერ. № 20 დაიბეჭდა „ივერიის“ მიერ გამოცემულ ნაკვესებში, გვ. 23.“

გვ. 335. „გამომცემლის“ შემდეგ მიწერილია: „თვით აკაკის ხელით დაწერილია. იხ. ამ გამოც. გვ. 364.“

გვ. 336. მოხაზულია: „ჭირვეული თამადის“ ბოლო ნაწილი და მიწერილია: „ეს პუშკინსაც მიეწერება შეცდომით.“

გვ. 347. მიწერილია: „36 ქალი და სიყვარული“.

გვ. 356. მოხაზულია ცნობა აკაკი წერეთლის ნაწარმოებების ღირებულების შესახებ და სქოლიოში მიწერილია: „ამ სიძვირის შესახებ იხ. კერძო წერილი ალ. ჭყონიასი აკაკისადმი. (საეთნოგ. მუზ. № 20)“.

გვ. 360. ხაზგასმულია: „პარასკევ დღეს თავ. მაჩაბელს არა ჰქონია განზრახული თავის მოკვლა“... და მიწერილია: „აბასთუმანში მიდიოდა.“

გვ. 363. მოთხრობა „ბაში-აჩუკის“ შესახებ სქოლიოში მიწერილია: „თარგმანია რუსულად კოტე ყიფიანის მიერ „(Кавк. Вест.“ № 9, 10 1901 წელს).“

გვ. 361. აკაკი წერეთლის ნაწარმოებები ჩამოთვლილია რიგის მიხედვით 16-მდე, სქოლიოში მიწერილია: „17. წმინდა სანთელი? 18 მოლა?“

გვ. 365. მიწერილია: „აკლია საინტერესო ამბავი: „მეთაური წერილი.“ (იხ. „ჩანგი“)“.

გვ. 366. მე-8 შენიშვნასთან მიწერილია: „გ. თუმანიშვილისა“.

სარჩევში მოხაზულია 3 წერილი და მიწერილია: „ეს რკალში მოქცეული 3 წერილი აღარ დაიბეჭდა. სხვა წიგნებში არ არის“.

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამონაჭერი P.-ს „Критика и библиография, მიწერილია: „ზარია.“ 1926, 13/IX.“

ტ. 2. 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926. 22/IX. 1 გვ. 169 შეცდომა. 2. შეცდომა გლდანელზე, გვ. 133. 3. გვ. 100, 132, 133. 4. გვ. 71. 5. გვ. 13. გამოც. 7. ყველგან უნდა. 1. სჯული, 2. დენ. 3. რად. კარგად. ცენზორი“.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. ჩემი შენიშვნები, გვ. 173, კორექტურა. გვ. 71.“

გვ. 1. სათაურის „ბაგრატ დიდი“-ს ზევით მიწერილია: „დაიბეჭდა „დროება“, 1875, № 41, 6 აპრილი. ი. გრ.“

გვ. 13. სქოლიოში მიწერილია:

„მაშინ წარსული თვისი ცხოვრება.  
კაცს მიაჩნია ბზეთა და ჩალად,

და წამითს გრძნობას მხოლოდ ისახავს

ნეტარებისა სრულ იდეალად. („დროება“, 1875 წ., № 41)“.

გვ. 100 დანიშნულია ადგილი და მიწერილია „გამოტოვებულია ცენზორის მიერ“.

გვ. 132. გადახაზულია სიტყვა „მივეშველებით“ და მიწერილია: „ჩვენ ერთ სამეფოდ, გავხდით იმერეთს შეერთებულსა. (იხ. ჩემი ეგზემპლიარი). ი. გრ.“

გვ. 137. სათაურის „კიკოლას ნაამბობის“ შემდეგ მიწერილია: „მხოლოდ მე-3 ნაწ. IV თავი დაიბეჭდა „ივერიაში“, 1889, № 172. 13 მარიამოხისთვე“.

გვ. 142. მიწერილია: „ივერია“, 1889 წ., № 172, აქედან“.

გვ. 146. აღნიშნულია: „ქაიხოსრო“, სქოლიოში მიწერილია: „ქაიხოსრო წერეთელი – სარდალი, იყო ზურაბის ძმისწული. „ივერია“, [აკაკი], 1889, № 172“.

გვ. 147. გასწორებულია სტრიქონი და მიწერილია: „მათ მოუყარეს მეფეს მუხლები“ („ივერიაში“).

გვ. 150. მიწერილია: „იხ. 1889 წ. გამოც. გვ. 18.“

გვ. 154. მოხაზულია სიტყვა: „ხუთასი“, მიწერილია: „მაგრამ ორასი კაცი კი დარჩა, (1889 წ. გამოც. „დროებაში“)“.

გვ. 168. სქოლიოში კითხვის ნიშნით მიწერილია:

„შემიყარეს ბორკილები.

ცხრა თვეს ვიყავ დაჭერილი. (1889 წ.)“.

გვ. 169. გადანაცვლებულია სტრიქონები და მიწერილია: „აქ შეცდომაა, რითმისთვის უნდა გადაისხას. ავტორის შეცდომა, ი. გრ.“

გვ. 173. ლექსის „ჭიდაობა“ შესახებ მიწერილია: „ეს შეცვალა პ. იაშვილმა და 1924 წ. გამოსცა ასე. „იმერლები“ ამოიღო. მე აღვადგინე უფრო ძველი გამოცემიდან. ი. გრ. 1926 წ.“

გვ. 174. მოხაზულია: „ქუთაისი“ და მიწერილია: „იმერლებმა“. წაშლილია სიტყვა: „იცოდეთ“ და მიწერილია: „ღვთის მადლმა“.

გვ. 175. მოხაზულია სიტყვა „ქოჩორა“ და მიწერილია: „კორტოხი“.

გვ. 177. გადახაზულია სტრიქონი და მიწერილია: „უბრალოდ გავათავეო, (იხ. 1888 წ. გამოცემა). ეს ლექსი აკაკიმ პირველად 1888 წელს დაბეჭდა ონელი მესტვირეს სახელით. ი. გრ.“

გვ. 340. შენიშვნაში „თამარ ცბიერი“-ს შესახებ მიწერილია: „ეს მართალია“. ამავე შენიშვნაზე დანიშნულია გვერდები და მიწერილია: „აქ არაფერია გამოტოვებული“.

გვ. 341. შენიშვნაში „ჭიდაობის“ შესახებ მიწერილია: „როდის დასწერა. ნამდვილად უნდა ენახათ უფრო ადრინდელი გამოცემა. აქ შეცვლილია. მაგ. 1888 წლის ონელი მესტვირის ფსევდ. მაგრამ არ ჰქონიათ ხელთ ძველი გამოცემა. 1906 წ.“ აქვე „გამზრდელის“ შენიშვნაში ხაზგასმულია: „წინამდებარე ტექსტი „კრებულის“ (1889 წ.) გამოცემას „ეყრდნობოდა“ და მიწერილია: „რატომ?“

გვ. 342. შენიშვნაში „საქართველოს დღევანდელი სახე“ ხაზგასმულია: „1908 წელს ცალკე გამოიცა ტფილისში“... და მიწერილია: „ვ. გუნიას მიერ გამ-ბა „საქართველო“.

გვ. 343. შენიშვნაში „მეუდაბნოე“ მოხაზულია: „დაბეჭდილია „ცისკარში“ 1859 წელს, ნოემბრის ნომერში“. აქვე „ალექსის“ ბოლოს მიწერილია: „ცოდნამ ცალკე გამოსცა“.

გვ. 344. „ახალი სამართალი“-ს გვერდით მიწერილია: „ეს პოემებში არ შევიტანე, კატასა და მალღზე“, „სხვადასხვა ერი“-ს გვერდით მიწერილია: „არც ეს შევიტანე

პოემებში“. „ანდრია პირველწოდებული“-ს შესახებ მიწერილია: „დაიბეჭდა ცალკე წიგნადაც 1892 წ.“ „ლეგენდური“-ს შესახებ მიწერილია: „ეს ლექსია“. „ხოლერა“-ს შესახებ მიწერილია: „ეს ლექსია“. ამავე გვერდზე სქოლიოში მიწერილია: „აკლია: 1. ვაჭრული ჭკუა. 2. მოლა“.

გვ. 347. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „სერგო გორგაძე“.

გვ. 348. შენიშვნის ზემოთ მიწერილია: „ეს სულ ზედმეტი იყო. ან უნდა ყველა ავტორი ყოფილიყო, ან არავინ. აკაკის იმდენი არც კი აქვს დაწერილი, რამდენიც მასზე დაწერილა. საჭირო იყო შეკრება ამ მასალის, მაშ რისი რედაქტორები ხართ. ი. გრ. იხ. „აკაკის საიუბილეო კრებული“. ხაზგასმულია: „აქვე ვათავსებთ არასრულ სიას“... და მიწერილია: „თუ არასრული სიაა, რა გაძალებდათ?“ ხაზგასმულია: „გალუსტ შიხიანი“ და მიწერილია: „წაუკითხვათ? ამის მოთავსება აქ ზედმეტი იყო.“ მიწერილია: „აკაკის ქნარი“ ლალიძის გამოცემა“. ხაზგასმულია: „მისივე (კიტა აბაშიძე) აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი“ და მიწერილია: „კიტა აბაშიძე – ცალკე გამოვიდა იუბილეს დროს“.

სარჩევის ბოლოს მიწერილია: „პატარა კახი“ – ი. გედევანიშვილის წინადადებით – ამოღებულ იქმნა. ი. გრ.“

გაზეთიდან ამოჭრილი ცნობები ამ წიგნის გამოცემის შესახებ მინაწერებით: „1. „ზარია“, 1926, 12 ოქტ. 2. 31 ოქტ. 1926 წ., „კომ.“, № 249.“

ტ. 3. 1927.

კანზე: „შეცდომა, გვ. 324.“

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1937. 26/IV. 1. იხ. შეცდომის გასწორება (ბოლოში). 2. ჩრდილი და ჩერო? გვ. 403“.

გვ. 397. „პირუტყვების არჩევანი“-ს გვერდით მიწერილია: „ეს პოემებში.“

გვ. 402. ტექსტის ბოლოს ხაზგასმულია: „(№ 23, 52) და მიწერილია: „№ 1489-ი. ლექსი 52“.

გვ. 403. ლექსში „ძუძუდა“ ხაზგასმულია ბოლო სტრიქონი და მიწერილია: „ჩრდილი და ჩერო?“

გვ. 404. ხაზგასმულია პიესის „რეაქცია“ შენიშვნის ბოლო ადგილი: „აქ მხოლოდ სამი მოქმედება (1, 2, და IV) იბეჭდება“ და მიწერილია: „რატომ“. ხაზგასმულია: „ბუტიობა“ და მიწერილია: „ეს პიესა, უეჭველად უნდა დაბეჭდილიყო“. ხაზგასმულია: „ხანის ვეზირი“. „ეს პიესა თარგმანს წარმოადგენს“ და მიწერილია: „ახუნდოვის პიესაა. იხ. ჩემი შენიშ.“ ხაზგასმულია: „ვიდრე ხვალ, უფალო“ (დრამა) და სქოლიოში მიწერილია: „სენკევიჩის რომანიდან – გადმოაკეთა სობოლშჩიკოვ-სამარინმა, ამ გადმოკეთებიდან თარგმნა აკაკიმ.“

გვ. 405. ტექსტის შემდეგ მიწერილია ის ნაწარმოებები, რომლებიც ამ გამოცემაში არ არის: „1. თამარ ცბიერი?“ 2. „განთიადი“. (პიესა). 3. „რეპეტიცია“. (იხ. „დრამები და კომ.“ – სორაპ. გამოც.). 4. „სკაპენის ცუდლუტობა“ (მოლიერის) გადმოკ.“ აქვე დანიშნულია დრამა „ვიდრე ხვალ უფალო“ და მიწერილია: „შავი ინახება მთაწმ. მუზ-ში“. მითითებულია პიესა „განთიადი“ და მიწერილია: „ფოთში, ბათომში, ჭიათურაში იყო ი. ჩერქეზიშვილის ოჯახში“.

წიგნის ბოლოს „უმთავრესი ბეჭდვითი შეცდომების“ ქვეშ მიწერილია: „გვ. 392 – გივი, უნდა – ბაადურ. ეს შეცდომა გადმოიბეჭდილია 1919 წლის გამოცემიდან, ეტყობა არ შეუდარებიათ სხვებისთვის, ან არ დაჰკვირებიათ. იხ. 1919 წ. გამოც. გვ. 118 ი. გრ.“

- ფორზაცზე: „აკაკი III (პიესები). დუბ. ი. გრ.“
- ტ. 4. [ვახტანგ კოტეტიშვილის შესავალი წერილით]. 1928.
- კანზე: „ი. გრ. 1928 წ. 16/I. ა. ჭ-ძეს, 138. გრამაფონისთვის, 304. „გოდება ისრაელთა“, 97. აკაკი გარდაიცვალა 1915, 26 იანვარს. დაიბ. 1840, სულიკო. 149. გასწორებული, გვ. 98. გ. სუნდუკიანიც, 723. იხ. ჩემი შენიშვნა, გვ. 203. გორო, ქართლის შუა გულო, გვ. 302. შეცდომა თარიღებში, გვ. 72, 94.“
- კანის მეორე გვ.: „დამეხსენი ოსმალელო, გვ. 93.“
- შმუცტიტულობე: „ალ. ჭ-ძეს“, 138. ეს ლექსი დაიბეჭდა „დროებაში“, 1882, № 181. ალ. ჭ-ძის მიბაძვა, გვ. 16, გვაზაური, 315, 319, (№ 501). სუნდუკიანცს, 312, 323, 330. ს. ფირცხ., 318. ჩრდილოეთს, გვ. 96. ი. ჭავჭავაძის მიბაძვა, გვ. 257. არ არის დაბეჭდილი „მუშებო, თქვენი ჭირიბე“, გვ. 180, გვ. 317, № 465. ოი ამას-120“.
- თავფურცელზე: „ი. გრ. 1928. 10/I“.
- გვ. 16. ლექსს „სიყვარული“ მიწერილი აქვს: „ჰგავს ა. ჭ-ძეს. კარგია“.
- გვ. 72. ლექსის „მუხამბაზი“ ბოლოს თარიღს „1892“ აქვს მიწერილი: „შეცდომაა. 1872 წელს არის დაწერილი. ი. გრ.“
- გვ. 93–94 ლექსს „თვითმპყრობელობას“ მიწერილი აქვს: „მტარვალებს. კარგია.“ და ბოლოში: „იხ. „სამწერლო თაიგული“, 1880 წ., № 1. ი. გრ.“
- გვ. 97–98. ლექსს „გოდება ებრაელთა“ მიწერილი აქვს: „გოდება ქართველთა“ პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“, 1863, № 2. იხ. შენიშვნა გვ. 289“. ბოლოს მიწერილია: „ივერია“, 1901 წ., № 213. ამ ლექსს წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს და საგანგებოდ ამ იუბილესათვის დაწერა. საქართ. და რუსეთის შეერთების 100 წ. იუბილეს დროს დაწერილი. აქ ქართველი მამულიშვილის განცდა და აღშფოთებაა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რუსეთი – ბაბილონი, ებრაელები – ქართველები, ლექსი საფუძვლიანად არის გადაკეთებული. უფრო იდეაა აღებული ბაირონიდან. იხ. ამ წიგნის გვ. 289. ბაირონს აქვს მთელი სერია მელოდიებისა. აკაკიმ შეაფარა თავი ბაირონს და ქართველი მეამბოხის სული სჩანს. ეს ლექსი გადაბეჭდა რ. ხომლეღმა თავის ჟურნალში. (იხ. „ცხოვრება, 1916 წ. № 5 გვ. 11)“.
- გვ. 120. ხაზგასმული ლექსის „გურული ნანინა“ სტრიქონი და მიწერილია: „ოი ამა“.
- გვ. 138. ჩანიშნულია ლექსი „თ-დი ალექ. ჭავჭავაძის საფლავზე“, მიწერილია: „ეს აღდგენილი მაქვს“ და ლექსის ბოლოს: „შუამთა. იხ. „დროება“, 1882 წ. № 181.“ ლექსებს „პოეტი“, გვ. 142, „ავადმყოფი მგოსანი“ გვ. 144 მიწერილი აქვს: „კარგია“.
- გვ. 149. ლექსს „სულიკო“ მიწერილი აქვს: „კარგია“ და „კვალი“, 1895, 9 ივლ., № 29.“
- გვ. 174. ლექსის „გაზაფხულის“ ბოლოს: „იხ. გვ. 299.“
- გვ. 203. ლექსთან „ეჰ ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?“ მიწერილია: „ეს ლექსი მიბაძვაა ი. კერესელიძის ლექსისა. (ლექსის აზრი ორივესი ერთნაირია).  
„ჰე ქართველო, რა კაცი ხარ!  
ეს რასა ჰგავს ერთი მითხარ და სხვ.“ (იხ. ზ. ჭ-ს „სალამური“, 1882 წ., № 1, გვ. 9). ი. კერ. ლექსი დაწ. 1867 წ. ი. გრ.“
- გვ. 243. ლექსის „ახლანდელი სიმღერა“ პირველი სტრიქონი ხაზგასმულია და მიწერილია: „ყარამანიანიდან“. ი. გრ.“
- გვ. 257. „პატრიოტი“ მიწერილი აქვს:  
„ჩვენისთანა ბედნიერი



განა არის სადმე ერი“.

გვ. 271. ლექსს „აღბომში“ მიწერილი აქვს: „ანასტ. მაჩაბლისას.“

გვ. 287. აკაკის ლირიკის ქრონოლოგიურ სიაში, ორ ლექსს მიწერილი აქვს: „ვარსკვლავით“ აქ დაბეჭდილია“. ლექსს „რტო პალესტინისა“ მიწერილი აქვს: „აკაკის პირველი ლექსი“.

გვ. 290. ლექსს: „ვედრება: ძმაო მკითხველო“, მიწერილი აქვს: „ასეთი ლექსი ი. კერესელიძეს აქვს.“ ლექსის სათაურის „იეფთაის ასული“-ს შესწორების მიზნით სქოლიოში მიწერილია: „იეფი ფასის ასული.“ აქვე ლექსში „პასუხი კ. ბ. ჯ.“ გახსნილია კრიპტონიმი: „ბარბარე ჯორჯაძე“. ლექსის „ყველასათვის კარგი მსურს“ შესახებ ხაზგასმულია: „ცისკარი“ და მიწერილია: „იქ სრულია“.

გვ. 292. ლექსს [„მზემან იცის დაჭირება“] შენიშვნებში მიწერილი აქვს: „დაჭირებამ – გაჭირება“.

გვ. 293. მოხაზულია ლექსის „სიზმრად ვნახე შენი გული“ შენიშვნა და მიწერილია: „იხ. გვ. 289, № 32 და „ნიშადურ.“

გვ. 295. ლექსებს „ახალგაზრდა ქალი ბროლობს და ლალობს“, „სილამაზით პეპელა ხარ ხატისა“, მიწერილი აქვს: „კარგია. რატომ არ არის.“

გვ. 296. ლექსის „მეზომა თქვენი ბრძნული წერილი“ წინ ხაზგასმულია: „კოლხიდელს“ და მიწერილია: „გრ. დადიანი“.

გვ. 297. ხაზგასმულია ლექსის „ნეტავი ჩიტი ვიყო“ სათაური და მიწერილია: „რატომ არ არის“, იქვე ლექსის „იავ-ნანა, ვარდო-ნანა“-ს შემდეგ, ხაზგასმულია: „ვოდევვილში“ და მიწერილია: „თუ კომედიამი. ი. გრ.“

გვ. 299. ლექსთან „დღიურ სიცხადით გულდაჩაგრულსა“ მიწერილია: „რატომ არ არის.“

გვ. 301. ლექსის სათაურს „გლეხისა და თავადის ბაასი“ ხაზი აქვს გასმული და მიწერილია: „საინტერესო ლექსია“.

გვ. 302. ლექსების სათაურს „ტყუილ მგოსანს, ანუ ცრუ მგოსანს“ და „სიმართლე“-ს მიწერილი აქვს: „აქ რატომ არ არის მერე?“

გვ. 304. ლექსს „ლხინი“ მიწერილი აქვს: „გრ. ორბელიანის მიზამკვა.“ ლექსთან „ახალი სიმღერა“ მიწერილია: „ეს ლექსი გრამაფონშიაგ არის“.

გვ. 306. ლექსს „ნინოობას“ მიწერილი აქვს: „სად არის შოთას საფლავი“.

გვ. 307. ხაზგასმულია ლექსის სათაური „სოფლური“ და მიწერილია: „გ. ქუჩიშვილსაც აქვს“. ლექსს „განთიადი“ მიწერილი აქვს: „დ. ყიფიანს“. აქვე ხაზგასმულია: „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ და მიწერილია: „რატომ არ არის?“

გვ. 308. ხაზგასმულია ლექსი „პასუხი“ და მიწერილია: „რატომ არ არის“.

გვ. 309. ხაზგასმულია: „რას წუწკუნებს ეს პატარა მურია“ და მიწერილია: „რატომ არ არის“.

გვ. 310. ლექსში „გამოცანები“ ხაზგასმულია: „ფოლ და ჟამანაკ“ და გადათარგმნილია: „ფული და დრო“.

გვ. 312. ხაზგასმულია: „კ. უმანეცის აღბომში“ და მიწერილია: „იხ. „ფასკუნჯში“. მოხაზულია: „სიმღერა პერანგის გამო“ და სქოლიოში მიწერილია: „ეს სთარგმნა შემდეგ ი. ევდომვილმა.“

გვ. 313. ხაზგასმულია: „ვაჭრული ჭკუა“ და მიწერილია: „პოემა“.

გვ. 314. ლექსთან „ორი ექსპრომტი“ ხაზგასმულია: „იხ. თ. მაგმაძის „ჰოლოკი“ და მიწერილია: „ილია ჭყონია. ეს მაქვს“.

გვ. 315. დანიშნულია ლექსი „ყიზილბაშური (ველიჩკოდან)“ და მიწერილია: „ეს ლექსი გამოსარკვევია. ველიჩკოდან კიდევ აქვს თარგმანი მშვენ. თამარის შევარდენი. (გორის ციხე). იხ. კირიონის „სიტყვ. ისტორია“.

გვ. 319. ხაზგასმულია: „მეჩანგურე“ და მიწერილია: „პორნოგრაფია“.

გვ. 321. მოხაზულია სათაური: „ქართველ ქალს“ და მიწერილია: „ტასოს ქალს, ივანეს ქალს“.

გვ. 324. ლექსს „მომაკვდავის ფიქრები“, სქოლიოში მიწერილი აქვს: „ეს ლექსი დაიბეჭდა აკაკის „კრებულში“. („ჩემი ნაწერები“, ქუთაისი, 1913 წ.). მაგრამ ცენზორმა ამოსჭრა და აღარ დაბეჭდილა. (მე ვნახე ის ლექსი საცენზო. საქმეებში)“.

გვ. 325. მოხაზულია სათაური „ალბომში (ტასო ბაგრატიონისას)“ და მიწერილია: „ივ. მაჩაბ. ცოლს“. ხაზგასმულია: სათაური „ბეჟანს (წერეთელს)“ და მიწერილია: „პორნოგრაფია“.

გვ. 328. ხაზგასმულია სათაური „კახეთში“ და მიწერილია: „ნაწყვეტი ოცნებისა“. იქვე ხაზგასმულია: „კუხ! კუხ- კუხ!“ და მიწერილია: „ეს ლექსი ცენზურამ აკრძალა. იხ. „ჩემი მოგონებანი“. ხაზგასმულია: „მეუნარგია (სალომე იონას ასული)“ და მიწერილია: „არისტო ჭ-ძის სატრფოს.“

გვ. 329. ხაზგასმულია სათაური „პარიზი“ და მიწერილია: „ეს ლექსი შეიძლება დაიბეჭდოს“.

გვ. 331. ხაზგასმულია: „ჩემი თავგადასავალი“ და მიწერილია: „პოემა“. ხაზგასმულია: „ცის მახლობლად“ და მიწერილია: „ივერია“. ხაზგასმულია „ხარაბუზა ღენერალს“ და მიწერილია: „ეს დავბეჭდე.“

გვ. 335. სარჩევში ხაზგასმულია: „თ-დი ალექ. ჭავჭავაძის საფლაგზე“ და მიწერილია: „ეს აღდგენილი მაქვს“.

გვ. 336. მოხაზულია VI თავი და მიწერილია: „ეს თავი სატირაა (იხ. 285). ჩაემატოს „ჩვენი მიხაკა“ (ლორის მელიქოვს). იხ. „სიტყვა და საქმე“, 1934, № 1“.

გვ. 338. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „აკაკის ფსევდ. „იმერელი“, „ალექსანდრე სამარიძე“, „ს. ლი“ (ლერმონტოვიდან)“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „1. ოი, ამას ვენაცვალე. 2. ეიფელის კოშკი. 3. ჩონგურს სიმები გავუბი. 4. ახალგაზრდა ქალი ბროლობს და ლალობს. 5. სილამაზით პეპელა ხარ“.

მე-3 გვ. „ცალკე წიგნად რომ გამოვა შევიდეს: 1. ალბომში, 271. 2. ალბომში, 274.“

წიგნში დევს ფურცელი, ხელნაწერი ლექსით „გოდება ისრაელთა“ მინაწერით: „ეს ლექსი ვიყიდე ბაზარზე, დაწერილი იყო აკაკის ერთ-ერთ ტომზე. ი. გრ. 1938. 4/VI“.

წიგნში დევს ორი კონვერტი წარწერებით: „1. აკაკის ერთი ლექსის [გოდება ისრაელთა] გამო“, მიწერილია: „აკაკის ტ. IV. იხ. საიუბილეო გამოცემა გვ. 98 და 289.“ 2. მეორე კონვერტში მოთავსებულია ამონაჭრები გაზეთებიდან და კალენდრის ფურცლები აკაკის ლექსებით – მინაწერებით და შენიშვნებით აკაკის IV ტომზე. ამავე კონვერტში დევს რვეულის ფურცელი, რომელზედაც წერია ლექსი „მესტირული“, სათაურის ზევით მიწერილია: „დროება“, 1884, № 41“.

4464–4465. წერეთელი ა. რჩეული ნაწერები. ერთ ტომათ. თბ., 1935.

ფორზაცის მე-3 გვ. ჩაკრულია 1936 წ. № 109 გაზეთის ამონაჭერი, ა. ყ. წერილი „აკაკი წერეთელი – რჩეული ნაწერები“ მინაწერთ: „12 მაისი, „კომ.“

4466. წერეთელი ა. რჩეული ნაწერები. თბ., 1940.

ფორზაცზე: „საიუბილეო გამოცემა. ტექსტი ისევ ძველია, არ არის შედარებული დედნებთან, ამ მხრივ არა ჰგავს სახელგამის აკადემიურ გამოცემას. [მაგ. – ჩემი III ტომი (პოემები) მართლაც აკადემიურია] იქ აღდგენილი მაქვს მრავალ უცნობი სტრიქონი. მაგ. „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „მოხუცის ნაამბობი“, „ჭიდაობა“ და სხვ. ი. გრ.“

4467. [წერეთელი] აკაკი [მოკლე ბიოგრაფია და რამდენიმე ლექსი]. ქუთაისი, 1915.

4468–4480. წერეთელი ა. აკაკის მოსწრებული სიტყვები. 1. [ი. გრიშაშვილის წინათქმით]. ტფ., 1929.

კანზე: „ი. გრ. 1929. 2/II.“

გვ. 2. წინათქმას „გრი-გრი“-ს ხელმოწერით მიწერილი აქვს: „ი. გრ. ხალტურა!“

მეორე ცალის კანზე: „ი. გრიშაშვილის წინათქმით.“

მეოთხე ცალის თავფურცელზე, კანზე, მე-3 გვ. ხელწერა: „გიორგი მერკვილაძე. 13/V-29 წელი“.

4481–4490. [წერეთელი] ა. აკაკის მოსწრებული სიტყვები. ი. გრიშაშვილის წინათქმით. ტფ., 1933.

4491. [წერეთელი ა.]. აკაკის ნაკვესები. შეკრებილი და გამოცემული თ. სახოკიას მიერ. 1-ლი. ტფ., 1895.

ფორზაცზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „თედო სახოკია“. იქვე მინაწერი: „ეს იშვიათი წიგნი ჩემს ბიბლიოთეკას გადმოსცა ბ-ნმა თედო სახოკიამ და ამით შეივსო აკაკის ნაწერების ყველა გამოცემა, რომელიც ჩემს წიგნთსაცავშია მოთავსებული „აკაკის თაროზე“. – ი. გრ. 1943, 14/VII.“

გვ. 12. ნაკვესში მოხსენებული პირების ვინაობა მიწერილია არშიაზე: „ქეთო ანდრონიკაშვილი. ი. გრ. – ფალავანდ.“

გვ. 49. არშიაზე: „იხ. ევ. გაბაშვილის მოგონება [ხელთ.]. ი. გრ.“.

გვ. 59. არშიაზე: „ეს დამატება შედგენილია თ. სახოკიას და ალ. ნიკიტინის მიერ. ი. გრ.“

გვ. 60. სქოლიოში ხაზგასმულია: „ნაბოლარა“. მიწერილია: „შ. დავითაშვილის ფსევდ. ი. გრ.“

გვ. 61. არშიაზე: „ამის გამო გ. წერეთელმა გალანძღა „კვალში“. ი. გრ.“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ამ წიგნზე რეცენზიები, იხ. 1. „ივერია“. 2. „კვალი“. ი. გრ.“

ყდის მე-3 გვ.: „გვ. 19(?)“.

4492–4495. [წერეთელი ა.]. აკაკის ნაკვესები. [შეკრიბა ლ. ასათიანმა]. თბ., 1940.

4496. [წერეთელი ა.]. აკაკის რჩეული ლექსები მისი ცხოვრების მოკლე აღწერით. [სოსიკო მერკვილაძისა]. ტფ., 1908.

კანზე: „იშვიათია! ი. გრიშაშვილი!“

4497–4499. [წერეთელი ა.]. აკაკის რჩეული ლექსები მისი ცხოვრების მოკლე აღწერით. [სოსიკო მერკვილაძისა]. თბ., 1912.

ხელნაკეთ კანზე: „ი. გრ. აკაკი. იშვიათია!“

მეორე ცალის კანზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „იაკ. ელიაშვილი. 1915 წ.“.

4500. წერეთელი ა. ალექსი. ზღაპარი. თფ., 1880. ცალკე ამონაბეჭდი ჟურნ. „ივერიიდან“.

კანზე: „სად დაიბეჭდა: 1. „მნათობი“, 1869, ნომბ.-დეკემბ. დაიბეჭდა I და II თავი. 2. „მნათობი“, 1870 იანვ. 3. „დროება“, 1876. № 56, 59, III, IV და V თ. 4. „ივერია“, 1880, № 1. (სრულად.) 5. ცალკე წიგნად 1880 (II წიგნი) – (სრულად). 6. „კრებულში“, 1898, № 10 (სრულად.) 7. ცალკე წიგნად 1910. („ცოდნა“). 8. „ნაკადული“, 1908 წ., (მოზარდ.) № 11. 9. იხ. „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“ ს. გორგაძისა, გვ. 21. (შემოკლებით). 10. ხელნაწერი – არა აკაკის ხელით № H:1595“.

გვ. 132. ჩამატებულია „სხვაც არა ჰქონდა მას სადარდელი“ მინაწერით: „მგონი აკლია(?)“

გვ. 133. სტრიქონს „გამვლელ-გამომვლელს „კუსკუს“ ძახილით“ აქვს შენიშვნა: „1910 წლის გამოცემა მასში „გუ-გუა“. „კრებულშიც“ ასეა: 1898, № 10.“

გვ. 134. სტრიქონთან „ბულბულის გულსა მწველ ცეცხლს უღებდა“ მიწერილია: [„ბულბულის გულსა] ცეცხლს უკიდებდა.“

გვ. 135. ხაზგასმულია სტრიქონები და არშიაზე მიწერილია: „ოთხი სტრიქონი წითელი ხაზი რომ უსვია ცენზორმა არ გაუშვა და ის გამოტოვებულია „მნათობში“, 1870, № 1, გვ. 75“.

გვ. 134, 136, 137, 138 ტექსტი მთლიანად მოხაზულია და მიწერილია: „ს. გორგაძეს არა აქვს.“

გვ. 143. სტრიქონებში:

„ძილი დაუფრთხათ  
ტკბილი მაგარი  
ამ ხმაურობით პატარა კრავებს.“

გადანაცვლებულია სიტყვები:

„დაუფრთხათ ძილი,  
მაგარი ტკბილი  
პატარა კრავებს ამ ხმაურობით!“

იქვე მინაწერი: „ეს ჩვენ გავასწორეთ. ი. გრ.“.

„შესწორებულია. იხ. „დროება“, 1876, № 56.“

წიგნში ბევრია კორექტურული ხასიათის შესწორებები. როგორც ჩანს, წიგნი წარმოადგენს სარედაქციო ცალს. ეს პოემა ი. გრ. რედაქციით შევიდა ა. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის მე-3 ტომში. თბ., სახელგამი, 1940, გვ. 361–379.

4501–4503. [წერეთელი] ა. ალექსი. (ზღაპარი ყმაწვილებისათვის). ტფ., 1910.

ხელნაკეთ კანზე: „ი. გრიშაშვილი. ააწყეთ. ი. გრ. 1940. 2/II“.

თავფურცელზე: „აქედან აიწყოს. ი. გრ.“

ტექნიკური რედაქცია და კორექტურული შესწორებანი ი. გრ. ხელითაა.

4504–4507. [წერეთელი] ა. ანდრია პირველ-წოდებული. [ქუთაისი], 1892.

სარედაქციო ცალია.

ტექნიკური რედაქცია და კორექტურული შესწორებანი ი. გრ. ეკუთვნის.

კანზე: „აიწყოს აქედან, დედანი დამიბრუნეთ. ი. გრ.“ იქვე: „ეს წიგნი იშვიათია! ი. გრ.“

- ფორზაცის მე-3 გვ.: „ანდრია პირველწოდებული“. „მწყემსი“, 1884, № 2. 1892, № 8, 9
10. ცალკე წიგნად ამონაბეჭდი 1892 წ. ითარგმნა რუსულადაც. ი. გრ.“  
 მეორე ცალის კანზე: „ეს წიგნი მხოლოდ ქუთაისშია. ი. გრ.“  
 მესამე ცალის კანზე: „1942 წ. 5/XI. საჯარო ბიბლიოთეკას გასაცვლელად. – ი. გრ.“
4508. წერეთელი ა. არსენა. დრამა 5 მოქმ. ამონაჭერი: ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. 5, 1949.
4509. წერეთელი ა. ასი ლექსი. თბ., 1960.  
 წიგნში დევს გაზეთიდან ამოჭრილი ხუტა ბერულავას ლექსი „შენი სახე და სახელი შენი“.
4510. წერეთელი ა. აფორიზმები. თბ., 1948.
4511. წერეთელი ა. ახალი გმირი. დრამა 4 მოქმ. ამონაჭერი: ა. წერეთელი. თხზულებანი, ტ. 5, 1949.
4512. წერეთელი ა. ბაგრატ დიდი. [ისტ. პოემა. თბ.], 1875.
- 4513–4514. [წერეთელი] ა. ბაგრატ დიდი. (ისტ. პოემა) და სხვა ლექსები. თბ., 1911.  
კანზე: „რაფ. ერისთავის ლექსები „ცისკრიდან“ გადმოხეკილი. ი. გრ.“ ხაზგასმულია შემკრებთა გვარი და მიწერილია კითხვის ნიშანი.
5121. ხერხეულიძე ბ. ლექსები. 1902 წ. – 1914-მდე და 1885 წ. – 1901-მდე. ტფ., 1914.  
კანზე: „ავტორის მიერ ნასწორები ლექსი, გვ. 6. მარჯორი უორდროპი, გვ. 30“.  
გვ. 6. ლექსი „სატრფოს“ გასწორებულია ავტორის მიერ. გადახაზულია სათაური და მიწერილია: „მუშას“ გვერდით „სატრფო წარამარა ცენზურის შიშით“.  
ხაზგასმულია: „სამჭრელო“, სქოლიოში ჩამოტანილია: „სამჭრელოდ ნაგულისხმევია არალეგალური ჟურნალი „ბრძოლა“. – ბ. ხერხეულიძე“.  
გვ. 30. მოხაზულია ადგილი, რომელიც ეხება მარჯორი უორდროპს და მიწერილია: „იხ. ელ. ჩერქეზიშვილის მოგონება ჩემი შენიშვნით. ი. გრ.“
- 5122–5123. ხერხეულიძე ბ. ცხოვრების გუბე. დრამა 4 მოქმ. თბ., 1910.  
კანსა და თავფურცელზე ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“.
- 5124–5126. ხერხეულიძე ბ. პირველი სხივი. ლექსები. ტფ., 1911.  
კანზე ადრინდელი პატრონის ხელწერა: „პლატონ გიორგაძის ბიბლიოთეკიდან.“
5127. ხერხეულიძე მ. სოხუმელები. პოემა. თელავი, 1923.
- 5128–5129. ხეჩუაშვილი გ. [თხზულებანი]. ტ. 1–2. თბ., 1926.  
ტ. 1. [პოემები. პიესები. მოთხრობები].  
ტ. 2. ლექსები. [ივ. გომართელის შესავ. წერილით].  
კანზე: „ი. გრ. 1927. 30/III.“  
გვ. 6. ხაზგასმულია: „ძველს პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი“, მიწერილია: „ჩემი ლექსიდან – ი. გრ.“
5130. ხეჩუაშვილი გ. აღამალოვის მკვლევლები ანუ არშაკა და თამარა [პოემა]. ტფ., 1911.
5131. ხეჩუაშვილი გ. ბნელეთიდან. [მოთხრობები. იგავეები]. თბ., 1929.
5132. ხეჩუაშვილი გ. გიორგი სააკაძის შვილი პაატა. დრამატ. პოემა, მე-16 საუკ. ცხოვრებიდან. თბ., 1920.  
ავტორის სურათთან წარწერა: „ი. გრიშაშვილს ავტორისაგან“.
- 5133–5134. ხეჩუაშვილი გ. დარბეულნი. დრამა 4 მოქმ. გლეხების ცხოვრებიდან. [თბ.], 1911.  
თავფურცელზე წარწერა: „სულით და გულით შეძღვნილი მცირედიც შეიწირება“. ნიჭიერ მგოსანს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან.“
- 5135–5136. ხეჩუაშვილი გ. დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. ისტ. პოემა. თბ., 1902.  
მეორე ცალის კანზე: „1941. 11/XII – ი. გრიშაშვილის წიგნებიდან.“
5137. ხეჩუაშვილი გ. დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. ისტ. პოემა. ნაწ. მე-2. თფ., 1910.
- 5138–5140. ხეჩუაშვილი გ. საქართველოს გმირი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. ისტ. პოემა 5 ნაწილად, სრული შესწორ. გამოც. სურათებით. ტფ., 1913.  
კანზე: „ი. გრ. (მეორე გამოც.)“.

გვ. 252. მიწერილია: „სამშობლო ხალხო, თუ ოდესმე გმირობა ქვეყნად უნდა დაფასდეს და ხალხს მისცენ მისთვის გვირგვინი, შენ ეს დიდება გეკუთვნოდა ყველაზე მეტად: „ებროდი მტერსა ვითა მდევი, ვითა მდევი-გმირი!“

(თამარ ღაზნელი, გვ. 207).

ჩემი ხელია. მე ჩამიწერია. ი. გრ.“

მეორე ცალში ჩადებულია ქალაქის პატარა ნაჭერი, წარწერით: „ვაჟას ნაწერების სია ცალკე მაქვს კონვერტში.“

5141–5142. ხერუაშვილი გ. დურგლიანთ ქორწილი. მოთხრობა. თბ., 1903.

თავფურცელზე: „იბეჭდებოდა „ივერიაში“, 1902 წ. № 186, 189 და სხვ.“

კანზე: „ი. გრ. (I გამოცემა)“,

5143. ხერუაშვილი გ. დურგლიანთ ქორწილი. მოთხრობა გლეხების ცხოვრებიდან. ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. II გამოც. (მეორე გამოც.)“

5144–5145. ხერუაშვილი გ. დუქანში. (სურათი 1 მოქმ.) ამონაჭერი: „მოამბე“, 1904, № 11.

5146. ხერუაშვილი გ. ვარსკვლავი. [ნაწერების კრებული]. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ.“

5147. ხერუაშვილი გ. თავისუფლება. ლექსები. თბ., 1919.

5148. ხერუაშვილი გ. ისარი. ლექსები. ტფ., 1911.

კანზე: „ი. გრ. თარი, 45. კინტო. 35. პაატა, 57“. ბავშვური ხელით წერია: „იოსებ მამულაშვილი“.

5149. ხერუაშვილი გ. ლექსები და სხვადასხვა ბაიათები. თბ., 1902.

ყუაზე ბავშვური ხელით წერია: „იოსებ მამულაშვილი“.

5150–5151. ხერუაშვილი გ. ლექსები. [გამოც. მე-3]. თბ., 1906.

5152. [ხერუაშვილი გიგო]. ლექსები. ამონაჭერი გ. ხერუაშვილის „ვარსკვლავი“-დან, 1924.

კანზე: „გიგო ხერუაშვილი. ი. გრ.“

5153. ხერუაშვილი გ. ლექსები. [თბ.], 1939.

5154. ხერუაშვილი გ. მეკვლე. საახალწლო ამბავი. ტფ., 1904.

5155. ხერუაშვილი გ. მოჯამაგირე. მოთხრობა. ტფ., 1927.

5156. ხერუაშვილი გ. (თემისხვეელი). ნაპერწკლები. [ლექსები. ტფ., 1923.]

კანზე: „ი. გრ. 30/XII. 23 წ.“

5157. ხერუაშვილი გ. ორი ცხვირიც ტყუილი ყოფილა. მოთხრობა. თბ., 1919.

5158. ხერუაშვილი გ. ოცი ძმა. (ზღაპრული პოემა). თბ., 1919.

5159–5160. ხერუაშვილი გ. ოცი ძმა (ზღაპარი). თბ., 1928.

გვ. 1: „ნახატი დ. კავთელისა. ი. გრ.“

გვ. 12. სტრიქონს

„შენობა იყო მდიდრულად“...

მიწერილი აქვს: „სხვა ზომას“.

5161. ხერუაშვილი გ. ოცი ძმა. [ზღაპარი-პოემა]. ტფ., 1930.

კანზე წარწერა: „იოსებს. 28. V“.

5162. ხერუაშვილი გ. ოცი ძმა. ზღაპარი. ხალხური თქმულება. ტფ., 1931.



5163. ხეჩუაშვილი გ. ოცი ძმა. [ზღაპარი]. ტფ., 1936.  
კანზე: „ვინ არის დ. კავთელი? [მხატვარი]. ი. გრ. 1936“.
5164. ხეჩუაშვილი გ. ოცი ძმა. [ზღაპარი].  
კანზე: „შეცდომა, 45.“  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1944 10/IV. მხატვრობა შ. ბერიტაშვილისა, ი. გრ.“  
გვ. 40. არშიაზე: „კობტა ხომ ალალი კაცია და რათ მოატყუა?“
5165. ხეჩუაშვილი გ. ოცი ძმა. [ზღაპარი]. თბ., 1954.
5166. ხეჩუაშვილი გ. პირშავი. მოთხრობა. თბ., 1923.
5167. ხეჩუაშვილი გ. რუიზანი. (ლეგენდარული ზღაპარი). თბ., 1919.
- 5168–5171. ხეჩუაშვილი გ. რჩეული ლექსები. თბ., 1958.  
კანზე: „ლექსი ჩემდამი. გვ. 54. № 149.“ მეორე ცალის კანზე: „ლექსი ჩემზე გვ. 54. ი. გრ.“
5172. ხეჩუაშვილი გ. სამჯერ ოცდაორში. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამო თბილისში მომხდარი კორესპონდენტიული ამბები. თბ., 1908.  
კანზე: „აკრძალა ცენზორმა, ი. გრ.“
5173. ხეჩუაშვილი გ. სამჯერ ოცდაორში. 1905 წლის ამბები თბილისში. ამონაჭერი: გ. ხეჩუაშვილი. „ვარსკვლავი“, 1924.
5174. [ხეჩუაშვილი გ.] სიმდიდრე და სიღარიბე. (ზღაპარი). – ამონაჭერი: გ. ხეჩუაშვილი „ვარსკვლავი“, 1924.  
კანზე: გ. ხეჩუაშვილისა. „ნაკადული“, 1917.“
5175. ხეჩუაშვილი გ. სიმონა ბუჯიაშვილის თავ-გადასავალი ანუ (სურათები წარსულის ცხოვრებისა). მოთხრობა. თბ., 1903.  
თავფურცელზე: „იბეჭდებოდა ფელეტონებად „ივერიაში“, 1902 წ., № 139, 144 და სხვ. ი. გრ.“
5176. ხეჩუაშვილი გ. სტამბაში. პიესა 2 მოქმ. თბ., 1923.
5177. ხეჩუაშვილი გ. უკუღმართობა. (საადღეომო). თბ., 1925.  
კანზე: „ი. გრ. 1920 წ.“
- 5178–5179. ხეჩუაშვილი გ. უმანკონი. დრამა 11 სურ. ტფ., 1913.
5180. ხეჩუაშვილი გ. ქართველ-სომეხთა ომი. პოემა. თბ., 1919.
5181. ხეჩუაშვილი გ. ქარხნის გუგუნის, სადეკლამაციო ლექსები. თბ., 1925.  
კანზე: „ი. გრ. 1925. 2/IV“
5182. ხეჩუაშვილი გ. ჩალაანთ მიხაკა. მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან. ტფ., 1912.
5183. ხეჩუაშვილი გ. ციციანთელა. სხვადასხვა ლექსები. თბ., 1919.
- 5184–5185. ხეჩუაშვილი გ. ხანძარი. [ლექსები]. თბ., 1948.
- 5186–5187. ხიდისთაველი ს. ლექსები. ნაწ. 2, წ. 3. ტფ., 1928.  
თავფურცელზე წარწერა ფანქრით: „ძღვ. ჩემს გულითად მეგობარ ი. ელიაშვილს. ავტორი. დედაქალაქი. 1928 წ.“
5188. ხიდისთაველი ს. ლექსები. [თბ., 1936].
5189. ხიდისთაველი ს. მუშის სიმღერები. თბ., 1958.
5190. ხიდისთაველი ს. პროლეტარული პოეზია. [ლექსები]. ტ. 1, თბ., 1924.  
თავფურცელზე წარწერა: „ძღვ. სილამაზის და სიმშვენიერის მგოსანს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 13/XI 1924“.

- გვ. 7. ტექსტის ბოლოს გახსნილია ინიციალი: „ი.-ი! – ი. იმედაშვილი“.
5191. ხიდისთაველი ს. წამების ჯვარი. (მოთხრობა სინამდვილიდან). ტფ., 1924.  
კანზე: „ი. გრ. 1924 წ. ბორჯომი, 24. VIII“.
- 5192–5193. ხიმშელი ს. ვარდის კოკობი. რამდენიმე ლექსი და ორი ეტიუდი. ტფ., 1914.  
თავფურცელზე წარწერა: „სახსოვრად ახალგ. მგოსანს ი. გრიშაშვილს სევერიან ხიმშელისაგან.“
- 5194–5195. ხიმშელი ს. პირველი ვარდი. რამდენიმე ლექსი. გამოც. 1-ლი. [თბ.], 1913.  
კანზე დაბეჭდილ ლექსში ხაზგასმულია: „იჭიკჭიკე“, მიწერილია: „გაიხარე“.  
მეორე ცალის კანზე ავტორის ფსევდონიმი გახსნილია: „[ჭიჭინაძე]“.
- 5196–5197. ხინველი ი. ფეშქეშ. სატირა-ჰუმორი. წ. მე-2. ტფ., 1934.  
თავფურცელზე წარწერა: „უმშვენიერესი პოეზიის ინჟენერს, ხუროთმოძღვარს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 20/XII 35 წ.“
5198. ხინველი ი. ჩაროხი. სატირა-ჰუმორი. ტფ., 1934.  
თავფურცელზე წარწერა: „უმშვენიერესი პოეზიის ინჟენერს, ხუროთმოძღვარს – ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 20/XII-35 წ.“
5199. ხოლუაშვილი გ. დაკარგული მოთხრობა. ტფ., 1928.
- 5200–5201. ხოლუაშვილი გ. დაუნდობელის გასამართლება. პიესა 3 მოქ. 5 სურ. ნამდვილი ამბავი სოფლის ცხოვრებიდან. ტფ., 1927.
- 5202–5203. ხოლუაშვილი გ. პიესები: ზედსიძე გლეხის ოჯახში; გუთნის დედა. ტფ., 1926.  
კანზე: „ი. გრ. 1927. 30/III. ჩემი ლექსი. გვ. 4.“
- თავფურცელზე წარწერა: „პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს ავტორი, 25/XI.26“.
- 5204–5205. ხომერეკი ი. უნაყოფო ნუგეში. პიესა 1 მოქმ. თბ., 1919.
5206. ხონელი ლ. მცირეწლოვანი მწიგნობარი. [ნაწერების] მეორე წიგნი. ტფ., 1902.
- 5207–5208. ხოსიტაშვილი ბ. ლექსები. [ალი არსენიშვილის წინასიტყვ.]. ტფ., 1935.
- 5209–5210. ხოსიტაშვილი ბ. ლექსები. თბ., 1956.
5211. ხომტარია ი. ასე ვფიქრობდი. [ლექსები]. თბ., 1963.  
თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ახალ ლექსების კრებულს ვუძღვნი სახალხო პოეტს, კეთილ ადამიანს, იოსებ გრიშაშვილს!.. ილია ხომტარიასაგან. 20. III. 1963 წ.“
5212. ხომტარია ი. ისკანდერ გურჯი. პოემა. ქუთაისი, 1934.  
კანზე: „პოემა საშა გეგეჭკორზე. ი. გრ.“
- კანის მე-2 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა ამ წიგნის გამოსვლის შესახებ.
5213. ხომტარია ი. ლექსები. წ. 2. ქუთაისი, 1933.
5214. ხომტარია ი. ლექსები. თბ., 1939.
- შმუცტიტულზე წარწერა: „სახსოვრად საყვარელ პოეტს და კარგ ადამიანს იოსებს. ავტორისაგან. 9. IX. 39 წ.“
5215. ხომტარია ი. ლექსები. თბ., 1945.  
თავფურცელზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს სახსოვრად ჩემი მესამე წიგნი. ავტორისაგან. 6/XI 45 წ.“
5216. ხომტარია ი. ლექსები და პოემა. [თბ.], 1937.
5217. ხომტარია ი. ლექსები. პოემები. თბ., 1940.

ფორზაცზე წარწერა: „სახსოვრად ჩემს საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. 3. 1. 41 წ. ქ. თბილისი.“

5218–5219. ხომტარია ი. ლექსები. პოემა. თბ., 1955.

ფორზაცზე წარწერა: „სახსოვრად ხალხის საყვარელ პოეტს. იოსებ გრიშაშვილს. ავტორისგან. 3/VIII. 1955 წ.“

5220. ხომტარია ი. რასაც ვეტრფოდი. [ლექსები]. თბ., 1962.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს. უშესანიშნავეს ადამიანს იოსებ გრიშაშვილს, სახსოვრად ჩემი ახალი ლექსების წიგნი. ავტორისგან. 1962 წ. 15 ოქტომბერი“.

5221. ხომტარია ი. რევოლუციის პრელიუდია. [ლექსების 1-ლი წიგნი]. ქუთაისი, 1926.

5222. ხომტარია ი. სიმღერები სამშობლოზე. თბ., 1952.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს!... ავტორისგან. 18/IV-1952 წ. ქ. თბილისი“.

5223. ხომტარია ი. სიცოცხლის სიხარული. [ლექსები. თბ.], 1953.

ფორზაცზე წარწერა: „ხალხის საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს, უღრმესი პატივისცემით. ავტორისგან. 25. XI. 1953 წ. ქ. თბილისი“.

5224. [ხუნდაძე რ.]. საჯავახოელი რ. ლექსები. წიგნაკი 1. ქუთაისი, 1905.

თავფურცელზე წარწერა: „დიდათ პატივცემულს რაჟდენ კანდელაკს ავტორისაგან. 1905 წ. 4 ივნისი.“

კანზე: „ი. გრ.“ ავტორის ფსევდონიმის ქვეშ მიწერილია: „[ხუნდაძე]“.

5225. [ხუნდაძე რ.] ღვთისმშობლის მიძინების სვინაქსარი. გალექსილი რ. საჯაოხელისა. ქუთაისი, 1894.

5226–5228. [ხუნდაძე] ს. თხზულებანი. ნაწ. 1. ლექსები; ქუთაისი, 1914.

თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას მეგობარს, საყვარელ მგოსანს ი. გრიშაშვილს – ავტორისაგან. 19 $\frac{25}{II}$ 15. ქუთაისი.“

კანზე: „ამ ლექსს კარგად ი. ზარდ. კითხ. 29. ი. გრ. ამ წიგნში დარჩენილია ცენზორის მიერ გამოტოვებული ლექსები. იხ. ბოლოში შენიშვნა. გვ. 289. ი. გრ.“

გვ. 259. ლექსს „ქრიან ქარნი“, მიწერილი აქვს: „შევჩენკოსი არ არის. (იხ. ჩემი წერილი)“. ქვემოთ: „თარგმნა 1892 წელს“.

გვ. 260. ლექსთან „სახემტკბარო მეგობარო“... მიწერილია: „ნ. ჩხიკვაძე“.

გვ. 289. ხაზგასმულია „21. მიჯნურის კვნესა“... მიწერილია: „(მთაო. გადმიშვი)“. იქვე ხაზგასმულია: „დ. ყ-ნის გარდაცვალების გამო“, მიწერილია: „ამას ი. ზარდალიშ. კითხ. ამ წიგნში არის“.

მეორე ცალის კანზე: „ცენზორის მიერ გამოშვიგნული წიგნი. ი. გრ.“

5229. [ხუნდაძე ს.] თხზულებანი, წ. 2. პოემები და მოთხრობები. ქუთაისი, 1926.

თავფურცელზე წარწერა: „სოსოს, ავტორის „ორი წლის კუკური“-საგან. 19 $\frac{10}{I}$ 27“.

კანზე: „ი. გრ. 1927. 8/III.“

5230. [ხუნდაძე] ს. ლექსები. 1878–1891. ქუთაისი, 1892.

ყუაზე ი. გრ. ადრინდელი ხელწერა: „იოსებ მამულაშვილი“.

5231–5232. [ხუნდაძე] ს. მეზობლები და თოთოლას სიზმარი. [მოთხრობები]. ბათუმი, 1899.

კანზე: „როგორ მოხდა, რომ ამ წიგნს რუსულადაც აწერია! სილოვანს ხომ აჭრელებული ლაპარაკი არ უყვარდა?“ ხაზგასმულია: „Батымь“ და მიწერილია: „ი. გრ.“

5233. [ხუნდაძე ს.]. „სიმები“ სილოვანის ლექსები. ქუთაისი, 1894.

5234–5238. [ხუნდაძე ს.]. ჩემი აზრი და ფიქრები. წ. 1–3. ქუთაისი, 1901.

თავფურცელზე: „ვიყიდე ბაზარში. 1929. 12/12 ი. გრ.“ იქვე ავტორის ხელით: „ივერიის“ რედაქციას“.

კანზე: „აქ ილიას გარჩევაა. I, ი. გრ.“

გვ. 45. „ილია ჭავჭავაძის ლექსების“ გარჩევაში ხაზგასმულია: „ორი ხანადან“, მიწერილია: „ხანასაგან. ეს შენიშვნა ჩემი არ არის. ი. გრ.“

გვ. 51. რიუკერტის ილიასეული თარგმნის შესახებ მიწერილია: „შეტანილია ილიას ტომებში? ი. გრ.“

წ. 2. ცხოვრების სურათები. 1902.

წ. 3. აღსარება. 1909.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს საყვარელ მგოსანს სოსოს. გ. მსხილაძე. 2/II 56 წელი“.

გვ. 24. ხაზგასმულია „ორანი“ და მიწერილია: „ა. ახნაზ.“ ხაზგასმულია: „გარდანიქმანი“ და მიწერილია: „ს. შანშ.“

მეორე ცალის გვ. 3 სქოლიოში გადაშლილია „ივლისში“ და მიწერილია: „აგვისტოში. (დაწერის თარიღი).“

გვ. 31. ხაზგასმულია: „მთაი“. მიწერილია: „მთა კი“. სქოლიოში: „\*) ილიას უსაყვედურებდა ერთხელ ასე“.

5239–5243. [ხუნდაძე] ს. ხალხის ძმობილი. [პოემა]. ქუთაისი, 1920.

გვ. 2. „არ აქვს“ გადასწორებულია „არა აქვს“.

გვ. 8. „ვერ თავის“ – გადასწორებულია „თავიანთ“.

5244–5245. ხუსკივაძე თ. თხზულებანი. 1881–1891 წ. ახალ-სენაკი. 1892.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 1. რაჟდ. აღისუბნელი. 2. იაკობ გოგებაშვილი“.

გვ. 115. ბოლო აბზაცში კრიპტონიმი „ალ. ჭ-ძის“ გახსნილია: „ალ. ჭიჭინაძის“.

5246. ხუსკივაძე თ. ავადმყოფი. დრამატ. ეტიუდი 1 მოქმ. ქუთაისი, 1922.

5247–5248. ხუსკივაძე თ. ბატონიშვილი ეკატერინე. (ისტ. მოთხრობა). ბათომი, 1895.

5249–5250. ხუსკივაძე თ. დრო გამოიცვალა. პატარა მოთხრობები. ქუთაისი, 1903.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს. გ. მსხილაძისაგან.“

5251–5254. ხუსკივაძე თ. ეტიუდები. ყვირილა, 1901.

მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „შ. თაბუკაშვილი“.

5255. ხუსკივაძე თ. ლევან ბატონიშვილი. (ისტ. მოთხრობა). ქუთაისი, 1903.

5256–5257. ხუსკივაძე თ. ყაჩაღი. მოთხრობა. ბათომი, 1896.

კანზე: „ეს გამოცემა იშვიათობაა, – ი. გრ.“

თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „ივ. ყაუხჩიშვილი“. იქვე: „ი. გრ. ვიყიდე 1941. 2/III“. 1. დაიბ. „კვალი“, 1894 წ., № 19 და სხვ. ფსევდ. „თარხანი“. 2. გაარჩია თ. კიკვაძემ („განათლება“, 1914 წ., № VIII. გვ. 604). 3. იბ. „მოსისხლე ბელადიც“. ი. გრ.“

5258. ხუხაშვილი გ. ლურჯი ფანჯრები. პოემა. თბ., 1960.

5259. ხუბუნაიშვილი მ. მაია წყნეთელი. (მეფე ერეკლეს მეტოქე). ისტ. რომანი. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1924“.

5260. ხუბუნაიშვილი მ. უქმური. [რომანი]. ტფ., 1927.

კანზე უწინდელი მფლობელის ხელწერა: „ნინო კლიმაიშვილისა“. იქვე: „ვიყიდე ბაზარში. ი. გრ. 1929. 8/I“.

5261. ხუბუნაიშვილი მ. წითელი დირექტორი. [მოთხრობა]. თფ., 1927.

5262–5264. ჯაბაური გ. ვინ რას აკეთებს? თანამედროვე ლექსები და კუპლეტები. თბ., 1908.

თავფურცელზე წარწერა: „ვუძღვნი გრიშაშვილს ავტორი. 1908 წ.“

კანზე: „ი. გრ. 1908“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „დუბლ. ი. გრ. თბილისში და მთელ საქართველოში ეს წიგნი არ არის“.

მესამე ცალის კანსა და თავფურცელზე უწინდელი მფლობელის ბეჭედი: „Иван Тиомфеевич Полумордвинов.“

5265. ჯაბუმანური გ. არაგვიანი. [ლექსები]. თბ., 1940.

5266. ჯაბუმანური გ. ლექსები. თბ., 1949.

კანზე: „12 ნოემბ. 1949. ი. გრ. კ. ჩარკვიანი, 40“.

გვ. 23. ლექსში „ძახილი“ მეორე სტროფს მიწერილი აქვს: „ჩემია“.

გვ. 59. ლექსში „მტირალი ქალის დამშვიდებისათვის“ ხაზგასმულია: „ქალო, ქარივით ქანაობ“ და მიწერილია: „რა ლამაზი იქნება. ქალი ქარივით მოქანავე. განა მოქანავე ქალი დაღონდება?“

გვ. 63. ლექსში „ვედრება“ ხაზგასმულია მე-2 და მე-4 სტრიქონი და მიწერილია: „დისონანსი“.

5267. ჯაბუმანური გ. ლირიკა. თბ., 1956.

5268. ჯაბუმანური გ. ნათელი მთაში [პოემა]. თბ., 1950.

5269–5270. ჯავახაძე ვ. გაზაფხული! გაზაფხული! [ლექსები]. თბ., 1960.

კანის მე-2 გვ. წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს – ძვირფას პოეტს. ძვირფას ადამიანს. – უღრმესი პატივისცემით. გულწრფელი სურვილებით, სიყვარულით. ვ. ჯავახაძე. 1961. V. 24. თბილისი“.

5271. ჯავახაძე ვ. საყვარელი ქარები. [ლექსები]. თბ., 1959.

კანის მე-2 გვ. წარწერა: „საყვარელ მწერალსა და ადამიანს – სოსო გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით. ვ. ჯავახაძე. 1960. 10./II.“

5272–5274. ჯავახიშვილი დ. სამი მსხვერპლი. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. თბ., 1896.

მეორე ცალის ფორზაცზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „კოლა მერაბიშვილი.“ იქვე: „ი. გრ. – იქნებ ნატალია ჯავახიშვილის ძმა იყო? ავტორი დავით (დათიკო) ჯავახიშვილი, გორელი. ი. გრ. – ფოსტის მოხელე იყო, სცენაზედაც თამაშობდაო!“

წიგნში ჩადებულია რვეულის ფურცელი წარწერით: „არ არის ბ-ში“.

5275–5278. ჯავახიშვილი მ. თხზულებანი. ტ. 1–4. [თბ.], 1933–1934.

ტ. 1. მოთხრობები. 1933.

ტ. 2. კვაჭი კვაჭანტირაძე. 1934.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1934. 29/V.“

ტ. 3. ჯაყოს ხიზნები და სხვ. 1934.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1934. 10/III“

ტ. 4. არსენა მარაბდელი. 1934.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1934. 10/IV“.

5279–5281. ჯავახიშვილი მ. რჩეული თხზულებანი ექვს ტომად. თბ., 1958–1960.

ტ. 1. მოთხრობები. 1958.

ტ. 2. მოთხრობები. 1959.

ტ. 3. რომანები. 1960.

5282. ჯავახიშვილი მ. არსენა მარაბდელი. რომანი. [თბ.], 1932.

ფორზაცის მე-2 გვ. წარწერა: „დიდ პოეტს. მკვლევარს, ქართული სიტყვის ჭირისუფალს – სოსო გრიშაშვილს – მიხეილ ჯავახიშვილი. 7/II. 1933.“

ყდაზე: „ა. ჭ-ზე(?). (იხ. ბოლო ფურც.)“

ფორზაცის 1-ლ გვ.: „ა. ჭ-ძეს დაავალეს ნიკო ფალავანდიშვილთან წასვლა. გვ. 557. გასცა?“ იქვე ჩაკრულია რვეულის ფურცელი წარწერით: „მ. ჯავახიშვილისათვის „ოთარ ამილახვარი ხანჯლის ერთის დაკვრით თავს აგდებინებდა ძროხას ან ხარს“ (რაც უნდა დიდი ყოფილიყო). (ნ. ლომოური: „წინაპართა აჩრდილი“, მოთხრობები 1926 წ., გვ. 423)“.

ფორზაცის მე-2 გვ.: „(იხ. ჩემი შენიშვნები ბოლოში). შეთქმულება 1832 წ. გვ. 548-იდან. ერთადერთი, გვ. 288-დან. სოფიო თუ სალომე. ა. ჭ-ძე ყომარბაზი 418. ა. ჭ-ძე და „ფარული საზოგად., 492, 498, 545, 555, 583. ამ წიგნზე წერილები: 1. შ. რადიანი. „არსენა მარაბდელი“ („კომუნისტი“, 1933 წ., № 86). 2. ს. ხუნდაძე. („ლიტ. გაზეთი“, 1933 წ. № 10). 3. ბ. ბუაჩიძე. („Лит. газета“, 1933 წ., № 20) 4. მ. ჯავახიშვილი „როგორ ვწერდი“ („დროშა“, 1933 წ. № 9). 5. ღია ჩიანელი „არსენა მარაბდელი“. („საბჭოთა მწერალი“, – ქუთ., 1933, № 1–2). 6. ბ. ბუაჩიძის წიგნი „კვაჭიდან – არსენამდე“, 1933 წ.“

შმუცტიტულის პირველ გვერდზე: „ეს არსენა გაკეთებულია ზ. ჭ-ძის და მ. გაჩეჩილაძის ამბებიდან. (პირველი ნაწილი) – იქაც შეცდომაა და აქაც. ი. გრ.“

შმუცტიტულის მე-2 გვერდზე: „ლევ. მეტრეველი მწერს ქობულეთიდან: „ბიჭო, ლიტერატურის კურიოზებისთვის გამოგადგება: აქ გავიგონე ახალი წყევლა: „ოი, შენამც წაგიკითხია არსენა მარაბდელიო“. (1933 წ., 12/IV) ი. გრ.“ აქვე მიკრულია ამონაჭერი. „ლიტ. გაზეთი“, 1933 წ., V 10 – სათაურით: „დისპუტი არსენა მარაბდელზე.“

წიგნში ჩადებულია დიდი ზომის თეთრი კონვერტი, რომელშიც არის: ღია წერილი. ამონაჭრები გაზეთებიდან. გაზეთის ცალები და თეთრი ქაღალდის ნაჭერი შემდეგი წარწერებით: „არსენა-დუგლას ფერბენკსს ჰგავს. (იხ. კინო-სურათი „ზეროს შვილი“ (დონ-კი). კარგი იქნება კინოში, რომ გადაიღებენ ჩვენს არსენას – ფერბენკსს მიჰბადონ. ი. გრ.“

ღია წერილი: „ტფილისი. გრიშაშვილს სოსოს. გულდაგულ ხარფუხში. ალგეთის ქ. № 1. სალამი და სიკეთე სოსოს. უცნაური სიზარმაცე დამჩემდა ამაოების გრძნობასთან ძმად-გაფიცული. ამის გამო აქამდის ვერ მომიხერხებია გულწრფელი სალამი გავეუგზავნო ისეთ, თუმცა დაშორებულ, მაგრამ მაინც უმახლობელს მეგობარს – როგორც შენ. ბიჭო! ლიტერატურის კურიოზებისთვის გამოგადგება: აქ გავიგონე ახალი წყევლა: „ოი, შენამც წაგიკითხია არსენა მარაბდელიო!“ ჩამოვალ თვის მიწურულში. იყავი შახიანათ. ლევან. მართლა: რამდენი ხანია ჩემ დედოფალს გადავეცი შენთვის

ყარაჩოღული სიტყვების სია. მიიღე თუ არა? ლევან“. წერილის მე-2 გვ.: „ლევ. მეტრეველისგან“.

ამონაჭერი „ლიტ. გაზეთი“-ს 1933, მე-7 ნომრიდან სათაურით: „ამხ. მ. ჯავახიშვილის სიტყვა.“ ამონაჭერი „ლიტ. საქართველო“, 1937. № 19. 24 აგვისტო. ბეს. ჟღენტის წერილით „მოღალატური სიტყვა და საქმე“.

კონვერტში დევს „ცნობის ფურცელი, სურათებიანი დამატების“ 1903 წ. 9 ნოემბრის გაზეთი, სადაც მოთავსებულია მ. ჯავახიშვილის (მ. ადამაშვილი) ლექსი „ოცნების ტალღები“. ჟურ. „საქართველოს მოამბის“ 1910 წ. 1/I, მე-10 ნომერში მ. ჯავახიშვილის (მ. ად-ლი) წერილით „მოპასანი და მისი ცხოვრება“. ჟურნალის პირველ გვერდზე მოხაზულია ადგილი, გვერდზე მიწერილია: „გარნა“ მ. ჯავახიშვილის „გარდა“ ჰგონია. გარნა – მაგრამ. ი. გრ. იხ. მეორე ფურცელზედაც, გვ. 6.“ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს, 1936 წ. 4/X. მე-229 ნომერი – ზევით არშიაზე: „დესეტნიკი?“ (ქართულ ენაზედაც) გვ. 2.“

წარწერები წიგნის ბოლოს ფორზაცზე:

1. 1. გვ. 603. სალომე ჭ-ძე. 2. 20. ფილალდელოფოს კიკნამე აუგადაა ნახსენები. გვ. 86–88. 21. დოსტი, 71, 91, 21. უზურში, 93. 22. ლორის მელიქოვი. ამ დროს ლორის მელიქოვი, მიხეილი პატარა იყო, გვ. 93 და შეცდ. გასწ., 599. 23. ჯან და დაიწვას შენი დამწველი, გვ. 78, 95. 24. ნელცოფა (ლენცოფა), გვ. 101. 25. ხორხი (?) მტვრად ადის ჰაერში. გვ. 559. „ეს ლექსი ა. ჭ-ძესი კი არა ბესიკისაა. გვ. 545. კრივი და ზავილისკი.

2. 1. საარს ზურნაზე და დუდუკზე უკრავენო, გვ. 601. ზურნა მთელი დასტაა, საარს დუდუკზე უკრავენ მხოლოდ. 2. სეიდაბადი – ორთაქალააო. (გვ. 600). 3. გვ. 1. წერია „პირყვითელმა“, სჯობდა „ყვიციანმა“. 4. „პირველ თავში“ გრიგოლ ორბელიანი პატარა იქნებოდა. 5. სიათა თოფია? (გვ. 15). 6. „შეალაჯა“. გვ. 54, 58, 62, 63, 66, 67, 70, 73, 84, 85, 116, 118, 120, 134, 135, 136, 143, 152, 181, 191, 200, 225, 251, 283, 331, 333. პაწაწა პანტა? გვ. 44. 7. ფეშტამალი – სალფეტკი არ არის, გვ. 47. არდაგი სჯობს. ფეშტამალი – წინსაფარი, იხ. ს. მაკალათიას „მთიულეთი“, გვ. 110. 8. ყავლი თუ ყავნი, გვ. 52. 9. ფარსაგი – არ არის მანძილი. 28. 10. განჯინა თუ წალო? გვ. 48. 11. სითიკანი უნდა და არა სითაკანი. სითიკანი ადგილი, სადაც მამამთავარი ჯდება და არ საჯდომი, გვ. 43. გვ. 157 – აქ „სითაკანი“ სწორედაა. 12. ულვაში აიგრიხა, გვ. 3, 4, 22, 48. 13. „სიათა თოფი? (გვ. 15). 14. დაუწია ხმასაც, თავსაც, გვ. 35, 56. 15. ზესტაფონელი დამბაშიძე?!? (გვ. 71 და 524). 16. მანანა და კოცნა? გვ. 51. 17. ლაცაბიძე თუ ლაბაძე. გვ. 43. ლაცაბიძე. გვ. 315. შროშელი „ლაბაძე“ უნდა და არა შორაპანელი „ლაცაბიძე“ (გვ. 431). 18. უნდილად, 63. 77. 19. მუხამბაზების ლანძღვა, გვ. 771.

3. 20. ალთაფა, გვ. 109 (ხელსაბანი – დ. ჩ-ს). 21. აღსაჰკალი, გვ. 111. 22. მართვი, გვ. 115, 174 (არწივის ბლარტი). 23. დონდლო – გვ. 117. 24. ჩიტირეკია – 135. 25. თალარი, 141, 211. 26. მერემა ჯობა, 141. 27. ვაინაჩრობით, 142. 28. ხუმტურები, 151. 29. ნულა თუ ნულლი, გვ. 153. 30. პუშკინის ლექსი ერმოლოვზე. გვ. 158. 31. ქოისტანი. 32. ხუდავერდოვის ფონი(?) გვ. 159. (რა შუაშია ახალი ხუდავერდოვი?). იხ. გვ. 210. – აქ თარიღია. 33. დოსტი, გვ. 71, 91, 161, 168, 71, 391, 559. 34. არჯალი. 166, 239. 35. მეთანაღრება, 168.

4. ძალო, გვ. 169. ბოვრი, (?) 173. ბოლოშავა – ბოლოცეცხლა, 174. ჩობანყაურმა, გვ. 175. (მეცხვარეთა) კერძი რაგუ, ლუტი, 175. ყარამანიანი, გვ. 177. ორხუა, გვ. 178. (-

საიათნოვასაც აქვს). მიამიტი. 180, 238, 439. ბოღლამა, 181. ბოღლიწო, 181. აკვართული, 181 – ჭიდაობის ტერმინი – „კვართი“-დან. აკვალთული „კალთიდან“. ყაფარი, გვ. 183.

5. ართურმა, სალაობა, დამიკარი (?) ჰაგანგალა. ჩილიკა-ჯოხი, გვ. 184. დალიხჩი. 200. ლოპიანა, გვ. 211(?) 233. ბელგა, 227. გავემებული, 253. ქარაქუცა ხალხი, 255. მულამი, გვ. 260. გვ. 288 – აქტი ზონიერი და ქრისტეს წევრობა. ცულის და ხის ზღაპარი, გვ. 296. უზურში, გვ. 93, 310, 317, 438, 534.

6. ალიშველიში, შოთას აქვს ჩუბაჩობა, ალებ-მიცემობა, ვაჭრობა – გვ. 322, 444. ვეჯი – გვ. 326. ზანზალაკი, 337. ჩათლახი – 348 (იმერულად განმარტა). ბედასლი, 351. ნულლი – Нуга, რაჰათ-ლუხუმი. გვ. 351. ეთანადრება, 352. ნიშატი(?) გვ. 356, 578. ღაზო – 366, ექვია. მე მგონია შოთას ღაზო – შური აქვს. ოხჩუმი, გვ. 373. ბედენა, 374. კაკაჩი – 376, აქ მთვარე. ღამე მთვარით (საბა). ჯალაბ-ჯულაბი, 388. ბეჩარა, 392. ცინგლიანი – Сопляк, 404. ასასი. 414. ნიშატი, (შეცდომით აქვს ნახმარი) 431. წერილი ნაპოლეონთან, 436. თული, 440. ბირდაბირი, 448. იათაგანი, 463. ანაპა, გვ. 492. მატური, 512. უჟაპუნებდა, გავემებული, 512. ჯუჯლუნი, 529. ჭიტლაცი. 530, 522. ბოლთის ცემა, 530. გატყეპილი, 532. იქლეტავს, 538.

ფორზაცის მე-4 გვერდზე: „შუალაჯა“, 357, 389, 396, 397, 407, 429, 445, 470, 529. ყველაფერში პირველობა არსენას? 1. ჭიდაობა, 2. დოღი, 3. ბატონყმობის მოსპობის ინიციატორი, 4. მელიის ცოცხლად დაჭერა. 5. (ეს 100 გვერდში) ამდენი ეშვი რა ღვთის წყრომაა. კრაველი, 34. სითიკანი, 43. ნუზღი, 67, ხაფი, (ხმა – 81(შოთა) – ბრძოლის ხმა. მეკობრე – ზღვის ყაჩაღია. თევზ კობრის დამჭერი და არა ჩვეულებრ. სულერთად „ხილი“, 304. სუმბათაშვილების ამოწყვეტა და ცრუ ყაჩაღის დაჭერა არსენას მიერ. იხ. „ივერიაში“ (წიგნ.) 1884 წ., № 5–6, გვ. 148. ამ რომანში ყველანი ალაჯებენ. ი. გრ. რამდენჯერ არის სიტყვა: „გაალაჯა“. ლაცაბიძე თუ ლაბაძე, გვ. 43.“

ყდის მე-4 გვ. ქალაღდის ნაჭერი წარწერებით: „მიალაჯებდასთვის (მ. ჯავახიშვი.) დიდ ნახტომს აკეთებდაო – ეს რუსულიდანაა – Делал большие прыжки ქართულად იტყვიან „მიალაჯებდა და სხვ. (იხ. მოსე ჯანაშვილის წერილი ერთი პედაგოგის წიგნზე, „ივერია“, 1893, № 169)“.

გვ. 1. ხაზგასმულია სიტყვა: „ფორს“, წერია: „ფორი – მოედანი“.

გვ. 5. ხაზგასმულია: „კურკა მელექსე გრიგოლი“, წერია: „გრ. ორბ.“

გვ. 7. ხაზგასმულია სიტყვა: „შარა“, არშიაზე: „შარა თუ ჩარა.“

გვ. 8. ხაზგასმულია და მოხაზულია: „ოდნავ კოჭლობდა ცალ ფეხზე“, მიწერილია: „ორფეხზე შეიძლება კოჭლობა?“

გვ. 16. ხაზგასმულია: „კატო“, მიწერილია: „ზაალ ბარათაშვილის ქალი კატო ალ. ორბ. ჰყავდა? 1827“.

გვ. 21. ხაზგასმულია და მოხაზული ადგილი, მიწერილია: „ნ. ბარათაშვილის მამა სურთუკს იცვამდა?“

გვ. 28. ხაზგასმულია: „ფარსაგ“, გვერდზე კითხვის ნიშანი, არშიაზე წერია: „ფარსაგი, საშუალო კეთილისა და ავისა“ (საბა, გვ. 270). ფარსაგი – ეჯი ერთ დღის სავალი გზა. (იხ. „შაჰნამე“, გვ. 834)“.

გვ. 29. ჩაკრულია და ჩადებულია ქალაღდის პატარა ნაჭრები წარწერებით:

„1. საფარსაგო პირფერობა, უკან ძრახვა. არა თქმულა საფარსაგო, სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა, ზე სამართლით ავიბარგო. 2. თუ ფარსაგია ვინმე, რაღას მოუცდი ბარემ



ჯვარს გადავწერ. (ს. მგალ. I. 182). 3. აგერ თორმეტი წელიწადია ერთი ფარსაგი მოთამაშე ქალი აღარ გამოსჩენია და არც შედის ჩვენს სცენაზე, თუმცა არ ვიცით – კი რა მიზეზით. („ივერია“, 1889 წ., № 266, გვ. 1). ფარსაგი აქ კაბის მნიშ. 4. ფარსაგსა შინა ადგილს მდებარეობდა. „Стоял до сего изрядном месте“. („კრებ.“, 1871 წ. № 3, გვ. 18 და რუსული, გოგოლის წიგნი, გვ. 385). 5. „ფარსაგი“. აქ მოყვანილი ლექსის სტროფის ქვეშ: („ივერ.“, 1890, № 168)“.

გვ. 33. მოხაზულია, ხაზგასმულია ადგილები. არშიაზე კითხვის ნიშანი და მიწერილია: „იავარჰყვეს“.

გვ. 34. ხაზგასმულია „ახალდაბისკენ“, წერია: „როდის დაერქვა? ამ მხარეს ეს სახელწოდება?“

გვ. 38. ხაზგასმულია ადგილი, წერია: „გასათხოვარი ქალი ასე არ იტყვის „თავისას გაიტანდა“.

გვ. 39. მოხაზულია: „დარო“, არშიაზე: „დარო ბოლონდელი, ძველად დარია იქნებოდა“. ხაზგასმულია: „მიჰქარე“, მიწერილია კითხვის ნიშანი, არშიაზე წერია: „80 წლის დედამ შვილს მიჰქარე უთხრას“.

გვ. 42. მოხაზულია: „ზაფრანით“, მიწერილია: „ზაფრანა ცუდი შედარებაა“.

გვ. 44. ხაზგასმულია: „პაწაწა პანტის“. არშიაზე წერია: „პანტა-პანტაა. ალბად ჯერ ჰქონდა პატარა მსხალი, მსხალი წაშალა და პანტა ჩაწერა, პაწაწა დარჩა“. ხაზგასმულია და მოხაზული სიტყვები. გასწვრივ დასმულია კითხვის ნიშნები.

გვ. 60. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: ალგეთი განა ისე დიდია, რომ თავი დაიხრჩოს კაცმა?“.

გვ. 64. ხაზგასმულია: „უებრად“, არშიაზე: „აქ შეუფერებელია ეს სიტყვა“.

გვ. 71. ხაზგასმულია ადგილები, არშიაზე წერია: „ძველ ამბავს ახალი დროით წერს! ზესტაფონი კი არა, „ზედაფონი“. როცა ეს ამბავი ხდება, მაშინ ზესტაფონი საცხოვრებელი ადგილი იყო? ზესტაფონში რკინისგზა თუ არ ვცდები 1860 წელს გაიყვანეს და გაკეთდა პატარა დაბა ზედაფონთან და ეწოდა ზესტაფონი. მანამდე (1860 წლამდე) აქ უდაბური ტყე და ჭაობები იყო. 1830 წელს ზესტაფონში არავითარი მოსახლეობა არ იყო და მამასადამე არც ღამბაშიძეები იქნებოდნენ. ღამბაშიძეების სამშობლო სოფ. შროშაა“.

გვ. 81. არშიაზე: „ეს სიმღერების ჩართვა „არტამანოვების საქმიდან“ არის, იქ უხდება, აქ გაჭიანურებულია“. ხაზგასმულია და მოხაზული: „ბატონის სახლში კუბოსა, ცრემლსა და მწუხარებასა“, მიწერილია: „ეს 1830 წლებში არ არის ნათქვამი – ვერ გაბედავდნენ.“

გვ. 82. მოხაზულია ორი სტროფი, გვერდზე წერია: „ეს ხალხური არ არის“. ტექსტში ხაზგასმულია და მოხაზული: „ცალთვალას ბრუტიანი თვალი“... არშიაზე წერია: „ღვთისავარს არ ეკადრება „ბრუტიანი“, ეს სიტყვა ირონიით ითქმის. (გაიხსენეთ შექსპირის „ელამი თვალი“).

გვ. 84. ხაზგასმულია: „აიაზმა“, გვერდზე წერია: „გლეხი და აიაზმა?“. ხაზგასმულია და მოხაზული: „ზეკუციას“. არშიაზე მიწერილია: „ზეკუცია“. იყო 1830 წელს?“

გვ. 90. ხაზგასმულია: „მადათოვთან“, არშიაზე წერია: „მადათოვი ამ წლებში იყო?“ მოხაზულია ადგილი, არშიაზე მიწერილია: „იხ. გვ. 71, 599, ეს აქტი კარგი ქართულითაა დაწერილი“.

- გვ. 94. ხაზგასმულია ადგილები, გვერდზე მიწერილია: „გვ. 78. ეს ლექსიც ხომ ა. ჭ-მე-სია?“
- გვ. 105. მოხაზულია ადგილი, არშიაზე წერია: „ე-ი. მთელი ჯარი არსენას მოუნდა რაღა?“
- გვ. 107. ხაზგასმულია: „საბეჭურებმა“, არშიაზე მიწერილია: „იხ. საბა – იქ წამოსასხამი“.
- გვ. 110. მოხაზულია ადგილი, არშიაზე წერია: „ფილადელფოსი აბეზღებს?“
- გვ. 111. ხაზგასმულია: „მოჰკლა და დაჰკოდა“, მიწერილია: „და დანარჩენი? ჯერ მოჰკლა და მერე დაჰკოდა?“
- გვ. 118. გვერდი მოხაზულია და მიწერილია: „ამ ხარზე ბევრია ლაპარაკი“.
- გვ. 122. მოხაზულია გვერდი, არშიაზე: „ანდაზები“.
- გვ. 159. ხაზგასმულია და მოხაზული: „დეკემბელები“, არშიაზე მიწერილია: „რაღა ეს სიტყვა გააქართულა ზაალმა?“
- გვ. 162. ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „კარგია“.
- გვ. 175. ხაზგასმულია და მოხაზული სიტყვები, არშიაზე: „ყაჩაღები და პარსვა?“. მოხაზულია ადგილი: „გუმინდელ მწვადსაც დააყოლებენ“, მიწერილია: „მწვადი მეორე დღეს? იქნებ ბასტურმა?“
- გვ. 177. ხაზგასმულია და მოხაზული ადგილები, არშიაზე მიწერილია: „არასოდეს „სიბრძნე-სიცრუეს“ ხარხარი არ მოჰყვება“.
- გვ. 178. ხაზგასმულია და მოხაზული ადგილი, ზემოთ წერია: „ეს სულ სიბრძნე-სიცრუის წაკითხვის დროს?“ მოხაზულია: „სალმუნობა“, გასწვრივ დასმულია კითხვის ნიშანი. მოხაზულია: „ექსპრომტით“, არშიაზე წერია: „ეს სიტყვა აქ ზედმეტია. „უცები“. „მუნასიბი“, სჯობდა“.
- გვ. 180. ხაზგასმული და მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ტყეში აიაზმას წყალი?!“
- გვ. 181. ხაზგასმულია: „ქალამნებს ჰქსოვენ“, მიწერილია: „თუ ასხავენ?“.
- გვ. 187. ხაზგასმულია ადგილები, მოხაზულია გვერდი, არშიაზე წერია: „ეს ალავერდის დღესასწაულია? თუ...“
- გვ. 190. მოხაზულია: „ჭაბუკებსაც“, არშიაზე: „ეს რომელ ჰასაკშია“ ალბად უნდა ეთქვა „ყმაწვილებს“.
- გვ. 193. ხაზგასმულია ადგილი, გასწვრივ კითხვის ნიშანი.
- გვ. 199. არშიაზე: „განა ბელადი ასე მარტო დადის? ასე ებმება ხიფათში? (იხ. 200)“.
- გვ. 200. ხაზგასმულია ადგილები, არშიაზე: „განა არსენა ამისთანა ცხენს მომორდება ან ასე მალე დანებდება? ან მარტოკა როგორ“.
- გვ. 201. არშიაზე: „გამოუშვეს „ძმადნაფიცებმა“. ეს სულ ავტორის ფანტაზიაა და არაა აქვს დამაჯერებლობა“.
- გვ. 203. მოხაზულია აბზაცი, ხაზგასმულია ადგილები. არშიაზე წერია: „კარგი ხელისუფლება ყოფილა! ეს რა იდეოლოგიაა“.
- გვ. 209. მოხაზულია სტრიქონი, არშიაზე: „მეტი საქმე არა ჰქონდა პასკევიჩს“.
- გვ. 210. ხაზგასმულია ადგილები, მოხაზულია ნახევარი გვერდი. არშიაზე: „ეს ამბები მაშასადამე 1827 წელს ხდება“.
- გვ. 211. ხაზგასმულია სტრიქონები. გვერდზე კითხვის ნიშანი.

გვ. 213. ბოლო სტრიქონები მოხაზულია, გასწვრივ წერია: „რომელი მედუქნე დალუპავს თავის თავს? ლოპიანაც გაურევოლუციონერებია“.

გვ. 218. ხაზგასმულია სტრიქონი, გასწვრივ მიწერილია: „რა შედარებაა! მხატვრული“.

გვ. 219. მოხაზულია მთელი გვერდი, არშიაზე წერია: „ამდენი ლაპარაკი რაღა საჭიროა მერე ამ დროს!“

გვ. 220. პირველი აბზაცი მოხაზულია, გვერდზე წერია: „ამ სიტყვებს არა აქვს დამაჯერებლობა“.

გვ. 222. აბზაცში ხაზგასმულია ადგილები. არშიაზე: „როსტომმა უამბო არსენს მარაბდის ამბავი?“.

გვ. 224. ნახევარი გვერდი მოხაზულია, გასწვრივ მიწერილია: „ზაალი არ გამოვიდოდა აივანზე!“

გვ. 226. ხაზგასმულია სიტყვა: „ხალხური“, გვერდზე კითხვის ნიშანი. არშიაზე მიწერილია: „ეს ლექსი სულ სხვანაირად არის ხალხურად. ი. გრ.“

გვ. 228. ხაზგასმული და დანიშნულია ადგილი, არშიაზე წერია: „ლაცაბიმეს ეშვებს“ ხომ ქალაქში ყველა იცნობდა? ხაზგასმულია სტრიქონები, არშიებზე კითხვის ნიშანი.

გვ. 229. ხაზგასმულია სტრიქონი, არშიაზე: „ჩანახს როგორ აგანიერებდა?“.

გვ. 233. არშიაზე: „არსენა ყველაფრის შემძლე ყოფილა?!“

გვ. 234. ხაზგასმულია: „კახპა“, გვერდზე მიწერილია: „კახპა კაცზე ითქმის?“. იმავე გვერდზე ხაზგასმული და მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ყველაფერი ისე ხდება, როგორც ავტორს სურს“.

გვ. 235. ხაზგასმულია ადგილები, არშიაზე: „რა შუაშია თადეოზის ძმა, თუ თადეოზზეა ლაპარაკი. ილია ჭ-მის სიმამრი?“.

გვ. 238. ხაზგასმულია: „აქლემი“. გვერდზე მიწერილია: „ჰასანამ რაღა იცოდა, რომ იმ კაცს მეტსახელად „აქლემი“ ერქვა?“.

გვ. 244. მოხაზულია ადგილი, ხაზგასმულია სიტყვები, გასწვრივ კითხვის ნიშანი.

გვ. 246. მოხაზული და ხაზგასმულია სტრიქონები, არშიაზე წერია: „აფსუს ქართულო შედარებავ?“.

გვ. 254. მოხაზულია ადგილი, ხაზგასმულია სტრიქონები, მიწერილია: „ეს ლეგენდა პირველად ა. ფრონელმა შექმნა“.

გვ. 260. ხაზგასმულია: „მუდრეგები“. მიწერილია: „აქ მუდრეგი – უადგილოა“.

გვ. 261. ხაზგასმულია სტრიქონები, მიწერილია: „მამ პირი უნდა დაეკოცნათ!“

გვ. 264. ხაზგასმულია და დანიშნულია ადგილი, მიწერილია: „შეიძლება უშვილო ქალს რძე ჰქონდეს?“.

გვ. 266. ხაზგასმულია სტრიქონები, მიწერილია: „რა ბელადის სტილია?“.

გვ. 267. ხაზგასმულია ადგილი. გვერდზე კითხვის ნიშანი.

გვ. 268. აბზაცი მოხაზულია, გასწვრივ მიწერილია: „კარგია“.

გვ. 270. მოხაზულია ადგილი, მიწერილია: „ყველაფერი ეს სად? ზეიშია თუ...“

გვ. 271. მოხაზულია ორი სტრიქონი, მიწერილია: „მამასადამე მისი ამხანაგები ხმამაღლა „ტირიან და ჰბუზღუნებენ“.

გვ. 274. მოხაზულია ლექსის სტროფი, მიწერილია: „ავტორის ლექსია?!“.

გვ. 276. აზნაცი მოხაზულია, ხაზგასმულია ადგილები, გასწვრივ არშიაზე: „ამ სცენას არა აქვს დამაჯერებლობა“.

გვ. 278. მოხაზულია ადგილი, ხაზგასმულია სტრიქონები, არშიაზე წერია: „არსენას ხომ ეძებენ? სუმბათოვის გალახვის შემდეგ, კიდევ აქ მკის და დროს ჰკარგავს? ხომ შეეძლო სუმბათოვს შეეტყობინებინა მთავრობისათვის? რა დროს ქეიფი და მკაა?“ ხაზგასმულია სტრიქონი და მიწერილია: „რატომ? ჰასანას მიერ გათოკვა რატომ იუკადრისა? რომელი უფრო სირცხვილია“.

5283. ჯავახიშვილი მ. არსენა მარაბდელი. [რომანი]. მე-3 გამოც. [თბ.], 1935.

5284. ჯავახიშვილი მ. არსენა მარაბდელი. [რომანი]. თბ., 1955.

5285. ჯავახიშვილი მ. გივი შადური. [რომანი]. ტფ., 1929.

თავფურცელზე წარწერა: „დიდ პოეტს და მეგობარს სოსო გრიშაშვილს; მ. ჯავახიშვილი. 14. XII. 31“.

კანზე: „ი. გრ. ხოში, 9. ჩარა, 21. კნაჰა, 118. ლავიწი ჭრაჭუნობს, 139. ზანზალაკი, 156. ავარა, 133“. ტექსტში ეს სიტყვები ხაზგასმულია.

გვ. 8. ხაზგასმულია: „ჩემივე“, მიწერილია: „ჩემსავე“.

გვ. 21. ხაზგასმულია: „რა შარა“, მიწერილია: „ჩარაა“.

გვ. 29. ხაზგასმულია: „ჩემი ცოლი თუ უკვე ნაცოლარი“, მიწერილია: „იხ. გვ. 95“. მითითებულ გვერდზე ხაზგასმულია იგივე წინადადება. მიწერილია: „იხ. გვ. 29“.

გვ. 107. მოხაზულია ბოლო აზნაცი. ავტორი წერს, ერთმა ვინმემ ეკლესიიდან ხატი გამოიტანა და რევოლვერი დაახალა, დამსაჯოს თუ ძალა მოეთხოვებაო. მიწერილია: „ამას ყველა იყენებს. პირველად ალ. ჯანელიძემ“.

გვ. 109. ხაზგასმულია: „გუშინდელზე უარესად და ხვალინდელზე უკეთესად“, მიწერილია: „ეს ჩემს ლექსპროზაში მაქვს „შემიყვარე!“ (იხ. „ჩანგი“, 1909 წ.)“. ხაზგასმულია: „მიდიოდნენ, თან კიბე და საღებავი მოჰქონდათ და მოსიპულ კლდეზე ადლის-ოდენა ასოებით წერდნენ: „ივან ივანოვიჩ ივანოვ.“, მიწერილია: „იხ. ზ. ავალიშვილის წიგნი“.

გვ. 117. ხაზგასმულია: „ფშუტურას“. არშიაზე: „ჩუჩელა“.

გვ. 120. არშიაზე: „ქალი ჯერ ავტოში არა ზის „ავხედე“ თუ დავხედე?“

გვ. 140. ხაზგასმულია: „თვალეზიც სათვალურებში ჩამისხდა“, მიწერილია: „ფოსოში“.

გვ. 162. ხაზგასმულია: „შალვა, გარეკე!“ არშიაზე: „ავტომობილზე ითქმის „გარეკე?“

5286. ჯავახიშვილი მ. ეშმაკის ქვა. მოთხრობები. ტფ., 1926.

კანის მე-3 გვ.: „კიდევ იყო გარჩევა „მნათობი“, № 10–11, 1926 წ.“

გაზეთიდან ამონაჭერი რეცენზია ამ წიგნზე, მიწერილია: „მუშა“, 1927, 5 იანვ.“

5287. ჯავახიშვილი მ. თეთრი საყელო. [რომანი]. ამონაჭერი: „მნათობი“, 1926. 1.

დასაწყისში: „თეთრი საყელოს“ პირველი ვარიანტი“. „მნათობი“, 1926 წ. 1(21); ი. გრ.“.

5288–5289. ჯავახიშვილი მ. თეთრი საყელო. რომანი. ტფ., 1926.

5290. ჯავახიშვილი მ. კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი. შვიდ-კარიანი რომანი. ტფ., 1925.

კანზე: „ი. გრ. 1935 წ. 20. III.

5291. ჯავახიშვილი მ. კურკას ქორწილი: – თავდავიწყება. [მოთხრობები]. ტფ., 1927.

5292. ჯავახიშვილი მ. მართალი აბდულაჰ [ჩანჩურა. მოთხრობები]. ტფ., 1926.

თავფურცელზე: და ჩანჩურა“.

5293. ჯავახიშვილი მ. მართალი ბადულაჰ. ჩანჩურა. [მოთხრობები. თბ.]. 1928.

5294–5295. ჯავახიშვილი-ადამაშვილი მ. მოთხრობები. ტ.1 და ივანე გომართელის კრიტიკული წერილი. ტფ., 1924.

გვ. 139. მოხაზულია ადგილი და მიწერილია: „კინოებში მრავალჯამიერი ვის გაუგონია“.

5296. ჯავახიშვილი მ. მოთხრობები. თბ., 1937.

5297–5298. ჯავახიშვილი მ. მოთხრობები. თბ., 1957.

5299. ჯავახიშვილი მ. ორი განაჩენი. მოთხრობები. ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926. 14/VII“. იქვე: „გველები და სალამური, გვ. 148. უზური, გვ. 31“.

თავფურცელზე: „1. უზური, გვ. 31. 2. კრიალესვანი? გვ. 8. და ლამბალოში“.

გვ. 27. ხაზგასმულია: „უზარმაზარი და უცნაური ჩრდილებით“, მიწერილია: „ყველგან ასე აქვს“.

5300–5301. ჯავახიშვილი მ. პატარა დედაკაცი. მოთხრობები. ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. 1926. 3/3. პორნოგრაფია, გვ. 169. მოთხრობა ენობრივი თვალსაზრისით“.

თავფურცელზე: „ი. გრ., მარიჯან“. ქვემოთ: „კრიალესვა, გვ. 245. სანთელი დაავსო, გვ. 243. ორეული, 227 და 203, ორადგ, გვ. 249. პორნოგრაფია, გვ. 169“.

გვ. 76. ხაზგასმულია: „თვალეებს ამოებით ჟუტავს“, მიწერილია: „თუ საამოდ? (ამოება ამოებასაც ნიშნავს ძველებურად). – ი. გრ.“.

5302. ჯავახიშვილი მ. ტყის კაცი. მოთხრობა. [ტფ.], 1926.

5303–5304. ჯავახიშვილი მ. ტყის კაცი. [მოთხრობა]. თბ., 1956.

5305–5306. ჯავახიშვილი მ. ჯაყოს ხიზნები. რომანი. ტფ., 1925.

კანზე: „იხ. ბოლო ყდა. შენიშვ. ი. გრ. 1925. 23/III“.

თავფურცელზე სათაურის ქვეშ: „ამონაბეჭდი „მნათობიდან“, მეორედ დაიბეჭდა 1926 წ. გამომცემლობა „შრომა“.

კანის მე-4 გვ.: „თავადი თეიმურაზი ისე დასანანი არ არის – წინათაც უცნაური იყო. ცხოვრებით ვერ სარგებლობდა. პოეტებმა იციან: ატალღებული, აქაფებული, აორთქლებული. აქ კი: ნაკაცარი, ნალამური, ნაცოხნევი...; ნაბოდვარი, ნალოღნი, ნაცოხნი, ნადუმარი, ნახასარი, ნამუძვნარი,...“

5307. ჯავახიშვილი მ. ჯაყოს ხიზნები. [რომანი]. მე-2 გამოც. ტფ., 1926.

კანზე: სათაურის ქვემოთ: „(წინასიტყვაობით)“. ხაზგასმულია: „მეორე გამოცემა“, მიწერილია: „(ოდნავი შესწორებით)“.

5308–5310. ჯავახიშვილი მ. ჯაყოს ხიზნები. თბ., 1957.

5311. ჯალაღონია ნ. სიმღერის გაზაფხული. [ლექსები]. ბათუმი, 1959.

5312. ჯანბერიძე შ. ალექსა. [მოთხრობა]. ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „დამსახურებულ და საყვარელ პოეტს ს. გრიშაშვილს. შ. ჯანბერიძე. 1928 წ.“

გვ. 11. ხაზგასმულია: „მაქლიქობით“, არშიაზე: „მლიქვნელობით“.

5313. ჯანბერიძე შ. პოეზია. [ლექსების მე-2 წიგნი]. ტფ., 1924.

თავფურცელზე წარწერა: „უძღვნი ს. გრიშაშვილს. შ. ჯანბერიძე. 14. V. 24 წ.“

კანზე: „ი. გრ. 1924. 14. V.“

5314. ჯანბერიძე შ. ჩქერები. [ლექსები]. ბათომი, 1921.  
კანზე: „ი. გრ. 1922. 13/X. ტფ.“
5315. ჯანგულაშვილი თ. ბალადა მიწის გაცოცხლებისა. [ლექსები]. თბ., 1953.
5316. ჯანგულაშვილი თ. მისი ოდერზე. [ლექსები]. თბ., 1956.
5317. ჯანგულაშვილი თ. ცხრაას ორმოცდახუთი. [ლექსები]. თბ., 1948.
5318. ჯანგულაშვილი თ. და ფირცხალავა გ. მოგზაურობა მწერალთა. მეგობრული შარჟები გ. ფირცხალავასი. ლექსები თ. ჯანგულაშვილისა. თბ., 1962.
5319. ჯაფარიძე მ. ჟამთაბერის ასული. პიესა 5 მოქმ. თბ., 1946.
5320. ჯაფარიძე მ. ჩვენებურები. პიესა 5 მოქმ. თბ., 1956.
5321. ჯაფარიძე რ. ხევის პატარძალი. რომანი. [თბ.], 1951.  
ფორზაცის მე-4 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი შ. ლლონტის წერილი „ახალგაზრდა პროზაიკოსის გამარჯვება“ მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1952 წ., № 95, 19 თებ.“
5322. ჯაფარიძე რ. ჯარისკაცის ქვრივი. რომანი. წ. 1. თბ., 1956.
5323. ჯაყელი ჯ. სიჭაბუკე. [ლექსები]. ბათუმი, 1957.
- 5324–5325. ჯაჭვამე მ. გმირი ბეჟანის ცხოვრება ანუ ვაჟკაცობა მისი და სხვადასხვა ლექსები. პოემა. თბ., 1901.  
თავფურცელზე: „არ არის თბილისში. ი. გრ.“  
ხელნაკეთ კანზე: „გმირი ბეჟანი მიხ. ჯაჭვამისა“.  
მეორე ცალის კანზე: „დუბ. ი. გრ. თბილისში არ არის!“
- 5326–5327. ჯაჭვამე მ. ლეკეთში მოსიარულე მოყაზახე ომან ხაჩიშვილი და ლეკი ქალი ხიზირდილი აბდულ-ბელადის ასული. პოემა. თბ., 1912.  
თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. ამ პოემის პირველი გამოცემა გამოვიდა 1900 წელს ა. გიგოშვილის გამოცემა. ყდაზე ეწერა: „1913 წ. ი. გრ.“  
გვ. 6. მეორე სტროფში ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები და არშიაზე მინაწერი: „ასონანსი“.  
გვ. 24. მეორე სტროფში ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები და გასწვრივ მინაწერი: „ასონანსი“.
- 5328–5330. ჯაჭვამე მ. სარიდონიანი. სასიამოვნო საკითხავი. პოემა. სურათებით. თფ., 1914.  
კანზე: „ეს 1879 წელსაც დაიბეჭდა. რა შუაშია მ. ჯაჭვამე?“ ავტორის გვარი ხაზგასმულია და აღნიშნული კითხვის ნიშნით. სათაურის გასწვრივ: „სარიდონიანი. პოემა. გამოცემული ქაიხოსრო ჩარექოვისაგან 1879 წ. 1902 წელსაც გამოვიდა (მაქვს)“. აქვე ილუსტრაციების შესახებ „მეტად სასაცილო სურათებია. ი. გრ.“  
წიგნში ჩადებულია ფურცელი: „სარიდონიანი. (პოემა). გამოცემული ქაიხოსრო ჩარექოვისაგან. 1879 წ. იგივე პოემა გამოსცა ფამბაკელმა 1902 წ. (იხ. ცნობა დ. კარიჭ. გვ. 177). საჯარო“.
- მეორე ცალის გვ. 31. ხაზგასმულია: „უნელ“, მიწერილია: „უნელებელი?“  
ხაზგასმულია: „ხრაში“, მიწერილია: („იმერ.)“
- გვ. 46. სურათთან ფანქრით: „გამომცემელს მზა კლიშე უპოვია და რადგან წიგნში სამზეა ლაპარაკი მეოთხე სახე ამოუფხეკია. რა საძაგლობაა? ი. გრ.“
- გვ. 48. ხაზგასმულია: „კუმეტური“, მიწერილია: „კუმტი“.

მესამე ცალის გვ. 3. წარწერა: „1914 წლის გამოცემა. თბილისი. პატივისცემით ს. გრიშაშვილს გ. მსხილაძე“.

5331. ჯაჭვადე მ. ჭაბუკის ნაამბობი. ლეგენდა ზღაპრული. ხომატ-ეგრეზიანი. სხვადასხვა ლექსები. თბ., 1904.

კანზე: „ი. გრ. ეს ლეგენდა ხალხში ზეპირად დადის. ხალხს ეს ლექსი აქედანა აქვს ნასწავლი. ი. გრ.“

თავფურცელზე: „თაინათ, გვ. 14. ი. გრ.“

იქვე ლექსის უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა „ხაჩატურები“ გადასწორებულია: „ხაჩატურებსა“.

გვ. 5. მეოთხე სტროფში სიტყვაში: „დაითვლებოდა“ ამოშლილია „ებ“.

გვ. 30. მეორე სტროფში გადახაზულია სიტყვა: „ეგრეო“ და მის მაგივრად მიწერილი: „ესეო“.

წიგნში დევს კონვერტი წარწერით: „სოსოს შენიშვნები და კ. დონდუას წერილი“.

1. „მ. ჯაჭვადე. გაჩეჩილაძეები უმაღლესი ჯაჭვადეები იყვნენ ს. წევამი. ერთ-ერთი ჯაჭვადე, ძველად, წაჰკიდებია ბატონს (მაჭავარიანს) და გაქცეულა კახეთში. ჯაჭვადეები კახეთში დღესაც არიან, ეს გვარი კახეთში დარჩა, ხოლო იმერეთში ჯაჭვადენი გაჩეჩილაძეებად გადაკეთდნენ. (ბატონი ეუბნებოდა ბიჭო „შე გაჩეჩილო!“ პოეტი მიხ. ჯაჭვადე (ამჟამად გარდაიც.) ინტელიგენტი იყო, მგონი ფერმალიც. ამისი შვილი ცხოვრობს მიხ. გაჩეჩილაძის პირ. თბილისში. საჭიროა თარიღების გამოკვლევა. სარიდონიანი ამისი არ უნდა იყოს. ი. გრ.“ 2. ქალაქის ნაჭერი. ერთ გვერდზე: „მიხ. ჯაჭვადე. გმირი ბეჟანის ცხოვრება ანუ ვაჟკაცობა მისი და სხვა ლექსები. (პოემა). გამოც. ალექსანდრე გიგოშვილისა. 1901 წ. თბილისი, სტ. როტინიანის“.

3. კონვერტი ლენინგრადიდან გამოგზავნილი კ. დონდუას წერილით და „ხომატიანის“ ნაწყვეტით, მ. ჩხაიძის ხელით გადაწერილი: 1. კ. დონდუას წერილი. „1/V 40 წ. ლენ-ში. ძვირფასო სოსო! თბილისში გახლდით თებერვლის დღეებში 5 მარტამდე, მაგრამ ვერ გნახეთ. მინდოდა გულითადი მადლობა მომეხსენებია თქვენთვის ალ. ჭავჭავაძისათვის. სამწუხაროდ, ქალაქს უნდა დავავალო ამ ჩემი სურვილის განხორციელება. ამასთანავე მიიღებთ პატარა წერილს ბოლთის შესახებ. ას მეხუთე (105) გვერდზე თქვენც გახსენეთ. ტკბილად შეირგეთ. გიგზავნით აგრეთვე „ხომატიანის“ ნაწყვეტს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ იცნობთ ამ პოემას და დიაგნოზს გაუკეთებთ: 1) ვისია? 2). როდისაა დაბეჭდილი? და სხვ. მუდამ თქვენი პატივისცემელი კ. დონდუა. 2. ქალაქის ფურცელი, დაწერილი მ. ჩხაიძის ხელით. ერთ გვერდზე ნაწყვეტები პოემა „ხომატიანი“ (ანუ ეგრეზი) და ხომატიდან, მეორე გვერდზე შენიშვნებია:

1. ხომატიანი (ხომატი და ეგრეზი) – როგორც თქმულება ძალიან გავრცელებულია კახეთში. ლექსად კი დიდხანს ვერ პოულობდნენ (მაგალ. კარბელაშვილმა ოთხი წელი ეძება ხალხში! მე ეს ლექსი ჩავიწერე 1937 წელს სოფ. ახალსოფელში (ყვარელთან ახლო, იხილე მეორე შენიშვნა) იოსებ მანგოშვილისგან (47 წლისა), ამბობს, 20–25 წლის წინად მე ეს ლექსი წიგნში ვნახე და იქიდან დავისწავლეო, წიგნი პატარა ყვითელყდიანი იყო, თითქოსდა მარტო ამ ლექსს შეიცავდა. 2. გავაზი – მთქმელმა ამ სიტყვასთან შენიშნა: „აი ამ სოფლისა იყვნენ ეგრეზი და ხომატიო“. მართლაც დღეს რომ ახალსოფელია, ამის ცოტა ქვემოთ დაბალ და ნესტიან ადგილებში ნასახლარების კვალი ეხლაც დარჩენილა,

მას რქმევია გავაზი. გვიან ხალხს ზევით აუცლიათ ცოტა სამოსახლოდ და გაუშენებიათ დღევანდელი ახალი სოფელი. ხომტის ეკლესია აღმოსავლეთითაა 7–8 კლმ. მანძილზე, გვიან გადმოსახლებული იმერლების ტერიტორიაზე. 3. პოემა (თქმულება) პროზადაც მაქვს ჩაწერილი სხვა პირიდან და სხვა ადგილას. თქმულების პროზად მთქმელმა „ტაინათ“-ის მაგიერ იხმარა სიტყვა „თაინათ.“ ლექსის მთქმელმა კი ამიხსნა: „ტაინათ! – ეს იგივე „ადვილად“ არის, ისე ხალხში კი ეს სიტყვა არ იხმარებაო. პოემა შეიცავს დაახლოებით ერთ ფორმას. დაბეჭდილი ის არსად მინახავს, თუმცა სჩანს, რომ დაბეჭდილი იყო. მ. ჩხაიძე“.

5332–5333. [ჯაჯანაშვილი ა.] გარდელი. გაწყვეტილი სიმი. დრამა ოთხ მოქმ. ტფ., 1914.

თავფურცელზე წარწერა: „მოუსვენარ იოსებ გრიშაშვილს. ავტორისგან“.

5334. ჯაჯანაშვილი ა. ნაგერალი. (რომანი). ამონაჭერი: „მნათობი“, 1933, № 8–9, 10, 11, 1934, № 1–2.

ხელნაკეთ კანზე: „არჩილ ჯაჯანაშვილი. ნაგერალი. (რომანი). 1933. იხ. „მნათობი“, 1933 წ., № 8–9, 10, 11, და 1934 წ. № 1–2. ი. გრ.“

კანის მეორე გვერდზე: „ანასუნი, გვ. 88 (№ 11), დღაყვი, 113. № 1–2.

გვ. 191. გადახაზულია სიტყვა: „გზაზე“ და არშიაზე: „ვაზაზე (?)“.

გვ. 120. არშიაზე: „ტილურა ძალიან გვიან ჩნდება“.

5335. ჯაჯანაშვილი ა. ნაგერალი. რომანი. [თბ.], 1937.

შმუცტიტულზე წარწერა: „ჩემს ძვირფას მეგობარს სოსოს. არჩილი. 20/III. 37“.

5336. ჯაჯანაშვილი ა. ყვითელი ფურცლები. ქანდაკება. დანგრეული კომპი. გაწყვეტილი სიმი. [ავტობიოგრ. მოთხრობა, პიესები]. ტფ., 1924.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ძვირფას მეგობარს სოსოს. ა. ჯაჯანაშვილი. 9. 1. 24.“

კანზე: „ი. გრ. 1924 წ. 5.12“.

კანის მე-4 გვ.: „როცა კითხულობ თვალს ვერ აშორებს გეინტერესება შინაარსი!“

5337. ჯინორიძე ი. გულის ნადები. [ლექსები]. თფ., 1915.

კანზე: „ი. გრ. 1921 წ. ნოემბ. 3. ს.“.

5338. ჯინჭარაძე გ. (გ. ჯამბაკური). სალამი ძმაო მურზაყან. [იუმორისტ. მოთხრობები]. თბ., 1958.

5339. ჯიქია ა. ანთებული მწვერვალები. რომანი. სოხუმი, 1957.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს. საყვარელ პოეტს. ქართველი ხალხის საამაყო შვილს უღრმესი პატივისცემით. ავტორი. 7. XII. 57 წ.“

5340. ჯიქია ა. დაკარგული სამაჯური. [რომანი]. სოხუმი, 1955.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს – ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს უღრმესი პატივისცემით ავტორისაგან. 15/VI-55 წ.“

5341. ჯიქია ა. ქალი გზაჯვარედინზე. რომანი. სოხუმი, 1959.

5342. ჯორჯაძე ბ. რას ვემბდი და რა ვპოვე. კომედია 3 მოქმ. ამონაჭერი: „ცისკარი“, 1865, № 9.

თავფურცელზე: „ბარბარე ჯორჯაძე, თხზულება კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა. წელსა 1865 წ. თებერვლის 11 დღესა დაბას ზუგდიდს. „ცისკარი“, 1865, (სექტ.)“. იქვე წერია: „(ვასო აბაშიძის ხელი)“.



კანზე: „ი. გრიშაშვილი „ბარბარე ჯორჯაძისა. რას ვეძებდი, რა ვიპოვე. კომედია 3 მოქმედებად. „ცისკარი“ 1865 წ. (სექტემბერი), „ციმბირელის სცენა, გვ. 33; ლანჩები, გვ. 40“.

გვ. 33. ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „ასიკო ცაგარელი (იხ. „ციმბირელი“ მაშო და პეტუა)“.

გვ. 40–41. მოხაზულია დიალოგი, არშიაზე „ასიკო ცაგარელი“.

გვ. 49. გადაშლილია ადგილი, მიწერილია: „უნდა. ი. გრ.“

კანის მე-3 გვ. მიწერილია: „ვასო აბაშიძის გასწორებულია. სუფლიორი – ი. გრ. 1910 წ. 10/XI“.

ქვევით: „რაც დედამიწას უნდა ეთქვა, იმასაც ცა ამბობდა“ (ანდაზა)“.

კანის მე-4 გვ.: „ბათხი – ახალგაზრდა, 24; თილიფარა – (ენით) მლიქვენლი ენით, 37; ლანძი – (მოსდეთ) გაახმაურეთ, 28; ჩავტიტე, 28; წოწიების ჭირიმე. 35; ლუპუსტაცი, 35; ლანჩი – გვ. 40; ბებილო – ბებიკო; მუთანჯოს ფლავი“.

წიგნში ჩადებულია ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „სოსო! გიტოვებ პიესას, სამაგიეროდ დაგვიტოვე აღლუმი. ჟივიძე“. ი. გრ. ხელით მიწერილია: „[ივანძიმეს]“.

5343. ჯორჯაძე ბ. შური. დრამა 3 მოქმ. ტფ., 1863.

თავფურცელი შედგენილია ი. გრ. მიერ. მიწერილია: „ი. გრ. „შური“ – დრამა 3. მოქ. და 1 სურ. ბარბარე ჯორჯაძისა. გულუბრყვილო ხლართის მელოდრამა. ი. გრ. „ცისკარი“, 1863 წ., აგვისტო“.

ყდის მე-2 გვ.: „1. ექიმს ქართულად აცვია, გვ. 10. 2. ამ პიესაში ფერშალი ძალიან ცუდათაა დახასიათებული. ავტორს იმისი მკურნალობისა არა სწამს-რა. გვ. 47-დან. 3. გლეხი, ბატონყმობა და ეკლესია, 18. 4. კრინი, 71. 5. ტრაპიზონი, გვ. 40 (ეს გამოთქმა ცაგარელსაც აქვს – მაშ არა და ტრაპიზონიდან ვიქნები. ციმბირ.)“.

„მოქმ. პირნი“ – ხაზგასმულია: „სტეფანე ფერშალი“ და მიწერილია: „ქართული კაბით“. ხაზგასმულია: „ეს პიესა წარმოდგენილი იყო წარსულ წელს“, მიწერილია: „(1862)“.

გვ. 11. მოხაზულია ადგილი და მიწერილია არშიაზე: „ბატონყმობა! გლეხთა განთავისუფლება“.

გვ. 40. ხაზგასმულია: „ტრაპიზონშიაც“, მიწერილია: „ცაგარელი – ციმბირ.“

გვ. 45. მოხაზულია ადგილები და მიწერილია არშიაზე: „გლეხი და მღვდელი“.

გვ. 52. გასწორებულია კორექტ. შეცდომები და მიწერილია: „კორექტორს სხვაგან ჩაურთავს. ი. გრ.“ მოხაზულია მთელი აბზაცი და მიწერილია: „ქრთამი შაქრის თავის მსგავსი ხე“.

5344. ჯორჯაძე მ. ჰაეროსტატი. კომედია. თბ., 1878.

5345. ჯორჯიკია ჯ. თხზულებანი. ქუთაისი, [1914].

ფორზაცზე ავტორის ხელწერა: „ჯ. ჯორჯიკია 1915 წ., 17 იანვარი. ქ. ქუთაისი“.

თავფურცელზე წარწერა: „ქართული პოეზიის იადონს ი. გრიშაშვილს. ძმური სიყვარულით. მისი თაყვანისმცემელი ავტორისაგან. 1915 წ. თებერვალი“.

5346. ჯორჯიკია ჯ. ფერადი მოთხრობები. ქუთაისი, 1925.

კანზე: „ი. გრ. 1935. 11. XI. გვ. 30.“

გვ. 10 და 11 შუა დევს გაზეთიდან ამონაჭერი ჯ. ჯორჯიკიას ესკიზი „ოცნების ზეიმი“.

5347. ჯოხია პ. თხზულებანი. ტფ., 1904.

თავფურცელზე: „პეტრე ჯოხია. თხზულებანი. ავტორის სურათით“. „(სურათ. მრევლიშვილის.)“ – ჩამატებულია უცნობის ხელით. შემდეგ ისევ ი. გრ. ხელით: „ფასი 40 კ. დაიბეჭდა 1200 ცალი. 1904 წ. ტფილისი. ი. გრ.“

გვერდით: „ამ წიგნზე რეცენზია იხ. „მოამბე“, 1904 წ., № IV, გვ. 103. ი. გრ. იხ. აგრეთვე ჩემი „ბოჰემა“ ი. გრ. სურათები მრევლიშვილისა“. აქვე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი „კონსტრუქტორის“ წერილი „ამხ. ჯოხიას მიერ გამოგონებული მექანიკური თვითმკეცავი“.

კანზე: „პეტრე ჯოხია. თხზულებანი. 1904 წ. ი. გრ.“

კანის მე-2 გვ. დაკრულია პ. ჯოხიას მეუღლის წერილი ი. გრიშაშვილისადმი. ეს არის პასუხი ი. გრ. წერილზე. ხელს აწერს: „ანიჩკა ჯოხიასი“.

თავფურცლის მე-2 გვ. გაზეთიდან ამონაჭერი: „ამხ. პ. ჯოხიას გამოგონება“, მიწერილია: „მუშა“, 1931 წ., № 207. 11 სექტ.“. ავტორის პორტრეტის ქვეშ: „ლუარსაბის-ძე“ და ამონაჭერი „მოამბე“-დან: „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“. ხაზგასმულია: „თხზულებანი პეტრე ჯოხიასი“, მიწერილია: „დუბლ. „მოამბე“, 1904, № IV“.

ქართული მხატვრული  
კრებულები

5348. აკიდო. [ლექსების კრებული]. თბ., 1962.
- 5349–5350. ალიონი. ახალგაზრდა პოეტების კრებული. [სოხუმი, 1960].
5351. „ალიონი“-ს კრებული. მოთხრობები, ესკიზები, ამბები. შეკრებ. ვ. გადილიას მიერ. თფ., 1911.
- კანსა და თავფურცელზე: „იხ. აკრძალული წიგნების სია – (ბოლოში)“.
- სარჩევში: გვ. I. ხაზგასმულია: „რა ჩემი ბრალია? თ-ლისა“ და მიწერილია: „მამელუკის ავტორი თათარაშვილი“. ხაზგასმულია: „ორი ცხედარი – ნატოსი“, მიწერილია: „ნატო ფსევდონიმი იყო გრიგოლ მიხეილის ძე წულუკიძისა“. ხაზგასმულია: „ნუ მიგყავთ საზიაროა!“ იონა თლუღელისა“, მიწერილია: „იონა თლუღელი ბელიაშვილია გვარად. აკაკი ბელიაშვილის მამა“. გვ. II მე-5-დან 16-მდე დასახელება მოხაზულია და არშიაზე მიწერილი: „აკრძალულია“.
- 5352–5353. არიმანი. ლურჯი კაბარე. [ლექსები. ტფ., 1921]
- კანზე: „ი. გრ. 1921 წ. 23 I.“ ავტორის ფსევდონიმთან მიწერილია: „არჩილ მაჭავარიანი“.
- გვ. [8]. ლექსის „დედოფლის ნატვრა“ პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „დედოფალს სძინავს“, მიწერილია: „ჩემი ლექსი – „სძინავს დედოფალს“.
- 5354–5357. არიფიონი. [ლექსები და მოთხრობები. კრ. 1]. ტფ., [1928].
- შემუცტიტულზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს, პოეტს, რომელსაც განსაკუთრებით ვაფასებ და მიყვარს. ვ. გორგაძე. 18/II. 28 წ.“
- გვ. 86. ვ. გორგაძის ლექსში „მარელისი“ აღნიშნულია მე-10 სტროფი, მიწერილია: „იონა ვაკელი“.
- გვ. 241. ი. ტატიშვილის ნარკვევში „უსათაურო“ მოხსენებული პირები დაზუსტებულია ი. გრ. მიერ, არშიაზე წერია: „ილო მოსაშვილი, შ. დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, ვასო გორგაძე. კ. ჭ-ძე და კ. კაპანელი“.
- გვ. 242. მოხაზულია პირველი აზვანი: „მაშ ისევ, ისევ ზღაპარს გეტყვით...“, მიწერილია: „ზოლას მიბამვავა!“.
- გვ. 368. ხაზგასმულია: „დღესაც ცხვრის ტყავს... იცვამენ“, მიწერილია: „ტყავუჭი. [ჯუბა]“.
- გვ. 370. ხაზგასმულია ადგილი შაბლონური ოდების მთხზველი პოეტების შესახებ, მიწერილია: „ყანწელები?“ ხაზგასმულია ადგილი „მეთვალყურე ცრუმამულიშვილების შესახებ“, მიწერილია „აკადემია?“ იქვე არშიაზე „აქეთ იქით მიაყეფეს და სკამებზე ჩამოსკუპდნენ“ [მარიჯანის ლექსიდან „ნელლი ცირკში“].
- გვ. 376. ხაზგასმულია: „როცა გათენებისას მთვრალი კახეთის მატარებლის ბარბაცი შესწყდა, ჩვენ უკვე თბილისში ვიყავით“, მიწერილია: „ილ. ქურხულის სტილით“.
- ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. დ. დ-ძის კრიტიკული წერილი „არიფიონის“ გამო 1928 წ. 11 მარტის რომელიღაც გაზეთიდან. 2. შ. კარსანიძის რეცენზია გაზ. „ახალ. კომუნისტის“ 1928 წ. 14 მარტის ნომრიდან. 3. პ. საყვარელიძის კრიტიკული წერილი „გუნდა – ლახოსტაკი“ მინაწერით: „კომუნისტი“. 28/III, 1928, № 70.“ ბ. ბუაჩიძის რეცენზია „Старые мехастарое вино“ მინაწერით: „Заря“, 1928 წ., № 88, 15 აპრილი“.

კანის მე-3 გვ. წერია: „რეცენზია მოთავსებულია კიდეც: 1. „მნათობი“, 1928 წ., № 3. 2. „ახალგ. ბოლშევიკი“, 1928, № 1–2. 3. „ქართ. მწერლობა“, 1928, № 4. 4. „კომ.“, 1928 წ., № 136, 14 ივნისი (მიხ. კახიანის სიტყვა)“.

წიგნში დევს ი. გრიშაშვილის განცხადების შავი: „ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, ნება მომცეთ განვაცხადო, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, დღეიდან აღარ ვითვლები ეგრედ წოდებულ „აკადემიური მწერლობის ასოციაციაში“. ი. გრ. 12 მარტი. 1928 წ.“

მეორე ცალის თავფურცელზე ბეჭედი: „საქართველოს სახ. წიგნის პალატა“.

5358. აჭარის ლიტერატურული ახალგაზრდობა. საქ. საბჭ. მწერლების კავშირის აჭარის განყოფილებასთან გაერთიანებული ახალგაზრდა მწერლების აღმანახი. ბათუმი, 1956.

5359. ახალგაზრდა მწერლები. ლექსები და მოთხრობები. თბ., 1948.

გვ. 25. ხაზგასმულია: „მტერი ოხერი“, მიწერილია: „მტერი უპატრონო იყო?“

გაზეთიდან ამოჭრილი ვ. გვეტაძის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „ინდ. ქუთ.“. 1949, 9 იანვ. № 5.“

5360. ახალგაზრდა მწერლების კრებული. კ. ლორთქიფანიძის რედ. ტფ., 1938.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1938. 21/IV“.

გვ. 35. ლექსს „იმერული სიმღერა სტალინზე“ მიწერილი აქვს ავტორის ვინაობა: „ანდრო თევზაძე“.

გაზეთის ამონაჭრები: 1. ი. ცერცვაძის „დისკუსია ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე“ მინაწერით: „კომუნისტი“, 1938, 20 აპრ.“ 2. ს. თურნავას რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „საბჭ. მასწ.“, 1938, № 52.“

5361. ახალგაზრდობას. [ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსები]. თბ., 1958.

კანზე: „ჩემი ლექსები. ი. გრ.“

5362. ახალი კოლხიდა. ქართველი საბჭოთა პოეტები. ლექსები და პოემები. ტფ., [1937].

ფორზაცზე: „ი. გრ. 1937. 5 ნოემბერი – ჩემი ლექსი, 44.“

ამონაჭრები გაზეთებიდან: 1. გ. საამოვის რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „კომუნისტი“, 1937, № 263, 18 ნოემბ.“ 2. გ. ნატროშვილის რეცენზია მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1937, № 28, 27 ნოემბ.“ 3. გაზ. „Вечерний Тбилиси“-ს 1937 წ. 11 დეკემბრის ნომერი, რომელშიც მოთავსებულია უავტორო რეცენზია ამ კრებულზე და ორი ლექსის რუსული თარგმანი, შესრულებული ბ. სერებრიაკოვის მიერ. 4. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1937 წ. 21 ნოემბრის და გაზ. „კომუნისტის“ 1938 წ. 26 ნოემბრის ნომრები, რომლებიც ეძღვნება კოლხიდის მშენებლობას.

5363–5365. ახალი მწერლობა. წიგნი 3. ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი. ლექსები. [თბ.], 1929.

კანზე: „ა. ჭ-ძე. ქურუმი კი არა ქურური მილ. იხ. გვ. 12. ი. გრ.“

თავფურცელზე: „ი. გრ. 1929. 18 აპრილი“. აქვე: „გვ. 12, ქურური; გვ. 34, ბეჟანა; გვ. 34, სალომე?“

გვ. 10. ლექსში „თავსა უფლად“ ხაზგასმულია პირველი სტრიქონი: „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ!“ მიწერილია: „[ყოველთ ესრედ გაიგონედ]“.

გვ. 11. ამავე ლექსში მოხაზულია სიტყვა – „ხელის“, მიწერილია: „სულის“.

გვ. 12. ლექსში „გოგჩის ტბა“ მოხაზულია სიტყვა „ქურუმთა“, მიწერილია: „ქურურთა“.

გვ. 13. ამავე ლექსში რკალშემოვლებულია სიტყვა „ქელეხი“, მიწერილია: „გულეხი“. აქვე მოხაზულია 10 სტრიქონი. დაწყებული: „შუბთა ტრიალი...“ მიწერილია: „გრ. ორბ.“

5366–5367. ახალი პიესები. კრებული სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობის სასცენო მასალებისა. საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სან-განათლ. სახლის სასცენო მოღვაწეობა 1923–1924 წწ. სეზონში. თბ., 1924.

წიგნს აქვს ს. წერეთლის ხელით ნაკეთი კანი და მისივე ხელით წერია: „სენო წერეთლის (ქართლელ-იმერლის) ორიგინალური დაბეჭდილი პიესები. I. ლენინი აღარ გვყავს – ფურ. 13. II. ვინც უცოდველია – ფურ. 18. III. ზღვის სიმღერა – ფურ. 119. IV. შავი მონადირე – ფურ. 141. V. შავი ანგელოზები – ფურ. 193. VI. მალარია – გვ. 216. გამოცემა 1924 წლ. დიმოვის, ზუნთურიძის და ვილლის პიესები“

წიგნში ჩადებულია წერილი: „პატივცემულო სოსო! შენ რომ მითხარი ჯანსაზღვრის პიესებზე, გიგზავნი ამ პიესებს, პირადად არ გაწუხებ, რადგან უპურმარილოთ არ წამოვიდოდი და არა გაწუხებ. აი ეს კრებული შეიძინე შენ მდიდარ წიგნთსაცავისათვის. გისურვებ სოსო ქრონიკულ ახალგაზრდობას. პატივისცემით სენო წერეთელი. 25/III 1956 წ.“

5368–5369. ახალი პოეზიის ანტოლოგია. ქუთაისი, 1919.

5370. ახალი წელი. საახალწლო მასალების კრებული № 1. თბ., 1911.

5371. ბედნიერ სამშობლოს. [კრებული]. თბ., 1938.

5372–5373. ბედნიერების სიმღერები. ქართველი საბჭოთა მწერლები. თბ., 1938.

ფორზაცზე: „რეცენზიები: 1. „კომუნისტი“, 1938 წ., 6 იანვ. (გ. ს.) 2. „ლიტ. საქართვე.“, 1938 წ., 20 იანვ., № 2 (გ. ნატ.) 3. „კომუნისტი“. 1938 წ., 1 თებ., № 25 (ს. ჭილაია). 4. „მუშა“, 1938, 25 იანვარი (გ. ნარიძე).“

გაზეთიდან ამოჭრილი: 1. ს. ჭილაიას რეცენზია „ბედნიერების სიმღერები“ არშიაზე მიწერილია: „კომ.“, 1938, 125, 1/II“. 2. გ. ნარიძის სტატია „ბედნიერების სიმღერები“, მინაწერთ: „მუშა“, 1938, 25 იანვ.“ 3. გ. საამოვის წერილი „ქართველი პოეტები უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მინაწერთ: „კომუნისტი“, 1938, 6 იანვ.“

5374. ბრძოლა გამარჯვებამდე! [კრებული]. ბათუმი, 1941.

კანზე: „ი. გრ. 1941. 11/XI“.

გვ. 37. შ. შუბლაძის ლექსში „დედის ნაამბობი“ ხაზგასმულია სტრიქონი: „საზრდოს შენც მოიპოვებ“, გასწვრივ წერია: „აკლია“.

5375. გაზაფხული აფხაზეთში. [ლექსების კრებული]. თბ., 1957.

5376–5377. გამარჯვების სიმღერები. თბ., 1943.

თავფურცელზე წარწერა: „გრიშაშვილის ბიბლიოთეკისათვის. იროდიონისგან. 20. III. 43“.

კანზე: „თბილისი“, 1943 წ. 15 მარტი“. იქვე: „ჩემი ლექსი, გვ. 6“. აღნიშნულ გვერდზე გასწორებულია კორექტურული შეცდომა.

5378. გეზი. აღმანახი № 1. ტფ., 1931.

5379–5382. გრდემლი. სალიტერატურო კრებული. წ. 1–3. ტფ., 1912–1916.

წ. 1. 1912.

წიგნის ყდა ი. გრიშაშვილის საგანგებო დაკვეთითაა გაკეთებული. ყუაზე წარწერა: „გრდემლი. 1. – გრიშაშვილი.“

თავფურცელზე: „მივიღე არჩილისაგან, „სახალხო გაზეთის“ რედაქციიდან. ი. გრიშაშვილი. 3 თებერვალი. 12 წ.“

ფორზაცზე: „1. ნერონის სიმღერა, 204. – ხომლედი არჩევს ამ წიგნს (იხ. „შინაური საქმეები“, 1913 წ., № 6, 7).“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ამ წიგნზე რეცენზია იყო. ჟ. „შინაურ საქმეებში“. ი. გრ.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „დუბ. ი. გრ.“

წ. 2. 1912.

ყდის მე-2 გვერდზე წერია: „უიარალო (1872–1929)“. ამ წარწერის ქვეშ დაწებებული ამონაჭერი გაზეთიდან: „კ. თათარიშვილის ხსოვნას“ მინაწერით: „ი. გრ. „კომ.“, 1929 წ., 12 მაისი. დაკრძალეს 12-ს“.

სარჩევში ხაზგასმულია ავტორთა გვარები და მიწერილია: „ვ. ბარნოვი – გარდაიცვალა 1934 წ. 4 ნოემბ. უიარალო – გარდაიცვალა 1929 წ. 9 მაისს.“

წ. 3. 1916.

ჩასმულია საგანგებო ყდაში, ყუაზე ამოტვიფრულია: „გრდემლი. 3. ი. გრ.“

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილი. 1916 წ. 20 ნოემბ.“

5383–5384. დიდ სტალინს. [ლექსების კრებული]. თბ., 1949.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1949. 20. XII“.

გვ. 9. ალ. აბაშელის ლექსში „მზის დღე“ ხაზგასმულია: „სიმებს ცეცხლს წაუკიდებდი“, მიწერილია: „ი. გრ.“

გვ. 105. რ. მარგიანის ლექსის „ლენინის ქუჩაზე“ პირველ სტროფთან მიწერილია: „ჩემი რითმა“.

გვ. 175. ს. ჩიქოვანის ლექსში „რიცას ტბაზე“ ხაზგასმულია: „თავს გვადგია შენი ჩერო“, მიწერილია: „სტალინს განა ჩერო აქვს?“

წიგნში დევს გაზ. „სტალინელი“-ს 1950 წ. № 103, სადაც აღნიშნულია ტიხონოვის ლექსი „სახლი გორში“.

5385. ერთხმად. ლექსთა კრებული. [თბ.], 1932.

5386. თაიგული 160-ის თავის სხვადასხვა ლექსებისა. შედგ. იმერელი მღვდლის ჩომახიძისაგან. გამოც. 1-ლი. ქუთაისი, 1898.

კანზე: „იშვიათია. ეს წიგნი მხოლოდ ლენინგრადშია! ი. გრ.“, ხაზგასმულია შემდგენლის გვარი და მიწერილია: „[ლუკა]. ი. გრ.“

გვ. 7. ხალხურ ლექსში ხაზგასმულია: „კალამუანის“, მიწერილია: „კალოუბანი? ი. გრ.“

გვ. 22. ლექსის „ჩონგური“ ბოლოს მიწერილია: „აკაკი“.

გვ. 23. უსათაურო ლექსის ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია სიტყვა: „ხუმბლავო“, მიწერილია: „ხურმაო? (ი. გრ.)“.

გვ. 26. ლექსის „დედის დარიგება“ ბოლოს მიწერილია: „გ. ქოჩაკიძე“.

გვ. 56. ლექსის „სიმღერა“ ბოლოს მიწერილია: „თარგმანია სომხურიდან“.

გვ. 65. უსათაურო ლექსის „კეკლუცო და ფრანტო ქალო“ ბოლოს მიწერილია: „რ. ერისთავი“.

გვ. 72. ხაზგასმულია სიტყვა: „ფესტუმალად“, მიწერილია: „ფემტამალი. ი. გრ.“

გვ. 76–77. ლექსების „მუქარა“ და სიმღერა მეომრისა“ ბოლოს მიწერილია: „შოი მღვიმელი“.

გვ. 78. ლექსის „ყანწი“ ბოლოს მიწერილია: „[რ. ერისთავი]“. აქვე მე-2 სტრიქონში ხაზგასმულია: „სტაქნები“, მიწერილია: „მინები“.

5387–5397. თანამედროვე პოეტები. (ლექსები). თბ., 1929.

კანზე: „ი. გრ. 22/II. 1929.“ იქვე: „ჩემი ლექსია“.

გვ. გვ. 3–6 მოთავსებულია ი. გრ. ლექსები.

5398. იერიში. (ქართველ მებრძოლთა ლექსები). შეადგინეს: ლ. ბარამიამ და სხვ. თბ., 1949.

ყდაზე: „ი. გრ. 1947 (sic). 17/VI. გვ. 136“.

გვ. 136. ხაზგასმულია ლექსის ქვესათაური: „ვარდო ფერი რად იცვალე“-ს ხმაზე“, მიწერილია: „ჩემი ლექსიდან. ი. გრ.“

ვ. ბაიადის რეცენზია ამ წიგნზე: „ღაღადი უკვდავებისა“ ამოჭრილი გაზეთიდან. მიწერილია: „ლიტ. და ხელ.“, 1949, № 18, 8 მაისი“.

5399. კომკავშირს. XXX. 1918–1948. [რედ. ს. წვერაგვა]. სოხუმი, 1948.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს. ს. წვერაგვასაგან. 6/XI 48 წ.“

კანზე: „ი. გრ. 1948 წ. 5/XI“ იქვე: „ნაფეხური, 113“.

5400. კოოპერატიულ პიესათა კრებული. ტფ., 1924.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1929. 4/VI“.

5401–5402. კრებული. № 1. ქუთაისი, 1921.

კანზე: „ი. გრ. 1922 წ. 9 ივლისი“. იქვე: „ი. გრიშაშვილზე. გვ. 239, 244“.

თავფურცელზე: „ი. გრ. 9 ივლისი 1922“. იქვე ავტორთა სიაში გადაშლილია: „ზ. ჩხიკვაძე“ და მიწერილია: „ვ. გორგაძე“.

გვ. 314. ს. ხუნდაძის წერილში „ვაჟა-ფშაველას პოეზია“ ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „აკაკის სიკვდილმა ვაჟა ადგილიდან ვერ დასძრა“. ხაზგასმულია: „ბ-ნმა იპ. ვართაგავამ ჟურნ. „განათლება“-ში ვაჟა-ფშაველას პოეზია გაარჩია“, მიწერილია: „ცალკე დაიბეჭდა ეს წერილი“.

გვ. 258. ნ. ბარათაშვილის პოემის სტრიქონებთან:

„რა ხელჰყრის პატივს ნაზი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული“, მიწერილია:  
„სადაც გინდ ვიყო რა მგამა  
ყოფამცა მქონდეს ნებისა?“ შოთა“

წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი, რომელზედაც წერია: „ი. გრიშაშვილს მადლობით ნ. ლორთქიფანიძისაგან“.

5403. ლენინს – ქართველი პოეტები. თბ., 1960.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას სოსო გრიშაშვილის ბიბლიოთეკას. რევაზ მარგიანი. 21 აპრილი. 1960. მწერალთა სასახლე. ლენინისამდი მიძღვნილი საზეიმო სხდომა“.

გვ. 31. ხ. ბერულავას ლექსში „წარვლიან წლები“, ხაზგასმულია: „ხასანბეგურა“ – დახვეული ქართულ ვაზივით“, მიწერილია: „ჩემგან“.

წიგნში დევს გ. ლეონიძის ლექსი „ლენინს“, ამოჭრილი გაზეთიდან, არშიაზე მიწერილია: „ლიტ. გაზეთი“, 1960 წ., № 17, 22 აპრილი“.



5404. ლექსები და ნაწყვეტები. შეკრ. და გამოც. ი. დატებაშვილის-მიერ. ახალ-სენაკი, 1899.

თავფურცელზე: „არ არის სხვაგან. ი. გრ.“

5405. ლექსები და სიმღერები სტალინზე. [კრებული]. თბ., 1939.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1939. 5/X. ჩემი ლექსი გვ. 15.“

გვ. 26. ლ. კვიცინიას ლექსის „ჩემი სტალინი“ ბოლოს მინაწერი: „თარგმანი მ. პატარიძისა (?)“.

გვ. 29. გ. ლეონიძის ლექსის „სტალინს“ მე-2-3 სტროფების გასწვრივ მიწერილია: „ა. ახნაზ. ქადაგიძე. საიათნოვა“.

გვ. 30. ამავე ლექსში ხაზგასმულია: „რამ გთალა“, მიწერილია: „ა. ახნაზ.“ ხაზგასმულია: „მშიერს ჰქონდა ხმიადი“, მიწერილია: „მშიერს ხმიადი?“

გვ. 67. გ. ლეონიძის პოემაში „ბავშვობა და ყრმობა“ ხაზგასმულია: „პატარაა, რას არ ჰბედავს“, გასწვრივ წერია: „ლექსიდან „უეჭველია!?!“

გვ. 77. ამავე პოემაში აღნიშნულია მე-3 სტროფი, მიწერილია: „ამ ლექსში რითმა არ არის, რუსულად კარგი გამოვა“.

გვ. 83. ამავე პოემიდან მოხაზულია მეტივის სიმღერის 3 სტროფი, მიწერილია: „პეპოს სიმღერა?“

5406. ლექსთა კრებული. გორი. 1914.

კანზე: „ი. გრ. გვ. 38.“

აღნიშნულ გვერდზე დაბეჭდილია ი. გრ. ლექსი.

5407. ლიტერატურული აღმანახი. საქ. ღარიბკომთან არსებულ კულტ-ბაზის ორგანო. ტფ., 1933.

კანზე: „ი. გრ. 1934“.

სათაურთან მიწერილია: „ებრაელების“.

5408–5409. ლიტერატურული აჭარისტანი. კრებული. ბათუმი, 1934.

კანზე: „ი. გრ. 1934. 22/IX.“

5410. ლიტერატურული კოლხიდა. მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული. ფოთი, 1948.

კანზე: „ჩემის რედაქტორობით ი. გრ. 1948. 26 თებერვალი“. იქვე: „გვ. 11, ჩემზე; გვ. 14, გასწორებ.“

გვ. 14. ლექსში „შოთა შურდიას“ 1-ლ სტროფში სიტყვა „სახის“ ხაზგასმულია, მიწერილია: „სიტყვის“. კანის მე-3 გვერდზე გაზეთიდან ამოჭრილი ამ წიგნის მოკლე მიმოხილვა მინაწერით: „ახ. კომ.“, 1948, № 37, 25/III“.

5411. მეზობლთა ლექსები. კრებულისათვის ლექსები შეარჩია და დასაბეჭდად გაამზადა. ა. ადამიამ. თბ., 1945.

კანზე: „ი. გრ. 1946-20-II“.

5412–5413. მერანი. [კრებული]. თბ., 1916.

კანზე: „აქ ჩემი ლექსია და ჩემ მიერ აღმოჩენილი – ა. ყაზბეგის მოთხრობა, გვ. 5, და 110–116“.

თავფურცელზე: „1916 წ. 10 მაისი. ი. გრ.“

გვ. 30. ამონაჭერი გაზეთიდან, ტრაგედია „ბერდოზმანია“-ში მონაწილე მსახიობთა გვარებით.

5414. მეფე ერეკლეს სახსოვარი. 1978- $\frac{11}{I}$ -1898. კრებული [ტფ., 1898].

კანის მე-2 გვერდზე:

„ბატონიშვილი ირაკლი  
ჩვენი პატარა კახია,  
ჯაჭვის პერანგი ჩააცვს,  
გაჰკრა ხელი და გახია. (ხალხური).  
საქრისტიანოს გულისთვის  
ირაკლიმ ხმალი აიღო. (ხალხური)“.

წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „პოემა მეფე ერეკლეზე. 1. კაკაბაძეს წერილი („შვიდი მნათობი.)“ 2. ჩემი ა. ჭ-ძე“.

5415. მზე შინა. მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტ. წრის ლიტ.-მხატვრ. კრებული. რუსთავი, 1961.

5416. მზრუნველობა სამშობლოს დამცველთა ოჯახებისადმი. [მოთხრობები]. თბ., 1945.

5417. მოთხრობები „მომზე“-დან. [თბ.].

აკინძულია წიგნად ი. გრ. მიერ შემდეგ ავტორთა ნაწარმოებები: ვაჟა-ფშაველა, ი. ევდომილი, დუტუ მეგრელი, განდებილი [დომინიკა ერისთავი], იპ. ვართაგავა, პავლე ყიფიანი, კი არა, დროებით განჯელი, \* \* \*,?, სიკო, ა. ნადირაძე, პელაგიაშვილი [ალ. მიქაბერიძე] სა[ალ. ციმაკურიძე], ლ. ა. [ნ. ლომოური], თ-ლი [კონდ. თათარიშვილი].

5418. მონადირის წიგნი, თბ., 1962.

5419. მშვიდობის მტრედი. ახალგაზრდა პოეტების კრებული. ბათუმი, 1951.

თავფურცელთან ვ. გოგოლაძის რეცენზია წინამდებარე კრებულზე, ამოჭრილი გაზეთიდან. არშიაზე მიწერილია: „საბჭოთა აჭარა“, 1951 წ., № 258, 30 დეკემბ.“

წიგნში დევს შოთა როყვას ლექსები ამოჭრილი გაზეთიდან. არშიაზე: „საბჭოთა აჭარა“, 1951 წ., 27 ნოემბ.“

5420. მწყემსის მეგობარი. (მხატვრ. კრებული). შემდეგ. ი. ახვლედიანი. თბ., 1949.

ყდაზე: „ი. გრ. ჩემი ლექსები. გვ. 15, 17“.

5421. მხატვრული სიტყვა. [კრებული]. შემდგ. კ. ჭანტურიშვილი. თბ., 1951.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1952, 8 მაისი. ეთერი“.

გვ. 323. დ. ცვარნამის ლექსის „ქართველი მსახიობის“ ბოლოს წერია „შალვა დადიანის საღამოზე გასაღდა შ. დადიანის სახელით. 1954. 25/X.“

გაზეთიდან ამონაჭერი ზ. მაცაშვილის წერილი „უპასუხისმგებლოდ შედგენილი კრებული“, მინაწერით: „კომ.“, 1952, № 137, 11 ივნისი“.

5422-5423. ნიავი. (სალიტერატურო კრებული). თბ., წიგნად აკინძულია ი. გრ. მიერ.

თავფურცელზე წერია: „ერთადერთი ეგზემპლარი. ი. გრიშაშვილის საკუთრება. ნიავი-(სალიტერატურო კრებული). კ. თუმანიშვილის გამოცემა. 1908 წ. ეს წიგნი აკრძალულ იქმნა 1908 წელს და სულ არ გამოსულა გასასყიდად. მე შევიძინე ცალკე ფურცლებად ასოთამწყობ დ. კილაძის შემწეობით. ი. გრ.“

თავფურცელზე დამაგრებულია ქალაქის ნაჭრები მინაწერით: „1. „ამ „ნიავეზე“ იხ. ოხუნჯობა გ. ახალციხელისა ვ. გუნიას აღმანახ „ძალაში“ (რედაქტორად მე ვწერივარ) 1909 წ., № 6, გვ. 6. 2. ამ აღმანახზე იხ. „საჯარო ბიბლ. შრომები“. ტ. III, გვ. 191, 196.

წერილები (თედო რაზიკაშვილისადმი). 3. იხ. აგრეთვე შიო არაგვისპირელის მოთხრობები. სახელგამი, 19... თედო სახოკიას შენიშვნა „მიჯაჭვულ ამირანზე“, 4. ხრონიკა დაიბეჭდა ჟურნალ „ნიავეზე“, იხ. შინაარსი გაზეთში ახალ ამბათ. (იხ. „ამირანი“, 1908, № 172) თავდება „სოფელში“. „დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა“-ო კრებული „ნიავი“.

გვ. 68. ხაზგასმულია: „მღერის „სულიკოდან: „მტერს ვაი დედა ვამახოთ, ჩვენ-კი ვთქვათ დელა-დელო“, მიწერილია: „თუ „ნათელადან“ ი. გრ.

გვ. 147. ხაზგასმულია: „გამიმწარაო!“ მიწერილია: „გამიმწარია (ს. აბაშელი)“.

ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „ქართული კლუბი. 1917 წელს 30 ნოემბ. პირველად ახალი პიესა „ხულიგნები“ დრ. 4 მოქ. სვ. ყიფიანისა. რეჟ. შალიკაშვილი. იხ. განცხადება „საქართ.“, 1917, № 263“.

მეორე ცალის პირველ გვერდზე წარწერა: „ალმანახი „ნიავი“ არ გამოსულა გასასყიდად. აკრძალეს. ი. გრ.“

გვ. 288. ტექსტის ბოლოს: „არ დასრულებულა. ი. გრ.“

5424–5428. „ნიშადურის“ კრებული № 1. თბ., 1907.

თავფურცელზე: „ნარკანის ნაქონი ეგზემპლარი, – ნარკანს თავისი ნაწერი არ გაუსწორებია, ი. გრ. 1955. 12/VIII“.

კანზე: „ნარკანის ნაქონი!“

გვ. 14–19. დაბეჭდილია ნარკანის – „შენც!“ (ფიქრები ილიას საფლავზე)“. გასწორებულია მისივე ხელით მრავალი სიტყვა, წინადადება. თანდართული ლექსი.

მეორე ცალის გვ. 4. ხაზგასმულია: „სპ. ჩიტორელიძე“ და მიწერილია: „ჩიტორელიძე მიხილ ყიფიანი იყო და არა ჭავჭავაძე“.

მესამე ცალის თავფურცელზე და 79-ე გვ. ბეჭედი: „წ. კ. ს. ბიბლიოთეკა და სამკითველო ავლაბარში“.

5429. ოცი წელი. მხატვრული კრებული [მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისადმი]. თბ., 1941.

5430–5431. ოსმალეთის და გერმანიის ჩხუბი და სხვა ლექსები. ქუთაისი, 1915.

კანზე: „ეს არ არის „ქართ. წიგნში“. ი. გრ.“

გვ. 14. ლექსს „ჩემი პირველი სიყვარული“ მიწერილი აქვს: „ეს ჩემი პირველი ლექსთაგანია. ი. გრ. იხ. „ნიშ.“ 1907 წ. „ნიშადურიდან“ აუღია ჩემი ორი ლექსი. 17 წლის ვიყავ. ი. გრ.“

5432–5433. პანთეონი ქართული თეატრისა. გამოც. ვ. ა. აბაშიძისა. წ. 1. ტფ., 1894.

თავფურცელზე, მე-5, 27, 29, 55, 57 და მე-100 გვერდებზე ბეჭედი: „Суфлиор Иосиф Г. Мамуловъ.“

გვ. 3. ვოდვეილთან „იჭვიანი“ დაბეჭდილია: „გადმოკეთ. თ. რაფ. ერისთავის მიერ“. მიწერილია: „ვისგან?“

გვ. 27. ვოდვეილთან „ბნელ ოთახში“. გადმოკეთებული გ. ჩიქოვანის-მიერ“, მიწერილია: „(რუდისლავსკისა)“ ქვევით: „ანუ- „პურზედ და წყალზე“.

გვ. 55. ვოდვეილთან „ახირებულია ანუ ცოლი ორის დღითა“ რუს. ნათარგმნი ნ. ბ. ყიფიანის-მიერ“, მიწერილია: „რაზსულოვისა“.

გვ. 103. ხაზგასმულია: „პოტეხინი“, მიწერილია: „პოეტეხინი“. დაბეჭდილია: „დათვი“ – ვოდვე. 1 მოქმედ. მიწერილია: „ჩეხოვისა“.

გვ. 104. წიგნის ბოლო მიწერილია: „ამ წიგნს გარეკანზე ჰქონდა განცხადება მეორე წიგნში დაიბეჭდება 1. „დატრიალდა ჯარა“.

წიგნში ქალაქის ნაჭერი მინაწერით: „პანთეონის II წიგნიც უნდა გამოსულიყო. გარეკანზე წერია, რომ იქ დაიბეჭდებოდა, 1. „დატრიალდა ჯარა“ კ. ყიფიანის. 2. „აყალმაყალი ცოლქმარშუა“ გად. ა. ჭიჭინაძის. 3. „ცელქები“, კომ. ერთ მოქმ. გად. ე. ნიკოლაძისა (ჭიჭინაძისა).“

5434. პატარა ბიბლიოთეკა. [კრებული]. თბ., [1898].

5435. პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა. ქუთაისი, 1896.

გვ. 4. ლექსის „სიმღერა“ ბოლოს ხაზგასმულია: „მამია გურიელი“, მიწერილია: „თუ ი. ბაქრაძისა. ი. გრ.“

გვ. 19. ლექსის „აკაკის“ ბოლოს ავტორის სახელთან „გრიშა“ მიწერილია: „[აბაშიძე]. ი. გრ.“

გვ. 20. ლექსის „ნეტა რას ნაღვლობ...“ ბოლოს ფსევდონიმთან „ზაყელი“ მიწერილია: „[შიო მღვიმელი].“

5436–5444. პატარა ჩონგური. [ლექსების კრებული]. ტფ., 1903.

გვ. 7. ს. გუგუნავას ლექსის ბოლოს წერია: „სრული იხ. „რაჭა“ ს. მერკვ.“.

5445. პიესათა კრებული. ახალგ. კავშირის და მუშათა ახალგაზრდობის კლუბებისათვის. თბ., 1923.

546. პიესები. გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის. კრებული. [თბ.], 1933.

თავფურცელზე წარწერა: „მიეცეს და მიემატოს სოსოს. გუგული. 7/X.“

5457. საბჭოთა აჭარა. მხატვრული კრებული ტფ., 1929. [კანზე: 1930].

5448. პიესების კრებული. თბ., 1949.

5449–5451. პოემების კრებული. „აჩრდილი“ ილ. ჭავჭავაძისა. „მომაკვდავის ჩვენება“ ა. წერეთლისა. „იმედი“ ვ. ორბელიანისა. ტფ., 1898.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს გ. მსხილაძისაგან. 5/XII 54 წ.“

5452. რიონჰესი ლექსებში. [კრებული. ქუთაისი, 1933].

5453–5454. რჩეული ლექსები ახალგაზრდა მწერლებისა. – თავგანწირული ექიმი. მოთხრობა დ. კამკამიძისა. თბ., 1900.

5455. საამდროვო სიმღერები. თბ., 1908.

5456. სააღდგომო საჩუქარი. კრებული. თფ., 1911.

კანზე: „აქ არის „ტუფლები“.

5457. საბჭოთა აჭარა. მხატვრული კრებული. ბათუმი, 1936.

5458. საბჭოთა საქართველოს. [ლექსების კრებული]. თბ., 1961.

5459. საბჭოთა უკრაინას ქართველი მწერლები. თბ., 1954.

სუპერზე: „ი. გრ. 1954. 2/V.“ იქვე: „გვ. 149.“

5460–5462. სადღეგრძელოები. [ლექსები]. ტფ., 1898.

კანზე: „აქ ლექსებია: „ალავერდი“. ი. გრ.“

5463. სალამურები. [ლექსები]. თბ., 1946.

ყდაზე: „აქ შ. აფხაიძის წერილი ჩავაკარი. ი. გრ.“

შ. აფხაიძის რეცენზია „ახალგაზრდათა საიმედო პოეტური ხმა“ ამოჭრილი გაზ. „ახ. კომუნისტიდან“. არშიაზე მიწერილია: „14 ნოემბ. 1946 წ., № 137“. აქვე მეორე ამონაჭერი: „სალამურების“ საჯარო განხილვა“ მინაწერით: „1946, 1 დეკემბ.“

5464. სალამური ანუ ლექსთა კრება ქართველთ მწერალთა. ტფ., 1877.  
 ფორზაცზე: „ვახტანგ მგელ-ლომი“, 19.“  
 ფორზაცზე, თავფურცელსა და მე-15 გვერდზე ბეჭედი: „Тифлисская 2-я мужская прогимназия.“
- გვ. 7. ა. წერეთლის ლექსში „შიქასტა“ ხაზგასმულია სიტყვა: „მწუხარება“, მიწერილია: „მდულარება“. ხაზგასმულია: „რომ გამოსცნოს სიყვარული“, მიწერილია: „ნახოს კერძო სიყვარული“. ხაზგასმულია: „რუქას“, მიწერილია: „ტანჯვას“. ხაზგასმულია მე-4 სტრიქონი, მიწერილია: „გრძელ მოთხრობას გულის დამწველს“.
- გვ. 8. ლექსის „შიქასტის“ ბოლოს ავტორის გვარის შემდეგ წერია: „იხ. I ტ., გვ. 38“ სქოლიოში მიწერილია: „აკაკის „შიქასტა“ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1863 წ. მაისი“. ლექსის დაწერის თარიღის შემდეგ წერია: „იხ. „ჩონგური“ (ვ. ლორთქ.), 1864, აპრილი“.
- გვ. 24. უსათაურო ლექსში ხაზგასმულია: „პარტყუნმა“, მიწერილია: „პიანინო? ი. გრ.“  
 5465. სალამური ანუ ლექსთა კრება. თბ., 1882.  
 წიგნი ჩასმულია ყდაში.  
 თავფურცელზე ბეჭედი: „საქართვე. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმის ბიბლიოთეკა“.
- გვ. 27. ლექსის „ჩვენს პოეტს აკაკის“ ბოლოს ავტორის კრიპტონიმს „ს. ბა-ძე“ მიწერილი აქვს: „ი. ბაქრაძე? სოსიკო. ი. გრ.“
5466. სამგორი. ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები. თბ., 1953.  
 5467. სამშობლო. მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული. თბ., 1946.  
 ფორზაცზე: „ი. გრ. 1946. 25/II“. იქვე: „საბაშვო კრებულ „თაიგულის“ გარჩევა დაიბეჭდა „საბჭ. აფხაზეთში“, 1946 წ., № 116, 13 ივნისს. ფსევდ. ხ. ოდიშელი (ხუტა ბერულავა). ი. გრ.“
- 5468–5469. სამშობლო და გმირები. ლექსების კრებული. თბ., 1943.  
 კანზე: „ი. გრ. 1943. 25. II. ჩემი ლექსი, გვ. 13.“
- 5470–5472. სამშობლოსათვის, სტალინისათვის! [ქართველ მწერალთა ნაწარმოებების კრებული. წ. 1–3]. თბ., 1941–1943.  
 წ. 1. 1941.  
 კანზე: „ი. გრ. 1941. 20/VIII“. აქვე ამონაჭერი გაზეთიდან ბ. ჟღენტის სარეცენზიო წერილი მინაწერით არშიაზე: „ლიტ. საქართ.“, 1941, № 39, 26 სექტ.“
- წ. 2. 1941.  
 ამონაჭერი გაზეთიდან: „Ю. Долидзе. „За родину, за Сталина!“ მინაწერით: „Заря В.“ 1942, № 3, იანვ.“
- წ. 3. 1943.  
 თავფურცელზე: „ი. გრ. 1943. 25 თებ. მწერალთა სასახლე“.  
 კანზე: „ჩემი სამი ლექსი, გვ. 31.“
- გვ. 18–19. მ. ბარათაშვილის ლექსში „მომიხვალ, მჯერა!“ ბოლო სტროფის წინ მინაწერი: „აკლია ერთი ხანა“. ლექსის ბოლოს: „კარგი ლექსია. ი. გრ. 1943. 26/II.“
- გვ. 55. ამ გვერდზე და შემდგომ გვერდებზე დაბეჭდილ გ. ლეონიძის ლექსებს შეეხება მინაწერი: „ეს სამი ლექსი იხ. „კომ.“, 1943, № 10, 18 თებ.“
- გვ. 60. ა. მამაშვილის ლექსის „ორი თებერვალი“ გასწვრივ: „კომ.“, 1943, № 38, 16 თებ.“

- გვ. 46–47. გაზეთიდან ამოჭრილი იასამანის ლექსი „ხარკოვს“ მინაწერით: „კომ.“, 1943, № 42, 20 თებ.“
- 5473–5475. სამწერლო თაიგული. გამოცემა ილია ჭყონიასაგან. წ. 1. თბ., 1880.
- გვ. 253. ლექსის „მტარვალეზს“ მეოთხე სტროფს მიწერილი აქვს: „მარტის თვე“.
- მეორე ცალის თავფურცელზე: „სუტ-ვაჭარი, გვ. 20; აუგი ი. ჭ-ზე – 247“.
5476. სამშობლოს საგუმაგოზე. ლექსები და მოთხრობები. [კრებული. მიძღვნილი საქართველოს ოლქის საზღვრის ჯარებისადმი]. თბ., 1951.
- ყდაზე: „აქ ჩემი ლექსებია“.
5477. სამშობლოს სადღეგრძელოდ. [ლექსებისა და მოთხრობების კრებული]. ბათუმი, 1944.
5478. სანაპირო. [კრებული]. ბათუმი, 1928.
- თავფურცელზე „პარმენ ობოლი“-ის გვერდით მიწერილია: „პ. ლორია.“
- კანის მე-4 გვ. ჩამოწერილია: „პაოლო იაშვილი. ა. შანშიაშვილი. ტ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი. 1928 წ., 2 მაისი, ბათუმი“.
5479. საქართველოს პოეტები ესპანეთის ხალხს. ტფ., 1936.
- კანზე: „ი. გრ. 1936. 22/X“.
- გვ. 17. დარია ახვლედიანის ლექსს „ესპანელ გმირ ქალებს“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მთლიანად დაიბეჭდა „მშრომელ ქალში“ 1936, № 10. აქ შემოკლებულია“.
- გვ. 27. პ. იაშვილის ლექსის „წინ ესპანეთის გმირულ ხალხო!“ ბოლოს მიწერილია: „კომ.“, 1936, № 203, 2 სექტ.“
- ბოლოში ჩაკრულია: 1. გაზეთ „ლიტ. საქართველოს“ 1937 წ. № 1-დან ამოჭრილი ბ. ჟღენტის რეცენზია „ერთფეროვნების წინააღმდეგ“. 2. გაზეთ „Известия“-ს 1936 წ. № 225-დან ამოჭრილი ი. ერენბურგის წერილი „Против пошлости“. აქვე ჩადებულია გაზეთი „ლენინური გზით“, 1939 წ. № 11.
5480. საყოველთაო თამადა. თბ., გამოც. „მე-ისა“, № 1, 1907.
- კანზე: „ტერაბელა – სუქიასოვია“.
5481. სახალხო რევოლუციონური სიმღერები, მარსელიოზი და გმირ არსენ ჯორჯიაშვილის ხსოვნას. [ქ. ა.], 1919.
- თავფურცელზე ბეჭედი: „აქიმი იოსებ ასლანიშვილი“. იქვე: „ვახტანგ ასლანიშვილი“.
- თავფურცელზე: „არ არის აწერილი, მომცა სოსო ასლანიშვილმა. ი. გრ.“
- 5482–5486. სიმღერა გამარჯვებისა. [ლექსების კრებული]. თბ., 1941
- კანზე: „ი. გრ. 1941. 22/VII“.
- გაზეთიდან ამოჭრილი შ. დადიანის რეცენზია „სიმღერა გამარჯვებისა“, მიწერილია: „ლიტ. საქართ.“, 1942, 28 თებ.“
5487. სიტყვა ტრიბუნიდან. პროლეტ. მწერლების ნაწარმოებთა კრებული, პოეზია, პროზა. კრიტიკა. ბათუმი, 1928.
- კანსა და თავფურცელზე: „ი. გრ. 1928. 27. VII. (ივლისი) ბათუმი“.
- კანზე: „გვ. 88“. ტექსტში აღნიშნულ გვერდზე მოხაზულია აბზაცი, რომელიც ეხება ი. გრიშაშვილს.
- გვ. 43. ლექსის „კომკავშირული“, არშიაზე მიწერილია: „არა უშავს...?“
- გვ. 45. ლექსის „ლენინელები“ სათაურთან მიწერილია: „ნ. ჩხიკვაძეს ჰგავს.“

გვ. 61. ტექსტის ბოლოს ავტორის გვართან „ბ. თადუმაძე“ მიწერილია: („ბარნაბა მაიაშვილი). ავტორი ლექსების წიგნისა „პროლეტარი“.

გვ. 62. მოთხრობაში: „შეხვედრა“ ხაზგასმულია: „უმზო-უდარო“. არშიაზე: „უმზო-უმზეო“.

გაზეთიდან ამოჭრილი ვ. ლუარსამიძის რეცენზია ამ კრებულზე მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“. 1928, № 175, 28 აგვისტო.“

კანის მეოთხე გვერდზე წერია: „სურათები არ უნდოდა. – თ. ლეჟავა. – გრ. გრ.-ს პროზა კარგია. – ნ. იმედაშვი. – გრ. შავიშვი. – ართილაყვა. – თადუმაძე. – გვ. 65 თარგმანების ავტორი? – რატომ ამათი სურათი არ არის: 1. მ. შენგელაია და 2. ლ. შარაშიძე“.

5488. სტალინის. ლექსთა კრებული. [თბ.], 1944.

გვ. 43. ი. გრიშაშვილის ლექსში „სტალინგრადის გმირებს“ ბოლო სტროფში გასწორებულია სიტყვა: „გულგაღებული“, წერია: „გულგაღელილი“.

5489. სტალინის. [ლექსების კრებული]. თბ., 1946.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1946. 25. II“.

5490. სტალინურ თაობას ქართველი მწერლები. კომკავშირის XX წლისთავის საიუბილეო კრებული. თბ., 1938.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1938. 11/XI“.

5491. სტალინური თაობა. [ლექსები კრებული]. ბათუმი, 1938.

5492. სხივი. ლექსთა კრება სხვადასხვა მწერალთა. შეკრებ. და გამოც. მინა გოგაძის მიერ. თბ., 1905.

კანზე: „ცალხელის ლექსი, გვ. 8; აკაკის ლექ., 32“.

გვ. 32. ხაზგასმულია ავტორი: „აკაკი“, მიწერილია: „ივერია“, 1905, № 3.“

5493. სხივი. (ლიტ.-მხატვრ. კრებული). ქუთაისი, 1916.

თავფურცელზე: „ი. გრიშ. ტფილისი. 22/II. 16 წელი“.

5494–5496. ტალღები. [ლექსთა კრებული]. ტფ., 1905.

კანზე: „ი. გრ. ბეგლარას გამომცემლობა. მისი ლექსებიცაა!“

5497. უკვდავი ძმობა. [ქართველი პოეტების ლექსები რუსეთზე.]. თბ., 1959.

5498–5499. ქართველ დარამატურგთა პიესები. თბ., 1959.

5500. ქართველი მეომრები. [მხატვრული კრებული. რედ. გ. ლომიძე. [მოსკოვი], 1944.

თავფურცელზე წარწერა: „ძველი თბილისის მგზნებარე მგოსანს სოსო გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით, რედაქტორისაგან. მოსკოვი, 13/V. 44 .

5501–5502. ქართველ მწერალ ქალთა სამხატვრო სალიტერატურო აღმანახი. 1–2. ტფ., 1925–1926.

წ. 1. 1925.

კანზე: „ტბა, 1925 წ., 6 აგვისტო. ი. გრ.“

გვ. 11. საფო მგელაძის მოთხრობაში „ნანა“ ხაზგასმულია: „შუბლს, შუბლს ჭკვიანი ნაოჭებით დაღარულს“ და მიწერილი არშიაზე: „მარიჯანისა“. ხაზგასმულია: „ან ყველაფერს, ან არაფერს“, მიწერილია: „ბრანდ“.

გვ. 63. ევ. მესხის მოთხრობას „დედის“ სულისკვეთება“ სათაურის წინ მიწერილი აქვს: „ბ. მჭედლიძის გადმოცემით ეს თარგმნილი ყოფილა რუსულ ჟურნალ „Нева“-დან.

გვ. 82. ნინო ტყემელაშვილის მოთხრობაში „ჯადოსნური სალამური“ ხაზგასმულია: „როდესაც ის ამაყად პაწაწა ფეხებს გადადგამდა, ფარშავანგი მას ბაძავდა“, არშიაზე მიწერილია: „ფარშევანგზე ცუდი ფეხები ვისა აქვს? ამაზე ლეგენდაც არსებობს!“.

გვ. 88. თ. ჯაფ-ისას მოთხრობაში „შემოდგომის ფიქრები“ სიტყვა „გავს“ შეცვლილია სიტყვით „სჩანს“.

გვ. 124. ფუჩინას რეცენზიაში კ. ბურჯანაძის და ტ. ზაალიშვილის „ცუგრუმელებზე“ პირველ აბზაცში ხაზგასმულია: „დამაცადე“, მიწერილია: „მაცალე?“.

წ. 2. 1926.

თავფურცელზე წარწერა: „გრიშაშვილს... ჩემს – არ ვასახელებ. ქვეყანამ იცის რაც ხარ, იყავი და იქნები მარადათ ჩემთვის. მარიჯან. 1926 წ. 29 XI.“ იქვე: „ი. გრ. 1926. 29 XI“.

გაზეთიდან ამოჭრილ „პლებების ქალის“ რეცენზია ალამანახის მეორე წიგნზე. მიწერილია: „კომ.“, 1927, № 2, 4 იანვ.

5503. ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. თბ., 1959.

5504. ქართველი მწერლები. ვასილ ბარნოვი. მიმქრალი შარავანდედი. [ისტ. რომანი]. აღ. შანშიაშვილი. უგვირგვინო მეფენი. [დრამა 5 მოქმ.]. ტფ., 1914.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს სანდროსაგან 1914 IX 9.“ იქვე: „გამოტოვებული ადგილი. გვ. 17. აღვადგინე. ი. გრ.“

გვ. 17. არშიაზე მიწერილია: „აღდგენილია სხვა ტომში (ტ. II, 1920, გვ. 89)“. აქვე ჩაკრულია „სახალხო გაზეთიდან“ ამოჭრილი ეს გამოტოვებული ადგილი.

5505. ქართველი მწერლები პოლონეთს. [ლექსები და მოთხრობები]. თბ., 1959.

5506. ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს. [ლექსები. თბ., 1941].

ფორზაცზე: „ი. გრ. 1941. 23/II“. იქვე: „ჩემი ლექსები გვ. 7 და 8. ი. გრ.“

გვ. 6. გ. ტაბიძის ავტოგრაფი: „გალაკტიონ ტაბიძე. 1941 23 თებერვალი“ მიწერილი აქვს ლექსს „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

გვ. 294. ს. ჩიქოვანის ავტოგრაფი: „სიმონ ჩიქოვანი. 1941. თებერვალი“ მიწერილია მის ლექსთან „როშკის მოთავე“.

გვ. 296. ი. აბაშიძის ავტოგრაფი: „ირაკლი აბაშიძე“ მიწერილია მის ლექსთან „ქანდაკება მთაწმინდაზე“.

5507. ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ. შემდგ. ვანო შადური. თბ., 1962.

5508. ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს. თბ., 1937.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1938. 3. I. მე, გვ. 29“.

გვ. 30. ი. გრიშაშვილის ლექსის „შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში“ დასასრულს მიწერილია: „(კომუნისტი“, 1937 წ. №). P. S. კიდევ მქონდა შოთაზე ლექსი „ვეფხისტყაოსანი და ჭიაკოკონა“ („კომუნისტი“, 1938, № 1) „მაიკო ორბელიანის ვ.-ტყაოსანი“ („ლიტ. საქართ.“, 1937. დეკემბ.)“.

ჩადებულია რვეულის კანში გახვეული გაზეთის ამონაჭრები. კანზე წერია: „ლექსები, რომლებიც ამ წიგნში არ არის. ი. გრ.“ სხვადასხვა გაზეთებიდან ამოჭრილია შემდეგი ლექსები: 1. გრ. ცეცხლაძე. შოთას. 2. გ. ქუჩიშვილი. რუსთაველისადმი. 3. ი. ვაკელი. შოთა რუსთაველს. 4. მ. ვარშანიძე. შოთას. 5. ი. სელვინსკი. რუსთაველს. 6. ლ. მეგრელიძე. შოთას ხეივანში. 7. ს. ისიანი. რუსთაველი კრემლში. 8. გ. ნაფეტვარიძე, რუსთაველი. 9. ი. სუჯაშვილი, შოთა რუსთაველს. 10. ლადო თერგი. შოთას. 11. ა. რეხვიაშვილი. უკვდავ რუსთაველს. 12. ს. შანშიაშვილი. სიტყვა შოთას. 13. გ. ლეონიძე.



ვეფხის-ტყაოსანს. 14. ვ. გაბესკირია. „ვეფხისტყაოსნის“ გარდარჩენა. 15. მ. მრევილიშვილი. ვეფხის-ტყაოსანი. 16. ვ. გვეტაძე. სიმღერა რუსთაველზე. 17. ს. ახვლედიანი. რუსთაველისადმი. 18. გ. გიასელი. რუსთაველის სურათთან. 19. ი. ბეროშვილი. შოთას. 20. შ. ზაქარიაძე. შოთა რუსთაველს. 21. ალ. ბეგაშვილი. დიდო მგოსანო. 22. დ. გაჩეჩილაძე. რუსთაველის გარდახვეწა. 23. გ. გიასელი. შოთა რუსთაველი საკონცერტო დარბაზში. 24. ი. მჭედლიშვილი. რუსთაველისადმი. 25. დ. ურჯუმელაშვილი. რუსთაველს. 26. კ. ცეცხლაძე. შოთას ძეგლს. 27. შ. ჩარკვიანი. რუსთაველს. 28. მ. მიქელაძე. შეხვედრა შოთასთან. 29. ნ. ელიოზიშვილი. შოთა რუსთაველს. 30. გ. უკლება. უკვდავ მგოსანს. 31. ალ. ბეგაშვილი. დიდ შოთას. 32. ვ. კირაკოზოვი. შოთა რუსთაველს. 33. კ. ჭიჭინაძე. რუსთაველისადმი. 34. ი. გრიშაშვილი. წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან. 35. გ. კაჭახიძე. შოთა რუსთაველს.

ფორზაცთან გაზ. „წითელარმიელის“ 1937 წ. 31 დეკემბრის ნომერი. არშიაზე: „შოთა“.

აქვე სამი რეცენზია წინამდებარე წიგნზე, ამოჭრილი გაზეთებიდან: 1. გ. ნარიძისა მინაწერით: „მუშა“, 1938, 5 იანვ.“ აქვე გახსნილია ფსევდონიმი „გ. ნარიძე – “გრ. ნუცუბიძე“. 2. დ. ფანჩულიძისა მინაწერით: „კომუნისტი“, 1938 წ., № 38, 16 თებ.“ 3. ანონიმური რეცენზია. წყარო მითითებული არ არის.

5509. ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს. [კრებული]. თბ., 1966.

5510. ქართველი პოეტები მოსკოვს. [ლექსები]. თბ., 1947.

კანზე: „ი. გრ. 1947. 9/XII. შ. დემეტრაძესაგან“.

5511–5512. ქართველი პოეტები ქუთაისს. [კრებული]. თბ., 1947.

ფორზაცზე წარწერა: „ქართული კულტურისა და ლიტერატურის კეთილშობილ მოამაგეს, ქართველი ხალხის ნიჭიერ მომღერალს, ჩემს ძვირფას უფროს მეგობარს – სოსო გრიშაშვილს – მარად მოსაგონარად ვუგზავნი ამ წიგნს საქართველოს მეორე დედა-ქალაქის მუდამ სამახსოვროდ. გ. სამხარაძე. 4/XII. 47 წელი. იმერეთი.“

ყდის მე-2 გვერდზე: „გამისწორეს. გავასწორე. გვ. 20. ი. გრ.“

გვ. 20. შესწორებულია ლექსი „სონეტი ქუთაისს“ და ბოლოს მიწერილია: „იხ. ჩემი II ტ., გვ. 98, 1917 წ.“

5513–5515. ქართველი პოეტები წითელ არმიას. [კრებული]. თბ., 1942.

კანზე: „ჩემს ბიბლიოთეკას. ი. გრ. 1942. 24 თებ.“ იქვე: „გვ. 8.“ აღნიშნულ გვერდზე დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის ლექსი.

გაზეთიდან ამოჭრილი რეცენზია წინამდებარე წიგნზე მინაწერით: „კომუნისტი“, 1942, 4 მარტი“.

5516–5517. ქართველი პოეტების რჩეული ლექსები. წიგნი მე-2. ტფ., 1904.

კანზე წარწერა: „გრიშაშვილს, ქიქოძესაგან“. მინაწერი: „(სამ. ფირცხალავას რედაქციით)“.

თავფურცელზე: „ტფილისი. 12 ივნისი. 1914 წ. [შედგენილი სამსონ ფირცხალავას მიერ] ი. გრ.“

გვ. 4. ხაზგასმულია: „(ა. ჭ-ძე) 13 წლისა ჩამოვიდა ტფილისში“... და მიწერილია კითხვის ნიშანი.

გვ. 106. ხაზგასმულია ი. კერესელიძის ლექსთა კრებულის გამოცემის წელი „1878“. მიწერილია: „ამაზე ადრე გამოვიდა, 1859 წ. ი. გრ.“

გვ. 110 ივ. კერესელიძის ლექსთან „ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ“ მიწერილია: „აკაკის აქვს ასე დაწყობილი ლექსი“.

5518. ქართული ლექსები და სიმღერები. სტალინზე. ტფ., 1937.

შმუცტიტულზე: „ი. გრ. 1937. 20/V“.

წიგნის ბოლო გვერდზე მოხაზულია გამფორმებელ მხატვართა გვარები და მიწერილია: „ვისი რომელია?“

წიგნში დევს ტ. ტაბიძის ლექსის თარგმანი „Колхозная здравица Сталину“, ამოჭრილი ჟურნ. „Огонек“-ის 1937 წ. № 12-დან.“

5519. ქართული მწერლობის ანთოლოგია. ქუთაისი, 1936.

ყდაზე: „ჩემი ორი ლექსი. გვ. 76“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1936. 6/VIII“.

გვ. 215. ხაზგასმულია რითმები: „განდაგანა – განა?“ მიწერილია: „ჩემგან, იხ. „ლამაზი სიკვდილი“ და „ლატარიისთვ.“

გაზეთიდან ამოჭრილი „პატარა ფელეტონი. ფიქრები „ქართული მწერლობის ანთოლოგიაზე“, ხელმოწერილი „შენი ოლიფანტე“, არშიაზე მიწერილია: „საბჭოთა აჭარა“, 1936, № 236, 14 ოქტ.“

5520–5521. ქართული მწერლობის ქრესტომათია. V–XVIII ს.ს. აღ. ბარამიძის რედ. ტფ., 1932.

კანზე: „მძორი თუ მძოვრი, გვ. 105. ტარული, 104; დუგუნი – ბანკები? 104; ხირაული – „ნასილკა“ (?), გვ. 99.“

გვ. 100–101. ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცურისა“-ში არაკებთან „მგელი და ვირი“ და „მკალავი და ვირი“ მიწერილია: „სპარსულია“.

გვ. 105. მოხაზულია არაკი: „მძოვრი და ძაღლები“, მიწერილია: „ეს აკაკის აქვს გალექსილი“.

გვ. 106. მოხაზულია არაკი: „სამკვიდროს ჯიუტი მოყვარული“, მიწერილია: „Для сильного человека всякая земля родина“ (როლანი).“

5522. ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია. ლ. ასათიანის რედ. და წინასიტყვაობით. თბ., 1942.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1942. 18. XI“.

5523. ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია. თბ., 1947.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1948 წ. 9/I“. იქვე: „გვ. 126“.

გვ. 126. ლექსში „წერილი ბელადისადმი ჩემი უბნიდან“ გასწორებულია მესამე სტროფი, მიწერილია: „ვინც გამარჯვების სამშობლოს ქმნიდა“.

ამ წიგნის სარედაქციო კოლეგიის ბარათი ი. გრიშაშვილისადმი, სადაც სთხოვენ წარმოადგინოს ლექსები 400 სტრიქონამდე. ტექსტში ხაზგასმულია „400“ და მიწერილია: „იხ. II გვ.“ მე-2 გვერდზე წერია: „ჩავაბარე ალექსი გომიაშვილს“. ამას მოსდევს 22 ლექსის სათაური, ბოლოში მიწერილია: „ი. გრ. ჩავაბარე 7 IV 1947. 30 წ. ოქტომბრის თავზე გამოდის ანთოლოგია, მივეცი ეს ლექსები: ჩამოთვლილი 13 ლექსი ბოლოში მიწერილია: „ჩავაბარე 1947. 3/IV. აბა, ვნახოთ, აქედან რას ამოიღებენ. ალბად: „პასუხად ახალგაზრდა მწერლებს“. „ონავარს“ და „გრ. ორბ.-ს ი. გრ.“

გვ. 136. ი. გრიშაშვილის ლექსების დასასრულს მიწერილია: „10 ლექსი – დანარჩენი“?

გვ. 383. სარჩევში ხაზგასმულია: „იოსებ გრიშაშვილი“. მიწერილია: „აკლია: ვ. რუხაძე, ვ. მაყაშვილი, ს. ფაშალიშვილი“.

5524–5531. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია. რედ. ია ეკალაძე. ტ. 1–3. ტფ.-ქუთაისი, 1928–1930.

ტ. 1. (V–XII საუკ.).

გვ. 193. ლექსიკონში ხაზგასმულია: „ზინდანი – საპყრობილე“, მიწერილია: „გრდემლია. ი. გრ.“

თ. ბეგიაშვილის რეცენზია ამ წიგნზე, ამოჭრილი გაზ. „კომუნისტიდან“, მიწერილია: „14 მარტი, № 60.“

ტ. 2. XVI–XVIII საუკ. 1928.

კანზე: „ზროხა, 194; ტარურალა, გვ. 128; ჭადრაკი, გვ. 128; ხანდაზმული-ხნიერი, გვ. 129; ჰრომი, გვ. 132“.

გვ. V. პირველ შენიშვნაში ჩამატებულია: „ახალგაზრდა მეცნიერს“. (ეხება ალ. ბარამიძეს).

გვ. XIV. სქოლიოში მიწერილია: „ეს ხახანაშვილმა დაბეჭდა. იხ. „მოგზაური“ 1901 წ. გვ. 183, [№ 2]. ეხება დავით ბატონიშვილის მუხამბაზს. იქვე: „ყარიბი ლარაძის ფსევდონიმი“.

გვ. XV. ხაზგასმულია: „გოდ. ფირალიშვილი“, მიწერილია: „ამ ფირალოვის შესახებ პირველად ს. გორგაძემ კი არ ამოიღო ხმა, არამედ „თეატრმა“. (იხ. ვ. აბაშიძის „თეატრი“, 1885 წ., № 1). აქ ნათქვამია: „აღსდეგ...“ ეკუთვნის ფირალოვს. ი. გრ.“ აქვე სქოლიოში მიწერილია: „ზ. ჭ-მე წერს, რომ ეს ლექსი „აღსდეგ გმირთა გმირო“ გ. ფირალოვს კი არ ეკუთვნის, არამედ ფილადელფოს კიკნაძეს და წერდა გ. ფირალოვის ფსევდონიმით (იხ. „ქართული სტამბები“, დიდი წიგნია; გამოც. წელი არ აწერია). გვ... სურათის ქვეშ წარწერა“.

გვ. 123. მოხაზულია ს. ს. ორბელიანის არაკი „გლახაკის სიზმარი“, მიწერილია: „მოლას ანეკდოტი“.

გვ. 125. არაკთან „ქოსა და ყადი“ ხაზგასმულია: „უსხი“, მიწერილია: „ზროხა; საკლავი მსუქანი“.

გვ. 125. არაკთან „მგელი და ვირი“ მიწერილია: „თათრულიდან არის ნათარგმნი“.

გვ. 129. არაკთან „ყასაბი და ნისიათ მოვაჭრე“ მიწერილია: „ეს აკაკიმ გალექსა“.

გვ. 135. არაკს „ქალი („ქილილა და დამანადან“) მიწერილი აქვს: „ქაცვია-მწყემსის მიბაძვა“.

გვ. გვ. 161–172. თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“. საქორწილო რიტუალის ცალკეული დეტალების შინაარსი არშიებზეა მიწერილი შესაბამისი სტროფების გასწვრივ. არის ცალკეული სიტყვების განმარტებები: გვ. 163. ხაზგასმულია: „შაქრის იარაღს დაუდგმენ“, მიწერილია: „ე. ი. ტკბილეული?“ გვ. 166. ხაზგასმულია: „პამტა“, მიწერილია: „პატარა თუ საკმაო?“.

გვ. 168. ხაზგასმულია: „ფაღარათსა იქმს“, მიწერილია: „ფაღარათი (სპ.) მოსვენება“. ხაზგასმულია: „ჯორაბი“, მიწერილია: „წინდა“.

გვ. 170. სიტყვასთან „დასდებელი“ მიწერილია: „სანაძლეო?“.

გვ. 172. ხაზგასმულია: „მეტეჩრობით“, მიწერილია: „ე. ი. ხუმრობით“.

გვ. 167. არის მინაწერი: „ძველად ქორწილში სულ რუსთაველის მუნასიბებს ამბობდნენ ვიდრე აშულები გაჩდებოდნენ“.

წიგნის ბოლოს დართულია ლექსიკონი მინაწერით: „მე ჩავაკერე წიგნში. ი. გრ.“

აქვე გაზეთის ამონაჭრები: 1. თ. ბეგიაშვილის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „1928, 21 ნოემბ., „კომ.“ 2. გ. ლეონიძის რეცენზია, მინაწერით: „Заря“, 1929. № 54“.

წიგნის ბოლოს კანზე აღდგენილია ცენზორის მიერ ამოგდებული ცნობა: „ბაზარზე ქალადის ნაკლებობის გამო მორიგი ტომი დაიბეჭდება მხოლოდ ხელის მომწერლებისთვის“. იქვე მიწერილია: „ცენზურას ამოულა“.

მეორე ცალის კანზე: „დუბლ.“

წიგნში დევს ა. ბარამიძის მიერ შედგენილი („უფასო დამატება „ანთოლოგიის“ ხელისმომწერთათვის) – ქართული „სიტყვაკაზმულ მწერლობის ანთოლოგიის II ნახმარ-ნასესხებ და იშვიათ სიტყვათა მოკლე ლექსიკონი“. 9 გვ.

ტ. 3. მე-19 სუკ. 1-ლი ნახევარი. 1930.

თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას სოსოს. ნ. შილაკაძე. 7/III 30 წ.“

წინასიტყვაობის შემდეგ ჩართულ ფურცელზე სურათებს ზევით მიწერილია: „რატომ არ არის გრ. რჩეულოვის, დ. ჭონქაძის და სხვათა სურათები?“

გვ. 110. სქოლიოში ხაზგასმულია: „წმინდა შაქარი“, მიწერილია: „შაქრის ლერწამი“.

გვ. 128. ბ. ჯორჯაძის ლექსის სათაურთან: „ა...წ...ს“. მიწერილია: „(აკ. წერეთელს)“.

გვ. 252. გრ. ორბელიანის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებში ხაზგასმულია: „დაბადების წელი ნამდვილად არ არის გამორკვეული“, მიწერილია: „მე ვიცი. ერთი წერილი ვნახე, სადაც ულოცავენ გრიგოლის მამას, ვაჟის, გრიგოლის გაჩენას. [ეს დაიბეჭდება ჩემს წიგნში]“.

გვ. 254. ხაზგასმულია: „გამოსცა პირველი ქართული ჟურნალი“. ეხება გ. ერისთავს, მიწერილია: „ცისკარი“.

გვ. 255. მოხაზულია აბზაცი, რომელიც ეხება ლ. არდაზიანის ნაწარმოებებს, მიწერილია: „კიდევ ბევრი“. გრ. რჩეულიშვილის შესახებ არშიაზე: „ჩემი წერილი? (იხ. „ქვრივის ლიმონები“).

მეორე ცალის ტექსტის დასაწყისში: „ანტოლოგია. III. არეული, გვ. 129“.

5532–5533. ქნარი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება. ქუთაისი, 1896.

5534. შურდული. „ივერიიდან“. № 1–5. რედ.-გამომც. ია ერადე. ტფ., 1904.

კანზე: „ღალატი, გვ. 41; განჯისკარელისა, გვ. 52; ბეგლარას სცენა, გვ. 27; ნ. ჩხეიძე, 74, 46.“

კანსა და თავფურცელზე რედაქტორ-გამომცემლის ფსევდონიმს მიწერილი აქვს: „[სოფრ. მგალობლიშვილი?]“.

გვ. 27–29 მოთავსებულია სცენა „თეატრში“. ტექსტის ბოლოს ავტორისეულ ხელწერასთან „ბ. ოჯახ-კეტიანი“ მიწერილია: „ახოსპირელი“.

გვ. 74. ხაზგასმულია: „ამ სტრიქონების დამწერმა“, არშიაზე მიწერილია: „ს. მგალობ.? ი. გრ.“

5535. ჩანგი. შოთა რუსთაველი, დ. გურამიშვილი, ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გ. ჭალადიდელი, ი. დავითაშვილი, ი. ევდოშვილი, ბაჩანა, მ. გურიელი, შ. მღვიმელი, დ. მეგრელი, ნ. ჩხიკვაძე, გ. ტაბიძე. [თბ., 1960].

- 5536–5538. ჩაჩავა ნ. აგიტპრონიკა 25 ოქტომბრის გარშემო. [მხატვრ. კრებული. შედგ. ნ. ჩაჩავას მიერ. თბ., 1924].
- თავფურცელზე წარწერა: „ხარიტონ ვარდოშვილს. ნ. ჩაჩავა. 10/XII“.
- მეორე ცალის მე-4 გვერდზე: „ა. სიდოროვი, სტეფანე ხალტურინი. 1922, სახელგ.“
- იქვე: „გ. იშხნელი გარდაიც. 1920 წელს, თებ. 5-ს“.
5539. ჩემი მასწავლებელი. [კრებული]. თბ., 1961.
- 5540–5543. ჩვენ გავიმარჯვებთ. [ლექსების კრებული]. თბ., 1941.
- კანზე: „ი. გრ. 1941. 22/VII“. იქვე: „I. პირველი კრებული“.
- ა. ელიადის რეცენზია „Песни победы“, ამოჭრილი გაზეთიდან, არშიაზე მიწერილია: „Заря Востока“ 1941, № 198, 22 აგვისტო“.
- მეორე ცალის კანზე: „ჩემი ლექსი, გვ. 6“.
- 5544–5547. ჩვენ გავიმარჯვებთ! [კრებული]. ზესტაფონი, 1942.
- თავფურცელზე წარწერა: „სასიქადულო პოეტს იოსებ გრიშაშვილს! „ლენინელის რედაქციისაგან. ივნისი, 1942 წ.“
- მეორე ცალის კანზე: „ი. მოსაშვილს. ი. გრ.“
5548. ჩვენ გავიმარჯვებთ. [ლექსები და მოთხრობები]. ბათუმი, 1943.
5549. ჩვენი თბილისი, ქართველი პოეტები თბილისს. [თბ., 1958].
- 5550–5562. ჩვენი საუნჯე. ქართული მწერლობა ოც ტომად, 1960–1961.
- ტ. 1. ძველი მწერლობა. 1960.
- ტ. 2. ძველი მწერლობა. 1960.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1960. 15/XI“.
- ტ. 3. შოთა რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი.
- ფორზაცზე: „ი. გრ. ვეფხისტყაოსანი“. 1960 წ.“
- წიგნში კონვერტით დევს გაზ. „სტალინელის“ (ქუთაისი) 1960 წ. 22 ივნისის ნომრიდან ამოჭრილი წერილი: „ვეფხისტყაოსანი“ კრაკოვის სცენაზე“.
- ტ. 4. თეიმურაზ I, ნ. ციციშვილი, ი. სააკაძე. რჩეული. 1960.
- წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ისმაილ ჩალაბი, 424“.
- ტ. 5. ს.-ს. ორბელიანი, ვახტანგ VI, მ. ბარათაშვილი, დ. სააკაძე, დ. გურამიშვილი, თეიმურაზ II, საიათნოვა, ბესიკი, რჩეული. 1960.
- ფორზაცზე: „საიათნოვა – 359.“
- ტ. 6. ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე, რჩეული. 1960.
- ტ. 7. ი. ჭავჭავაძე. რჩეული. 1960.
- ტ. 8. ა. წერეთელი. რჩეული. 1960.
- ტ. 9. ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, რ. ერისთავი, გ. ჭალადიძე, მ. გურიელი, რჩეული. 1960.
- ტ. 11. ა. ყაზბეგი. რჩეული. 1960.
- ტ. 12. ვაჟა-ფშაველა. რჩეული. 1961.
- ტ. 13. ე. ნინოშვილი. რჩეული. 1961.
- ტ. 14. დ. კლდიაშვილი. რჩეული. 1961.
- 5563–5566. ჩონგური. ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლროთქიფანიძისაგან. პეტერბურდი, 1864.

წიგნი ჩასმულია ლიდერინის ყდაში, ყდაზე დაწებებულია წიგნის კანი.

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა? „კმზ ზაქარია ანდრონიკოვის წიგნებიდან“.

ფორზაცზე წერია: „ი. გრიშაშვილის შენიშვნებით“. იქვე: „ნ. ბარათაშვილის ერთ ლექსს რათ ჰქვიან „ფანტაზია“, გვ. 78; იხ. სარჩევის სხოლიო; ილიას ლექსის პირველი ვარიანტი, გვ. 67“.

გვ. 17. ნეკრასოვის პოემაში „პოეტი და მოქალაქე“ ხაზგასმულია: „გვეყოფა თითქმის პოეტებიცა, გვეჭირება კი მოქალაქები“. არშიაზე მიწერილია: „გვეყოფა თითქმის პოეტებიცა, ეხლა გვჭირია მოქალაქენი.“

გვ. 19. ამავე პოემაში ხაზგასმულია: „პეგასი“, მიწერილია: „მერანი“.

გვ. 23. ტექსტის ბოლოს მინაწერი: „თარგმანი კირილე ლორთქიფანიძისა. [თომა კარგარეთელი]. ფსევდონიმი. (იხ. „სანთური“).

გვ. 30–32. აბ. მაჩაბლის ლექსში „კალამი“ გასწორებულია შეცდომით დაბეჭდილი სიტყვა „მთვარად“, მიწერილია: „მთავრად“. ლექსის ბოლოს მიწერილია: „აბრამ თუ აბელ?? ი. გრ.“

გვ. 33. ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედას“ მიწერილი აქვს: „აქ. პირველად იბეჭდება“. ლექსში გასწორებულია კორექტურული შეცდომები. აქვე, უცნობის ხელით აღდგენილია ცენზურის მიერ გამოტოვებული სიტყვები 24-ე სტრიქონში: „ერთობას, თავისუფლებას“.

გვ. 63. ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“-ს სტრიქონის „მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას“ შემდეგ მრავალწერტილს მიწერილი აქვს: „გამოტოვებულია ბევრი, 15 სტრიქ.“

გვ. 64–65. ამავე პოემაში ორგან აღდგენილია ცენზურის მიერ გამოტოვებული სტრიქონები.

გვ. 67. ილ. ჭავჭავაძის „ელეგის“ ბოლო სტრიქონში „როსლა გვექნება ჩვენ გაღვიძება“ ხაზგასმულია სიტყვა: „გვექნება“, მიწერილია: „ილია ჭ-ძის პირველი ვარიანტი. ამ ნაკლზე პირველად მიუთითა ლ. არდაზიანმა (იხ. „ცისკარი“, 1861, № 7, გვ. 151) გ. ბარათაშვილის ფსევდ. ილიამ შემდეგში გაასწორა: „გვეღირსოს“.

გვ. 101. გრ. ორბელიანის „ლოთურ მუხამბაზში“ მე-4 სტრიქონში სიტყვა „არა“ შეცვლილია სიტყვით „არას“.

გვ. 103. ამავე ლექსის ბოლოდან მესამე სტრიქონში ამოგდებულია სიტყვა: „რამა“.

გვ. 121. ა. წერეთლის ლექსში „გლეხის აღსარება“ აღდგენილია ცენზურის მიერ ამოღებული სიტყვები მე-8 სტრიქონში: „წამწყმედო, ვიცი არა ცხონდები“.

გვ. 146. ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღში“ აღდგენილია ცენზურის მიერ ამოღებული სტრიქონები:

„გლეხკაცის და ყმის უბრალო ბედი  
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში!“

გვ. 150. რ. ნიკოლაძის ლექსს „ყველანი ძმები ვართ“ ბოლოში მიწერილი აქვს: „კ. ლორთქიფანიძე“.

5567–5573. ჩუბინაშვილი დ. ქართული ქრესტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დავით ჩუბინოვის მიერ. ნაწ. 1–2, სპბ., 1846.

ნაწ. 1. [პროზა]

ნაწ. 2. [ლექსები]

ერთ ყდაში. ტყავის ყუაზე ამოტვიფრულია: „Грузинская хрестоматия. 1846“

გვ. 440. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „აკლია“.

მე-2 ნაწილის თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილისაა. 1942. 21/XI. 40 მან.“

მესამე ცალეში:

ნაწ. 1.

ყდაში ჩასმულია ი. გრ. მიერ.

თავფურცელზე: „ვახტანგის კანონები, გვ. 394.“

გვ. 112. ხაზგასმულია სალექსო სტრიქონი: „სიცოცხლეს შენგან მოველი...“, მიწერილია: „დომიტრი თუმანიშვილი ამბობს: „სიცოცხლეს შენგან მოველი.“

გვ. 458. ანდაზაში ხაზგასმულია სიტყვა „ქაში“, მიწერილია: „ქაშა?“

ნაწ. 2.

ხელნაკეთი კანის ყუაზე: „დ. ჩუბინაშვილი. II.“ კანზე: „მე მონა შევქმნილ-ვარ, 235.“

თავფურცელზე: „ვეფხის ტყაოსანი (მესამე გამოცემა, რუსული ტექსტით)“.

გვ. XVI. სქოლიოში მოხაზულია პირველი შენიშვნა და მიწერილია: „იხ. Вестник Европы“, ტ. IV, 1868, გვ. 303“.

გვ. 231–234. უავტორო ლექსებს №№ 8–11 ბოლოში მიწერილი აქვთ: „ა. ჭ.“

გვ. 235. ლექსში „გამტყორცნა სოფელმან...“ ხაზგასმულია სტრიქონი: „მე მონა შევქმნილ-ვარ ანტუანეტისა“, მიწერილია: „სხვა ვარიანტით „მე მონად შევქმნილვარ ერთისა მზისა. ი. გრ.“ ლექსის ბოლოს მიწერილია: „ფერშანგოვი“.

5574. [ჩუბინაშვილი] ჩუბინოვი დ. ქართული ქრესტომათია, ან გამოწერილნი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთა-გან. ნაწ. 2. ქართული ლექსები. ვეფხის-ტყაოსანი, თქმული შოთა რუსთველისა-გან, თამარ მეფის დროს. სპბ., 1860.

ყდის მე-2 გვერდზე მინაწერი ეხება „ვეფხისტყაოსანს“: „მესამე გამოცემა, (იხ. ცნობა „ივერია“, 1883 წ. VII–VIII, გვ. 143)“.

5575–5576. [ჩუბინაშვილი დ.] ქართული ქრესტომათია ან გამოწერილნი სტატიები სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან. ახლად დაბეჭდილი დ. ჩუბინოვისაგან. ნაწ. 1–2. სანკტ-პეტერბურდი, 1863.

აკინძულია ერთ ყდაში, ყუაზე ამოტვიფრულია: „A. II.“

ყდის მე-2 გვერდზე წერია: „აღბუღას სამართალი, გვ. 208; საზანდარი ჯარს წინ უძღვის, გვ. 179; ა. ჭ-ძის ლექსები, II ნაწ. გვ. 88, 133, 134, 135, 137, 138, 140; „ბეზეკი“, გვ., 114, 116; სადათნოვა, გვ. 118; ჩიტორელიძე, 176; სტ. ფერშანგოვანისებური – 113“.

ნაწ. 1. ქართული პროზა.

თავფურცელზე სათაურის ქვეშ მიწერილია: „ I–II, აქ ორივე ნაწილია. პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1846 წ. მაქვს. მეორე – 1860 წ., მესამე – 1863“.

ნაწ. 2. ქართული ლექსები.

გვ. 92. ლექსს „სიყვარულო ძალსა შენსა...“ მიწერილი აქვს: „ამ ლექსს თვით დ. ჩ-ი თავის ვეფხისტყაოსანში ჩოლოყ-ს აკუთვნებს“.

გვ. 113. მოხაზულია ლექსის „ქეთევან ბატონის შვილისა“ ბოლო სტროფი, მიწერილია: „სტ. ფერშანგოვანისებური“.

გვ. 132–133. მოხაზულია „სიბრძნე სიცრუვის ზღაპრები“, მიწერილია: „ა. ჭ.“ იგავ-არაკს „თხა და მელა“ მიწერილი აქვს: „(ცისკარი“, 1858, № 1)“.

წიგნის ბოლოს ყდაზე წერია: „ბარქაში – ჯამი დიდი, ბანდული – ქალამანი, ბობრი – ქერა, ბორკი – ფეხი“.

5577. ცრემლის ღუზა. ქართველ მოზარდთა კრებული. ტფ., 1916.

5578. წითელი ოქტომბერი. [კრებული]. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1935. 8/I. ჩემზე, გვ. 139-დან“.

გვ. 146. პლ. ქიქოძის წერილში „მომაკვდავი ლიტერატურა“ ხაზგასმულია ადგილები, რომლებიც ეხება ი. გრიშაშვილს და მიწერილია: „ამავე სიტყვებით მახასიათებდა განს. ლეო ნ-ძე გაზ. „თან. აზრში“, 1915 წელში (ეს წერილები მაქვს). ი. გრ.“

წიგნში ჩადებულია გაზეთიდან ამონაჭერი „წერილი რედაქციის მიმართ“, ხელს აწერენ: ბუმერანგი (მაშაშვილი) ბუაჩიძე ბენიტო და სხვ. № 6, 1925, 8/I „კომუნისტი“.

5579. ხალხური ლექსები. [ქართველ პოეტთა ლექსების კრებული]. ფოთი, 1927.

5580. ხუთი პიესა. ორიგინალური. ამოღებული ჟურნ. „მოამბე“. 1896, № V, VI. 1898. № XI, 1899, № I, 1904, № V.

კანი და თავფურცელი გაკეთებულია ი. გრიშაშვილის მიერ.

კანზე: „ი. გრ. ხუთი პიესა“.

თავფურცელზე: „ხუთი პიესა. ორიგინალური. 1. „განთიადი“. ივ. აფხაზისა. 2. „სიხარულმ, ელდა იცის!“ ლი-გ-სა. 3. „ერთი შემთხვევა“. – ლი-გ-სა. 4. „ირინეს ბედნიერება!“ დ. კლდიაშვილისა. 5. „გაქსუებული“ დუტუ მეგრელისა.“



ქართული საბავშვო

ლიტერატურა

- 5581–5582. ა. კ. მეფე მალიასი და მისი მწყემსი. ყრმათათვის საკითხავი. ქუთაისი, 1895.
- 5583–5584. აბაშიძე გრ. ავი ღლავი. [ლექსი. თბ.], 1943.
5585. აბაშიძე გრ. ვინ დიდი და ვინ პატარა. [ლექსები და პოემები]. თბ., 1956.
5586. აბაშიძე გრ. ზამთრის ამბავი. [პოემა]. თბ., 1940.
5587. აბაშიძე გრ. მეცამეტე გოჭი. [ლექსი. თბ.], 1943.
- 5588–5589. აბაშიძე გრ. ნაბოლარა წიწილა. [პოემა. თბ.], 1943.
- კანის მეორე გვერდზე ა. თევზაძის წერილი „გრ. აბაშიძის საბავშვო წიგნები“, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1944 წ., № 22.“
5590. აბაშიძე გრ. ნაბოლარა წიწილა. პოემა. თბ., 1945.
5591. აბაშიძე გრ. ნაბოლარა წიწილა. მეცამეტე გოჭი. ფისოს გასეირნება და სხვ. [საბავშვო ლექსები და პოემები]. თბ., 1959.
5592. აბაშიძე გრ. რუსთავის მერცხლები. პოემა. [თბ.], 1949.
5593. აბაშიძე გრ. საბავშვო პოემები. [თბ.], 1945.
5594. აბაშიძე გრ. საბავშვო პოემები. თბ., 1955.
5595. აბაშიძე გრ. ფისოს გასეირნება თვითმფრინავით. [საბავშვო პოემა]. თბ., 1947.
5596. აბაშიძე გრ. ხუთი გმირი. საბავშვო ლექსები და პოემები. თბ., 1950.
5597. აბაშიძე ი. აი რა მოგიტხროთ. საბავშვო მოთხრობების კრებული. [თბ.], 1933.
5598. აბაშიძე ი. ბალადა სავარძელზე. მოზრდილთათვის. [თბ.], 1948.
5599. აბაშიძე ი. ბუნების წიაღში. [ლექსები]. თბ., 1941.
- კანზე: „ი. გრ. 1941. 12/VIII“.
5600. აბაშიძე ი. ნახე, გახედე. ლექსები. თბ., 1960.
- 5601–5602. აბაშიძე ი. რას გადაურჩა თბილისი. [პოემა]. თბ., 1958.
- შემუცტიტულზე წარწერა: „ძვირფას, საყვარელ სოსოს, ძველი, ახალი მუდამ ცოცხალი, მჩქეფარე სიყვარულით. ირაკლი“. მიწერილია: „[1958, 17 ოქტ. თბილისის იუბილე, ოპერა]. ი. გრ.“
5603. აბაშიძე ი. საბავშვო ლექსები და პოემები. თბ., 1953.
- ფორზაცზე: „ი. გრ. 1954. 12/III.“
5604. აბაშიძე ი. შვეისწავლოთ ყოველი ფრინველი და ცხოველი. [ლექსები. თბ.], 1950.
- ყდაზე: „ავტოგრაფით!“
- თავფურცელზე წარწერა: „ჩემს საყვარელ მეგობარს, ძვირფას სოსოს უძღვნის მისი უმრწემესი ძმა, მისი მარად პატივისცემელი ირაკლი. 1950-24-IX.“
5605. აბრამია პ. მელია. ზღაპარი. თბ., 1945
- თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს სოსო გრიშაშვილს სიყვარულით. პ. აბრამია. 1.II.46 წ.“
- გვ. 23. მოხაზულია ზემოდან სამი სტროფი, მიწერილია: „თუ გარეთ წევს მელია, კარებს ვინ აწვება?“

- გვ. 24. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „კისერი“, მიწერილია: „თუ ყელი?“
- გვ. 35. ხაზგასმულია სტრიქონი: „და მახლობელ მეზობლებს“, მიწერილია: „მეგობრებს და მეზობლებს“.
- გვ. 36. ხაზგასმულია სტრიქონი: „მიტხარ, საქმე რაშია? მიწერილია: „კუთხურია. რაშია საქმე?“
- გვ. 38. ხაზგასმულია სტრიქონი: „სიტყვას გაძლევ ამისთვის“, მიწერილია: „არაფერს არ დავზოგავ.“
- გვ. 42. ხაზგასმულია სტრიქონი: „აქედანვე უშველე“, მიწერილია: „თავს უშველე... დღეიდან“.
- გვ. 49. ხაზგასმულია ბოლო სტროფის სარიტმოდ სიტყვები: „პატავით – ანდამატივით“, მიწერილია: „ჩემიდან, მაგრამ აქ არ ვარგა“.
- გვ. 51. არშიაზე წერია: „საფეხურები აიკიდეს და ისე ჩავიდნენ?“
- გვ. 55. სტრიქონთან: „არავინ არ მყავს“... მიწერილია: „არავინა მყავს“. ხაზგასმულია სტრიქონი. არშიაზე წერია: „პირიქით უნდა უთხრას რომ შეწყალებას შენგან მოველიო“.
- გვ. 56. ხაზგასმულია: „თაფლს გვერდს ვერას აუვლის“. მიწერილია: „თაფლს გვერდით ვერ აუვლის“.
- გვ. 57. ხაზგასმულია: „მსაჯულია“. არშიაზე წერია: „რა მხეცია ეს მსაჯული?“
- გვ. 60. ხაზგასმულია ბოლოდან მე-6 სტრიქონი. მიწერილია: „ხომ გაიქცა, წინ როგორ გაიგდეს?“
- გვ. 64. მოხაზულია სტრიქონი. მიწერილია: „იხ. გვ. 77.“
- გვ. 69. ხაზგასმულია: „ველარ“ მინაწერი: „კი ვერ“.
- გვ. 70. ზემოდან მე-4 სტროფს ეკუთვნის მინაწერები: „მე მლანძღეს და“, „ხელად“ და „ტახტის მოღალატედ“.
- გვ. 73. ხაზგასმულია: „ამათ ისე არიეს“, მიწერილია: „ისე არივ დარიეს“.
- გვ. 77. ხაზგასმულია სტრიქონი. მიწერილია: „წელან სთქვა თოკი შემოხსენითო, ეხლა ბაწარი? გვ. 63.“
- გვ. 82. პირველ სტროფთან წერია: „რა შუაშია ეს უცნაური შებრუნება?“
- გვ. 90. ხაზგასმულია სტრიქონი, მინაწერი: „ვაჟა“.
- გვ. 97. მოხაზულია ბოლოდან მე-3–4 სტრიქონი. მიწერილია: „განა მისანდობია მეღიების ენანი?“
- გვ. 99. სიტყვა „თუთუნს“ მიწერილი აქვს: „ჩიბუნს“.
- გვ. 117. ბოლო სტრიქონთან: „ნულარ აცლი“ მინაწერი: „არ აცალო“.
- გვ. 119. ხაზგასმულია მე-3 სტროფის რიტმები. მინაწერი: „ეს რითმა კიდევ აქვს ზემოდ ნახსენები“.
- გვ. 120. ხაზგასმულია: „ქვიშითა“, მინაწერი: „ნაცარი იყო თუ ქვიშა?“
- წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამონაჭერი ა. ღვინიაშვილის წერილი „მელია“, პოლიო აბრამიას „საბავშვო პოემა“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“ 1946, № 15. 5 აპრილი“.
5606. აბრამიშვილი მ. ნაცნობი მერცხალი. [ლექსები]. თბ., 1960.
5607. ალისფერი ყელსახვევი. [კრებული. თბ.], 1953.
გვ. 39. ლექსის „კალოსპირული“ დასასრულს მიწერილია: „იხ. ვარიანტი, გვ. 12.“

გვ. 47. ლექსში „საზაფხულო“ ხაზგასმულია სტრიქონი: „მცენარეს მუხლი გაეხსნა“, მიწერილია: „კარგია“.

გვ. 56. ლექსის „გაზაფხულდა!“ პირველ სტროფში მოხაზულია სიტყვა: „ფერი“, მიწერილია: „სუნი“. აქვე მოხაზულია სიტყვა: „გოგონავ“, მიწერილია: „გოგიავ! იხ. „ნობათი“.

გვ. 58. მე-18 სტრიქონის შემდეგ მიწერილია: „აქ აკლია“ და არშიაზე წერია გამოტოვებული სტრიქონები: „მზემ მიწას და მიწამაც მზეს, თვალი თვალში გაუსწორა“, იხ. წიგნი „მერცხლები“, გვ. 7.“

გვ. 61. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „ზამთარი“, მიწერილია: „ამ ლექსს ჰქვიან „ზამთრის პირი“



- გვ. 62. ამავე ლექსში ხაზგასმულია სტრიქონი: „და უგულოდ გალობენ“, მიწერილია: „უგულოდ დაფართხალობენ.“ (იხ. წიგნი „ცელქები“, გვ. 47).“
- გვ. 67. ლექსში „გაზაფხული“ ხაზგასმულია სიტყვა „როსლა“, მიწერილია: „ილია ჭ.“
- გვ. 110. ლექსის „ია“ ბოლოს მიწერილია: „საქართ.“ დამატ. 1916 წ., № 30.“
- გვ. 114. უსათაურო ლექსს „მშვენიერი ხარ, კარგო ყვავილო...“ მიწერილი აქვს: „აკლია“.
- გვ. 128. ლექსის „მუხა“ ბოლოს მიწერილია: „ეს არ არის საბავშვო ლექსი“.
- გვ. 130. ლექსის „ვაზი“ შენიშვნას მიწერილი აქვს: „ვისი შენიშვნაა?“
- გვ. 131. ლექსის „მუხა“ ბოლოს მიწერილია: „(არც ეს არ არის საბავშვო)“.
- გვ. 134–135. ლექსის სათაურთან „მუხა“ მიწერილია: „ალეგორიული ლექსი“. ბოლოში წერია: „კიდევ სხვა ლექსები მუხაზე. 125, 131.“
- გვ. 175. ლექსში „ოთხი ძმა პეპელა“ ხაზგასმულია სტრიქონი: „მოიღე მოწყალება“, მიწერილია: „გამოიჩინე სიკეთე“ (იხ. პირვ. გამოცემა „სამი ამბავი“).
- გვ. 181. ლექსში „მელია“ ხაზგასმულია: „მუცელი ფერდზე მიგეკრა“, მიწერილია: „იხ. „ნობათი“, გვ. 9.“
- გვ. 183. ლექსის სათაურთან „შავი მელა“ მიწერილია: „ამას ჰქვიან „მელა“.
- გვ. 194. სათაურთან „რწყილი და ჭიანჭველა“ მიწერილია: „იხ. „დედაენა“.
- გვ. 242. ლექსის სათაურში „პაწია მერცხალი“ მოხაზულია „პაწია“, მიწერილია: „პაწია არა აქვს ავტორს“.
- გვ. 261. ლექსის სათაურში „გამომშვიდობება მერცხლისა“ ხაზგასმულია „გამომშვიდობება“, მიწერილია: „ჰქონდა გამოსალმება“, რათ შეცვალა“. აქვე დანიშნულია მე-4 სტროფი, მიწერილია: „ეს კუპლეტი ავტორს დარჩა შავად გაკეთებული, რედაქტორს არ უსარგებლია“.
- გვ. 263. ლექსში „მერცხლის სიმღერა“ ხაზგასმულია: „კუდმაკრატელა“, მიწერილია: „მერცხალს კუდი არა აქვს – ბოლო“.
- გვ. 309. ლექსში „მაყვალას დედოფალი“ ხაზგასმულია სტრიქონები და მიწერილია: „შეუსწორებიათ.“ არშიაზე მიწერილია მე-8 სტრიქონის გასწვრივ: „კულულ-დალალებიანსა“; მე-10 სტრიქონის გასწვრივ: „მოამარიშურებს“. ლექსის ბოლოს წერია: „აკლია, იხ. „რჩეულ ლექსთა კრებული“, გვ. 4.“
- გვ. 326. ლექსის სათაურთან „გოგოვ, ქეთინო, მომხედე!“ მიწერილია: „(ქეთინო ჯაჯანაშვილი)“.
- გვ. 365. ლექსის სათაურთან „შენ ვინა ხარ! მიწერილია: „ია და გოგონა“. (ასეთი სათაური ჰქვიან, გვ. 11. იხ. ქუთ. გამოც.“ ლექსში ჩასწორებულია ცალკეული სიტყვები, ბოლოში მიწერილია: „იხ. რჩეული ლექსები“, გვ. 12 და წ. კ. ს. გამოც., გვ. 78.“
- გვ. 376. ლექსში „ბიჭო, ნუ იჭერ პეპელას“ ხაზგასმულია სიტყვა „ფრთამალი“. მიწერილია: „შეცდომა! ფრთამალაია. მალალი – хрупкая. (იხ. „რჩეული ლექსები“, ქუთაისი, 25 და „ჩემი ყვავილები“, გვ. 25)“. ამავე ლექსში ხაზგასმულია: „სულ მუდამდამე“, მიწერილია: „მუდამ სალამოს (იქვე)“.
- გვ. 379. ლექსის „სიცხიანი“ არშიებზე მიწერილია: „შეცვლილია. აქ წყობა ავტორისა

სხვანაირია:           <sup>ა</sup>  
          <sup>ბ</sup>  
          <sup>გ</sup>  
          <sup>დ</sup> რედაქტორს შეუცვლია თავში, მერე ვედარ მოუხერხებია. იხ.

„ლექსები“, წ. კ. საზ., გვ. 45. ამ ლექსს აქვს შენიშვნები იქ“. ლექსი შესწორებულია სხვა გამოცემის მიხედვით. ბოლოში ხაზგასმულია სიტყვა: „არურთუთი“, მიწერილია: „რა სიტყვაა? ორიგინალში ასეა“.

გვ. 400. ლექსში „საყვედური მამას“ ხაზგასმულია სტრიქონი: „შენს ცელქსა და ეშმაკ მელას“, მიწერილია: „ჩემს საქციელს უქებ ყველას. (იხ. „ნობათი“, გვ. 46)“. მოხაზულია ამავე ლექსის ბოლო ორი სტროფი, მიწერილია: „ეს გამოკლებულია „ნობათში“ და სამართლიანადაც“.

გვ. 402–403. ლექსში „გოგოცანა და ბატები“ შეტანილია შესწორებები სხვა გამოცემის მიხედვით. არშიებზე მიწერილია: „იხ. „ნობათი“, გვ. 35“, „ნობათი“, 36.“

გვ. 433. უსათაურო ლექსში „გოგოლიკოს თოვლი უყვარდა...“ ხაზგასმულია: „ზურნით და დასაკრავითა“... მიწერილია: „აქ რითმა შეცვლილი უნდა იყოს. იქნებ ასე აქვს შიოს? „დაფაზურნით და სტვირითა?“ ასეა? უნდა შევადარო“.

გვ. 489. სარჩევში მოხაზულია: „ჰეინედან“, მიწერილია: „თარგმანები ცალკე უნდა გამოჰყო, „ჩიტი“ კუმპინისაა და სხვ.“

გვ. 492. სარჩევის ბოლოს მიწერილია: „ერთი ლექსი ორჯელაა დაბეჭდილი. გვ. 331, 404.“

წიგნის ბოლოს, ფორზაცზე წერია: „შიოს დაწერილი აქვს აგრეთვე რამდენიმე საპლაკატო ლექსი, მაიაკოვსკივით:

1. „რასაც დასთეს, იმას მომკი (ხორბალს როგორ უნდა მოუარონ). 2. აბრეშუმის ჭიაზე (ნარკომზემის გამოცემა, იოსებ ქუთათელაძემ დააწერინა). 3. ღორის ჭიაზე (ლევ. ლეონიძემ დააწერინა).“

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. ს. ცაიშვილის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „კომ. განათლება“, 1937, № 6.“ 2. ლ. ვარდოშვილის ინფორმაცია „რა ვიკითხოთ“ მინაწერით: „ნორჩი ლენინელი“, 1938, № 55, 8 ოქტ.“ 3. დ. ფანჭულიძის წერილი „ძია შიოს“ პოეზია“ მინაწერით: „კომუნისტი“, 28 თებერვალი“.

სუპერზე: „30 წლის იუბილე იყო 1916 წ., 14 თებერ.“

6112–6113. მღვიმელი შ. ლექსები. თბ., 1938.

ფორზაცზე: „ი. გრ., 1939. 4/1“. იქვე: „არ გაუსწორებია: გვ. 3, გვ. 62.“

გვ. 71. სქოლიოში: „ლენცოფა – ერთგვარი მცენარეა“, მიწერილია: „შხამიანი მცენარეა“.

გვ. 128. ლექსში „ჩიტი“ აღნიშნულია სიტყვა „ხართუთა“. მიწერილია: „ხართუთა – ჭრელი თუთაა“.

გვ. 136. სქოლიოში: „ჭდეული დარბაზი – ერთმანეთთან ჭდეებით დაკავშირებული ფიცრებით“, მიწერილია: „აქ დაჭდეული?“

გვ. 212. ლექსის „ქარიშხალის“ ბოლოს „1927 წ.“ მოხაზულია და დასმულია კითხვის ნიშანი.

გვ. 214. ლექსთან „ეკალო, გინდა მიჩხვლიტო“ მიწერილია: „ი. ევდოშვილი“.

6114. მღვიმელი შ. ლექსები. თბ., 1939.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1939. 8/VIII“.

წიგნში დევს გაზ. „კომუნისტის“ 1938 წ. 15/XI № 261, რომელშიაც დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის წერილი: „შო მღვიმელი (1866–1933)“.

6115. მღვიმელი შ. მერცხლები. [ლექსები, თბ.], 1927.

6116–6117. მღვიმელი შ. ნობათი. [ლექსები]. ტფ., 1930.

თავფურცელზე წარწერა: „გრძნობა-სიტყვა მჩქეფარე მგოსანს საყვარელ სოსო გრიშაშვილს ძია შიოსაგან 19 $\frac{20}{II}$ 30“. იქვე „ჩემი რედაქციით გამოვიდა. ი. გრ. 1930. 21/II“.

გვ. 32. ლექსში „ჩურჩხელები“ მოხაზულია 1-ლი სტროფი, მიწერილია: „ასე მე გადაუკეთე, ვინაიდან „დედა ენა“ ცენზორმა წაშალა. ი. გრ.“

ლექსის ბოლოს მიწერილია სტროფი:

„- ჩურჩხელებს რომ აკეთებენ,  
ეს არ იცი ნინო შენა?  
წამო გოგო, ჩვენც დავავლოთ,  
გადააგდე „დედა-ენა!“

იქვე: „ასე ჰქონდა შიოს წინადა“.

მეორე ცალზე წარწერა: „ჩემს გოგონას ქეთინო ქუჩუკაშვილს მამა შო მღვიმელისაგან. 19 $\frac{2}{III}$ 30.“

6118–6119. მღვიმელი შ. ოქროს თავთავი. [ზღაპარი ლექსად]. საყმაწვილო წიგნი სურათებით. ტფ., 1892.

მეორე ცალზე სიას შ. მღვიმელის გამოცემული წიგნებისას, მათ შორის წიგნს „სამი ცელქი“, გამოც. 1891 წელს, აქვს გრიშაშვილის მინაწერი: „ეს არა მაქვს“.

6120–6121. მღვიმელი შ. ოქროს თავთავი. [ზღაპარი ლექსად]. ტფ., 1912.

თავფურცელზე წარწერა: „ახალგაზრდა პოეტს ი. გრიშაშვილს მეგობრის [შ. მღვიმელი]-საგან.“

6122–6125. მღვიმელი შ. ოქროს თავთავი. (ზღაპარი). გამოც. მე-4. ტფ., 1920.

კანზე: „ი. გრ. ეს წიგნი არ არის „ქართულ წიგნში“.

მეორე ცალის კანზე ადრინდელი მფლობელის ხელწერა: „შ. დედაბრიშვილი“.

6126. მღვიმელი შ. ოქროს თავთავი. (ზღაპარი). თბ., 1945.

6127–6129. მღვიმელი შ. საბავშვო ლექსები. ტ. 1–3. თბ., 1950–1953.

ტ. 1. 1950.

ტ. 2. 1952.

ტ. 3. 1953.

6130–6131. მღვიმელი შ. სამი ამბავი. [პოემები]. თბ., 1921.

გვ. 4. ხაზგასმულია სიტყვა: „ბელინასა“. მიწერილია: „ქართული არ არის“.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ჩემს შვილს ქეთინოს მამასაგან“

6132–6133. მღვიმელი შ. სამი ცელქი. საყმაწვილო წიგნი სურათებით. მე-4 გამოც. ტფ., 1920.

თავფურცელზე მიძღვნა: „ჩემს კოპწია ასულს ქეთინო ქუჩუკაშვილს მამისაგან. 14/VII. 1925“.

6134. მღვიმელი შ. ტფილისის ზოოპარკი. თბ., 1936.

კანზე: „ი. გრ. 1936. 20/X“.

გვ. [12]. ხაზგასმულია მესამე სტრიქონში: „მეტრს“, დასმულია კითხვის ნიშანი, მიწერილია: „(შ. თაბუკაშვილი)“.

გვ. [13]. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „(შ. თაბუკაშვილი)“.

6135. მღვიმელი შ. ტყე. [ლექსები]. თბ., 1940.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1940. 21. VI“.

6136–6137. მღვიმელი შ. ტყის სურათები. [პოემა]. თბ., 1922.

6138. მღვიმელი შ. ჩემი დედოფალა. [ლექსი]. თბ., 1943.

6139–6140. მღვიმელი შ. ჩემი ყვავილები. [ლექსები]. საიუბილეო გამოცემა. ტფ., 1916.

თავფურცელზე: „ი. გრ. ტფილისი. 1916 წ., 4 იანვარი“.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ვასილ კერესელიძეს. შ. მღვიმელისაგან“.

6141. მღვიმელი შ. ჩემი ყვავილები. [ლექსები, ტფ., 1921].

კანზე: „ი. გრ. 1921“.

6142–6143. მღვიმელი შ. ჩემი ყვავილები. [ლექსები]. ტფ., 1926.

თავფურცელზე წარწერა: „ჩვენს საყვარელ მგოსანს იოსებ გრიშაშვილს ძია სიოსაგან.

19  $\frac{20}{XI}$  26“.

6144. მღვიმელი შ. ცელქები. [ლექსები]. ტფ., 1926.

კანის მე-2 გვერდზე წარწერა:

„სულით. გულით სიყვარულით

ნორჩობაში ნამოწაფარს,

მქუხარ სიტყვით ლექსის თქმაში

ლომით რომ იყრის ფაფარს.

სოსოს, სოსოს ცხოვრებაში

ჩანჩქერივით მოუსვენარს,

„ცელქებს“ უძღვნი აზამბარში

ნიჭითა და ლექსით ზენარს.

ძია შიო. 19  $\frac{20}{XI}$  26“

6145–6146. მღვიმელი შ. ცვარი. საყმაწვილო ლექსები. სურათებით. გამოც. მე-2. ტფ., 1913.

6147. მღვიმელი შ. ცვარი, საყმაწვილო ლექსები. სურათებით. გამოც. მე-3. ტფ., 1918.

6148–6149. მღვიმელი შ. ცვარი. საყმაწვილო ლექსები. სურათებით. გამოც. მე-4. ტფ., 1920.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს გიჟს, მოუსვენარს და დაუდგრომელ ქეთინოს მამა შიოსაგან. 19  $\frac{14}{VII}$  25.“

6150. მღვიმელი შ. ძუნწი და ნატვრა. საყმაწვილო სურათებიანი წიგნი. მე-2 გამოც. ტფ., 1904.

6151–6152. მღვიმელი შ. ძუნწი. ნატვრა. [პოემები]. მე-3 გამოც. თბ., 1917.

გვ. 21. პოემა „ნატვრა“-ს მიწერილი აქვს: „ნატვრა კარგია“.

წიგნის ბოლოს მიწერილია: „ხომ არ აკლია? ი. გრ.“

6153–6155. მღვიმელი შ. ძუნწი და ნატვრა. [პოემები]. საყმაწვილო სურათებიანი წიგნი. მე-4 გამოც. თბ., 1920.

6156. მშობლიურ ბუნებაში. [კრებული]. თბ., 1956.

კანზე: „აქ ჩემი ლექსიცაა. ი. გრ.“

6157. მჭედლიშვილი ი. საბავშვო ლექსები და მოთხრობები. [თბ.], 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 10. IV“.

გვ. 13. ლექსში „მძინარე დედა“ მოხაზულია:

„და უსასო შენი შვილი  
მანუგემე, წამაქეზე“...

მიწერილია: „ჩემია“.

გვ. 14. ლექსში „შემოდგომის ღრუბლებო“ მოხაზულია მე-4–5 სტროფები, მიწერილია: „ეს რითმა ვთქვა, თუ ეს რითმა“.

გვ. 16. ლექსში „ზამთარი“ მოხაზულია სტროფები: „ხოლო ქარი ჰქრის ისეთი მწვავი. თითქო ეჭიროს ხელებში ნემსი“. მიწერილია: „კარგია“.

გვ. 17. ლექსში „ობლები“ მოხაზულია სტროფები: „მელას ხვრელი აქვს, ჩიტს ბუდეობლები ძრწიან გარეთა“ მიწერილია: „კარგია“.

გვ. 22. ლექსში „ზამთარში“ ხაზგასმულია სიტყვა: „ჭკვა“, მიწერილია: „ჭკუა“.

გვ. 23. ლექსში „ობოლი ისო და პატარა ნუნუ“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები, მიწერილია: „კარგია რითმა“.

6158. მჭედლიშვილი ი. მონადირის დღიურიდან. [მოთხრობები. თბ.], 1949.

6159. მჭედლიშვილი ი. პატარა მეცხვარე. [პოემა]. ტფ., 1933.

გვ. 26. ხაზგასმულია: „მას ორი ტყვია წყვილადა!“ მიწერილია: „ორი ტყვია წყვილი იქნებოდა მამ რამდენი იქნებოდა. ი. გრ.“

6160–6161. მჭედლიშვილი ი. საბავშვო მოთხრობები. მცირე წლოვანთათვის. ტფ., 1925.

თავფურცელზე წარწერა: „თამარს უგულითადესი სახსოვარი თამარობა დღეს ძველის სტილით. თამარო! მართალია ამ წიგნს გაუსწარ წლოვანების მიხედვით, მაგრამ სხვა სახსოვარი ამ უბედურ დროში სხვა ვერც ვპოვე, ვერც შევძელი. ნეტავი ეს სახსოვარი ცოცხალ საბუთად დარჩეს იმ დრომდე, როდესაც მე ან ძალიან გახარებული ვიქნები, ან სულ აღარ ვიქნები აქ ქვეყნად. ი. მჭ... 14/V-25 წ.“ იქვე მიწერილია: „ვიყიდე ბუკინისტ პიჩკოვთან. 1929, 24/IX ი. გრ.“

მეორე ცალის გვ. 37. მოთხრობაში „ვახტანგის ტყეში წასვლა“. ტექსტში ხაზგასმულია სიტყვა: „რომელსაც“, მიწერილია: „არც ერთ ხალხურ ზღაპარში „რომელსაც“ არ არის“.

6162. მხატვრულ მასალათა კრებული. საბავშვო ბავშვისათვის. თბ., 1942.

კანზე: „ი. გრ. 1944. 18/IV“. იქვე: „მე-28 – ი. გრ. „ამ გვერდზე დაბეჭდილია ი. გრიშაშვილის ლექსი „პატარა პატრიოტები“.

6163. მხატვრულ მასალათა კრებული. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა პედაგოგებისათვის. თბ., 1952.

6164–6165. მხატვრული მასალა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. (პედაგოგების სახელმძღვ.). თბ., 1956.

6166. ნადირაძე კ. ორი მზე. [ზღაპარი. თბ., 1929].

- კანზე მარიჯანის ხელწერა: „მარიჯან“. ქვევით: „ი. გრ. 1929 წ.“.
- გვ. 2. ხაზგასმულია: „შინისაკენ გასწია“, მიწერილია: „თუ მარტო წავიდა, ვინ მირბიან“.
- გვ. 19. მოხაზულია მე-2 სტროფი, მიწერილია: „იმეორებს გვ. 12.“
- გვ. 23. ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები: „დაჰკა – მაგრად“, მიწერილია: „იმეორებს“.
6167. ნათაძე ა. მელიას თავ-გადასავალი. საყმაწვილო ზღაპარი. გადმოკეთ. ტფ., 1904.
6168. ნათაძე გ. ვეფხისტყაოსნის ფრინველები. [ადგილები ამოკრიფა და დაასურათა გ. ნათაძემ]. თბ., 1938.
- თავფურცელზე წარწერა: დიდ პოეტს – ი. გრიშაშვილის გიორგი ნათაძისაგან. ტფილისი, 1938 წ.“
6169. ნაკაშიძე ნ. ზარა-ბიბილის ხელმწიფის ქალი. (ზღაპარი). [ტბ., 1910]. ამონაჭერი: ჟურნ. „ნაკადული“, 1910, № 4.
6170. ნაკაშიძე ნ. ზარაბიბილის ხელმწიფის ქალი. (ზღაპარი). ქუთაისი, 1914.
6171. ნაკაშიძე ნ. ილია ჭავჭავაძე და პატარა ბიჭუნა. [მოთხრობა]. თბ., 1944.
6172. ნაკაშიძე ნ. კომბლე. [ზღაპარი]. გადაკეთებული. თბ., 1944.
- კანზე: „ი. გრ. 1925. 11. II.“
6173. ნაკაშიძე ნ. მოწაფის დღიური. [მოთხრობები]. თბ., 1954.
6174. ნაკაშიძე ნ. ნავსადგური. ტფ., 1933.
6175. ნაკაშიძე ნ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1952.
6176. ნაკაშიძე ნ. საყმაწვილო მოთხრობები: ბავშვები და ბელურები, მათია და ნიკო. თოლია. ტფ., 1915.
- 6177–6179. ნაკაშიძე ნ. უღუ და თეთ. [საბავშვო მოთხრობა]. თბ., 1947.
6180. ნაკაშიძე ნ. ყველამ მიულოცა. მოთხრობები. ზღაპრები, პიესები. თბ., 1957.
6181. ნაკაშიძე ნ. ხალხური ზღაპრები. გადამუშავებული ბავშვებისათვის. ტფ., 1935.
6182. ნაკაშიძე ნ. ხალხური ზღაპრები. მე-2 შევსებ. გამოც. თბ., 1938.
- 6183–6184. ნაკაშიძე ნ. და სტაროსელსკაია ი. ეზოში [თბ.], 1930.
- გვ. 6. ხაზგასმულია: „იგი“, მიწერილია: „კალია(?)“.
- 6185–6186. ნაკაშიძე ნ. და სტაროსელსკაია ი. მინდორში. [თბ.], 1930.
- 6187–6188. ნაკაშიძე ნ. და სტაროსელსკაია ი. ოთახში. [თბ.], 1930.
- გვ. 8. მოთხრობა „და-ძმაში“ ხაზგასმულია „კოვზი“, მიწერილია: „ყურმილი?“
- გვ. 10. მოთხრობაში „მატარებელი და მგზავრები“ ხაზგასმულია ადგილი, მიწერილია: „არეულია?“
- 6189–6190. ნაკაშიძე ნ. და სტაროსელსკაია ი. ტყეში. [თბ.], 1930.
- კანზე: „ი. გრ. 1931. 15. IV“.
6191. ნაკაშიძე ნ. და ტიმოფეევი ი. ოქტომბრელები ბათომში. [თბ.], 1934.
- კანზე: „ი. გრ. 1934. 15V“.
- გვ. 1. ხაზგასმულია: „წვრილფანჯრებიანი“, მიწერილია: „ვიწრო“.
- გვ. 2. მოხაზულია: „შუა“, მიწერილია: „შორის“.
- გვ. 4. ხაზგასმულია: „ხეების ქვეშ“, მიწერილია: „ან ხეებს ქვეშ ან ძირს“.
- გვ. 14. მოხაზულია: „თქვეს“, მიწერილია: „წარმოსთქვეს“. ხაზგასმულია: „მეზღვაურმა“, მიწერილია: „ერთმა?“

6192. ნაკაშიძე ნ., უნაფქოშვილი ნ. და მარიჯანი. პატარა მშენებლები. [ლექსები და მოთხრობები]. თბ., 1928.  
კანის მეორე გვერდზე: „ი. გრ. 1928 წ., 28. XII“.
6193. ნაჭყებია ვ. განაჩენი. [მოთხრობა]. თბ., 1949.
6194. ნახუცრიშვილი გ. აჩაკუნე. „პატარა მეომრები“. საბავშვო კომედია 4 მოქმ. თბ., 1953.
6195. ნახუცრიშვილი გ. კომბლე. ზღაპარი – კომედია. 3 მოქმ. და 5 სურ. თბ., 1948.
6196. ნახუცრიშვილი გ. კომბლე. ზღაპარი-კომედია. 3 მოქმ. და 5 სურ. თბ., 1956.
6197. ნახუცრიშვილი გ. მამამ გამომგზავნა. [მოთხრობა]. ტფ., 1933.  
თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, რომელმაც შემაყვარა ქართული ლექსი და შახიანი ქართული ენა. გ. ნახუცრიშვილი. 26. III. 35 წ.“
6198. ნახუცრიშვილი გ. მამამ გამომგზავნა. [მოთხრობა]. ტფ., 1937.
- 6199–6200. ნახუცრიშვილი გ. სილვა ვასილევია. [მოთხრობა. თბ.], სახელგამი, 1934.  
ბოლო ფორზაცზე გაზეთიდან ამოჭრილი რეცენზია ლ. ჭიჭინაძისა მინაწერით: „კომ. განათლება“, 1935, № 28.“
- 6201–6202. ნახუცრიშვილი გ. სილვა ვასილევია. [მოთხრობა]. თბ., საბლიტგამი, 1934.  
კანზე: „ავტორისაგან“.
- თავფურცლის მე-2 გვერდზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პოეტს და ადამიანს იოსებ გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით. ავტორი – ი. ნახუცრიშვილი. 29. X. 54 წ., ქ. თბილისი“.
- 6203–6204. ნახუცრიშვილი გ. და გამრეკელი ბ. ნაცარქექია. ზღაპრული ამბავი. 4 მოქმ. პიესა 7 სურ. ტფ., 1937.
6205. ნობათი. ლექსები. მოთხრობები. ზღაპრები. თბ., 1962.  
თავფურცელზე წარწერა: „ჩვენი კულტურის მშვენიერებას, ქართული ლიტერატურის სიამაყეს, ჩემს საყვარელ ძია სოსოს (გრიშაშვილს) ბ. ბერიაშვილისაგან. 1963 წ. 25/III. თბილისი“.
6206. ნორჩ აჭარლებს. კრ. 1 შედგ. გ. გორგაძის მიერ. ბათუმი, 1925.  
თავფურცელზე: „ი. გრ. 13/IV“.
6207. ოდიშარი ა. თავდადება. [მოთხრობები]. თბ., 1945.
6208. ოთხი დრო. ლექსებისა და მოთხრობების კრებული. შემდგ. მ. ლებანიძე, თბ., 1957.
6209. ონელი ა. გზა, რომელიც ბრწყინავს მარად. [ლექსები]. თბ., 1955.
6210. ონელი ა. მშვიდობა გვინდა. [ლექსები]. თბ., 1952.
6211. ონელი ა. ნოდარის ოცნება. [ლექსები]. ტფ., 1937.
6212. ონელი ა. რას ამბობს ჩიტი-ჩიორა. [ლექსები]. თბ., 1959.
6213. ონელი ა. ჩიორას სიმღერა. [ლექსები]. თბ., 1950.
6214. ონელი ა. ცრემლი და სიხარული. პოემა. [ტფ.], 1935.
- 6215–6216. ორბელიანი სულხან-საბა. არაკები მოწაფეთათვის სახმარებლად. გამოკრებილი „სიბრძნე-სიცრუვიდამ“ და გამართული ნ. მთვარელიშვილის მიერ. ტფ., 1892.
- მეორე ცალის თავფურცელზე ადრინდელი პატრონის ავტოგრაფი: „ლ. ბაღაშვილი“  
იქვე: „ვიყიდე სახელგამის ბუკინისტ – კიკნაველიძესთან. ი. გრ. 1939. 16/V“.

6217. პაპიაშვილი გ. დიდი ცხოვრების გზაზე. [მოთხრობა]. თბ., 1957.  
გვ. 3. მოხაზულია: „ცხვირპაჭუა“, არშიაზე კითხვის ნიშანი.
- 6218–6219. პარკაძე გ. სოსანას ნაამბობი. [მოთხრობები]. თბ., 1954.
- 6220–6221. პატარა საუნჯე. ქართველ მწერალთა საბავშვო ნაწარმოებები. 2 ტომად. [თბ., 1962].
- 6222–6223. პატარიძე მ. ლადა და თრითინა. [პოემა. თბ., 1937].
- 6224–6225. პეტრიაშვილი ვ. ჩვენი ტყე. [ლექსები]. თბ., 1953.  
კანზე: „ი. გრ. 1953. 2/XII“. იქვე: „მერქანი 38, 65“.
- გვ. 5. ხაზგასმულია: „გაოცებას ჰგვრის“, მიწერილია: „აოცებს“.
- 6226–6227. პური და მანქანები [ლექსი. თბ.], 1932.  
კანზე: „თარეში“ გვ. 5“.
6228. ჟღენტი ს. გაზაფხულის სიმღერები. [ლექსები]. თბ., 1938.  
თავფურცელზე წარწერა: „ლექსის იშვიათ ოსტატს. ქართული სიტყვის მესაიდუმლეს, ყველასთან უბრალოს და გულის გამმლელს – ჩემს საყვარელ პოეტ ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. 30/X-38.“
6229. ჟღენტი ს. საბავშვო ლექსები. თბ., 1949.
- 6230–6232. რაზიკაშვილი თ. მოთხრობები. ტფ., 1925.  
კანზე: „ილამაზს“.  
მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 1925. 23.VI“.
6233. რაზიკაშვილი თ. მურია. მეცხვარის ძაღლის ამბავი. ყრმათათვის. თფ., 1903.
6234. რაზიკაშვილი თ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1947.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 12 VII“. იქვე გაზეთიდან ამონაჭერი გ. სანაძის წერილი „უვიცობისა და უპასუხისმგებლობის ნიმუში“ მინაწერით: „1947 წ., № 83. 12 ივლისი. „ახალგაზრ. კომ.“ ფსევდონიმი „გ. სანაძე“ გახსნილია: „ერემო ასტვაცატუროვი“.
- 6235–6236. რატიშვილი კ. „ჩვენი შოლტი“ (საბავშვო პიესა). [თბ.], 1936.
6237. რატომ არ იყო პური. [მოთხრობა. ტფ., 1928].
6238. რევიშვილი ი. კაკანათი. [მოთხრობა]. ტფ., 1937.  
გვ. 11. ხაზგასმულია: „სულელ“, დასმულია კითხვის ნიშანი და მიწერილია: „ცელქს, მოუსვენარს“.
6239. რემონიძე ს. დამკვრელი რეზო. [მოთხრობა]. ტფ., 1931.
6240. რემონიძე ს. ვაჟიკო და ელიკო. [მოთხრობა]. თბ., 1934.  
თავფურცელზე წარწერა: „მვირფას სოსოს ავტორისგან. 25/IV. 1934 წ.“
6241. რემონიძე ს. ზეინაბის ყვერული. (მოთხრობა). ტფ., 1933.
6242. რემონიძე ს. მეფუტკრე ვახტანგი. მოზრდილთათვის. თბ., 1935.
- 6243–6244. რემონიძე ს. საბავშვო მოთხრობები. წიგნი 1–2. ტფ., 1925.  
წ. 1.  
თავფურცელზე წარწერა: „მვ. მეგობარს ს. გრიშაშვილს ავტორისაგან. 10/III. 25 წ.“  
წ. 2.  
კანზე: „მე მაქვს ს. რემონიძის შეკვრაში“.
- 6245–6247. რემონიძე ს. საბავშვო მოთხრობები და პიესები. ტფ., 1928.  
თავფურცელზე წარწერა: „მვ. ტრიფონს – ავტორისაგან“.  
მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „ქეთევან ხარაძეს ავტორისგან“.



6248. როინიშვილი დ. მომღერლები. ზღაპარი – სურათები. ტფ., 1925.
6249. როსტომაშვილი ი. მეფე ლამზა. [ზღაპარი]. თბ., 1903
- 6250–6251. როყვა შ. ლია, გელა და სხვები. [ლექსები და პოემები]. ბათუმი, 1957.
6252. რურუა პ. ბუნება და ბავშვები. [ლექსები]. ბათუმი, 1937.  
თავფურცელზე წარწერა: „ჩვენს ძვირფას საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. ბათუმი. 19/VII“.
6253. რურუა პ. კუდაბზიკები. საბავშვო პოემა. ბათუმი, 1939.
6254. რურუა პ. მზე და ყვავილები. [ლექსები]. ბათუმი, 1944.  
თავფურცელზე წარწერა: „გულით საყვარელ პოეტ ი. გრიშაშვილს. პ. რურუა. 31/I 45 წ.“
6255. რურუა პ. ნაცარქექია. ზღაპარი. ბათუმი, 1940.  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1941. 16/I. - გვ. 21“.  
გვ. 21. მოხაზულია სიტყვა: „მიწაზე“, მიწერილია: „წყალში“.  
გვ. 38. ტექსტში ხაზგასმულია სტრიქონი: „პატარძლის სიმსხო, სიგრძეო“. მიწერილია: „გვ. 37“ – აღნიშნულ გვერდზე პატარძლის პორტრეტია დახატული.  
გვ. 42. ხაზგასმულია სტრიქონი: პატარძალს დაშვენდა „ფერად სახეზე რიდეო“... არშიაზე კითხვის ნიშანი.
6256. რურუა პ. ოქტომბრელებს. [ლექსები]. ბათუმი, 1944.  
თავფურცელზე წარწერა: „პოეტ ი. გრიშაშვილს. პ. რურუა. 31/I-45“.
6257. რურუა პ. საბავშვო ლექსები. [ბათუმი], 1952.
6258. რუსიძე კ. ლიანას ამხანაგი. [მოთხრობები]. ბათუმი, 1950.
- 6259–6260. საბავშვო პიესათა კრებული. ტფ., 1922.  
გვ. 134. ხაზგასმულია: „წყნარად“... მიწერილია: „დაწყნარდი“.  
კანის მე-4 გვ. მიწერილია: „ნელლიმ „მდგმური“ დასდგა 1931 წ. 22 დეკემბერს. ი. გრ.“
- 6261–6266. საბავშვო პიესები. ტფ., 1921.
6267. საბავშვო პიესები. თბ., 1940.  
ყდაზე: „ი. გრ. აქ მარიჯანის პიესაა!“ იქვე გაზეთიდან ამონაჭერი ალ. აქვსენტიძის „ორიოდე სიტყვა საბავშვო პიესების შესახებ“, მიწერილია: „ი. გრ. „ახალგაზრდა კომ.“, 1941, № 114, 17 მაისი“.
6268. საბავშვო პიესები. თბ., 1960.  
კანზე: „პატარა სცენისმოყვარეებს“.
6269. სალუქვაძე გ. აყვავებული აჭარა. საბავშვო ლექსები. ბათუმი, 1950.  
ფორზაცზე წარწერა: „სოსოს, ქართული პოეზიის სიამაყეს, ჩემს საყვარელ პოეტს გულწრფელად: გ. სალუქვაძე. 1. VII.50 წ.“  
ყდის მეორე გვერდზე გ. სალუქვაძის წერილი ი. გრიშაშვილისადმი, გამოგზავნილი ბათუმიდან 1955 წ. 1. VII. თხოვს ადრესატს გამოთქვას თავისი აზრი ამ წიგნის შესახებ.  
ი. რურუას რეცენზია ამ წიგნზე „ახალგაზრდა პოეტის საბავშვო ლექსები“, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერთ: „ლიტ. და ხელ.“, 1950, № 33.“
6270. სალუქვაძე გ. თოჯინების ნაამბობი [ლექსები]. ბათუმი, 1954.
- 6271–6272. სალუქვაძე გ. მშვიდობა უნდათ პატარებს. [ლექსები]. ბათუმი, 1953.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს ჩემს ძალიან საყვარელ პოეტს. გ. სალუქვაძე. 30/VIII. 53 წ. თბილისი“.

6273. სამადაშვილი თ. პირველი ყვავილები. [მოთხრობები]. თბ., 1956.

6274–6275. სამადაშვილი ნ. ზღვის საიდუმლოებანი. [მოთხრობები]. თბ., 1947.

6276. სამსონიძე პ. საჩუქრად ბავშვებს. [ლექსები]. ტფ., 1931.

6277. სარიშვილი გ. ციციხო. [მოთხრობა]. თბ., 1949.

6278. საყვარელ დედას. [კრებული]. თბ., 1960.

6279–6280. საყმაწვილო ბავ. გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან. თფ., 1883.

6281–6284. საყმაწვილო ბიბლიოთეკა. (ლექსები). შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ. მე-3 გამოც. ოზურგეთი, 1895.

კანზე ხაზგასმულია: „კ. ოცხანელი“ და მიწერილია: „კ. თავართქილაძეა. ი. გრ.“

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „მ. კინწურაშვილი“.

გვ. 46. ლექსის „ვაჭარი“ ბოლოს მიწერილია: „(კრილოვით). ი. გრ.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „აკლია გვ. 39–42“ იქვე: „ეს წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ.“

6285. საყმაწვილო ლექსთა კრებული. ტფ., 1923.

კანზე: „გ. ქუჩიშვილის ლექსები ფრინველებზე“.

6286. საჩინოელი ა. აბა გამოიცან! [ლექსები]. თბ., 1961.

კანის მე-2 გვერდზე წარწერა: „ვუძღვნი იოსებ გრიშაშვილს პოეტ-აკადემიკოს ნიშნად ღრმა პატივისცემისა და მეგობრობისა. ავტორი. ალ. საჩინოელი. ქ. თბილისი. 5/XI 61 წ.“

6287–6288. საჩინოელი ა. ბავშვები ოჯახში. [მოთხრობები]. თბ., 1958.

თავფურცელის მე-2 გვერდზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს – პოეტ-აკადემიკოს – ვუძღვნი ამ პატარა მოთხრობების კრებულს – ნიშნად ღრმა პატივისცემისა და მეგობრობისა. თბილისი. 13/X. 58 წ.“

6289. საჩინოელი ა. გამოცანები. საბავშვო ლექსები. [თბ.], 1943.

კანის მე-2 გვ. წარწერა: „ვუძღვნი დიდ ქართველ მწერალს იოსებ გრიშაშვილს – ნიშნად ღრმა პატივისცემისა. ავტორ. ალ. საჩინოელი. 5/VII, 1945. დედაქალაქი თბილისი“.

6290–6291. საჩინოელი ა. გამოცანები. საბავშვო ლექსები. თბ., 1949.

თავფურცელზე წარწერა: „ამხ. ი. გრიშაშვილს – სტალინური პრემიის ლაურეატსა და აკადემიკოს – ქართველ ცნობილ პოეტს – ნიშნად ღრმა პატივისცემისა და მეგობრობისა. ავტორისაგან. 27/III. 50 წ.“

6292–6293. საჩინოელი ა. გამოცანები. [ლექსები]. თბ., 1953.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს – პოეტ აკადემიკოსს ვუძღვნი ამ ჩემს წიგნს ნიშნად ღრმა პატივისცემისა და მეგობრობისა. ავტორი – ალ. საჩინოელი. 23/VII. 54 წ. თბილისი.“ იქვე ავტორის გვარის ქვემოთ მიწერილია: „(გვარად ჩახუნაშვილია). ი. გრ.“

6294. საჯაია ა. ზღაპრები. თბ., 1956.

კანზე: „ი. გრ. 1956, 11/IX“.

6295. სიხარულიძე ი. ამ პატარას, იმ პატარას. [ლექსები]. თბ., 1960.

6296. სიხარულიძე ი. ახალი ტფილისი. [ლექსები]. თბ., 1934.

6297. სიხარულიძე ი. ბურთის სიმღერა. [ლექსები]. თბ., 1949.
6298. სიხარულიძე ი. გამარჯობათ პატარებო! [ლექსები]. თბ., 1952.
6299. სიხარულიძე ი. თვალჭუჭუნა ჟუჭუნა. [ლექსები]. თბ., 1947.
6300. სიხარულიძე ი. მხიარული ლექსები. თბ., 1955.
- გვ. 21. ლექსში: „თინას ნაამბობი“ მოხაზულია:  
„უთხრა, მიაგ, უკაცრავად, ვერ წაბრძანდი უკაწრავად“, მიწერილია: „ჩემგან“.
- გვ. 23. იმავე ლექსში სიტყვებს გაკეთებული აქვს გადასმის ნიშანი, სტრიქონში:  
„დახეთ, რას აკეთებს თინა!“
6301. სიხარულიძე ი. ნათელას ფისო. [ლექსი. თბ.], 1937.  
კანზე: „ამ წიგნის ბიბლიოგრაფია იხ. „კომუნისტური განათლება“, 1937 წ., № 102, 3 ნომბ. ს. ცაიშვილისა. ი. გრ.“
6302. სიხარულიძე ი. ოქტომბრის ყვავილები. [ლექსები]. თბ., 1938.  
თავფურცელზე წარწერა: „ძია სოსოს – პაწაწინა ილიასაგან. 19 VII 38 წ.“
6303. სიხარულიძე ი. პატარები აგარაკზე. [ლექსები]. თბ., 1956.
6304. სიხარულიძე ი. პურის მარცვლის თავგადასავალი. [მოთხრობა. თბ.], 1926.
- 6305–6306. სიხარულიძე ი. საბავშვო თამაშობანი ლექსებად. საბავშვო ბაღებისა, შრომის სკოლებისა და ოჯახთათვის. ტფ., 1925.  
თავფურცელზე წარწერა: „მგოსან გრიშაშვილს ავტორისაგან. 28. X. 25.“
6307. სიხარულიძე ი. საჰაერო განგაში. [პოემა. თბ.], 1940.
6308. სულხანიშვილი ლ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1955.  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1956. 13/II“.  
კანის მეორე გვერდზე მიწერილია: „იეთიმ გურჯი აქა ვარ?“ წარწერა მის საფლავზე გადმომცა თუშიშვილმა“.
6309. ტატიშვილი გ. ხუმარა სპილოები. საყმაწვილო სურათებიანი წიგნი. გადმოკეთ. გრ. ტატიშვილის მიერ. ტფ., 1897.
6310. ტუსი-შვილი ს. გ. ყმაწვილი და ფრინველნი. ტფ., 1891.  
თავფურცელზე: „ეს წიგნი არის დ. კ-ჭის კატალოგში. ი. გრ.“
6311. ურჯუმელაშვილი ი. სუვოროველები. თბ., 1954.  
თავფურცელის მეორე გვერდზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, მართალ პოეტს გულითადი პატივისცემით. ავტორი. 1955 წ., 13 იანვარი“.
6312. ფოცხიშვილი მ. აქეთ მე და იქით შენა. [ლექსები]. თბ., 1959.
6313. ფრუიძე ა. გამოცანები. [თბ.]. 1949.
6314. ფურცხვანიძე ე. ბაცა. (საბავშვო პიესა). ტფ., 1929.
6315. ფურცხვანიძე ე. კრუხუნას თავგადასავალი. მოთხ. ფრინველთა ცხოვრებიდან. [ნაწერების მესამე წიგნი]. ქუთაისი, 1927.
6316. ფურცხვანიძე ე. შოთიკოს შურისძიება. საბავშვო მოთხრობა. [ქუთაისი, 1926].  
კანზე: „ი. გრ. ქუთაისი. 1926. 14/VI“.
- 6317–6318. ქართული საბავშვო ლიტერატურა. ქრესტომათია. შედ. ანა ღვინიაშვილის მიერ. წიგნი 1–2. თბ., 1955–1956.  
წიგნი 1. 1955.  
ფორზაცზე: „ზეზვა, 329“.
- გვ. 329. ხაზგასმულია – „ზეზვა“ შიო მღვიმელის (ქუჩუკაშვილის) ფსევდონიმი.

- წ. 2. 1956.  
 ფორზაცზე: „ი. გრ. გვ. 87“.
6319. ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი. [კრებული ბიოგრ. ცნობებით შედგენილია ა. ღვინიაშვილის მიერ]. თბ., 1959.
- 6320–6322. ქიაჩელი ლ. დათუჩა. მოთხრობა. თბ., 1954.  
 ფორზაცზე წარწერა: „პოეტს, აკადემიკოსს, მეგობარს იოსებ გრიშაშვილს. პატივისცემით და სიყვარულით. ლეო ქიაჩელი. 1954“.
- 6323–6324. ქიაჩელი ლ. ერთი თავგადასავალი. მოთხრობა. ტფ., 1929.
6325. ქიაჩელი ლ. ზღვა. მზე და ოთარიკო. საბავშვო მოთხრობები. გამოც. მე-2. ტფ., 1929.
6326. ქიაჩელი ლ. თიხის მონადირე. საბავშვო მოთხრობები. ტფ., 1929.
6327. ქიაჩელი ლ. მეგობარი. მოთხრობა. ტფ., 1929.
6328. ქიაჩელი ლ. მონადირეები. [მოთხრობა]. თბ., 1956.
6329. ქიაჩელი ლ. ნათელა. – ოთხი. საბავშვო მოთხრობები. ტფ., 1933.
6330. ქიაჩელი ლ. ნატახტარის საიდუმლო. საყმაწვილო მოთხრობა. ტფ., 1923.  
 თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. 28/II 24.“  
 კანზე: „ი. გრ. 1924. 28/II“.
6331. ქიაჩელი ლ. ნატვრის-თვალი. [მოთხრობები. თბ., 1920].
6332. ქიაჩელი ლ. ნატვრისთვალი. მოთხრობები. თბ., 1948.
6333. ქიაჩელი ლ. პატარა ისტორია. [მოთხრობა]. – ამოღებულია წიგნიდან.
6334. ქიაჩელი ლ. საბავშვო მოთხრობები. ტფ., 1924.  
 კანზე: „ი. გრ. 6/X 1924“.  
 თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს. ავტორი. XI/24 წ.“
6335. ქიაჩელი ლ. ჭინკა-ბიჭი. საბავშვო მოთხრობები. წიგნი 3. ტფ., 1925.
- 6336–6337. ქორელი მ. ხინჩლა. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1950.  
 თავფურცლის მე-2 გვერდზე წარწერა: „ღრმად პატივცემულს ბ-ნ იოსებს, მხატვარ ნინო ფოფხაძისაგან. ქ. ბორჯომი, 1950 წ.“  
 მეორე ცალის კანზე: „ჩემი რედაქციით. ი. გრ.“  
 შეცდომების გასწორების მიხედვით ი. გრიშაშვილს გადაუშლია „მხატვ. ირ. რაზმაძე“ და მიუწერია: „ნინო ფოფხაძე“.
- 6338–6339. ქორქია რ. მოთხრობები. თბ., 1953.  
 ფორზაცზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს ქართული სიტყვის ელვარე ჯიდას ქართული ლექსის მართალ გულს, მეგობრული სიყვარულით ავტორისაგან“. იქვე: „1954. 24/V. ი. გრ.“
- მეორე ცალის ფორზაცზე: „გვ. 148 – „ქუდი თავზედ?“.  
 გვ. 148. ხაზგასმულია სტრიქონი: „ქუდმოხდილი ვარ თავზედა“, დასმულია კითხვის ნიშანი.
- უკანასკნელ გვერდზე მიწერილია: „გამოვიდა 1954, 20/I“.
6340. ქორქია რ. ოთხი ზღაპარი. თბ., 1941.
6341. ქორქია რ. სამშობლომ გამომგზავნა. [მოთხრობა]. თბ., 1944.
6342. ქორქია რ. შველი. (ზღაპარი). თბ., 1948.
6343. ქსნელი მ. გიორგის ნატვრა. – დედის საუბარი. [მოთხრობები]. თბ., 1912.

6344. ქუმსიშვილი დ. და სულაკაური ა. გზა დიდებისაკენ. პოემა. თბ., 1950.  
კანზე: „რეცენზიით“.
- გაზეთიდან ამონაჭერი ვ. გოგოლაძის რეცენზია „პოემა შრომითი რეზერვებზე“  
მინაწერთ: „ახალგაზრდა კომ.“. 1951, № 113, 18 სექტ.“
6345. ქურდიანი ი. წყლის წვეთის თავგადასავალი. [მოთხრობა]. თბ., 1947.
- 6346–6348. ქურხული ი. აქ ტირილი, აქ ყვირილი როგორ იქნება!... სიტყვა პირველი.  
ტფ., 1930.
- თავფურცელზე წარწერა: „ჩემს სიყრმის ძმა ბიჭს, მგოსან სოსოს და დიდ მუსიკოსს  
ქვეყნად მოხეტიალე ი. ქურხული. საგარეჯო. 1936 წ., 31/X“.
6349. ქუჩიშვილი გ. ბავშვები. [ლექსები]. ტფ., 1932.
6350. ქუჩიშვილი გ. ბავშვებს. ლექსები. თბ., 1922.
- კანზე ბოლოში მიწერილია: „რეცენზია „კომუნისტი“, 1923 წ., № 34, 14 თებერვ.“
6351. ქუჩიშვილი გ. ბავშვებს. [ლექსები]. თბ., 1946.  
კანზე: „ი. გრ. 1946. 10/IV“.
- გვ. 4. ლექსში „წარჩინებული“ მოხაზულია ბოლო 3 სტრიქონი და მიწერილია: „ისე  
გამოდის, რომ ეს სიტყვები წარჩინებულს ეკუთვნის და არა ზღვას“.
6352. ქუჩიშვილი გ. მოგესალმებით ბავშვებო. რჩეული საბავშვო ლექსები. [თბ.],  
1949.
- ფორზაცზე: „არა საბავშვო ლექსები, გვ. 144“.
- 6353–6354. ქუჩიშვილი გ. ნორჩ თაობას. [ლექსები]. ტფ., 1935.
- თავფურცელზე წარწერა: „ამხ. ალი არსენიშვილს. ავტორისაგან. 1936“.
- 6355–6356. ქუჩიშვილი გ. ფრინველები. [ლექსები. თბ., 1937].  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1937. 10/III“.
- მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „მშვენიერ დედამის მშვენიერ გოგონას  
ეთერიკო თარალაშვილს. ბიძია გ. ქუჩიშვილი. ტფილისი, 1937.
6357. ქუჩუკაშვილი ქ. ზამთრის ზღაპარი. [პიესა უმცროსი ასაკისათვის]. თბ., 1947.
- 6358–6359. ქუჩუკაშვილი ქ. ჩვენი ეზოს ბავშვები. [ლექსები]. თბ., 1953.
- თავფურცელზე წარწერა: „ბ-ნ სოსოს დიდი პატივისცემით და სიყვარულით. ქ.  
ქუჩუკაშვილი. 25/I. 54 წ.“
- მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 1954. 25. I“.
- კანის ბოლო გვერდზე მიწერილია: „ფაფუკი – 4; მუნათი – 33; უძღები? 105“.
- ბევრჯერ აქვს: „დიდი ვარ“, „მივდივარ“ – 43“. – მითითებული ადგილები ხაზგასმულია.  
წიგნში გაზ. „Молодой сталинец“-ის 1954 წ., № 11 და გაზ. „ახ. კომუნისტის“, 1954 წ., №  
11. მათში მოთავსებულია მ. გოგიჩაიშვილის მოხსენება: „საქ. ალკვ ცენტრალური  
კომიტეტის ანგარიში XX ყრილობას“, ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია: „აუცი ქ.  
ქუჩუკაშვილზე“.
- 6360–6361. ღვაბერია ო. რეზოს ოცნება. [მოთხრობა]. თბ., 1952.
6362. ყიფიანი მ. ჩვენი ლექსები. თბ., [1930].
- თავფურცელზე: „ნელიც კი არ დასწერს ამისთანა ლექსებს. 1930. 20 მაისი. ი. გრ.“
- გვ. 9. მოხაზულია და მიწერილია: „კარგია“.
- გვ. 10. მინაწერი: „იხ. ჩემი „ციცინათელები თმებში“.

6363. ყიფიანი ს. ინდოურების თავ-გადასავალი. [მოთხრობა. თბ., 1907]. ამონაჭერი ჟურნ. „ნაკადული“-დან, 1907, № 12.
- 6364–6369. ყრმათათვის საკითხავი წიგნი. ანთ. ჯუღელის რედაქციით გამოცემული. წყარო №№ 1–4. თბ., 1881.
- წყარო № 1.
- თავფურცელზე: „ი. გრ. 1945. 14/II“. ფორზაცზე: „იშვიათია! ი. გრ.“.
- გვ. 67. რუსულიდან გადმოკეთებული ლექსის „ყინვა და პატარა შაგირდი“ ბოლოს ინიციალებს: „ნ. ლ.“ მიწერილი აქვს: „(ნიკოლოზო)“.
- გვ. 75. მოთხრობაში „დედა და შვილი“ ხაზგასმულია: „როცა სული მართალია, გულიც მართალია“.
- გვ. 96. ბოლოში მიწერილია: „ეს სადღაც წამიკითხავს რუსულად. ი. გრ.“
- წყარო № 2. გაზაფხული.
- კანზე: „მეც დავაწერ, სახლში არ გაიციემა! ი. გრ.“
- წყარო № 3 და № 4. ზაფხული.
- კანზე რედაქტორის ანთიმოზ ჯუღელის ქვეშ მიწერილია: „ვალიკოს მამა. ი. გრ.“.
6370. შამათავა დ. მოთხრობები. თბ., 1952.
6371. შამათავა დ. ნათესავები. [მოთხრობები, თბ.], 1947.
- 6372–6374. შამანაძე ნ. ეს ქვეყანა თქვენია. [ლექსები]. თბ., 1960.
- კანის მეორე გვერდზე წარწერა: „ჩემს მუდამ საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. უღრმესი პატივისცემით. ავტორი. 15/X. 60 წ.“.
6375. შანიძე ა. რა ლამაზია, რა კარგი. [ლექსები]. თბ., 1957.
- 6376–6377. შანშიაშვილი ს. გიგლა ბიჭი. [ლექსები]. თბ., 1958.
6378. შანშიაშვილი ს. აჯამი გიგლა. [მოთხრობა]. ტფ., 1930.
6379. შანშიაშვილი ს. ზაჰესი. წერილი მეგობართან. [მოთხრობა]. ტფ., 1930.
- კანზე: „შეცდომა, გვ. 13–14. ი. გრ.“
- გვ. 14. ხაზგასმულია: „ნეტავი კი მალე ვისწავლოთ“, მიწერილია: „კაცის მოკვლა?“
6380. შანშიაშვილი ს. თაფლის ქურდი. [მოთხრობა]. ტფ., 1930.
6381. შანშიაშვილი ს. ნაცარქექია. [ზღაპარი ლექსად]. ტფ., 1930.
6382. შანშიაშვილი ს. წერილი თავგთან. [მოთხრობა]. ტფ., 1930.
- 6383–6385. შარაშიძე გ. ორი პატარა ამბავი. რუს. გადმოკ. თფ., 1889.
6386. შარაშიძე გ. როგორ გადარჩენ გაცოფებას დათია და სტეფანე ბალიშვილები! (ნამდვილი ამბავი). ტფ., 1926.
6387. შატბერაშვილი გ. კარგი ბიჭი. – ბუტიას კერძი. – ხილთა ქება. [მოთხრობები. ლექსები]. თბ., 1949.
- 6388–6389. შატბერაშვილი გ. და მარგიანი რ. ხორბალა. თანამედროვე ზღაპარი. თბ., 1950.
- თავფურცელზე წარწერა: „სახსოვრად იოსებ გრიშაშვილს. პატივისცემით რეზო მარგიანი. გ. შატბერაშვილის მაგივრადაც. (ვიცი არ ეწყინება!) 27. IV. 51.“
6390. შემოდგომა. დასურათებული წიგნი ბავშვებისათვის. კრ. 1. თბ., 1921.
- თავფურცელზე: „25/IV.22 წ.“
- 6391–6292. შენგელია დ. ზაჰესი. [მხატვ. ნარკვევი]. ტფ., 1931.
6393. შენგელია ა. ანბანთ სიმღერა. საბავშვო ლექსები. თბ., 1948.

6394. შენგელია ა. ლიანას მტრედი. [ლექსები]. თბ., 1942.  
კანზე: „ი. გრ. 1943. 19/III“.
- იქვე: „P. S. ეს ბავშვი ავტორს გარდაეცვალა 1943 წელს მაისში. ი. გრ.“
6395. შენგელია ა. საბავშვო ლექსები, პოემები. თბ., 1952.  
თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს, საყვარელ ადამიანს ი. გრიშაშვილს ღრმა სიყვარულით და პატივისცემით. ალექო შენგელია 24. I. 53.“
6396. შენგელია ა. საბავშვო ლექსები და პოემები. თბ., 1955.
- 6397–6398. შენგელია ა. წერილი მამას. [ლექსები]. თბ., 1945.  
თავფურცელზე წარწერა: „ქართული სიტყვის ოქროპირს, შესანიშნავსა და საყვარელ ადამიანს. სოსო გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით. ალექო შენგელია 28. VIII. 45. ტფილისი“.
- მეორე ცალის კანზე: „ჩემის რედ. ი. გრ.“
6399. შერაზადაშვილი ზ. საბავშვო ლექსები და პოემები. თბ., 1955.
- 6400–6403. შრომა და ცოდნა. პირველი ჯგუფის [1–3] წიგნი. ტფ., 1925.
- წ. 1.  
წ. 2.  
წ. 3.
6404. შუბლაძე შ. მერცხალა. [ლექსები]. ბათუმი, 1941.
6405. შუბლაძე შ. საბავშვო პიესები და პოემები. ბათუმი, 1959.
6406. შუბლაძე შ. სალამი, ჩიტუნებო. [ლექსები]. ბათუმი, 1955.
6407. ჩაჩავა ნ. გოგიას წიგნი. [ლექსები]. თბ., 1949.
6408. ჩაჩავა ნ. იყო ერთი ბეკეკა. ლექსები. თბ., 1958.
6409. ჩაჩავა ნ. მტირალა ილა. [ლექსი]. რედ. ი. გრიშაშვილი. [თბ.], 1946.  
კანზე: „მე – რედაქტორი (?)“.
6410. ჩაჩავა ნ. რატომ ვერ აგებს ჩხიკვი კარგ ბუდეს? [პოემა. თბ.], 1945.
6411. ჩაჩავა ნ. საბავშვო ლექსები. თბ., 1955.
- გვ. 3. ლექსში „უძლეველი ჯარი“ ხაზგასმულია: „ორთავეს გვიხარია“, მიწერილია: „ორივეს“.
- გვ. 5. ლექსში „გოგიას წიგნი“ სტრიქონს – „ჩემს მამია გოგიას“ მიწერილი აქვს: „მამიკო“.
6412. ჩაჩავა ნ. ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს. [ლექსები]. თბ., 1947.
6413. ჩაჩავა ნ. ციალას მეზობლები. [ლექსები]. თბ., 1953.
- 6414–6415. ჩაჩანიძე რ. თეთრი ხომალდი. [მოთხრობები]. თბ., 1952.
6416. ჩემი პირველი ლექსები. [კრებული]. თბ., 1950.  
კანზე: „ჩემი ოთხი ლექსი. ი. გრ.“
- გვ. 12. ლექსს „კახეთს“ მიწერილი აქვს: „თ. რაზიკაშვილისაა თუ ხალხურია?“.
- გვ. 16. ლექსში „ხურო“ ხაზგასმულია სტრიქონი: „ჰა, კედლები ავიყვანე...“, მიწერილია: „ხუროს განა კედლები აჰყავს!“.
- გვ. 17. ლექსის სათაურთან „ზამთრის პირი“ მიწერილია: „მშვენიერია!“
- გვ. 19. ლექსში „ჯეჯილი“ ხაზგასმულია: „იმისი საზრდო შეიქენ, ვინც გთესა, მოგიყვანაო“. მიწერილია: „ი. დავითაშვილი“.

გვ. 38. ლექსის სათაურთან „სკოლისაკენ“ მიწერილია: „ი. ევდოშვილისაა თუ გ. ქუჩიშ“.

გვ. 45. ლექსის „ქორი და წიწილა“ ბოლოს მიწერილია: „ვაჟა-ფშაველა“.

6417. ჩიმაკაძე ე. ნანა სოფლად. საბავშვო პოემები. ბათუმი, 1959.

6418. ჩიქოვანი ს. აბრეშუმში. [ლექსი]. თბ., 1931.

გვ. [6]. ხაზგასმულია: „მწკრივად – მკვრივად“, მიწერილია: „ეს რითმა ქვევით კიდევ აქვს ავტორს“.

6419. ჩიქოვანი ს. შვიდნი.. [ზღაპარი ლექსად]. თბ., 1940.

გვ. 2. მიწერილია: „სურათზე სკამი?“

გვ. 6. ხაზგასმულია: „მურია“, მიწერილია: „სურათზე მურია არ არის, მურია დიდი ძალღია“. ხაზგასმულია: „ყვავი მშვიდი“, მიწერილია: „ყვავი(?) რა სალექსოა“.

6420. ჩიჯავაძე ო. ზვიგენის კბილი. [მოთხრობა]. თბ., 1957.

6421. ჩხაიძე თ. ახალი გაზაფხული. მოთხრობები. თბ., 1954.

6422. ჩხაიძე თ. ლოთი მამალი. [მოთხრობა]. თბ., 1949.

6423. ჩხაიძე თ. ნაცარას შვილობილი. თბ., 1952.

6424. ჩხენკელი ა. რომიკო. [მოთხრობა]. თბ., 1948.

6425–6427. ჩხენკელი ა. ძვირფასი სახსოვარი. ინგილოური მოთხრობები. თბ., 1950.

გვ. 64. ხაზგასმულია სიტყვა: „ქევხაჲ“, მიწერილია: „მამასახლისი“.

6428. ჩხიკვაძე პ. პატარა აგრონომი. საბავშვო მოთხრობები. ტფ., 1930.

6429. ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო. [ლექსები]. თბ., 1961.

6430. ცახელი პ. ლექსები და პოემები. [თბ., 1948].

6431. ცახელი პ. საბავშვო ლექსები, იგავ-არაკები და პოემები. თბ., 1950.

6432. ცახელი პ. შალვას თავგადასავალი. [პოემა]. გამოც. მე-3. თბ., 1903.

6433–6434. ცახელი პ. შალვას თავგადასავალი. [პოემა]. ქუთაისი, 1927.

6435–6438. ცახელი პ. შალვას თავგადასავალი. [პოემა]. თბ., 1936.

კანზე: „ბიოგრაფიით. ი. გრ.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „1936. 2/VI. ი. გრ.“

გვ. 13. წინასიტყვაობის ბოლოს წერია: „კიდევ“, ე. ი. ეს წიგნი კიდევ დაიბეჭდა, გარდა მოხსენებულისა“.

6439–6440. ცეცხლაძე გ. გულკეთილა და მხეცები. [ზღაპარი ლექსად]. თბ., 1949.

გვ. 3. ხაზგასმულია: „ალალ შრომით მონაგარი“, მიწერილია: „რა?“

გვ. 5. ხაზგასმულია: „არ ილევა გზა ტყიანი“, მიწერილია: „ულრანი და შაბნარი“.

მეორე ცალის კანზე: „დათვი რასა სჭამს? გვ. 4“.

გვ. 4. ხაზგასმულია: „დათვმა ყანა გაუწბილა, შეუჭამა ძროხა, ცხენი“, მიწერილია: „გვ. 9.“

გვ. 9. ხაზგასმულია: „წინ მიუძღვის დათვი ხარებს“, არშიაზე კითხვის ნიშანი.

6441. ცეცხლაძე გ. ტოლები. [ლექსები]. თბ., 1958.

6442. ცვარნამი დ. ზოოპარკში. [ლექსები]. თბ., 1952.

კანზე: „ი. გრ. 1953. 21.- II“.

6443. ცვარნამი დ. ლალის სიზმარი. ზღაპარი. თბ., 1962.

6444. ცვარნამი დ. ხარაბუზას ქორწილი. საყმაწვილო პოემა. [თბ.], 1927.

6445. ცვარნამი. დ. ხარაბუზას ქორწილი. საყმაწვილო პოემა. თბ., 1948.



6446. ცინცაძე ქ. მასწავლებელი. მოთხრობა. [თბ., 1957].
6447. ცხოველები ეტლში. თბ., 1943.
6448. ცხოველების საზამთრო ბინა. თბ., 1945.
6449. ძაღლი. [ხალხური ზღაპარი. თბ.], 1946.
6450. მეძამიძე დ. აბა გამოიცან! გასართობი ამოცანები ლექსად. თბ., 1951.  
კანის მე-2 გვერდზე წარწერა: „საყვარელ სოსოს ბიბლიოთეკას ბავშვებისათვის. ან. თევზაძე. 7. IX. 51 წ.“.
6451. ძნელაძე გ. ენძელა და ბელურა. [ლექსები]. თბ., 1960.
6452. წეველი ს. რწყილი და ჭიანჭველა. [პოემა]. თბ., 1948.
6453. წელიწადის ოთხი დრო. [ლექსები და მოთხრობები]. თბ., 1954.  
ყდაზე: „ჩემი ლექსით და რედაქტორობით. ი. გრ.“  
თავფურცელზე: „ი. გრ. 1954“.
- პირველ გვერდთან სტამბურად ნაბეჭდი ალ. აბაშელის ლექსი „ლენინს“. ნასწორებია და ბოლოში მიწერილი აქვს: „დაიბეჭდოს. ა. გაბესკირია“.
6454. წერეთელი ა. აკაკი წერეთელი საბავშვო ბაღში. [ლექსები და მოთხრობები. თბ., 1940].
6455. წერეთელი ა. ბავშვებს. [ლექსები]. თბ., 1952.  
ფორზაცზე: „ი. გრ. 1953. 5/II“. იქვე: „კორექტურა, გვ. 80; ჰალა-ჰალა, გვ. 53.“
- 6456–6460. წერეთელი ა. გადია. [ლექსები და მოთხრობები]. თბ., 1885.  
კანი შეკეთებულია ი. გრ. მიერ. ყუასთან მიწერილია: „წიგნი იოსებ მამულაშვილისა“.
- თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას ბიძიკო შოთა კურდღელაშვილს სახსოვრად სოსიკო მერკვილაძისაგან“.
- მეორე ცალის კანზე: „პალატას არ აქვს.“
6461. წერეთელი ა. ვაშლი და შაქარა. [ლექსები]. თბ., 1957.
6462. წერეთელი ა. პეპელა და ყმაწვილი. [ლექსები. თბ.,] 1940.
6463. წერეთელი ა. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1940.  
გვ. 5. ადგილები ხაზგასმულია და მიწერილია: „პირველად თითონ შეკრიბა და გამოსცა: „იხ. „საყმაწვილო ამბები“, (1885), „საყმაწვილო ზღაპრები“ (1886), „გადია“ და სხვ. ი. გრ.“
- უკანასკნელ გვერდზე ხაზგასმულია „ჟურნალებიდან“, მიწერილია: „თუ ცალკე გამოსულ წიგნებიდან“.
- 6464–6465. წერეთელი ა. საყმაწვილო ამბები. ტფ., 1885.  
კანზე: „ეს წიგნი ნელისაა, იხ. ბოლო ყდისა. ი. გრ.“
- წიგნის ბოლოს, კანის მე-4 გვ. მიწერილია ბავშვური ხელით: „ნელი“. იქვე: „1926. 2/XI. ი. გრ.“
- 6466–6468. წერეთელი გ. ღვთის წყალობა. ნახატებიანი საყმაწვილო მოთხრობა. ტფ., 1911.
6469. წერეთელი გ. ღვთის წყალობა. ნახატებიანი მოთხრობა. ტფ., 1925.  
თავფურცელზე წარწერა: „წიგნის რჩილს გრიშაშვილს ან წერეთლისა. 1925 წ. 24/IV“.
6470. წულაძე ა. მომღერალი ყუთი. [მოთხრობა]. ოზურგეთი, 1912.  
კანზე: „ი. გრ. 1921 წ. 12/VIII“.

6471. წულაძე ა. სანდრო. [მოთხრობა]. – ამონაჭერი: „ჯეჯილი“, 1892, № 3, გვ. 3.
6472. წყალი და მისი სამფლობელო. (საბავშვო მოთხრობები). ტფ., [1926].  
კანზე: „ი. გრ. 1926. 23/IV“.
6473. ჭანიშვილი პ. ბუ. ზღაპარი. [თბ.], 1934.
6474. ჭანიშვილი პ. ნამცეცა. ერთი ბიჭის ზღაპრული თავგადასავალი. თბ., 1937.
6475. ჭანიშვილი პ. ნამცეცა. ერთი ბიჭის ზღაპრული თავგადასავალი. თბ., 1958.
6476. ჭელიძე ო. ალხანა და ჩალხანა. [პოემა]. თბ., 1959.
6477. ჭელიძე ო. ორი ლეგენდა. თბ., 1947.
6478. ჭელიძე ო. საბავშვო პოემები. თბ., 1952.
6479. ჭილაშვილი ქ. პატარა მეგობრებს [მოთხრობები]. თბ., 1953.
6480. ჭილაშვილი ქ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1958.
6481. ჭილაშვილი ქ. შეხეთ ლიას ეშმაკობას. მოთხრობები. [თბ.], 1959.
- 6482–6484. ჭიჭინაძე ზ. საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს. თბ., 1878. – კანზე სათაური: „ლექსთა კრება“.
- ფორზაცზე: „აქ არის ახალი შრიფტი“. იქვე: „[აქ არის ზ. ჭ-ძის (ზაქ. ჭიჭინაძე) ლექსებიც. გვ. 17, 31, 48. როცა ვკითხე ზაქარიას, ეს ლექსი შენია-მეთქი, შეაგინა ვინც ეგ ლექსი დასწერაო! ი. გრ. 1934 წ.]. ამ წიგნის შესახებ იხ. ჩემი „ბოჰემა“.
- ყდის მეორე გვერდზე: „სახლში არ გაიცემა. ი. გრ.“
- გვ. 10. ლექსის ბოლოს ავტორის შემოკლებულ გვარს „ბერი“ მიწერილი აქვს: „ბერიევი“.
- გვ. 11. გახსნილია ავტორის ინიციალები „ზ. მ.“ ლექსის „პოემიდან საპყრობილე“ ბოლოს: „ზურაბ მოენიძე“ და მიწერილია: „ან ფურცელაძე. ი. გრ.“.
- გვ. 22. ლექსის „გარდაცვალებაზე (დობროლოზობით“ ბოლოს მიწერილია: „კ. ლორთქიფანიძე“.
- გვ. 27. ხაზგასმულია ლექსის „სალამო“ ავტორი: „თ. რევ. ერისთავი“, მიწერილია: „(ილიას მოკამათე)?“
- გვ. 33. ინიციალებთან „ზ. ჭ.“ „ზ. ჭიჭინაძე“.
- გვ. 36. ინიციალებთან „დ. მ.“ „დ. ბერიევი? ი. გრ.“
- გვ. 40. ხაზგასმულია ფსევდონიმი „ი. რომანიძე“, მიწერილია: „ი. ბაქრაძე ხომ არ არის? ი. გრ.“
- გვ. 42. ინიციალებთან „ალ. ავ.“ „ალ. აკოფოვი. ი. გრ.“
- გვ. 43. ინიციალებთან „მი. ფავ.“ „მიხ. ფავლენიშვილი“.
- გვ. 44. ფსევდონიმთან „თ. კარგარეთელი“ „კ. ლორთქიფანიძე. ი. გრ.“
- გვ. 48. ხელმოწერა „ჭ“. გახსნილია: „ზ. ჭიჭინაძე“.
- მეორე ცალის ფორზაცზე: „აქ ზაქარია ჭ-ძის ლექსებია, იხ. მისი ლექსები აგრეთვე არალეგალურ ჟურნალებში. (ცნობა: გ. გიორგაძე „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“, 1928 წ. გვ. 516)“.
- გვ. 11. ბოლოში მიწერილია: „ზურაბ მოენიძე (ა. ფურცელაძე?). ი. გრ.“
- გვ. 34. ლექსს „ჩიტი“ მიწერილი აქვს: „ვახ. ორბ.“
- 6485–6486. ჭიჭინაძე ლ. თანაკლასელები. [მოთხრობები. თბ.], 1953.

ფორზაცზე წარწერა: „სახსოვრად ხალხის საყვარელ პოეტს, ქართული ლექსის ბრწყინვალე ოსტატს, შესანიშნავ მკვლევარს, პოეტ-აკადემიკოსს, ი. გრიშაშვილს. ლ. ჭიჭინაძე. 24. XII 1953 წ.“

ფორზაცზე: „ი. გრ. გვ. 36.“

მეორე ცალის კანზე: „ჩემზე, გვ. 36. ი. გრ.“

6487. ჭიჭინაძე ლ. თეთრა. [მოთხრობები]. თბ., 1962.

თავფურცელზე წარწერა: „დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ჩვენს სახალხო პოეტს, სიტყვის ჯადოქარს ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან 22 VIII 1962 წ.“

6488. ჭიჭინაძე ლ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1949.

6489. ჭიჭინაძე ლ. სათავე. [მოთხრობა]. თბ., 1959.

თავფურცელზე წარწერა: „მთელი ხალხის საყვარელ სახალხო პოეტს ი. გრიშაშვილს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. ავტორისაგან. 10/III 1960 წ.“

6490–6494. ჭიჭინაძე ლ. სახსოვარი. [მოთხრობები]... თბ., 1956.

კანზე: „მოთხრობა გრიშაშვილზე, გვ. 29.“

6495. ჭუმბაძე ა. დიმიტრის თავგადასავალი. [მოთხრობა]. – ამონაჭერი: „ჯეჯილი“, 1899, № 7–8.

აკინძულია წიგნად ი. გრ. მიერ.

6496. ხაჩიაშვილი ქ. ყვავილების დედოფალი. [მოთხრობები]. თბ., 1961.

თავფურცელის მე-2 გვერდზე წარწერა: „ქართული ლექსის დიდოსტატს, ქართული წიგნის მეზადეს ბატონ იოსებს უდიდესი პატივისცემით და თაყვანისცემით პატარა წიგნის ავტორისაგან. 1961 წ. 12 X. თბილისი“.

6497. ხახუტაშვილი ა. გაზაფხულის მერცხლები. [მოთხრობები]. თბ., 1951.

კანზე: „ქაფქოთანი და ზღარბი? გვ. 100“.

6498. ხახუტაშვილი ა. დედის ღიმილი. მოთხრობები. თბ., 1959.

6499. [ხახუტაშვილი ა.] ცქვიტი. დელეგატები. [მოთხრობები]. თბ., 1933.

6500. ხახუტაშვილი ა. თომიკოს საჩუქარი. მოთხრობები. თბ., 1949.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1950. 1. 1.“ იქვე: „ცუდი ქართული, გვ. 200“.

გვ. 58. მოთხრობაში „გორის საკონსერვო ქარხანა“ ხაზგასმულია: „ბოლავს“ [იგულისხმება ქარხანა]. მიწერილია: „სხვა არაფერი ღირსება აქვს? ყველა ქარხანა ბოლავს. ი. გრ.“

გვ. 59. ხაზგასმულია: „რუსულად „პავიდლო“ ეწოდება“, მიწერილია: „ჩვენ თათარა ან ფელამუმი დავარქვათ. ი. გრ.“

გვ. 200. სიტყვა „დედამისი“ გასწორებულია: „მისი დედა“.

გაზეთიდან ამოჭრილი გ. ლომინაძის რეცენზია მინაწერით: „ახალ. კომ.“, 1950, № 41, 8 აპრ.“

6501. [ხახუტაშვილი ა.] ცქვიტი. მოთხრობები. თბ., 1947.

6502–6503. [ხახუტაშვილი ა.] ცქვიტი. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1937.

კანზე: „1. სარჩევი არ აქვს. 2. არც ლექსიკონი.“

თავფურცელზე: „ი. გრ. 1937. 8/VI“.

წიგნის ბოლოს ჩაკრულია ი. გრიშაშვილის ხელით შედგენილი სარჩევი.

6504–6507. [ხახუტაშვილი ა.] ცქვიტი. საყმაწვილო მოთხრობები: პირველი ენძელა. – ცოცხალი სურათი. გორი, [1905].

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს გ. მსხილაძისაგან. 1/XII 54 წ.“ გამოცემის წელის ადგილას მიწერილია: „1905 წ.“

6508. [ხახუტაშვილი ა.] ცქვიტი. ცელქები. [მოთხრობები]. თბ., 1939.

გაზეთიდან ამოჭრილი დ. ბუზუკაშვილის რეცენზია „ცელქების“ შესახებ, მიწერილია: „ნორჩი ლენინელი“, 1939, № 91, 12 დეკ.“

6509. ხახუტაშვილი ა. ჯილდო. [მოთხრობები]. თბ., 1955.

კანზე: „ი. გრ. 1955. 9/VI“.

გვ. 8. მიწერილია: „ჩამოვსვლიპე“ ბევრჯელაა“.

6510–6511. ხეჩუაშვილი გ. ყვინჩილა. [პოემა]. თბ., 1945.

6412. ხეჩუაშვილი გ. შალიკოს სინანული. [ლექსი]. ტფ., 1910.

6513. ხომტარია ი. გულითადი საჩუქარი. [ლექსები]. თბ., 1955.

თავფურცელზე წარწერა: „ხალხის საყვარელ პოეტს და სპეტაკ ადამიანს იოსებ გრიშაშვილს სახსოვრად ავტორისაგან. 3. VII 1955 წ.“

6514. ხუროძე დ. ოქროს ხელები. [ლექსები]. თბ., 1957 წ.

6515. ხუბაშვილი გ. და ჭილაძე თ. მშვიდობის სიმღერა. საბავშვო პოემა. თბ., 1952.

6516. ჯანგულაშვილი თ. ათი ნემსი. [ლექსები]. თბ., 1959.

6517. ჯანგულაშვილი თ. კოცონი გორის ციხესთან. [ლექსები]. თბ., 1955.

6518. ჯანგულაშვილი თ. მოვდივართ, მოგვიხარია. საბავშვო ლექსები და პოემები. თბ., 1949.

კანზე: „რატომ არის ამ ასოთი აწყობილი?“

6519. ჯინჭარაძე გ. მოთხრობები. თბ., 1952.